

გრიგოლ ორბელიანის

ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე





შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სამეცნიერო პროექტი „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (ორენოვანი გამოცემა)“ (FR17-229) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

პროექტის ხელმძღვანელი – **მაია ნინიძე**

მასალის შემდგენლები: **მაია ნინიძე, საბა მეტრეველი, თეა თვალავაძე, ესმა მანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე**

რედაქტორები: **მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი**

დამკაბადონებელი: **გიორგი მეგრელიშვილი**

ISBN 978-9941-8-2884-3(PDF)

© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

წინასიტყვაობა

ბიოზოოლოგიურ გამოცემაში – „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ – ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის – გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ის მოვლენები, რომლებიც დოკუმენტურად არის დადასტურებული. ცნობილი პიროვნებების შესახებ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება და მკითხველს უჭირს იმის გარჩევა, თუ რომელი წყაროა სანდო და რომელი – არა. ამ გამოცემის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ წიგნი მსუბუქად იკითხება, მაგრამ, ამასთანავე, მეცნიერულად გადამოწმებული და დადასტურებულია. თითოეულ მოკლე ანოტაციასაც კი, ახლავს მითითება წყაროზე.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მატთანესთან ერთად ქვეყნდება მისი ინგლისური ვერსიაც. იგი უცხოელ მკითხველს, გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან ერთად, გააცნობს შესაბამისი პერიოდის – 1804-1883 წლების საქართველოს ყოფასაც. რამდენადაც გრიგოლ ორბელიანი მრავალ სფეროში მოღვაწეობდა (იყო პოეტი, არმიის გენერალი, ავარიის მმართველი, კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი და სხვ.), მისი ცხოვრების მატთანე ირეკლავს ერის ისტორიულ-კულტურულ ვითარებასაც. გარდა ამისა, გრიგოლ ორბელიანი იყო ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლე II-ის შვილთაშვილი და თავადთა ცნობილი საგვარეულოს – ორბელიანების გამორჩეული წარმომადგენელი. შესაბამისად, მისი ნათესავები და ახლობლებიც აქტიური მოღვაწეები და თანამდებობის პირები იყვნენ. ეს ურთიერთობები ფართოდ არის ასახული მწერლის მიმოწერაში. მისი ეპისტოლური მემკვიდრეობისა და მისთვის სხვადასხვა პირის მიერ გაგზავნილი წერილების შესწავლამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა „მატიანე“ და ჩვენი წარმოდგენა მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ.

პირადი წერილები, საარქივო საბუთები და დოკუმენტები ხშირად არ არის დათარიღებული და მათში მოხსენიებული პირები არ არიან იდენტიფიცირებულნი. მატთანის შექმნის პროცესის კოორდინირება ტექსტოლოგიურ კვლევებთან საშუალებას გვაძლევს, რომ ასეთი სახის ნაკლები ინფორმაცია საფუძვლიანად შევისწავლოთ, შევაგვოთ და ანოტაციას სრულყოფილი სახე მივცეთ. ამ გამოცემისთვის დათარიღდა ასობით ტექსტი და მოვლენა, დადგინდა მრავალი პირის ვინაობა.

თითოეული პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანეს შეიძლება ჰქონდეს ისეთი სპეციფიკური ასპექტი, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო აპარატის მისთვის მისადაგებას. გრიგოლ ორბელიანის შემთხვევაში მოგვიხდა რუბრიკა „გეოგრაფიული სახელების“ დამატება, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო სამსახურისა და ჩრდილოეთ კავკასიის ბრძოლებში მონაწილეობის პერიოდების ასახვისას გვიხდებოდა ისეთ გეოგრაფიულ ადგილებზე საუბარი, რომლებიც წყაროში არასწორად არის დასახელებული ან დღესდღეობით სახელი შეცვლილი აქვს. ასევე, დავინახეთ იმის საჭიროება, რომ სამეცნიერო აპარატისთვის დაგვემატებინა რუბრიკა – „მენიშვნა“, რომელშიც შეგვაქვს მნიშვნელოვანი ინფორმაცია წყაროს ავთენტურობისა და სიზუსტის ან სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ.

მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ არქივებში დაცულ მასალასთან ხშირად არასწორად არის მითითებული ადრესატი. დავადგინეთ, რომ გრიგოლ ორბელიანის ორი წერილი გაგზავნილია არა ნიკოლოზ ორბელიანის, არამედ მისი დისწულის შვილის – ნიკოლოზ ერისთავისთვის; ათზე მეტი დოკუმენტი, რომელთა ადრესატადაც საარქივო დოკუმენტებში გრიგოლ ორბელიანი იყო მითითებული, რეალურად, გაგზავნილი იყო მის ძმასთან – ზაქარია ორბელიანთან და სხვ.

ინფორმაციის მოძიება: მატთანისთვის ინფორმაციის შესაკრებად, ძირითადად, გამოვიყენეთ: საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და სხვა საარქივო ფონდების მასალები; „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ დღეისათვის გამოცემული I-IX ტომები; მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

გამოქვეყნებული წიგნები და მონოგრაფიები; პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგები და საცავები; „კავკასიის კალენდრები“; „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტები“; გენეალოგიური ნუსხები; თანამედროვეთა მოგონებები; სხვადასხვა ტიპის დოკუმენტურ წყაროთა ელექტრონული ბაზები და სხვ.

დასრულებული სახის მქონე პირად ან საქმიან წერილს გავლილი აქვს ხოლმე ერთგვარი ავტოცენზურა, რომელიც აკონტროლებს, აღიქვამს თუ არა ადრესატი ადრესანტის სიტყვებს ისე, როგორც მას სურდა მიეწოდებინა. ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემაში არ გვხვდება ისეთი ტექსტები, რომლებიც ავტორმა ცხელ გულზე დაწერა და გაგზავნა არც უფიქრია. ბიობიბლიოგრაფიაში აისახება ასეთი მასალაც. მაგალითად, „მატიანეში“ წარმოდგენილია გრიგოლ ორბელიანის მიერ სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვის წერილზე მიწერილი, ჰიპოთეტურად მისდამი ადრესირებული, „ბარათი“, რომელიც სრულიად შეუზღუდავად გვაჩვენებს მის გულწრფელ სათქმელს ამ პირისადმი.

ფორმატი: ამ წიგნსაც, ისევე როგორც „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“, აქვს ჰიპერლინკებიანი PDF ფაილის ფორმა და არის ორშრიანი. მატიანის ძირითადი ტექსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განლაგებული ციფრული დოკუმენტის ზედაპირზე, თითოეული ანოტაციის ბოლოს კი პატარა სამკუთხა ღილაკია, რომელზე კურსორის დაჭერითაც იხსნება ქვედა შრე – სამეცნიერო აპარატი. ის, ძირითადად, სპეციალისტთა ინტერესებს ემსახურება და მოიცავს რუბრიკებს: „წყარო“, „დათარიღება“, „პირთა იდენტიფიკაცია“, „პირთა ანოტაციები“, „გეოგრაფიული სახელები“, „შენიშვნა“ და „ფოტო / დოკუმენტი“. ამათგან „წყარო“ ყველა ანოტაციასთან არის მითითებული, დანარჩენები კი – საჭიროების მიხედვით. ბმულის ბოლოს მოთავსებულ ასეთსავე ღილაკზე კურსორის დაჭერით მკითხველი ბრუნდება იმავე გვერდზე, რომელსაც კითხულობდა.

სამეცნიერო აპარატი: რუბრიკა „წყარო“ მკითხველს წარმოუდგენს იმ ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებს, რომელთა საფუძველზეც მომზადდა ანოტაცია; „დათარიღება“ – მოვლენის თარიღთან დაკავშირებულ არგუმენტირებას ან ნაშრომებს, რომლებშიც დადგენილია მისი დრო, ხოლო „პირთა იდენტიფიკაცია“ – მსჯელობას იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე მოხდა პირის ვინაობის დადგენა, ან პუბლიკაციებს, რომლებიც ეძღვნება მათ იდენტიფიცირებას. რუბრიკაში „გეოგრაფიული სახელები“ მოცემულია ინფორმაცია ნაკლებად ცნობილი გეოგრაფიული პუნქტების, სახელშეცვლილი ტოპონიმებისა და წყაროში არასწორად მოხსენიებული ტოპონიმების შესახებ; „პირთა ანოტაციები“ მკითხველს აწვდის მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას მოხსენიებული პირების შესახებ, „ფოტო / დოკუმენტი“ კი სთავაზობს იმ ფოტოს ან დოკუმენტის ციფრულ ასლს, რომლის შესახებაც არის საუბარი ანოტაციაში. ფოტოები და დოკუმენტები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული არქივიდან და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან.

თუ წყაროში მექანიკური შეცდომაა, რისი გაუთვალისწინებლობაც არასწორ ინფორმაციას მიაწვდიდა მკითხველს, ანოტაციაში მას ვასწორებთ, „შენიშვნაში“ კი ვუთითებთ ამის შესახებ. თუ შეცდომა პირის ან გეოგრაფიული სახელის დასახელებაშია გაპარული, ამის შესახებ ვუთითებთ შესაბამის რუბრიკებში.

ზოგჯერ შეცდომას მექანიკურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ძალიან ხშირად მეორდება. მაგალითად, ისტორიული ფაქტია, რომ 1844 წლიდან მეფის რუსეთის მიერ დანიშნულ კავკასიის უმაღლეს ხელისუფალთ ეწოდებოდათ „მეფისნაცვლები“ და არა „მთავარმართებლები“, გრიგოლ ორბელიანის ქართულენოვან წერილებში კი ისინი ყველგან „მთავარმართებლებად“ არიან მოხსენიებულნი. ანოტაციებთან ამდენი „შენიშვნის“ დამატებას ვამჯობინებთ, რომ ამის შესახებ წინასიტყვაობაში გვეთქვა. 1881 წლიდან კავკასიაში ისევ განახლდა მთავარმართებლობის ინსტიტუტი. შესაბამისად, როდესაც მწერალი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს მოიხსენიებს „მთავარმართებლად“, ბუნებრივია, ეს ანოტაციებშიც ასევე რჩება.

ზოგადი პრინციპები: მატიანის ანოტაციებში ასახული თითოეული ფაქტი გრიგოლ ორბელიანს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა წინადადება უნდა დაწყებულიყო მისი ხსენებით. იმის გამო, რომ ერთნაირი დასაწყისები ხელს შეუშლიდა მკითხველს მრავალ-

ფეროვანი ინფორმაციის სწრაფ აღქმაში, მისი სახელი გამოვტოვებთ ყველგან, სადაც ეს გაუგებრობას არ გამოიწვევდა. მაგ.: იმის ნაცვლად, რომ დაგვეწერა: „გრიგოლ ორბელიანი იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს“, დავეწერეთ: „იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს“ და სხვ.

მატიანეში ყველა პირს სახელითა და გვარით ვიხსენიებთ, მაგრამ თუ წიგნში ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე ორი სხვადასხვა პირი გვხვდება, ანოტაციებში ვუთითებთ მამის სახელებსაც. მეცხრამეტე საუკუნეში გვარების ქართულ დაბოლოებებს ცვლიდნენ რუსულით. მატიანეში მათ უნიფიცირებას ვახდენთ და ქართული ფორმით ვწერთ, მაგრამ უცვლელად ვტოვებთ უცხოური გვარ-სახელების დაწერილობას.

წყაროებში, რომლებსაც ანოტაციების მომზადებისას ვეყრდნობით, პიროვნებები ზოგჯერ მოხსენიებულნი არიან მხოლოდ სახელით, გვარით, ინიციალით, ფსევდონიმით ან სხვაგვარი მინიშნებით. მას შემდეგ, რაც ვარკვევთ მათს ვინაობას, ანოტაციაში ყველას ვიხსენიებთ სახელითა და გვარით, მაგრამ ინფორმაციული სიზუსტისთვის რუბრიკაში „პირთა იდენტიფიკაცია“ ვუთითებთ, თუ როგორ იყო იგი მოხსენიებული წყაროში.

ქრონოლოგია: რადგან მატიანეში შეტანილი მასალის ერთი ნაწილის დათარიღება მიახლოებითია, საჭიროა განვმარტოთ ჩვენ მიერ გამოყენებული აღნიშვნები და ქრონოლოგიაში ჩასმის პრინციპი: „თვის დასაწყისში“ ვგულისხმობთ პირველ სამ დღეს, „ბოლოში“ – ბოლო სამს და „შუა რიცხვებში“ – თარიღებს 14-დან 16-ის ჩათვლით. „თვის პირველ ნახევარში“ მოვიაზრებთ რიცხვებს 1-დან 15-ის ჩათვლით, ხოლო „მეორე ნახევარში“ –თვის დანარჩენ ნაწილს. სავარაუდო ზოგადი თარიღი მოვლენათა თანმიმდევრობაში იწერება იმავე პერიოდის ზუსტი თარიღების ბოლოს. როცა დადგენილია მოვლენის მხოლოდ წელი, იგი თავსდება ამ წლის ყველა კონკრეტულთარიღიანი ანოტაციის ბოლოს. როცა დადგენილია წელი და თვე, იგი თავსდება ამ წლისა და ამთვის კონკრეტულთარიღიანი ანოტაციების ბოლოს. „1833-მდე“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში არ შედის და ანოტაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარიღიანი მასალის წინ. „1833-დან“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში შედის და ინფორმაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარიღიანი ანოტაციების ბოლოს. „1875-დან 10 ოქტომბერი“ და მსგავსი ტიპის დათარიღებებში იგულისხმება 1875 წლიდან მწერლის გარდაცვალებამდე რომელიმე 10 ოქტომბერი და მას ვათავსებთ მითითებული წლის,თვისა და რიცხვის მასალის შემდეგ. როდესაც ანოტაციას აქვს გაფართოებული თარიღი, ტექსტოლოგიაში მიღებული პრინციპების მიხედვით, იგი ქრონოლოგიურ რიგში თავსდება დროის ზედა ზღვარზე ორიენტირებით.

როდესაც ანოტაციის წყაროდ გამოყენებულია გრიგოლ ორბელიანისთვის სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილიდან სხვადასხვა პირის მიერ გაგზავნილი თარიღიანი წერილები, რომლებსაც იგი, დიდი ალბათობით, იმავე დღეს ვერ მიიღებდა, წერილის მიღების ფაქტს ვათარიღებთ მისი დაწერის დღის შემდგომი პერიოდით. მაგ.: თუ პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილი დათარიღებულია 6 მარტით, ანოტაციას, რომელშიც საუბარია ამ წერილის მიღებაზე, ვათარიღებთ ასე: „6 მარტის შემდეგ“.

პირადი წერილებიდან ამოვიღეთ ინფორმაცია არა მხოლოდ უკვე მომხდარი ფაქტების, არამედ უახლოესი გეგმების შესახებაც. მაგალითად, თუ „2 ნოემბერს“ დაწერილ წერილში გრიგოლ ორბელიანი ამბობს, რომ ექვსი დღის შემდეგ მიემგზავრება ყვარელში, ეს ფაქტი მატიანეში შეგვაქვს „8 ნოემბრის“ თარიღით. შესაბამისად, ყველგან, სადაც ანოტაციის თარიღი წინ უსწრებს დათარიღების რუბრიკაში მითითებული წერილისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის მწერლის განზრახვაზე, და არა უკვე მომხდარ ფაქტზე, დამყარებული ინფორმაცია.

სადიებლები: გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში ასობით პირია მოხსენიებული, რის გამოც საჭირო გახდა თითოეული ანოტაციისთვის პირთა ანოტირებული სადიებლის დართვა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებებისთვის ვრცელი ანოტაციის გაკეთება ზედმეტად მივიჩნიეთ და მხოლოდ მოკლედ ვუთითებთ, ვისზეა საუბარი. პირთა

ანოტირებულ საძიებლებში, ძირითადად, შეტანილია ისეთი ცნობები, რომლებიც მატთანში არ არის ასახული, მაგრამ თუ ანოტაციაში მოხსენიებული პირის შესახებ სხვა არავითარი წყარო არ იძებნება, ინფორმაცია მის შესახებ გაგვაქვს მატთანის ტექსტიდან. რამდენადაც საძიებლებში წარმოდგენილ პირთა უმრავლესობა ქართველია, ეროვნებას ვუთითებთ მხოლოდ უცხოელებთან.

კალენდარული სტილი: დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე მოიცავს (1804-1883), საქართველოში გამოიყენებოდა იულიუსის კალენდარი. შესაბამისად, ქრონოლოგიაში ყველა თარიღი მოცემულია ე. წ. ძველი სტილით.

შემოკლებანი: წიგნში ძალიან ხშირად გვიხდება ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომებისა და სხვადასხვა არქივის დასახელება. ამიტომ ვიყენებთ შემოკლებებს:

ქმემ – ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე (რედ.), XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა;

სეა – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი;

ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

ქლმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;

ზსიემ – ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

მაია ნინიძე

- 1804 2 ოქტომბერი**
თავად ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანსა და ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლე II-ის შვილიშვილს – ხორემან ზაქარიას ასულ ანდრონიკაშვილს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც გრიგოლი უწოდეს. მშობლებისთვის ის მეორე შვილი იყო, ჰყავდა ორი წლით უფროსი და – ეფემია.
- 1806** შეეძინა ძმა – ზაქარია.
- 1810 -დან**
წერა-კითხვას სწავლობს ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზთან – დიმიტრი ალექსიმესხიშვილთან.
- 1814** შეეძინა ძმა – სოლომონი.
- 1815 10 დეკემბერი**
შეეძინა ძმა – ილია.
- 1816 21 ნოემბერი**
კურსის დასრულებამდე ტოვებს კეთილშობილთა სასწავლებელს და არტილერისტის პროფესიის დასაუფლებლად ირიცხება იუნკრად 21-ე საარტილერიო ბრიგადის სასწავლო ქვედანაყოფში.
- 1817 11 მარტი**
იღებს პორტუპეი იუნკრის წოდებას.
- 1817 3 ივნისი**
წარმატებით აბარებს სამხედრო სასწავლებლის გამოცდებს.
- 1818 19 იანვარი**
გამოცდების წარმატებით ჩაბარებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი რომან ხოვენი აჯილდოებს ვასილი კუკოლნიკის წიგნით „სასოფლო საოჯახო მეურნეობის მართვის საფუძვლები“ (Начальные основания сельского домоводства“) და უკეთებს სამახსოვრო წარწერას.
- 1818** გარდაეცვალა ძმა – სოლომონი.
- 1820 12 აპრილი**
ხარკოვიდან იღებს ძმის, ზაქარია ორბელიანის, წერილს და იგებს, რომ ის, ალექსანდრე ოპერმანთან ერთად, მიდიოდა ცარიცინში, მაგრამ როსტოვამდე ძლივს ჩააღწია, რადგან საკუთარი ცხენი არ ჰყავდა. სთხოვს, როგორმე მოახერხოს და ცხენის ფული გაუგზავნოს.
- 1820 5 ივნისი**
ასრულებს მატვეი კომაროვის „მილორდიანის“ გადაწერას.

- 1820 7 ივნისი**
იღებს ძმის, ზაქარიას, წერილს. ის უკმაყოფილოა თავისი სამსახურით და სთხოვს, იასე ანდრონიკაშვილს აშუამდგომლებინოს გრაფ ივან პასკევიჩთან, რომ სხვაგან გადაიყვანონ.
- 1820 29 სექტემბერი**
ქართველ გრენადერთა პოლკში გადადის „პორტუპეი პროპორშჩიკის“ წოდებით.
- 1820 11 ოქტომბერი**
იღებს ძმის, ზაქარიას, წერილს, რომელშიც ადრესანტი ისევ გამოთქვამს წუხილს ცხენის არყოლის გამო და სთხოვს მის შესაძენ თანხას. გრიგოლი იგებს, რომ გაზაფხულზე ძმის სამხედრო ნაწილში იმპერატორ ალექსანდრე I-ს ელოდებიან, რის გამოც წვრთნებს აძლიერებენ.
- 1820** დიმიტრი ზაალის ძე ორბელიანის ინიციატივით ინიშნება ამ უკანასკნელის ძმის – ყაფლან (იოანე) ორბელიანისა და ანა ამილახვრის ქალიშვილზე, 3 წლის სოფიოზე.
- 1821 7 ივნისი**
იღებს პროპორშჩიკის წოდებას.
- 1822 23 თებერვლამდე**
რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დაწყების მოლოდინით გამხნევებული ჭარულები ცდილობენ, თავი დააღწიონ რუსეთის იმპერიის მმართველობას და იწყებენ ამბოხებას. მის ჩასაქრობად იგზავნება ნიჟეგოროდის პოლკი ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით და გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ევსევის ძე ერისთავის გრენადერთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშიც არის გრიგოლ ორბელიანი.
- 1822 23 თებერვალი**
გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ევსევის ძე ერისთავის მეთაურობით უბრძოლველად შედის ზაქათალაში, მაგრამ ამბოხებულთა მეთაურები კატეხში ახერხებენ გადასვლას.
- 1822 3 მარტი**
ქართველ გრენადერთა ბრიგადასთან ერთად მონაწილეობს კატეხის აღებაში.
- 1824** იმყოფება შილდაში და ნოსტალგიით სავსე წერილს სწერს ბიძაშვილს – ანტონ ორბელიანს.
- 1825 19 აგვისტო**
იღებს პოდპორუჩიკის წოდებას.
- 1826 22 ივლისი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად, რომელსაც მეთაურობს გრაფი ივან სიმონიჩი, გადაადგილდება თბილისიდან შამქორის მიმართულებით.

- 1826 25 ივლისი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად, რომელსაც მეთაურობს გრაფი ივან სიმონიჩი, მიემართება თბილისის მიმართულებით.
- 1826 26 ივლისი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად ღამეს ათევს სოფელ დემურჩასალში.
- 1826 27 ივლისი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად ბანაკდება სოფელ ტოვუზში.
- 1826 30 ივლისი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად სოფელ შამქორთან უერთდება სხვა დანაყოფებს.
- 1826 1 აგვისტო**
გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად იგერიებს სპარსელთა კავალერიის შეტევას.
- 1826 2 აგვისტო**
გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად იგერიებს სპარსელთა კიდევ ერთ შეტევას.
- 1826 3 აგვისტო**
გენერალ ალექსეი ერმოლოვის ბრძანებით, არმიის დანაყოფებთან ერთად გადაინაცვლებს სოფელ ჰასანსუში.
- 1826 4 აგვისტო**
გენერალ ალექსეი ერმოლოვის ბრძანებით, არმიის დანაყოფებთან ერთად ტოვებს ჰასანსუს და მიემართება შირვანის ბატალიონის ჯარისკაცებთან შესაერთებლად.
- 1826 5 აგვისტო**
მდინარე აღსთაფის ნაპირთან უერთდება შირვანის ბატალიონის ჯარისკაცებს.
- 1826 6 აგვისტო**
მის ბანაკში გენერალ ივან სიმონიჩის მიწვევით მიდის გრიგოლ ორბელიანის ბიძა, იმჟამად ყაზახის მოურავი – ასლან ორბელიანი, ალაღარებთან ერთად.
- 1826 7 აგვისტო**
გენერალ ივან სიმონიჩის მეთაურობით ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად გადაინაცვლებს ქალაქ ხანახლარში. მათ თან მიჰყვებიან მისი ბიძა – ასლან ორბელიანი და ყაზახის ალაღარები.
- 1826 15 აგვისტო**
რუსეთის იმპერიის საჯარისო შენაერთებთან ერთად გამოდის ქალაქ ხანახლარიდან და ბანაკდება მდინარე აღსთაფის ნაპირას.

- 1826 22 აგვისტო**
იმპერიის საჯარისო შენაერთებთან ერთად მიემართება მდინარე ჰასანსუს მიმართულებით, სადაც, საიდუმლო ინფორმაციის მიხედვით, უნდა ყოფილიყო დაბანაკებული საქართველოში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმი.
- 1826 23 აგვისტო**
თათრების მცირერიცხოვან რაზმთან შეტაკების გამო ჰასანსუსში მყოფი მოწინააღმდეგის ძალები იგებენ მათი მიახლოების შესახებ და ალექსანდრე ბატონიშვილი გადადის ელიზავეტოპოლში.
- 1826 31 აგვისტო**
რუსეთის იმპერიის საჯარისო შენაერთებთან ერთად ღამეს ათევს მდინარე ჰასანსუს მარჯვენა ნაპირზე.
- 1826 1 სექტემბერი**
რუსეთის იმპერიის საჯარისო შენაერთებთან ერთად ბანაკდება სოფელ ყარაში.
- 1826 2 სექტემბერი**
რუსეთის იმპერიის საჯარისო შენაერთებთან ერთად ღამეს ათევს სოფელ ძეგამში.
- 1826 3 სექტემბერი**
გენერალ ვალერიან მადათოვის საერთო სარდლობით იმარჯვებს შამქორთან სპარსელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.
- 1826 4 სექტემბერი**
რუსეთის არმიის სამხედრო დანაყოფებთან ერთად შედის ელიზავეტოპოლში, მაგრამ სპარსელები გაქცეულები ხვდებიან.
- 1826 13 სექტემბერი**
გრაფ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით მონაწილეობს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქ ელიზავეტოპოლის მისადგომებთან და ამარცხებს ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას-მირზას, ჯარებს.
- 1826 28 დეკემბერი**
გენერალი ვალერიან მადათოვი გრაფ ალექსეი ერმოლოვისგან იღებს ბრძანებას, რომ გასცდეს ყარაბაღის სახანოს საზღვრებს და გაანადგუროს მომთაბარე რაზმები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ამ მხარეს. გრიგოლ ორბელიანი მის დაქვემდებარებაში გადადის, გადალახავს მდინარე არაქსს და პირველ შეტაკებაში წარმატებით ამარცხებს მომთაბარეებს.
- 1827 1 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით მეშქის ოლქში მონაწილეობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავდასხმაში, რომლის შედეგადაც რუსეთის არმიას რჩება დიდი რაოდენობით ნადავლი.

- 1827 2 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით გადადის მთებზე და შედის ქალაქ ლორეში.
- 1827 3 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით ტოვებს ლორეს და მიემართება ყარადაღის სახანოს ქალაქ აგარისაკენ.
- 1827 5 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით იკავებს ქალაქ ნასირაბადს.
- 1827 6 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სამხედრო დანაყოფებთან ერთად ნასირაბადში ზეიმობს მაცხოვრის შობას.
- 1827 7 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით უახლოვდება ქალაქ აგარს, სადაც მათთან მიდის ადგილობრივი მოსახლეობის დელეგაცია და უცხადებს მორჩილებას.
- 1827 9 იანვარი**
მას შემდეგ, რაც გენერალი ვალერიან მადათოვი თავს უყრის მტრის ტერიტორიაზე გაფანტულ ყველა რუსულ ქვედანაყოფს, გრიგოლ ორბელიანი მასთან ერთად მიემართება უკან, ყარაბაღისკენ.
- 1827 17 იანვარი**
გენერალ ვალერიან მადათოვის სარდლობით ბრუნდება ყარაბაღში.
- 1827 27 იანვარი**
მამაცობისთვის ჯილდოვდება წმინდა ანას სახელობის მეოთხე ხარისხის ორდენით.
- 1827 24 აპრილი**
გენერალ კონსტანტინ ბენკენდორფის სარდლობით მიემართება ეკმიადინის ციხისკენ.
- 1827 25 აპრილი**
გენერალ კონსტანტინ ბენკენდორფის სარდლობით იკავებს ირაკლის მთას.
- 1827 26 აპრილი**
ეკმიადინის მცველები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ქართველთა ასეულს, რომლის შემადგენლობაშიც არის გრიგოლ ორბელიანი. მათ საშველად მოდიან სხვა დანაყოფები და იგერიებენ მტერს.
- 1827 27 აპრილი**
გენერალ ალექსანდრ ფრიდერიქსის სარდლობით ალყაში აქცევს ეკმიადინის ციხეს.

- 1827 27 აპრილის შემდეგ**
არმია, რომელსაც ექიმიაძინისთვის ალყა აქვს შემორტყმული არარის უზრუნველყოფილი საკვებით და გრიგოლ ორბელიანიც სხვებთან ერთად შიმშილობს.
- 1827 29-30 აპრილი**
გენერალ ალექსანდრ ფრიდერიქსის სარდლობით იგერიებს სპარსელთა შეტევას, რომლის მიზანია ექიმიაძინის ალყის გარღვევა.
- 1827 4 მაისი**
გენერალ ალექსანდრ ფრიდერიქსის სარდლობით იგერიებს ქურთების შეტევას ჰასან-ხანის მეთაურობით და დევნის მას სარდარაბადისკენ.
- 1827 11 მაისი**
მონაწილეობს შეტაკებაში ჰასან-ხანის წინააღმდეგ მდინარე აბარანის ნაპირზე და სასტიკად ამარცხებს ქურთების ჯარს.
- 1827 14 მაისი**
ჰასან-ხანი ხელახლა აგროვებს ჯარს და 100 მანეთს აწესებს ჯილდოდ რუსეთის არმიის მეომართა თითო მოჭრილი თავისთვის.
- 1827 14-17 მაისი**
გენერალ ალექსანდრ ფრიდერიქსის სარდლობით იგერიებს ცხენოსანთა რაზმს, რომელიც ცდილობს ექიმიაძინის ალყის გარღვევას და ციხეში შეჭრას.
- 1827 1 ივლისი**
გრაფ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად იწყებს აბასაბადის სიმაგრისთვის ალყის შემორტყმას.
- 1827 5 ივლისი**
გრაფ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად, იმარჯვებს სოფელ ჯეევან-ბულაკთან გამართულ ბრძოლაში.
- 1827 7 ივლისი**
გრაფ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად იღებს სიმაგრე აბასაბადს.
- 1827 31 ივლისი**
გრაფ ალექსანდრ ფრიდერიქსის სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად, იღებს ირანის ციხე-სიმაგრე ორდუბადს.
- 1827 14 სექტემბერი**
გენერალ პავლე სუხტელენის სარდლობით ალყაში აქცევს სპარსელთა ციხე-სიმაგრე სარდარაბადს.

- 1827 18 სექტემბერი**
გენერალ პავლე სუხტელენის სარდლობით მონაწილეობს ციხესიმაგრე სარდარაბადზე შეტევაში.
- 1827 19 სექტემბერი**
მთელი დღის განმავლობაში გრძელდება საარტილერიო შეტევა ციხესიმაგრე სარდარაბადზე, იქ დაბანაკებული ჰასან-ხანი გენერალ სუხტელენს უგზავნის შუამავლებს და ითხოვს ცეცხლის შეჩერებას სამი დღით. უარის მიღების შემდეგ, 1500-კაციანი სამხედრო შენაერთით ციხიდან გარბის.
- 1827 20 სექტემბერი**
რუსეთის ჯარებთან ერთად შედის სარდარაბადში.
- 1827 24-30 სექტემბერი**
გენერალ პავლე სუხტელენის სარდლობით ბრუნდება ალყაშემორტყმული ერევნის მისადგომებთან.
- 1827 1 ოქტომბერი**
გენერალ პასკევიჩის სარდლობით მონაწილეობს ერევნის აღებაში.
- 1827 1 ოქტომბრის შემდეგ**
იწყებს პოემის – „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ – წერას.
- 1827 ოქტომბერი**
უფლისწულ აბას-მირზას მეთაურობით მეზობლი ირანის ჯარის დამარცხებისთვის იღებს მადლობას.
- 1827** გარდაეცვალა მამა – ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანი.
- 1827** წერს ორტაეპიან ლექსს („რა მგამა...“)
- 1828 12 იანვარი**
იღებს პორუჩიკის წოდებას და ენიშნება ყოველწლიური ხელფასი.
- 1828 14 ივნისი**
ფელდმარშალ ივან პასკევიჩის მეთაურობით მონაწილეობს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და იღებს ყარსს.
- 1828 17 ივლისი**
ფელდმარშალ ივან პასკევიჩის მეთაურობით გადაადგილდება ახალქალაქის მიმართულებით.
- 1828 21 ივლისი**
ფელდმარშალ ივან პასკევიჩის სამხედრო დანაყოფებთან ერთად დაბანაკებულია აბულის მთაზე.

- 1828 23 ივლისი**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფ კავკასიის გრენადერთა ბრიგადასთან ერთად ოსმალებისგან ათავისუფლებს ახალქალაქს.
- 1828 26 ივლისი**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფ კავკასიის გრენადერთა ბრიგადასთან ერთად მიემართება ხერთვისის ციხისკენ, რომელსაც ოსმალები უბრძოლველად თმობენ.
- 1828 30 ივლისი**
ოსმალებისაგან ხერთვისის გათავისუფლების აღსანიშნავად იხდიან სამადლობელ პარაკლისს.
- 1828 1 აგვისტო**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფ კავკასიის გრენადერთა ბრიგადასთან ერთად ხერთვისიდან მიემართება ახალციხისკენ და თან გზადაგზა უხდება ტყის კაფვა არტილერიის გადასატანად.
- 1828 3 აგვისტო**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფ კავკასიის გრენადერთა ბრიგადასთან ერთად უახლოვდება ახალციხეს.
- 1828 5 აგვისტო**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფ კავკასიის გრენადერთა ბრიგადასთან ერთად მონაწილეობს ახალციხიდან ოსმალების განდევნაში.
- 1829 30 იანვრის შემდეგ**
თბილისშია და წერს ახალდაქვრივებული ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს სათაურით, „მტირალისადმი. ს...“ („თუ ტურფანი...“)
- 1829 3 მარტი**
ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად ჩერდება სურამში.
- 1829 17 მარტი**
ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად ჩადის თბილისში, რომ შემდეგ გადავიდეს მუხროვანში.
- 1829 17 მარტის შემდეგ**
ქართველ გრენადერთა ბრიგადასთან ერთად იმყოფება მუხროვანში და წერს თავისი ბიძაშვილის – ანტონ ორბელიანისთვის მიძღვნილ ლექსს „რჩევა ან...დმი“.
- 1829 21 აპრილი**
ახალციხის აღებისას გამოჩენილი თავდადებისთვის ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით.

- 1829 7 მაისი**
წერს ორ თითოსტროფიან ლექსს სათაურებით „ნ... დმი“ („როს გხედავ, მნათო...“) და „მასვე“ („ამა სოფელს დამშთომიეს...“), რომლებსაც უძღვნის თავის უიმედო სატრფოს, ახალდაქვრივებულ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას.
- 1829 31 მაისი-1 ივნისი**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად, მიემართება ქალაქ ყარსისკენ.
- 1829 19-20 ივნისი**
გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის მეთაურობით ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად ორ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვებს ანატოლიაში.
- 1829 21 ივნისი**
გენერალ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად ბრძოლით იღებს ქალაქ არზრუმს.
- 1829 22 ივლისი**
წინანდალშია და წერს ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს („წინანდლის ვარდო...“).
- 1829 24 ივლისი**
თბილისის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, გადაჰყავთ კახეთის სასაზღვრო ოლქის სამხედრო დანაყოფში გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან.
- 1829 26 ივლისი**
გენერალ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად, მიემართება ბაიბურთისკენ, სადაც გამაგრებულია თურქების სარდალი ოსმან-ფაშა.
- 1829 27 ივლისი**
გენერალ ივან პასკევიჩის საერთო სარდლობით, ქართველ გრენადერთა პოლკის მეომრებთან ერთად იღებს თურქეთის სიმაგრე ჰორტს, სადაც ოსმალების გარდა გამაგრებული იყო ლაზების მრავალრიცხოვანი რაზმი.
- 1829 2 სექტემბერი**
იღებს ნათესავისა და მეგობრის – დავით იოანეს ძე ორბელიანის წერილს. ადრესანტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის არისტოკრატიას გასართობი ადგილი არ გააჩნია. სწერს, რომ ზოგჯერ მათი ახლობლის – მაია ორბელიან-თუმანიშვილისა და მისი ქმრის – გიორგი თუმანიშვილის ოჯახში იკრიბებიან და ლოტოს თამაშობენ. აცნობებს, რომ მათ ვაჟი შეეძინათ.
- 1829** საგანგებო მინდობილობით მსახურობს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომელიც ასრულებს კახეთის სასაზღვრო ჯარების სარდლის მოვალეობას.

- 1829 ნინოწმიდაშია და აკეთებს დღიურის ტიპის ჩანაწერს, რომელშიც გადმოსცემს თავის განცდებს სიჭაბუკის წარმავლობის შესახებ („ზამთრისა ქარი გრიალებს“...).
- 1829 წერს ლექსს „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“...).
- 1830 **21 იანვრის შემდეგ**
თავისი ნათესავის – დავით ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ, მისგან მიღებულ 1829 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ წერილზე აწერს მისდამი მიძღვნილ უსათაურო ლექსს („ორ გვამთა ტრფობა...“).
- 1830 **26 თებერვალი**
წერს ნარკვევს ლექების შესახებ, რომელშიც საუბრობს მათ წარმომავლობაზე, განსახლებასა და დემოგრაფიულ ვითერბაზე.
- 1830 **3 ივნისი**
იმყოფება მუხროვანში და თარგმნის რუსი მწერლის – ვასილი ჟუკოვსკის უსათაურო ლექსს („ჰოი, სოფელო, რად ხარ ესრედ...“)
- 1830 **ივლისი**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, წერილს, რომლითაც შეიტყობს, რომ თბილისში ქუნთრუმის ეპიდემიის გავრცელების გამო მისი უმცროსი ძმა, ილია, სოფელში გაგზავნეს.
- 1830 **16 სექტემბერი**
ბრუნდება ქართველ გრენადერთა პოლკში.
- 1830 **15 ოქტომბერი**
ქართველ გრენადერთა დანაყოფთან ერთად დგას სოფელ ძველი გავაზის სიახლოვეს და იგერიებს ლექების შემოტევას.
- 1830 **ნოემბრამდე**
მოკითხვის წერილს იღებს თავისი ძმის, ილიასგან.
- 1830 **1 ნოემბერი**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის წერილს. ადრესანტი საყვედურობს, რომ ამბებს არ აგებინებს. უკმაყოფილებას გამოთქვამს სიძის – მელიტონ ბარათაშვილის გამო, რომელიც რაღაცებს ჰპირდება და არ ასრულებს. აცნობებს, რომ მისმა ძმამ, ილიამ გამოცდები ჩააბარა და მეოთხე კლასში გადავიდა.
- 1830 **4 ნოემბერი**
ქართველ გრენადერთა პოლკთან ერთად ჩადის ზაქათალის მისადგომებთან, რომ შეუერთდეს გენერალ სტეფან სტრეკალოვის დანაყოფს.
- 1830 **7 ნოემბერი**
იმყოფება ზაქათალაში და რედაქტირებას უკეთებს ლექსს „ნ...დმი“ („მნათობო, თვით შენ...“) რომელიც ეძღვნება ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას.

- 1830 9 ნოემბერი**
იმყოფება ზაქათალაში, ჯინგიზოღლის კომპში და წერს რუსი პოეტის – ალექსანდრ პუშკინის ლექსის - „ლხინი“ („Веселый пир“) მიბაძვას.
- 1830 27 ნოემბერი**
გენერალ სტეფან სტრეკალოვის მეთაურობით მონაწილეობს ზაქათალის აღებაში.
- 1831 დასაწყისი**
მიდისგიორგი დავითისძეერისთავთან, რომელიც მასუმხელს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების განზრახვას.
- 1831 დასაწყისი**
ელიზბარ ერისთავთან ერთად სტუმრად არის ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ოჯახში. ელიზბარი ესაუბრება რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაზე. გრიგოლი განუხორციელებლად მიიჩნევს ამ განზრახვას, მაგრამ, როდესაც ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, ვინმეს ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის შეეტყობინებინა მათი ჩანაფიქრის შესახებ და გაეგო მისი აზრი, გრიგოლი სთავაზობს, რომ ამას თავად გააკეთებს.
- 1831 დასაწყისი**
ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის დავალებით რამდენჯერმე მიდის ალექსანდრე ჭავჭავაძესთან შეთქმულების განზრახვის გასამხელად, მაგრამ იმის გამო, რომ მასპინძელი მარტო არ არის, ვერ ახერხებს მასთან საუბარს.
- 1831 17 თებერვლამდე**
რამაზ ანდრონიკაშვილს უთვლის, რომ ფოსტით გაუგზავნოს მისი სერთუკი.
- 1831 12 აპრილი**
კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ ივან სიმონიჩის ბრძანებით, სამხედრო სამსახურისთვის გზავნიან ქართველ გრენადერთა პოლკში მაიორ აპოლონ სივრიჩთან.
- 1831 12 აპრილი**
წერილს იღებს ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურის – ივან სიმონიჩისაგან, რომელიც დარიგებებს აძლევს, როგორ მოამზადოს პეტერბურგში გამგზავრებამდე სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცები.
- 1831 14 აპრილი**
ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსს – ალექსანდრე დადიანს წერილობით სთხოვს, მიაწოდოს ინფორმაცია სანიმუშო ქვეით პოლკში გასაგზავნად შერჩეული ჯარისკაცებისთვის საგანგებოდ შეკერილი სამოსლის შესახებ.
- 1831 15 აპრილი**
ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსს – ალექსანდრე დადიანს წერილობით ატყობინებს, რომ საჭიროა ადრესატის დანაყოფიდან სანიმუშო ქვეით პოლკში გადასაყვანად შერჩეული ჯარისკაცებისთვის ახალი შეიარაღებით უზრუნველყოფა.

- 1831 20 აპრილი**
ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსი – ალექსანდრე დადიანი ატყობინებს სანიმუშო ქვეით პოლკში გასაგზავნად შერჩეული ჯარისკაცებისთვის შეკერილი სამოსლის სტანდარტებს.
- 1831 30 აპრილი**
კავკასიის სამხედრო კორპუსის საველე სასურსათო კომისიას მიმართავს თხოვნით, რომ გამოყონ საკვების ფული სანიმუშო ქვეით პოლკში გასაგზავნად სხვადასხვა დანაყოფიდან შერჩეული ჯარისკაცებისათვის.
- 1831 7 მაისი**
ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსი – ალექსანდრე დადიანი მანგლისიდან აცნობებს მისი დანაყოფიდან სანიმუშო ქვეით პოლკში გადასაყვანად შერჩეული ჯარისკაცებისთვის ახალი შეიარაღების მიწოდების შესახებ. წერილს ერთვის აღჭურვილობის ჩამონათვალი.
- 1831 14 მაისი**
კავკასიის სამხედრო კორპუსის საველე სასურსათო კომისიიდან აცნობებენ, რომ არ შეუძლიათ გამოყონ საკვების თანხა სანიმუშო ქვეით პოლკში გასაგზავნად სხვადასხვა დანაყოფიდან შერჩეული ჯარისკაცებისათვის.
- 1831 გაზაფხული**
ალექსანდრე ორბელიანთან ერთად სტუმრობს ელიზბარ ერისთავს, სადაც მასპინძელი შეთქმულებაზე ესაუბრება.
- 1931 1 ივნისი**
ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსი – ალექსანდრე დადიანი მანგლისიდან სწერს, რომ, თუ მისი პოლკიდან შერჩეული 15 ჯარისკაციდან რომელიმე არ ჩაირიცხება სანიმუშო ქვეით პოლკში, გაგზავნოს უკანვე, ერევნის დანაყოფში და დააბრუნოს თანხა, რომელიც ამ ჯარისკაცის გამგზავრების ხარჯებისთვის იყო გამოყოფილი.
- 1831 9 ივნისამდე**
ელიზბარ ერისთავს სურს, გრიგოლ ორბელიანს პეტერბურგში მყოფ დიმიტრი ბაგრატიონთან წერილი გაატანოს და შეატყობინოს შეთქმულთა განზრახვის შესახებ, მაგრამ გრიგოლი შიშობს, რომ ხანგრძლივი მგზავრობის დროს შეიძლება წერილი დაკარგოს და ჰპირდება, რომ სიტყვიერად გადასცემს ბატონიშვილს მათი განზრახვის შესახებ.
- 1831 9 ივნისამდე**
გრიგოლ ორბელიანთან სტუმრად არიან ალექსანდრე და ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანები, ელიზბარ და გიორგი ერისთავები. ისინი კითხულობენ თავიანთ საყვარელ ლექსებს. გრიგოლ ორბელიანს მოსწონს ერთ-ერთი მათგანის მიერ წაკითხული კონდრატ რილევის „ნალივაიკოს აღსარება“. ვახტანგ ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი ზეპირად იხსენებენ და უწერენ ამ ლექსის ტექსტს, გრიგოლი კი რამდენიმე დღეში თარგმნის.

1831 9 ივნისამდე

1825 წლის დეკემბერში რუსეთში მომხდარი ამბოხების ხელმძღვანელობისთვის სიკვდილით დასჯილი რუსი პოეტის – კონდრატ რილეევის ლექსის, „ნალივაიკოს აღსარების“ ფანქრით ნაწერ თარგმანს აკითხებს გიორგი დავითის ძე ერისთავს და სთხოვს დაეხმაროს სათაურის შერჩევაში. ერისთავი სთავაზობს, ლექსს უწოდოს უკრაინელი კაზაკის – სევერინ ნალივაიკოს მსგავსი ისტორიის მქონე ქართველის – „გივი ამილახვრის აღსარება“. კონსპირაციისთვის გრიგოლი თარგმანს სათაურად უბრალოდ აწერს „აღსარება“ და ავტორად უთითებს „ბესიკს“, თითქოს იგი ბესარიონ გაბაშვილს დაეწეროს.

1831 9 ივნისამდე

მასთან სტუმრად არიან ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი. გრიგოლი კითხულობს კონდრატ რილეევის ლექსის - „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანს, რომელიც სტუმრებს ძალიან მოსწონთ. გრიგოლი ტექსტს ელიზბარ ერისთავს, ის კი სოლომონ დოდაშვილს გადასცემს.

1831 9 ივნისამდე

მის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ლექსის, „ნალივაიკოს აღსარების“, ტექსტს ელიზბარ ერისთავის მამას – შანშეს უკითხავს.

1831 9 ივნისი

გენერალ ნიკიტა პანკრატიევის ბრძანებით, თბილისიდან მიემგზავრება პეტერბურგში, კავკასიის კორპუსიდან საგანგებო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცების ნოვგოროდში ჩასაყვანად. აცილებენ მეგობრები. შედის სვეტიცხოველში და ემშვიდობება მეფე ერეკლესა და სხვა სახელოვან წინაპართა საფლავებს. აღწერს სამშობლოსთან განშორებით გამოწვეულ განცდებს. მცხეთაში ჩასვლისას წერილს იღებს ძმის, ზაქარიასგან, რომელიც იბრძვის ამბოხებული პოლონელების წინააღმდეგ. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 10 ივნისი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად არაგვის ხეობით გადადის დუშეთში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 11 ივნისი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ღამეს ათევს დუშეთში. აღწერს ჯიმშერ არაგვის ერისთავის აშენებულ გალავანს, რომელიც ოთხი მხრიდან აქვს შემოვლებული დასახლებას და რომლის შიგნითაც ლაზარეთია მოწყობილი. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ და იხსენებს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების შემდეგ ერეკლე II-ის დუშეთში ასვლას იქ გახიზნულ დარეჯან დედოფალთან.

- 1831 12 ივნისი**
ანანურის ციხეში მოილოცავს ბარძიმ მდივანბეგის მიერ აშენებულ ღვთისმშობლის ეკლესიას და გზას განაგრძობს. შებინდებისას, ბუნების სილამაზით დატყვევებული, ჩამოქვეითდება და ფეხით ადის ფასანაურამდე, სადაც დგას რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფი. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 13 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ქვეშეთში, არაგვზე გადადის ხის ხიდით და მიდის კაიშაურამდე. ბუნების მშვენიერებით დატყვევებული მუხლებზე ეცემა და უხმოდ ლოცულობს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 14 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩერდება სოფელ კაიშაურში, სადაც განთავსებულია რუსეთის არმიის ქვედანაყოფი. არაგვს გაღმა ხედავს ლომისის ტაძარს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 15 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ადის ჯვრის უღელტეხილზე. უკან მოიხედავს, თვალს გადაავლებს საქართველოს, ბოლო ჭიქა ღვინით სვამს მის სადღეგრძელოს და განშორების მძიმე განცდით გადადის სოფელ კობში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 16 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ადის სოფელ სიონში. მოილოცავს ადგილობრივ ტაძარს და შემდეგ გადადის ყაზბეგში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 17 ივნისი**
სოფელ ლარსისკენ მიმავალ გზაზე ნახულობს რუსი სამხედროების პოსტს, სადაც მათი დიდი ქვედანაყოფია განთავსებული. ლარსში ხვდება პეტერბურგიდან თბილისში მიმავალ ნაცნობებს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 18 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად გადადის ქალაქ ვლადიკავკაზში. უკვირს, 1796 წელს როგორ გამოიარა ეს ვიწრო ხეობა რუსეთის ჯარმა, რომელიც ირანთან დაპირისპირებით ცდილობდა კავკასიაში თავისი გავლენის გამყარებას. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 19 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩერდება ქალაქ ვლადიკავკაზში, სადაც განთავსებულია ადგილობრივი გარნიზონის შტაბი. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ. წერს, როგორ აღკვეთა იქაურმა კომენდანტმა – ივანე აფხაზმა ადგილობრივ ავაზაკთა მიერ პირუტყვის გატაცება და მგზავრთა ძარცვა.

- 1831 20 ივნისი**
სადილად არის ივანე აფხაზთან და იგებს, რომ წყალს მდინარეზე ხიდები გაუფუჭებია და გზას ვერ გააგრძელებენ. ის და ოფიცერი ალექსანდრე საგინაშვილი მსახურ ბიჭს წერილებს ატანენ თბილისში ახლობლებთან. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 21 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად გადადის სოფელ პატარა არდონის ციხესიმაგრეში, სადაც დგას რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფი, ოთხი ზარბაზნით. მდინარეზე გადასვლისას „პოვოზკა“ გადატრიალდება და ბარგი უსველდება. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 22 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად დურდურის სიმაგრის გავლით, სადაც დგას რუსეთის არმიის რვა ზარბაზანი, გადადის ურუხის სიმაგრეში, სადაც, ასევე, იმპერიის სამხედრო ქვედანაყოფია. ხვდება გენერალ ივანე აფხაზს და ღია ცის ქვეშ საუბრობენ საქართველოზე. მისი თანამოსაუბრე ახასიათებს ქართველთა ზნეობას, აქებს გიორგი მეფის გონიერებას და გამბედაობას. გრიგოლი დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 23 ივნისი**
დაზიანებული ხიდის გამო იძულებულები არიან, ფონი მოძებნონ და მდინარეზე ისე გადავიდნენ. ისევ ამოუბრუნდება „პოვოზკა“. ჩერქეზების სოფელთან დაუბნელდებათ და საშინელ წვიმაში ათევენ ღამეს.
- 1831 24 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად მიდის ქალაქ ეკატერინოგრადში, სადაც იმ დროს კარანტინია ქოლერის გამო. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 25 ივნისი**
კარანტინის გამო მას და მის მხლებლებს სთხოვენ, რომ ტანისამოსი გაიხადონ და ჩააბარონ ორთქლში გასატარებლად. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 26-29 ივნისი**
დღიურში აკეთებს ვრცელ ჩანაწერებს ყაბარდოელების ზნე-ხასიათის, ქალისადმი პატივისცემის, სისხლის ალების, ხარკის ალების, ქორწინების წესების, სტუმართმოყვარეობისა და თავისუფლების სიყვარულის შესახებ.
- 1831 30 ივნისი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ეკატერინოგრადიდან მიემართება ე. წ. „ჯარისკაცების სოფლისკენ“. გაივლიან უზარმაზარ მინდორს, სადაც მოხდა დიდი შეტაკება მონღოლთა სარდალ თემურ ლენგსა და ჩინგის-ხანის შთამომავალ – „ოქროს ურდოს“ მბრძანებელ თოხთამიშს შორის. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 1 ივლისი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ალექსანდროვკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 2 ივლისი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად რჩება ალექსანდროვკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 3 ივლისი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ საბლაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 4 ივლისი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის დაბა ნოვოსერგიევკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 5 ივლისი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის ქალაქ სტავროპოლში, სადაც იღებს კავკასიის სამხედრო ხაზის მეთაურის, კავალერიის გენერალ გიორგი ემანუელის, ბრძანებას, რომ იქ 16 ივლისამდე უნდა დარჩეს. უკვირს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის შემორჩენილი არცერთი ადრეული შენობა-ნაგებობა და ამას ჩინგიზ-ყაენის შემოსევას მიაწერს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 6-10 ივლისი**
 გაჩერებულია ქალაქ სტავროპოლში. დღიურში აკეთებს ვრცელ ჩანაწერებს ამ ქალაქის შესახებ.
- 1831 11 ივლისი**
 ესწრება წირვას. შემდეგ სადილად იწვევს მაიორი აპოლონ სივრიჩი და კახური ღვინით უმასპინძლდება. აღტაცებულია ამ რუსი ოფიცრის დამოკიდებულებით საქართველოსადმი, რადგან სხვა რუსები, საქართველოში გამდიდრებულები და სახელმძღვანელოები, ჩვენს ქვეყანას წყევლითა და კიცხვით ტოვებდნენ, ის კი სამართლიანი და მადლიერია. მაიორი ამბობს, რომ 14 წელი იცხოვრა საქართველოში, ძალიან კარგად იცნობს აქაურობას და სჯერა, რომ 20 წელიწადში იგი იტალიას დაემსგავსება. სადამოს მიწვეულები არიან კაპიტან ალექსანდრ ფრიდერიქსთან, რომელთანაც შეიტყობენ, რომ პეტერბურგში ქოლერიით გარდაიცვალნენ უფლისწული კონსტანტინე პავლეს ძე რომანოვი და ფელდმარშალი ივან დიბიჩი; გრიგოლ ორბელიანი დიასახლისის ალბომში ნახულობს ანტონ ყარაშვილის დაწერილ ქართულ ლექსებს და რუსულად უთარგმნის მასპინძლებს.
- 1831 12 ივლისი**
 დასაბანაკებლად უშვებენ სოფელ დუბოვკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 13-17 ივლისი

სოფელ დუბოვკაში მარტოობით მოიწყენს და ბრუნდება სტავროპოლში. იგებს, რომ პეტერბურგის გზაზე ქოლერა მძვინვარებს და სვლას ვერ გააგრძელებენ. ეპიდემია ნაკლები ძალით, მაგრამ შეინიშნება სტავროპოლშიც. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღეების მოვლენათა შესახებ.

1831 3 აგვისტო

ხვდება სტავროპოლში ჩასულ ივანე აფხაზს, რომელიც გრაფ ივან პასკევიჩის არმიაში ირიცხება და მიდის პოლონელების წინააღმდეგ საბრძოლველად. საუბრობენ იმ ქართველების მდგომარეობაზე, რომლებმაც დაკარგეს მამულის სიყვარული და რომლებიც მონობამ სულით დაამდაბლა. ივანე აფხაზი ნატრობს, რომ რუსებმა არ მიატოვეს საქართველო, რომელიც ასეთ შემთხვევაში შიდა განხეთქილებისა და მტრებისგან განადგურდება; გრიგოლი პასუხობს, რომ, თუ რუსები ქვეყანას დატოვებენ, საქართველო იმ დროისთვის ისეთი გაძლიერებული იქნება, დამოუკიდებლად შეძლებს საზღვრების დაცვას. ივანე აფხაზი ფიქრობს, რომ, ქართველები ერეკლე მეფის დროს მხნედ იბრძოდნენ, მაგრამ დრო შეიცვალა, ქვეყანა დანაწევრდა და ისინი რეგულარული ჯარის გარეშე ვერაფერს გახდებიან; გრიგოლს სჯერა, რომ ჯარი ადვილად შეიქმნება, რადგან ქართველები ვაჟკაცობითა და სამშობლოს სიყვარულით გამოირჩევიან. მისი აზრით, ყიზილბაშები და ოსმალოები ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას აღარ მოინდომებენ, რადგან მიხვდნენ, რომ, მათი შემოსევების გამო, საქართველო რუსეთს დაუახლოვდა და ასეთი ძლიერი ქვეყანა დაუმეზობლა. იმედოვნებს, რომ რუსების მიერ საქართველოს დატოვების შემთხვევაში ერს ძლიერი მმართველები ეყოლება და დამოუკიდებლად შეძლებს არსებობას.

1831 3 აგვისტოს შემდეგ

დღიურში ვრცლად იწერს სტავროპოლში თავად ივანე აფხაზთან შეხვედრისა და მასთან საუბრის დეტალებს.

1831 4 აგვისტო

წერილს ატანს ივანე აფხაზს ძმასთან – ზაქარიასთან პოლონეთში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 5 აგვისტო

სტუმრად მიდის მასზე ბავშვობაში დანიშნული სოფიო ორბელიანის მამინაცვალთან – გრაფ ივან სიმონიჩთან, რომელსაც ძალიან უხარია მისი ნახვა. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 6 აგვისტო

ესწრება ფერისცვალების სადღესასწაულო წირვას. საღამოს ატარებს თეოდორ გელშერტთან ერთად. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 7 აგვისტო

გრაფი ივან სიმონიჩი პატიჟებს გამოსამშვიდობებელ სადილზე და შემდეგ მიდის პეტერბურგისკენ.

- 1831 8 აგვისტო**
სტავროპოლიდან თბილისში წერილს უგზავნის სიმეონ მელიტონ ბარათაშვილს.
- 1831 10 აგვისტო**
პოდპოლკოვნიკი პავლე ტიმერმანი უგზავნის პორუჩიკის წოდების დამადასტურებელ დოკუმენტებს.
- 1831 20 აგვისტო**
მანგლისიდან იღებს ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსის – ალექსანდრე დადიანის წერილს ჯარისკაცთა ჩაცმულობასთან დაკავშირებით.
- 1831 24 აგვისტო**
იღებს მეგობრის – დავით ყორღანოვის წერილს, რომლიდანაც იგებს თავისი ძმების კარგად ყოფნის ამბავს.
- 1831 29 აგვისტო**
ემშვიდობება ზაქარია სულხანიშვილსა და სვიმონ შალიკაშვილს, რომლებთან ერთადაც გაატარა კარანტინის ერთი თვე.
- 1831 30 აგვისტო**
ხვდება პეტერბურგიდან საქართველოში მიმავალ კონსტანტინე შარვაშიძეს, უამბობს იქაურ ამბებს და თბილისში ატანს წერილებს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 1 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად მიემგზავრება სტავროპოლიდან და სოფელ მოსკოვსკოეს გავლით ჩადის დონსკოეში. გზად ხვდება საქართველოში მიმავალი პოდპოლკოვნიკ პავლე ტიმერმანის მეუღლე. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 2 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ ბეზოპასნოეს გავლით ჩადის პრეგრადნაიაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 3 სექტემბრამდე**
წერილს სწერს თავის დისწულს – ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეკითხება, ხომ არ გაუგზავნოს საწერი საშუალებები.
- 1831 3 სექტემბერი**
იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილის, წერილს. იგებს, რომ მისი თხოვნა შეასრულა, გირაოს სანაცვლოდ აიღო 20 ათასი მანეთი და 28 აგვისტოს გაუგზავნა.

- 1831 3 სექტემბერი**
წერილს იღებს დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან, რომელიც მოიკითხავს, წარმატებებს უსურვებს და ატყობინებს, რომ დიდად მადლიერი დარჩება თუ საწერ საშუალებებს გაუგზავნის.
- 1831 3 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ე. წ. „დათვის ჭის“ წყაროს გავლით ჩადის სოფელ ლეტნიკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 4 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად კოპანის გავლით ჩადის სოფელ ეგორლიკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 5 სექტემბერი**
ათვალიერებს ეგორლიკის ეკლესიას და გადადის მეჩეთის სოფელში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 6 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ კაგალნიკში. არ ხვდება მზად ურმები და რჩება ღამით. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 7 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად კაზაკების სოფლის გავლით ჩადის სოფელ აქსაიში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 8 სექტემბერი**
ესწრება წირვას და შემდეგ ჩადის ქალაქ ნოვოჩერკასკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ადგილობრივთა გარეგნობისა და ჩაცმულობის შესახებ.
- 1831 9 სექტემბერი**
ათვალიერებს ქალაქ ნოვოჩერკასკს, სადაც დონის კაზაკთა ატამანის მიერ ჩერკასკიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ქალაქის შესახებ.
- 1831 10 სექტემბერი**
ათვალიერებს კაზაკთა ატამანის საფლავს და ჩადის სოფელ ბობრიკოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 11 სექტემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ ლიხოეს გავლით ჩადის კამენსკოეში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 12 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ასტახოვში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 13 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ სვინოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 14 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქვემო ლაზოვიეს გავლით ჩადის სესტრაკოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 15 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სუხოლოდის პოსტის და ყაზანსკის გავლით ჩადის სოფელ დედოვოში. მდინარეზე ბორნით გადასვლის დროს „პოვოზკა“ გადაუბრუნდება და მკლავს დაიზიანებს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 16 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩერდება სოფელ დედოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ადგილობრივთა ჩვეულებებისა და ჩაცმულობის შესახებ.
- 1831 17 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ შიჩოვის გავლით ჩადის სოფელ მამონში. გზად გადაუბრუნდება „პოვოზკა“, ფეხები თოკებში გაებლანდება და ცხენები ათრევენ; გადაარჩენენ ჯარისკაცები, მაგრამ მთელი სხეული დაჟეჟილი აქვს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 18 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად კოზინის საფოსტო სადგურის გავლით ჩადის ქალაქ პავლოვსკში, სადაც ოთხი ტამარია. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 19 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ლოსევოში და მოსკოვის გაზეთებიდან იგებს რუსეთის ჯარების მიერ ვარშავის აღების ამბავს. ამის შემდეგ გადადიან სოფელ შესტაკოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 20 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქვემო იკორეცის გავლით ჩადის მოჟაისკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 21 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ ბალაჩოვკაში იცვლის ურმებს და უსმანის გავლით ჩადის ვორონეჟში. გრიგოლ ორბელიანი მაიორ აპოლონ სივრიჩთან თამაშობს ბილიარდს. იმავე საღამოს გადადიან სოფელ ჟივოტინოში, რომელიც ტყეში მდებარეობს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 22 სექტემბერი**
 წვიმს, ურმები მზად არ არის და რჩება ჟივოტინოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 23 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ ხლევენოეს გავლით ჩადის ქალაქ ზადონსკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 24 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქ ხმელინეცისა და ივლეევკას გავლით ჩადის ქალაქ ელეცში. ადგილობრივი პოლიცემისტერი პატიჟებს ვახშმად, რომელზეც მისი ცოლი ქართულ სიმღერებს უმღერის. გრიგოლი ალბომში უწერს ორ ლექსს: „როს გარდაშლიდე, / მეც დამხედავდე, / გაიღიმებდე, / მომიგონებდე“ და „მარამა ვამე, თუ ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა, / რომ არღა მოგაგონდები მეორეს გარდაშლამდისა“. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 25 სექტემბერი**
 სოფელ ნიკოლაევკაში ცვლიან ურმებს და ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქ ევრემოვის გავლით ჩადის სოფელ დიდ პლოტში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 26 სექტემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქების: ნიკიტინსკისა და ბოგოროდიცკის გავლით ჩადის ტულაში, სადაც სამ დღეს დაჰყოფს სასტუმროში. დღიურში ვრცლად აღწერს იქაური ქალების ჩაცმულობას, წვეულებისა და ქორწინების ჩვეულებებს.
- 1831 26 სექტემბერი**
 იმყოფება ტულაში და სათაურით „დ. ყორ...“ თავის მეგობარს – დავით ყორღანოვს უძღვნის ლექსს („შენი წიგნი ასე მატკობს...“).
- 1831 30 სექტემბრის შემდეგ**
 ნოვგოროდშია და თბილისიდან იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილისა, და დის, ეფემიას, წერილს. მელიტონი სთხოვს, რომ თავს გაუფრთხილდეს, შიმშილისა და სიცივის გამო ავად არ გახდეს. აცნობებს, რომ მისი გირაოს საქმე დაასრულა, დააფასებინა 20 ათას მანეთად და მოწმობასაც აიღებს. ეფემია სთხოვს, გაარკვიოს, რა ეღირება მისთვის მოსამსახურე გოგოს აყვანა და ჰპირდება, რომ თავის თავზე იღებს თანხის გადახდას.

- 1831 1 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქ სერპუხოვის გავლით ჩადის ქალაქ ლოპასნაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 2 ოქტომბერი**
 ჩადის ქალაქ პოდოლსკში და ელოდება ქალაქ სერპუხოვში დარჩენილ ჯარისკაცებს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 3 ოქტომბერი**
 უკან დაბრუნებას აპირებს, რადგან სერპუხოვში დარჩენილ ჯარისკაცებს გლეხები ურმებს არ აძლევენ, მაგრამ პრობლემა გვარდება; ლოპასნაში ხვდება მათ და გზას აგრძელებენ. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 4 ოქტომბერი**
 მოსკოვის ოლქის ქალაქ ლოპასნიდან გამოსულებს გზაში ამინდი უფუჭდებათ და ქარბუქში ძლივს გადაადგილდებიან. ღამეს ათევენ ახლომდებარე სოფელში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 5 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად დიდი ციგებით ჩადის მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 6 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ დანილოვკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 8 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის მოსკოვში. ეძებს საქართველოდან ჩასულ ადამიანს, რომელიც შეძლებს, მისაწავლოს ბატონიშვილების სასახლე. ნაცნობ ოფიცერს მიჰყავს სომეხ ვაჭრებთან, მაგრამ შინ არ ხვდებიან. საღამოს მიდის დიდ თეატრში, სადაც იმართება სამი წარმოდგენა: მოცეკვავე დარია ლაპუხინა-რიშარის ბენეფისი ჟან-ანრი-ფერდინანდ ლამარტელიერის ისტორიულ ბალეტში „თავისუფალნი მსაჯულნი, ანუ ბარბაროსობის დრონი“, ეჟენ სკრიბის ვოდევილი „პირველი სიყვარული“ და ლუი მილონის ბალეტი პანტომიმა „ნინა, ანუ სიყვარულით გაგიჟებული“. თეატრში ხვდება ოქროპირ ბატონიშვილს, რომელიც თავისთან იწვევს. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 10 ოქტომბერი**
 ოქროპირ ბატონიშვილი შინ არ ხვდება და მიდის გიორგი ავალიშვილთან, რომელთანაც ნახავს დავით ჭავჭავაძეს და იქვე რჩება სადილად. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 11 ოქტომბერი

მიდის დონის მონასტერში თავისი ნათლიის – არქიმანდრიტ ათანასე პეტრიაშვილის სანახავად, მაგრამ იგი იმ დღეს წირვას ატარებს და ერთმანეთს ვერ ხვდებიან; სადილად ეწვევა გიორგი ავალიშვილს და ისინი ერთად სტუმრობენ ოქროპირ ბატონიშვილს, შემდეგ კი მიდიან ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალთან, იმჟამად შეუძლოდ მყოფ მარიამ ციციშვილ-ბაგრატიონთან. იქ გრიგოლ ორბელიანი გაიცნობს ირაკლი ბატონიშვილს; სადამოს ესტატე თარხნიშვილსა და ვახტანგ ციციშვილთან ერთად დიდ თეატრში ესწრება ვიქტორ დიუკანჟისა და დინოს დრამას „ქალაქის მოთამაშის ცხოვრება“ პავლე მოჩალოვის მონაწილეობით. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 12 ოქტომბერი

მიდის კრემლში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის გამოსვლის ცერემონიალის სანახავად. აღწერს ხალხის აღფრთოვანებულ შემახილებს იმპერატორის ყოველ გამოჩენაზე. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 12 ოქტომბერი

მაიორ აპოლონ სივრიჩისგან მოსკოვიდან იღებს შეტყობინებას სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცებისთვის სურსათისა და გადაადგილების თანხის გამოყოფის შესახებ. სწერს, რომ მივიდეს დანიშნულ ადგილას და თანხა აიღოს.

1831 13 ოქტომბერი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცები მიდიან ტვერის საგუშაგოსკენ, გრიგოლ ორბელიანი კი სამსახურებრივი საქმეების გამო რჩება მოსკოვში. ის ნახულობს არქიმანდრიტ ათანასე პეტრიაშვილს და სადილობს ოქროპირ ბატონიშვილთან. ცუდი ამინდის გამო თავის ნაწილში აღარ მიდის და ღამეს ათევს გიორგი ავალიშვილთან. საუბრობენ საქართველოზე, ერეკლე მეორესა და დიმიტრი ბაგრატიონის ლექსებზე. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ. ვრცლად აღწერს მოსკოვის სანახაობებს - იოანე დიდის სამრეკლოს, მიძინების ტაძარს, იარაღის პალატას და წითელ მოედანს.

1831 14 ოქტომბერი

გიორგი ავალიშვილი აცილებს ტვერის საგუშაგომდე, შემდეგ კი მარტო ჩადის სოფელ სოლნეჩნაია გორაში. დღიურში აკეთებს ვრცელ ჩანაწერებს მოსკოვის შესახებ.

1831 15 ოქტომბერი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქ კლინის გავლით ჩადის ზავიდოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

1831 16 ოქტომბერი

ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ გოროდნაში და რჩება ღამით. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 17 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის ქალაქ ტვერში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 18 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ მედნოეში. მასთან სტუმრად მისულ მაიორ კოროტკოვთან საუბრობს მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვზე, მთავარსარდალ ივან პასკევიჩსა და პოლონეთის ომზე. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 19 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის ქალაქ ტორჟოკში, სადაც ხვდება პეტერბურგიდან მიმავალი ივანე ყორღანოვი მეუღლით. შემდეგ მიდის სოფელ ბუდოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 20 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფლების - ვიდროპუჟსკისა და ნიკოლაევის გავლით ჩადის ქალაქ ვიშნი ვოლოჩოკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 21 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ ხოტილოვოს გავლით ჩადის ედროვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 22 ოქტომბერი**
 სოფელ ზაიმნეგორიეში ცვლიან ურმებს და ქალაქ ვალდაის გავლით ჩადის იაჟელბიცში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 23 ოქტომბერი**
 სოფელ რახინოში ცვლიან ურმებს და ჩადიან კრესტცში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 24 ოქტომბერი**
 სოფელ ზაიცოვოში სადილობს სასტუმროში და შემდეგ, სოფელ ბრონნიცას გავლით, ღამით ჩადის ნოვგოროდში. დღიურში იწერს, რომ ნოვგოროდის ნახვისას თვალწინ წარმოუდგა მისი დიდება დამოუკიდებელ რესპუბლიკად არსებობის ჟამს. წუხილს გამოთქვამს, რომ რკინის ხელმა შეიპყრო და განაქარვა ეს სიდიადე.
- 1831 25 ოქტომბერი**
 სოფლის ტამარში ესწრება წირვას. საღვთო მსახურების შემდეგ პარაკლისის გადასახდელად იქ მიდის რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე – ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რომანოვი. გრიგოლ ორბელიანი დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 26 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად მდინარე ვოლხოვზე გემით მიემგზავრება პეტერბურგისკენ. იმდენად მოსწონს წყლით გადაადგილება, რომ, როდესაც სოსნიცკის ნავსადგურში დროებით ჩერდებიან, გემზე რჩება და დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ. ვრცლად აღწერს საზღვაო ოფიცრის ნაამბობს იმავე წლის ივლისში მომხდარი აჯანყების შესახებ, რომლის დროსაც მეამბოხეებმა ას ექვსი ოფიცერი და სამი გენერალი დახოცეს.
- 1831 27 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ჩუდოვოში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 28 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ პომერანიეში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 29 ოქტომბერი**
 გრიგოლის ძმა, ზაქარია ორბელიანი დედას ხორემან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისას უგზავნის ბარათს, რომელშიც სწერს გრაფ ივან სიმონიჩისა და გრიგოლის პეტერბურგში მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ. ინტერესდება, რატომ არ მოჰყავს გრიგოლს ცოლად გრაფის გერი, სოფიო ორბელიანი, რომელზეც ბავშვობიდან იყო დანიშნული.
- 1831 29 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ტოსნოს გავლით ჩადის სოფელ იჟორაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 30 ოქტომბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ისვენებს სოფელ იჟორაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 31 ოქტომბერი**
 პეტერბურგიდან დილაადრიან აცნობებენ, რომ გრაფი ივან სიმონიჩი იმ დღეს სადილად მიდის თეიმურაზ ბატონიშვილთან ცარსკოე სელოში და მასაც იწვევენ.
- 1831 1 ნოემბერი**
 ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად კრასნოე სელოს გავლით ჩადის პავლოვსკში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.

- 1831 1 ნოემბერი**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ოჯახში კარგად არიან. სთხოვს, ხშირად ესტუმროს მოსკოვში მცხოვრებ ნათესავებს - ბატონიშვილებსა და მარიამ დედოფალს და მათი კეთილგანწყობა დაიმსახუროს. ავალებს, რომ ასევე მოინახულოს იქ მყოფი გიორგი ჭილაშვილი და სთხოვს მათი ოჯახისთვის ყურადღების მიქცევა.
- 1831 2 ნოემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად შუაღამისას ჩადის ორანიენბაუმში, სადაც მდებარეობს მათი შტაბი. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 3 ნოემბერი**
ირიცხება ნოვგოროდის სანიმუშო ქვეით პოლკში.
- 1831 3 ნოემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩერდება კრონშტადტში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 4 ნოემბერი**
გენერალი ალექსანდრ ტიმროტი ამოწმებს ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებს, რომლებიც გრიგოლ ორბელიანმა ჩაიყვანა საქართველოდან.
- 1831 5 ნოემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის პეტერგოფისა და სტრელნას გავლით ჩადის პუსტინკაში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 6 ნოემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ პულკოვოში, სადაც დგას მისი ახალი ასეული. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ. აღფრთოვანებულია პეტერბურგის შემოგარენის სილამაზით.
- 1831 7 ნოემბერი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩერდება პულკოვოში და ელის ასეულის მეთაურის მისვლას.
- 1831 11 ნოემბერი**
სალამო ხანს ჩადის პეტერბურგში და სტუმრად მიდის გრაფ ივან სიმონიჩთან, შემდეგ კი, თეოდორ გელშერტთან ერთად, სასეირნოდ გადის ნევის პროსპექტზე.

- 1831 12 ნოემბერი**
იღებს დედის, ხორემან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, წერილს, რომელშიც ადრესანტი რჩევას ეკითხება მისი უმცროსი ძმის, ილიას, სასწავლებელში მიბარებასთან დაკავშირებით. სურვილი აქვს, რომ რუსეთში გაგზავნოს და გრიგოლთან ახლოს იყოს, მაგრამ შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნია. სთხოვს, მისი და ილიას სახელით მოიკითხოს ის რუსი გენერლები, რომლებიც საქართველოში ყოფნისას მათს ოჯახში ცხოვრობდნენ. ხორემანი ემადლიერება გრიგოლის მეგობარ დავით ყორღანოვს, რომელიც ყურადღებას აქცევს მათ ოჯახს.
- 1831 12 ნოემბერი**
გრაფ ივან სიმონიჩთან სტუმრად არის ლუარსაბ ბატონიშვილი და მასთან წარადგენს გრიგოლ ორბელიანს. შემდგომ მიდიან ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელიც სიხარულით იღებს და 14 ნოემბერს სადილად პატიჟებს. იქიდან მიდიან ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის ახლობელთან – პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვასთან, რომელსაც გრიგოლი თბილისიდან იცნობდა. საღამოს ერთად ესწრებიან იტალიურ საოპერო წარმოდგენას. აღფრთოვანებული რჩება იტალიიდან ახალჩამოსული მომღერალი ქალის ადელაიდა რიკორდი-მორიკონისა და მევიოლინე ფრანც ბიომის შესრულებით. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 13 ნოემბერი**
მცირე თეატრში ესწრება კრისტიან ვულპიუსის ისტორიული დრამის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „კარლ მეტორმეტე“, მაგრამ არ რჩება განსაკუთრებით კმაყოფილი. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.
- 1831 13 ნოემბრის შემდეგ**
პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის სიმეს, მელიტონ ბარათაშვილს. უზიარებს ქალაქის სანახაობებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს და სთხოვს, გაუგზავნოს რვაასი მანეთი.
- 1831 14 ნოემბერი**
სადილად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან, სადაც გაიცნობს თავის სანათესაოს: ბატონიშვილის მეუღლეს – ანა ერისთავ-ბაგრატიონისას, ქალიშვილებს – სალომეს და ელენეს; ასევე, ანასტასია და რიფსიმე ბატონიშვილებს; საღამოს სტუმრობს თავისი ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის, ქვრივს, მარიამ დედოფალს.
- 1831 14 ნოემბრის შემდეგ**
ფარნაოზ ბატონიშვილის ქალიშვილს აკითხებს თავის თარგმანებს და, მათ შორის, „ნალივაიკოს აღსარების“ რედაქტირებულ, გავრცობილ ვერსიას.
- 1831 15 ნოემბერი**
სტუმრობს თავისი ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის – სოლომონ II-ის ქვრივს – მარიამ დადიან-ბაგრატიონისას, რომელთანაც ხვდება სერგი ჭილაშვილსა და მამა იონა ხელაშვილს.

- 1831 9 დეკემბერი**
იმყოფება პულკოვოში და სიმღერის „გზის გუშაგად მდგომარესა... ხმაზედ“ წერს ლექსს „მ...დმი“ („თაყვანისმცემელთ როს გუნდი...“)
- 1831 15 დეკემბრამდე**
იღებს წერილს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისგან, რომელიც სთხოვს, რომ მან და მისმა ძმამ, ზაქარიამ, ინახულონ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი ალექსეი ერმოლოვი, აუხსნან თავიანთი მძიმე მდგომარეობა მამის გარდაცვალების შემდეგ და სთხოვონ დახმარება.
- 1831 23 დეკემბრამდე**
პეტერბურგში ჩასული იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის წერილს. იგებს, რომ მისი ძმა, ზაქარია, სამსახურით უკმაყოფილოა და საქართველოში დაბრუნებას გეგმავს.
- 1831 23 დეკემბრამდე**
იღებს ძმის, ზაქარიას, წერილს.
- 1831 23 დეკემბრამდე**
ბიძაშვილ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს მისი ძმის – ქაიხოსროსთვის გასაგზავნად ართმევს 150 მანეთს.
- 1831** პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილთან ხვდება სოლომონ რაზმაძეს და სთხოვს რუსი პოეტის – ვასილ ჟუკოვსკის თხზულებათა მისეულ თარგმანს ქართულ ენაზე, რომელსაც რამდენიმე დღეში იღებს მისგან წერილთან ერთად.
- 1832 1831 15 ნოემბრიდან-1832 6 იანვრამდე**
დღიურის ჩანაწერებში დაწვრილებით აღწერს პეტერბურგს: ალექსანდრე ნეველისა და სმოლნის მონასტრებს, პეტრე-პავლეს ციხეს, საადმირალოს, იმპერატორის აკადემიას, კადეტთა კორპუსებს, ობოლთა თავშესაფარს, ხელოვნების აკადემიას, ეკატერინესა და მარიას ინსტიტუტებს, სამშობიარო ინსტიტუტს, ღარიბთა საავადმყოფოს, მარმარილოს, თავრიდისა და ზამთრის სასახლეებს, პეტრე პირველის ძეგლს, თეატრებსა და პარკებს.
- 1832 6 იანვარი**
ნათლისღების დღესასწაულზე რუსეთის იმპერატორის სასახლეში ესწრება ნიკოლოზ I-ის გამობრძანების ცერემონიალს, წყალკურთხევასა და მასკარადს.
- 1832 9 იანვარი**
იღებს სოლომონ რაზმაძის წერილს. იგი მაღლიერებას გამოხატავს, რომ ადრესატი დაინტერესდა ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ მისეული თარგმანით. უგზავნის ვასილ ჟუკოვსკის თხზულებათა ალექსანდრე ჩოლოყაშვილის კუთვნილ სამტომეულს, რომელიც შემდეგ მფლობელს უნდა დაუბრუნოს. სთხოვს, გადაუხადოს თავისი ძმის, ზაქარიასთვის სესხად მიცემული თანხა.

- 1832 15 იანვრამდე**
ნოვგოროდიდან წერილს სწერს სიძეს, მელიტონ ბარათაშვილს, ატყობინებს ადგილობრივ ამბებს და სთხოვს თანხის გაგზავნას.
- 1832 15 იანვარი**
იღებს საპასუხო წერილს სიძის, მელიტონ ბარათაშვილისგან, რომელიც ჰპირდება, რომ სასწრაფოდ უშოვნის და ექსტრაფოსტით გაუგზავნის ათას მანეთს.
- 1832 18 იანვარი**
სტუმრად მიდის გრაფ ივან სიმონიჩთან, რომელიც საქართველოში გამგზავრებას აპირებს.
- 1832 19 იანვარი**
გამოსამშვიდობებლად მიდის მარიამ დედოფალთან და ბატონიშვილებთან.
- 1831 11 ნოემბერი - 1832 20 იანვარი**
პეტერბურგის თეატრებში ესწრება წარმოდგენებს: კარლ ვებერის ბალეტს „ლადი მსროლელი“, ანტუან ტიტუის მიერ დადგმულ პანტომიმურ ბალეტ „კია-კინგს“, ბალეტმაისტერ ბლაშის მიერ დადგმულ ბალეტს – „დონ-ჟუანი, ანუ დამარცხებული უღმერთო“ და ბომარშეს პიესის მიხედვით შექმნილ ჯოაკინო როსინის ოპერას „სევილიელი დალაქი“.
- 1831 11 ნოემბერი - 1832 20 იანვარი**
დადის წირვებზე პეტერბურგის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში – ყაზანის „სობოროში“ და დღიურში აღწერს ამ ტაძარს.
- 1832 20 იანვარი**
გამოსამშვიდობებლად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან, შემდეგ თეატრში ესწრება ალექსანდრ გრიბოედოვის პიესის - „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენას.
- 1832 21 იანვრამდე**
დღიურში აღწერს პეტერბურგის ღირსშესანიშნაობებს.
- 1832 21 იანვარი**
ემშვიდობება გრაფ ივან სიმონიჩს და მიდის სოფელ პულკოვოში.
- 1832 21 იანვარი**
სოფელ პულკოვოში არის იმ სახლის პატრონის ქალიშვილის ნიშნობა, სადაც ის არის გაჩერებული. პატარძალს, ადგილობრივი ტრადიციისამებრ, ჩუქნის ფულს და მისგან საჩუქრად იღებს ხელსახოცს.
- 1832 22 იანვრამდე**
იოსებ მესხიშვილის თხოვნით არკვევს, რომ იოანე ბატონიშვილს ამ პირის დედისთვის, მართასათვის, 12 ათასი მანეთის ღირებულების ლომბარდის ბილეთები გაუგზავნია. ირკვევა, რომ დედას არ სურს შვილისთვის ამ თანხიდან წილის მიცემა. გრიგოლი ჰპირდება იოსებ მესხიშვილს, რომ არჩილ ბატონიშვილს სთხოვს მის დახმარებას.

- 1832 22 იანვარი**
პულკოვოდან მიდის სოფელ იჟორაში, სადაც იკრიბება ბატალიონი.
- 1832 23 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ საბლინოს გავლით ჩადის ტოსნოში.
- 1832 24 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ისვენებს სოფელ ტოსნოში.
- 1832 25 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ პომერანიეში და რჩება ღამის გასათევად.
- 1832 26 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ბაბინოში.
- 1832 27 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ ჩუდოვოში.
- 1832 28 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ისვენებს და მიემართება გრუზინოსკენ.
- 1832 29 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის გრუზინოში. ათვალიერებენ გრაფ ალექსეი არაკჩეევის პოლკის შტაბს და სასწავლებელს.
- 1832 30 იანვარი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის პოდბერეზიეში და შემდეგ მიდის იმ დასახლების სანახავად, სადაც რამდენიმე თვის წინ აჯანყებულმა ჯარისკაცებმა დახოცეს ოფიცრები.
- 1832 31 იანვარი**
სადილობის შემდეგ ბრუნდება პოდბერეზიეში.
- 1832 1 თებერვალი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის ნოვგოროდში და მიდის სოფლის ტამარში.

- 1832 2 თებერვალი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ სუტოკიში.
- 1832 3 თებერვალი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის სოფელ მენიუშაში.
- 1832 4 თებერვალი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად დასასვენებლად რჩება სოფელ მენიუშაში.
- 1832 4 თებერვლის შემდეგ**
წერილს იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილისაგან, რომელიც ათას მანეთს უგზავნის და უბოდიშებს დაგვიანებისათვის. აცნობებს, რომ იძულებული იყო გრიგოლის დედის, ხორეშანის, პენსია გაეყიდა, რომ ეს ფული გაეგზავნა და ის ასი მანეთი გაესტუმრებინა, რომელიც გრიგოლის სამგზავროდ ისესხეს. ასევე სწერს, რომ წინა დღეს მისი სასიდედროს, ანა ამილახვარ-ორბელიანის, დაბადების დღის წვეულებაზე იყო და იქ ნახა მისი დანიშნული სოფიო ორბელიანი, რომელიც კარგად გამოიყურებოდა.
- 1832 6 თებერვალი**
ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ჩადის ილმენის ტბის ნაპირას მდებარე სოფელ კოროსტინში.
- 1832 7 თებერვალი**
გენერალი ივან ნაბოკოვი ამოწმებს გრიგოლ ორბელიანის მიერ კავკასიიდან ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის ჩაყვანილ ჯარისკაცებს და გადაიბარებს მათზე პასუხისმგებლობას.
- 1832 14 თებერვალი**
ენიშნება წლიური ანაზღაურება ათი ათასი მანეთის ოდენობით.
- 1832 22 თებერვალი**
იმყოფება ქალაქ ნოვგოროდში, პრუსიის ტახტის მემკვიდრის, ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის, შტაბში და უსათაუროდ თარგმნის რუსი რომანტიკოსის – ვასილ ჟუკოვსკის ლექსს „სიმღერა“ („მას უხაროდეს...“).
- 1832 3 მარტი**
იმყოფება ქალაქ ნოვგოროდში და წერს ორტაეპიან უსათაურო ლექსს („როს ბულბული...“).
- 1832 8 მარტი**
იმყოფება ქალაქ ნოვგოროდში, პრუსიის ტახტის მემკვიდრის, ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის, შტაბში და წერს ლექსს „იარალისადმი“, რომელიც ეძღვნება ბაგრატიონთა სასახლის კარის მგოსანს – იარალი შანშიაშვილს („ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს...“). ლექსის ერთ ასლს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და სთხოვს, გაუზიაროს თავისი აზრი.

- 1832 8 მარტის შემდეგ**
წერილს იღებს თავისი ძმის - ზაქარიასგან, რომელშიც საუბარია იარაღი შანშიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის შესახებ.
- 1832 10 მარტამდე**
დედას, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისას, უგზავნის წერილს და სთხოვს, თანხა გაუგზავნოს.
- 1832 10 მარტამდე**
დედა, ხორეშან ანდრონიკაშვილი-ორბელიანისა, სწერს, რომ აუცილებლად ინახულოს ალექსეი ერმოლოვი. ის, ასევე, სთხოვს, წერილი გაუგზავნოს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, რომ მათს ოჯახს ყურადღება მიაქციოს.
- 1832 10 მარტი**
იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილის, მოკითხვის წერილს.
- 1832 13 მარტის შემდეგ**
ნოვგოროდშია და თბილისიდან იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილის მიერ გაგზავნილ წერილს. იგებს, რომ მელიტონი გაახარა მისი ბარათის მიღებამ. ჰპირდება ნათხოვნი 800 მანეთის ნაცვლად 1000-ის გაგზავნას. სთხოვს, ინახულოს კავკასიის ყოფილი მთავარმართებელი ალექსეი ერმოლოვი; მოახსენოს, რომ მისი წასვლის შემდეგ მელიტონმა სამსახური დაკარგა და ახალ მეფისნაცვალთან, ბარონ გრიგოლ როზენთან, ამასთან დაკავშირებით უშუამდგომლოს.
- 1832 15 მარტი**
პეტერბურგიდან იღებს სალომე ფარნაოზის ასულ ბაგრატიონის წერილს. იგებს, რომ მისი ლექსები ძალიან მოეწონათ მას და იარაღი შანშიაშვილს. უბოდიშებს, რომ ავადმყოფობის გამო მანამდე ვერ მოახერხა საპასუხო წერილის დაწერა. ატყობინებს, რომ გრიგოლის მიერ ალექსანდრე ჩოლოყაშვილისთვის დასაბრუნებლად გაგზავნილი ჟუკოვსკის წიგნები სარწმუნო კაცის ხელით ჩაბარდება მას. გადასცემს ზაქარია ერისთავის, ლუარსაბ და ელენე ბატონიშვილების მოკითხვას.
- 1832 17 მარტი**
ნოვგოროდიდან თბილისში საპასუხო წერილს უგზავნის სიძეს, მელიტონ ბარათაშვილს.
- 1832 20 მარტი**
იღებს ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის, მეუღლის, მარიამ დედოფლის საპასუხო წერილს. ადრესანტი მადლოზას უხდის მოკითხვისათვის, გამოხატავს სიხარულს გრიგოლის დედისა და ძმის კარგად ყოფნის გამო, სთხოვს, არ დაივიწყოს და ჰპირდება, რომ მუდამ მზად იქნება მათი სამსახურისათვის.
- 1832 28 მარტი**
იმყოფება ქალაქ ნოვგოროდში, პრუსიის ტახტის მემკვიდრის, ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის, შტაბში და წერს ლექსს „გაზაფხული“ („ყოველთ სულთა“...)

- 1832 30 მარტი**
 ნოვგოროდში იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილის, წერილს. იგი სიხარულით ატყობინებს, რომ მაიორის ჩინით დააჯილდოეს და ოთხმოცდაათი თუმანი პენსია დაუნიშნეს. სთხოვს, შეიძინოს და გაუგზავნოს კავალერისტის ვერცხლის ეპოლეტები და აღუთქვამს საფასურის ანაზღაურებას.
- 1832 12 აპრილი**
 იღებს დავალებას, რომ შეამოწმოს მასთან გაგზავნილი ოფიცრების ჩაცმულობა და აღჭურვილობა და რაც არ იქნება სანიმუშო პოლკის შესაბამისი, გამოასწოროს.
- 1832 29 აპრილი**
 იმყოფება ქალაქ ნოვგოროდში და წერს ორტაეპიან უსათაურო ლექსს („სიყვარულსა ჯერ არს...“).
- 1832 30 აპრილი**
 სანიმუშო ქვეით პოლკთან ერთად დგას ნოვგოროდის მისადგომებთან და თავის შორეულ ნათესავს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – გიორგი ავალიშვილს სწერს წერილს, რომელშიც დაწვრილებით მოუთხრობს პეტერბურგში ყოფნისა და იქიდან ნოვგოროდამდე მისვლის ამბებს.
- 1832 5 მაისი**
 იღებს დავით ყორღანოვის საპასუხო წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ დაპირებული ნოტები იანვარშივე გაუგზავნა ვიღაც ოფიცრის ხელით.
- 1832 22 მაისი**
 ნოვგოროდში იღებს გიორგი ავალიშვილის საპასუხო ბარათს. ადრესანტი სწერს, რომ რადგან ოქტომბრამდე მის შესახებ ვერაფერი შეიტყო, პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილებს სთხოვა მისი მისამართი და თეიმურაზ ბატონიშვილისგან გაიგო. აქებს მის სიქველეს და ამ თვისებით ფარნაოზ ბატონიშვილს ადარებს.
- 1832 25 მაისი**
 იღებს დავით ყორღანოვის წერილს, რომლიდანაც იგებს თბილისის სალონური ცხოვრების ამბებს და იმას, რომ მანდილოსანთა წრეში ხშირად ისმის მისი ქება.
- 1832 19-29 მაისი**
 იმყოფება ნოვგოროდში და ბეზიის – ელენე ერეკლე II-ის ასულ ბაგრატიონის დას – ანასტასია ბაგრატიონ-ერისთავისას სწერს მოკითხვის წერილს.
- 1832 19-29 მაისი**
 იმყოფება ნოვგოროდში და თავისი ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის, ქვრივს, მარიამ დედოფალს, სწერს მოკითხვის წერილს.
- 1832 19-29 მაისამდე**
 ავადაა, ახველებს, სუნთქვა უჭირს და აწუხებს ტკივილები გულის არეში.

- 1832 29 მაისის შემდეგ**
 ჯანმრთელობის მდგომარეობა უუარესდება და შიშობენ გართულებას ფილტვებზე. მკურნალობს სანიმუშო ქვეითი პოლკის მეთაურ ალექსანდრ ტიმროტის დისწული – ექიმი დიმიტრი აზბუშინი.
- 1832 29 მაისის შემდეგ**
 ისევ მძიმედ არის და აწუხებს ტკივილები გულის არეში. გადაჰყავთ გვარდიის სასწავლო ბატალიონში, რომელიც პეტერბურგშია დაბანაკებული.
- 1832 29 მაისის შემდეგ**
 პეტერბურგიდან წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს და აცნობებს, რომ პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ თავს კარგად არ გრძნობს. სწერს, რომ მამა იონა ხელაშვილმა ხატები და წერილები გადააგზავნინა ბოდბელი მიტროპოლიტისთვის. გარდა ამისა, თავად მანაც გამოგზავნა თბილისში პეტერბურგში ნაყიდი სურათები. უყვება არმიამი მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ბელგიისა და ჰოლანდიის ომის შესახებ.
- 1832 1 ივნისი**
 სანიმუშო ქვეითი პოლკის მეთაური – ალექსანდრ ტიმროტი აცნობებს პეტერბურგის კორპუსის სასწავლო რაზმში მისი დანიშვნის შესახებ და უგზავნის მისდამი დაქვემდებარებული უნტეროფიცრების სიას.
- 1832 2 ივნისი**
 მისდამი დაქვემდებარებულ უნტეროფიცრებთან ერთად მიემართება პეტერბურგისკენ.
- 1832 2 ივნისის შემდეგ**
 პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ თავის რაზმს განათავსებს სემიონოვის გვარდიის პოლკის ყაზარმებში და ცხადდება კავკასიის ჯარების მთავარსარდალ გენერალ-მაიორ ველიამინოვთან.
- 1832 9 ივნისი**
 პეტერბურგისკენ აცილებს სამხედრო ნაწილს.
- 1832 20 ივნისამდე**
 ბარათს იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისგან. იგი დაჟინებით ურჩევს, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრ ალექსეი ერმოლოვს წერილი მიაწერინოს მეგობარ ალექსანდრ ბარიატინსკისთან, რათა დაეხმაროს მას სამსახურებრივ წინსვლაში.
- 1832 29 ივნისი**
 წირვას ესწრება მარიამ დედოფალთან და ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად. სადილის შემდეგ, ლუარსაბ ბატონიშვილთან ერთად, მიდის ელაგინის კუნძულზე.

- 1832 5 ივლისი**
პეტერბურგიდან მოსკოვში წერილს უგზავნის თავის ნათესავს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – გიორგი ავალიშვილს.
- 1832 6 ივლისამდე**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ კავკასიის მთავარმართებელმა, ბარონმა გრიგოლ როზენმა, ხორეშანი და გრიგოლის ძმა ილია წვეულებაზე დაპატიჟა. მან ილიას მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობა გამოხატა, სთხოვა, ყოველ კვირას სწვეოდა და შესთავაზა სამხედრო სამსახურში შესვლა. ხორეშანს ეს აზრი არ მოსწონს, მაგრამ მთავარმართებლის უარის თქმაც არ უნდა და გრიგოლს ეკითხება, როგორ მოიქცეს.
- 1832 6 ივლისი**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს ახლობლების ამბებს; მოკითხვას უთვლიან დის - ეფემიას ოჯახის წევრები და გამზრდელი სულთანნი.
- 1832 14 ივლისი**
ჩადის პეტერბურგში, აღფრთოვანებულია მისი ბალების სილამაზით, ესწრება სამეფო ოჯახის გამობრძანების ცერემონიალს და სადილობს თეიმურაზ ბატონიშვილთან. სალამოს ბრუნდება პეტერბურგში და დღიურში აღწერს დღის შთაბეჭდილებებს.
- 1832 15 ივლისი**
სტუმრად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან. მასთან და დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრობს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებსა და მათს ქმნილებებზე: მოცარტის „შესაქმეზე“, ვებერის „თავისუფალ მსროლელზე“, როსინის „სევილიელ დალაქსა“ და სხვებზე.
- 1832 15 ივლისი**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ლექსს „გამოსალმება“ („ვითა ცის ნამი“...).
- 1832 18 ივლისი**
სტუმრად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან. მასთან და დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრობს მსოფლიოს საუკეთესო მხატვრებზე: რაფაელის „მადონასა“ და „რომის დაწვაზე“, ანტონიო კორეჯოს „დღისა და ღამის გაყრასა“ და „იესო ქრისტეს შობაზე“, მიქელანჯელოს „ჯვარცმაზე“ და მის მიერ რომის პეტრე-პავლეს ტაძრისთვის აშენებულ გუმბათზე.
- 1832 2 აგვისტო**
პეტერბურგიდან საპასუხო წერილს უგზავნის დედას, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისას.
- 1832 2 აგვისტოს შემდეგ**
მძიმედ ჭრიან მის ნათესავსა და მეგობარს, იესე ანდრონიკაშვილს. ამის გამო გრიგოლ ორბელიანი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას.

- 1832 7 აგვისტო**
იღებს დავალებას, რომ სასწრაფოდ გამოცხადდეს გენერალ-მაიორ პეტრე ვეიმარნთან, რომლისგანაც იღებს ბრძანებას, რომ ტობოლსკის გუბერნიის ჯარისკაცები წაიყვანოს და ახალი ლადოგის ინვალიდთა რაზმის მეთაურს გადააბაროს.
- 1832 7 აგვისტო**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს („ზღვის კიდეს...“).
- 1832 21 აგვისტო**
ნოვგოროდში იმყოფება და მოსკოვიდან იღებს ნათესავის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – გიორგი ავალიშვილის წერილს. ადრესანტი ნასიამოვნებია გრიგოლის მჭევრმეტყველებით და სთხოვს, სახელის მოხვეჭას ეცადოს.
- 1832 22 აგვისტო**
სტუმრად მიდის ფარნაოზ ბატონიშვილთან. იქ მყოფ დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრობს საქართველოს სიღარიბეზე, რომელიც გამოწვეულია ქართველების არაპრაქტიკულობით.
- 1832 26 აგვისტო**
იღებს დავით ყორღანიშვილის წერილს. იგებს, რომ მას ფორტეპიანო შეუძენია, მაგრამ აწყობისას ორი სიმი გასწყვეტიათ და სთხოვს, გაუზავნოს.
- 1832 30 აგვისტო**
პეტერბურგში ესწრება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ძეგლის გახსნას.
- 1832 31 აგვისტო**
დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი ამოწმებს გრიგოლ ორბელიანის ბატალიონს.
- 1832 31 აგვისტოს შემდეგ**
წერილს უგზავნის მეგობარს, დავით ყორღანოვს, უყვება პეტერბურგის ამბებს და სწერს, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა დაათვალიერა მისი ასეული.
- 1832 3 სექტემბერი**
იღებს დის, ეფემიას, წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ ყველა კარგადაა და მასზე დარდის გარდა არაფერი აწუხებთ. სთხოვს, მსახური ქალი დაიქირავოს და ჰპირდება, რომ თანხას თავად გადაუხდის.
- 1832 23 სექტემბერი**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ლექსს „ღამე“ („მთოვარე, აშიკთ მოწამე...“).
- 1832 30 სექტემბერი**
იმყოფება პეტერბურგში და თარგმნის ივან კრილოვის იგავ-არაკს „ვირი და ბულბული“.

- 1832 2 ოქტომბერი**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ლექსს „მირზაჯანას ეპიტაფია“ („მუხთაღს ამ სოფელს...“)
- 1832 6 ოქტომბერი**
იმყოფება პეტერბურგში და თარგმნის ივან კრილოვის იგავ-არაკს „სოფლელნი და მდინარე“.
- 1832 11 ოქტომბერი**
წერილს იღებს მაჰმად ჰუსეინ ალასგან, რომელიც ატყობინებს, რომ თავისი ვაჟი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მსახურობს. სწერს, ინახულოს ამ კორპუსის მეთაური და სთხოვოს მისი შვილისთვის ყურადღების მიქცევა.
- 1832 14 ოქტომბერი**
იმყოფება პეტერბურგში და თარგმნის ივან კრილოვის იგავ-არაკს „ნადირთა ჭირი“.
- 1932 18 ოქტომბერი**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ლექსს „ს“ („მერცხალნი თვალნი შენნი...“).
- 1932 24 ოქტომბერი**
იმყოფება პეტერბურგში და წერს ლექსს „ე...სა“ („ვინცა გაგიცნობს...“)
- 1832 3 ნოემბერი**
გვარდიის სასწავლო ბატალიონიდან ბრუნდება სანიმუშო ქვეით პოლკში.
- 1832 3 ნოემბერი**
პეტერბურგში თარგმნის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის დიდაქტიკურ ნოველას „სამნი მეგობარნი“ და, როგორც ჩანს, უძღვნის მისდამი კეთილგანწყობილ სამ ულამაზეს ქალბატონს: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს და მანანა ერისთავ-ორბელიანისას.
- 1832 3 ნოემბერი**
პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მისდამი კეთილგანწყობილ სამ ულამაზეს ქალბატონს: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს და მანანა ერისთავ-ორბელიანისას. იგონებს თბილისიდან გამგზავრების წინ მათთან დამშვიდობების დროს განცდილ ემოციებს.
- 1832 4 ნოემბერი**
პეტერბურგში იღებს დავით ყორღანოვის წერილს, რომლიდანაც იგებს თბილისის ამბებს.
- 1832 13 ნოემბრამდე**
პეტერბურგში სტუმრობს ანასტასია ბატონიშვილს.

- 1832 13 ნოემბერი**
პეტერბურგში მყოფი იღებს წერილს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისაგან, რომელიც მის ადგილსამყოფელს ბატონიშვილების, ანასტასიასა და ქეთევანის, ბარათებიდან იღებს. გადასცემს ძმის, ზაქარიას საყვედურს იმასთან დაკავშირებით, რომ მის წერილებს არ პასუხობს.
- 1832 28 ნოემბრამდე**
იღებს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იღებს, რომ ძმა, ზაქარია დროებით თბილისში იმყოფება. ასევე შეიტყობს სამწუხარო ამბავს, რომ დას – ეფემიას ქალიშვილი გარდაეცვალა. დაჭრილი იესე ანდრონიკაშვილის მოსანახულებლად გრიგოლის საქართველოში ჩასვლას დედა არ იწონებს დიდი სამგზავრო ხარჯების გამო და ურჩევს, გადაიფიქროს. სთხოვს, ფარნაოზ, დიმიტრი, ლუარსაბ და თამარ ბატონიშვილებს პატივისცემა და მოკითხვა გადასცეს.
- 1832 30 ნოემბრამდე**
იღებს წერილს დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანისგან, რომელიც უკვე იმ აზრზეა, რომ შვილებმა რუსეთში კარიერა ვერ აიწყვეს და ურჩევენია, რომ გრიგოლიც, ზაქარიას მსგავსად, საქართველოში დაბრუნდეს.
- 1832 ნოემბრის შემდეგ**
ბრუნდება ნოვგოროდში, სადაც ჰპირდებიან სემიონოვსკის საიმპერატორო გვარდიის პოლკში გადაყვანას.
- 1832 23 დეკემბერი**
ალექსანდრე ორბელიანი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ 1831 წელს ელიზბარ ერისთავი გრიგოლ ორბელიანს შეთქმულების შესახებ ესაუბრა ალექსანდრე ორბელიანის სახლში, მაგრამ შეატყო, რომ ამის შესახებ მისთვის ადრეც ჰქონდათ ნათქვამი. გრიგოლი მათი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუძლებლად მიიჩნევდა და უარს ეუბნებოდა მონაწილეობაზე.
- 1832 25 დეკემბრის შემდეგ**
პეტერბურგიდან საპასუხო ბარათს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს, მადლობას უხდის წერილისთვის, მაგრამ ეხუმრება, რომ რაღაც დეტალები გამოტოვა. უკვირს, რატომ ვერ ატარებს დროს კარგად. ესაუბრება ქალებთან ურთიერთობაზე.
- 1833 -მდე**
წერს რითმიან ორტაეპედებს: „წყალში წრე...“, „რა უნდა აქვნიდეს...“, „დრო და სიშორე“, „შენგან კოდელი...“, „აწ სად ხართ...“ „ესრეთთა ბნელთა...“, „მარამა ბედი...“, „მის სახე...“, „აწ ვხარობ“ და მოკლე აფორისტულ სენტენციებს: „რა ვჰყო, ვინცა იწვის ეშხით, აქვს ნუგეშად მოთქმა ოდენ“, „მე იგი მზე მძულს, რომელიც მნათობს და ჩვენ კი არ გვათბობს“, „სიტკბოება არს სიცოცხლე და არა წელიწადები“, „სიცოცხლე შვენის სიყვარულითა“, „არა უძლურს ჰყოფს გულსა ტანჯვანი“, „სატრფოს ერთი შემოხედვა მრავალთ სიმწარეს გვავიწყებს“.

- 1833 -მდე**
წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსებს: („სიყვარული არს...“), („გრწამდეთ ვის...“), („ისმინე ჩემი...“), („ნეტარ კვლავცა...“), („მარა არ იწვის...“), („ოდეს ოხრვით...“), („აჰა ცისკარიც...“), („აჰა, ყარიბი...“). ასევე სამტაეპიან უსათაურო („შენ ჰე, დღეო...“) და ხუთტაეპიან ლექსებს: („შენცა მიმუხთლე, გონებაო“ და „ვითა ღამეში...“). ასევე წერს უსათაურო ფრაგმენტებს: („დრომან შემუსვრის...“, „ნეტარ ვინც...“, „მის მიერ“...).
- 1833 -მდე**
რუსულიდან თარგმნის უცნობი ავტორის მოკლე პროზაულ ტექსტს „აღლელორია“.
- 1833 -მდე**
წერს უსათაურო ლექსს („მისი სახელი კიცხვითა“...).
- 1833 -მდე**
წერს უსათაურო ლექსს („ჰე, ივერიავ“...).
- 1833 -მდე**
ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას უძღვნის უსათაურო ლექსს („დღესა ამას სიყვარულმან“...)
- 1833 17 იანვრამდე**
1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისია აპირებს, გრიგოლ ორბელიანს ბრალი დასდოს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში და ამ მიზნით ყურადღებით სწავლობს მის ხელნაწერებს.
- 1833 17 იანვარი**
წერს მოკლე განმარტებას თავისი ჩანაწერების შესახებ და 1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისიას ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, რომ თავის დღიურებში რუსეთის იარაღის პალატის აღწერით ის რუსეთის სიდიადეს წარმოაჩენდა.
- 1833 3 თებერვალი**
ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას უძღვნის ორტაეპიან ლექსს („საამოა სახილველად...“).

1833

24 თებერვალი

1832 წლის შეთქმულების საქმესთან დაკავშირებით იბარებს საგამომიებო კომისია. საკუთარი პიროვნების შესახებ ზოგად კითხვებზე იგი პასუხობს, რომ არის 27 წლის, მართლმადიდებელი, ყოველ წელს ამბობს აღსარებას და ეზიარება; სამხედრო სამსახური დაიწყო არტილერიის იუნკრად, შემდეგ გადაიყვანეს პორტუპეი იუნკრად ქართველ გრენადერთა პოლკში და იქ მიიღო პორუჩიკის წოდება. დაკითხვისას ეუბნებიან, რომ შეთქმულებაში მისი მონაწილეობა დაადასტურეს გიორგი დავითის ძე ერისთავმა, ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანმა, მაგრამ გრიგოლი უარყოფს შეთქმულებაში მონაწილეობას და აცხადებს, რომ არაფერი იცოდა ამ განზრახვის შესახებ. კითხვაზე, თუ რასთან დაკავშირებით უნდა ეკითხა რჩევა ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის, ის პასუხობს, რომ ერთხელ ალექსანდრე ორბელიანთან ყოფნისას, სადაც, ასევე, იმყოფებოდა ელიზბარ ერისთავი, საუბარი ჩამოვარდა იმაზე, შეძლებდა თუ არა საქართველო ირანისა და თურქეთისგან თავის დაცვას რუსეთის დახმარების გარეშე, რაზეც გრიგოლმა უპასუხა, რომ ეს ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა. რაც შეეხება ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მისთვის რაიმე რჩევის მისაღებად არ მიუმართავს.

1833

25 თებერვალი

ამთავრებს იოჰან ჰაინრიხ ცშოკეს მოთხრობის „მაცთუნებელი“ („Искуситель“) რუსულიდან თარგმნას.

1833

8 მარტი

ელიზბარ ერისთავი გამომიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ 1831 წლის დასაწყისში მან და ალექსანდრე ორბელიანმა შეთქმულების განზრახვა გაუმხილეს გრიგოლ ორბელიანს და ის დათანხმდა მონაწილეობაზე. ამის შემდეგ ერთ-ერთ შეხვედრაზე მათ ჰკითხეს გრიგოლს, როგორ გაემხილათ ეს ამბავი ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის და მან თქვა, რომ ამას თავად გააკეთებდა. ამ მიზნით იგი საგანგებოდ მივიდა ჭავჭავაძესთან, მაგრამ მასთან სტუმარი დახვდა და ვერ ესაუბრა. საბოლოოდ, ელიზბარი თავად გამოუტყდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

1833

8 მარტი

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით პეტერბურგში შექმნილი საგამომიებო კომისიის მასალებში გრიგოლ ორბელიანს მოიხსენიებენ იმ პირთა შორის, რომელთა დაკითხვაც პირველსავე ეტაპზე იყო გადაწყვეტილი და დაიკითხა კიდეც, მაგრამ მისი ჩვენებები საეჭვოს ხდის მის მონაწილეობას შეთქმულებაში. კომისიის წევრები დაწვრილებით აღნუსხავენ მის ბრალეულობასთან დაკავშირებით გამოძიებულ ფაქტებს. წერენ, რომ შეთქმულებაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობას ადასტურებენ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, ელიზბარ და დიმიტრი შანშეს ძე ერისთავები. მას შეთქმულების შესახებ აცნობეს 1831 წელს. დაკითხულთა ჩვენებით, ის, თუმცა თავიდან თავს იკავებდა, რადგან განუხორციელებლად მიაჩნდა, შემდეგ დასთანხმდა და დაჰპირდა ამ ჩანაფიქრის ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის შეტყობინებას, რაც არ განუხორციელებია. მან 1832 წლის ივნისში, თბილისიდან გამომგზავრებისას თავის თავზე აიღო, რომ შეთქმულების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილს და პეტერბურგში – დიმიტრი ბატონიშვილს. მის ქალაქებში აღმოჩნდა კონდრატ რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარება“ თავისუფალი, გავრცობილი თარგმანი, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ფრიდრიხ შლეგელის სიტყვები: „თავისუფლების ფსალმუნი არს აღზევება სულისა ღვთისადმი“. მის დღიურებში აღმოჩნდა ჩანაწერები, რომელშიც ის წერს, რომ საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე შეუძლია არსებობა. კომისიის მიერ შედგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ გრიგოლ ორბელიანი უარყოფს თავის მონაწილეობას შეთქმულებაში, ამბობს, რომ „ნალივაიკოს აღსარება“ საკუთარი სურვილით თარგმნა და არა - ვისიმე დავალებით. რაც შეეხება ბატონიშვილებს, მისი თქმით, მათი გაცნობა ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანმა და ელიზბარ ერისთავმა იმიტომ ურჩიეს, რომ დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები დიდად განსწავლული და საინტერესო პირები არიან.

1833

11 მარტი

ნოვგოროდში აკითხავენ ჟანდარმები და აპატიმრებენ.

1833

16 მარტი

ბარონი გრიგოლ როზენი წერილობით მიმართავს სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვს და ასახელებს იმ პირებს, რომელთა ჩაყვანაც საჭიროა თბილისში. მათ შორის არის გრიგოლ ორბელიანი.

1833

17 მარტი

1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომელშიც განმარტავს, რომ „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმნა არ ითვალისწინებდა ხალხის წაქეზებას ამბოხებისაკენ და, რომ გენერალ ივანე აფხაზთან საუბარიც იმასთან დაკავშირებით, შეძლებდა თუ არა საქართველო არსებობას რუსეთის გარეშე, გამოიწვია პოლონეთში მიმდინარე მოვლენებმა და, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა.

1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით აძლევს ჩვენებას და პასუხობს კითხვაზე: ლექსი „აღსარება“, რომელშიც რუსები მჩაგვრელებად და ბოროტმოქმედებად არიან წოდებული, თარგმანია თუ მიბამვა და ვისი შთაგონებით შექმნა იგი. ამბობს, რომ ეს არის რუსული ლექსის - „ნალივაიკოს აღსარება“ თარგმანი, მაგრამ ზოგი რამ შეცვლილია და ზოგი - მის მიერ დამატებული. ამიტომ იგი თარგმანადაც შეიძლება ჩაითვალოს და მიბამვადაც. მისი შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით იხსენებს, რომ ლექსი საქართველოში მასთან სტუმრად მყოფმა ერთ-ერთმა მეგობარმა წაიკითხა (თუმცა, არ ახსოვს, რომელმა), გრიგოლმა ჩაიწერა და შემდეგ ქართულად გადათარგმნა. მისი განმარტებით, თარგმნის სტიმული მისცა ლექსის საოცარმა მსგავსებამ საქართველოს მძიმე ისტორიულ წარსულთან, მისმა შევიწროებამ სპარსელების, თურქებისა და ლეკების მიერ. იგი ასახავს საქართველოს წარსულის და არა აწმყოს ვითარებას და, შესაბამისად, მტარვალებად გამოყვანილი არიან სპარსელები და თურქები. ჩვენებაში გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ნალივაიკოს აღსარების“ მისეული თარგმანი აჩვენა მხოლოდ ელიზბარ ერისთავის იმჟამად უკვე განსვენებულ მამას - შანშეს, რათა მას ნათარგმნის მხატვრული ღირებულება შეეფასებინა. მან დაუწუნა თარგმანის ლექსთაწყობა და ენა, რის გამოც საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ბევრი რამ შეასწორა, მაგრამ ლექსის კანონსაწინააღმდეგო დანიშნულებაზე არც კი უფიქრია.

დაკითხვაზე მისგან მოითხოვენ, დაწვრილებით მოუთხროს გამოძიებლებს, რაზე საუბრობდნენ ის და ივანე აფხაზი, როდესაც 1831 წლის 3 აგვისტოს შეხვდნენ ერთმანეთს სტავროპოლში. გრიგოლის პასუხები კარგად გააზრებულია და მიზნად ისახავს მათი მხრიდან რუსეთისადმი კეთილგანწყობის დადასტურებას. იგი ამბობს, რომ, აფხაზის თქმით, რუსეთ-პოლონეთის ომზე დამოკიდებული იყო საქართველოს ბედიც. თითქოს ის შიშობდა, რომ თურქეთთან, ირანთან და პოლონეთთან წარმოებული ომების გამო, რუსეთს შეეძლო მიეტოვებინა საქართველო, რომელსაც ხარჯების მეტი არაფერი მოჰქონდა იმპერიისათვის და რომელიც მის გარეშე დაუცველი იყო. როდესაც გამოძიებელი ეკითხება, აფხაზის ეს მოსაზრებები რატომ არ ჩაიწერა დღიურში, რომელშიც მასთან შეხვედრა ჰქონდა აღწერილი, გრიგოლი პასუხობს, რომ შეეშინდა, არავის წაეკითხა. ასევე ამტკიცებს, რომ დავით ყორღანოვისა და სოლომონ რაზმადის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილები მხოლოდ პირადულ საქმეებს ეხება და არავითარი ფარული დატვირთვა არა აქვს. იგი გამოძიებელს არწმუნებს, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად მიაჩნია, მაღლიერია რუსეთის იმპერატორისა ამ მფარველობისთვის და აკრძალული ლექსის გადათარგმნის გამო პატიებას ითხოვს მისგან. იგი გამოძიებლებს ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, თუ როგორ აღწერს დღიურებში რუსეთის დიდებას, რაც გასაკვირი იქნებოდა, მას რომ იმპერიის მიმართ ცუდი განზრახვა ჰქონოდა.

ელიზბარ ერისთავი 1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში უარყოფს გრიგოლ ორბელიანის ნათქვამს, რომ მან მის მიერ თარგმნილი „ნალივაიკოს აღსარების“ ტექსტი ელიზბარ ერისთავის მამას - შანშეს აჩვენა. იგი აღნიშნავს, რომ შანშე ერისთავი იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდა და ამ ლექსის შესახებ არაფერი იცოდა. მისი ტექსტი კი გრიგოლს თავად ელიზბარმა გამოართვა.

1833

14 აპრილამდე

1832 წლის შეთქმულების საქმის საგამომიებო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებებში ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, გიორგი დავითის ძე და ელიზბარ ერისთავები ამბობენ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის გრიგოლ ორბელიანს უნდა გაემხილა შეთქმულების განზრახვა.

1833

14 აპრილი

1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებელი განუმარტავს, რომ სხვათა მიცემული ჩვენებებიდან უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ მან კონდრატ რილევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“ შეთქმულების მონაწილეთა დავალებით თარგმნა „ხალხის აღსაგზნებად“. ასევე, ეკითხებიან, იცნობს თუ არა სოლომონ რაზმაძის თხზულებებს „დათვი და ცხვარი“ და „სალამო“; ფარნაოზ ბატონიშვილის „ფარისს“; ასევე, იოსებ მამაცაშვილის თხზულებას „სიყვარული სამშობლოსადმი“. გრიგოლ ორბელიანი ისევ იმეორებს თავის ჩვენებას, რომ „ნალივაიკოს აღსარება“ თავადვე ჩაიწერა სხვების კარნახით, შემდეგ თარგმნა და აჩვენა შანშე ერისთავს, ავტორად კი ბესიკი იმიტომ მიაწერა, რომ შანშეს თავისი აზრი ლექსის შესახებ მოურიდებლად ეთქვა მისთვის. დასახელებული თხზულებებიდან ამბობს, რომ იცნობს მხოლოდ „ფარისს“, რომელიც სოლომონ რაზმაძემ გაუგზავნა ვასილი ჟუკოვსკის ლექსების თარგმანებთან ერთად, როგორც მის მიერ შესრულებული. მის ლექსთან – „იარალის“ დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პასუხობს, რომ სასაცილო მოხუცი იარალი შანშიაშვილი ფარნაოზ ბატონიშვილთან გაიცნო. იგი ხშირად ყვებოდა, როგორ დაატყვევეს სპარსელებმა და როგორ გამოიქცა. ცდილობს, გამომძიებელი დაარწმუნოს, რომ ეს ლექსი-მიმართვა ამ მოხუცისადმი უფრო სახუმაროა, ვიდრე სერიოზული და მთავრობის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს.

1833

27 აპრილი

ბარონი გრიგოლ როზენი ჟანდარმთა კორპუსს ავალებს, რომ 1832 წლის შეთქმულებაში ბრალდებული პატიმრები თბილისში ღამით ჩაიყვანონ და ავლაზრის ოფიცერთა ყაზარმებში განაწესონ. ეს ეხება გრიგოლ ორბელიანსაც.

1833

29 აპრილი

იარალი შანშიაშვილი დაკითხვის დროს 1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებლის კითხვაზე პასუხობს, რომ არ იცნობს გრიგოლ ორბელიანის მიერ მისდამი მიძღვნილ ლექსს.

1833

5 მაისი

1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში გიორგი დავითის ძე ერისთავი ამბობს, რომ ელიზბარ ერისთავმა გრიგოლ ორბელიანს შეთქმულების შესახებ მოუთხრო 1831 წელს თავის ოჯახში. ასევე, ამბობს, რომ გრიგოლი ედავებოდა და ამბობდა, რომ ეს შეუძლებელია. გამომძიებელ გენერალ-მაიორ ვლადიმერ ვოლხოვსკის შეკითხვას გრიგოლ ორბელიანის მიერ თარგმნილ „ნალივაიკოს აღსარებასთან“ დაკავშირებით პასუხობს, რომ გრიგოლმა სულ პირველად მას წაუკითხა ეს თარგმანი, როდესაც იგი ჯერ კიდევ ფანქრით, შავად იყო ნაწერი და სთხოვა, სათაურის შერჩევაში დახმარებოდა და მან სათაურად შესთავაზა უკრაინელი კაზაკის – სევერინ ნალივაიკოს მსგავსი ისტორიის მქონე ქართველის – „გივი ამილახვრის აღსარება“.

- 1833 6 მაისი**
პეტერბურგიდან გზავნიან თბილისში, სადაც განწყობულია კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბში.
- 1833 26 მაისი**
1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ვახტანგ ორბელიანი აღნიშნავს, რომ გრიგოლმა მათთან წაიკითხა „ნალივაიკოს აღსარების“ მისეული თარგმანი, მაგრამ არც ის და არც მისი მეგობრები გრიგოლ ორბელიანთან შეთქმულებაზე არ საუბრობდნენ. ეს განზრახვა მას მოგვიანებით გაუმხილა ელიზბარ ერისთავმა.
- 1833 26 ივნისი**
პოლკოვნიკი გეორჯ სუმბათაშვილი 1832 წლის შეთქმულების საქმის საგამოძიებო კომისიისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერს, რომ მათი დავალებით ყურადღებით შეისწავლა დაპატიმრების დროს გრიგოლ ორბელიანისთვის ჩამორთმეული ნაწერები და ჰპირდება, რომ იმ ფრაგმენტებს, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებას, წარუდგენს თარგმანის სახით.
- 183 30 ივნისი**
ელიზბარ ერისთავი 1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ გრიგოლ ორბელიანს შეთქმულების შესახებ ესაუბრა როგორც ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის, ისე გიორგი დავითის ძე ერისთავის თანდასწრებით. ისინი მსჯელობდნენ საქართველოს სამხედრო ძალაზე და განიხილავდნენ საკითხს, შეძლებდა თუ არა ის 100.000-იანი ლაშქრის შეკრებას.
- 1833 30 ივნისი**
გიორგი დავითის ძე ერისთავი 1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ შეთქმულების შესახებ გრიგოლ ორბელიანს ელიზბარ ერისთავის ოჯახში მან და ელიზბარმა ერთად შეატყობინეს. ამის შემდეგ ისაუბრეს სამხედრო ძალების შესახებ. გიორგიმ და ელიზბარმა იმედი გამოთქვეს, რომ 100.000 მეომარი შეიძლებოდა შეგროვილიყო, გრიგოლს კი ამაზე გაეცინა და თქვა, რომ 5000-სზე მეტის თავმოყრა ვერ მოხერხდებოდა და ისინიც სწრაფად დაიფანტებოდნენ. ამავე ჩვენებაში გიორგი ერისთავი ალექსანდრე ორბელიანთან მისი, ელიზბარ ერისთავისა და გრიგოლის შეხვედრის შესახებ ამბობს, რომ შეთქმულების საკითხთან დაკავშირებით გრიგოლი სამივეს უპირისპირდებოდა და ჩანაფიქრის განხორციელების შეუძლებლობას ამტკიცებდა. მართალია, მან საკუთარ თავზე აიღო ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის შეთქმულების განზრახვის გამხელა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თავადვე თქვა უარი ამაზე.
- 1833 30 ივნისი**
1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმნისა და სხვა ლექსების დაწერის გამო თავს დამნაშავედ გრძნობს, მაგრამ იმეორებს, რომ შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა და არც მისი გაღვივება ჰქონია მიზნად.

- 1833 ივლისის დასაწყისი**
გიორგი ერისთავი 1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებელს აძლევს ჩვენებას, რომ გრიგოლ ორბელიანმა მას აჩვენა ფანქრით ნაწერი თარგმანი ლექსისა „ნალივაიკოს აღსარება“.
- 1833 7 ივლისი**
ალექსანდრე ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში ჰყვება გრიგოლ ორბელიანთან რამდენიმე შეხვედრის ამბავს. ამბობს, რომ 1831 წლის გაზაფხულზე, ელიზბარ ერისთავთან ყოფნის დროს, მათ შემოუერთდა გრიგოლ ორბელიანიც. ელიზბარი მას შეთქმულებაზე ესაუბრა, მაგრამ გრიგოლი შეუძლებლად მიიჩნევდა მის განხორციელებას და არ დასთანხმდა მონაწილეობაზე. მეორეჯერ ალექსანდრესთან მივიდნენ გრიგოლი და ელიზბარი. გრიგოლმა ისევ უარი თქვა შეთქმულებაში მონაწილეობაზე, მაგრამ, როდესაც ალექსანდრემ გამოთქვა სურვილი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის გაემხილათ მათი განზრახვა და მისი აზრი გაეგოთ, გრიგოლმა ამის გაკეთება თავის თავზე აიღო. მესამეჯერ თავად ალექსანდრე ორბელიანი მივიდა გრიგოლთან და იქ ელიზბარ ერისთავი დახვდა. გრიგოლმა წაიკითხა კონდრატ რილევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანი. კითხვის დასრულების შემდეგ ელიზბარი აღფრთოვანებით გადაეხვია. კითხვაზე, თუ რა ბედი ეწია შემდეგ ამ ლექსს, ალექსანდრე ორბელიანმა უპასუხა, რომ არ იცოდა.
- 1833 ივლისი**
1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ორბელიანს, როგორც მოგვარეს, დიდი ხანია იცნობს, მაგრამ იშვიათად სტუმრობს.
- 1833 ივლისი**
1832 წლის შეთქმულების საქმის გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ელიზბარ ერისთავი გაიცნო 1831 წელს.
- 1833 ივლისი**
1832 წლის შეთქმულების საგამომძიებო საქმეზე დაკითხვის დროს გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი ერისთავის ჩვენება მის მიერ თარგმნილი „ნალივაიკოს აღსარების“ ფანქრით დაწერილი ვარიანტის მისთვის ჩვენების შესახებ, შეიძლება, სიმართლეს შეესაბამებოდეს, მაგრამ ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და არ ახსოვს.
- 1833 აგვისტომდე**
ავლაბრის ყაზარმაში წერს ლექსს: „მუხამბაზი“ („არავისთვის დღეს მე არა მცალიან“...).
- 1833 აგვისტომდე**
ავლაბრის ყაზარმაში წერს ლექსს: „სავათნავას მიბაძვა“ („ჭიანურო, მაღლად...“).

1833

8 აგვისტო

1832 წლის შეთქმულების საქმის საგამომიებო მასალებში იწერება 1832 წლის შეთქმულების გახსნასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მასში ნათქვამია, რომ შეთქმულების შესახებ ბარონ როზენს აცნობა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ – იესე ფალავანდიშვილმა. იმთავითვე შეიქმნა საგამომიებო კომისია და პირველ ეტაპზე დაკავდა 13 პირი. როდესაც გაირკვა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები, ასევე, იყვნენ მოსკოვში მცხოვრები ოქროპირ და პეტერბურგში მცხოვრები დიმიტრი ბატონიშვილები, ცალკე კომისია შეიქმნა პეტერბურგში. როდესაც საჭირო გახდა ბრალდებულთა ერთმანეთის პირისპირ წაყენება, გადაწყდა ზოგიერთი ბრალდებულის რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნა. ამ პირთა შორის მოხვდა გრიგოლ ორბელიანიც. დოკუმენტში ნათქვამია, რომ პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბრალდებულები უკვე თბილისში იმყოფებიან და საგამომიებო კომისია თითოეულ მათგანზე ადგენს ცალკე ამონაწერს.

1833

29 აგვისტო

1832 წლის შეთქმულების საქმის საგამომიებო კომისია გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენისადმი მიწერილ ოფიციალურ მოხსენებაში გრიგოლ ორბელიანს მოიხსენიებს იმ პირთა სიაში, რომლებმაც შეთქმულების შესახებ იცოდნენ, მაგრამ არ თანხმდებოდნენ მასში მონაწილეობაზე და რომელთა განთავისუფლებაზეც ჯერ თავს იკავებენ. ნათქვამია, რომ იმ ბრალდებულებმა, რომლებიც აღიარებდნენ მის მონაწილეობას შეთქმულებაში, შემდეგ შეცვალეს ჩვენება, მაგრამ იგი ექვეყნებოდა რჩება თავისი „არაკეთილგანმზრახი თხზულებებისთვის“.

1833

ივნისი-აგვისტო

იმყოფება თბილისის ავლაბრის ციხეში 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

1833

აგვისტო

გარდაეცვალა დედა – ერეკლე II-ის შვილიშვილი, ხორეშან ანდრონიკაშვილი-ორბელიანისა.

1833

11 სექტემბერი

თბილისიდან წერილს სწერს ძმას, ცხენოსანთა საარტილერიო რაზმის მეომარს – ზაქარია ორბელიანს და ატყობინებს დედის გარდაცვალების ამბავს. ამასთანავე, საუბრობს ოჯახის ვალსა და მისი გადახდის გზებზე.

1833

11 სექტემბრის შემდეგ

იმის გამო, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ უპატრონოდ რჩება ორბელიანების მამული, კავკასიის მთავარმართებელი – ბარონი როზენი გრიგოლ ორბელიანს ჰპირდება, რომ მის ძმას, ზაქარიას, საქართველოში განთავსებულ რომელიმე პოლკში გადმოიყვანს.

1833

19 სექტემბრამდე

ათავისუფლებენ ციხიდან, სადაც იმყოფებოდა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით და მამისეულ სახლში ატარებს თითქმის ერთ თვეს.

- 1833 19 სექტემბერი**
კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბის უფროსის – გენერალ-მაიორ ვლადიმერ ვოლხოვსკის ბრძანებით გრიგოლ ორბელიანი გადაჰყავთ ნავაგინის ქვეით პოლკში.
- 1833 სექტემბრის შემდეგ**
გზავნიან ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ ნავაგინის პოლკში ჩერქეზების წინააღმდეგ საბრძოლველად. თბილისიდან აცილებს ბიძაშვილი – ყაფლან ორბელიანი.
- 1833 2 ოქტომბერი**
გენერალი გრიგოლ როზენი რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვს უგზავნის დასკვნით საანგარიშო მოხსენებას 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დაკავებულ პირთა, მათ შორის, გრიგოლ ორბელიანის ბრალეულობის შესახებ.
- 1833 1 ნოემბერი**
რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი – გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრ ჩერნიშოვი გენერალ გრიგოლ როზენს აცნობებს იმპერატორის გადაწყვეტილებას 1832 წლის შეთქმულებაში მხილებულ პირთათვის განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით. გრიგოლ ორბელიანის შესახებ ნათქვამია, რომ იგი რამდენიმე წლით ქართველ გრენადერთა პოლკიდან უნდა გადაიგზავნოს ქვეითთა პირველი კორპუსის ერთ-ერთ რაზმში, საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით.
- 1833 14 ნოემბერი**
იღებს ბრძანებას, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სასწრაფოდ გაემგზავროს დაბა ნევიწნომისკენ.
- 1833 19 ნოემბერი**
ნავაგინის ქვეითი პოლკიდან გადაჰყავთ ნევის საზღვაო პოლკში.
- 1833 28 ნოემბერი**
ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური სტეფანე ხამუტსკი უწერს მაისის თვის ხელფასის მესამედს.
- 1834 1 თებერვალი**
წერილობით ატყობინებენ მისთვის მაისის თვის ჯამაგირის მესამედის გადაგზავნის შესახებ.
- 1833 სექტემბრიდან 1834 მარტამდე**
ნავაგინის პოლკის შემადგენლობაში ექვსი თვის განმავლობაში იბრძვის ჩერქეზების წინააღმდეგ.
- 1834 13 მარტი**
იღებს ბრძანებას, რომ სასწრაფოდ გამოცხადდეს სტავროპოლში კავკასიის შავიზღვისპირა ჯარების სარდალ, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი ველიამინოვთან.

- 1834 18 მარტი**
 მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუჯანმრთელებელი, რომ გადაჰყავთ ნევის საზღვაო პოლკში და გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი ველიამინოვისგან იღებს წინასწარ დადგენილი მარშრუტით ქალაქ ვენდენისკენ გამგზავრების ბრძანებას.
- 1834 19 მარტი**
 ტოვებს სტავროპოლს.
- 1834 20 მარტამდე**
 თავისი ძმის, ილიას, ხელით წერილს უგზავნის მეგობარს, დავით ყორღანოვს, რომელსაც სთხოვს მისთვის ბლის ხისგან გაკეთებული ჩიბუხის გაგზავნას.
- 1834 20 მარტი**
 დავით ყორღანოვი, მირზაჯანა მადათოვი და გრიგოლ ორბელიანის სხვა თბილისელი მეგობრები ილხენენ და გრიგოლის პატივსაცემად მის საყვარელ დაღესტნურ მელოდია „ჩარგას“ აკვრევენებენ ჭიანურზე.
- 1834 20 მარტის შემდეგ**
 იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის, წერილს.
- 1834 23 მარტი**
 წერილობითი თხოვნით მიმართავს ნევის საზღვაო პოლკის მეთაურს, რომ მის ნამსახურობის ნუსხაში შეავსონ გამოტოვებული ადგილები და წარადგინონ რუსეთის არმიაში უნაკლო სამხედრო სამსახურისთვის დაწესებულ ჯილდოზე.
- 1834 24 მარტი**
 ხარების დღესასწაულის წინა დღეს მდინარე დონზე გადასვლისას ამოვარდნილი საშინელი ქარი გრიგოლ ორბელიანის ნავს წყლით ავსებს და გადააბრუნებს. იგი ბეწვზე გადარჩება სიკვდილს. ძალიან განიცდის, რომ მასთან ერთად საფრთხე ემუქრებოდა პატარა მსახურ ბიჭს – ნინიკა ბაქრამესაც და ღვთის მადლიერია, რომ ყველა გადარჩა.
- 1834 25 მარტი**
 დაბა აქსაის სამხედრო მეთაურს წერილობით ატყობინებს, რომ წინა ღამით მდინარე დონზე გადასვლისას ძლიერმა ქარიშხალმა მისი ნავი ჩაძირა. ის და მისი მხლებლები, მათ შორის, სამი მენავე და 11 წლის მსახური ბიჭი, გადაარჩინეს დონის არმიის აქსაის სადგურის კაზაკებმა: ვასილი ჩერტოპრახოვმა და თეოდორ კუსაჩკინმა, რომლებმაც გაიგონეს, რომ ვიღაც შველას ითხოვდა და, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, იხსნეს ყველა.
- 1834 აპრილამდე**
 ეკატერინოდარში ხვდება ძველ ნაცნობ გოგონებს, მაგრამ იმდენად არის შეცვლილი, რომ ვერ ცნობენ.

- 1834 1 აპრილი**
ჩადის სოფელ კაზანსკაიაში.
- 1834 2 აპრილი**
სოფელ კაზანსკაიადან წერილს სწერს ზაქარია ორბელიანს. ძმას სთხოვს, რომ მან და ეფემიამ ანჩისხატში სანთლები დაანთონ დონზე გადასვლისას მისი გადარჩენის სამადლობლად.
- 1834 2 აპრილის შემდეგ**
მიემგზავრება ლიფლანდიის ქალაქ ვენდენისკენ.
- 1834 4 აპრილამდე**
ვორონეჟის გუბერნიის ერთ-ერთი საფოსტო სადგურის შენობაში მგზავრების მიერ კედელზე გაკეთებული წარწერების გვერდით წერს თავის სახელსა და გვარს და სიტყვებს: „ვინცა აქ მოხვდე, მეცა მომხედე და მე საბრალოს მომიგონებდე“.
- 1834 4 აპრილი**
ვორონეჟის გუბერნიის კიდევ ერთი საფოსტო სადგურის შენობაში კედელზე მგზავრების მიერ გაკეთებული წარწერების გვერდით წერს თავის სახელსა და გვარს და სიტყვებს: „მეც ვაწერ ჩემს სახელს, ეგებ ჩემმა მცნობმა ვინმემ წაიკითხოს და მამიგონოს“.
- 1834 5 აპრილი**
წერილს სწერს ვორონეჟის კომისარიატის კომისიას და ითხოვს მისთვის მგზავრობის თანხის ანაზღაურებას.
- 1834 აპრილის შუა რიცხვებამდე**
ნევის პოლკისკენ მიმავალი ქალაქ ყარაჩევთან ხვდება თავისი პოლკის ყოფილ ხაზინადარს – ნიკოლოზ დეხანოვს.
- 1834 15 აპრილი**
იმყოფება ქალაქ როსლავლში და წერილს სწერს ექიმ დიმიტრი აზბუშინს; მოუთხოვს თავის ამბებს და მოიკითხავს ნოვგოროდელ ახლობლებს.
- 1834 22 აპრილი**
აღდგომადღეს ჩადის ქალაქ რიგაში.
- 1834 22 აპრილის შემდეგ**
რიგიდან ჩადის ქალაქ ვენდენში და ერთ კვირაში ნიშნავენ ასეულის მეთაურად. ნახულობს ადგილობრივ უძველეს ციხესიმაგრეს.
- 1834 4 მაისი**
პატაკს უგზავნის ნევის საზღვაო პოლკის უფროსს თავისი ნამსახურობის სიის შედგენისა და ჯილდოზე წარდგენის თხოვნით.

- 1834 6 მაისი**
პოლკის ადიუტანტი, პორუჩიკი ივან მაკალინსკი გასცემს ბრძანებას გრიგოლ ორბელიანისთვის მუშკეტერთა მეხუთე ასეულის ჩაბარების შესახებ.
- 1834 16 მაისამდე**
ნევის საზღვაო პოლკთან ერთად იმყოფება ლიფლანდიაში და რუსულ ენაზე მინდობილობის წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს, რომლითაც ოფიციალურად აძლევს ნებას, რომ თავისი შეხედულებებისამებრ განკარგოს მათი კუთვნილი მამულები.
- 1834 16 მაისი**
იმყოფება ქალაქ ვალკაში და მოკითხვის წერილს სწერს ძმას – ილია ორბელიანს; ურჩევს, ბევრი იკითხოს და დიდი დრო დაუთმოს სწავლას.
- 1834 22 მაისი**
იმყოფება ვალკაში და მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს; უზიარებს ვენდენის ციხესიმაგრის ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებებს.
- 1834 მაისის ბოლომდე**
რიგიდან თბილისში წერილს უგზავნის მეგობარ დავით ყორღანოვს.
- 1834 მაისი**
იმყოფება ვალკაში და მოკითხვის წერილს სწერს თავისი ბიძის – იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის ქვრივს, მარიამ დედოფალს; უბოდიშებს ბარათის დაგვიანებისთვის და სთხოვს, რომ ამის შემდეგ წერილები რიგაში გაუგზავნოს.
- 1834 მაისი**
ნევის საზღვაო პოლკთან ერთად ბრუნდება რიგაში, სადაც პოლკს ამოწმებს კორპუსის მეთაური – გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ნეიდგარდტი.
- 1834 25 ივნისის შემდეგ**
იღებს მეგობრის, დავით ყორღანოვის, მიერ ეკატერინოგრადიდან გაგზავნილ წერილს. უყვება, როგორ ჩამორჩა პოლკს სამდღიანი გადაბმული ქეიფის გამო და შემდეგ როგორ მოხვდა ჰოსპიტალში. სწერს, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებიდან მკაცრად არავინ დაუსჯიათ და, თუ თხოვნის წერილს მისწერს მთავარსარდალ ივან პასკევიჩს, შეიძლება, მისცენ საქართველოში დაბრუნების უფლება.
- 1834 18 ივლისი**
წერილს იღებს ძმის – ზაქარია ორბელიანისგან. იგებს, რომ მთავარმართებელ გრიგოლ როზენს სიტყვა შეუსრულებია, ზაქარია საქართველოში გადაუყვანია კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველი ბატარეის ხაზინადრად და, რომ იგი ცოლის შერთვას აპირებს.
- 1834 19 ივლისი**
ჩადის ქალაქ ვილნოში.

- 1834 20 ივლისი**
იმყოფება ვილნოში და მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს. ესაუბრება დაოჯახების შესახებ და ჰპირდება, რომ, ვინც უნდა იყოს საპატარძლო, მისი საყვარელი რძალი იქნება. მის ადრინდელ სიყვარულთან დაკავშირებით, რომელიც ბარათში რუსული გრაფემა - „H“-თი არის მოხსენიებული და, სავარაუდოდ, ალექსანდრე გრიბოდოვის ქვრივი – ნინო ჭავჭავაძე იგულისხმება, სწერს, რომ ისურვებდა მისთვის ასეთ ჭკვიან და ლამაზ ცოლს, მაგრამ, რამდენადაც ეს შეუძლებელია (სავარაუდოდ, მათი ნათესაობის გამო), არ ღირს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა და სიცოცხლეზე უარის თქმა.
- 1834 20 ივლისის შემდეგ**
იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის, მიერ ეკატერინოგრადიდან გაგზავნილ წერილს. უყვება, როგორ ატარებს დროს ლხინსა და არშიყობაში. ატყობინებს, რომ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა ცოლად მოიყვანა გრიგოლის ნათესავი, მარიამ ლუარსაბის ასული ორბელიანი.
- 1834 7 აგვისტო**
ალექსანდრე ყორღანოვი წერილს უგზავნის ძმას, დავითს და ატყობინებს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობს გრიგოლ ორბელიანისთვის სამშობლოში დაბრუნების უფლების მოპოვებას.
- 1834 19 ივლისიდან სექტემბრის მეორე ნახევრამდე**
იმყოფება ვილნოში და თავის ბიძაშვილს – ანტონ ორბელიანს უგზავნის მოკითხვის წერილს, რომელშიც მოუთხრობს თბილისიდან ქალაქ ვალკამდე მგზავრობის პერიოდში გადახდენილ ამბებს.
- 1834 სექტემბრის მეორე ნახევრამდე**
ნევის საზღვაო პოლკთან ერთად იმყოფება ვილნოში. მათ სამხედრო წვრთნებს ამოწმებს გენერალი ივან პასკევიჩი და შედეგებით კმაყოფილი რჩება.
- 1834 სექტემბრის მეორე ნახევრამდე**
ნევის საზღვაო პოლკთან ერთად იმყოფება ვილნოში და მოკითხვის წერილს სწერს მაიორ ივან ჟელიხოვსკის. ატყობინებს, რომ მობეზრდა ხეტიალი, განიცდის თმაში ჭადარის მოძალეებას და სურს მიატოვოს სტრატეგიული თანამდებობა.
- 1834 20 სექტემბერი**
საპასუხო წერილს უგზავნის დავით ყორღანოვს.
- 1834 სექტემბრის შემდეგ**
იმყოფება პატარა პოლონურ დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს თავის ნათესავს – მანანა ერისთავ-ორბელიანისას. აღუწერს თავის მგზავრობას ვილნოდან ამ პატარა სოფლამდე და იქაურ ყოფას. ურჩევს, სიმღერა ასწავლოს ქალიშვილს. თავზარს სცემს იმის წარმოდგენა, რომ მისი საფლავი შეიძლება გაითხაროს უცხო მხარეში.

- 1834** **სექტემბრის შემდეგ**
იმყოფება პატარა პოლონურ დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს სანიმუშო ქვეითი პოლკის სამხედრო მოსამსახურე დიმიტრი ემელიანოვს; უყვება ნევის საზღვაო პოლკში თავისი სამსახურის შესახებ. წუხს, რომ 28 წლის ასაკში ისევ „პორუჩიკის“ ჩინითაა. მოიკითხავს სანიმუშო ქვეითი პოლკის მებრძოლებს.
- 1834** **სექტემბრის შემდეგ**
იმყოფება პატარა პოლონურ დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს ექიმ დიმიტრი აზბუშინს; უყვება სმოლენსკის გუბრენიიდან რიგაში, ლიფლანდიასა და ვილნოში მისი მგზავრობისა და ცხოვრების შესახებ; სიამოვნებით იგონებს კვეტკის წვრთნებსაც, აქებს გერმანელების ცხოვრების წესსა და კულტურას.
- 1834** **სექტემბრის შემდეგ**
იმყოფება პატარა პოლონურ დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს თავისი ექიმის ვაჟს, თეოდორ გელშერტს. უყვება სამი წლის განშორების შემდეგ საკუთარ თავგადასავალს, კარიერულ პერსპექტივებს, მოულოდნელ დაპატიმრებას, ავლაბრის „ყაზარმაში“ გატარებულ სამ თვეს და დედის დასაფლავებას.
- 1834** **22 ოქტომბერი**
ნევის საზღვაო პოლკის ადიუტანტი პორუჩიკი ივან მაკალინსკი წერილობით სთხოვს, გაუგზავნოს მის მიერ მიღებული ჯილდოების: წმინდა ანას და წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის მედლების საბუთები ნამსახურობისა და დამსახურებების სიის შესავსებად.
- 1834** **26 ნოემბერი**
რიგაში იღებს ძმის, ზაქარია ორბელიანის, მიერ თბილისიდან 23 სექტემბერს გაგზავნილ წერილს, რომლითაც იგებს მათი ნათესავის, ლუარსაბ ორბელიანის, გარდაცვალების ამბავს. ძმა, ასევე, უყვება გარდაცვლილის შვილებისა და ძმისშვილების ქონებრივი დავის შესახებ.
- 1834** **11 დეკემბერი**
იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის, მიერ თბილისიდან 1 ოქტომბერს გაგზავნილ წერილს. უყვება თავისი ნათესავის, იაგორ ყორღანოვის, ავადმყოფობისა და მასთან ერთად თბილისში დაბრუნების ამბავს. ატყობინებს, რომ, ალექსანდრე ყორღანოვის, ინფორმაციით, პეტერბურგში მყოფი ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობს შუამდგომლობას გრიგოლის საქართველოში დასაბრუნებლად. წერილის მიღებისთანავე გრიგოლი პასუხს უგზავნის დავით ყორღანოვს.
- 1834** რედაქტირებას უკეთებს ლექსს „იარალისადმი“.

- 1835 3 იანვარი**
 არტილერიის პოდპორუჩიკი ზაქარია ორბელიანი ძმას, გრიგოლ ორბელიანს, წერილთან ერთად უგზავნის კავკასიის კორპუსიდან მასთან გადასაგზავნად გამოთხოვილ საბუთებს გრიგოლ ორბელიანის წმინდა ანას და წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენებით დაჯილდოების შესახებ. ამასთან, სთხოვს, რომ საბუთების მიღება წერილობით დაუდასტუროს.
- 1835 12 იანვარი**
 არის რიგაში და მოკითხვის წერილს სწერს თავისი ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის ქვრივს – მარიამ დედოფალს. სთხოვს, რომ სამსახურის შოვნაში დაეხმაროს ექიმ მიხეილ პონომარიოვს, რომელიც ვილნოში ავადმყოფობისას მკურნალობდა მას.
- 1835 20 მარტამდე**
 იმყოფება რიგაში. ესწრება თეატრალურ წარმოდგენას, მაგრამ ისეთი აღფრთოვანებული არ არის, როგორც მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრებით.
- 1835 20 მარტი**
 ბრუნდება ვილნოში.
- 1835 20 მარტი**
 წერილს იღებს თავისი ნათესავის სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისგან.
- 1835 20-23 მარტი**
 წერს ლექსს „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“.
- 1835 23 მარტი**
 იმყოფება ვილნოში. მოკითხვის წერილს სწერს სალომე ჭავჭავაძეს, რომელსაც უამბობს თავისი იმჟამინდელი ყოფის შესახებ, ულოცავს მესამე ქალიშვილის დაბადებას და უგზავნის მისდამი მიძღვნილ ლექსს.
- 1835 7 აპრილი**
 აღდგომადღეს იღებს თბილისელი მეგობრის – დავით ყორღანოვის მიერ თბილისიდან 17 თებერვალს გაგზავნილ წერილს. უყვება, როგორ ატარებენ დროს ქორწილებსა და ღრეობებში. სწერს, რომ ყველას ძალიან მოეწონა მისი გაგზავნილი ლექსები და სთხოვს, წერა გააგრძელოს და ახალი ლექსებიც გაუგზავნოს.
- 1835 8 აპრილი**
 იღებს თბილისიდან ვილნოში ძმების – ზაქარიას და ილიას მიერ 18 თებერვალს გაგზავნილ წერილებს. ზაქარია აცნობებს, რომ დაქორწინდა ანჩისხატის დეკანოზის ქალიშვილზე, ქეთევან ალექსი-მესხიშვილზე და ოჯახის მდგომარეობამ აიძულა, შტაბში დაეწყო სამსახური. ჰპირდება, რომ ფულს მარტში გაუგზავნის. ილია უბოდიშებს წერილის გაუგზავნელობის გამო, რაც მისი ავადმყოფობით იყო გამოწვეული. სწერს, რომ უკვე სრულიად გამოჯანმრთელდა და აპირებს პოლკში დაბრუნებას.

- 1835 11 აპრილამდე**
იღებს თავისი დეიდაშვილის – ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავის წერილს. იგებს, რომ მისი შვილი – გიორგი (კიაზო) სასწავლებლად შეუყვანია პანსიონში.
- 1835 11 აპრილი**
იმყოფება ვილნოს გუბერნიაში და საპასუხო წერილს სწერს თავის დეიდაშვილს – ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავისას. ატყობინებს თავის ამბებს და უწონებს შვილის განათლებისთვის ზრუნვას.
- 1835 11 აპრილი**
იმყოფება ვილნოს გუბერნიაში და წერილს სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს, გახარებულია მისი დაქორწინების გამო, თუმცა შეძრულია თავისი სიძის – მელიტონ ბარათაშვილის უიმედო ავადმყოფობით. მოიკითხავს ახლობლებს და ძიძას.
- 1835 6 იანვრიდან - 12 აპრილამდე**
ავადმყოფობს; გართულება აქვს ფილტვებზე.
- 1835 12 აპრილი**
წერილს სწერს მეგობარს, დავით ყორღანოვს; მოიკითხავს ნაცნობთა საერთო წრეს და უყვება საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ.
- 1835 19 აპრილი**
პოლკთან ერთად მონაწილეობს რიგასა და მიტავას შორის გზის მშენებლობაში.
- 1835 25 აპრილი**
წერილს სწერს თავისი ბიძის – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის ქვრივს – მარიამ დედოფალს. წუხს იმის გამო, რომ მისთვის ექიმ მიხეილ პონომარიოვის ხელით გაგზავნილი წინა წერილი არ მიუღია; ატყობინებს თავისი ძმის – ზაქარიას დაქორწინებისა და საქართველოში გადაყვანის ამბავს.
- 1835 მაისამდე**
პოლკი, რომლის ასეულის მეთაურიც არის, ლიფლანდიაში დგას და შემდეგ გადადის ვილნოს გუბერნიაში.
- 1835 1 მაისი**
რიგაში იღებს თავისი ძმის, ზაქარია ორბელიანის, მიერ თბილისიდან 12 მარტს გაგზავნილ წერილს, რომლითაც იგებს შინაურ ამბებს. ზაქარია საყვედურობს, რატომ არ უმხელდა, თუ მასაც ასე ძალიან უყვარდა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.
- 1835 10 მაისი**
რიგაში იღებს თავისი ძმების, ზაქარია და ილია ორბელიანების, მიერ თბილისიდან 22 აპრილს გაგზავნილ წერილს. ზაქარია სწერს, როგორ მოაწყო ოჯახი. ატყობინებს, რომ სიძემ, მელიტონ ბარათაშვილმა, ბანკიდან მათი გირაოთი გაიტანა თანხა. ზაქარიას ეჭვი ეპარება, რომ მელიტონმა ამ ფულის დაბრუნება შეძლოს, მაგრამ ადრესატს სთხოვს, ნურაფერს მისწერს, რადგან ავად არის. უმცროსი ძმა ილია სწერს, რომ თავის სამხედრო დანაყოფთან ერთად მეორე დღეს მიემგზავრება აფხაზეთისკენ.

- 1835 13 მაისამდე**
იმყოფება რიგაში და წერს ლექსს „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“).
- 1835 22 მაისი**
წინანდლიდან რიგაში წერილს უგზავნიან ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები. ნინო სწერს, რომ გახარებული არიან მისი ბარათის მიღებით. ულოცავს ძმის, ზაქარიას, დაქორწინებას, მაგრამ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ იგი ასე დაიმდაბლებდა თავს და დეკანოზის ქალიშვილს შეერთავდა. ეკატერინე აცნობებს გრიგოლის დანიშნულის – სოფიო ორბელიანისა და ნათესავების ამბებს. ნატრობს გრიგოლის საქართველოში დაბრუნებას.
- 1835 მაისი**
იმყოფება დასახლება კვეტკიში და წერილს სწერს სოფიო ორბელიანის მამინაცვალს, გენერალ-ლეიტენანტ ივან სიმონიჩს. მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ მეფის მინისტრებმა დანაშაულად არ ჩაუთვალეს „წინასწარ განუზრახველი შეცდომა“. წერს, რომ შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე ეჭვის გაჩენა მის მიერ გარკვეული ტექსტების თარგმნამ გამოიწვია. ადრესატს სთხოვს, ურჩიოს, განაგრძოს სამხედრო სამსახური თუ მიატოვოს, რადგან 11 წელია, პორუჩიკის ჩინს ვერ გასცდა.
- 1835 4 ივნისი**
იმყოფება რიგაში და მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს. ატყობინებს, რომ ფიზიკურად ძალზე გახდა და დანიშნული აქვს გაძლიერებული კვებითი რეჟიმი.
- 1835 5 ივნისი**
რიგაშია და იღებს თავისი ნათესავის, მანანა ერისთავ-ორბელიანის, მიერ 13 მაისს თბილისიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი განუმარტავს წერილების მიუწერლობის მიზეზს. ირკვევა, რომ როცა ის ბარათს სწერდა ხოლმე, გრიგოლის ძმას, ზაქარიას აძლევდა გასაგზავნად, ის კი ყოველ მათგანს ხსნიდა და კითხულობდა. მართალია, ამ წერილებში საიდუმლო არაფერი იყო, მაგრამ ადრესანტისთვის ყოველად მიუღებელი იყო სხვის მიერ მისი წერილების კითხვა. მანანა ერისთავი-ორბელიანისა, რომლის ლიტერატურული სალონიც იმ დროის თბილისში მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო, გრიგოლს უწუნებს ბოლო ლექსს „დიპლოპიტო“ (იგივე „მუხამბაზი“: „სულით ერთნო, მოლხინენო) და სთხოვს, თარგმნოს მიხეილ ზაგოსკინის ისტორიული რომანი „როსლავლიოვი, ანუ რუსები 1812 წელს“.
- 1835 5 ივლისი**
იმყოფება რიგასთან ახლომდებარე სოფელ სკრონდებუდეში და იღებს ძმის, ზაქარიასა და სალომე ჭავჭავაძის წერილებს. ამით გახარებული მოიხმობს მომღერალ ჯარისკაცებს და საღამომდე მხიარულობს.
- 1835 10 ივლისამდე**
წერს ლექსს „ჩემს დას ეფ...“.

- 1835 10 ივლისამდე**
მანანა ორბელიანი სთხოვს ალექსანდრ პუშკინის „რუსლანისა და ლიუდმილას“ თარგმნას.
- 1835 10 ივლისამდე**
ავადმყოფობის გამო თავის ასეულს სხვას გადააბარებს და პოლკის მეთაურისგან ითხოვს, რომ სამკურნალოდ გაუშვან რიგის ჰოსპიტალში.
- 1835 10 ივლისი**
იმყოფება რიგის ჰოსპიტალში და მოკითხვის წერილს სწერს ნინო ჭავჭავაძეს; მადლობას უხდის ძმის, ზაქარიას, დაქორწინების მილოცვისათვის და ატყობინებს რომ ჰოსპიტალში გულის ტკივილის გამო წევს.
- 1835 15 ივლისი**
ნევის საზღვაო პოლკის უფროსი მიმართავს, რომ გამოცხადდეს რიგის სამხედრო ჰოსპიტალში.
- 1835 15 ივლისი**
ნევის საზღვაო პოლკის უფროსის დავალებით მისი ადიუტანტი გრიგოლ ორბელიანისგან მოითხოვს, რომ წარუდგინოს პატაკი თავისი ასეულის პოდპორუჩიკ ლუნჩენკოვისთვის გადაბარების შესახებ. ასევე ატყობინებს, რომ ამ პატაკის დროულად ჩაუბარებლობის გამო ველარ მისცემენ რიგის ჰოსპიტალში მკურნალობის უფლებას.
- 1835 25 ივლისამდე**
ხვდება გენერალ-ლეიტენანტ ბარონ როზენს, რომლისგანაც შეიტყობს გადასახლებიდან თეკლა ბატონიშვილის შინ დაბრუნების ამბავს.
- 1835 25 ივლისამდე**
იმყოფება ბარონ ვეისენგოფების ბაღში გამართულ მეჯლისზე.
- 1835 25 ივლისამდე**
წერილს სწერს თავის დეიდაშვილს, ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავისას.
- 1835 25 ივლისამდე**
მისი პოლკი რიგიდან გადადის ვილნოს ბანაკში, თვითონ კი შვებულებას იღებს რამდენიმე დღით.
- 1835 25 ივლისი**
იმყოფება რიგის ჰოსპიტალში და მოკითხვის წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძეს. წერილს ერთვის ლექსი „ეკატერინა ჭავჭავაძისას“ („წინანდლის ვარდო...“).

- 1835 25 ივლისი**
იმყოფება რიგაში, წერილს სწერს ზაქარია ორბელიანს და სიხარულს გამოხატავს მელიტონ ბარათაშვილის მძიმე სენისაგან განკურნების გამო. სთხოვს, ურჩიოს მათ სიძეს, რომ თავისი ვაჟი – ნიკოლოზ ბარათაშვილი სახელმწიფოს კმაყოფაზე გაგზავნოს რომელიმე, მაგალითად, დერპტის უნივერსიტეტში, რადგან, მისი თქმით, „ძალზედ სამწუხარო იქნება, თუკი მისი გონებრივი შესაძლებლობები განუვითარებელი დარჩება“.
- 1835 25 ივლისი**
იმყოფება რიგის ჰოსპიტალში და მოკითხვის წერილს სწერს სალომე ჭავჭავაძეს; უგზავნის ლექსებს, რომლებშიც აღწერილია მისი საპყრობილეში ყოფნა. ასევე, უყვება რიგაში გატარებული თავისი სამხედრო ცხოვრების წვრილმანების შესახებ.
- 1835 29 ივლისის შემდეგ**
სამძიმრის წერილს სწერს თავის ნათესავ ანა ორბელიანს და მწუხარებას გამოხატავს მისი მეუღლის, ლუარსაბ ორბელიანის, გარდაცვალების გამო.
- 1835 29 ივლისის შემდეგ**
სამძიმრის წერილს სწერს მანანა ორბელიანს მისი მაზლის – ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალების გამო.
- 1835 7 აგვისტო**
ნევის საზღვაო პოლკის უფროსი ატყობინებს, რომ მათი ერთ-ერთი ოფიცრის მსახური, გვარად იუგანოვი, გაიქცა და დაკავების დროს მისცა ჩვენება, რომ ოფიცერი ყოველგვარი მიზეზის გარეშე სასტიკად სცემდა. სთხოვს, აცნობოს, იყო თუ არა ის საქმის კურსში და შეესაბამება თუ არა სიმართლეს მსახურის სიტყვები.
- 1835 16 აგვისტო**
რიგიდან მოკითხვის წერილს სწერს თავისი ბიძის – იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის ქვრივს, მარიამ დედოფალს და აცნობებს თავისი ძმის, ზაქარიას, დაქორწინების ამბავს.
- 1835 1 ოქტომბერი**
ნევის საზღვაო პოლკის უფროსი გასცემს ბრძანებას, რომ რიგის ჰოსპიტალში მკურნალობის ჩატარების შემდეგ სამხედრო სამსახურში დაბრუნებულმა გრიგოლ ორბელიანმა პოდპორუჩიკ მაშკოვისგან ჩაიბაროს მუშკეტერთა მე-8 ასეული.
- 1835 3 ოქტომბერი**
რიგაშია და იღებს მანანა ერისთავ-ორბელიანისა და ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვის მიერ თბილისიდან 22 ივლისს გაგზავნილ წერილს თავისი ძმის, ზაქარიას, მინაწერით. ქალები სწერენ, რომ ენატრებათ და საყვედურობენ ბარათების მიუწერლობის გამო. რიგაში გაგზავნამდე წერილი შტაბში მიდის გრიგოლის ძმასთან, ზაქარიასთან, რომელიც მას კითხულობს, აღმოაჩენს, რომ ადრესანტები მასზე საყვედურს გამოთქვამენ და ბარათზე აკეთებს სახუმარო მინაწერს, რომ მიდის მათთან საჩხუბრად.

- 1835 24 ნოემბერი**
იმყოფება რიგაში და წერს ლექსს „სო...ორ“ („ვარდი ხარ? - არა!...“), რომელიც, სავარაუდოდ, მის დანიშნულს – სოფიო ორბელიანს ეძღვნება.
- 1835 26 ნოემბერი**
იღებს თბილისელი მეგობრის – დავით ყორღანოვის მიერ 24 სექტემბერს გაგზავნილ ბარათს. სწერს, რომ მოსწყინდა სამხედრო სამსახური, 8 წელია შტაბს-კაპიტანია და არავითარი პერსპექტივა არ ჩანს. ამიტომ სამოქალაქო სამსახურში აპირებს გადასვლას. ბოდის უხდის, რომ დანაპირები შირვანული ტანისამოსი ვერ გაუგზავნა.
- 1835 28 ნოემბერი**
საპასუხო წერილს უგზავნის მეგობარ დავით ყორღანოვს.
- 1835 13 დეკემბერი**
იმყოფება რიგაში და ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას უძღვნის კიდევ ერთ ლექსს „N...“ („ჰე, საყვარელო, ვის მიერ...“).
- 1835 14 დეკემბერი**
რიგაშია და იღებს მანანა ერისთავ-ორბელიანის მიერ 28 ოქტომბერს თბილისიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ატყობინებს მისი დანიშნულის, სოფიო ორბელიანის, ამბავს. სწერს, რომ ის ძველებურად კარგად გამოიყურება, მშვენივრად უკრავს ფორტეპიანოზე და მღერის. თავად მანანასა და ეკატერინე ჭავჭავაძეს გაურკვევიათ, რომ ის გრიგოლთან ჯვრისწერაზე თანახმაა. ატყობინებენ იმასაც, რომ რვა თვის შემდეგ ოჯახთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში. ამიტომ, ადრესანტი გრიგოლს არიგებს, მის გამგზავრებამდე მოახერხოს საქართველოში ჩასვლა და ჯვრისწერა.
- 1835 14 დეკემბერი**
რიგაშია და იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის, მიერ 7 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათს. ის წუხილს გამოთქვამს გრიგოლის ავადმყოფობის გამო, მაგრამ თავს ინუგეშებს, რომ მას საქართველოს უნახავად არაფერი მოუვა, ღმერთი არ დაუშვებს მის სიკვდილს საქართველოდან შორს.
- 1835 25 დეკემბერი**
საპასუხო წერილს უგზავნის მეგობარს, დავით ყორღანოვს.
- 1835** იმყოფება რიგაში და წერს პროზაულ ტექსტს „ანბავი რიგის ღომპიტალში ნათქვამი“.
- 1836 5 ივლისი**
სოფელ კლაუსცუციდან ჩადის ბირჟიში ოფიცრებთან გამოსამშვიდობებლად. შემდეგ, მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად, საშინელ წვიმაში გაუდგება გზას სოფელ მელუნისკენ, სადაც ჩადიან ღამით, გალუმპულები და დამშეულები.
- 1836 6 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად ჩადის სოფელ ვობოლნიკიში.

- 1836 7 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად ჩადის პატარა ქალაქ პონევეჟში.
- 1836 8 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად ჩერდება ქალაქ პონევეჟში.
- 1836 9 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად გადის ქალაქ პონევეჟიდან. აღწერს გზის სილამაზეს, ამსგავსებს საქართველოს და წუხს, რომ სამშობლოს ნაცვლად მხოლოდ მასთან მიმსგავსებული ადგილების ხილვითაა უნდა ინუგეშოს თავი.
- 1836 10 ივლისი**
ახალწვეულებთან ერთად გაივლის რემიგოლისა და შლიახტის სოფლებს. მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფიდან გარბის ერთი ჯარისკაცი.
- 1836 11 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად შატის და ჟეიმის სოფლების გავლით ჩადის ერთ საშინელ სოფელში, სადაც საღამოს მიდიან მაიორის ლამაზი დიასახლისის გასაცნობად.
- 1836 12 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად ჩადის სოფელ პრამლოლკაში და ჩერდება ერთ რუსულ ოჯახში, სადაც ორი ლამაზი ქალიშვილი ცხოვრობს.
- 1836 13 ივლისი**
მისდამი დაქვემდებარებულ ახალწვეულებთან ერთად პრამლოლკიდან გამოსული მთელი დღე შეუსვენებლივ აგრძელებს გზას და მხოლოდ სადილად ჩერდება.
- 1836 14 ივლისი**
სამხედრო დანაყოფები თავს იყრიან კოვნოს მახლობლად მდებარე ტყეში, პირველ საათზე კი მწყობრად მიემართებიან კორპუსის მეთაურთან შესახვედრად. იღებს მელიტონ ბარათაშვილის წერილს. საღამოს სტუმრობს გიორგი ერისთავი და მასთან რჩება.
- 1836 15-16 ივლისი**
პოლკთან ერთად კოვნოს მახლობლად ბანაკდება და შლის კარვებს.
- 1836 22 ივლისი**
წერს ლექსს „ეკატერინა ჭავ...“
- 1836 24 ივლისი**
პოლკის შესამოწმებლად მიდის სამხედრო მინისტრი – გრაფი ალექსანდრ ჩერნიშოვი. გრიგოლ ორბელიანი მორიგეა და წარდგება მის წინაშე, მაგრამ მინისტრი საერთოდ არ მიაქცევს ყურადღებას, რის გამოც ის დათრგუნულად იგრძნობს თავს.

- 1836 10 აგვისტო**
დივიზიას ამოწმებს გენერალი მიხეილ გარჩაკოვი.
- 1836 11 აგვისტო**
მარშით წარდგებიან კორპუსის მეტაურისა და გენერალ მიხეილ გარჩაკოვის წინაშე.
- 1836 25 აგვისტო**
ფელდმარშალი ივან პასკევიჩი ამოწმებს მის სამხედრო დანაყოფს.
- 1836 26 აგვისტო**
საზეიმო ვითარებაში ტარდება სამხედრო წვრთნა.
- 1836 27 აგვისტო**
ტარდება მთელი კორპუსის მანევრები, რომლის დროსაც ხდება ქალაქისა და ბანაკის ალების იმიტაცია.
- 1836 6 სექტემბერი**
ორ ოფიცერთან ერთად კოვნოში ესწრება წირვას. ათვალეირებს ჰოსპიტალს, სადაც ერთი ღამე გაატარა ნაპოლეონმა, შემდეგ ნახულობს მონასტერს და დღიურში იწერს მის ისტორიას. წუხს, რომ ხელმწიფე არ მიბრძანდა საჩვენებელ წვრთნებზე, რადგან მანევრების დროს ქალაქის ალების გამო მისგან ჯილდოებს ელოდნენ.
- 1836 8 სექტემბერი**
ანიჭებენ შტაბსკაპიტნის წოდებას
- 1836 9 სექტემბერი**
ტარდება კორპუსის საზეიმო მარში, რომელსაც არ ესწრება ჯანმრთელობის გამო. საღამოს ოფიცრებთან ერთად ვახშმობს.
- 1836 13 სექტემბერი**
კოვნოში ჯარის დასათვალეირებლად მიდის ფელდმარშალი პასკევიჩი.
- 1836 13 სექტემბერი**
წერილობითი თხოვნით მიმართავს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. სწერს, რომ 20 წლის განმავლობაში სულ სამხედრო სამსახურშია და ერთხელაც არ ყოფილა შვებულებაში. მშობლები დაეხოცნენ, დარჩა ორი ძმა და სურვილი აქვთ, მამული გაიყონ. ამიტომ საჭიროა მისი ერთი წლით თბილისში ყოფნა, რომ გაყოფის შედეგად მისთვის მიკუთვნებულ მიწაზე დაფუძნდეს და შემდეგ, როდესაც სამხედრო სამსახურს დაუბრუნდება, ვინმე სანდო ადამიანს გადააბაროს მოსავლეულად.
- 1836 14 სექტემბერი**
მონაწილეობას იღებს სამხედრო კორპუსის საზეიმო მარშში.

- 1836 14-15 სექტემბერი**
კოვნოში ტარდება სამხედრო მანევრები და მადლობას იღებს ფელდმარშალ ივან პასკევიჩისგან, რომელმაც შეამოწმა პოლკის მომზადების დონე; გრიგოლ ორბელიანის მუშაობით კმაყოფილი დარჩა ხელმწიფისაგან გაგზავნილი გენერალ-ადიუტანტი ალექსეი ლობანოვ-როსტოვსკიც.
- 1836 15 სექტემბერი**
იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს.
- 1836 16 სექტემბრამდე**
მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ილია ორბელიანს; საყვედურობს, რომ წერილებს იშვიათად სწერს; ურჩევს, გერმანული და ფრანგული ენები არ დავიწყოს; აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც აღწერს სამხედრო მოქმედებათა დეტალებს.
- 1836 16 სექტემბრამდე**
წერს განცხადებას შვებულებში გასვლის თხოვნით.
- 1836 16 სექტემბერი**
ნევის საზღვაო პოლკის მეთაურის სახელით მისი ადიუტანტი აცნობებს, რომ მოქმედი არმიის მთავარი შტაბიდან მიღებული ბრძანებით იგი არ იქნა გადაყვანილი ოფიცრად.
- 1836 16 სექტემბერი**
იმყოფება ქალაქ კოვნოში, დილაადრიან მიდის საქართველოში განლაგებული არტილერიის გარნიზონების უფროს გენერალ-მაიორ ეგორ დიტერიხსთან და უტოვებს ძმისთვის, ილიასთვის, გადასაცემ წერილს. საღამოს მასთან მიდის გიორგი დავითის ძე ერისთავი, დიდხანს საუბრობენ და ემშვიდობებიან ერთმანეთს.
- 1836 16 სექტემბერი**
იმყოფება ქალაქ კოვნოში და მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ილია ორბელიანს, სიხარულს გამოხატავს მისი ოფიცრად წარდგენის გამო; მოკითხავს ვასილ ყორღანოვსა და თავის ბიძაშვილ მიხაკო ორბელიანს.
- 1836 16 სექტემბრის შემდეგ**
რუსეთის არმიის პროპორშიკ ერნესტ შტაკელბერგს ატანს ძმისთვის – ილიასთვის გადასაცემ წერილს.
- 1836 17 სექტემბერი**
კოვნოს საყდარში, დივიზიის მეომრებთან ერთად, ესწრება პარაკლისს და შემდეგ მონაწილეობს საზეიმო მარშში. იმავე დღეს ჩადის სოფელ ლოჰში.
- 1836 20 სექტემბერი**
ჩერდება სოფელ დრასეიკში. საღამოს იკრიბებიან და კარგად ატარებენ დროს.
- 1836 21 სექტემბერი**
მისი სამხედრო დანაყოფიდან გარბის ახალწვეული პოლონელი ჯარისკაცი.

- 1836 24 სექტემბერი**
 ორრუსოფიცერთან ერთად ჩადის ქალაქკოვნოში. ხვდებიან პოლკის ხელმძღვანელობას და შესჩვიან ურმებისა და სურსათის შოვნის პრობლემებზე. ქალაქში სეირნობის დროს ერთი ოფიცერი სთხოვს შეჰყვეს დანგრეულ სახლში, რომელიც საროსკიპო აღმოჩნდება. გრიგოლი ძალიან შეწუხებულია ახალგაზრდა მეძავეების ბედით, რომლებიც სიცოცხლეს ხშირად მძიმე ავადმყოფობით და თვითმკვლელობით ამთავრებენ. კოვნოდან უკან დაბრუნებისას შეივლიან ნაცნობ ოფიცერთან, რომელთანაც იმართება წვეულება და ღამით იქვე რჩებიან.
- 1836 25 სექტემბერი**
 ბრუნდება სოფელ ლოპში. მსახურ ნინიკა ბაქრაძეს მიაქვს მისთვის ბარათი, რომლითაც ულოცავენ შტაბს-კაპიტნის წოდების მინიჭებას. გრიგოლ ორბელიანს თან უხარია და თან გული სტკივა, რომ მისი ნამსახურობის მიხედვით უკვე მაიორის წოდება უნდა ჰქონოდა, რომ არა მისი ბრალდება შეთქმულებაში მონაწილეობაზე. დღიურში იწერს, რომ გადატანილი აქვს თვრამეტი ძლიერი ბრძოლა, საპყრობილე, გადარჩენილია წყალში დახრჩობას და მძიმე სნეულებას. ამიტომ იმედოვნებს, რომ ღმერთი კვლავაც არ დატოვებს უნუგემოდ.
- 1836 26 სექტემბერი**
 მეგობრებთან ერთად ზეიმობს შტაბს-კაპიტნის წოდების მიღებას.
- 1836 27 სექტემბერი**
 პოლკის ოფიცრებთან ერთად მეზობელ სოფელში ესწრება საყდრის დღეობას, რის შემდეგაც მართავენ წვეულებას. ადგილობრივ გოგოებთან ერთად ცეკვავენ და მხიარულად ატარებენ დროს. სოფელ ლოპში დაბრუნებისას იგებს, რომ სამი ახალწვეული პოლონელი ჯარისკაცი გაექცათ. ცდილობენ მათ დაბრუნებას, მაგრამ ვერ პოულობენ.
- 1836 28 სექტემბერი**
 სხვების გასაფრთხილებლად გაროზგვითა და თავის გადაპარსვით სჯის იმ უნტეროფიცერსა და ჯარისკაცებს, რომელთაც ებარათ ახალწვეული ჯარისკაცები.
- 1836 1 ოქტომბერი**
 ჩადის სოფელ იანოვოში.
- 1836 1-2 ოქტომბერი**
 ესწრება ებრაელების ქორწილს და შემდეგ დღიურში დაწვრილებით აღწერს უცნაურ რიტუალს.
- 1836 3 ოქტომბერი**
 გამოდიან სოფელ იანოვოდან და აგრძელებენ გზას.

- 1836 4 ოქტომბერი**
ქალაქ ვილკომირისკენ მიმავალ გზაზე ისვენებენ. ერთი ჯარისკაცი დაკვრას იწყებს კლარნეტზე, მეორე – ჭიანჭურზე და, მიუხედავად დაღლილობისა, ყველა უცებ გამოცოცხლდება. დღიურში იწერს, რომ საოცარი ძალა აქვს მუსიკას. საღამოს ყელი სტკივა და როდესაც სხვა ოფიცრები გასართობად მიდიან კლუბში, ის სახლში რჩება. ეარშიყება თავის ლამაზ დიასახლის დუნიას, მაგრამ მის გულს ვერ მოიგებს და განაწყენებული მიდის დასაძინებლად. დღიურში იწერს, რომ სიყვარული ძალით არ შეიძლება.
- 1836 5 ოქტომბერი**
კიდევ ერთი დღით ჩერდებიან ქალაქ ვილკომირში. ვერ იძინებს, რადგან თავის ლამაზ დიასახლის დუნიასთან, რომელმაც ის უარყო, ღამით სხვა რჩება.
- 1836 6 ოქტომბერი**
თავის ლამაზ დიასახლისზე გაბრაზებული წერილს უტოვებს იმ ოფიცერს, რომელიც მის შემდეგ უნდა დაბინავდეს ამ სახლში და უსურვებს, რომ მას უფრო გაუმართლოს. შეუძლოდ არის და ძლივს ჩადის დაბა სტამპუნში. აწუხებს გულის ტკივილი.
- 1836 7 ოქტომბერი**
ახალწვეულებს სხვას აზარებს და თავად ჩადის სოფელ სკიმიანში.
- 1836 8 ოქტომბერი**
ერთი დღით ჩერდება სკიმიანში. დღიურში იწერს აზრებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ბედნიერება. ფიქრობს, რომ ამისთვის მთავარია ჯანმრთელობა, მაგრამ აღიარებს, რომ, როცა ჯანმრთელი იყო, შტაბს-კაპიტნის წოდების მიღება ეგონა ბედნიერება. ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბედნიერია ის, ვინც ისტორიაში ერთ ფურცელს მაინც ტოვებს.
- 1836 9 ოქტომბერი**
სოფელ უცინთან ახალწვეულები ერთად ცდილობენ გაქცევას, მაგრამ ყველას იჭერენ და გაროზგავენ.
- 1836 10 ოქტომბერი**
ჩადიან სოფელ დოვლელში.
- 1836 11 ოქტომბერი**
ერთი დღე ჩერდებიან სოფელ დოვლელში.
- 1836 12 ოქტომბერი**
ჩადიან სოფელ დედუცეში.
- 1836 13 ოქტომბერი**
ჩადიან სოფელ ეგიპეტში.
- 1836 14 ოქტომბერი**
ერთი დღით ჩერდებიან სოფელ ეგიპეტში. აწუხებს გული.

- 1836 15 ოქტომბერი**
ჩადიან დინაბურგში. ძლიერ დასუსტებულია, სამშობლოსგან შორს მყოფი სიკვდილს მოელოს. მისი პატარა მსახური ბიჭი ნინიკა ბაქრაძე შეშინებულია და ტირის.
- 1836 16 ოქტომბერი**
ასეულთან ერთად გზას ვერ აგრძელებს და გადაჰყავთ დინაბურგის ჰოსპიტალში.
- 1836 17-23 ოქტომბერი**
წევს დინაბურგის ჰოსპიტალში და უკეთ გრძნობს თავს.
- 1836 5 ნოემბრამდე**
ძმა, ზაქარია ორბელიანი, თბილისიდან უგზავნის 475 მანეთს.
- 1836 5 ნოემბერი**
რიგაშია და იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვისა და ძმის, ზაქარიას, მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილებს. ძმა ატყობინებს, რომ მისი დანიშნული სოფიო გათხოვდა და ეკითხება, მოსთხოვოს თუ არა გრიგოლის მიერ ნაჩუქარი ნივთების უკან დაბრუნება.
- 1836 15 ნოემბერი**
რიგიდან თბილისში საპასუხო წერილს უგზავნის თავის მეგობარ დავით ყორღანოვს.
- 1836 27 ნოემბერი**
იღებს ძმის, ზაქარია ორბელიანის, წერილს.
- 1836 28 ნოემბერი**
იმყოფება ლატვიაში, დინაბურგის ჰოსპიტალში და წერილს სწერს ილია ორბელიანს, ულოცავს ოფიცრის წოდებას; წუხს, რომ, წერილთან ერთად, არ შეუძლია მისალოცად ფულის გაგზავნა; ატყობინებს იმის შესახებ, რომ ძმის, ზაქარია ორბელიანის, ცოლს ვაჟი ეყოლა, რომ მათ დას – ეფემიას პატარა ვაჟი მოუკვდა და რომ მამუკა ორბელიანი (მათი ნათესავი) მძიმედ დაჭრეს.
- 1836 14 დეკემბრამდე**
ორი თვის განმავლობაში წევს დინაბურგის ჰოსპიტალში და აწუხებს ტკივილები გულ-მკერდის არეში.
- 1836 14 დეკემბერი**
მიემგზავრება ლინკოვის ველისკენ, სადაც უნდა ჩატარდეს საზეიმო მარში. ცუდი ამინდია და ნერვიულობს, რომ სანახაობა ისეთი ლამაზი არ გამოვა, როგორსაც მოელოდნენ.
- 1836 15-19 დეკემბერი**
ჩადის ქალაქ რაველის ბურგომისტრ ავგუსტ იორდანიანთან.

- 1836 20-24 დეკემბერი**
წერილს სწერს თანამებრძოლს, ივან კირილეს ძეს, უყვება თავის ამბებს და ატყობინებს, რომ უკვე აღარ აპირებს ასეულის მეთაურობას; შეწუხებულია განუწყვეტელი წვიმებისა და ნისლის გამო.
- 1837 8 იანვარი**
ნევის საზღვაო პოლკის უფროსის სახელით მისი ადიუტანტი აცნობებს, რომ გრიგოლ ორბელიანმა თავისი დაწინაურების შემდეგ იმპერატორს ხელახლა უნდა გაუგზავნოს თხოვნა საქართველოში ერთწლიანი შვებულებით გაგზავნასთან დაკავშირებით.
- 1837 14 იანვარი**
წერილს სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს, რომელსაც სთხოვს რამდენიმე წყვილი აბრეშუმის წინდისა და ხანჯლის გაგზავნას. გამოთქვამს წუხილს საქართველოში გერმანელებისა და თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების მიერ დაკავებული მათი მამულების გამო.
- 1837 იანვარი**
რიგიდან თბილისში წერილს სწერს სიძეს, მელიტონ ბარათაშვილსა და დას, ეფემიას; სთხოვს, გაუგზავნონ ხანჯალი და წინდები; აცნობებს, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მისი წერილი უკან დაუბრუნეს.
- 1837 თებერვალი**
დისწულის – ნიკოლოზ ბარათაშვილისგან იღებს წერილს, რომელშიც იგი გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ, ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერც სამხედრო სამსახურში შევიდა და ვერც უნივერსიტეტში და მსახურობს სასამართლოს მოხელედ. წერილთან ერთად უგზავნის ადრესატისადმი მიძღვნილ ლექსს „ღამე ყაზახზედ“.
- 1837 10 აპრილამდე**
წერილს უგზავნის თავის მეგობარ დავით ყორღანოვს. სწერს, რომ მისი საქართველოში ერთი წლით გაშვება უკვე გადაწყვეტილია. ასევე, ატყობინებს თავისი გაქურდვის ამბავს.
- 1837 10 მაისი**
რიგაშია და იღებს სიძის, მელიტონ ბარათაშვილსა და დის, ეფემიას წერილს; უგზავნიან ხანჯალსა და წინდებს. მელიტონი წუხს, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ თხოვნა პოლკის ხელმძღვანელობამ გრიგოლს უკან დაუბრუნა, რადგან სამხედრო მინისტრის ბრძანებით გრიგოლის კავკასიაში ჩასვლა უკვე ნებადართულია. აცნობებს, რომ ცუდად არის და ბარათს თავის ვაჟს, ნიკოლოზს, აწერიანებს. ეფემია სწერს, რომ მათმა ძმამ, ზაქარიამ ლეკები წაიყვანა გრაფ ივან პასკევიჩთან ვარშავაში. უთვლის, რომ მალე დაბრუნდეს, რადგან მათი სახლი თითქმის გავერანებულია.

- 1837 5 ივნისი**
რიგაშია და იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის, მიერ თბილისიდან 10 აპრილს გაგზავნილ წერილს. ეხუმრება მის გაქურდვასთან დაკავშირებით. სწერს, რომ ქურდი იმედგაცრუებული დარჩებოდა, რადგან ვერ წარმოიდგენდა ქართველი თავადის ქონების სიმცირეს. უყვება, რომ ერთხელ თავადაც გაქურდეს თავრიზში და ყველასთან აზვიადებდა, უამრავი რამ მომპარესო.
- 1837 7 ივლისის შემდეგ**
წერილობით ატყობინებენ, რომ სამხედრო ჰოსპიტალში სამკურნალოდ სჭირდება დივიზიის მეთაურის შუამდგომლობა და იმის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა, რომ ჰოსპიტალში მისი გაგზავნა აუცილებელია.
- 1837 ზაფხული**
მთელ ზაფხულს ატარებს ქალაქ კოვნოსთან ბანაკში.
- 1837 1 ოქტომბერი**
იმყოფება კოვნოში და მოკითხვის წერილს სწერს თავისი ბიძის – იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის ქვრივს, მარიამ დედოფალს, რომელსაც ატყობინებს, რომ მიიღო შტაბს-კაპიტნობა და „არზა ოტპუსკისა“, რომ უმცროსი ძმა, ილია, ვარშავაში გაგზავნეს და გაუთხოვდა სოფიო ორბელიანი, რომელიც ბავშვობიდან იყო მასზე დანიშნული.
- 1837 18 დეკემბერი**
ნევის საზღვაო პოლკის მუშკეტერთა მესამე ასეულის უფროსი აცნობებს, რომ მიიღო ჯარისკაცების კუთვნილი ჯამაგირი.
- 1838 -მდე**
წერს ნარკვევს „ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის ანუ მიწისა“, რომელშიც მოხმობილი აქვს არაერთი ცნობილი მეცნიერის შეხედულება.
- 1838 -მდე**
წერს ტექსტს „საქართველო ჩემის დროისა“, რომელშიც აღწერს, რა ვითარება იყო საქართველოში ალა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ.
- 1838 -მდე**
იწერს უცხო ქვეყნების შესახებ სხვადასხვა საინტერესო ფაქტს: კულტურული ძეგლების ისტორიას, დემოგრაფიულ ვითარებას, განათლებულთა რაოდენობას, რელიგიურ შემადგენლობას, უცნაურ მოვლენებს და სხვ.
- 1839 9 მარტამდე**
ბრუნდება საქართველოში და ისევ ირიცხება ქართველ გრენადერთა პოლკში, რომლის შტაბ-ბინაც იმ დროისათვის უკვე გორშია გადატანილი.
- 1839 9 მარტი**
იმყოფება გორში და იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს.

- 1839 11 მარტამდე**
იმყოფება გორში და წერს ლექსს „ჩემი ეპიტაფია“ („როს ვიყავ ცოცხალ...“).
- 1839 11 მარტამდე**
გადაჰყავთ მესამე ბატალიონში და აბარებენ მერვე ქვედანაყოფს.
- 1839 11 მარტამდე**
ხშირად სტუმრობს გრაფ ალექსანდრ ოპერმანს, მასთან თამაშობს ბილიარდს, ხოლო მის მეუღლესთან, ჟოზეფინა რონიკერ-ოპერმანისასთან – ბანქოს.
- 1839 11 მარტამდე**
შიკრიკები მიჰყავს ნუხის პროვინციაში განლაგებული ჯარების უფროსთან, გენერალ-მაიორ ანდრეი სიმბორსკისთან.
- 1839 11 მარტი**
იმყოფება გორში, წერილს სწერს ძმას, ილია ორბელიანს და სთხოვს ერთი-ორი ჯიშინი ცხენის შოვნას.
- 1839 24 მარტი**
სამხედრო რაზმთან ერთად დგას ნუხაში.
- 1839 25 მარტი**
მიდის გეინუქის ხეობისკენ. სოფელ შამჰალთან შესვენების დროს ხვდებათ ყუბისკენ მიმავალი ქართული მილიცია.
- 1839 26 მარტი**
პოდპოლკოვნიკ გუსტავ ტიზენჰაუზენის ადიუტანტი აცნობებს, რომ ლეკებმა ომი დაიწყეს და სასწრაფოდ მიემართებიან გეინუქის ხეობისკენ რუსეთის ჯარების მისამველებლად. 4 საათზე მათი დანაყოფები ერთიანდება.
- 1839 27 მარტი**
ჯართან ერთად ბანაკდება ნუხის მთაზე.
- 1839 28 მარტი**
ასრულებს გენერალ ანდრეი სიმბორსკის ბრძანებას, 60 მეგრძოლით ჩადის ხევში და განდევნის იქ ჩასაფრებულ ლეკებს. გენერალი უწონებს ტაქტიკას. ოფიცრები ულოცავენ გამარჯვებას.
- 1839 29 მარტი**
დღიურში იწერს სურსათის მოსატანად წასული ქვედანაყოფის ლეკებთან შეტაკების ამბავს.
- 1839 23 აპრილი**
ჩადის სოფელ ხაჩმაზში და დღიურში აღწერს მის გარემოს.

- 1839 23 აპრილი**
გადის სოფელ ხაჩმაზიდან და დღიურში აღწერს დაღესტნისკენ მიმავალ ხეობას.
- 1839 26-28 აპრილი**
გენერალ ანდრეი სიმბორსკის ორ ასულთან ერთად საბრძოლო ხაზის შესამოწმებლად მიდის სოფელ ბუმისკენ და იქ ბანაკდებიან.
- 1839 17 მაისი**
პოდპოლკოვნიკი გუსტავ ტიზენჰაუერი ოფიცრებს ეკითხება, როგორ აიღონ ლეკებით დასახლებული სოფელი სუვაჯალი. სოფელი მაღალ მთაზეა. გრიგოლი ურჩევს მასზე ღამით თავდასხმას, რადგან დღისით მთაზე ამავალთ იოლად დაინახავს მტერი, მაგრამ მეთაური მის აზრს არ იზიარებს. ამბობს, რომ ღამით გადაადგილება ძნელია და, თან, მისი მონაცემებით, სოფელი უკვე დაცლილია.
- 1839 18 მაისი**
არის დაღესტნისა და აზერბაიჯანის საზღვარზე და აპირებს ნაურის ექსპედიციაში გამგზავრებას, მაგრამ იღებს მოულოდნელ შეტყობინებას ნუხაში მტრის ლაშქრობის შესახებ. შტურმით იღებს სოფელ ბუმს და ნაალაფევით ბრუნდება უკან.
- 1839 19 მაისი**
ხაჩმაზიდან სამხედრო ექსპედიციის დანაყოფებთან ერთად, ჩადის სოფელ ვართაშენში და იქ ბანაკდებიან.
- 1839 20 მაისი**
ჩადის სოფელ ზეკზიტში, აწუხებს სიცხე.
- 1839 21 მაისი**
ზეკზიტში გრიგოლ ორბელიანის დანაყოფები უერთდება ბუმის ბატალიონს.
- 1839 22 მაისი**
გრიგოლ ორბელიანის რაზმი გაჭიმულია 70 ვერსზე სოფელ ბუმთან.
- 1839 24 მაისი**
დღიურში აკეთებს ჩანაწერს პოდპოლკოვნიკ გუსტავ ტიზენჰაუზენის მიერ ნაურის მთაზე წარმოებული შეტაკებების შესახებ.
- 1839 26 მაისი**
იბრძვის ლეკების წინააღმდეგ სოფელ გეინუკში, შემდეგ გადადის შინის ხეობაში და საშინელ ქარიშხალში, ყინვასა და თავსხმა წვიმაში ღია ცის ქვეშ ატარებს ღამეს.
- 1839 27 მაისი**
თეოდორ გრენგამერის დანაყოფებთან ერთად იბრძვის სალავათის მთაზე გამაგრებული ლეკების წინააღმდეგ.

- 1839 28 მაისი**
ოცეულთან ერთად გზავნიან სალავათის მთაზე დაბანაკებული ლეკების განსადევნად. ოპერაციას წარმატებით, დანაკარგების გარეშე ასრულებს.
- 1839 29 მაისი**
დღიურში აკეთებს ჩანაწერს ხეობის ვიწროებში ოფიცერ თეოდორ გრენგამერის ასეულისა და ლეკების რაზმის შეტაკების შესახებ.
- 1839 30 მაისი**
ბორცვიდან ადევნებს თვალს ხეობაში გამართულ ბრძოლას. პოდპოლკოვნიკ გუსტავ ტიზენჰაუზენს სთხოვს, უშუამდგომლოს გენერალ-მაიორ ანდრეი სიმბორსკისთან, რათა ნება მისცეს, ქვემოთ დაემშვას ასეულით და ჩაერთოს ბრძოლაში. მისი მანევრი ამართლებს, ოპერაცია წარმატებით მთავრდება და ხეობა თავისუფლდება ლეკებისაგან. გენერალ-მაიორი ანდრეი სიმბორსკი მადლობას უხდის წარმატებული ოპერაციისთვის.
- 1839 25-31 მაისი**
სალავათის მთაზე ლეკებთან სასტიკი შეტაკებების შემდეგ გენერალ სიმბორსკისადმი დაქვემდებარებულ დანაყოფებთან ერთად იხევს უკან. მოწინააღმდეგე ახერხებს მათთვის გზის გადაკეტვას და რჩებიან წყლისა და საკვების გარეშე.
- 1839 31 მაისი**
შორიდან ადევნებს თვალს თანამებრძოლების გააფთრებულ შეტაკებას ლეკებთან, მაგრამ არ შეუძლია მათი დახმარება, რადგან ღრმა ხევი ყოფთ ერთმანეთისგან. შეტაკებაში იღუპება ოფიცერი ვალოვი, რომელთან ერთადაც სამი თვე გაატარა კარავში. მას იქვე ტყეში ასაფლავებენ.
- 1839 1 ივნისი**
იმყოფება ქართველ გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილთან ერთად. ექსპედიციის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად მიდის სამი უხუცესი ლეკისგან შემდგარი დელეგაცია და ითხოვენ, რომ არ გაიყვანონ გზა სოფელ ბურჟზე.
- 1839 2 ივნისი**
ასეულით გზავნიან მაიორ პავლე ოგიევსკის დანაყოფის დასახმარებლად.
- 1839 3 ივნისი**
ოფიცერ ვალოვის საფლავზე ანთებს დიდ ცეცხლს და ემშვიდობება მეგობრის უკანასკნელ სამყოფელს. ასეულში დაბრუნებამდე იმავე ტყეში დიდ ხეზე ამოტვიფრავს წელს, თარიღსა და საკუთარ გვარს.
- 1839 10 ივნისამდე**
რითიც შეუძლია, ეხმარება დაღესტანში ლაშქრობისას დაჭრილ ვასილ თუმანიშვილს.

- 1839 3 ივნისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე**
წერილს სწერს ყაზარდოს ეგერთა პოლკის ბატალიონის მეთაურ მაიორ ნიკოლოზ ტიმერმანს და დაწვრილებით აღწერს ნაურის ექსპედიციას.
- 1839 ივნისის მეორე ნახევრიდან 24 აგვისტომდე**
წერილს უგზავნის ექიმ ვლადიმერ შმიდტს და უზიარებს ნაურის სამხედრო ექსპედიციასთან დაკავშირებულ განცდებს.
- 1839 29 აგვისტო**
ნაურის ექსპედიციიდან ჯავაში დაბრუნებული წერილს იღებს გრაფ ალექსანდრე ოპერმანისგან, რომელიც ეპატიჟება დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე.
- 1839 30 აგვისტო**
ჯავიდან წერილს უგზავნის ქართველ გრენადერთა პოლკის სარდალ ალექსანდრე ოპერმანს; წუხილს გამოთქვამს, რომ ვერ ესწრება მისი დაბადების დღის წვეულებას და მოუთხოვს სამხედრო ექსპედიციების შესახებ.
- 1839 19 ოქტომბერი**
ზაქარია ორბელიანი წერილს სწერს ალექსანდრე თარხან-მოურავს და უსამძიმრებს მამის, დავით თარხან-მოურავის, გარდაცვალების გამო. ატყობინებს, რომ ახლახან ნუხიდან დაბრუნდა გრიგოლი და მოიტანა ამბავი, რომ ადრესატის ძმა, კონსტანტინე, კარგად არის.
- 1839 23 დეკემბერი**
გორიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და სთხოვს, გაერთოს, რითაც უნდა, ოღონდ უარი თქვას ბანქოს თამაშზე.
- 1839** შეეძინა ძმისწული – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი.
- 1840 -დან**
სვიმონ ტაბიძეს თავის ხელნაწერ ანთოლოგიაში შეაქვს გრიგოლ ორბელიანის ლექსები: „ღამე“, „გამოსალმება, გზის გუშაგად მდგომარესა ხმაზედ“, „საამო არს სახილველად“, „ჟუკოვსკი დამ“, „სიყვარულსა ჯერ არს“, „რა მგამა“, „სავათნავას მიბაძვა“, „ჩემს დას ეფემიას“, „სალომეს, ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „გულით ერთნო“, „ჩემი ეპიტაფია“, „ეკატ ჭავ.“, „ვარდი ხარ?“, „მუხამბაზი“ „მირზაჯანის ეპიტაფია“, „ჰე, საყვარელო“, „მე იგი მიყვარს ლხინი“ და „ანტონს“.
- 1840 18 იანვარი**
ექსპედიციების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის იღებს კაპიტნის წოდებას.
- 1840 5 მაისი**
იმყოფება გორში და ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურის, გრაფ ალექსანდრე ოპერმანის, მეუღლეს – ჟოზეფინა რონიკერ-ოპერმანისას დღიურში უწერს ლექსს „ალბომში ღრ...ოპ“.

- 1840 25 ივნისი**
მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის იღებს მაიორის წოდებას.
- 1840** იმყოფება გორში და წერს უსათაურო ლექსს („ვინცა გნახოს...“).
- 1841 1 მაისი**
წერს ლექსს „საღამო გამოსალმებისა“ („მზე ჩაესვენა...“).
- 1841 28 მაისამდე**
წერილს უგზავნის დისწულს – ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელსაც სთხოვს მიხეილ დმიტრიევსკის ლექსებისა და ნოტების გაგზავნას. ასევე, ატყობინებს, რომ ფრანგულის სწავლა დაიწყო და წიგნები სჭირდება.
- 1841 28 მაისი**
წერილს იღებს დისწულის – ნიკოლოზ ბარათაშვილისგან. იგი ბოდიშს უხდის, რომ ვერ უშოვა მიხეილ დმიტრიევსკის ლექსები და ეხუმრება მის ასაკში ახალი ენის შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით.
- 1841 5 სექტემბრამდე**
პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის სარდლობით გვერდს უვლის ნასაკირალში გამაგრებულ აჯანყებულ გურულებს და მიემგზავრება ოზურგეთისკენ.
- 1841 5 სექტემბერი**
პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის სარდლობით ამარცხებს აჯანყებულ გურულებს ოზურგეთის მისადგომებთან.
- 1841 6 სექტემბერი**
პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის სარდლობით იკავებს ნასაკირალის გადასასვლელს.
- 1841 13 სექტემბერი**
პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის სარდლობით ამარცხებს აჯანყებულ გურულებს და იკავებს შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის ციხეს.
- 1841 სექტემბერი**
პოლკოვნიკი მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი მადლობას უცხადებს ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის.
- 1841 18 ოქტომბრამდე**
დმიტრი ჯორჯაძის ხელით წერილს უგზავნის თავის დისწულს, ნიკოლოზ ბარათაშვილს და უყვება, როგორ დაარწმუნეს გურულები, რომ აჯანყებით არაფერი გამოვიდოდა.

- 1841 18 ოქტომბერი**
წერილს იღებს თავისი დისწულის – ნიკოლოზ ბარათაშვილისგან. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს ქართველთა სამხედრო წარმატებების გამო და უგზავნის იმხანად დაწერილ ახალ ლექსს „ვპოვე ტამარი“.
- 1842 22 მარტი**
ყაზიყუმუხზე იმამ შამილის მეომრების თავდასხმის დროს ტყვედ აჰყავთ გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ილია.
- 1842 20 აპრილი**
ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის დისწულს, ნიკოლოზ ბარათაშვილს. ძალიან წუხს შამილის მეომრების მიერ თავისი ძმის, ილიას, დატყვევების გამო და სთხოვს, დაწვრილებით შეატყობინოს, რა იცის ამ საქმესთან დაკავშირებით.
- 1842 2 მაისი**
წერილს იღებს თავისი დისწულის – ნიკოლოზ ბარათაშვილისგან. ადრესანტი თანაუგრძნობს შამილის მიერ ილიას დატყვევების გამო და უამბობს, რა ხმები დადის იმის შესახებ, თუ როგორ მოხიბლა ილიამ შამილი თავისი სიმამაცით. უგზავნის ამ დატყვევების განცდით დაწერილ თავის ლექს „მერანს“ და იმედს გამოთქვამს, რომ მოახერხებენ ილიას გამოხსნას.
- 1842 8 მაისი**
ნაურის ექსპედიციაში გამოჩენილი მამაცობისთვის ჯილდოვდება წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით.
- 1842 8 მაისის შემდეგ**
წერილს სწერს ძველ თანამებრძოლს, პეტრე კშენინსკის, რომელთან ერთადაც მსახურობდა რიგაში 1835 წელს და იქიდან წამოსვლის შემდეგ აღარ უნახავს.
- 1842 8 მაისის შემდეგ**
წერილს იღებს თავისი ძველი ნაცნობის, პეტრე კშენინსკისგან, რომელიც 1835 წელს რიგიდან წამოსვლის შემდეგ არც უნახავს და არც შეხმიანებია. ადრესანტი ძალიან თბილად იგონებს მასთან ერთად რიგაში გატარებულ დროს. სწერს, რომ დაოჯახდა, ჰყავს ვაჟიშვილი და მუშაობს ყაზანის გუბერნიაში.
- 1842 19 მაისი**
თბილისის გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილისგან მისდის ძმის, ზაქარიას, წერილი, რომელიც მას ნიკოლოზის ძმის – იესესათვის გაუგზავნია.
- 1842 20 მაისი**
ქუთაისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, რომელიც სამურის რაზმთან ერთად იბრძვის მთიელების წინააღმდეგ და ულოცავს სოფელ რიჭთან მომხდარი შეტაკებისას მშვიდობით გადარჩენას.

- 1842 11 ივნისამდე**
გრიგოლ ორბელიანის ძმის – ილიას ტყვეობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი შამილი ითხოვს რუსების მიერ მძევლად წაყვანილი თავისი შვილის – ჯამალედინის განთავისუფლებას.
- 1842 11 ივნისი**
წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს. სწერს, რომ განზრახული აქვს, შამილის ტყვეობაში მყოფ მათ ძმას, ილიას, არაბულ ენაზე მისწეროს ბარათი და ზაქარიას მიაწოდოს გადასაგზავნად.
- 1842 11 ივნისი**
წერილს უგზავნის რუსეთის არმიის გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვს და ულოცავს 1842 წლის 2 ივნისს სოფელ კიულიულთან მთიელების წინააღმდეგ მოპოვებულ დიდ გამარჯვებას; სთხოვს, ნუ დატოვებს ალექსანდროპოლში და მასთან დააწყებინოს სამსახური. ასევე, ცრემლით ავედრებს ძმის, ილიას, გამოხსნას შამილის ტყვეობიდან.
- 1842 4 ივლისი**
ალექსანდროპოლიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, ულოცავს პოდპოლკოვნიკობას და სწერს, რომ თავად წარდგენილია მაიორის წოდებაზე.
- 1842 17 ოქტომბრამდე**
ინიშნება ბატალიონის მეთაურად.
- 1842 17 ოქტომბერი**
წერილს უგზავნის იმპერიის საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრ კრასოვსკის და მადლობას უხდის მის დასაწინაურებლად გაწეული შუამდგომლობისთვის; აგრეთვე აცნობებს, რომ გენერალი ვალერიან ენგელგარდტი კმაყოფილი დარჩა მისი ბატალიონის დათვალიერებით.
- 1842 22 ნოემბრამდე**
ორმოში გატარებული თითქმის რვა თვის შემდეგ, ტყვეთა გაცვლის გზით თავისუფლდება გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ილია.
- 1842**
დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილისგან იღებს წერილს, რომელსაც ერთვის ადრესანტის ლექსი „საფლავი ივერიისა“. ნიკოლოზი სთხოვს, რომ გრიგოლმაც მოიცალოს ლექსების საწერად და კვლავ ააჟღეროს დიდი ხნის დადუმებული ჩანგი.
- 1843 5 იანვარი**
გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვისგან იღებს დავალებას, რომ მოახსენოს დაღესტანში არსებული ვითარების შესახებ.
- 1843 12 იანვარი**
ვითარების ადგილზე შესასწავლად ჩადის ყუმუხში.

- 1843 14 იანვარი**
გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვს წერილობით უპატაკებს იმის შესახებ, რომ ანდალალის, ანკრატლისა და დალესტნის ზოგიერთი სხვა თემის მცხოვრებლები ამბოხებული მთიელების მხარეს გადავიდნენ, მაგრამ ყაზიყუმუხის სახანო კვლავ შამილის წინააღმდეგია.
- 1843 8 თებერვალი**
ზაქარია ორბელიანი წერილს უგზავნის ძმას, ილიას, უყვება თავის ამბებს და სთხოვს, წაკითხვის შემდეგ წერილი გრიგოლს გადაუგზავნოს, რომ ისიც დამშვიდდეს მისი კარგად ყოფნის გაგებით.
- 1843 28 მარტი**
თბილისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს და აცნობებს, რომ აპირებენ მის გაგზავნას ავარიში, თუმცა ჯერჯერობით არ იცის, რა თანამდებობა ექნება.
- 1843 მარტის ბოლო**
ინიშნება ავარიის მმართველად.
- 1843 20 აპრილი**
ჩადის ყუბაში, მოკლე წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და სთხოვს ცხენების გაგზავნას.
- 1843 22 აპრილი**
ყუბიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და აცნობებს, რომ ზაქარიასთან მიდის დაბა ხაზრაში.
- 1843 2 მაისი**
ჩადის ქალაქ ხუნძახში და ომახიანი სიტყვით მიმართავს ავარიელებს.
- 1843 2-6 მაისი**
პოდპოლკოვნიკ ვესელიცკისთან ერთად დალესტნის სადგურ ქურაქჩაის გავლით ჩადის შემახასა და ყუბაში, შემდეგ კი, გენერალ ალექსანდრ ზალივკინთან ერთად, – გუსარსა და ხაზრაში, სადაც შემოუერთდებათ გრიგოლის ძმა, ზაქარია. ბოლოს, თავის მსახურ კაკალასთან ერთად ადის დერბენდში.
- 1843 6 მაისი**
ავარიის სოფელ ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და უყვება იქ განვითარებული პროცესების შესახებ.
- 1843 6 მაისი**
ავარიის სოფელ ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და სთხოვს, დროზე მიაშველოს ცხენები.

- 1843 12 მაისი**
ავარიის სოფელ ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, რომელსაც უყვება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამ შამილისა და მისი ნაიბის – ჰაჯი-მურატის ამბებს.
- 1843 14 მაისი**
თბილისის საოლქო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბორჩალოში ორბელიანების კუთვნილი მიწების ხაზინისთვის გადაცემის შესახებ.
- 1843 14 მაისის შემდეგ**
სისხლისა და სამოქალაქო სამართლის თბილისის პალატაში ასაჩივრებს თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ბორჩალოში ორბელიანების კუთვნილი მიწების ხაზინისთვის გადაცემის შესახებ. მიწებზე მისი უფლებების დასტურად წარადგენს ქართლისა და კახეთის მეფეების, ვახტანგ V-ისა და თეიმურაზ I-ის, წყალობის სიგელებს.
- 1843 მაისი**
ალექსანდრ ხახუტოვის ხელით მოკითხვის ბარათს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს; სთხოვს აურჩიოს მოდური, მაგრამ იაფი პალტო და გაუგზავნოს ბარათის მიმტანის ხელით.
- 1843 1 ივნისი**
იღებს ძმის, ზაქარია ორბელიანის, მიერ 10 მაისს გაგზავნილ წერილს.
- 1843 3 ივნისი**
ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს. აცნობებს, რომ ავარიელებთან კარგი ურთიერთობა უყალიბდება და, რომ ნაიბ ჰაჯი-მურატთან ჰქონდა მიმოწერა.
- 1843 18 ივნისი**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. აცნობს ავარიაში შექმნილ ვითარებას და სწერს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემს, როგორც ერეკლე მეფის შთამომავალს.
- 1843 14 ივლისამდე**
ჩადის ხუნძახის ახლოს მდებარე სოფელ ტანუსში და ცხენზე ამხედრებული მიმართავს იქაურ ყადებსა და სოფლის წარჩინებულებს, სადამოს კი ხუნძახში მართავს მეჯლისს.
- 1843 14 ივლისი**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, ითხოვს კიდევ ერთ ცხენს და უყვება ავარიის ამბებს.

- 1843 14 ივლისი**
ხუნძახში იღებს რუსეთის არმიის გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის წერილს და უგზავნის პასუხს; მადლობას უხდის თანადგომისთვის და დაწვრილებით უყვება ავარიაში მისი ჩასვლის შთაბეჭდილებებს.
- 1843 ივლისის მეორე ნახევარი**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და დაწვრილებით უყვება ახალ ამბებს ავარიის შესახებ.
- 1843 12 აგვისტო**
ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და აცნობს სიახლეებს ავარიის შესახებ. წუხილს გამოთქვამს, რომ ვალების გამო ვერ ხერხდება ორბელიანთა სახლზე გალერეის მიშენება.
- 1843 21 აგვისტო**
დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილისგან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი შეახსენებს დანაპირებს მის სამხედრო სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით. უგზავნის თავის ლექსს „სულო ბოროტო“ და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ის განცდები, რომლებსაც იწვევს ადამიანში ომის საშინელება, არ აღუძრავს გრიგოლს ლექსის დაწერის სურვილს.
- 1843 27 აგვისტო**
იმყოფება ავარიაში, თალაყორის მთაზე.
- 1843 28 აგვისტო**
ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. ეკითხება ქალაქისა და მის მიერ წამოწყებული მეურნეობის ამბებს. სთხოვს, გაუგზავნოს ოთხი წყვილი მილიციელის ეპოლეტი.
- 1843 28 აგვისტო**
ხუნძახიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, რომლისგანაც ისევ ითხოვს კარგ ცხენს.
- 1843 29 აგვისტო**
ხუნძახიდან წერილს უგზავნის რუსეთის არმიის გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვს და ატყობინებს, რომ უნწყული მესამე დღეა გარშემორტყმულია მიურიდების ჯარით.
- 1843 7 სექტემბერი**
ზაქარია ორბელიანი წერილს უგზავნის უმცროს ძმას, ილიას, დარიგებებს აძლევს, როგორ უნდა გაისტუმრონ ვალები და იმედს გამოთქვამს, რომ 500 ვერცხლის მანეთით გრიგოლიც შეეწევა ოჯახის საერთო საქმეს.

- 1843 8 ნოემბერი**
 ჯუნგუთიდან წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს, და სთხოვს, ხმა შეაწიოს გრიგოლ ამბარდანოვს მოსე არღუთინსკისთან, რომ წოდებაზე წარადგინოს. სწერს, რომ გენერალმა გურკომ ვერ შეძლო არაკნის აღება, მაგრამ ახლა შიგნით ისეთი არეულობაა, რომ იოლი დასამარცხებელი იქნება.
- 1843 16 ნოემბრამდე**
 გერგებილის დაცემის, აჰყოშის, წუდახარის, მეხთულისა და საშამხლოს დალატის გამო მას, როგორც ავარიის მმართველს, ძალიან უჭირს დამშვიდება ხუნძახელების, რომლებიც შიშით ელიან შამილის გამოჩენას.
- 1843 16 ნოემბერი**
 ავარიის რაზმთან ერთად ანადგურებს ყველაფერს, რისი წაღებაც თან არ შეუძლია და ტოვებს ხუნძახს. მოსახლეობა მას ტირილით, ხელზე და სამოსელზე მთხვევით ემშვიდობება. ცოტა მოგვიანებით შამილის წინაშე თავის გასამართლებლად მათ დასადევნებლად გამოდის ადგილობრივთა რაზმი. ისმის აფეთქებების ხმა. რუსები თავად აფეთქებენ ხუნძახის სიმაგრეს.
- 1843 17 ნოემბერი**
 ავარიის რაზმთან ერთად ჩადის არაკნის ხევში.
- 1843 18 ნოემბერი**
 ავარიის რაზმთან ერთად იკავებს სოფელ ზირიანის.
- 1843 19 ნოემბერი**
 ავარიის რაზმთან ერთად ამარცხებს ჰაჯი-მურატის რაზმს, რომელთან ერთადაც იბრძვიან საშამხლოს და მეხთულის რაზმები.
- 1843 1 დეკემბერი**
 მთავარსარდლისგან იღებენ დაპირებას, რომ მაშველი ძალები მათ დახმარებას შეძლებენ 20 დეკემბრის შემდეგ.
- 1843 15 დეკემბერი**
 იმამი შამილი გენერალ დიომიდ პასეკს სთავაზობს ზირიანის დატოვებას და სთხოვს პირობებთან დაკავშირებით მოლაპარაკებას. საპასუხოდ გენერალი პასეკი ითხოვს ამანათებად ჰაჯი-მურატსა და ყიზიტ მაჰმადს. საჭიროა ამანათი რუსეთის მხრიდანაც და გრიგოლ ორბელიანი გენერალ პასეკს სთავაზობს საკუთარ თავს.
- 1843 17 დეკემბერი**
 ტოვებენ სოფელ ზირიანის, მაგრამ იმის გამო, რომ მძიმე არტილერია და ბარგი თან ვერ მიაქვთ, ნაწილს წვავენ და ნაწილს ყრიან მდინარე ყოისუში.
- 1843 18 დეკემბერი**
 30-დღიანი ალყის შემდეგ ავარიის რაზმთან ერთად გამოდის ზირიანიდან და ბურუნდუკ კალესთან შეტევაზე გადადის მოწინააღმდეგეზე.

- 1843 19 დეკემბერი**
ავარიის რაზმთან ერთად დილით ჩადის კაზანიში, შუადღისას კი – თემირხანშურაში, სადაც ხვდებიან საარტილერიო ზალპებით და საზეიმო განწყობით.
- 1843 20 დეკემბერი**
ავარიის რაზმის დაბრუნების აღსანიშნავად თემირხანშურის ტაძარში იხდიან სამადლობელ პარაკლისს.
- 1843** ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი – შამილი თხოვნით მიმართავს, უშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ დაუბრუნონ თავისი შვილი, ჯამალედინი, რომელიც სოფელ ახულგოს აღების შემდეგ ტყვედ აიყვანა რუსეთის ჯარმა.
- 1843** გენერალ კლუკი კლუგენაუს გადასცემს შამილის თხოვნას პეტერბურგში ტყვედ მყოფი თავისი შვილის – ჯამალედინის განთავისუფლების შესახებ.
- 1843** აცნობებენ, რომ იმპერატორმა უარი განაცხადა შამილის თხოვნაზე შვილის დაბრუნების თაობაზე, რადგან მას პეტერბურგში ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება და მოლაც ჰყავს, რომელიც მის სულიერებაზე ზრუნავს.
- 1843** მხედართმთავარ კლუკი ფონ კლუგენაუსგან იღებს დავალებას, განაახლოს მოლაპარაკება ჰაჯი-მურატთან.
- 1843** იმყოფება თბილისში და წერს უსათაურო ლექსს („ჰეი, გონებაგ...“).
- 1843 -დან**
ხვდება ჰაჯი-მურატის დედას.
- 1843 -დან**
იწყებს ჰაჯი-მურატთან მიწერ-მოწერას და ცდილობს მასთან ისე დაახლოებას, რომ მოახერხოს პირისპირ შეხვედრა.
- 1843 -დან**
იღებს ჰაჯი-მურატის ორ წერილს, რომლებშიც ნათქვამია, რადგან ის ადრესანტის ახლობელი და ნათესავი არ არის, ბოლომდე ვერ ენდობა. ამიტომ, სთავაზობს მოლაპარაკებას მისთვის სანდო ადამიანის – ჰასან ჰაჯის მეშვეობით.
- 1843 -დან**
სანდო ადამიანთა პირით ჰაჯი-მურატი უთვლის კითხვას, უშუამდგომლებს თუ არა მხედართმთავარ კლუკი ფონ კლუგენაუსთან, რომ აპატიონ რუსეთისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას.

- 1843 -დან**
 ჰაჯი-მურატის მიერ გამოგზავნილი ხალხი მიჰყავს კოლეგიის რეგისტრატორთან, რომელიც ურჩევს, თუ ჰაჯი-მურატს რუსეთის მხარეს გადასვლა ნამდვილად სურს, ნუ დაელოდება საქონლის მორეკვის დროს და მალე აღასრულოს განზრახვა. ამასთან, აღუთქვამენ შუამდგომლობას მთავრობასთან, რომ აპატიონ რუსეთის არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა.
- 1843 -დან**
 გენერალ კლუკი ფონ კლუგენაუს აცნობებს ჰაჯი-მურატის შემოსარიგებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ და სთხოვს, გაუგზავნოს მის მიერ ბეჭედდასმული ცარიელი ფურცელი იმის დასადასტურებლად, რომ მთავრობა თანახმაა, აპატიოს დანაშაული ჰაჯი-მურატსა და სხვა გაქცეულ პირებს.
- 1843 -დან**
 გენერალი კლუკი ფონ კლუგენაუ აცნობებს, რომ სანამ ჰაჯი-მურატის საქმეზე კორპუსის მეთაურისგან განკარგულებას მიიღებდეს, განაგრძოს მასთან ურთიერთობა და დაარწმუნოს, რომ ის სულ მცირე ხანში მიიღებს ბეჭედს და წერილს ჰასან ჰაჯისგან. ამასთან, ჰაჯი-მურატს გამოუცხადოს, რომ ბეჭდის მიღებისთანავე მზად იყოს რუსეთის მხარეს გადასასვლელად.
- 1843 -დან**
 ნდობის ნიშნად იღებს გენერალ კლუგენაუს მიერ ბეჭედდასმული ქაღალდის ჰაჯი-მურატისთვის გაგზავნის ნებართვას.
- 1843 -დან**
 ახმედხანის გარდაცვალების შემდეგ ავარიდან გადაჰყავთ მეხთულის სახანოს გამგებლად.
- 1843 -დან**
 გრიგოლ ორბელიანის ავარიის სახანოდან გადაყვანის შემდეგ ჰაჯი-მურატი რუსეთის გენერლებს არ ენდობა და მოლაპარაკებების გაგრძელებაზე უარს აცხადებს.
- 1844 13 თებერვლის შემდეგ**
 წერილს უგზავნის ელიზბარ ერისთავს და უყვება, რომ თემირხანშურასთან ხდება ძალების მობილიზება გენერლების – ალექსანდრ ლიდერსისა და ვასილი ბებუთოვის მეთაურობით. წუხს, რომ თავად არ არის ბრძოლის წინა ხაზზე, რადგან ფიქრობს, რომ წინ მნიშვნელოვანი შეტაკებებია.
- 1844 23 მარტი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და ისევ სთხოვს ცხენების გაგზავნას.
- 1844 15 აპრილამდე**
 დაღესტნიდან თბილისში წერილს უგზავნის დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილს.

- 1844 16 აპრილი**
 მიურიდების რაზმი ცდილობს სოფელ დურგელში შეჭრას, მაგრამ იქ განლაგებული კაზაკები და მილიცია გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. ისინი ახერხებენ მტრის შეტევის მოგერიებას გენერალ დიომიდე პასეკის ორი დამხმარე ბატალიონის მოსვლამდე, რის შემდეგაც მიურიდები უკან იხევენ.
- 1844 4 მაისი**
 დალესტნის სოფელ ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, უყვება ავარიის ამბებს და ისევ სთხოვს ცხენს.
- 1844 23 მაისი**
 დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილისგან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი უყვება თავისი დის – ეკატერინეს დანიშვნის ამბავს. სწერს, რომ ნინო ჭავჭავაძე-გრიგოლდოვისა 9 ივნისს ოდესაში მიემგზავრება. ბარათს ერთვის სულთნის მიერ გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილები.
- 1844 1 ივნისი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და აცნობს სიახლეებს თავის სამსახურთან დაკავშირებით.
- 1844 8 ივნისი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, ატყობინებს ხუნძახის გარნიზონის უფროსის, გენერალ-მაიორ დიომიდე პასეკის, მეთაურობით 3 ივნისს მოპოვებული სამხედრო წარმატების შესახებ და ისევ სთხოვს ცხენის გაგზავნას.
- 1844 16 ივნისი**
 ჯუნგუთაიში ვრცელდება ხმები სალათავიაში რუსეთის არმიის მარცხის შესახებ და ადგილობრივები ცდილობენ, რუსეთის მმართველობის გავლენა შეიმსუბუქონ. იმპერიის მიმართ მტრულად განწყობილი ერთ-ერთი ჯუნგუთაელი პრეტენზიით მიდის გრიგოლ ორბელიანთან. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს მათ სოფელში ავარიელების დაბანაკებასთან, ყოველი ოჯახიდან სამი ურემი თივის მოთხოვნასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც ორბელიანი გასცემს მისი გაროზგვისა და დაპატიმრების ბრძანებას. ამით აღშფოთებული სოფლის მცხოვრებლები სადამოს იკრიბებიან მეჩეთთან და მიდიან გრიგოლ ორბელიანის სახლის დასარბევად, მაგრამ რუსეთის მხარდამჭერი მათივე თანასოფლელები აჩერებენ.
- 1844 17 ივნისი**
 ჩრდილოეთ და მთიანი დალესტნის ჯარების უფროსს – კლიუკი კლუგენაუს წერილობით უპატაკებს სოფელ ჯუნგუთაიში მომხდარი არეულობის შესახებ. სწერს, რომ შესაფერისი დროა შეამზობეთა დასაპატიმრებლად და, რომ უსაფრთხოების მიზნით ჟიტომირის პოლკის ერთი ასეული გამოიძახა.
- 1844 23 ივნისი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და აცნობს სამხედრო მოქმედებების სამზადისის დეტალებს.

- 1844 1 ივლისი**
რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას ყაზანიშიდან უგზავნის მოკლე წერილს, რომელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამს ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, უსაქმურობის გამო.
- 1844 8 ივლისი**
ყაზანიშიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და ატყობინებს, რომ დაბარებულია კავკასიის მთავარმართებელ ალექსანდრ ნეიდგარდტთან, თუმცა არ იცის, რა საქმეზე.
- 1844 8 ივლისი**
იღებს პოდპოლკოვნიკის წოდებას.
- 1844 6 აგვისტო**
იმყოფება ყაზანიში, შეუძლოდაა და სიცხე აქვს. წერილს უგზავნის და ისევ ცხენის გაგზავნას სთხოვს ძმას, ილია ორბელიანს.
- 1844 18 აგვისტო**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, ატყობინებს, რომ თორმეტი დღეა აცხელებს; მოწყენილია, რადგან ბრიყვული ცხოვრება მობეზრდა.
- 1844 19 აგვისტომდე**
იმყოფება თემირხანშურაში, იღებს მეგობრის, ოფიცერ გერასიმე ყორღანოვის მიერ გაგზავნილ წერილს, მაგრამ ვერ ასწრებს პასუხის მიწერას.
- 1844 19 აგვისტომდე**
მოკითხვის წერილს უგზავნის რძალს – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისას.
- 1844 19 აგვისტო**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს, ატყობინებს, რომ ჯანმრთელობა შეერყა – ორი კვირაა აცხელებს და დაბეჯითებით სთხოვს, წერილი მისწეროს.
- 1844 6-25 აგვისტო**
აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები: შეუძლოდაა და აცხელებს.
- 1844 26 აგვისტო**
იმყოფება თემირხანშურაში, ცხელებამ გაუარა, თავს უკეთ გრძნობს და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, ულოცავს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას და წუხილს გამოთქვამს ოჯახის ვალების გასტუმრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

- 1844 27 აგვისტო**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ რუსეთის სხვადასხვა შენაერთი მთისკენ დაიძრა და შეტევითვის ემზადება.
- 1844 8 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და დაჟინებით სთხოვს, შეეხმიანოს.
- 1844 16 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და, ტრადიციულად, აცნობს ავარიის ამბებს.
- 1844 8 ოქტომბერი**
დალესტნის სოფელ ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს, რომელიც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან საგანგებო დავალებათა შემსრულებელია. ურჩევს, დაიხმაროს ნაცნობები და პოლკის მეთაურობა მოიპოვოს, თორემ ვერასდროს ამოვლენ სიღარიბიდან.
- 1844 4 დეკემბრამდე**
იღებს ძმის, ილია ორბელიანისა და მეორე ძმის – ზაქარიას მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილებს.
- 1844 4 დეკემბერი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს. ატყობინებს, რომ გამოჩნდა პოლკის მეთაურის ვაკანსიები და ცდილობს, ნაცნობების ჩარევით პოლკის მეთაურად დაანიშნინოს.
- 1844 24 დეკემბრამდე**
სოფელ ბუინაჰში თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმხანის ძმის, შაჰვალის, ქორწილში ყოფნისას მილიციის პორუჩიკ ჰაჯი-ომარ ათაბეკოვის ხელით იღებს ძმის, ზაქარია ორბელიანის წერილს.
- 1844 24 დეკემბერი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და ესაუბრება ოჯახის ვალების შესახებ.
- 1845 6 იანვარი**
იმყოფება თემირხანშურაში და იღებს ძმის, ზაქარიასა, და მისი მეუღლის ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის წერილებს.

- 1845 7 იანვარი**
იმყოფება თემირხანშურაში და წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფო პრიკაზის ვალებიდან ვერ ამოდიან. ჰპირდება დახმარებას და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სამემკვიდრეო წილის დათმობასაც კი, რომ მის ძმისშვილ ალექსანდრესაც მასავით სიღარიბეში არ მოუხდეს ცხოვრება.
- 1845 19 იანვრამდე**
იღებს წერილს ძმის – ილია ორბელიანისაგან და იგებს სიძის – მელიტონ ბარათაშვილის პარალიზების ამბავს.
- 1845 19 იანვარი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს. მსჯელობს, როგორ დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ დას – ეფემიას.
- 1845 22 თებერვლამდე**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში. მასთან შეცდომით მიაქვთ ინფანტერიის გენერლის ვასილ ბებუთოვის მიერ გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილი.
- 1845 22 თებერვალი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს.
- 1845 25 თებერვლამდე**
წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ ორბელიანისას, წუხს სახელმწიფო პრიკაზის ვალებზე და იმედს გამოთქვამს, რომ, თუ სახელმწიფო ხუნძახის დატოვებისას მის მიერ მიღებულ ზარალს – 1500 მანეთს აუნაზღაურებს, ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებათ მატერიალური მდგომარეობა. უყვება სამხედრო ოპერაციების შესახებ და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1845 27 თებერვალი**
მონაწილეობს იმ მთიელთა არეულობის ჩაცხრობაში, რომლებმაც დაიკავეს სოფელი ჭოხი და შეუტიეს აჰყოშას. არაბულ ენაზე წერს პროკლამაციებს და მოსალაპარაკებლად ხვდება აჯანყებულთა მეთაურებს.
- 1845 2 მარტი**
არეულობის ჩახშობაში დასახმარებლად ყაზიყუმუხში გრიგოლ ორბელიანის მეომრებს უერთდება მისი ძმის, ზაქარიას, სამხედრო დანაყოფი.
- 1845 4 მარტი**
ორდღიანი ერთად ყოფნის შემდეგ იძულებულია გამოემშვიდობოს ძმას – ზაქარიას, რომელიც ბრუნდება სამურის ოლქში.

- 1845 4 მარტის შემდეგ**
მაჰმად-ყადის ნაცვლად აჰყოშის წინამძღვრად ნიშნავს ზუხუმს, რომელმაც თავი გამოიჩინა ამ სოფლის შამილის შეტევისგან დაცვაში.
- 1845 11 მარტამდე**
50 მანეთს უგზავნის დას – ეფემიას, რომელსაც ქმარი ლოგინად ჩაუვარდა.
- 1845 11 მარტი**
დალესტნის სოფელ აჰყოშადან ბრუნდება სოფელ ჯუნგუთაიში და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს, რომელსაც აღუწერს მიურიდების მიერ სოფელ ჭოხის აღებას და აჰყოშაზე თავდასხმას.
- 1845 30 აპრილი**
ჯუნგუთაიდან წერილს უგზავნის ელიზბარ ერისთავს. სწერს, რომ მასზე გაბრაზებული იყო, მაგრამ მისმა ბარათმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ულოცავს ქეთევან ერისთავის ცოლად მოყვანის გადაწყვეტილებას, მაგრამ არ იცის, ჯვრისწერა უკვე იყო, თუ არა. აფრთხილებს, რომ შვილი მას უნდა მოანათვლინონ. სწერს საერთო ნაცნობების ამბებს და სთხოვს, რომ მანაც ვრცელი წერილი მისწეროს.
- 1845 12 მაისი**
ორგანიზებას უკეთებს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის საზეიმო დახვედრას, ათვალთვინებს ჩირქეის ციხეს და ახალაშენებულ ხიდს მდინარე ყოისუზე, სადამოს კი თემირხანშურაში უმართავს წვეულებას.
- 1845 13 -16 მაისი**
მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი კმაყოფილია გრიგოლ ორბელიანის მუშაობით, თემირხანშურაში ყოფნისას თითქმის ყოველდღე იწვევს სადილად, მაგრამ, მიუხედავად მისი სურვილისა, მეხთულის სახანოდან არ გადაჰყავს.
- 1845 18 მაისამდე**
იმყოფება თემირხანშურაში და იღებს სტეფანე ამიროვის წერილს.
- 1845 18 მაისი**
იმყოფება თემირხანშურაში და მოკითხვის წერილს უგზავნის ნუხის გამგებელს, გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე თარხნიშვილს. ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ წერილებს ხშირად არ სწერს და ატყობინებს მიმდინარე მოვლენებს.
- 1845 23 მაისამდე**
თემირხანშურიდან გამოსვლის დროს მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად განცხადებით მიმართავს მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვს, მაგრამ ის მის თხოვნას სხვა ოფიციალურ პირებს უგზავნის განსახილველად. პასუხი იგვიანებს და, ამის გამო, ძალიან წუხს.

- 1845 23 მაისი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და გრაფ მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი მიხეილ მასლოვი გადასცემს წერილს ძმის – ზაქარია ორბელიანისაგან, რომელსაც იმავე დღეს სწერს პასუხს.
- 1845 25 მაისი**
იმყოფება თემირხანშურაში და მოკითხვის წერილს უგზავნის მეგობრებს: ილია თარხნიშვილსა და ზაქარია ერისთავს.
- 1845 1 ივლისი**
კავკასიის ჯარების მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვს უგზავნის პატაკს, რომელშიც წერს, რომ ჩრდილოეთ დაღესტნის მმართველის – პოდპოლკოვნიკ გრიგოლ ორბელიანის ორგანიზებულობის წყალობით მათ დროულად მიიღეს ასობით ურემი ევგენიევსკის ციხიდან კირკაში სურსათის გადასატანად.
- 1845 15 ივლისი**
კავკასიის სასაზღვრო ხაზის შტაბის უფროსის მოადგილეს – გენერალ-მაიორ ივან ნორდენშტამს თემირხანშურიდან წერილობით აცნობებს, რომ დაღესტნიდან სტავროპოლში გაამგზავრეს ჰასან ჰაჯიოსა და ბიაკაი ჩირქეელის ვაჟები.
- 1845 7-23 ივლისამდე**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. გახარებულია იმის გამო, რომ დარღოს სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობისათვის ადრესატი წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა.
- 1845 23 ივლისამდე**
მონაწილეობს გრიგოლ მაჩაბლის დაკრძალვაში.
- 1845 23 ივლისი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს; აინტერესებს მისი მდგომარეობა გერზელაურთან შვიდდღიანი სასტიკი ბრძოლის შემდეგ.
- 1845 6 აგვისტომდე**
იმყოფება თემირხანშურაში და კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვს ხვდება დიდი პატივით: ცხენოსანთა ჯარის მიგებებით, ხალხის დახვედრით, „ვამას“ შემახილით, ორი გუნდის თანხლებით გამართული სადილით, სადღეგრძელოებითა და ღამით ჩირაღდნებით.
- 1845 6 აგვისტო**
მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. კმაყოფილებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიის მეფისნაცვალი, გრაფი მიხეილ ვორონცოვი ადრესატის დიდი მაქებარია და თავად გრიგოლთანაც ისეთი ახლო ურთიერთობა აქვს, რომ თემირხანშურაში ყოფნისას სადამოებით პრეფერანსის სათამაშოდ ეპატიჟება ხოლმე.

- 1845 21 ოქტომბერი**
გარდაეცვალა დისწული, რომანტიკოსი პოეტი – ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაგრამ მას ამის შესახებ არავინ არაფერს ეუბნება.
- 1845 12 ნოემბერი**
იმყოფება თემირხანშურაში და ბიძაშვილის – მიხეილ ორბელიანისგან იგებს დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილის, მძიმე ავადმყოფობის ამბავს, რის შესახებაც მისთვის გრიგოლის ძმას – ილია ორბელიანს მიუწერია. იმის გამო, რომ მიხეილმა ბარათი არ აჩვენა, ეჭვი უჩნდება, რომ ნიკოლოზი გარდაცვლილია, წერილს უგზავნის ილიას და ევედრება, სიმართლე გააგებინოს.
- 1845 29 ნოემბერი**
თემირხანშურაშია და თბილისიდან იღებს ძმის, ილიას, მიერ გაგზავნილ წერილს. ძმა წუხს მისი ავადმყოფობის გამო და სთხოვს, თავს გაუფრთხილდეს. უმხელს განჯაში მათი დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გარდაცვალების ამბავს.
- 1845 1 დეკემბერი**
გენერალ კუდაშოვთან ერთად იგერიებს შამილის მეომრების თავდასხმას სოფელ ხოჯალმაქთან.
- 1845** ლეიტენანტ ალექსანდრ ლიდერსის დავალებით მადლობას უცხადებს და აჯილდოებს მეომრებს.
- 1846 14 იანვარი**
იღებს პოლკოვნიკის წოდებას.
- 1846 19 იანვარი**
წერილს იღებს დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლობლის, ლევან მელიქიშვილისგან. იგი აღწერს თავის განცდებს საუკეთესო მეგობრის გარდაცვალების გამო და წერს, რომ საქართველომ მისი სახით დაკარგა უერთგულესი მამულიშვილი და უნიჭიერესი პოეტი. ამასთანავე, აცნობებს სასიამოვნო სიახლეს, რომ ნიკოლოზის ახლობლებს სურთ მისი ლექსების წიგნად გამოცემა და ამისთვის 5 დღეში 17 კაცის ხელმოწერით უკვე შეაგროვეს 1000 მანეთი. ასევე, თავი მოუყარეს ავტოგრაფებს და გადაწყვიტეს, წიგნისთვის ფოტოც დაერთოთ. ადრესანტს სურს, რომ გრიგოლმა დაწეროს წინასიტყვაობა (ლექსად), ბიოგრაფია და ძეგლისთვის ეპიტაფია. ამასთანავე, სთხოვს, ამ ტექსტებთან ერთად გაუგზავნოს 80 მანეთი, რომელზეც მისმა ძმამ, ზაქარია ორბელიანმა, წიგნისთვის შემოწირულობების შეგროვებისას მისი სახელით მოაწერა ხელი.
- 1846 18 თებერვლამდე**
ყოველდღიურად კითხულობს „დავითნის“ თითო კანონს და წუხს „სულისათვის უსარგებლოდ გავლილი წლებისათვის“.

- 1846 18 თებერვალი**
იმყოფება თემირხანშურაში და მოკითხვის წერილს უგზავნის მანანა ერისთავ-ორბელიანს; შეახსენებს, რომ დაიწყო დიდმარხვა; სთხოვს, განერიდოს ამაოებას და იზრუნოს სულის ცხონებისთვის.
- 1846 20 თებერვალი**
ჯილდოვდება წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით.
- 1846 18 მარტი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და კმაყოფილებას გამოთქვამს აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის მეთაურად მისი მოსალოდნელი დანიშვნის გამო.
- 1846 7 აპრილამდე**
თემირხანშურიდან თბილისში სააღდგომოდ წერილსა და ფულს უგზავნის დას, ეფემია ორბელიან-ბარათაშვილისას.
- 1846 7 აპრილის შემდეგ**
თემირხანშურაშია და თბილისიდან იღებს დის, ეფემია ორბელიან-ბარათაშვილის, მიერ გაგზავნილ ბარათს. ემადლიერება წერილისა და 50 მანეთის გაგზავნისთვის.
- 1846 29 აპრილამდე**
ჯუნგუთაიში იღებს ძმის, ილია ორბელიანის, მიერ გადაგზავნილ წერილებს, რომლებიც კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვს ამ უკანასკნელისთვის მიუწერია. მეტად გახარებულია მთავარსარდლის მიერ მისი ძმისადმი გამოჩენილი ყურადღებით და ფიქრობს, რომ ეს ილიას კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
- 1846 29 აპრილი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს.
- 1846 27 მაისამდე**
ასაფლავებს ბრძოლის დროს გარდაცვლილ თავის ბიძაშვილს, მიხეილ ორბელიანს, შემდეგ ჯარით მიდის დალესტნის სოფელ ოლლიში და ემზადება კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის, შესახვედრად.
- 1846 27 მაისი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს, აცნობს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სტუმრობის ამბავს და სიხარულით ატყობინებს იმასაც, რომ გრაფმა აფშერონის პოლკის მეთაურად დანიშვნა აღუთქვა მათ ძმას, ზაქარიას.
- 1846 1 ივნისი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ზაქარია ორბელიანს და სთხოვს, როგორმე დაეხმაროს თემირხანშურის ჰოსპიტლის ექიმ ედუარდ გოლმბლატს.

- 1846 1 ივნისი**
იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს. ადრესანტი სთხოვს, რომ ბარათის მიმტანი, განჯის არქიმანდრიტის დისწული, თავისთან ამსახუროს და წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.
- 1846 1 ივლისამდე**
წერილს იღებს ოთარ ქობულაშვილის ქვრივის, ბარბარე ხერხეულიძე-ქობულაშვილისგან, რომელიც სთხოვს ვალის გასტუმრებას. გრიგოლ ორბელიანი უგზავნის ას მანეთს და სწერს, რომ მეტი არა აქვს და სანამ არ იშოვის, ნუ შეაწუხებს.
- 1846 1 ივლისი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და სთხოვს, როგორმე ფინანსურად დაეხმაროს მათ დას – ეფემიას, რადგან თავად იძულებული გახდა, რომ დისტოვის გასაგზავნი ასი მანეთი მევალისთვის მიეცა.
- 1846 29 ივლისი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. სწერს, რომ ძალიან მოწყენილია და მთლად გაჭაღარავდა. სთხოვს, შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მათ დას – ეფემიას, რომელსაც ქმარი ინვალიდი ჰყავს და ერთადერთი ვაჟი დაელუპა.
- 1846 2 სექტემბრამდე**
ჩადის თემირხანშურაში, რათა დაესწროს თავისი ძმის – ზაქარია ორბელიანის მიერ აფშერონის პოლკის ჩაბარებას.
- 1846 2 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ბიძაშვილს – ყაფლან ორბელიანს, აფრთხილებს, რომ ქვეში მისი სოფელია და იქ თათრები არ ჩაუსახლოს.
- 1846 13 ოქტომბერი**
მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის ჯარებთან ერთად ბრძოლით იბრუნებს შამილის მეომრების მიერ დაკავებულ აიმაკს, შემდეგ კი წვავს და ანადგურებს მას.
- 1846 14 ოქტომბერი**
რუსეთის არმიის დანაყოფებთან ერთად ჩადის ლევაში, საიდანაც შამილის ჯარები გადადის ქუთიშის მიმართულებით.
- 1846 15 ოქტომბრამდე**
მონაწილეობს აჰყოშის სამდღიან, სისხლისმღვრელ ბრძოლაში.
- 1846 15 ოქტომბერი**
მისდამი დაქვემდებარებულ დანაყოფებთან ერთად არღვევს მოწინააღმდეგის პიკეტებს და უახლოვდება სოფელ ქუთიშას. შემდეგ მას უერთდებიან სხვა რაზმები და ერთობლივი შეტევით ამარცხებენ იქ დაბანაკებულ მიურიდებს.

- 1846 15 ოქტომბერი**
 ძმასთან, ზაქარია ორბელიანთან, ერთად იბრძვის იმამ შამილისა და მისი 15 ნაიბის რაზმების წინააღმდეგ ლევაშის რაიონის სოფელ ქუთიშაში და დამაჯერებლად იმარჯვებს.
- 1846 22 ოქტომბერი**
 ბრუნდება თემირხანშურაში, სადაც საზეიმო დახვედრას უწყობენ გენერალ ვასილ ბებუთოვს.
- 1846 24 ოქტომბერი**
 აჰყოშის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის მადლობას უხდის კორპუსის უფროსი, მხედართმთავარი მიხეილ ვორონცოვი.
- 1846 24 ოქტომბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და უყვება ბოლოდროინდელი საბრძოლო მოქმედებების შესახებ.
- 1846 8 ნოემბერი**
 მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვს უგზავნის პატაკს, რომელშიც აღწერს ქუთიშასთან ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანისა და აფშერონის პოლკის მეომრების წარმატებას.
- 1846 3 დეკემბრამდე**
 გრიგოლ ორბელიანი და მისი ძმა – ზაქარია მინდობილობებს უგზავნიან ძმას – ილია ორბელიანს, რომ მან შეძლოს მათი საერთო ქონების დამოუკიდებლად განკარგვა.
- 1846 3 დეკემბერი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს და სთხოვს სასამართლო საქმესთან დაკავშირებით განჯელი პროტოპოპოვის დახმარებას; ჰპირდება, რომ შვებულებას აიღებს და ინახულებს.
- 1846 13 დეკემბერი**
 ჰაჯი-მურატის მეომრები ღამით ჯუნგუთაიდან იტაცებენ ახმედ-ხანის ქვრივს – ნოხ-ბიქეს, რომლის შერთვაც ადრე ჰაჯი-მურატს სურდა, თუმცა შამილს, დაბალი სოციალური წარმომავლობის გამო, არ დაურთავს ნება. გრიგოლი მაშინვე უკან დაედევნება მცირერიცხოვანი ჯარით, მაგრამ ვერ დაეწევა. მომხდარის გამო იძულებულია გადადოს თბილისში შვებულებით გამგზავრება.
- 1846 13 დეკემბრის შემდეგ**
 მისი რჩევით, შამილის მიერ ახმედ-ხანის ქვრივის დატყვევების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ მის ოჯახსა და მემკვიდრეობას გენერალ-ლეიტენენტი ვასილ ბებუთოვი მეურვეობისთვის რუსეთის იმპერიის ერთგულებაში კარგად გამოცდილ პროპორშიკს – შიხშაბეკ ტურლოვს გადასცემს.
- 1846 13 დეკემბრის შემდეგ**
 სრულად იბარებს მეხთულის სახანოს გამგებლობას.

- 1846 13 დეკემბრის შემდეგ**
ახმედ-ხანის შვილების თავდასხმისგან დასაცავად ყოველ ღამით გზავნის 25 ჯარისკაცს აფშერონის ბატალიონიდან და 15 ერთგულ კაცს სოფლის მცხოვრებთაგან.
- 1846 29 დეკემბერი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ჰაჯი-მურატის მიერ ხანის ცოლის გატაცების გამო ვეღარ ახერხებს შვებულებით თბილისში ჩასვლას.
- 1846 29 დეკემბერი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. ატყობინებს, რომ ჰაჯი-მურატის მიერ ხანის ცოლის გატაცების გამო ვეღარ ახერხებს შვებულებით თბილისში ჩასვლას.
- 1846** სოფელ ქუთიშასთან მოპოვებული სამხედრო წარმატებისთვის ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით.
- 1847 11 იანვარი**
თემირხანშურაში დაგვიანებით იღებს რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის მიერ 1846 წლის 25 დეკემბერს გაგზავნილ წერილს.
- 1847 12 იანვარი**
იმყოფება სოფელ ჯუნგუთაიში და მოლაპარაკებებს აწარმოებს ავარიიდან გამოგზავნილ პირთან ახმედ-ხანის ცოლის, ნოხ-ბიქეს, გამოხსნასთან დაკავშირებით.
- 1847 13 იანვარი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს. უყვება ახმედ-ხანის ცოლის, ნოხ-ბიქეს, გამოხსნასთან დაკავშირებით წარმოებული მოლაპარაკებების შესახებ, რომლებიც იმხანად წარუმატებელი იყო.
- 1847 13 იანვარი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და დაწვრილებით უყვება თემირხანშურის კულტურული ცხოვრების: თეატრების, კლუბების, წვეულებებისა და სხვა გასართობების შესახებ.
- 1847 16 იანვარი**
თავისი ცხენოსანი რაზმით უკან დაედევნება გუმბეთის ნაიბ აბაქარ-დიბირს, რომელმაც ააოხრა ებრაელების დასახლება დადესტნის სოფელ თარკოში და არქაზის მთაზე მომხდარ შეტაკებაში სასტიკად დაამარცხებს მას.
- 1847 20 იანვარი**
ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს, უყვება არქაზის მთაზე ბრძოლის შესახებ და ატყობინებს, რომ ტყვედ აყვანილი მიურიდების განთავისუფლების სანაცვლოდ ნოხ-ბიქეს დაბრუნება მოითხოვა.

- 1847 9 თებერვალი**
 ჯუნგუთაიში იღებს წერილებს ბიცოლის – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილის, ბიძაშვილ ყაფლან ორბელიანისა და რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაგან.
- 1847 10 თებერვალი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას.
- 1847 15 თებერვლის შემდეგ**
 ჯუნგუთაიში იღებს კავკასიის მეფის ნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მიერთბილისიდან გაგზავნილ წერილს. იგი ულოცავს გუმბეთის ნაიბ აბაქარ-დიბირზე გამარჯვებას. ადრესანტის თქმით, ყველა აღიარებს, რომ მეხთულელები ვერ გაბედავდნენ ასეთ რთულ პოზიციაში იერიშის მიტანას, გრიგოლი რომ არ ჰყოლოდათ წინამძღოლად. ავალებს, მიაწოდოს ცნობები ნოხ-ბიქეს ურთიერთობის შესახებ შამილთან, ჰაჯი-მურატთან და დანიილ-ბეგთან. აინტერესებს, სად იმყოფება ჰაჯი-მურატის მიერ გატაცებული ნოხ-ბიქე და შვილებს რაიმე შეტყობინება ხომ არ მიუღიათ მისგან. სწერს, რომ ჰაჯი-მურატს კარგად ჰქონდა ოპერაცია დაგეგმილი და მისთვის გასაგებია, რომ უფრო სწრაფი და ეფექტური რეაგირება შეუძლებელი იყო.
- 1847 27 თებერვალი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს, უყვება იმამ შამილისა და ავარიის ყოფილი მმართველის – ახმედ-ხანის მეუღლის, ნოხ-ბიქეს ამბებს.
- 1847 7 მარტი**
 იღებს ძმის – ზაქარია ორბელიანისაგან გადმოგზავნილ მეორე ძმის, ილიასა და რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, წერილებს.
- 1847 8 მარტამდე**
 იღებს წერილებს ავარიის ყოფილი მმართველის, ახმედ-ხანის მეუღლე ნოხ-ბიქეს, დანიილ სულთნისა და ინფანტერიის გენერალ ვასილ ბებუთოვისგან.
- 1847 8 მარტი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ზაქარია ორბელიანს, და აცნობებს, რომ აპირებს ავარიის ყოფილი მმართველის – ახმედ-ხანის მეუღლის, ნოხ-ბიქეს გამოსახსნელად წასვლას.
- 1847 8 მარტი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ბარათს ურთავს 50 მანეთს და წერილს თავისი დის – ეფემიასთვის გადასაცემად.

- 1847 8 მარტი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის დას – ეფემია ორბელიან-ბარათაშვილისას, ამხნევებს და ჰპირდება, რომ არაფერს დაიშურებს მისთვის.
- 1847 10 მარტი**
 ტყვეობიდან ათავისუფლებს ავარიის ყოფილი მმართველის, სულთან ახმედ-ხანის, მეუღლეს – ნოხ-ბიქეს და მიჰყავს სოფელ ჯუნგუთაიში.
- 1847 14 მარტამდე**
 გრიგოლ ორბელიანი, როგორც მეხთულის სახანოს მმართველი, ჩრდილოეთ დაღესტნის მმართველ გენერალ ვასილ ბებუთოვთან ერთად მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს უპატაკებს ჯუნგუთაიდან ახმედ-ხანის ცოლის – ნოხ-ბიქეს გატაცების დეტალებს. სწერს, რომ ჰაჯი-მურატმა ეს მოახერხა თავისი დის, ფატმას, მეშვეობით, რომელიც ნოხ-ბიქეს ერთ-ერთი მსახური იყო. მან გააგებინა ძმას ქალბატონის ადგილმდებარეობა, ფანჯრიდან ჩაუშვა კიბე, მოატაცებინა და თავადაც მათ გაჰყვა.
- 1847 14 მარტი**
 მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვს უგზავნის საიდუმლო პატაკს, რომელშიც აღწერს ქუთაისთან ბრძოლაში აფშერონის ქვეითი პოლკის მეთაურის – გრიგოლ ორბელიანისა და მისი მეომრების მიერ მოპოვებულ წარმატებას.
- 1847 16 მარტი**
 ახმედ-ხანის ქვრივის – ნოხ-ბიქესგან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი მადლობას უხდის მისი და მისი შვილების მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის.
- 1847 25 მარტი**
 ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით.
- 1847 31 მარტი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, აცნობებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნა ავარიის ყოფილი მმართველის სულთან ახმედ-ხანის მეუღლე – ნოხ-ბიქე; ენატრება სახლი და ოცნებობს, კიდევ ერთხელ იხილოს ძმების, ზაქარიასა და ილიას, ჭიდაობა განთიადის ჟამს.
- 1847 10 აპრილი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სთხოვს, დახმარება აღმოუჩინოს შტაბსკაპიტან ესტატე მაჩაბელს, რომელმაც იჩხუბა პოდპოლკოვნიკ ობუხოვთან.
- 1847 27 აპრილი**
 ჯუნგუთაიში იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის ორ წერილს.

- 1847 28 აპრილი**
 ჯუნგუთაიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; ატყობინებს, რომ, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, თემირხანშურაში დასრულდა მეჯლისები, თეატრები და ახლა საზოგადოება ბაღში სეირნობით ირთობს თავს.
- 1847 4 ივნისი**
 გერგებელზე შეტევისას მეთაურობს აფშერონის პოლკის პირველ ბატალიონს და ვარშავის რაზმს. მიურიდები თავდადებით იბრძვიან. შეტევა წარუმატებლობით და დიდი დანაკარგით მთავრდება. მისდამი დაქვემდებარებული შენაერთებიდან 437 ადამიანი იღუპება.
- 1847 5 ივნისი**
 მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი წერილობით მიმართავს დადესტნის რაზმს, აქებს სოფელ გერგებელზე შეტევის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის და განსაკუთრებით გამოყოფს აფშერონის ქვეითი პოლკის მეთაურის – პოლკოვნიკ გრიგოლ ორბელიანის თავდადებას.
- 1847 11 ივნისი**
 აფშერონის პოლკში გავრცელებულმა ქოლერამ სხვა 153 მეომართან ერთად იმსხვერპლა ამ პოლკის მეთაური, გრიგოლ ორბელიანის ძმა – ზაქარია ორბელიანი.
- 1847 11 ივნისის შემდეგ**
 სამძიმრის ბარათს სწერს ძმის, ზაქარიას, მეუღლეს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; სულით ხორცამდე შეძრულია ძმის, ზაქარიას, დაღუპვის გამო.
- 1847 16 ივნისამდე**
 წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს.
- 1847 17 ივნისის შემდეგ**
 იღებს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, წერილს. ადრესანტი უსამძიმრებს ძმის, ზაქარიას, გარდაცვალების გამო და ჰპირდება, რომ იზრუნებს მის ოჯახზე. სთავაზობს ძმის თანამდებობაზე, აფშერონის პოლკის მეთაურად დანიშვნას. სწერს, რომ ეს არა მხოლოდ პოლკისა და სახელმწიფოსთვის არის სასარგებლო, არამედ – გრიგოლისთვისაც. არწმუნებს, რომ მისი და მისი ძმების მიმართ გულწრფელი სიყვარულისა და ზაქარიას ტრაგიკული დაღუპვის გამო, არ შესთავაზებდა ამას, ეს რომ პირადად გრიგოლისთვისაც არ ყოფილიყო ხელსაყრელი. პოლკის სხვა პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, შეიძლებოდა კომისიას აღმოეჩინა რაიმე ხარვეზები და ამას უსიამოვნო შედეგები მოჰყოლოდა. სთავაზობს, რომ პეტერბურგში წარადგენს მის კანდიდატურას, შემდეგ კი მეხთულის სახანოში სხვა მმართველის დანიშვნაზე იზრუნებს. საქმე მეტად რთულია, მაგრამ გრიგოლზე უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვიან. მოხარულია, რომ ზაქარიას ცხედრის თბილისში გადასვენება შემოდგომისთვის გადადეს, რადგან იმ დროისთვის ქოლერის ეპიდემია, რომელმაც ზაქარია იმსხვერპლა, მთლიანად ჩაცხრება.

- 1847 14 ივლისი**
ინიშნება აფშერონის ქვეითი პოლკის მეთაურად.
- 1847 6 აგვისტო**
აფშერონის პოლკის მეომრებთან ერთად ბანაკდება მიურიდების მიერ გამაგრებულ სოფელ სალტის სიახლოვეს.
- 1847 7 აგვისტო**
მიხილ ვორონცოვის საერთო სარდლობით გრიგოლ ორბელიანის პოლკი და რუსეთის სხვა დანაყოფები უტევენ სოფელ სალტისთან განლაგებულ მტერს და უკან ახევენებენ.
- 1847 22 აგვისტო**
თემირხანშურაში იღებს წერილებს ოფიცერ სლინკოსა და ძმის, ილია ორბელიანისაგან; საპასუხო წერილს უგზავნის ძმას და სთხოვს დაეხმაროს სლინკოს.
- 1847 23 აგვისტო**
აფშერონის პოლკის მეომრებთან ერთად იკავებს სოფელ სალტის უკან მდებარე ბაღებს, რომ სოფელში გამაგრებულ მტერს მოუჭრას უკანდასახევი გზა.
- 1847 25 აგვისტო**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს.
- 1847 25 აგვისტო -2 სექტემბერი**
მეთაურობს სალტისთან მიმდებარე შემადგენლობაზე განლაგებულ რამდენიმე ასეულს, რომლებიც ხელს უშლის სოფელში გამაგრებული მიურიდებისთვის სურსათის მიწოდებას.
- 1847 3 სექტემბერი**
სალტიში გამაგრებული მიურიდები უტევენ მიმდებარე შემადგენლობაზე განლაგებულ მის სამხედრო დანაყოფებს, რომლებიც მათ ხელს უშლის სურსათის მარაგის შევსებაში, მაგრამ ორბელიანის მეომრები შეტევას იგერიებენ.
- 1847 4 სექტემბერი**
მისდამი დაქვემდებარებული მეომრები საგანგებოდ ანათებენ ხეობას და შეამჩნევენ მიურიდების მცდელობას, სურსათი მიაწოდონ სალტიში გამაგრებულ თანამებრძოლებს. გრიგოლ ორბელიანის ბრძანებით სასწრაფოდ გახსიან ცეცხლს და ხელს უშლიან ალყაშემორტყმულთათვის სურსათის გადაცემას.
- 1847 8 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს ბარათების ხშირად მიწერას.

- 1847 14 სექტემბერი**
 რუსეთის არმიის დანაყოფები იღებს სოფელ სალტის და საშუალებას არ აძლევს მის დასახმარებლად მოახლოებული ჰაჯი-მურატის ჯარს, რომ დაეხმაროს მათ სოფლის შენარჩუნებაში. მტერი ცდილობს გაქცევას ბაღების მხრიდან, სადაც ჩასაფრებული არიან გრიგოლ ორბელიანის დანაყოფები. ისინი ჯერ ხმალდახმალ ებრძვიან მტერს და ართმევენ ქვემებს, შემდეგ კი უკან ედევნებიან და დაბნელებამდე ანადგურებენ უმრავლესობას.
- 1847 15 სექტემბერი**
 სალტის აღებასთან დაკავშირებით იხდიან სამადლობელ პარაკლისს და პანაშვიდს გარდაცვლილი მეომრებისათვის.
- 1847 16 სექტემბერი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და უზიარებს რუსეთის არმიის მიერ სალტის აღებით განცდილ სიხარულს.
- 1847 21 სექტემბერი**
 თემირხანშურაში იღებს რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის, წერილს.
- 1847 22 სექტემბერი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, სევდას არ მიეცეს; ასევე უყვება მისი ძმის, ილიას, ბრძოლის შესახებ სალტის აღებისას.
- 1847 19 ოქტომბერი**
 მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ჰპირდება, რომ მალე შეატყობინებს თბილისში მათი ძმის, ზაქარიას, ცხედრის გადასვენების თარიღს.
- 1847 15 ნოემბერი**
 ჯარით ჩადის აჰყოში, რადგან იგებს, რომ მტერი შეესია დაღესტნის სოფელ წუდახარას და მოინდომა მისი აოხრება.
- 1847 20 ნოემბერი**
 აჰყოშიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და აცნობებს, რომ უკვე მეექვსე დღეა ჯარით დგას სოფელ აჰყოშიში.
- 1847 22 ნოემბერი**
 აფშერონის პოლკისა და მისდამი დაქვემდებარებული სხვა ასეულების მეომრებთან ერთად ყუმუხიდან გადაადგილდება უნჩულატლის მიმართულებით, სადაც თავმოყრილია მიურიდების ჯარები.
- 1847 23 ნოემბერი**
 მიურიდები ვერ ბედავენ უნჩულატლთან თავმოყრილ მრავალრიცხოვან სამხედრო დანაყოფთან შებრძოლებას და გათენებამდე ტოვებენ სოფელს.

- 1847 24 ნოემბერი**
იმის გამო, რომ მონაწილეობს სამხედრო ოპერაციაში, თბილისამდე ვერ მიჰყვება ძმის – ზაქარია ორბელიანის ცხედარს.
- 1847 20 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე**
სოფელ აჰყოშადან ჯარით გადადის ვიცხის მაჰალში.
- 1847 29 ნოემბერი**
ლაშქრობიდან დაბრუნებული იღებს ძმის, ილია ორბელიანისა, და რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილებს.
- 1847 1 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, რომელსაც ატყობინებს, რომ 24 ნოემბერს გაგზავნა ძმის, ზაქარიას, ცხედარი და 35 დღეში ჩაასვენებენ თბილისში.
- 1847 9 დეკემბრამდე**
თემირხანშურაში იღებს, რომ ასტრახანში რკინა იაფად იყიდება და ათას მანეთს გზავნის მის შესასყიდად, მაგრამ ის ნავი, რომლითაც რკინას უგზავნიან, ქარიშხალს ყიზლარს იქით მიაქვს.
- 1847 9 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ზაქარიას ცხედარს, ალბათ, 15 იანვრისთვის ჩაასვენებენ თბილისში და სთხოვს, კუმისის სამებაში დაკრძალოს; უბარებს, რომ თავადაც იქ დაასაფლავონ.
- 1847 9 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს; ატყობინებს, რომ ზაქარიას ცხედარი გამოაცილა თბილისისაკენ და სთხოვს მის კუმისის სამებაში დაკრძალვას. ასევე აინტერესებს განჯაში მისი ასე სწრაფად წასვლის მიზეზი.
- 1847 22 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. ატყობინებს, რომ დიდი თოვლი და ყინვებია და ამის გამო ცოტა შეუძლოდ არის.
- 1847 22 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას.
- 1847** სიმამაცისთვის ჯილდოვდება ოქროს ხმლით.
- 1847** იმყოფება თემირხანშურაში და ალექსანდრ პუშკინის ლექსის „Дар напрасный, дар случайный“ მიბადვით წერს ლექსს, რომელსაც სათაურად აწერს: „მიბადვა პუშკინისა“ („სიცოცხლე ფუჭო“...).

- 1848 1 იანვარი**
თემირხანშურაში იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს.
- 1848 3 იანვრამდე**
თემირხანშურაში იღებს ბიძის, ქაიხოსრო ორბელიანის, წერილს, რომელიც სთხოვს მისი ვაჟის, მიხეილის, ცხედრის საქართველოში გადასვენებაში დახმარებას.
- 1848 3 იანვარი**
თემირხანშურაში მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს; ატყობინებს, რომ ზაქარიას ცხედარს 15 იანვრამდე ჩაასვენებენ თბილისში.
- 1848 5 იანვარი**
თემირხანშურაში წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და სთხოვს განჯელი პროტოპოპოვის სამოქალაქო სამსახურში მიღებაში დახმარებას.
- 1848 12 იანვარი**
თემირხანშურაში მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. აინტერესებს, როგორ გადაასვენეს ზაქარიას ცხედარი და სად დაკრძალეს.
- 1848 იანვრის მეორე ნახევარი**
წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. სთხოვს ისაკ თუმანიშვილის ნახვას პოლკის საქმეებთან დაკავშირებით და ხარების შესასყიდი თანხის ოდენობის გაგებას.
- 1848 9 თებერვალი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. სთხოვს, რომ აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის ოფიცერ ჟაკოვსკის, რომელმაც თბილისამდე მიაცილა მათი ძმის, ზაქარიას, ცხედარი, უკან დაბრუნებისას ერთი საპალნე კარგი კახური ღვინო გაატანოს.
- 1848 24 თებერვალი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სთხოვს, შეატყობინოს, როგორ ჩაიარა ზაქარიას დაკრძალვამ ქაშუეთის ეკლესიაში.
- 1848 3 მარტი**
ჯილდოვდება წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენზე დასამაგრებელი საიმპერატორო გვირგვინით.
- 1848 15 მარტი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ბარათს ურთავს თავისი დის – ეფემიასთვის გადასაცემ წერილსა და 50 მანეთს.

- 1848 29 მარტი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, აცნობოს ილიას, რომ როგორმე მოახერხოს ხარების შესყიდვა მისი გაგზავნილი 1000 მანეთით.
- 1848 5 აპრილი**
თემირხანშურიდან დამდეგი აღდგომის დღესასწაულის მოსალოც წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას.
- 1848 12 აპრილი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სწერს, რომ ძმას – ილია ორბელიანს, თბილისის ნაცვლად, შეცდომით განჯაში გაუგზავნა ხარების შესასყიდი 1000 მანეთი და სთხოვს, შეატყობინოს ამის შესახებ.
- 1848 19 აპრილი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. აინტერესებს, მისი ძმა, ილია, ქალაქშია თუ არა და ხომ არ დაასრულა ხარების შესყიდვის საქმე.
- 1848 26 აპრილი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, სიახლეები გააგებინოს.
- 1848 15 მაისამდე**
თემირხანშურაში მასპინძლობს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, რომელიც ათვალეიერებს მის მიერ აშენებულ ყაზარმებსა და ეკლესიას.
- 1848 17 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სთხოვს, მისწეროს, იყიდა თუ არა ხარები.
- 1848 17 მაისი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ემზადება სალაშქროდ.
- 1848 31 მაისი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.

- 1848 3 ივნისის შემდეგ**
თემირხანშურაშია და იღებს დის, ეფემია ორბელიან-ბარათაშვილის, მიერ 3 ივნისს თბილისიდან გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მათი მეორე ძმა – ილია კავკასიის ფრონტზე გადაიყვანეს. ადრესანტი სთხოვს, ხელი არ აიღოს მამულსა და ნათესავებზე და შემოდგომისთვის მაინც დაბრუნდეს თბილისში. ეფემია აქებს ზაქარიას ვაჟს, ალექსანდრეს. ატყობინებს, რომ ზაქარიას მეუღლეს, ქეთევანს, პენსია არ მიუვცია და ავალეებს, მეფისნაცვალს სთხოვოს დახმარება.
- 1848 6 ივნისი**
აფშერონის პოლკის მეომრებთან ერთად თემირხანშურიდან ჩადის სოფელ ოღლიში და ადის ყუდუხის მთაზე. ამ დროს იგებს, რომ სოფელ ხოჯალმაქიდან გერგებულთან მიდის გენერალ-ლეიტენანტი ედუარდ ბრიუმერი და გრიგოლი შემოვლითი გზით მიემგზავრება მასთან შესაერთებლად.
- 1848 13 ივნისი**
გერგებულთან უერთდება გენერალ-ლეიტენანტ ედუარდ ბრიუმერის ჯარს.
- 1848 13 ივნისი**
ემზადება მდინარე ყოისუს გაღმა, მაღალ მთებზე, დაბანაკებულ მტერთან საბრძოლველად და მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას.
- 1848 23 ივნისი**
იბრძვის გერგებულის მიმდებარე ბაღებში, ამარცხებს მოწინააღმდეგეს და ნადავლად მოაქვს ორი ბაირაღი.
- 1848 24 ივნისი**
მისდამი დაქვემდებარებული პირველი კოლონის ავანგარდთან ერთად ათავისუფლებს სოფელ გერგებულის მისადგომებს და უერთდება სხვა დანაყოფებს.
- 1848 28 ივნისი**
ინიშნება მოწინავე ხაზის მეთაურად.
- 1848 29 ივნისი**
მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვი მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვს წარუდგენს იმ ოფიცრების სიას, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გერგებულის შტურმის დროს და მათ რიცხვში ასახელებს გრიგოლ ორბელიანს.
- 1848 2 ივლისი**
გერგებულის მისადგომებთან იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისა და დის, ეფემიას წერილებს.
- 1848 3 ივლისი**
გერგებულის მისადგომებიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს 23 ივნისს მოპოვებული წარმატების შესახებ.

- 1848 7 ივლისი**
გერგებილიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და აცნობებს გერგებილის ალების სასიხარულო ამბავს.
- 1848 15 ივლისი**
მეთაურობს სამხედრო დანაყოფს, რომლის შემადგენლობაშიც შედის 2,5 ბატალიონი და მილიციის ნაწილები. საბრძოლო საშუალებებს, სამშენებლო მასალასა და სურსათის მარაგს გზავნის ხოჯალმაქში და იკავებს სოფელ აიმაკს.
- 1848 21 ივლისი**
იმყოფება დაღესტნის სოფელ აიმაკში, სადაც აშენებს ციხეს. წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და დაწვრილებით უყვება სოფელ გერგებილის ალების დეტალებს.
- 1848 21 ივლისი**
მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვს დაღესტნის სოფელ აიმაკიდან უპატაკებს, რომ გრიგოლ ორბელიანის დანაყოფმა აიღო ეს სოფელი.
- 1848 16 აგვისტომდე**
გერგებილის ალების შემდეგ ჯარით მიდის სოფელ აიმაკში, ქუთიშას მთიდან გზას აკეთებს ხოჯალმაქისკენ, შემდეგ ადის თურჩიდაღის მთაზე, ორი დღე დგას სალტიში, გაჰყურებს ნასოფლარებს და გული სევდით ევსება.
- 1848 16 აგვისტო**
თურჩიდაღის მთიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ატყობინებს სოფელ გერგებილის ალების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.
- 1848 17 აგვისტო**
გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის ბრძანებით, გადაადგილდება სოფელ ქუთიშისკენ.
- 1848 17-24 აგვისტო**
აშენებს გზას ქუთიშის ტბიდან ხოჯალმაქამდე.
- 1848 25 აგვისტო**
ბრუნდება აიმაკში.
- 1848 26 აგვისტო**
ერთი დღით ასვენებს ჯარს.
- 1848 27 აგვისტო**
გადაადგილდება კუდუხისა და არაკანის მიმართულებით, რომ შეისწავლოს მოწინააღმდეგის ძალების განლაგება.

- 1848 28 აგვისტო**
ბრუნდება თემირხანშურაში.
- 1848 30 აგვისტო**
ესწრება მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვისათვის გენერალ-ადიუტანტობის მინიჭების აღსანიშნავ მეჯლისს.
- 1848 სექტემბრის პირველი ნახევარი**
წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ატყობინებს, რომ თემირხანშურაში დაბრუნდა.
- 1848 25 სექტემბრამდე**
თოვლსა და სიცივეში, მისდამი დაქვემდებარებულ საჯარისო დანაყოფებთან ერთად, გადაივლის მთებს და მიდის ახტის ციხესთან, რომელშიც შამილის მეომრები არიან გამაგრებული. დიდი ბრძლის შედეგად უკუაქცევს მტერს და ათავისუფლებს სოფლებს.
- 1848 25 სექტემბერი**
სოფელ რუთულიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და აღუწერს ახტის ციხის ასაღებად გამართული ბრძოლების ამბებს.
- 1848 17 ოქტომბრამდე**
წერილს იღებს თავისი მეგობრის, დავით ყორღანოვის უმცროსი ძმის, ალექსანდრესგან. იგებს, რომ იგი ბედნიერია თავისი ოჯახით და ნატრობს, რომ მის ძმას – დავითსაც მასავით ეხვიოს გარს ცოლ-შვილი. სწერს, რომ ენატრება გრიგოლის საინტერესო ისტორიების მოსმენა და ერთი სული აქვს, როდის ნახავს.
- 1848 17 ოქტომბერი**
შეიტყობს მეგობრის, დავით ყორღანოვის, გარდაცვალებას.
- 1848 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე**
წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სთხოვს ჰამადანის ორი აღვირის გაგზავნას. ეკითხება, რა აზრის არის ზაქარიას მცირეწლოვანი შვილის, ალექსანდრეს, სწავლის თაობაზე.
- 1848 18 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. ისევ წამოჭრის ძმისშვილის, ალექსანდრეს, სწავლა-განათლების საკითხს და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1848 22 ნოემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ადრესანტის ძმისშვილი, ალექსანდრე, უსწავლელი რჩება.

- 1848 29 ნოემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, ეკითხება, სად არის ილია ორბელიანი და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1848 6 დეკემბერი**
იღებს გენერალ-მაიორის წოდებას.
- 1848 6 დეკემბრის შემდეგ**
ცარსკოე სელოდან იღებს ძველი მეგობრის წერილს, რომელიც ტკბილად იგონებს მასთან ერთად გატარებულ დროს. სწერს, რომ ცოლი შეირთო და ბედნიერია, მაგრამ შტაბსკაპიტნის წოდებას ვერ გასცდა. მისდამი ისეთი პატივისცემა და სიყვარული აქვს, რომ მისი ცოლიც კი, რომელსაც არასდროს უნახავს, ახლობლად მიიჩნევს.
- 1848 21 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1848 28 დეკემბერი**
თემირხანშურიდან ახალი წლის მისალოც პატარა წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1849 3 იანვარი**
თემირხანშურიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სიხარულით აცნობებს, რომ გენერლობა მიიღო.
- 1849 21 თებერვალი**
თემირხანშურიდან მოკითხვის ბარათს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ჰპირდება, რომ ტარანტასს გაუკეთებს.
- 1849 იანვარი-თებერვალი**
გაზეთ „კავკაზში“ ილია ორბელიანი აქვეყნებს მოგონებას შამილის ტყვეობაში გატარებული რვა თვისა და მიურიდების ცხოვრების წესის შესახებ. მისით, როგორც ჩანს, ინტერესდება იმპერატორი ნიკოლოზ პირველი.
- 1849 7 მარტი**
გარდაეცვალა და – ეფემია ორბელიანი-ბარათაშვილისა, ქართველი კლასიკოსის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დედა.
- 1849 7 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სთხოვს გადაწყვიტოს, თავის ვაჟს, ალექსანდრეს, სასწავლებელში შეიყვანს თუ გრიგოლთან გაგზავნის. გრიგოლ ორბელიანს არ ეუბნებიან მისი დის, ეფემიას, გარდაცვალების ამბავს, თუმცა რაღაც ხმები მისვლია და ადრესატს ეკითხება, ახლობელთაგან ვინმე ხომ არ გარდაცვლილა.

- 1849 14 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; აინტერესებს ალექსანდრეს სწავლის ამბავი და ისევ კითხულობს, ახლობელთაგან ვინმე ხომ არ გარდაცვლილა. ისევ არ ეუბნებიან დის, ეფემიას, გარდაცვალების ამბავს.
- 1849 25 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; ისევ გამოთქვამს წუხილს ძმისშვილის, ალექსანდრეს, უსწავლელობის გამო და მოიკითხავს ქეთევანის ძმას – იაკინთე ალექსი-მესხიშვილს.
- 1849 15 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; აინტერესებს, როგორ გადაწყვეტენ გრიგოლის ძმისშვილის, ალექსანდრეს, სწავლის საკითხს.
- 1849 24 მაისის შემდეგ**
იღებს სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვის წერილს, რომელიც მადლობას უხდის თავისი მხატვრული ნაწარმოების გამოსაცემად ხელმოწერების შეგროვებისთვის და სთხოვს თანხის გაგზავნას დედოფლის წყაროში, სადაც იმჟამად ისვენებს.
- 1849 3 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ მთაში ჯარით გასვლა უწევს; უკმაყოფილოა იმით, რომ დაღესტნიდან გადასვენებული მისი ბიძაშვილის, მიხეილ ორბელიანის, ცხედარი, არა კუმისის სამების ეკლესიაში, არამედ კუკიაზე დაკრძალეს.
- 1849 5 ივლისი**
აფშერონის პოლკის მეომრებთან ერთად დაბანაკებულია თურჩიდაღის მთაზე.
- 1849 18 ივლისი**
მრავალრიცხოვანი სამხედრო დანაყოფი მისი სარდლობით გათენებამდე იღებს ჭოხის მიმდებარე პატარა, მაგრამ ძლიერ გამაგრებულ დასახლებებს. ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარება, მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის განცხადებით, მნიშვნელოვნად განაპირობა მეთაურის, გრიგოლ ორბელიანის, გონიერებამ და გამოცდილებამ. მისი ჯარი ისე ჩუმად გადაადგილდებოდა და ისე მოულოდნელად გამოჩნდა მოწინააღმდეგის წინაშე, რომ სრულიად დააბნია ისინი. ზედმეტი ხმაური რომ არ გამოეწვიათ, ორბელიანის მეომრებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ, ხელჩართული ბრძოლით აიღეს გამაგრებული პუნქტები.
- 1849 23 ივლისი**
შუაღამეა და მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს 18 ივლისს ლეკებთან შეტაკების ამბავს.

- 1849 23 აგვისტო**
 მოსე არღუთინსკი-დოღგორუკოვის ბრძანებით, ჭოხის ალყის მონაწილე დანაყოფები უკან ბრუნდებიან. თავის პატაკში გენერალი განსაკუთრებით გამოჰყოფს გრიგოლ ორბელიანის დამსახურებას ამ ალყის დროს ჩატარებულ ოპერაციებში.
- 1849 1 სექტემბერი**
 ჯილდოვდება წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით.
- 1849 1 სექტემბერი**
 თემირხანშურაში იღებს დრაგუნთა პოლკის მეთაურის, იასონ ჭავჭავაძის, წერილს.
- 1849 2 სექტემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ დაბრუნდა ბრძოლიდან, რომლის დროსაც საძირკვლამდე დაანგრის ჭოხის ციხე.
- 1849 22 სექტემბრის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს ძმის, ილია ორბელიანის, მიერ 22 სექტემბერს პეტერბურგიდან გაგზავნილ ბარათს. ადრესანტი სწერს, რომ სამხედრო მინისტრი ალექსანდრ ჩერნიშოვი არც კი მოელოდა, იმპერატორი მის მისაღებად თუ მიიცილიდა, მაგრამ ნიკოლოზ პირველმა ისურვა მასთან შეხვედრა, ძალიან თბილად მიიღო და იქვე უბოძა პოლკოვნიკის წოდება.
- 1849 27 სექტემბრის შემდეგ**
 იღებს სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ჩერნიშოვის ბარათს და მის მიერ დაწერილი პიესის პირველ ნაწილს. ადრესანტი სთხოვს, გამონახოს დრო მის წასაკითხად და შეახსენებს, რომ გაუგზავნოს ამ პიესის გამოსაცემად ხელმოწერებით შეგროვილი თანხა. უცნობია გრიგოლ ორბელიანის პასუხი მინისტრისადმი, მაგრამ მისი გულწრფელი რეაქცია ჩანს ბარათზე გაკეთებული მინაწერიდან, რომ წერილის ავტორი და თავადი სერგეი კუდაშოვი ეშმაკს უცდუნებია და შთაუგონებია, რომ შეძლებენ შექსპირის, შილერის, გოეთესა და ბაირონის გვერდით ადგილის დამკვიდრებას, მაგრამ სინამდვილეში ისინი ამ მწვერვალთან ახლოსაც ვერ მივლენ და ტყუილად იმეტებენ თავიანთ სახელებს მკითხველის დასაცინად.
- 1849 11 ოქტომბრამდე**
 თემირხანშურაში იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს.
- 1849 11 ოქტომბერი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის პოდპოლკოვნიკ გედეონ ბუჭყიაშვილს, ატყობინებს, რომ ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ შეუძლოდაა და მასთან მისვლას სთხოვს.

- 1849 21 ოქტომბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს ძმის, ილია ორბელიანის, პეტერბურგში ჩასვლისა და იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან შეხვედრის ამბებს.
- 1849 28 ოქტომბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ულოცავს იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან შეხვედრას.
- 1849 1 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან განმარტებით ბარათს სწერს მე-19 ქვეითი დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაურ პეტრეკოვალევისკის და უსაბუთებს მისი პოლკისთვის მეტად საჭირო უნტეროფიცერ ვორობიოვის დივიზიის შტაბში გადაყვანის მიზანშეუწონლობას.
- 1849 10 ნოემბერი**
 თემირხანშურაში იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილს.
- 1849 11 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ძმას, ილია ორბელიანს, გაუგზავნა „დროშკის“ ცხენი.
- 1849 9 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს თავისი დისწულის – ბარბარე ბარათაშვილისთვის სასიძოს მოძებნას აღმოსავლეთ საქართველოში.
- 1849 16 დეკემბერი**
 თემირხანშურაში მასპინძლობს ბიძის, იაკობ ორბელიანის, სიძეს – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის; ამასთანავე, წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ეკითხება პეტერბურგის ამბებს.
- 1849 23 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და უყვება კაპიტან დიაკონოვის ამბებს.
- 1850 13 იანვარი**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის წერილს, რომელშიც მეფისნაცვალის გამოხატავს გიორგი ერისთავის სპექტაკლის – „გაყრის“ ნახვით განცდილ აღფრთოვანებას.

- 1850 13 იანვრის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მიერ თბილისიდან გაგზავნილ საიდუმლო წერილს. ადრესანტი ატყობინებს ოფიცერთა შორის მომხდარი რაღაც უსიამოვნების ჩაცხრობაზე. იმედს გამოთქვამს, რომ მოსე არლუთინსკის თემირხანშურაში დაბრუნების შემდეგ გრიგოლი რამდენიმე დღით მაინც მოახერხებს თბილისში ჩასვლას. უგზავნის პირველი ქართული წარმოდგენის, გიორგი ერისთავის „გაყრის“ აფიშას. აღნიშნავს, რომ საზოგადოება აღტაცებულია ამ დადგმით და მასში შესანიშნავად ითამაშეს გრიგოლის ნათესავებმა.
- 1850 25 იანვრამდე**
 იმყოფება თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანისათვის უმაღლესი ბრძანებულებით მინიჭებული „თარკოს თავადის“ ტიტულის მისალოცად.
- 1850 25 იანვარი**
 თემირხანშურაში იღებს ძმის, ილია ორბელიანის, წერილს. იგებს, რომ იგი მონაწილეობდა პირველი ქართული კომედიის – „გაყრის“ დადგმაში და საპასუხო ბარათით სთხოვს, გაუგზავნოს ამ კომედიის ტექსტი.
- 1850 25 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის მიხეილ ვორონცოვს და მადლობას უხდის იმისთვის, რომ მისი მზრუნველობით თბილისში დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“.
- 1850 28 იანვრამდე**
 თემირხანშურაში იღებს თავისი ნათესავის, მაია ორბელიან-თუმანიშვილის, წერილს.
- 1850 28 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ისევ სთხოვს კომედია „გაყრის“ ტექსტის გაგზავნას.
- 1850 17 თებერვალი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს სამსახურის ამბებს.
- 1850 11 მარტი**
 თემირხანშურაში იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილს.
- 1850 24 მარტი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.

- 1850 29 მარტი**
თავისუფლდება აფშერონის პოლკის მეთაურის თანამდებობიდან და ინიშნება მე-20 ქვეითი დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად.
- 1850 30 მარტი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, თანდართული ბარათი გადასცეს მის დეიდას – მარიამ (მაია) ბაგრატიონ-ანდრონიკაშვილისას.
- 1850 11 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ ჩასაბარებლად ამზადებს პოლკს.
- 1850 2 ივლისი**
ლუჩეჟიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ციხის ასაშენებლად ჯარით დგას რუთულის ხეობაში, მდინარე სამურის ზემოთ.
- 1850 10 აგვისტომდე**
ლუჩეჟში მაიორ ალექსანდრე თუმანიშვილს, აბარებს გრენადერთა ბატალიონს.
- 1850 10 აგვისტო**
ლუჩეჟიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ რამდენიმე დღე იავადმყოფა.
- 1850 28 აგვისტოს შემდეგ**
ლუჩეჟში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კისლოვოდსკიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალის სთავაზობს ჭარ-ბელაქნის ოლქისა და ლეკეთის ხაზის მეთაურობას. სწერს, რომ ამ თანამდებობაზე სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელსაც ენდობა და იმედოვნებს, რომ უარს არ ეტყვის. აცნობებს, რომ 4 ან 8 ოქტომბერს ჩავა ხაზრაში და ამის შესახებ ისაუბრებს მოსე არლუთინსკისთან. სთხოვს, რომ წინასწარ შეიტყოს და შეაფასოს ჭარ-ბელაქანში საქმის ვითარება. არწმუნებს, რომ მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა და მის ხელში ყველაფერი გამოსწორდება.
- 1850 20 სექტემბერი**
ლუჩეჟიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მწუხარებას გამოთქვამს ზაქარია ერისთავის გარდაცვალების გამო.
- 1850 14 ოქტომბერი**
ლამით რჩება სოფელ ხაზრაში, რადგან ვერ ბედავს მცველის გარეშე გზის გაგრძელებას.

- 1850 15 ოქტომბერი**
ახტიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ მასთან სიმშვიდეა.
- 1850 20 ოქტომბრამდე**
გუსარკაში რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის მოლოდინში ხვდება ძმას, ილიას, და ოთხი დღე ერთად არიან.
- 1850 20 ოქტომბერი**
ლუჩეჟიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ უპირებენ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისა და ლეკეთის კორდონის ხაზის მეთაურად გადაყვანას, ბორის ჭილაშვილის ნაცვლად, მაგრამ ეს ამბავი არ ახარებს, რადგან მძიმე სამუშაო ელის.
- 1850 21 ოქტომბერი**
ლუჩეჟიდან წერილს უგზავნის პოდპოლკოვნიკ გედეონ ბუჭყიაშვილს და ატყობინებს, რომ აპირებს ინფანტერიის გენერალ პავლე კოცებუსთან შუამდგომლობას ყვარლის ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე მის დასანიშნად.
- 1850 22 ოქტომბრამდე**
ნაიბ ჰაჯი-მურატის შემოჭრით ატეხილი განგაშის გამო ვერ ახერხებს ჩავიდეს ქალაქ ყუბაში კავკასიის კორპუსის მთავარსარდალ, გრაფ მიხეილ ვორონცოვთან, შესახვედრად.
- 1850 22 ოქტომბერი**
ლუჩეჟში იღებს სამხედრო ჟურნალს და წერილს ჭარ-ბელაქნისა და ლეკეთის სასაზღვრო ხაზის უფროს, გენერალ-ლეიტენანტ ბორის ჭილაშვილისაგან. უგზავნის საპასუხო წერილს და ჰპირდება, რომ რამდენიმე დღეში ინახულებს.
- 1850 26 ნოემბერი**
ჩადის ზაქათალაში და გენერალ-ლეიტენანტ ბორის ჭილაშვილისგან იბარებს ჭარ-ბელაქნის ოლქისა და ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მმართველობას.
- 1850 2 დეკემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. სთხოვს ჰაჯი ისმაილ მაცეხელის გადასახლებიდან განთავისუფლებასა და თავისი ნათესავის, პორუჩიკ ივანე ორბელიანის, თბილისის ეგერთა პოლკში განწესებას.
- 1850 6 დეკემბერი**
ზაქათალაში მასპინძლობს ბელაქნელთა წარმომადგენლობას, წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ატყობინებს, რომ 8 დეკემბერს ყვარლისკენ მიდის საბრძოლო ხაზის სანახავად.
- 1850 7 დეკემბრამდე**
იმყოფება ნაურის მთაზე და ათვალიერებს სამხედრო ხაზის მარცხენა ფლანგს.

- 1850 7 დეკემბრამდე**
წერილს იღებს გენერალ ალექსეი ბრუსილოვისგან, რომელიც სთხოვს, მისი ვაჟის, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ბრუსილოვის თავის სამხედრო დანაყოფში გადაყვანას და გრიგოლ ორბელიანი უსრულებს თხოვნას.
- 1850 7 დეკემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსეი ბრუსილოვს და მადლობას უხდის ნდობისათვის.
- 1850 19 დეკემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ აპირებს ადიუტანტ კირილ პანჩენკოს ადგილზე გენერალ ალექსეი ბრუსილოვის ვაჟის აყვანას.
- 1850** გრაფ ვორონცოვთან ერთად სტუმრობს ბეთანიის მონასტერს და იწყებს ზრუნვას მისი განახლებისთვის.
- 1851 დასაწყისი**
იმყოფება წინანდალში და ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას უძღვნის ლექსს „მოგონება“ („აჰა, ადგილი...“).
- 1851 7 მარტის შემდეგ**
ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს და ალექსანდრ ბრიატინსკის მოხსენების ასლს. მეფისნაცვალ ვორონცოვი აცნობებს, რომ მისი ძმის, ილიასგან შეიტყო გრიგოლის ციებით ავადმყოფობა და წუხს ამის გამო. აქებს, რომ მან ლეკებთანაც, ისე როგორც ყველა სხვასთან, კეთილგანწყობა მოიპოვა და იმედოვნებს, რომ მათთან ურთიერთობა გამოსწორდება. ატყობინებს ჩეჩნეთში საომარი ექსპედიციის ბრწყინვალედ დასრულებისა და ვედენოს დატოვებაზე შამილის განზრახვის შესახებ. სთხოვს, მიაწოდოს ინფორმაცია ჩეჩნეთზე.
- 1851 16 მარტამდე**
იმყოფება ზაქათალაში და გენერალ ალექსანდრ ბრიატინსკის მოხსენების ასლთან ერთად იღებს წერილს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისაგან.
- 1851 16 მარტი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და აცნობს კაზაკებისა და წვრილმანი მემამობეჯგუფებისაგან თავდასაცავი ღონისძიებების გეგმას.
- 1851 22 მარტი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს.

1851

25 მარტი

ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ სოფელ თალის მკვიდრთაგან ჩამოყალიბებულმა რაზმმა მოკლა საშიში ყაჩაღი თამბალ ხაჯაბი, თავის ორ თანამებრძოლთან ერთად. ამის გამო ითხოვს „მონადირეთა რაზმის“ ასეულის მეთაურის, მურთუზალ ნუროვის, პროპორშიკად დაწინაურებას.

1851

27 მარტის შემდეგ

ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს ემადლიერება ყაჩაღების წინააღმდეგ ჩატარებული წარმატებული ოპერაციებისთვის. იგი იზიარებს გრიგოლის აზრს მოსახლეობის წახალისების საჭიროების შესახებ და ჰპირდება, რომ რამდენიმე ათეულ რუბლსა და ტანსაცმელს გაუგზავნის მათ. ატყობინებს, რომ მასთან ზაქათალაში მიემგზავრება გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი, რომლის ინფორმაციითაც, ზაქარია ერისთავის მკვლელობის გამოძიება დასრულდა და სასამართლოს გადაეცა. ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის ცნობით, მკვლელობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირი დაჭერილია. სთხოვს, დაწვრილებით მისწეროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია დანარჩენი დამნაშავეების შესახებ, რომლებიც ჯერ დაკავებულები არ არიან. იმედოვნებს, რომ ორბელიანი მიიღებს ყველა ზომას, რომ მსგავსი დანაშაული აღარ განმეორდეს. სწერს, რომ აპრილის ბოლოს აპირებს ზაქათალაში ჩასვლას და გრიგოლთან ერთად კახსა და ელისუში ნადირობას, შემდეგ კი ერთად გაემგზავრებიან საომარი მოქმედებების მარცხენა ფლანგზე.

1851

5 აპრილამდე

იმყოფება ზაქათალაში და გენერალ-მაიორ გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის ხელით იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ორ, 25 და 27 მარტით დათარიღებულ, წერილს.

1851

5 აპრილი

ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, აცნობს ყაჩაღების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს და სთხოვს, ზაქათალაში ჩასვლისას დააჯილდოვოს რუსეთის სამსახურში მყოფი და განსაკუთრებული თავდადებით გამორჩეული ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები.

1851

12 აპრილის შემდეგ

ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ თბილისში მონათლული ინგილოები უკან დაბრუნდნენ. სასურველად მიაჩნია, მათ მაგალითს სხვებმაც მიბადონ. ამიტომ ყველა დაარწმუნა, რომ მთავრობა იზრუნებს მათზე და პირადადაც გაუწევს მფარველობას. ინგილოებმა ითხოვეს, მათი პატარა სოფლების კახთან, ყარაჩალსა და ალიბეგლოსთან მიერთება. ის თანახმაა და გრიგოლის კეთილგონიერების იმედი აქვს, რადგან ეს საქმე მათთვის ძვირფასია და კარგ შედეგს გამოიღებს. სთხოვს, იზრუნოს სამომავლოდ მათ მონათვლაზე ზაქათალაში. უგზავნის 600 რუბლს და სთავაზობს, ახალმონათლულები გაათავისუფლოს გადასახადებისგან.

- 1851 24 აპრილის შემდეგ**
 ზაქათალაში ილია ორბელიანის ხელით იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს უწონებს ჩანკა-ალის განადგურებას და, ზოგადად, ყაჩაღების წინააღმდეგ გატარებულ ზომებს, რის შედეგადაც მისი რწმუნებული მხარე მალე სრულიად დამშვიდდება.
- 1851 აპრილი**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს ატყობინებს, რომ მოსკოვიდან თბილისში ჩასულია მატყლისა და აბრეშუმის პარკის რუსეთში გატანით დაინტერესებული პირი. სწერს, რომ ეს ხელსაყრელი იქნება ამიერკავკასიისათვის და, როცა ეს კაცი ჩააკითხავს, ხელი შეუწყოს.
- 1851 16 მაისი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და მოიკითხავს საერთო ნაცნობებს.
- 1851 18 მაისი**
 სხვა ორბელიანებთან ერთად ხელს აწერს მათი კუთვნილი საგვარეულო მიწების ოთხ სახლობად გაყოფის მოთხოვნას და ამ საბუთს წარუდგენენ მეფისნაცვალს იმპერატორთან შუამდგომლობის გასაწევად.
- 1851 31 მაისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და სთხოვს, რომ ავად გახდომის შემთხვევაში ქართველი მილიციელები ლაგოდების ლაზარეთში გაგზავნოს და არა ზაქათალისაში.
- 1851 2 ივნისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ კმაყოფილია ინგილოთა გაქრისტიანების პროცესით.
- 1851 2 ივნისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის გენერალ ნიკოლოზ ვოლფს და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ახლად მონათლულ ინგილოთა რიცხვი 200-მდე გაიზარდა.
- 1851 2 აპრილი-7 ივნისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს მთიან მაჰალში 300-მდე ყაჩაღის თავმოყრის ამბავს.
- 1851 2 აპრილი-7 ივნისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს ჭარ-ბელაქნის ყაჩაღების წინააღმდეგ გატარებული ოპერაციის ამბავს.

- 1851 7 ივნისი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და სთხოვს, აცნობოს, როგორ შეეჩვია ახალ თანამდებობას, ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურობას.
- 1851 30 ივნისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და ატყობინებს სოფელ რულოჯაბში შამილის მისვლის ამბავს.
- 1851 5 ივლისი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, ატყობინებს სოფელ ჭოხში შამილის მისვლისა და ბრძოლის ამბავს.
- 1851 12 ივლისი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და უზიარებს თავის კმაყოფილებას იმით, რომ ხალხი მადლობელი ჰყავს.
- 1851 18 ივლისი**
 ლუჩქეის ციხესიმაგრის აშენებისთვის ჯილდოვდება წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით.
- 1851 21 ივლისის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კისლოვოდსკიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს ავალებს, დაწვრილებით აცნობოს მოსე არლუთინსკის მოქმედებების შესახებ დალესტანსა და ტაბასარანში, ასევე ჰაჯი-მურატის შეჭრისა და მოსახლეობის მიმხრობის შემდეგ არსებული მდგომარეობა. სთხოვს, მის დაქვემდებარებაში მყოფი ბატალიონი შეუერთოს დალესტანის რაზმს, რადგან მდგომარეობა სერიოზულია. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მზად ჰყავდეს ყარაბაღის მილიცია და რეგულარული ჯარის ნაწილები.
- 1851 24 ივლისის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ბორჯომიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს გადასცემს ეგზარქოს ისიდორ ნიკოლსკის თხოვნას, გაიგოს სიღნაღელი ქვრივის – ელენე ჯავახიშვილის ვაჟის ამბავი, რომელიც ლეკებს 1847 წელს დაუტყვევებიათ, და იზრუნოს მის გამოხსნაზე. აცნობებს, რომ მისი საქმიანობის შესახებ ყოველი მხრიდან ფრიად დამაკმაყოფილებელ ცნობებს იღებს და იცის, რომ გრიგოლს უნდა ემადლიერებოდეს ამ მხარეში მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარებისთვის. ფიქრობს, რომ სიმაგრის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და არაფერი შეუშლის ხელს მის დასრულებას. ატყობინებს ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონზე მისი ძმის, ილიას, დაქორწინებასთან დაკავშირებით ილია და ოქროპირ ბატონიშვილებთან გამართული მიმოწერის შესახებ. ეს საქმე წამოუწყია ოქროპირ ბატონიშვილს, ეგზარქოს ისიდორე ნიკოლსკის უთქვამს, რომ ილია მდიდარი არ იყო, მაგრამ კარგი სამსახური ჰქონდა, მეფისნაცვალს კი დაურწმუნებია ილია ბატონიშვილი, რომ ბარბარე სხვა ასეთ საქმროს ვერ იმოვიდა.

- 1851 26 ივლისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარს იმონ შალიკაშვილს და ატყობინებს ელისუს ყოფილ სულთან დანიილ-ბეგისა და ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ-ბეგის (რომელიც რუსების მხარეს იბრძოდა) შეტაკების შესახებ.
- 1851 28 ივლისამდე**
 მთიელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შესახებ რაპორტს უგზავნის მაიორ პავლე ბოგდანოვიჩს.
- 1851 28 ივლისის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კისლოვოდსკიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს დარწმუნებულია, რომ გრიგოლმა კარგად იცის ტერიტორია და მტერთან არსებული მდგომარეობა და იმედოვნებს, რომ მასზე უკეთ ვერავინ იმოქმედებს. იგი უფლებას აძლევს, რომ მან ან მოსე არღუთინსკიმ გამოუვალ მდგომარეობაში დაიხმარონ შინის ხეობაში განთავსებული ბატალიონი. აცნობებს, რომ პიატიგორსკში შეხვდა ილია ბატონიშვილს, რომელიც ძალიან აქებს ადრესატის ძმას, ილიას, მაგრამ ოჯახური მიზეზების გამო, უჭირს ბარბარესთან მის ქორწილზე დათანხმება.
- 1851 3 აგვისტომდე**
 ამოწმებს ვითარებას დაღესტანში მდებარე მესელდეგერის, ჯორჯოობალისა და მოურავდალის მთებზე. მტერთან შეტაკების დროს იღუპება მისი 4 მეზობელი და იჭრება 6.
- 1851 3 აგვისტომდე**
 ჯილდოვდება წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით.
- 1851 3 აგვისტო**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის მიხეილ ვორონცოვს. ბედნიერია, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა დააჯილდოვა წმინდა ანას 1-ლი ხარისხის ორდენით და მადლობას უხდის მეფისნაცვალს კეთილგანწყობისათვის. ამავე დროს, აღშფოთებას ვერ ფარავს თათრების მიერ წმინდა დავით გარეჯის მონასტრის გაქურდვისა და აკლესიების გამო.
- 1851 5 აგვისტო**
 იმყოფება ზაქათალაში და იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის წერილს.
- 1851 6 აგვისტო**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ მთიანი მაჰალის ყაჩაღებისაგან გასაწმენდად მილიცია გაგზავნა.
- 1851 10 აგვისტომდე**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს 1851 წლის 19 ივლისს დავით გარეჯის მონასტერზე თათრების თავდასხმის ამბავს.

- 1851 10 აგვისტო**
 ზაქათალიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და მოკითხავს საერთო ნაცნობებს.
- 1851 11 აგვისტო**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს. ატყობინებს ჰაჯი-მურატისა და შამილის დაპირისპირების შესახებ და სწერს, რომ ტყუილია, თითქოს მთიელებმა 5000-იანი ჯარი შეკრიბეს რუსების წინააღმდეგ.
- 1851 15 აგვისტოს შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ეისკიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ დაღესტანში ბრწყინვალედ მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ყირიმში სრულიად მშვიდად მიემგზავრება. სთხოვს, მისწეროს ყველაფერი, რასაც ის საიდუმლოდ შეიტყობს მთიელთა მდგომარეობის შესახებ. აქებს მის გმირობას ყაჩაღების წინააღმდეგ და წუხილს გამოთქვამს მონასტრების მარცვის გამო. ავალებს, ყოველმხრივ ეცადოს, დაადგინოს ამ საქმეში მონაწილე თათრების ვინაობა, რომ ყველა სასტიკად დაისაჯოს.
- 1851 21 აგვისტო**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ დაათვალიერა დაღესტნის მთები, ციხესიმაგრის ასაგები ადგილის შესარჩევად.
- 1851 8 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. ატყობინებს, რომ შამილმა ჰაჯი-მურატი ნაიბობიდან გადააყენა და მათი დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა.
- 1851 13 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს ბელაქნელი ყაჩაღი ლალა აბდულ-ქერიმ-ოღლის მოკვლის ამბავს.
- 1851 17 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს, ატყობინებს მიურიდთა თავშეყრის შესახებ მის სიახლოვეს და სიფრთხილეს ურჩევს.
- 1851 25 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. აინტერესებს, კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვი როდის გაივლის გზად ზაქათალას.
- 1851 26 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და სთხოვს, გაუგზავნოს ორი ზარბაზანი.

- 1851 27 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს, უყვება ლეკებთან მცირე შეტაკების ამბავს და ატყობინებს, რომ თბილისიდან ჩასული დამხმარე ძალა ისევ უკან გაბრუნდა.
- 1851 27 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ ლეკების თავდასხმის შესახებ პატაკი მიიღო ლევან მელიქიშვილისგან.
- 1851 29 სექტემბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს და სწერს, რომ ყოველ წუთს ელიან მტრის თავდასხმას, მაგრამ ჯერ არ ჩანან.
- 1851 4 ოქტომბრამდე**
 იმყოფება ზაქათალაში და წერილს იღებს ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან აღალარ ბეგისაგან შამილის წინააღმდეგ ჰაჯი-მურატის შეიარაღებული დაპირისპირების მზადების შესახებ.
- 1851 4 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის სიმონ შალიკაშვილს. მისი აზრით, თუ შამილმა ჰაჯი-მურატი არ მოიცილა თავიდან, მთაში დიდი შფოთია მოსალოდნელი.
- 1851 6 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის სიმონ შალიკაშვილს. ატყობინებს, რომ ჰაჯი-მურატი გამაგრდა სოფელ სიუხში და შამილთან შეტაკებისთვის ემზადება.
- 1851 8 ნოემბრამდე**
 ციხის მოსანახულებლად იმყოფება ელისუში.
- 1851 8 ნოემბრამდე**
 იმყოფება ზაქათალაში და ტყის გასაკაფად ილია ორბელიანის ორ ასეულს გზავნის სოფელ ბახთალის ფოსტასთან.
- 1851 8 ნოემბერი**
 იმყოფება ზაქათალაში, მოკითხვის წერილს სწერს ძმას, ილია ორბელიანს და ატყობინებს, რომ ჰაჯი-მურატთან მის მიერ გაგზავნილი ჯაშუში ყაჩაღებს მოუკლავთ.
- 1851 20 ნოემბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ გრენადერთა პოლკის ორი ასეული დაკავებულია ნაკაფის გაფართოებით სოფელ ბახთალის საგუშაგოსთან; რომ უახლოეს ხანებში მეგრელები დაიწყებენ ასეთსავე სამუშაოს ბელაქანსა და ლაგოდებს შორის, ხოლო ზაქათალის მცხოვრებლები – კატეხსა და ბელაქანს შორის.

- 1851 8 დეკემბრამდე**
ხანგრძლივი მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნებულ მიხეილ ვორონცოვს იმდენი საქმე ხვდება დაგროვილი, რომ გრიგოლისთვის წერილის მიწერას ვერ ახერხებს და მის ძმას, ილიას ავალებს, მისი დაბრუნების შესახებ შეატყობინოს.
- 1851 8 დეკემბრის შემდეგ**
ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ საჩქაროდ სურს გრიგოლის ნახვა. გარდა იმისა, რომ პირადად უნდა მადლობის გადახდა წლების მანძილზე ასეთი პრობლემური ოლქის მშვენივრად მართვისთვის, სურს, ამ რეგიონთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე ელაპარაკოს. მეფისნაცვალთან მისულ ინგილოებს გამოუთქვამთ შიში, რომ ფულადი გადასახადებისგან მათი განთავისუფლება მუსლიმებს დააზარალებს და მათ შორის მტრობას ჩამოაგდებს. სთხოვს, დაწვრილებით აცნობოს ანწუხის ნაიბის შესახებ. რუსები დაინტერესებული არიან, რომ ნაიბმა შამილთან ურთიერთობა შეინარჩუნოს და ერთგულ ადამიანებს ჩამოაშოროს. აცნობებს, რომ ჰაჯი-მურატი მომდევნო დღეებში თბილისში უნდა ჩავიდეს.
- 1851 10 დეკემბერი**
იმყოფება ზაქათალაში და მოკლე წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ 20 დეკემბრისათვის იქნება თბილისში და წარდგება მის წინაშე.
- 1851** იმყოფება ზაქათალაში და გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილს ბარათს უგზავნის, რომ მიაშველოს ტყვია-წამალი.
- 1851 დეკემბრის მეორე ნახევარი**
- 1852 13 იანვრამდე**
ძმის, ილიას ჯვრისწერასთან დაკავშირებით ნებას რთავენ, რომ ერთი თვით ჩავიდეს თბილისში.
- 1852 13-20 იანვარი**
ყველიერში ზაქათალის საზოგადოება მეჯლისს უმართავს.
- 1852 12 თებერვალი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1852 13 თებერვლამდე**
ზაქათალაში მასთან რამდენჯერმე მიდის სტუმრად ჰაჯი-მურატი და ნადირობენ მწვერებით.
- 1852 13 თებერვალი**
ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, სთხოვს, რომ მისი ფული აიღოს და ნაწილობრივ მაინც გაუსტუმროს ვალები.

- 1852 13 თებერვლის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ სთხოვს, აცნობოს, ჩავიდა თუ არა მასთან ჰაჯი-მურატი და რა მდგომარეობაა მთაში. სწერს, რომ ლევან მელიქიშვილი მიდის მარცხენა ფლანგზე, გრიგოლის ძმა ილია კი – თეთრიწყაროში, რადგან მისი ქორწილის საქმე კარგად გადაწყდა და სახლს აწყობს საცოლისთვის. ასევე აცნობებს, რომ აპირებს ილიასათვის ორადგილიანი ეტლის გაგზავნას.
- 1852 16 თებერვალი**
 ზაქათალიდან მოკლე წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ ჭარ-ბელაქნის ოლქში სიმშვიდეა.
- 1852 27 თებერვალი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და დიდი სიხარულით იხსენებს თბილისში გატარებულ ერთ თვეს.
- 1852 28 თებერვლამდე**
 მისი ძმა, ილია, ჯვარს იწერს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის შვილიშვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიაზე.
- 1852 28 თებერვალი**
 ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და მადლობას უხდის ძმის ქორწილზე დასასწრებად წასვლის ნებართვისათვის.
- 1852 თებერვალი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსებს „ეკატერინა ჭავ... („წინანდლის ვარდო...“), N... („ჰე საყუარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე“), „ღამე“ და „გამოსალმება“.
- 1852 7 მარტამდე**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს, რომ, მოსე არლუთინსკის ავადმყოფობის გამო, გრიგოლს ნიშნავენ კასპიის მხარის მმართველად. სჯერა, რომ მასზე უკეთ ვერავინ გაუძღვება ამ საქმეს. აცნობებს, რომ მასთან გზავნის გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელსაც უნდა გადასცეს ლეკეთის ხაზის მეთაურობა. სწერს, რომ საჩქაროდ გამოცხადდეს ადრესანტთან ამ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

- 1852 7 მარტის შემდეგ**
ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ მასთან გზავნის ჰაიდარ-ბეგს, რომელიც დაღესტანში ერთ-ერთი უმამაცესი მეზობელია და ბევრი რამ იცის დაღესტანსა და შამილზე. რამდენადაც გრიგოლმა უნდა დაიკავოს მოსე არლუთინსკის ადგილი, ჯერ მასთან გზავნის დასალაპარაკებლად, შემდეგ კი არლუთინსკისთან ატანს წერილს. სთხოვს, რომ გენერალ ალექსანდრ ვრანგელს გადააბაროს საქმე, ვნების კვირამდე აუცილებლად გაემგზავროს თბილისში და დაღესტანში დადგინდეს დარჩეს.
- 1852 23 მარტი**
ზაქათალიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ მის პოლკს მეფისნაცვალს ვორონცოვი დაათვალიერებს.
- 1852 21 აპრილის შემდეგ**
თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს საყვედურობს, რომ არ შეაწუხა და პირდაპირ არ უთხრა თავისი ფინანსური პრობლემის შესახებ. უგზავნის 2000 რუბლს, რომ მისცეს საშუალება, ღირსეულად გაუძღვეს კასპიისპირა მხარის ჯარების სარდლობას. აინტერესებს გრიგოლის აზრი ჰაჯი-მურატის შემოთავაზების შესახებ. აცნობებს, რომ გრიგოლის ძმასთან, ილიასთან ერთად მხიარულად გაატარა ორი დღე თეთრიწყაროში.
- 1852 26 აპრილის შემდეგ**
თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს ჰაჯი-მურატის ტრაგიკული აღსასრულის ამბავს. სწერს, რომ ეცოდება, მაგრამ მისი სიკვდილი მათთვის ხელსაყრელია, რადგან ჰაჯი-მურატის ქმედებებზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებოდათ. მკვლელობამ არ უნდა შეუცვალოთ აზრი ჰაიდარ-ბეგზე. ჰპირდება, რომ ამ საკითხზე დაწვრილებით მისწერს და გაუგზავნის იოსებ ყორღანოვის მოხსენებას ჰაჯი-მურატის გაქცევისა და მისი მკვლელობის შესახებ.
- 1852 28 აპრილამდე**
იმყოფება თემირხანშურაში და იღებს კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვის წერილს.
- 1852 28 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და მადლობას უხდის გაწეული მატერიალური დახმარებისთვის.
- 1852 3 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ კასპიისპირა მხარეში სრული სიმშვიდეა.
- 1852 3 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის რუსეთის არმიის გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვს და სთხოვს, შამხლის მილიციის 2 ასეული, რომლის შეკრებასაც აპირებს ზაფხულისათვის, ხაზინიდან დააფინანსონ.

- 1852 3 მაისის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს, რომ მოსე არლუთინსკი გამოკეთდა, მაგრამ ექიმი ერასტ ანდრეევსკი მაინც არ არის კმაყოფილი და ზღვის აზიანებზე უპირებს გაშვებას. უგზავნის იოსებ ყორღანოვის მოხსენებას ჰაჯი-მურატის შესახებ. სწერს, რომ გრიგოლის ხარი დროებით მან წაიყვანა თეთრიწყაროდან, რადგან გრიგოლის ძმის, ილიას, მამულში ნარგავებს და ყვავილებს აფუჭებდა და, როგორც კი გრიგოლი მოინდომებს, უკან დაუბრუნებს. აცნობებს, რომ ჰაჯი-მურატის მოკვეთილ თავს პეტერბურგში გზავნიან.
- 1852 4 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის პოლკოვნიკ გედეონ ბუჭყიაშვილს და აცნობებს ჰაჯი-მურატის მკვლელობის ამბავს, აგრეთვე სთხოვს ევგენიევსკის ციხის მონახულებას და იწვევს სადილად.
- 1852 4 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს თავისი სამხედრო დანაყოფის ამბებს. მათ ძმისწულ ალექსანდრესთან დაკავშირებით ურჩევს, რომ ზაფხულში თავისთან იყოლიოს პოლკის შტაბში და ვინმე მიუჩინოს მასწავლებლად.
- 1852 5 მაისი**
 მიდის სულაკის საბრძოლო ხაზის დასათვალიერებლად, რომელიც გადის ჩირქეიზე, ხუდუმბაშზე, მიატლისა და ყუმთურყალაზე.
- 1852 8 მაისი**
 სულაკის სასაზღვრო ხაზიდან ბრუნდება თემირხანშურაში, სადაც ხვდება გედეონ ბუჭყიაშვილსა და იასონ ჭავჭავაძეს თავიანთი მეუღლეებით. აღფრთოვანებულია იასონის ცოლის, მაია შალვას ასულ ერისთავის, სიდარბაისლითა და გონიერებით.
- 1852 9 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1852 9 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის რუსეთის არმიის გენერალ მოსე აღლუთინსკი-დოლოგორუკოვს და უზიარებს ევგენიევსკის ციხესიმაგრის მონახულებით მიღებულ შთაბეჭდილებებს.
- 1852 10 მაისის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ მოსე არლუთინსკი დაარწმუნეს, ბორჯომის წყლებს სამკურნალო თვისებები არა აქვსო და სხვაგან გადაწყვიტა მკურნალობის გაგრძელება. სწერს, რომ ის პირები, რომლებიც გროზნოში ჰაჯი-მურატს ახლდნენ, გრიგოლთან უნდა გაგზავნონ დადესტნის პოლკში მისაღებად, რადგან უდანაშაულოები არიან. აინტერესებს, რას ფიქრობს შამხალი ჰაჯი-მურატის სიკვდილის შესახებ.

- 1852 11 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და უზიარებს შთაბეჭდილებებს ევგენიევსკის ციხესიმაგრეზე ჩატარებული უზარმაზარი სამუშაოების შესახებ.
- 1852 12 მაისი**
 თემირხანშურაშია და იღებს მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ ბარათს, რომელშიც რჩევებს აძლევს შამხალის მილიციასთან დაკავშირებით. აცნობებს, რომ ავადმყოფობის გამო საზღვარგარეთ მიემგზავრება და მისთვის მოუხერხებელი იქნება დაღესტანთან მიმოწერა.
- 1852 16 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ-მაიორ ალექსანდრ კაპდერს და აუწყებს, რომ საბრძოლო ხაზებზე ჯერჯერობით სიმშვიდეა.
- 1852 16 მაისის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს, რომ დანიილ-ბეგს სურს, მიიმალოს წახურში, რაც გრიგოლს საშუალებას მისცემს, გამაგრდეს მაჰალში. სთხოვს, ალექსანდრ ვრანგელს მიაშველოს თავისი ორი ბატალიონი და იუსუფ-ბეგის მილიცია დანიილ-ბეგის დასამარცხებლად. სურს, აცნობოს თავისი მოსაზრება ამ ამბავთან დაკავშირებით და შეატყობინოს ვრანგელის პასუხი. დარწმუნებულია, რომ გრიგოლი ყველაფერს გააკეთებს, რომ დანიილ-ბეგი და მისი მომხრეები მაჰალში არ დარჩნენ იქიდან მოსახლეობის გასახლების შემდეგ.
- 1852 24 მაისამდე**
 იმყოფება თემირხანშურაში და იღებს მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვის წერილს, რომელშიაც ადრესანტი სთხოვს, ალექსანდრ ვრანგელის ჯარს დაეხმაროს მთიანი მაჰალის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- 1852 24 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ-მაიორ ალექსანდრ ვრანგელს და მაქსიმალურ დახმარებას ჰპირდება მთიანი მაჰალში გამაგრებული დანიილ სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- 1852 29 მაისი**
 სადილად არის მიწვეული თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანთან.
- 1852 29 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ უახლოეს ნათესავებს და სთხოვს, დაწვრილებით მისწეროს მისი ბიძაშვილიშვილის – ანასტასია ორბელიანისა და გენერალ-ლეიტენანტ ივან ოკლობჟიოს ქორწილის ამბები.

- 1852 31 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის პოლკოვნიკ გედეონ ბუჭყიაშვილს და პატივისცემით მოიკითხავს მის მეუღლეს.
- 1852 3 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის იმპერატორის კანცელარიის უფროს ალექსეი ორლოვს. ატყობინებს, რომ ასრულებს მის თხოვნას და პოდპოლკოვნიკ მიხეილ დუბელტს ავალეებს მთაში გასული აფშერონის პოლკის ორი ბატალიონის მეთაურობას.
- 1852 3 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურსა და კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროს ალექსანდრ ბარიატინსკის. ატყობინებს დადესტნის ამბებს და აუწყებს იმასაც, რომ თავისი ჯარის ნაწილებით უნდა დაეხმაროს გენერალ-მაიორ ალექსანდრ ვრანგელს.
- 1852 8 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს.
- 1852 9 ივნისის შემდეგ**
თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს, რომ დანიილ-ბეგმა დატოვა მაჰალი და ირიბში გადავიდა. სთავაზობს გენერლების – ალექსანდრ ვრანგელის, პეტრე ვოლკოვისა და ადრესატის სამხედრო ძალების გადანაწილების გეგმას. ავალეებს პურისა და ბალახის განადგურებას, რომ ვერავინ დარჩეს საცხოვრებლად ამ სოფლებში. ვარაუდობს, რომ მოსე არლუთინსკის არყოფნის დროს გრიგოლს მოუწევს გადანაცვლება ლეკეთის ხაზზე, რადგან ეს მხარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.
- 1852 16 ივნისამდე**
სამხედრო ხელმძღვანელობის დავალებით სოფელ ლუჩექთან გზავნის ოთხ ბატალიონს, რომლებიც გენერალ ვრანგელის დანაყოფებთან ერთად უკან ახევინებენ დანიილ-ბეგის ჯარებს.
- 1852 19 ივნისი**
ქუთაისის მთიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. საყვედურობს, რომ არ შეატყობინა თავისი ვაჟის – ალექსანდრეს პეტერბურგში გაგზავნის ამბავი. ინტერესდება, ვინ წაიყვანა, სად იმყოფება და რომელ პოლკში უნდა იმსახუროს.
- 1852 30 ივნისი**
ქუთაისის მთიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ სუსლოვს და ჰპირდება, რომ რამაზანის დამთავრების შემდეგ ესტუმრება.
- 1852 ივნისის ბოლომდე**
იმყოფება ქუთაისის მთაზე. ახალგაზრდა ნესტორ წერეთელი გადასცემს გენერალ ვასილ ბებუთოვის წერილს და რჩება მასთან.

- 1852 ივნისი**
ქუთიშის მთიდან საპასუხო წერილს უგზავნის გენერალ ვასილ ბებუთოვს და ატყობინებს ჯარების განლაგებას.
- 1852 1 ივლისის შემდეგ**
ქუთიშის მთაზე იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ბორჯომიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს ემადლიერება 8 ივნისის წერილისთვის, რომელშიც გრიგოლი საომარი ლოკაციებისა და მოქმედებების არაჩვეულებრივ ცოდნას ამჟღავნებს. მიუხედავად იმისა, რომ არარისინფორმირებული მთებში გენერალ ალექსანდრ ვრანგელის სამხედრო დანაყოფების გადაადგილების თაობაზე. ფიქრობს, რომ დანიილ-ბეგი ან შამილი მთაზე თავდასხმას ვერ გაბედავენ. მიაჩნია, რომ შამილი ცდილობს მოწინააღმდეგეების შეშინებას ძალის დემონსტრირებით. ეთანხმება, რომ აუცილებელია გუბდენის მოსახლეობის დასჯა დაუმორჩილებლობისა და ამბოხისთვის. სწერს, რომ გრიგოლის ძმა, ილია, თავისი ბატალიონით ჩავიდა ვრანგელთან ლეკეთის ხაზზე.
- 1852 2 ივლისის შემდეგ**
ქუთიშის მთაზე იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ბორჯომიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს უწონებს გენერალ ალექსანდრ ვრანგელთან თანამოქმედებას დანიილ-ბეგის მთიანი მაჰალიდან გასადევნად. აცნობებს, რომ ჰაჯი-მურატის მომხრე ავარიელები გრიგოლთან გაგზავნა და მზად არიან მას დაემორჩილონ.
- 1852 3 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ ჯარებმა წარმატებით და უდანაკარგოდ დაიკავეს მთიანი მაჰალი.
- 1852 9 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. აცნობებს, რომ მიუხედავად მიურიდების მუქარისა, რომ ბაირამის დასრულების შემდეგ შეტევაზე გადავიდოდნენ, ჯერ მათი მხრიდან სამხედრო აქტივობა არ შეიმჩნევა. სთხოვს, შეატყობინოს, როგორი ვითარებაა მასთან.
- 1852 17 ივლისი**
იმყოფება ქუთიშის მთაზე და კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვისაგან იღებს წერილს, რომელშიც საუბარია დრაგუნთა პოლკის მეთაურის – იასონ ჭავჭავაძის სამხედრო დამსახურებებსა და მისთვის უახლოეს ხანში გენერლის წოდების მინიჭებაზე.
- 1852 18 ივლისამდე**
წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.
- 1852 18 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. სწერს, რომ ალექსანდრ ვრანგელი და კონსტანტინე თარხნიშვილი მთიანი მაჰალის მცხოვრებლებს კომლზე 50 მანეთის მიცემას დაჰპირებიან, რაც მეფისნაცვალთან შეთანხმებული არ იყო და მისი უკმაყოფილება გამოუწვევია.

- 1852 18 ივლისი**
 ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ გავრცელებული ხმები მუსლიმური მარხვის დამთავრების შემდეგ მთიელთა მოსალოდნელი შემოტევის შესახებ არ გამართლდა და სრული სიმშვიდე სუფევს.
- 1852 3-19 ივლისი**
 ბორჯომიდან იღებს მიხეილ ვორონცოვის წერილს. მეფისნაცვალი ავალებს, მიიღოს ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც არ დაემორჩილა გრიგოლის ბრძანებებს და ეურჩა შამხალს. ეს იქნება მაგალითის მიმცემი სხვებისთვის. ურჩევს, სასჯელად გამოიყენოს რთულ და მიუვალ ადგილებში საგზაო სამუშაოებზე გაგზავნა, რაც ორმაგ სარგებელს მოიტანს. ავალებს, მთავარი დამნაშავეები ხანგრძლივად ან სამუდამოდ გაასახლოს რუსეთში. იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ აღარავის მოუვა აზრად მათ წინააღმდეგ გამოსვლა. სწერს, რომ ბორჯომი სწრაფად ვითარდება და მალე საუკეთესო დასასვენებელ ადგილად იქცევა. აცნობებს, რომ მიიღო შეტყობინება გენერალ ალექსანდრ ვრანგელისგან მთელი რაზმის მობილიზების შესახებ. იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.
- 1852 20 ივლისის შემდეგ**
 ქუთიშის მთაზე იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ათონიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალი აცნობებს, რომ აღტაცებულია გრიგოლის მიერ 3 მაისის წერილში გამოთქმული მოსაზრებებით მთიანი მაჰალის სოფლების შესახებ. მან მისწერა გენერალ ალექსანდრ ვრანგელს, რომ იმოქმედოს გრიგოლის შეხედულებისამებრ, მაგრამ, როდესაც ვრანგელამდე მივიდა წერილი, საქმე უკვე დასრულებული იყო და მაჰალის 15 სოფლის მოსახლეობა – გასახლებული. ამ საქმეში ვრანგელს დიდად დაეხმარა გრიგოლის ძმა, ილია ორბელიანი. მადლობას უთვლის ლეკეთის ხაზზე დახმარებისთვის და იმედოვნებს, რომ აღარაფერი შეუშლის ხელს იქ წესრიგის დამყარებას.
- 1852 29 ივლისი**
 ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს ჯუნგუთაელების ბრძოლის შესახებ შამილის ნაიბების ორი ათასამდე ცხენოსანთან.
- 1852 30 ივლისი**
 ჩრდილოეთ დაღესტნის დროებით მმართველს, გრიგოლ ორბელიანს, ატყობინებენ, რომ სოფელ სალტის ნანგრევებთან შეინიშნება მიურიდთა ჯარის კონცენტრირება.
- 1852 30 ივლისი**
 თავის სამხედრო დანაყოფებთან ერთად ტოვებს ქუთიშის მთას და გადაადგილდება თურჩიდალისკენ.
- 1852 31 ივლისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ნუხის გამგებელ კონსტანტინე თარხნიშვილს და სთხოვს, მთიანი მაჰალიდან ჩასულ მოსახლეობას ლმობიერად მოექცეს, რომ გადასახლების პროცესმა მშვიდობიანად ჩაიაროს.

- 1852 31 ივლისი**
თავის სამხედრო დანაყოფებთან ერთად ადის მთა თურჩიდალზე, იერთებს გენერალ სუსლოვის ორ ბატალიონს და მიემგზავრება სალტისაკენ.
- 1852 1 აგვისტო**
სამხედრო დანაყოფებთან ერთად უახლოვდება ყუიადის შემოგარენს, ბანაკდება სოფელ კუდალთან და იგებს, რომ იქ განლაგებული მიურიდების ჯარი უკვე დაშლილია.
- 1852 2 აგვისტო**
სამხედრო დანაყოფებთან ერთად ათვალეერებს ყუიადის შემოგარენს, რომ დარწმუნდეს მტრის მიერ ამ ტერიტორიის დატოვებაში.
- 1852 3 აგვისტო**
სამხედრო დანაყოფებთან ერთად ბრუნდება თურჩიდალზე.
- 1852 9 აგვისტო**
თურჩიდალის მთიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ თავის უახლოეს ნათესავებს. ადრესატის ძმას, იაკინთეს, უთვლის, რომ თხოვნას შეუსრულებს და დაეხმარება მის ნაცნობ ოფიცერს.
- 1852 13 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალზე და წერილს იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისაგან.
- 1852 21 აგვისტო**
თურჩიდალის მთიდან ვრცელ წერილს უგზავნის რუსეთის არმიის გენერალ მოსე ალუთინსკი-დოლოგორუკოვს და დაწვრილებით უყვება მისი დაღესტნიდან წასვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.
- 1852 23 აგვისტოს შემდეგ**
თურჩიდალის მთაზე იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ვლადიკავკაზიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს ირანის შაჰსა და თურქეთის სულთანთან შამილის ურთიერთობის შესახებ. სწერს, რომ შაჰი ჩეჩნებს ტყვია-წამალს დაჰპირდა და, რომ ექვსი ქვემეხი უკვე გადატანილია ვედენოში. მას მიაჩნია, რომ სოფელ ანდრეევის ებრაელები ყოველთვის კავშირში იყვნენ მთიელებთან და შამილს ამარაგებდნენ. ამიტომ ფიქრობს, რომ ყურადღებით არის შესასწავლი მათი საქმიანობა. ადრესატს ავალებს, მის მიერ დაპატიმრებული ებრაელები დაცვის თანხლებით გადაგზავნოს გროზნოში, რომ ვერ მოახერხონ ერთმანეთთან კონტაქტი. სთხოვს, ისინი პირდაპირ მიიყვანონ ბარონ ლეონტი ნიკოლაისთან, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს მათი ურთიერთობა მთიელებთან. სწერს, რომ მიემგზავრება ყირიმში ხელმწიფესთან შესახვედრად. სურს გრიგოლის ნახვა ხასავიურტში ან ჩირიურტში. აცნობებს, რომ ალექსანდრ ბარიატინსკიმ სამი ექსპედიცია მოაწყო დიდ ჩეჩნეთში და უამრავი პური და მარცვლეული გაანადგურა.

- 1852 24 აგვისტო**
 თურჩიდაღის მთიდან წერილს უგზავნის ვარშავაში ვასილი ზაბოლოცკის. სთხოვს, შეიტყოს მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის ადგილსამყოფელი და გადასცეს მისი ბარათი.
- 1852 29 აგვისტოს შემდეგ**
 თურჩიდაღში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ გროზნოდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ შემოიარა დიდი ჩეჩნეთი ქურის, დონისა და გრებენის პოლკების თანხლებით და, მიუხედავად იმისა, რომ სამი ნაიბი იყო გარშემო განლაგებული თავიანთი ჯარებით, წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. სთხოვს, საქმის ვითარება დაწვრილებით აცნობოს ყირიმში, სადაც 15 სექტემბერს მიემგზავრება იმპერატორ ნიკოლოზ I-თან შესახვედრად.
- 1852 30 აგვისტო**
 თურჩიდაღის მთიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ მოინახულა სალტის ნანგრევები და მიმდებარე გაჩანაგებული სოფლები.
- 1852 31 აგვისტო**
 მიდის ყაზიყუმუხში საომარი ხაზის დასათვალიერებლად.
- 1852 4 სექტემბერი**
 იმყოფება სოფელ აჰყოშაში და იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მიერ 23 და 29 აგვისტოს გაგზავნილ ორ წერილს.
- 1852 6-7 სექტემბერი**
 ჯარის ნაწილთან ერთად თურჩიდაღიდან მიდის სოფელ აჰყოშაში, გამაშის მთაზე ტოვებს გენერალ-მაიორ პეტრე ვოლკოვს, 2 ქვეითი ბატალიონით, 4 ქვემეხითა და კავალერიის 4 ასეულით; ხოლო ყაზიყუმუხში – 2 ბატალიონს, 2 ქვემეხითა და ქვეითი საარტილერიო რაზმით.
- 1852 8 სექტემბერი**
 აჰყოშიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ თემირხანშურაში დასრულდა კომპების მშენებლობა. აქებს ყაზიყუმუხის ხან ალაღარ-ბეგს, რომელიც ზრუნავს დანგრეული სოფლის, უნჩუდატლის, ალდგენასა და იქ 500-ზე მეტი ოჯახის ხელახლა დასახლებაზე.
- 1852 12 სექტემბრის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ეისკიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს კმაყოფილებას გამოთქვამს ტაბასარანელთა და ყაითაღელთა მშვიდად ყოფნის გამო, მაგრამ აინტერესებს, აგრძელებენ თუ არა საგზაო სამუშაოებს. მიუხედავად იმისა, რომ შამხალმა შესაძლებლად ცნო მისი ერთგული გუბდენელების შეწყალება, მიაჩნია, რომ ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ, ყაჩაღები კი ოჯახებთან ერთად გადასახლდნენ რუსეთში. აცნობებს დერბენდის ახლოს ქვანახშირის საბადოს აღმოჩენის შესახებ.

- 1852 13 სექტემბერი**
ადის მეხთულის სახანოში.
- 1852 19 სექტემბერამდე**
ერთად შეკრებს აჰყომის ყადებსა და უხუცესებს და უბრძანებს, გადამწყვეტი ზომები მიიღონ აბრაგთა შემოჭრების წინააღმდეგ, შემდეგ გადადის სოფელ გუბდენში, რომლის მკვიდრნიც განსაკუთრებული მორჩილებით ეგებებიან.
- 1852 19 სექტემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ შამილის ყურადღება უფრო ჩეჩნეთისკენაა მიმართული და დალესტანში სიმშვიდეა.
- 1852 29 სექტემბრამდე**
თბილისის სამხედრო გუბერნატორ ივან ანდრონიკაშვილთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოფელ ძველი გავაზის ხელახლა დასახლებაში.
- 1852 29 სექტემბერი**
კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი 1849-1851 წლებში კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ იმპერატორისთვის წარდგენილ ანგარიშში ხაზს უსვამს დალესტანის მმართველის მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვისა და მისი მოვალეობის შემსრულებლის – გრიგოლ ორბელიანის კარგად ორგანიზებულობას არა მხოლოდ საომარ საქმეებში, არამედ სამოქალაქოშიც, როგორც არის, მაგალითად, გზების გაყვანის საკითხი. იგი წერს, რომ ამ გზების წყალობით გრიგოლ ორბელიანმა დროულად მიაშველა დამხმარე ჯარი გენერალ ვრანგელს და ხელი შეუწყო მტრის დამარცხებაში. აქვე იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ 1851 წელს ჭარ-ბელაქნის ოლქში მცხოვრებმა 1200-მა ინგილომ თავისი ნებით მიიღო მართლმადიდებელი სარწმუნოება და მათთვის აშენდა რამდენიმე ეკლესია. ყოველივე ეს მეფისნაცვალს მიაჩნია ოლქის მმართველის – გრიგოლ ორბელიანის კეთილგონივრული ხელმძღვანელობის დამსახურებად.
- 1852 2 ოქტომბერი**
სამეგრელოში თბილისის გავლით მიმავალი აზნაური პეტრე კოპეიშვილის ხელით თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას.
- 1852 5 ოქტომბრამდე**
ათვალიერებს სოფელ მახაჩყალის მიმდებარე თაღის ხეობას. აღფრთოვანებულია მინერალური, გოგირდტუტოვანი ცხელი და ცივი წყლებით.
- 1852 5 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. აღშფოთებით ატყობინებს, რომ ხაზინა ცდილობს აგრიკარად წოდებული, საუკუნეების განმავლობაში ორბელიანთა კუთვნილი მიწების დაპატრონებას. სწერს, რომ მისი სამართლიანობისა და დახმარების იმედი აქვს.

- 1852 5 ოქტომბერის შემდეგ**
თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ალუმტიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ იმპერატორმა დააწინაურა გრიგოლის ოთხი თანამებრძოლი. აღტაცებას გამოთქვამს მის მიერ ჩატარებული საომარი ოპერაციებით და წუხს, რომ მის სანახავად ვერ ჩავიდა დაღესტანში. სთხოვს, დერბენდის ტყვია-წამლის ქურდობის საქმე შეისწავლოს და დამნაშავეთა ვინაობა აცნობოს, რადგან იმპერატორი ნიკოლოზ I ამით ძალიან დაინტერესებულია.
- 1852 6 ოქტომბერი**
იღებს გენერალ-ლეიტენანტ ვასილი ზაბოლოცკის მიერ ვარშავიდან გაგზავნილ წერილს. იგებს, რომ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი მალე დაბრუნდება საზღვარგარეთიდან და მისთვის გადასაცემი ბარათი ვასილი ბებუთოვს დაუტოვა.
- 1852 13 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. აცნობებს, რომ თვის ბოლოს ელოდება გენერალ მოსე არლუთინსკის და მაშინ საშუალება ექნება, გარკვეული დროით ჩავიდეს თბილისში.
- 1852 18 ოქტომბერი**
იმყოფება თემირხანშურაში, პატაკს წერს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სახელზე და შუამდგომლობს მაიორ მიხეილ ჯომარდიძეს მეორე კატეგორიის პენსიის მისაღებად.
- 1852 21 ოქტომბერი**
იმყოფება თემირხანშურაში და კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისაგან იღებს წერილს.
- 1852 22 ოქტომბერი**
იმყოფება თემირხანშურაში და კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისაგან იღებს წერილს.
- 1852 24 ოქტომბერი**
იმყოფება თემირხანშურაში და კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისაგან იღებს წერილს.
- 1852 24 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ულოცავს გენერლის წოდებას.

- 1852 28 ოქტომბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. დაწვრილებით აცნობებს მიურიდების რამდენიმე შეტევისა და ძარცვის შესახებ, რომლებიც რუსეთის საჯარისო შენაერთებმა დროულად აღკვეთეს. სწერს, რომ შამილს გაურკვეველი გზით ხელში ჩაუგდია რუსული საზარბაზნე რაკეტები და თავისი ნაიბებისთვის 60-60 ცალი დაურიგებია. ყაზიყუმუხთან მათ მიერ გამოყენებული ერთ-ერთი ასეთი რაკეტა არ გასკდა და გრიგოლ ორბელიანი მეფისნაცვალს ატყობინებს, რომ მასთან გადაგზავნა გამოძიებისთვის.
- 1852 4 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან საიდუმლო წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველ მიხეილ შჩერბინინს და აცნობს თავისი საფუძვლიანი მოკვლევის შედეგებს დერბენდის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროსის, მატვეი შტუკინის, შესახებ.
- 1852 8 ნოემბერი**
 მიხეილ ყორღანოვი მიხეილ თუმანიშვილს ურჩევს, რომ ტყვედ ჩავარდნილი თავისი ნათესავის გასათავისუფლებლად დახმარება სთხოვოს იასონ ჭავჭავაძეს, მოსე არლუთინსკი-მხარგრძელს ან გრიგოლ ორბელიანს.
- 1852 21 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს განვითარებული სამხედრო მოვლენების შესახებ. სთხოვს, გაუგოს, როდის აპირებს გენერალი მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვი თემირხანშურაში გამგზავრებას, რადგან მის ჩასვლამდე თბილისში წასვლას ვერ ახერხებს.
- 1852 21 ნოემბრის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალი აცნობებს, რომ მოსე არლუთინსკი ბრუნდება მოსკოვიდან თემირხანშურაში. გრიგოლს ავალებს ჯერ ზაქათალაში და შემდეგ თბილისში ჩასვლას. მას ოფიციალური მადლობა უნდა გამოუცხადონ და პეტერბურგში წარადგინონ. ალექსანდრ ბარიატინსკისგან შეიტყო, რომ ყველა გრიგოლის გამჭრიახობასა და ბრწყინვალე სარდლობაზე ლაპარაკობს, რის გამოც ღირსეულ ჯილდოს იმსახურებს. სთხოვს, რაც მას მისწერა ქურის სახანოში აღმოჩენილ ქვანახშირსა და პეტროვსკის ახლოს მიკვლეულ მინერალურ წყლებზე, მოსე არლუთინსკისაც აცნობოს. აინტერესებს მთიელი ტყვეების მდგომარეობა, რომელთა ნაწილი უნდა გაიცვალოს მათ ტყვეებში, ყაჩაღები კი, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, სიკვდილით უნდა დაისაჯონ ან რუსეთში გასახლდნენ ოჯახებით. იარაღისა და ტყვია-წამლის დაკარგვასთან დაკავშირებით ატყობინებს, რომ ატამან ფელიქს კრიუკოვსკის დაღუპვის შემდეგ ჩეჩნეთში რუსების მიერ დაკარგული 37 შაშხანა შამილის ხელში აღმოჩნდა და მან თავის ნაიბებს დაურიგა.
- 1852 1 დეკემბრამდე**
 არის სოფელ ჩირიურთში, სადაც ათვალიერებს სულაღის სასაზღვრო ხაზს და ამოწმებს დრაგუნთა პოლკს.

- 1852 1 დეკემბერი**
 ბრუნდება თემირხანშურაში და იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის წერილს.
- 1852 2 დეკემბრამდე**
 თემირხანშურაში გავლით მყოფ ცნობილ მინერალოგ ჰერმან აბიხს სთხოვს, შეისწავლოს ალაჩაულის წყლების სამკურნალო თვისებები და აცნობოს, იქნება თუ არა ეფექტური დროებითი ჰოსპიტლის მოსაწყობად და მეომართა სამკურნალოდ.
- 1852 2 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ ალაჩაულის წყალს უამრავი კარგი სამკურნალო თვისება აღმოაჩნდა, მაგრამ ქურის სახანოში ნაპოვნ საბადოში ქვანახშირის მხოლოდ თხელი ფენაა.
- 1852 5 დეკემბრამდე**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კაპიტან კლავდი ერმოლოვს და აცნობებს, რომ გენერალ-მაიორმა პეტრე ვოლკოვმა ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა.
- 1852 5 დეკემბრის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ ალექსანდრ ბარიატინსკის აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა იანვრის დასაწყისში რისკის გარეშე მძლავრი შეტევის განხორციელება ჩეჩნების წინააღმდეგ. აცნობებს ლეკეთის ხაზზე მოქმედი სამხედრო ნაწილების გადაადგილების შესახებ და სთხოვს, მისწეროს თავისი და არღუთინსკის მოსაზრებები. ჰპირდება, რომ გაუგზავნის რუსეთის მხარეს გადასული შამილის თანამებრძოლის, ხალეთ-ეფენდის ჩვენებას, რომელიც მრავალ საინტერესო ინფორმაციას მოიცავს. მათთვის დადებით მოვლენად მიაჩნია შამილის უკმაყოფილება დანიილ-ბეგით. ფიქრობს, რომ იმამისგან მისი ერთგული თანამებრძოლების ჩამოშორება მისი ძალაუფლების დასასრულის მოახლოებას ნიშნავს. აინტერესებს გრიგოლის აზრი ახალაღმოჩენილი იმ მინერალური წყლების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, რომელთა სამკურნალო თვისებებიც ცნობილმა მინერალოგმა ჰერმან აბიხმა გამოიკვლია.
- 1852 6 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ-ფელდმარშალ ალექსანდრ ბარიატინსკის და სთხოვს თავისი ძმისშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, სამხედრო სამსახურში მიღებას.
- 1852 16 დეკემბრამდე**
 იმყოფება თემურხანშურაში და იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის წერილს.

- 1852 16 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. ატყობინებს, რომ გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან შეთანხმებით, ამ უკანასკნელის ჩეჩნეთზე შეტევის შემთხვევაში, მტრის ძალების გასაფანტად აპირებს თავისი ჯარებით თავდასხმებს სალათავიაზე. ამისთვის გზავნის 4 ქვეით ბატალიონს, 400 ცხენოსანსა და სამთო ქვემეხებს.
- 1852 დეკემბერი**
 სალათავიაში სიტუაციის შესასწავლად მის მიერ დროულად გაგზავნილი ჯარი აღმოაჩენს მიურიდების მიერ აშენებულ თითქმის 5-კილომეტრიან დამცავ კედელს და მანამდე ანადგურებს, სანამ მთიელები მათ მისვლას გაიგებდნენ.
- 1852** ირჩევენ სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების საპატიო წევრად.
- 1853 2 იანვრამდე**
 ჟურნალ „ცისკარში“ კითხულობს სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ თარგმნილ მოთხრობას „ჟოკო“.
- 1853 2 იანვრამდე**
 ელოდება თემირხანშურაში მოსე არღუთინსკის ჩასვლას, რომ მოვალეობები გადააბაროს და საახალწლოდ თბილისში ჩავიდეს, მაგრამ გენერალი აგვიანებს.
- 1853 2 იანვრამდე**
 ესწრება თემირხანშურაში გამართულ თეატრალურ წარმოდგენას, რომელშიც სულ მოყვარულები, მათ შორის, ქალებიც თამაშობენ და კმაყოფილია.
- 1853 2 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ადრესატის ძმას, სარდიონ ალექსი-მესხიშვილს, უთვლის, რომ წაიკითხა მის მიერ თარგმნილი მოთხრობა „ჟოკო“, მაგრამ ეუცხოვა, რომ მაიმუნი სახარებისეული, მაღალფარდოვანი და არა სალაპარაკო ენით იყო აღწერილი.
- 1853 2 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, ულოცავს ახალ წელს და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1853 15 თებერვალი**
 კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი რუსეთის იმპერატორის ვაჟის – ვიცე-ადმირალ კონსტანტინ ნიკოლოზის ძე რომანოვისთვის გაგზავნილ პატაკში წერს, რომ კასპისპირა მხარის დროებითმა სარდალმა გრიგოლ ორბელიანმა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებითა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო დანაყოფების გონივრული განლაგებით რამდენჯერმე მოიგერია მიურიდების თავდასხმა მინიმალური მსხვერპლით.

- 1853 თებერვლის მეორე ნახევრამდე**
 მოსე არლუთინსკი გადასცემს მისი ძმისწულის – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანის მიერ პეტერბურგიდან გამოტანებულ წერილს, რომლიდანაც გრიგოლ ორბელიანი იგებს, რომ ის კარგად არის.
- 1853 22 თებერვლამდე**
 დიმიტრი ჯორჯაძესთან ერთად ზაქათალიდან მიემგზავრება თბილისში.
- 1853 თებერვლის მეორე ნახევარი**
 ზაქათალიდან 100 მანეთს და წერილს უგზავნის ძმისწულს, ალექსანდრე ორბელიანს და ურჩევს, გულმოდგინედ ისწავლოს პაჟთა კორპუსში.
- 1853 5 მარტი**
 თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ბიცოლას, ელისაბედ ავალიშვილ-ორბელიანისას. გული სწყდება, რომ მისი თბილისში ჩასვლის დროს იქ არ დახვდა.
- 1853 5 მარტის შემდეგ**
 ზაქათალისკენ მიმავალი შეივლის წინანდალში ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვის სანახავად.
- 1853 20 მარტამდე**
 პლატონ იოსელიანისგან გასავრცელებლად იღებს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ გარკვეულ რაოდენობას და მისგან შემოსულ თანხას თბილისში ატანს იური ახვერდოვს.
- 1853 20 მარტის შემდეგ**
 პლატონ იოსელიანისგან იღებს წერილს და დიდი რაოდენობით ქართულ წიგნებს გასავრცელებლად.
- 1853 21 მარტი**
 ჯილდოდება წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენზე დასამაგრებელი საიმპერატორო გვირგვინით.
- 1853 27 მარტი**
 კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს წერილობით უპატაკებს ლოპოტის ხეობიდან შემოჭრილი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართული მილიციის მიერ მოპოვებული წარმატების შესახებ.
- 1853 3 აპრილი**
 კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისთვის გაგზავნილ წერილობით პატაკში ითხოვს ქართული მილიციის რაზმის იმ მეზობლთა დაჯილდოებას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.
- 1853 3 აპრილი**
 თემირხანშურიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილს და მოიკითხავს საერთო ნაცნობებს.

- 1853 4 აპრილამდე**
ზაქათალაში დაბრუნებული იღებს მიხეილ ვორონცოვის წერილს.
- 1853 4 აპრილი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ ხმები შამილის თურქეთში გადასვლასთან დაკავშირებით დამაჯერებლობას მოკლებულია.
- 1853 4 აპრილის შემდეგ**
ლევან მელიქიშვილი გადასცემს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლის – ეკატერინე ბრონიცკაია-ვორონცოვას მიერ გაგზავნილ საკუთარ ფოტოს.
- 1853 10 აპრილამდე**
პეტერბურგიდან იღებს თავისი ძმისწულის, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანის, წერილს, იგებს, რომ კარგად არის და გაგზავნილი თანხაც მიიღო.
- 1853 10 აპრილი**
ზაქათალიდან ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას მოკითხვის წერილთან ერთად უგზავნის თავისი ვაჟის ბარათსაც და სთხოვს ეპოლეტების გაგზავნას.
- 1853 11 აპრილი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და აწვდის შამილისა და მისი გარემოცვის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას. ასევე სთხოვს მთავრობისადმი თავდადებისა და ერთგულებისათვის ბელაქნელი მეზრძოლების წახალისებას.
- 1853 13 აპრილი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. ატყობინებს, რომ ელოდება მეფისნაცვალ ვორონცოვისა და მისი მეუღლის მისვლას და დიდ ფაციფუცშია.
- 1853 14 აპრილი**
მთავარი შტაბის უფროს გენერალ ნიკოლოზ ვოლფისგან იღებს დადასტურებას ქართული მილიციის რაზმის მეზრძოლთა დაჯილდოებასთან დაკავშირებით და იგებს, რომ ჯილდოები გამოატანეს პოლკოვნიკ ლევან მელიქიშვილს.
- 1853 18 აპრილის შემდეგ**
ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალი კმაყოფილებას გამოთქვამს შამილის მიერ ელისუს სულთან დანიილ-ბეგის დაპატიმრების გამო. აცნობებს წინანდლიდან კახში მოგზაურობის მარშრუტს და სთხოვს, დახვდეს, სადაც მოახერხებს.
- 1853 9 მაისამდე**
ზაქათალის რაიონის სოფლებს ათვალიერებინებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვსა და მის მეუღლეს.

- 1853 9 მაისამდე**
ჰპირდებიან იჯარაზე წარდგენას და მანამდე ერთჯერადად 1250 მანეთის მიცემას.
- 1853 9 მაისი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ დიდებულად ჩაიარა მთავარმართებელ ვორონცოვის სტუმრობამ.
- 1853 21 მაისამდე**
ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს განსახილველად წარუდგენს კასპისპირა მხარის მოსახლეობის მიერ საზღვარგარეთ არაბი და შავკანიანი მსახურების ყიდვის კანონიერების საკითხს.
- 1853 29 მაისი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1853 12 ივნისი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და სწერს, რომ მალე თანხას მიაწვდის სახლის მოსაწყობად. მოკითხავს უთვლის მათდის წულს – ნინო ბარათაშვილსა და ადრესატის მეუღლეს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წერილში ჩართულია ერთი სპარსული ლექსის ვასილი დომონტოვიჩისეული თარგმანი.
- 1853 18 ივნისი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1853 19 ივნისი**
საბრძოლო ჟურნალში აღწერს 12-19 ივნისს ჭარ-ბელაქნის ოლქში შამილის რაზმების შემოჭრისა და მათთან მომხდარი შეტაკებების ამბავს.
- 1853 8 ივლისი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, ატყობინებს, რომ ჭარ-ბელაქნის ოლქში სიმშვიდეა და წარუდგენს გავარის დასახლებაში მდებარე ძველი ეკლესიის განახლების გეგმას.
- 1853 12 ივლისი**
დიდოეთის სოფელ ხიტრახოზე თავდასასხმელად ბანაკდება ყადორის მთაზე.
- 1853 13 ივლისი**
სხვა სამხედრო დანაყოფებთან ერთად თავს ესხმის და ანადგურებს სოფელ ხიტრახოს.

- 1853 20 ივლისის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ ავალებს, გაიგოს, როგორ და ვინ გაიტაცა ფოსტა შამქორის გზიდან. წუხს, რომ საბრძოლო მოქმედებების მარცხენა ხაზზე ჯერ კიდევ აქვთ დანაკარგები, მაგრამ სიმაგრეების აგების შემდეგ მოსახლეობა უკეთ დაიცავს თავს მძარცველებისგან. აცნობებს, რომ თურქეთთან მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ იმედოვნებს, რომ ომი არ დაიწყება. ემადლიერება ხანჯლების გაგზავნისთვის.
- 1853 21 ივლისი**
 ლეკეთის კორდონის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი – პოლკოვნიკი ლევან მელიქიშვილი წერილობით უპატაკებს დიდოეთში მიურიდების წინააღმდეგ ჩატარებული ექსპედიციის შესახებ. სწერს, რომ ამ ოპერაციის განხორციელებას აგვისტოში აპირებდა, მაგრამ, რამდენადაც გრენადერთა პოლკის მესამე ბატალიონის გაგზავნა მალე გახდებოდა საჭირო თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად, ექსპედიცია დააჩქარა.
- 1853 23 ივლისი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და დროშის გადასაცემად შუამდგომლობს ქართულ ქვეით რაზმს.
- 1853 29 ივლისის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ ახალციხიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ გახარებულია გრიგოლისა და ლევან მელიქიშვილის მიერ დიდოეთის ორი სოფლის განადგურებით. ეს გამარჯვება გააუმჯობესებს დიდოელებთან ურთიერთობას. სთხოვს, აცნობოს შამქორის ფოსტის გატაცების შესახებ, რაც ლეკებს ბრალდებათ, მაგრამ არავინ იცის, იქ საიდან შეაღწიეს და ვინ ჰყავდათ დამხმარე.
- 1853 8 აგვისტო**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ სამეგრელოს ეგერთა პოლკის მეომრებმა მაიორ დუბროვინის მკვლელობაზე შური იმით იძიეს, რომ შეტაკებისას სასტიკად დაამარცხეს ჯურმუთის ნაიბ ბაკრაჯის რაზმი.
- 1853 14 აგვისტო**
 კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროს – ალექსანდრ ბარიატინსკის ზაქათალიდან წერილობით უპატაკებს, რომ შამილი ჩასულია კარატაში და თურქეთის სულთნის მითითებით აპირებს თავდასხმას საქართველოზე. სწერს, რომ მისთვის ხელის შესაშლელად გამოიძახა თბილისის ეგერთა პოლკის ორი ასეული და ალაზნის ხაზის ბატალიონი, თელავის და სიღნაღის მაზრის უფროსებს კი სთხოვა ადგილებზე სახალხო მილიციის დროებითი რაზმების შექმნა.

- 1853 17 აგვისტოს შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კოჯრიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალს აცნობებს, რომ შამქორის ფოსტის გატაცებაში, ლეკების გარდა, ეჭვმიტანილები არიან ბეგები და ალაღარები. გახარებულია გრიგოლის შეტყობინებით ალაზანზე მძარცველთა ჯგუფის განადგურების შესახებ. ფიქრობს, შამილს გაუჭირდება მთების გადალახვა და მათზე თავდასხმა, მაგრამ მაინც მზად უნდა იყვნენ. სწერს, რომ შამილი თურქეთის სულთანთან შეთანხმებით მოქმედებს და იმის იმედი აქვს, რომ რუსეთის მთელი რეზერვი გადაყვანილია თურქეთის საზღვრის დასაცავად, მაგრამ, როგორც კი შეიტყობს, რომ ასე არ არის და ჩეჩნეთ-დაღესტნის ყველა პუნქტი გაძლიერებულია, თავს შეიკავებს შეჭრისგან. სთხოვს, ხშირად და დაწვრილებით მისწეროს ყველაფერი. აცნობებს, რომ მისი ძმა, ილია მასთან სტუმრად იყო ორი დღით.
- 1853 22 აგვისტო**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, ატყობინებს, რომ შესაძლოა შამილი შეიჭრას ჭარ-ბელაქნის ოლქში და დაწვრილებით აცნობს სამხედრო სამზადისის დეტალებს.
- 1853 25 აგვისტომდე**
 თავს ესხმის შამილის მებრძოლებს ზაქათალის ხეობაში, საღამოს კი უკან იხევს და ბანაკდება მთავარ მეჩეთსა და ციხესიმაგრეს შორის.
- 1853 25 აგვისტო**
 მოხსენებით ბარათს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს ზაქათალის ხეობაში შამილის წინააღმდეგ მისი დანაყოფების მიერ წარმოებული ბრძოლის შესახებ.
- 1853 25 აგვისტო**
 შამილის მრავალრიცხოვანი რაზმები თავს იყრიან მიტოვებულ ქალაქ ზაქათალაში, ციხესიმაგრის ახლოს. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ლეკეთის კორდონის ხაზის უფროსი, არ ელოდება მათ თავდასხმას, თავად გადადის შეტევაზე და მთებისკენ დევნის.
- 1853 26 აგვისტო**
 მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს უპატაკებს, რომ 25 აგვისტოს შამილის მეომრებმა დაიკავეს ქალაქი ზაქათალა. იმ განზრახვით, რომ მათთვის იქ ფეხის მოკიდების საშუალება არ მიეცა, გრიგოლ ორბელიანი გადავიდა შეტევაზე და მტერი მთებისკენ განდევნა.
- 1853 28 აგვისტო**
 წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ შეტევაზე გადასასვლელად ელოდება გრენადერთა ბატალიონსა და სამ ასეულს შინის ხეობიდან.

- 1853 27-31 აგვისტო**
მისდამი დაქვემდებარებული ჯარების ნაწილს ტოვებს ზაქათალაში და დანარჩენი მეომრებით მოულოდნელად ესხმის თავს დანიილ-ბეგის ჯარს ბელაქანში. ეს უკანასკნელი უკან იხევს და მუხახის ხეობაში უერთდება ირიბის ნაიბის ჯარებს.
- 1853 აგვისტოს ბოლო**
შამილი ცდილობს აჯანყების ახალი ტალღა წამოიწყოს რუსეთის წინააღმდეგ და იკავებს ლეკეთის კორდონის ხაზის ცენტრს – სოფელ ძველ ზაქათალას, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის სარდლობით რუსეთის სამხედრო დანაყოფები აიძულებენ, უკან დაიხიოს.
- 1853 2 სექტემბერი**
გრიგოლ ორბელიანი მტერს იგერიებს სოფელ ჩარდახლთან და მუხახის ხეობიდან მთებისკენ დევნის დანიილ-ბეგისა და ირიბის ნაიბის ჯარებს.
- 1853 3-4 სექტემბერი**
შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად 6 ბატალიონითა და 9 ზარბაზნით დგას სოფლებს – მაციხსა და კატეხს შორის.
- 1853 4 სექტემბერი**
შამილი ალყაში აქცევს მესელდეგერის ციხესიმაგრეს და რამდენჯერმე უშედეგოდ უტევს, მაგრამ ალყაშემორტყმულთა მისაშველებლად დროულად მიდის გრიგოლ ორბელიანისა და მოსე არღუთინსკი-დოლოგორუკოვის რაზმები. შამილი ჯურმუთის გზით გადაადის მთებში.
- 1853 5 სექტემბერი**
კავკასიის ჯარების მარცხენა ხაზის უფროსის, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ ბარიატინსკისგან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი ითხოვს იმ პერიოდში შამილის მეომრების მიერ განხორციელებული თავდასხმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
- 1853 6 სექტემბერი**
იმყოფება ბანაკში მესელდეგერის მთასთან, წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ ელოდება გენერალ არღუთინსკის მისვლას, რათა ერთობლივი ძალებით გაანადგურონ ჯორჯოობალის მთაზე დაბანაკებული მიურიდები.
- 1853 6 სექტემბერი**
საღამოს 8 საათზე შამილის მეომრები შეტევას იწყებენ. გრიგოლ ორბელიანის დანაყოფები და მესელდეგერის გარნიზონი, მოსე არღუთინსკის მისვლამდე, იგერიებს მტერს.

- 1853 7 სექტემბერი**
შამილის ჯარი ზაქათალიდან ისევ მესელდეგერის ციხისკენ ინაცვლებს და ალყაში აქცევს მას. გრიგოლ ორბელიანი ელოდება მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვის დამხმარე რაზმს. როგორც კი ისინი გამოჩნდებიან, მაშინვე გადადის შეტევაზე და მტერს უკან ახევინებს, ჯურმუთისკენ.
- 1853 7 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, ატყობინებს, რომ ოლქში სიმშვიდეა და სთხოვს განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეული მეომრების დაჯილდოებას.
- 1853 9 სექტემბრამდე**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას – ილია ორბელიანს.
- 1853 9 სექტემბერი**
კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ ვასილი დოლგორუკოვს კოჯრიდან წერილობით აცნობებს გრიგოლ ორბელიანის დანაყოფების მიერ ჭარ-ბელაქნის მიმართულებით გადაადგილებული მთიელთა რაზმების წარმატებით მოგერიების შესახებ და ითხოვს იმპერატორთან შუამდგომლობას მის დასაჯილდოებლად.
- 1853 9 სექტემბრის შემდეგ**
ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კოჯრიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ გახარებულია 25 აგვისტოს რუსეთის ჯარების მიერ მიურიდთა შეტევის მოგერიებით. აქებს გრიგოლის ჭკუას და მოხერხებულობას საომარ მოქმედებებში, რომელთა წყალობით თავიდან აიცილეს შამილის მიერ მოსახლეობის მიმხრობა და პოზიციების განმტკიცება. აცნობებს, რომ მის ძმას, ილიას, გადასცა გრიგოლის წერილი. სთხოვს, თურქეთის არმიის დასახვედრად მიაშველოს გრენადერთა ერთი ბატალიონი. იმედოვნებს, რომ შამილის დამარცხება დიდ ზემოქმედებას მოახდენს თურქებზე, რომლებიც შამილს დაჰპირდნენ ყველა მუსლიმის ამბოხებას.
- 1853 11 სექტემბერი**
კავკასიის მეფისნაცვალს – მიხეილ ვორონცოვს წერილობით უპატაკებს ჭარ-ბელაქნის ოლქში შემოჭრილი მთიელთა სამხედრო დანაყოფების განდევნის დეტალებს. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს სამეგრელოს ეგერთა პოლკის მეომრების მიმართ, რომლებიც იცავდნენ მესელდეგერის სიმაგრეს და ითხოვს კონკრეტული პირების წარდგენას ჯილდოზე.
- 1853 11 სექტემბერი**
გენერალი მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვისთვის გაგზავნილ პატაკში წერს მესელდეგერთან მტრის მოსაგერიებლად გრიგოლ ორბელიანის მიერ ჩატარებული ღონისძიებების წარმატებულობის შესახებ.

- 1853 12 სექტემბრამდე**
იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მიერ 9 სექტემბერს გაგზავნილ წერილს და ჯილდოებად დასარიგებელ ჯვრებს.
- 1853 12 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, ატყობინებს, რომ ოლქში კვლავინდებურად სიმშვიდეა და დამატებით ითხოვს ჯილდოებს სხვა მამაცი მეომრებისთვის.
- 1853 13 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას. სწერს, რომ ბრძოლების გამო საწერად ველარ იცლიდა და ჰპირდება, რომ ადრესატის ვაჟს – ალექსანდრეს მალე გაუგზავნის ფულს.
- 1853 17 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას, სამძიმარს უცხადებს მეუღლის გარდაცვალების გამო და გამძლეობას უსურვებს.
- 1853 18 სექტემბერი**
იმყოფება ზაქათალაში და წერილს იღებს ძმის – ილია ორბელიანისგან, რომელიც ატყობინებს, რომ ოსმალეთის საზღვარზე გზავნიან.
- 1853 19 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, წარმატებას უსურვებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, აიმედებს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და ეხუმრება, რომ სურს ტრაპიზონდის ფაშობა.
- 1853 28 სექტემბერამდე**
იმყოფება ზაქათალაში და დანიილ-ბეგის ყოფილი ცოლისა და ნათესავის არაბულ ენაზე დაწერილ ბარათებს იღებს ყარაბაღელ ჰაჯი ალა-ბეგის ხელით.
- 1853 28 სექტემბერი**
ჰაჯი ალა-ბეგის მიერ გადაცემულ არაბულ ენაზე დაწერილ ბარათებთან ერთად, წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება, შეიძლება თუ არა, რომ დანიილ-ბეგის ყოფილ ცოლსა და მისსავე ნათესავს მიეცეთ სამშობლოში დაბრუნების უფლება.

- 1853 30 სექტემბრის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ კოჯრიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალ აცნობებს, რომ შამილის დიდმა დანაკლისმა და წარუმატებელმა ექსპედიციამ დაღესტანში უკმაყოფილება და ნაიბებთან შამილის ურთიერთობის დამაბზა გამოიწვია. სთხოვს, მისწეროს, რა გზები ესახება სიმაგრეებისა და ჯარის გაძლიერებისთვის. ატყობინებს ბატალიონების გაადადგილებებისა და თურქეთთან ვითარების შესახებ. სწერს, რომ რამდენიმე ძველი ბატალიონი გაერთიანდა ალექსანდრეპოლთან ილია ორბელიანის ხელმძღვანელობით, 16 ბატალიონი კი განთავსდა ანაკლიაში. აინტერესებს, სურს თუ არა ხალეთ-ეფენდის მიღება. ფიქრობს, რომ შეუძლიათ გამოიყენონ მისი სიძულვილი შამილისადმი.
- 1853 3 ოქტომბერი**
 იღებს გენერალ-ლეიტენანტის წოდებას.
- 1853 8 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, დაწვრილებით აცნობს თავდაცვის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებს და ატყობინებს დავით გარეჯის მონასტრიდან გატაცებული ერთ-ერთი ბერის გამოხსნის ამბავს.
- 1853 9 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ხუმრობს ნათესავებზე და სიყვარულით მოიკითხავს მათ.
- 1853 9 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და სთხოვს წოვების მთიდან ვაკეზე ჩამოსახლების შემდეგ თუშებს შორის გაჩენილი უთანხმოების მოსაგვარებლად ადგილობრივი მმართველის, ლევან ჩოლოყაშვილის, მიერ შეთავაზებული ღონისძიებების გატარებას.
- 1853 11 ოქტომბერი**
 კავკასიის ჯარების მარცხენა ხაზის უფროსს, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ ბარიატინსკის, წერილობით უპატაკებს, რომ დანიილ-ბეგის ჯარების შემოსევისგან ინგილოები არ დაზარალებულან, რადგან მთიელები მალევე წავიდნენ მესელდეგერისკენ შამილის რაზმებთან შესაერთებლად. სწერს, როგორ იქცეოდნენ ადგილობრივი სოფლების მცხოვრებლები. განსაკუთრებით აქებს თალელებს, რომლებმაც შამილის რაზმები თავიანთ სოფელში არ შეუშვეს.
- 1853 12 ოქტომბრამდე**
 კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის – ნიკოლოზ ერისთავის ხელით იღებს ბრძანებას, რომ თურქეთის საზღვრისკენ გაგზავნოს სამეგრელოს პოლკის ორი და თბილისის პოლკის სამი ასეული.

- 1853 12 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის ნუხის გამგებელ კონსტანტინე თარხნიშვილს და თანხმდება, რომ ჰაჯი ყაზის აპატიოს შამილისადმი გამოვლენილი კეთილგანწყობა. სწერს, რომ გაკვირვებულია ოსმალეთის უგუნურებით, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი ომის დაწყებაზე აქეზებენ და შემდეგ განზე დგებიან.
- 1853 12 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, ატყობინებს, რომ მისი ბრძანება შეასრულა და სიხარულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთის მწვერვალზე თოვლი გამოჩნდა და თუ გზებს მალე დაფარავს, მიურიდები შეტევას ვეღარ შეძლებენ.
- 1853 14 ოქტომბრის შემდეგ**
 ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვისა და ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. ბარიატინსკი აცნობებს, რომ თურქეთთან ომი გარდაუვალი იქნება და სთხოვს, საზღვრისპირა მხარის დასაცავად ალექსანდროპოლში გაგზავნოს 2 ბატალიონი. მას ზამთრისთვის დარჩება 7 ბატალიონი და, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის სამხედრო გუბერნატორი კახეთის დასაცავად გაგზავნის მილიციას. მიხეილ ვორონცოვი სწერს, რომ ორივე სთხოვს დახმარებას და მას ანდობს განსასჯელად ამ საკითხს, მაგრამ აუცილებელია ალექსანდროპოლიდან ერევნამდე ხაზის გაძლიერება. აცნობებს, რომ მისი ძმა, ილია, მხოლოდ ოთხი ბატალიონით დგას ალექსანდროპოლთან სერიოზული თავდასხმის საფრთხის წინაშე.
- 1853 15 ოქტომბრის შემდეგ**
 მასთან სამსახურის დაწყების მსურველი ჰასანის ხელით ზაქათალაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. მეფისნაცვალმა აცნობებს, რომ მათი ელჩი ერზრუმიდან ალექსანდროპოლში ჩავიდა და ყოველდღიურად ელოდებიან თურქების შეტევას.
- 1853 16 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის თურქეთის საზღვართან მყოფ ძმას, ილია ორბელიანს. იმედს გამოთქვამს, რომ ოსმალები მალე არ გადავლენ შეტევაზე და რუსეთიდან მომავალი დამხმარე ნაწილები ჩამოსვლას მოასწრებენ. სწერს, რომ მთელი ყურადღება ახლა მათკენ არის მიმართული და სთხოვს, რომ ხშირ-ხშირად შეატყობინოს ამბები.
- 1853 17 ოქტომბერი**
 იმყოფება ზაქათალაში და იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილსა და დავალებას, რომ ორი ბატალიონი გაგზავნოს თურქეთის საზღვარზე.
- 1853 17 ოქტომბერი**
 იმყოფება ზაქათალაში და იღებს ძმის, ილია ორბელიანის, მიერ 8 ოქტომბერს გაგზავნილ წერილებს.

- 1853 17 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან პასუხს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს. სთხოვს, გაითვალისწინოს, რომ ოცი მხდალი ერთ ვაჟკაცს სიმრავლით აჯობებს. ამიტომ, ურჩევს, მეომრებისა და შეიარაღების სიმცირის გამო, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისას დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს.
- 1853 17 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და ატყობინებს, რომ, მისი ბრძანებისამებრ, გრენადერთა ბრიგადის ორ ბატალიონს თბილისისკენ გზავნის.
- 1853 18 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და გულითად მადლობას უხდის იმისათვის, რომ გენერალ-ლეიტენანტის წოდების მინიჭების ღირსად მიიჩნიეს.
- 1853 21 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს და ატყობინებს, რომ მის ოლქში დიდი თოვლი დევს და სიმშვიდეა. სთხოვს, შეატყობინოს, რა ვითარებაა მათთან, ოსმალეთის საზღვარზე.
- 1853 23 ოქტომბრამდე**
 პეტერბურგიდან იღებს წერილს ძმისწულის – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანისგან, რომელიც წუხილს გამოთქვამს მათგან წერილების მიუღებლობის გამო.
- 1853 23 ოქტომბერი**
 ზაქათალიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას. სთხოვს, ახალ-ახალი ჭორები შეატყობინოს, ხუმრობს ახლობლებზე და სიყვარულით მოიკითხავს ყველას.
- 1853 26 ოქტომბერი**
 შეეძინა ტყუპი ძმისწული, დიმიტრი და გიორგი.
- 1853 28 ოქტომბრამდე**
 იმყოფება ზაქათალაში და იღებს მოკითხვის წერილს თავისი ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისაგან.
- 1853 28 ოქტომბერი**
 წერილს სწერს თავის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილს, და მოიკითხავს ახლობლებს, მაგრამ ბარათს ვერ ასრულებს და წერას ერთი კვირის შემდეგ აგრძელებს.
- 1853 28 ოქტომბერი**
 ესწრება ზაქათალაში გამართულ მეჯლისს.

- 1853 ოქტომბრის მეორე ნახევარი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის ნუხის გამგებელ კონსტანტინე თარხნიშვილს და წერილს ურთავს მეფისნაცვალთან შუამდგომლობას რუსეთის მოღალატე ყადის შესაწყნარებლად.
- 1853 5 ნოემბრამდე**
ნუხაში სტუმრობს რამაზ თარხნიშვილს და კარგად ატარებენ დროს.
- 1853 5 ნოემბრამდე**
ნუხიდან ზაქათალაში დაბრუნებული იგებს, რომ მის ძმას – ილიას ტყუპი ვაჟი შეეძინა.
- 1853 5 ნოემბერი**
იმყოფება ზაქათალაში, აგრძელებს თავისი ბიძაშვილის – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისადმი 28 ოქტომბერს დაწყებული წერილის წერას და აღწერს ნუხაში გატარებული დროის შთაბეჭდილებებს.
- 1853 6 ნოემბერი**
ყვარელში მიდის სამხედრო ნაწილების დასათვალიერებლად. ადრე ამ გზაზე მგზავრობისას წინანდალში გაივლიდა ხოლმე ჭავჭავაძეებთან, მაგრამ ახლა მათი სახლი დაცარიელებულია და ამის გამო ძალიან სწყდება გული.
- 1853 19 ნოემბრის შემდეგ**
ზაქათალის ციხესიმაგრეში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ რუსეთის არმიამ უკან დაახევინა ოსმალთა სერასკირს და დაატოვებინა 24 ზარბაზანი.
- 1853 22 ნოემბრამდე**
ჩადის თბილისში. მათი სახლი ახალგარემონტებულია და საღებავის სუნი ტრიალებს. ამიტომ იქ ვერ ჩერდება და გადადის თავის ნათესავ – მანანა ერისთავ-ორბელიანისასთან.
- 1853 22 ნოემბერი**
სტუმრად მიდის დავით ჭავჭავაძესთან და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისასთან, რომ მოიფიქრონ, სად უნდა დაბინავდნენ თეთრიწყაროდან ჩამოსვლის შემდეგ მისი რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ახლშობილი ტყუპები.
- 1853 22 ნოემბერი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ძმას, ილია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ მოსე არლუთინსკის ავადმყოფობის გამო ზაქათალიდან ისევ თემირხანშურაში უხდება გადასვლა.
- 1853 23 ნოემბერი**
თბილისიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ ზაქათალიდან თემირხანშურაში გადაჰყავთ და მის წაყვანასაც აპირებს.

- 1853 24 ნოემბერი**
თბილისიდან თემირხანშურისკენ მიმავალი გაივლის თეთრიწყაროში თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ახალშობილი ტყუპი ძმისშვილების სანახავად.
- 1853 8 დეკემბერი**
ბაშკადიკლართან ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობებით გარდაეცვალა ძმა - ილია.
- 1853 24 დეკემბერი**
წერილს უგზავნის სიონის ტაძრის დეკანოზ იოანე სავანელს და სთხოვს, წირვა აღასრულოს მისი ძმის, ილია ორბელიანის, სულის მოსახსენებლად.
- 1853 წლის ბოლომდე**
წერილს სწერს პოლკოვნიკ ალექსანდრ ვილბოის. სთხოვს თავისი ყოფილი თანამებრძოლის შვილისთვის შეცდომის პატიებას და სამსახურში აღდგენას.
- 1854 28 იანვრამდე**
იმყოფება თბილისში და თავს შეუძლოდ გრძნობს.
- 1854 28 იანვარი**
მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას.
- 1854 28 იანვარი**
წერილს უგზავნის კონსტანტინე თარხნიშვილს და მადლობას უხდის მისი გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, პოლკის გადაბარებაზე დათანხმების გამო.
- 1854 თებერვლამდე**
მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვისგან ითხოვს დამატებითი ძალების გაგზავნას, რადგან, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მატულობს მიურიდთა აქტივობა, მაგრამ პასუხად იღებს, რომ არსებული ძალებით უნდა მოახერხოს დაღესტნის შენარჩუნება.
- 1854 9 თებერვალი**
თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, ატყობინებს, რომ მალე ისევ დაღესტანში დაბრუნდება და სთხოვს, ხშირად შეეხმიანოს.
- 1854 16 თებერვალი**
თბილისიდან ალექსანდროპოლში წერილს უგზავნის კონსტანტინე თარხნიშვილს. ემადლიერება, რომ მისი ძმის, ილია ორბელიანის, გარდაცვალების შემდეგ პოლკი მან გადაიბარა, რადგან იცის, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ეს საქმე.

- 1854 18 თებერვლამდე**
დიმიტრი ჯორჯაძე აპირებს ვინმე ვასილევას ცოლად მოყვანას, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი არ ურჩევს.
- 1854 28 თებერვალი**
კავკასიის მეფისნაცვალ იმპერატორთან შუამდგომლობს ორბელიანებს, რათა მიეცეთ თავიანთ მფლობელობაში არსებული მიწების გაყოფა-დაკანონების უფლება.
- 1854 1 მარტამდე**
ორბელიანთა მამულების გაყოფის წლობით გაჭიანურებული საქმე კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ჩარევით წარმატებით სრულდება.
- 1854 1 მარტი**
კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი გენერალ რეადს მთავარსარდლობის გადაბარებისას უწერს ვრცელ ინსტრუქციას კავკასიის სამხედრო დანაყოფების შესახებ, რომელშიც არაერთგზის იხსენიებს გრიგოლ ორბელიანს და მის დამსახურებას.
- 1854 11 მარტი**
კავკასიის მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვისთვის წარდგენილ პატაკში წერს, რომ ავარიელები, რომლებიც ჰაჯი-მურატთან ერთად ჩაირიცხნენ ცხენოსანთა პოლკში, ისევ მთაში გარბიან და მემამბოხეებს უერთდებიან, რადგან ვერ ეგუებიან მშვიდობიან ცხოვრებას. ამიტომ ითხოვს ნებართვას, რომ დროდადრო თავს დაესხან დაუმორჩილებლებს.
- 1854 11 მარტი**
ხანგრძლივი მგზავრობით დაქანცული ჩადის თემირხანშურაში.
- 1854 12 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1854 18 მარტი**
თემირხანშურიდან ვრცელ, საქმიან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის და სთხოვს 4 ბატალიონით დახმარებას, რადგან შამილის შეტევის საფრთხე უკვე აშკარაა.

- 1854 20 მარტის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ სტავროპოლიდან გაგზავნილ წერილს. ყოფილი მეფისნაცვალი ატყობინებს, რომ შეხვედრას გეგმავს გენერალ მიხეილ ხამუტოვთან, რომელსაც იმპერატორისგან დავალებული აქვს კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელობა და ინგლის-საფრანგეთის დესანტის მოგერიება. აცნობებს ბატალიონების რაოდენობისა და განლაგების შესახებ სხვადასხვა ტერიტორიაზე. თუ შეერთებული ძალები გადმოსხამენ დესანტს აფხაზეთსა და სამეგრელოში, დიდი საშიშროებაა, რომ დაიპყრონ მთელი აფხაზეთი და სამეგრელოს ნაწილი, ხოლო, თუ სამეგრელოსა და იმერეთზე განიზრახავენ შეტევას, შესაძლებელი იქნება ამ რეგიონებისა და გურიის გაძლიერება არსებული სამხედრო რესურსით. ამას ყველაფერს დაწვრილებით იმიტომ სწერს, რომ ვრცელდება ყალბი ინფორმაციები. ფიქრობს, რომ ინგლისელები და ფრანგები ნაკლებად იცნობენ კავკასიას და სურთ, რუსეთის წინააღმდეგ განაწყონ მოსახლეობა. ვრცელდება ხმები, რომ შამილი აიძულებს ჩეჩნებს, თავს დაესხან რუსების მარცხენა ფლანგს.
- 1854 24 მარტამდე**
 იმყოფება თემირხანშურაში და იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს, რომლითაც ადრესანტი მისგან ითხოვს 4 ბატალიონის გაგზავნას თურქების წინააღმდეგ მებრძოლი ჯარების დასახმარებლად.
- 1854 24 მარტი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის და დაწვრილებით უხსნის, რატომაა შეუძლებელი დაღესტნიდან 4 ბატალიონის გაგზავნა თურქების წინააღმდეგ მებრძოლი ჯარების დასახმარებლად.
- 1854 25 მარტი**
 თემირხანშურაში იღებს წერილს თავისი ძმისშვილის, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანისგან, რომელიც ჰპირდება, რომ კარგად ისწავლის.
- 1854 26 მარტამდე**
 მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფების ნაწილს, გენერალ მანიუკინის მეთაურობით, გზავნის სოფელ ურკარახში, რომელმაც, ადგილობრივი ყადის – ჰაჯი მუჰამედის გავლენით, მიურიდების მხარე დაიჭირა და რუსეთს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.
- 1854 26 მარტი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, დარიგებებს აძლევს ოჯახის საქმეებთან დაკავშირებით და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1854 30 მარტი**
 გენერალი მანიუკინი კასპიისპირა მხარის ჯარების დროებით სარდალ გრიგოლ ორბელიანს ატყობინებს დაღესტანში განვითარებული მოვლენების ამბავს. ურკარახელებმა თავდაპირველად მას მორჩილება გამოუცხადეს, მაგრამ მეორე დღეს, როცა მათგან ამანათების გადაცემის დრო დადგა, ცეცხლი გაუხსნეს. ამიტომ იძულებული გახდა, სოფელი მთლიანად გაენადგურებინა.

- 1854 5 აპრილი**
წერს პოემა „სადღეგრძელოს“ ბოლო ნაწილს, მიძღვნილს იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი, სათაურით „ტოლუბაშიდამ“.
- 1854 14 აპრილის შემდეგ**
იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ 14 აპრილს გაგზავნილ წერილსა და დაღესტნის ოლქის გაუქმების პროექტს.
- 1854 17 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ მის ვაჟს – ალექსანდრეს მალე გაუგზავნის თანხას. წუხს, რომ ყაფლან ორბელიანი ბორჩალოს მოურავობიდან გადაუყენებიათ. უთვლის, რომ მეფისნაცვალს ჯერჯერობით ვერ დაელაპარაკა ამ უკანასკნელის პენსიაზე, მაგრამ აუცილებლად გააკეთებს ამას, როგორც კი საშუალება მიეცემა.
- 1854 21 აპრილამდე**
იღებს მეფისნაცვლის თანამდებობიდან გადამდგარი მიხეილ ვორონცოვის მიერ თბილისიდან და სტავროპოლიდან გაგზავნილ ორ წერილს.
- 1854 21 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, დიდ წუხილს გამოთქვამს კავკასიიდან მისი გამგზავრების გამო, სწერს, რომ ხალხი მის ამავს არასოდეს დაივიწყებს და აცნობს დაღესტანში არსებულ ვითარებას.
- 1854 24 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ მისი მსახურის – ზაქარკას დედა მან გაათავისუფლა გადასახადისგან და ნუ მოსთხოვენ.
- 1854 26 აპრილი**
გენერალი რეადი კავკასიის კორპუსისთვის გაგზავნილ წერილობით მიმართვაში წერს, რომ კასპიისპირა ჯარების დროებითმა სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა გრიგოლ ორბელიანმა, ყაითაღელთა დაუმორჩილებლობის გამო გადაწყვიტა მათი დასჯა და ჯარი გაგზავნა ურკარახისკენ.
- 1854 27 აპრილი**
როგორც დაღესტნის ჯარების სარდალი, წერილს უგზავნის ალექსანდრ ბარიატინსკის. სწერს, რომ დაღესტნის ოლქის გაუქმება მთელი სამხრეთ კავკასიის დაკარგვას ნიშნავს, რადგან მისი უდიდესი ნაწილი შამილს შეუერთდება.
- 1854 27 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის, კატეგორიულად არ იზიარებს დაღესტნის გაუქმების მისეულ პროექტს და მხარის დასაცავად სთხოვს ერთი დივიზიის გამოყოფას, რათა მრავალწლიანი მიღწევები წყალში ფუჭად არ ჩაიყაროს.

- 1854 14 მაისის შემდეგ**
 თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ სტავროპოლიდან გაგზავნილ წერილს. ის უკვე გადამდგარია მეფისნაცვლის თანამდებობიდან და სწერს, რომ არ შეუძლია ისე დატოვოს მხარე, რომ არ გამოემშვიდობოს და მისი კეთილგანწყობა არ გაუშუღავნოს. აცნობებს, რომ ლაპარაკობენ შესაძლებელ განხეთქილებაზე ირანთან, მაგრამ იმედს არ კარგავს, რადგან კავკასიაში ძლიერია რუსეთის მხედრობა და მტერი ვერ გაიმარჯვებს. გაზეთები წერენ თურქების იმედგაცრუებაზე, რომ არავინ ეხმარებათ და მარტო უნდა იმოქმედონ. შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს ნახევარი დაღესტნის დატოვება და ჯარის საზღვართან მობილიზება. ყაზიყუმუხის ხაზისა და იმ სიმაგრეების დათმობა, რომელთა მნიშვნელობაშიც იგი ადრესატმა დაარწმუნა, აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება როგორც მორალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. იმედოვნებს, რომ გრიგოლს ეყოლება რამდენიმე ბატალიონი ტაბასარანის ან ლეკეთის ხაზზე მოსალოდნელი შემოტევების მოსაგერიებლად და, რომც არ ჰყავდეს, დარწმუნებულია, რომ გამოსავალს იპოვის.
- 1854 15 მაისი**
 გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება დიმიტრი ყიფიანის ვრცელი წერილის „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“ გაგრძელება, რომელშიც იმის ერთ-ერთ მაგალითად, რომ ქართველ პოეტებს აზრი რითმის სამსხვერპლოზე არ მიაქვთ, მოჰყავს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება.
- 1854 25 მაისამდე**
 მეჯვარეა მაიორ მიხეილ დოლგოვო-საბუროვისა და ემილია კრასნოგლიადოვას ქორწილში.
- 1854 25 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ატყობინებს, რომ, მუსლიმთა მარხვის გამო, დაღესტანში ჯერჯერობით სიმშვიდეა.
- 1854 10 ივნისამდე**
 პლატონ ალექსი-მესხიშვილს აჯილდოებენ ჯვრით და დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი გრიგოლ ორბელიანს სამადლობელ წერილს უგზავნის მისი ვაჟისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის.
- 1854 10 ივნისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და უკმაყოფილებას გამოთქვამს კვიცების ჩასაყვანად მის მიერ თბილისში გაგზავნილი ისაი გრომოვის დაგვიანების გამო.
- 1854 18 ივნისამდე**
 მღვდელ არდაზიანისთვის გადასაცემად ას მანეთს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, მაგრამ ფოსტას ტეხენ და თანხა მიაქვთ.

- 1854 18 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ მისთვის ფოსტით გაგზავნილი 100 მანეთი დაიკარგა. სთხოვს, თავისი გადანახული ფულიდან მისცეს ეს თანხა მღვდელ არდაზიანს და ჰპირდება, რომ შემდეგ აუნაზღაურებს. მოიკითხავს ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს, ინტერესდება, რაიმე ზიანი ხომ არ მიუღიათ ოსმალებისგან.
- 1854 აპრილი-ივნისი**
არ იცის, შამილი რომელ სოფელზე მიიტანს იერიშს და ამიტომ თავის ჯარებს ისე ანაწილებს რეგიონის ყველა კუთხეში, რომ მოულოდნელი თავდასხმის მოგერიება შეძლონ.
- 1854 3 ივლისი**
კახეთს თავს ესხმიან ლეკები, სახლებს წვავენ და წინანდლიდან აპყავთ ტყვეები (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის – დავითის ცოლ-შვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის – ილიას ცოლ-შვილი, მათი დის – ეფემიას ქალიშვილი – ნინო და სხვ).
- 1854 5 ივლისი**
შამილის ჯარები გადაადგილდნენ თუშეთის და კახეთის მიმართულებით და იმისათვის, რომ მათ უკან დაბრუნება აიძულოს, გრიგოლ ორბელიანი თავდასხმებს აწყობს სალათავის სოფლებზე.
- 1854 7 ივლისი**
დამატებითი ძალებით ამაგრებს ევგენიევსკის ციხეს, ძველი ბურთუნაის მისადგომებიდან გადალახავს მდინარე სულაკს, თერენგულის ხევს, მიმდებარე მთას, დიუზ ტაუს და დილით მიადგება ბურთუნაის.
- 1854 8 ივლისი**
დილაადრიან ანადგურებს ყველა მიწაყრილს და რედუტს, რომლებიც მთიელებს აგებული ჰქონდათ ბურთუნაისკენ მიმავალი გზის გადასაკეტად და მოულოდნელი შტურმით იღებს სოფელს. შემდეგ აპირებს ძველ ბურთუნაისთან დაბანაკებას, მაგრამ გენერალ ლევან მელიქიშვილისგან იღებს შეტყობინებას, რომ სასწრაფოდ სჭირდება მარჯვენა ფლანგის გამაგრება და ბრუნდება ლეკეთის კორდონის ხაზისაკენ.
- 1854 8 ივლისის შემდეგ**
უკვირს, დაღესტანში მიურიდთა თავდასხმის მუდმივი საშიშროების პირობებში რაში დასჭირდა ლევან მელიქიშვილს თავისი დანაყოფით კახეთში გადასვლა და ამის შესახებ სწერს რომელიღაც ახლობელს.
- 1854 9 ივლისი**
ბურთუნაიდან ბრუნდება ევგენიევსკის ციხისკენ, რომ დაიცვას ჯარების გარეშე დარჩენილი ზაქათალის ოლქი.
- 1854 10 ივლისი**
ბრუნდება თემირხანშურაში.

- 1854 12 ივლისი**
გენერალი რეადი იმპერიის სამხედრო მინისტრ ვასილი დოლოგორუკოვს უპატიაკებს გენერალ ლევან მელიქიშვილის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ, რომ მან ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის გასაძლიერებლად კასპისპირა მხარის დროებით სარდალს, გრიგოლ ორბელიანს, სთხოვა დამხმარე ძალების მიწოდება.
- 1854 17 ივლისი**
გენერალი რეადი იმპერიის სამხედრო მინისტრ ვასილი დოლოგორუკოვს უპატიაკებს წინანდლიდან გენერლების – დავით ჭავჭავაძისა და გარდაცვლილი ილია ორბელიანის ცოლ-შვილის გატაცების დეტალებს.
- 1854 19 ივლისამდე**
იღებს გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილისა და ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურ ლევან მელიქიშვილის წერილებს, რომლებიც ატყობინებენ, რომ შამილი თავისი ჯარებით დიდოეთში გადავიდა.
- 1854 19 ივლისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილის და სთხოვს, შეატყობინოს, რომელი სოფლები და თავადიშვილთა ოჯახები დაზარალდნენ კახეთზე მიურიდების თავდასხმისას.
- 1854 21 ივლისი**
გენერალი რეადი კავკასიის კორპუსისთვის გაგზავნილ წერილობით მიმართვაში წერს, რომ შამილის რაზმები ტეხნუცალიდან დაიძრნენ კახეთისა და თუშეთის მიმართულებით და კასპისპირა მხარის დროებითმა სარდალმა გრიგოლ ორბელიანმა დამატებითი ბატალიონებით გაამაგრა ევგენიევსკის ციხესიმაგრე, რომ იქიდან შეეტია სალათავისთვის და შამილის ძალები მის დასაცავად გადმოეზიდა. იგი უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ორბელიანისადმი ამ ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის გამო, რომლის დროსაც რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს სოფელი ბურთუნაი.
- 1854 28 ივლისამდე**
ქვეითი ჯარი გადაჰყავს ნოსდალის მაღალ მთაზე.
- 1854 28 ივლისი**
დილით პატაკს იღებს გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილისაგან იმის შესახებ, რომ შამილმა უკან დაიხია სოფელ ანწუხისკენ.
- 1854 28 ივლისი**
საპასუხო წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილს, მადლობას უხდის რაპორტისთვის და სთხოვს შამილის გადაადგილების შესახებ უახლესი მონაცემების რეგულარულად მიწოდებას.
- 1854 30 ივლისი**
იღებს ბარონ ლეონტი ნიკოლაისა და დიმიტრი ჯორჯაძის მიერ ქუთიშიდან გაგზავნილ წერილებს.

- 1854 30 ივლისი**
 დიმიტრი ჯორჯაძეს ხოზრევიდან უგზავნის შამილის მიერ კახეთში დატყვევებული ქალებისთვის ახლობლების მიერ გაგზავნილ წერილებს. სთხოვს, სანამ მათ გადაუგზავნიდეს, თითოეული გახსნას და ნახოს, ისეთი რამ ხომ არ წერია, რისი წაკითხვაც არასასურველი იქნებოდა მიურიდებისთვის. დარწმუნებულია, რომ ბარათების გადაცემამდე შამილი მათ აუცილებლად წაიკითხავს. ამიტომ სთხოვს, ასეთი წერილები ტყვეებს არ გადაუგზავნოს.
- 1854 31 ივლისი**
 ყაზიყუმუხის ხანის – ალაღარ ბეგისგან იღებს წერილს შამილის დაბრუნების თაობაზე.
- 1854 1 აგვისტო**
 იმყოფება ნოსდაღის მთის სიახლოვეს და მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ ყაზიყუმუხში მიდის და გატაცებულ ქართველ ტყვეთა შესახებ წერილის მიწერას აპირებს შამილისათვის. სთხოვს, რასაც გაიგებს ახალს ტყვეების შესახებ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს, რაც უნდა მძიმე მოსასმენი იყოს.
- 1854 3 აგვისტო**
 ჯარით ჩადის ყაზიყუმუხში, სადაც ხვდება საკინა ხანუმის, ხასაი-ხან უცმიევისა და დიმიტრი ჯორჯაძის წერილები.
- 1854 4 აგვისტო**
 ყაზიყუმუხიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ ყურბან-ბაირამის შემდეგ ელოდება მტრის გააქტიურებას. სწერს, რომ მომდევნო დღეს ელის მასთან თარჯიმან მირზა ვეჟილოვის მისვლას, რომელმაც არაბულ ენაზე უნდა დაუწეროს შამილთან გასაგზავნი წერილი.
- 1854 4 აგვისტო**
 ყაზიყუმუხიდან ჯარით გადადის წუარის მთაზე.
- 1854 6 აგვისტო**
 წუარიდან ჯარით გადადის თურჩიდაღის მთაზე და გზად მცირე შეტაკება უხდება მტერთან.
- 1854 6 აგვისტო**
 თურჩიდაღის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ ქართველი ტყვეების შესახებ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არა აქვს.
- 1854 7 აგვისტო**
 თურჩიდაღის მთიდან შამილისთვის განკუთვნილ წერილს უგზავნის მეხთულის სახანოს მმართველს, ივან ლაზარევს, რომ მან მიაწოდოს ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამს.

- 1854 9 აგვისტომდე**
წერს შამილთან გასაგზავნად წერილს. სთხოვს, რომ ტყვეების განთავისუფლებაზე ვაჭრობა არ დაუწყოს, რადგან, რასაც მოითხოვს, ყველაფერს შეუვაჭრებლად მისცემს, თუკი მოთხოვნა მისთვის ხელმისაწვდომი იქნება. სთხოვს, მოსალაპარაკებლად დაუკავშირდეს ან მას, ან ბარონ ლეონტი ნიკოლაის.
- 1854 9 აგვისტომდე**
წერს შამილის ვაჟ ჯამალედინთან გასაგზავნად წერილს. მადლობას უხდის კახეთიდან გატაცებულ ტყვეთა თანაგრძნობისთვის და სთხოვს, შეატყობინოს, რით შეუძლია, მადლობა გადაუხადოს.
- 1854 9 აგვისტომდე**
წერს ლევან მელიქიშვილთან გასაგზავნად წერილს. სთხოვს, რომ ტყვეებთან და შამილთან არავის გადააგზავნინოს წერილები, მის და ლეონტი ნიკოლაის გარდა, რადგან ასეთ ვითარებაში თითოეული სიტყვის მოზომვა მნიშვნელოვანია.
- 1854 9 აგვისტო**
შამილთან, მის ვაჟ – ჯამალედინთან და ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანთან გადასაგზავნად ბარათებთან ერთად, წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. სთხოვს, რომ ტყვე ქალებსა და ბავშვებს თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და საკვები მიაწოდოს.
- 1854 9 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და იღებს დიმიტრი ჯორჯაძისა და თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილებს, რომლებიდანაც იგებს, რომ ტყვეები ცოცხლები არიან, მაგრამ ცუდ პირობებში უწევთ ყოფნა.
- 1854 10 აგვისტო**
თურჩიდალის მთიდან ბარონ ლეონტი ნიკოლაისთვის ხასავიურტში გადასაგზავნად წერილთან ერთად მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს.
- 1854 10 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და წერს ბარონ ლეონტი ნიკოლაისთვის გასაგზავნად წერილს, რომელშიც სთხოვს, ყველაფერი იღონოს მათი დატყვევებული ნათესავების გასათავისუფლებლად. აფრთხილებს, რომ შამილის ყურამდე არ მივიდეს დავით ჭავჭავაძისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭების ამბავი, რადგან ამან შეიძლება ტყვეთა გამოსხნა გაართულოს.
- 1854 11 აგვისტო**
თურჩიდალის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს დატყვევებულთათვის უფრო მეტი თბილი ტანსაცმლის გაგზავნას.

- 1854 12 აგვისტომდე**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და იღებს სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის მიერ შამილთან ტყვედ მყოფ მის რძალთან – ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძესთან გადასაგზავნად წერილს. თანდართულ ბარათში ადრესანტი უხსნის, რომ მის ძმას – დავით ჭავჭავაძეს თვალეზი სტკივა და შეუძლოდ არის, მაგრამ ცოლ-შვილის გამოსახსნელად თანხას აგროვებს და, როგორც კი შეძლებს, ჩაუტანს.
- 1854 12 აგვისტო**
თურჩიდალის მთიდან სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის მიერ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძესთან გადასაგზავნად წერილთან ერთად მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. სთხოვს, რომ სოფიოს წერილი გახსნას, წაიკითხოს და, თუ მიუღებელი არაფერი წერია, ბარონ ლეონტი ნიკოლაის გადააგზავნინოს შამილთან.
- 1854 14 აგვისტომდე**
მის ყურამდე აღწევს პოეტ ვლადიმერ სოლოგუბის მიერ საქართველოს სამხედრო მმართველობაზე დაწერილი სატირული ექსპრომტი, რომლის ორი სტროფიც ზეპირად ამახსოვრდება და თარგმნის.
- 1854 14 აგვისტო**
იმამ შამილთან, მის ვაჟ ჯამალედინთან და თავის რძალ – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანთან გასაგზავნად წერილებთან ერთად, მოკლე ბარათს უგზავნის თავის მდივანს, დიმიტრი ჯორჯაძეს. ბარათის მეორე გვერდზე უწერს ვლადიმერ სოლოგუბის სატირული ექსპრომტის მისეულ თარგმანს და ამით მიანიშნებს, რატომ ვერ გვარდება საქმე დროულად.
- 1854 14 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და წერს იმამ შამილისთვის გასაგზავნად წერილს.
- 1854 14 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და წერს შამილის ვაჟ ჯამალედინთან გასაგზავნად წერილს.
- 1854 14 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და წერს ტყვედ მყოფ თავის რძალთან, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანთან, გასაგზავნად წერილს.
- 1854 16 აგვისტო**
იმყოფება თურჩიდალის მთაზე და წერილს იღებს ლევან მელიქიშვილისაგან. ასევე, იღებს ნიკოლოზ ბრუსილოვის მიერ დიმიტრი ჯორჯაძისთვის გადასაგზავნად მიწოდებულ წერილს და საკუთარ ბარათთან ერთად უგზავნის მას.

- 1854 25 აგვისტო**
 თურჩიდალიდან გადადის გამაშის მთაზე და იღებს დიმიტრი ჯორჯაძის, სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაისა და თავისი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილებს; პასუხს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს, მადლობას უხდის ყველაფრისთვის, რაც ტყვეებისთვის გააკეთა და შესჩივის, რომ სამი წერილიდან არცერთზე არ მიუღია შამილის პასუხი. სთხოვს, სოფიოს წერილი ტყვედ მყოფ მის დას – ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისას გადაუგზავნოს.
- 1854 29 აგვისტო**
 იმყოფება გამაშის მთაზე და იღებს დიმიტრი ჯორჯაძის მიერ გადაგზავნილ წერილებს, რომელთა შორის არის: შამილის, თავისი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და დავით ჭავჭავაძის წერილები. შამილი სწერს, რომ მისი ბარათი წაიკითხა, ჰპირდება, რომ ტყვეებს პატივისცემით მოექცევიან და, როდესაც გრიგოლი თემირხანშურაში ან ხასავიურტში ჩავა, მასთან მოლაპარაკებას დაიწყებს. ბარბარე სთხოვს, რომ ქალების განთავისუფლებამდე ბავშვების გამოსყიდვაზე იზრუნონ, რადგან ისინი ძალიან ავადმყოფობენ. დავით ჭავჭავაძე სწერს, რომ უკვე დადესტანშია და მისთვის გადაგზავნილი წერილები გზაში ასცდა.
- 1854 29 აგვისტო**
 გამაშის მთიდან საპასუხო წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, რომელსაც ატყობინებს, რომ ტყვეებს მისგან გაგზავნილი ნივთები მისვლიათ და სთხოვს, ზაქარკა გაგზავნოს მათთან და გაატანოს შამილისთვის მისატანი თანდართული წერილი.
- 1854 29 აგვისტო**
 დარღოში გზავნის თავის მსახურ ზაქარკას და ატანს შამილისთვის გადასაცემ წერილს, რომლითაც სთხოვს, ნება დართოს, რომ ტყვე ქალებს მოემსახუროს.
- 1854 30 აგვისტო**
 გამაშის მთიდან წერილს უგზავნის იმამ შამილს. შეახსენებს, რომ მორწმუნე ადამიანს უნდა აწუხებდეს, როგორი საქმეებით წარდგება ღვთის წინაშე. ატყობინებს, რომ ერთ-ერთი ტყვის ქმარი – დავით ჭავჭავაძე უკვე ხასავიურტშია და შეუძლია დაუკავშირდეს. სთხოვს, მოლაპარაკებების დასრულებამდე გაათავისუფლოს ბავშვები, ფეხმძიმეები და მისი ავადმყოფი დისწული – ნინო. სწერს, რომ მათ შეიძლება ვერ გაუძლონ ტყვეობას და დაიღუპონ, რაც მისთვისაც არ იქნება ხელსაყრელი. მადლობას უხდის ტყვეებისადმი კარგი დამოკიდებულების გამო და სურვილს გამოთქვამს, რომ ოდესმე მის შვილებს მაინც გადაუხადოს სიკეთით.
- 1854 13 სექტემბერი**
 თემირხანშურში მასთან ხასავიურტიდან ჩადის დავით ჭავჭავაძე და აცნობს იმამ შამილის მიერ ტყვეთა გასათავისუფლებლად წამოყენებულ მოთხოვნებს: თავისი ვაჟის – ჯამალედინის დაბრუნებას; ასევე 15 წლის წინ რუსეთში გადასახლებული თავისი ძმისწულის – ჰამზათის, ხარისილაუსა და შეიხულ ისლამის განთავისუფლებას და მილიონ მანეთს გამოსასყიდს.

1854 14 სექტემბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის იმამ შამილს და სთხოვს ტყვეთა გასათავისუფლებლად წამოყენებული პირობების გადახედვას, რადგან ისინი სრულიად არარეალურია. სწერს, რომ მისი ვაჟი – ჯამალედინი რუსეთში ტყვედ კი არ არის, არამედ ოფიცერია და მას ყოველგვარი გარიგების გარეშე შეუძლია სამშობლოში დაბრუნება, თუკი ეს მოესურვება, მაგრამ არავის აქვს უფლება, მას ამის გაკეთება დაამალოს. რუსეთში გადასახლებულ სამ პირზე სწერს, რომ მათი დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ თვალუწვდენელ რუსეთში მათი ადგილსამყოფელის მოძებნას სამი წელი მაინც დასჭირდება, ტყვე ქალები და ბავშვები კი ამდენს ვერ გაძლებენ. თანხასთან დაკავშირებით სწერს, რომ მილიონი მანეთის გადახდა ტყვეთა ნათესავებისგან წარმოუდგენელია, მთავრობა კი არ ჩაერევა თანხის გადახდაში. ურჩევს, რომ მოსალაპარაკებლად ვინმე ნდობით აღჭურვილი პირი გაუგზავნოს. ასევე, სთავაზობს მიმოწერის არაბულად წარმოებას, რადგან გაიგო, რომ ერთ-ერთი წერილი თარჯიმანმა არასწორად უთარგმნა.

1854 22 სექტემბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს შამილის მიერ ტყვეთა გასათავისუფლებლად წამოყენებულ სრულიად არარეალურ მოთხოვნებს. სწერს, რომ ამ მოთხოვნების გაგების შემდეგ ტყვეები სასოწარკვეთილები არიან.

1854 22 სექტემბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ალექსანდრ ბარიატინსკის და ატყობინებს შამილის მიერ ტყვეთა გასათავისუფლებლად წამოყენებულ პირობებს. სწერს, რომ, როცა თავისი ძმა, ილია, იყო ტყვეობაში, ხელისუფლება არ შეუწყუხებია, არც ახლა შეაწყუხებდა, შამილს რომ ისეთი რამ მოეთხოვა, რისი მიცემაც მას შეუძლია, მაგრამ ხელისუფლების ნების გარეშე როგორ შეძლებს შამილისთვის შვილის დაბრუნებას. ამიტომ ევედრება დახმარებას. სთხოვს, იმპერატორს გააგებინოს, რომ შამილის ვაჟი მთაში არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს და ამიტომ რუსებისთვის საშიში არ არის. მეორე მხრივ, მისი დაბრუნება რუსეთისთვის შეიძლება უკეთესიც კი იყოს, რადგან შამილის ვაჟებს შორის მემკვიდრეობისთვის დავას და განხეთქილებას გამოიწვევს.

1854 1 ოქტომბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სწერს, რომ შამილი ჯერ კიდევ ძველ პირობაზეა და მოლაპარაკება ჭიანჭურდება, ტყვეებს კი უამრავი რამ სჭირდებათ. ამიტომ, სასწრაფოდ სთხოვს ჯოჯის ფულის გაგზავნას და ახალი მოდის ლეჩაქებს შამილის ცოლებისთვის. სწერს, რომ სხვებსაც უამრავ საჩუქარს უგზავნის, რომ შამილთან მოლაპარაკებაში დაეხმარონ.

1854 3 ოქტომბრის შემდეგ

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს, რომ ავადაა და წერა უჭირს. სთავაზობს, რომ გრიგორიანელი მღვდლის გამოსახსნელად 400 მანეთი ტყვეების ფულიდან დაამატონ.

- 1854 13 ოქტომბერი**
იგებს, რომ მიურიდების მრავალრიცხოვანი ჯარი გადაადგილდება მიჩიკიდან გერზელ-აულის მიმართულებით და სასწრაფოდ ჩადის ჩირ-იურტში.
- 1854 15 ოქტომბერი**
რაკი არკვევს, რომ შამილმა თავდასხმა გადაიფიქრა და მთებში დაბრუნდა, ჩირ-იურტში ორდღიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება თემირხანშურაში.
- 1854 15 ოქტომბერი**
ცნობილი ხდება, რომ გრიგოლ ორბელიანი შამილთან აპირებს მოლაპარაკებების გამართვას ქართველი ტყვეების გამოხსნის საკითხზე. უცნობი პირი, სახელად იროდიონი, დიმიტრი ჯორჯაძის მეშვეობით უთვლის, რომ მის დატყვევებულ შვილებზეც იზრუნოს.
- 1854 22 ოქტომბრამდე**
შამილის მიერ დატყვევებულ თავის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას უგზავნის ხიზილალასა და სათალს.
- 1854 22 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის თავის ბიძაშვილ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ატყობინებს, რომ შამილის მიერ დატყვევებულთა გამოხსნისთვის მოლაპარაკებები ჭიანურდება.
- 1854 6 ნოემბერი**
გენერალი რეადი იმპერიის სამხედრო მინისტრ ვასილი დოლგორუკოვს უპატაკებს იმ მოლაპარაკებების შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ ბარონი ლეონტი ნიკოლაი და გრიგოლ ორბელიანი შამილის მიერ ტყვედ აყვანილი მათი ახლობლების გამოსახსნელად.
- 1854 6 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას. აცნობებს, რომ შამილი ისევ იმავეს ითხოვს ტყვე ქალთა განთავისუფლების სანაცვლოდ. ინტერესდება ადრესატის ვაჟის ამბებით, როგორ სწავლობს და გადავიდა თუ არა მეორე კლასში. მოიკითხავს ახლობლებს.
- 1854 6 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის და ატყობინებს, რომ, თუ შამილის ვაჟი – ჯამალედინი უარს იტყვის სამშობლოში დაბრუნებაზე, იმამი ითხოვს, რომ მან ეს გადაწყვეტილება პირადად გადასცეს მამის მიერ გაგზავნილ ნდობით აღჭურვილ პირს. ორბელიანი წუხს, რომ ნდობით აღჭურვილი პირის პეტერბურგში ჩასვლას და უკან დაბრუნებას დიდი დრო დასჭირდება და ამიტომ სთხოვს, თუ ეს შესაძლებელია, ჯამალედინი ჩაიყვანონ სტავროპოლში.

- 1854 12 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და თავისი ნათესავი ტყვეების გადარჩენაში დახმარებას ევედრება. სწერს, რომ კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი ნიკოლოზ რეადი აპირებს შამილის ვაჟის დაბრუნებაზე იმპერატორთან შუამდგომლობას და, რომ მოუთმენლად ელის ამ მოლაპარაკების შედეგებს პეტერბურგიდან.
- 1854 18 ნოემბერი**
 დარლოდან თემირხანშურაში ბრუნდება დავით ჭავჭავაძის მიერ შამილთან გაგზავნილი პირი, ამბობს, რომ ტყვეებთან ახლოს არ მიუშვეს და გადასცემს შამილის წერილს. ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სამი თვის განმავლობაში ვერ მიიღო რუსეთის ხელისუფლებისაგან პასუხი შვილის განთავისუფლების შესახებ და იმუქრება ნაიბებისთვის ტყვე ქალების მონებად დარიგებით.
- 1854 18 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის, გადასცემს შამილის მუქარას და ევედრება, რომ დაეხმაროს.
- 1854 19 ნოემბერი**
 დიმიტრი ჯორჯაძე წერილს იღებს დავით ჩაჩიკაშვილისგან, რომელიც სთხოვს გრიგოლ ორბელიანის წინაშე შუამდგომლობას მის სამსახურში მოსაწყობად.
- 1854 26 ნოემბრამდე**
 გენერალი ალექსანდრ ბარიატინსკი გრიგოლ ორბელიანს ატყობინებს, რომ იმპერატორი თანახმაა შამილის შვილის დაბრუნებაზე, თუ ეს უკანასკნელი თავად არ იქნება წინააღმდეგი. ამასთან დაკავშირებით სამხედრო მინისტრმა ვასილი დოლგორუკოვმა ოფიციალური შეკითხვა გაუგზავნა ჯამალედინს და ელიან პასუხს.
- 1854 26 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ის აღარ იმსახურებს საქართველოში, უყვება თავისი ნათესავი ტყვე ქალებისა და ბავშვების გამოხსნასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ და უგზავნის რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ ადრესატისთვის, როგორც კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლისა და კეთილისმყოფლისთვის, მიწერილ ბარათს.
- 1854 26 ნოემბერი**
 რუსეთის არმიაში ოფიცრად სამსახურის 25 წლისთავთან დაკავშირებით ჯილდოვდება წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით.
- 1854 27 ნოემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის მიხეილ ვორონცოვის საველე კანცელარიის უფროს პავლე შჩერბინინს, ატყობინებს ტყვე ნათესავების მდგომარეობის ამბავს და სთხოვს ყოფილი მეფისნაცვლისთვის მისი და ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის თანდართული წერილების გადაცემას.

- 1854 4 დეკემბრამდე**
 უცნობი პირი დიმიტრი ჯორჯაძეს თხოვნით მიმართავს, უშუამდგომლოს გრიგოლ ორბელიანთან, რომ იზრუნოს მისი დატყვევებული ახლობლების გამოსხნაზე. თან ბოდბის უხდის, რადგან იცის, რამდენად მძიმე მდგომარეობაშია გრიგოლი თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანის, ძმისწულის – გიორგი ორბელიანისა და დისწულის – ნინო ბარათაშვილის დატყვევების გამო.
- 1854 10 დეკემბრამდე**
 მანანა ორბელიანს უგზავნის წერილს, რომელშიც თბილად მოიკითხავს პლატონ იოსელიანს.
- 1854 10 დეკემბრის შემდეგ**
 პლატონ იოსელიანისგან იღებს წერილს, რომელშიც გამოთქმულია წუხილი მიხეილ ვორონცოვის კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან გადადგომის გამო. იოსელიანი ულოცავს, რომ იმპერატორი დასთანხმდა კახეთიდან გატაცებულ ქალებსა და ბავშვებზე გასაცვლელად რუსეთში მყოფი შამილის შვილის – ჯამალედინის გამოშვებაზე. ამავე წერილიდან იგებს ახლობლების – ივანე დავითის ძე ორბელიანისა და ალექსანდრა მამუკას ასული ორბელიანის მოახლოებული ქორწილების შესახებ.
- 1854 16 დეკემბრის შემდეგ**
 იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ შამილის ვაჟი – ჯამალედინი თანახმაა მამასთან დაბრუნებაზე.
- 1854 23 დეკემბერი**
 დერბენდიდან წერილს უგზავნის იმჟამად უკვე კავკასიის ჯარების მთავარსარდალ ალექსანდრ ბარიატინსკის, უდიდეს მადლობას უხდის ტყვეების გამოსხნის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და სთხოვს, რომ შამილის ვაჟი – ჯამალედინი, რომელიც დასთანხმდა მამასთან დაბრუნებაზე, გამოგზავნონ მასთან თემირხანშურაში და არა გროზნოში, რადგან ის და დავით ჭავჭავაძე სწორედ აქედან აწარმოებენ მოლაპარაკებებს.
- 1854 26 დეკემბრამდე**
 გრიგოლ ორბელიანის მიერ ჩვენთვის უცნობი პირისთვის მიწერილი ბარათი, რომელშიც ხუმრობით იყო ნათქვამი, ლევან მელიქიშვილი შამილს ალაზანზე რატომ ეძებსო. ამ წერილის ადრესატმა ლევანს გადაუგზავნა, რამაც გრიგოლზე მისი განაწყენება გამოიწვია და საყვედური მიაწერინა მისთვის.
- 1854 28 დეკემბერი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის ჯარების მთავარსარდალ ალექსანდრ ბარიატინსკის და სთხოვს, რომ, დროის მოგების მიზნით, შამილის ვაჟი – ჯამალედინი სტავროპოლიდან თბილისში ჩაუსვლელად პირდაპირ თემირხანშურაში გაგზავნონ.
- 1854** მოსე არლუთინსკი-დოლგოროუკოვის ნაცვლად ასრულებს კასპისპირა მხარის ჯარების სარდლისა და სამოქალაქო განყოფილების მმართველის მოვალეობას.

- 1855 3 იანვრამდე**
 დარღობი აგზავნის თავის თარჯიმან ისაი გრომოვს, რომელიც ატყობინებს ტყვე ქალების კარგად ყოფნის ამბავს და ჩამოაქვს მათი წერილები.
- 1855 3 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილებს, იმედს გამოთქვამს, რომ შამილის ვაჟი – ჯამალედინი მალე ჩამოვა და ტყვე ქალებისა და ბავშვების საქმე სასიკეთოდ დაბოლოვდება. სწერს, რომ შამილი პატივით ექცეოდა მათ და ბავშვები: ახალფეხადგმული ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძე და გიორგი ილიას ძე ორბელიანი ისე შეეჩვივნენ, რომ თამაშით წვერზეც კი ექაჩებოდნენ.
- 1855 4 იანვარი**
 კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსს – ალექსანდრ ბარიატინსკის თემირხანშურიდან წერილობით აცნობებს შამილის მიერ კახეთიდან დარღობი ტყვედ წაყვანილი ადამიანების განთავისუფლების პირობებს. სწერს, რომ შამილი უარს ამბობს გამოსასყიდ თანხაზე და მოითხოვს ტყვის ტყვეზე გაცვლას. სწერს, რომ მას ამდენი მთიელი ტყვე არ ჰყავს და სთხოვს, უშუამდგომლოს არმიის სხვა დანაყოფებიდან მთიელი ტყვეების მასთან გასაგზავნად.
- 1855 11 იანვარი**
 თავს შეუძლოდ გრძნობს.
- 1855 11 იანვარი**
 თემირხანშურიდან თავისი თარჯიმნის – მირზა ვექილოვის ხელით წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს, აცნობებს, რომ დატყვევებული ქალები, შვილებთან ერთად, თავს კარგად გრძნობენ, ელოდებიან შამილის ვაჟის რუსეთიდან დაბრუნებას და ამით მათ განთავისუფლებას; ურჩევს, თავის ვაჟს, დავითს, კარგად ასწავლოს თათრული და სპარსული ენები, რადგან მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნით ლუკმაპურს ვერ იშოვის.
- 1855 11 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და აცნობებს რომ მის ვაჟს, ალექსანდრეს, 150 მანეთი გაუგზავნა.
- 1855 21 იანვარი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და შეწუხებული ატყობინებს, რომ არ დაადგა საშველი შამილის შვილის ჩამოსვლას და ტყვეთა განთავისუფლებას. აინტერესებს, როგორ ემზადებიან ახალი მეფისნაცვლის, ნიკოლოზ მურავიოვის, დასახვედრად.
- 1855 22 იანვრის შემდეგ**
 იღებს კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის წერილს, მაგრამ იმდენად ხშირად უხდება გადაადგილება ჯარების დასათვალიერებლად, რომ პასუხის მიწერას ვერ ახერხებს.

- 1855 7 თებერვლამდე**
კავკასიის ახალი მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვი თბილისში იბარებს. ამიტომ იძულებულია, არ დაელოდოს შამილის ვაჟის – ჯამალედინის თემირხანშურაში ჩასვლას და კახეთიდან გატაცებული ნათესავების ტყვეობიდან გამოხსნას. მათ შესახვედრად ტოვებს დავით ჭავჭავაძეს და თავად თბილისში მიემგზავრება.
- 1855 7 თებერვალი**
მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვის განკარგულებით ჩადის თბილისში.
- 1855 11 თებერვალი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილებს, აცნობებს, რომ შამილის შვილი არ დაბრუნებულა და, შესაბამისად, ტყვე ქალების საქმეც ისევ ძველებურადაა; გული სწყდება, რომ თბილისიდან გასულები დახვდნენ და ვერ ნახეს ერთმანეთი.
- 1855 16 თებერვალი**
თბილისშია და იღებს დავით ჭავჭავაძის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ შამილის შვილი – ჯამალედინი უკვე მასთან არის და იმამიც ძალიან მოწადინებულია, რომ გაცვლა მალე დასრულდეს.
- 1855 17 თებერვალი**
იღებს წერილს თავისი ბიძაშვილის – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისგან, რომელიც საყვედურობს, რომ არ შეატყობინა მისი თბილისში ჩასვლის შესახებ.
- 1855 17 თებერვალი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ატყობინებს, რომ მისი თბილისში ჩასვლის შესახებ წერილი ნამდვილად გაუგზავნა. ასევე, სწერს, რომ შამილის შვილი უკვე თემირხანშურაშია და იმამიც ჩქარობს ტყვეების გაცვლის დასრულებას.
- 1855 18 თებერვალი**
თბილისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და ატყობინებს, რომ შამილის ვაჟი – ჯამალედინი თემირხანშურაშია და ტყვეთა გაცვლა მალე დასრულდება.
- 1855 20 თებერვალი**
თბილისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის კონსტანტინე თარხნიშვილს და ატყობინებს, რომ შამილის ვაჟი – ჯამალედინი თემირხანშურაშია და ტყვეთა გაცვლა მალე დასრულდება. სთხოვს, გააგებინოს, როდის აპირებს თბილისში ჩასვლას.
- 1855 7 მარტი**
თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე საგინაშვილს, ატყობინებს, რომ მალე უნდა დაბრუნდეს თემურხანშურაში და სთხოვს, იქნებ შეძლოს მანამდე თბილისში ჩასვლა მის სანახავად.

- 1855 10 მარტამდე**
მონაწილეობს ტყვეობაში მყოფი თავისი ძმის – ილიას ცოლ-შვილისა და სხვა ტყვეების შამილის ვაჟზე – ჯამალედინზე გაცვლის ორგანიზებაში.
- 1855 15 მარტი**
ძმის – ილიას ცოლ-შვილი ხასავიურტიდან ჩადის მასთან თემირხანშურაში.
- 1855 3 აპრილი**
თემირხანშურიდან თარჯიმან ისაი გრომოვის ხელით წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ტყვეობიდან განთავისუფლებული ქალები ორ დღეში გაემგზავრებიან თემირხანშურიდან თბილისისაკენ და მერვე დღეს უკვე იქ იქნებიან. ამიტომ სთხოვს, სახლი მოაწესრიგებინოს მათ დასაბინავებლად.
- 1855 4 აპრილი**
ინიშნება კასპიისპირა ჯარების სარდლად და სამოქალაქო განყოფილების მმართველად.
- 1855 22 მარტი-5 აპრილი**
შამილის ტყვეობიდან განთავისუფლებული ნათესავები: ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, მისი ვაჟი – გიორგი ორბელიანი, დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილი და ნინო ბარათაშვილი არიან თემირხანშურაში. ახლობლებს მონატრებული გრიგოლ ორბელიანი სრულ ნეტარებაშია. დილით ბავშვების ჟღურტული აღვიძებს და იმედიით ავსებს.
- 1855 29 აპრილამდე**
პეტერბურგიდან იღებს თავისი ძმისწულის – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ კარგად არის და ჰპირდება ბეჯითად სწავლას.
- 1855 29 აპრილამდე**
საპასუხო წერილთან ერთად 100 მანეთს უგზავნის ძმისწულს – ალექსანდრე ორბელიანს.
- 1855 29 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ მის ვაჟს ასი მანეთი გაუგზავნა. აინტერესებს, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ როგორ არიან ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟი – გიორგი.
- 1855 7 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და სიხარულით ატყობინებს, რომ მისი ნათესავები ტყვეობიდან გათავისუფლდნენ. დაწვრილებით უყვება დაღესტანში არსებული ვითარებისა და სამშობლოში დაბრუნებული შამილის ვაჟის – ჯამალედინის განცდების შესახებ.

- 1855 7 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, კანცელარიის უფროსს, მიხეილ შჩერბინინს, ატყობინებს დალესტნის ამბებს და სთხოვს, თანდართული წერილი მიაწვდინოს მიხეილ ვორონცოვს.
- 1855 25 მაისი**
 თემირხანშურიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის. წუხილს გამოთქვამს მისი კავკასიიდან წასვლის გამო, მაგრამ უსურვებს, რომ პეტერბურგში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიოს. სთხოვს, თუ როდისმე მასთან წარადგენენ ადრესანტის ძმისშვილს, პაჟ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანს, მფარველობა გაუწიოს.
- 1855 29 მაისამდე**
 კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვს უპატაკებს ტაბასარანში მშვიდობის დასამყარებლად მის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. სწერს, რომ უკანასკნელ ხანებში მოღებმა გაააქტიურეს ქადაგება და მზადდება არეულობა. ამიტომ მან ვითარების გამწვავებამდე და შამილის მიერ დამხმარე დანაყოფების მისვლამდე გაგზავნა ჯარი ტაბასარანში. რუსი სამხედროების მოულოდნელმა გამოჩენამ აიძულა ადგილობრივი მოსახლეობა, სისხლიანი შეტაკების გარეშე დამორჩილებულიყო, ერთგულება შეეფიცა იმპერიისთვის და ამანათები გადაეცა.
- 1855 30 მაისის შემდეგ**
 იმყოფება თემირხანშურაში და იღებს ძმისშვილის, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანის, მიერ 30 მაისს პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც სთხოვს იუსუფ-ბეკის მიერ მისთვის ნაჩუქარი დამბაჩისა და ქამარ-ხანჯლის გაგზავნას.
- 1855 7 ივნისამდე**
 იღებს გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სიმონ შალიკაშვილის წერილს.
- 1855 7 ივნისი**
 თემირხანშურიდან საპასუხო წერილს უგზავნის გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილს. სწერს, რომ აინტერესებს ინგილოების გაქრისტიანების ამბები და მოუთმენლად ელის ყარსის აღების შესახებ ცნობის მისვლას.

1855

1 ივლისი

კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ეგუება შამილის ვაჟი – ჯამალედინი ჩეჩნეთში დაბრუნებას. სწერს, რომ მას ჩაუტარდა წინადაცვეთა, რის შემდეგაც ცუდად გახდა. საკმაოდ უჭირს ადგილობრივ ჩვეულებებთან შეგუება, მაგრამ შამილი ყოველნაირად ცდილობს მისთვის შესაფერი გარემოს შექმნას. ჯამალედინს მიჩენილი ჰყავს არაბული და ავარიული ენების მასწავლებლები და მოლები, რომლებიც მის რელიგიურ განათლებაზე ზრუნავენ. იგი ხშირად მოწყენილია და, როდესაც შამილმა ჰკითხა ამის მიზეზი, უპასუხა, რომ წუხდა მისი კეთილისმყოფელის – იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების გამო. შამილი საკმაოდ დიდ ღმობიერებას იჩენს მის მიმართ, რუსეთიდან გაგზავნილი ჟურნალების კითხვის უფლებასაც კი აძლევს და მოთმინებით იტანს მის უარს რაზმის ხელმძღვანელობასა და თავდასხმებში მონაწილეობაზე. ორბელიანი, ასევე, ატყობინებს მეფისნაცვალს, რომ შამილი აპირებს ჯამალედინის დაქორწინებას დანიილ-ბეგის ქალიშვილზე.

1855

1 ივლისი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას. სურს გაიგოს, ვინ გაჰყვა მოსკოვში მის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისასა და დავით ჭავჭავაძის ოჯახს. ასევე, აინტერესებს, იპოვეს თუ არა თბილისის ქარვასლის გადამწველები.

1855

8 ივლისამდე

თავის ძმისწულთან, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანთან, პეტერბურგში გადასაგზავნად დამბაჩას და ქამარ-ხანჯალს უგზავნის მის დედას, ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას.

1855

8 ივლისი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ ვაჟისთვის გადასაგზავნად ფოსტით გაუგზავნა დამბაჩა და ქამარ-ხანჯალი და მოიკითხავს ახლობლებს.

1855

8 ივლისი

თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და დაბეჯითებით სთხოვს, ფოტოსურათი გადაიღოს და გაუგზავნოს.

1855

20 ივლისი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, აცნობებს, რომ ველარ უძლებს სიცხეებს და, რადგან ირგვლივ სიმშვიდეა, მთაში მიდის გასაგრილებლად.

1855

21 ივლისი

საღამო ხანს ადის დაღესტნის სოფელ ოღლიში.

1855

22 ივლისამდე

სახალისო წერილს უგზავნის ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას.

- 1855 22 ივლისამდე**
თემირხანშურიდან იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს, რომლითაც ატყობინებს რეგიონში არსებულ ვითარებას.
- 1855 22 ივლისი**
დალესტნის სოფელ ოლლიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ავალებს აფშერონის პოლკის მაიორ მიხეილ დოლგოვო-საბუროვისათვის მისი კვიცის გაგზავნას. ასევე სთხოვს, როგორც კი მიიღებს სიახლეებს სევასტოპოლიდან, მასაც შეატყობინოს.
- 1855 22 ივლისი**
მიემგზავრება ქუთიშის მთისკენ.
- 1855 22 ივლისის შემდეგ**
ბეთანიიდან იღებს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვის წერილს და იგებს, რომ ის სტუმრად იმყოფება თავისი სიძის, ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის, ოჯახში. მოკითხვას უთვლის ბარონისგან და სწერს, რომ მისი ძმა, დავით ჭავჭავაძე, შამილის ტყვეობიდან დახსნილ თავის ოჯახთან ერთად იმჟამად იმყოფება პეტერბურგში, მისი ქალიშვილი, 5 წლის ელენე კი, რომელიც მიურიდების თავდასხმისას მამიდასთან, ეკატერინე ჭავჭავაძესთან, იმყოფებოდა და ოჯახთან ერთად ტყვედ ჩავარდნას გადაურჩა, მასთან არის ბეთანიაში. გადაკვრით სწერს გრაფინია ჟოზეფინა რონიკერ-ოპერმანის ნუგეშისცემაზე, რომელსაც გარდაეცვალა მეუღლე – ალექსანდრ ოპერმანი.
- 1855 22 ივლისის შემდეგ**
ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვის წერილთან ერთად იღებს იაგორ ყორღანოვის ბარათსაც, რომელიც იმავე ფურცელზეა მიწერილი. ადრესანტი მოიკითხავს საერთო ნაცნობებს; უკმაყოფილოა ყირიმის ომის შედეგებით.
- 1855 24 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურს, გენერალ-მაიორ პეტრე ვოლკოვს და დაწვრილებით აცნობს მხარის უსაფრთხოებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხას.
- 1855 25 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ შამილს 14000-იანი ცხენოსანთა რაზმი ჰყავს. სწერს, რომ მთაში საშინლად ცივა და სთხოვს გაზეთ „Русский инвалид“-ის გაგზავნას.
- 1855 27 ივლისი**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს, რომ შამილი ყურბან ბაირამის შემდეგ აპირებს შეტევების განახლებას და რჩევებს აძლევს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით.

- 1855 11 აგვისტო**
იმყოფება სოფელ არქაზში და დიმიტრი ჯორჯაძისთვის სვიმონ შალიკაშვილის მიერ მიწერილ ბარათზე მოკლე მინაწერს აკეთებს ნაპოლეონ მესამისთვის თავის მოკვეთის შესახებ გავრცელებულ ჭორთან დაკავშირებით.
- 1855 14 აგვისტო**
სოფელ ოლიდან იული მინკვიცისა და მათე ღამაზოვის მამისთვის გადასაცემ წერილებთან ერთად, ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ შამილი ავარიაში ნაიბებთან ერთად დიდ შეკრებას გეგმავს. დარიგებებს აძლევს სამხედრო სამზადისთან დაკავშირებით.
- 1855 14 აგვისტო**
სოფელ ოლიდან მიემართება ქუთიშის მთისკენ.
- 1855 15 აგვისტო**
ქუთიშის მთიდან მიემართება ყაზიყუმუხისკენ.
- 1855 21 აგვისტომდე**
იღებს თავისი ბიძაშვილის – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის ბარათს, რომელშიც ადრესანტი საყვედურობს წერილების მიუწერლობისთვის.
- 1855 21 აგვისტომდე**
ადის ყაზიყუმუხში, ამოწმებს ადგილობრივ ვითარებას და ჯარების მზადყოფნას.
- 1855 21 აგვისტო**
იგებს, რომ სევასტოპოლთან გამართულ ბრძოლაში დაუჭრიათ მისი ბიძაშვილის ქმარი – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი.
- 1855 21 აგვისტო**
ქუთიშის მთაზე და იწყებს თავის ბიძაშვილ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისთვის გასაგზავნი წერილის წერას, აცნობებს, რომ მთიდან ადევნებს თვალს შამილის ჯარების გადაადგილებას და ელოდება, რომელი მიმართულებით წავლენ შეტევაზე გადასასვლელად. ბარათის გაგზავნას ვერ ახერხებს საშინელი ავდრის გამო.
- 1855 21 აგვისტო**
ქუთიშის მთაზე ასულს ხვდება დიმიტრი ჯორჯაძის წერილი.
- 1855 22 აგვისტომდე**
გრიგოლ ორბელიანის წუდახარაშიჩასვლისას ხდება ადგილობრივების დაპირისპირება ყაზიყუმუხელებთან, მაგრამ ის დროულად ახერხებს სიტუაციის განმუხტვას იმით, რომ შერიგების წერილს აწერინებს ყაზიყუმუხის ხან ალაღარ ბეგს მეხთულის სახანოს მმართველ ივან ლაზარევთან და იუსუფ-ბეკთან.
- 1855 22 აგვისტო**
იღებს დიმიტრი ჯორჯაძის კიდევ ერთ წერილს და ტაბასარანელებისადმი მიმართვის ტექსტს.

- 1855 22 აგვისტო**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს წუდახარელებისა და ყაზიყუმუხელების შუღლის ამბავს.
- 1855 25 აგვისტო**
ქუთიშის მთიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, უხსნის წუდახარელთა და ყაზიყუმუხელთა დავის საფუძველს და სთხოვს, შეადგინოს საბოლოო განჩინების ტექსტი, რომლის მიხედვითაც, სადავო მიწა წუდახარელებს დარჩებათ, მაგრამ დაევალებათ, რომ ხელახლა ააშენონ მათ მიერ დანგრეული ციხე-კოშკი.
- 1855 26 აგვისტო**
ქუთიშის მთიდან ეშვება დაბლობზე და ბანაკდება სოფელ ოღლისა და ქუთიშას შორის.
- 1855 27 აგვისტო**
იღებს დიმიტრი ჯორჯაძის მიერ წინა დღეს გაგზავნილ წერილს, რომლითაც სთხოვს, ნება დართოს ჩირიურტში წასვლაზე.
- 1855 27 აგვისტო**
წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და სთანხმდება ჩირიურტში წასვლაზე. ასევე, აცნობს მათი საჯარისო ნაწილების სამომავლო განლაგების გეგმას.
- 1855 27 აგვისტო**
წერილს უგზავნის ლევან მელიქიშვილს და ატყობინებს, რომ ავარიაში შამილის შეკრება დასრულდა და მისი მონაწილეები თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. გაკვირვებას გამოხატავს იმით, რომ, ჯაშუშთა თქმით, თავყრილობა ზნეობით საკითხებსა და წესრიგს ეხებოდა და არა სამხედრო გეგმებს.
- 1855 28 აგვისტო**
ოღლიში იღებს ლევან მელიქიშვილის მიერ 24 აგვისტოს გაგზავნილ წერილს.
- 1855 28 აგვისტო**
ოღლიდან წერილს უგზავნის გენერალ ლევან მელიქიშვილს და ატყობინებს შამილისა და ნაიბების თავყრილობის დეტალებს და მადლიერებას გამოხატავს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ისადმი, რომელმაც დიდი პატივით მიიღო პეტერბურგში მადლობის სათქმელად ჩასული ტყვეობიდან გამოხსნილი მისი ნათესავები. გულსტკივილს უზიარებს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი საქმეები ნაკლებად ჩანს: არავინ იცის, რომ მან აღკვეთა აჯანყებები აპყომასა და ყაითაღში და ახლა იმავეს აკეთებს ტაბასარანში, რადგან ის საქმეს 500-კაციანი მსხვერპლისა და ზარბაზნების ქუხილის გარეშე აგვარებს.
- 1855 28 აგვისტო**
რთული, თოვლიანი და მოყინული გზის გავლით ჩადის სოფელ ოღლიში.
- 1855 31 აგვისტო**
საშინელი ამინდების გამო ქუთიშის მთიდან ბრუნდება თემირხანშურაში.

- 1855 ზაფხული**
მასთან პატიების თხოვნით მიდის ზემო ყაითალში არეულობის ორგანიზატორი სულთან ახმედი სოფელ შელიაგიდან და ორბელიანი პირობას ადებინებს, რომ საქმით დაუმტკიცებს თავის ერთგულებას.
- 1855 2 სექტემბრამდე**
ძმის, ზაქარიას, მეუღლე – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისა ატყობინებს, რომ უნდათ გრიგოლ ორბელიანის დისწულის – ბარბარე ბარათაშვილის გათხოვება რუს ოფიცერზე.
- 1855 2 სექტემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და უზიარებს თავის აზრს დისშვილის, ბარბარე ბარათაშვილის, გათხოვებასთან დაკავშირებით. სწერს, რომ უმჯობესი იქნება მისი ქართველ თავადიშვილზე დაქორწინება, რადგან არ იცის რუსული ენა და გაუჭირდება მათი ზნე-ჩვეულებების გათავისება. ურჩევს, აზრი სხვებსაც ჰკითხონ, მაგრამ გაითვალისწინონ თავად ბარბარე ბარათაშვილის სურვილიც.
- 1855 2 სექტემბერი**
ასრულებს თავის ბიძაშვილ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისთვის 21 აგვისტოს დაწყებული წერილის წერას და ატანს მასთან იმხანად მყოფ და თბილისისკენ მიმავალ ზაქარია ჭავჭავაძეს.
- 1855 16-23 სექტემბრამდე**
შეუძლოდ არის, ნაღვლის ბუშტი აქვს გაღიზიანებული, აციებს და ისე სუსტადაა, რომ წერაც არ შეუძლია.
- 1855 23 სექტემბრამდე**
ნუხის გამგებელ კონსტანტინე თარხნიშვილისგან იღებს წერილს და მეფისნაცვლის ბრძანებათა ასლებს საომარი ვითარების გასაცნობად. იგებს, რომ რუსეთის ჯარმა დატოვა სევასტოპოლი და ძალიან იმედგაცრუებულია.
- 1855 23 სექტემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ნუხის გამგებელ კონსტანტინე თარხნიშვილს და ატყობინებს, რომ დაღესტანში სიმშვიდეა. შიშობს, სევასტოპოლიდან რუსეთის ჯარის უკანდახევამ შამილს გამარჯვების ტყუილი იმედები არ მისცეს, მაგრამ ფიქრობს, რომ იმამს მისი ვაჟი – ჯამალედინი დაეხმარება რეალური ვითარების შეფასებაში. ბარათთან ერთად უკან უბრუნებს მეფისნაცვლის ბრძანებათა ასლებს.

1855

26 სექტემბრამდე

გენერალ ვასილი ბებუთოვს აწვდის ინფორმაციას დანიილ-ბეგის შესახებ. სწერს, რომ შამილს 1852 წელს შეეპარა ეჭვი დანიილ-ბეგის სანდოობაში და თვალყურს ადევნებდა, რომ ისევ რუსების მხარეს არ გადასულიყო, მაგრამ შემდეგ მათი ურთიერთობა დალაგდა. დანიილ-ბეგს რომც უნდოდეს შამილის ღალატი, ვერ გასწირავს თავის ოჯახს, ახლობლებთან ერთად გაქცევას კი ვერ მოახერხებს. გარდა ამისა, მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავს შამილის ვაჟს – ყაზი-მუჰამედს, რაც, ასევე, უწყობს ხელს მათი ურთიერთობის გამყარებას. სწერს, რომ დანიილ-ბეგს თავის ხალხში ავტორიტეტი არა აქვს და მისი რუსეთის მხარეს გადასვლა ბევრს არაფერს მოიტანს.

1855

10 ოქტომბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის მიხეილ ვორონცოვს, დაწვრილებით აცნობს ბოლო თვეების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს და მაღლიერებას გამოხატავს, რომ მისი წყალობით კავკასიის მთიანეთი აღმშენებლობის გზაზე დგას. იმედს გამოთქვამს, რომ მის ვაჟს – სიმონს ნაიარევები უკვე მოუშუშდა. მოიკითხავს ადრესატის მეუღლეს – ეკატერინე ბრონიცკაია-ვორონცოვისას და ყოფილი მეფისნაცვლის ადიუტანტის მეუღლეს – ბარბარე გოლიცინ-შუახელ-გოფიეს სთავაზობს შემოწირულობის გაღებას მუსლიმურ კავკასიაში აშენებული ქრისტიანული ტაძრების შესამკობად.

1855

13 ოქტომბერი

იმყოფება თემირხანშურაში და იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის 6 ოქტომბერს უნდა გამოსულიყო მოსკოვიდან. ფიქრობს, კარგი იქნებოდა, თუ მისი რძალი წამოსვლამდე გაიგებდა ძმის – პეტრე ილიას ძე ბაგრატიონის გარდაცვალების ამბავს, რადგან მოსკოვში ოჯახთან ერთად იყო და ჭირისუფლები ერთმანეთს ანუგეშებდნენ.

1855

14 ოქტომბერი

თემირხანშურიდანწერილსუგზავნისბიძაშვილს,ბარბარეორბელიან-საგინაშვილისას, ატყობინებს, რომ ნალვლის ბუშტის ანთებით იყო ავად და ახლა უკეთესად გრძნობს თავს; მოიკითხავს ახლობლებს.

1855

14 ოქტომბერი

თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. შეძრწუნებულია იმით, რომ ყარსის იერიშის დროს მოუკლავთ მათი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, ძმა – 19 წლის პეტრე ბაგრატიონი. უხარია, რომ მისი ბიძაშვილის ქმარს – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის ჭრილობა შეუხორცდა და გამოჯანმრთელდა.

1855

14 ოქტომბერი

გარდაეცვალა ბიძაშვილი – ანტონ (ტატო) გიორგის ძე ორბელიანი.

1855

24 ოქტომბერი

სალამოს იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს.

- 1855 24 ოქტომბერი**
დერბენდიდან მიემგზავრება მარალაში.
- 1855 25 ოქტომბერი**
დერბენდიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და დაწვრილებით უყვება ადგილობრივ გუბერნატორ იული მინკვიცთან შეხვედრისა და საუბრის დეტალებს.
- 1855 30 ოქტომბერი**
ჯარით შედის ტაბასარანის სოფელ ხანაგაში, შეშინებული მტერი უბრძოლველად გადადის რულუჯაში, მაგრამ, მილიციისა და ადგილობრივი ბეგების დახმარებით, ამარცხებს მათ და ორივე სოფელს ანადგურებს. ტაბასარანელები არ მოელოდნენ ამ მარცხს და დეპუტაციებს უგზავნიან, რომ იერიში შეწყვიტოს.
- 1855 31 ოქტომბერი**
ტაბასარანის სოფელ ხანაგიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება, როგორ აიღეს ტაბასარანის ორი სოფელი. აინტერესებს, რა ვითარებაა თემირხანშურაში და ეკითხება, ხომ არაფერი გაუგია ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მოსკოვიდან გამომგზავრების შესახებ.
- 1855 5 ნოემბერი**
იმყოფება სოფელ ხანაგაში და იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს, რომლიდანაც შეიტყობს ყაზიყუმუხის სოფელ ერპელის მმართველ მუხუდინის გარდაცვალების ამბავს.
- 1855 5 ნოემბერი**
სოფელ ხანაგიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ ტაბასარანის სოფლებთან ტყის კაფვას აგრძელებს, რაც თავშესაფარს დაუკარგავს ყაჩაღებს.
- 1855 6 ნოემბერი**
ტაბასარანის სოფელ ხანაგიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და დაწვრილებით უყვება ყუბის მაზრის უფროს გრიგოლ ერისთავის უკანონო ქმედებებისა და მათ ირგვლივ ატეხილი სკანდალის შესახებ.
- 1855 10 ნოემბერი**
წერილს იღებს დიმიტრი ჯორჯაძისგან.
- 1855 10 ნოემბერი**
წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს.
- 1855 11 ნოემბერი**
ყარაყაითალის მმართველ ჯამოვ-ბეგის ვაჟს მასთან მიჰყავს მუსლიმი ღვთისმსახური, რომელიც ტაბასარანში აჯანყებას ამზადებდა და გამათრახებით სჯის.

- 1855 12 ნოემბრამდე**
 ტაბასარანის სოფლების განადგურების შემდეგ მორჩილების წერილს იღებს სულაღელი რელიგიური წინამძღოლის ახმედ ხანისაგან, რომელიც იმ მხარეში ერთ-ერთი ცნობილი მეთაურია და ამ გზავნილით ძლიერ კმაყოფილი რჩება.
- 1855 12 ნოემბრამდე**
 იღებს ბიძაშვილიშვილის – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ბარბარე და ანა ილიას ასულმა ბაგრატიონ-გრუზინსკებმა მოსკოვშივე გაიგეს თავიანთი ძმის – პეტრეს გარდაცვალების ამბავი და ამიტომ წამოსვლა გადადეს.
- 1855 12 ნოემბერი**
 იმყოფება სოფელ ხუჩნის სიახლოვეს, წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება, როგორ ცდილობდნენ ტაბასარანელები, რომ გზის გაყვანაზე უარი ეთქვათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.
- 1855 14 ნოემბერი**
 იმყოფება ტაბასარანში და იღებს წერილს ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანისგან, რომელმაც მისი ავადმყოფობის ამბავი გაიგო და მოიკითხა.
- 1855 15 ნოემბერი**
 ტაბასარანიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ კეთილად სრულდება ტაბასარანის სამხედრო ექსპედიცია და წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ არც ადრესატი და არც პეტერბურგში მყოფი მისი ვაჟი – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი, დიდი ხანია არ შეხმიანებია.
- 1855 15 ნოემბერი**
 ტაბასარანიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს, და ატყობინებს, რომ ყაზიყუმუხიდან დერბენდში გადასასვლელი გზა გაჰყავთ. სიამაყით სწერს, რომ ყალუხის მთაზე ვერ ავიდნენ ვერც ნადირშაჰი და ვალერიან მადათოვი, ვერც ნიკიტა პანკრატიევი და ალექსანდრე მიკლაშევსკი, ვერც ალექსანდრე დადიანი და მოსე არლუთინსკი, მან კი მოახერხა და ახლა ადგილობრივ მცხოვრებლებსვე ამუშავებს ტყის კაფვასა და გზის გაყვანაზე.
- 1855 17 ნოემბრამდე**
 თავისთან იბარებს გრიგოლ ერისთავს, განუმარტავს, რომ მისი თანამდებობაზე დარჩენა აღარ შეიძლება, აბრუნებს დერბენდში და ავალებს, რომ თავადვე დაწეროს განცხადება გადადგომაზე.
- 1855 17 ნოემბერი**
 ტაბასარანის სოფელ ქულუყში იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს.

- 1855 17 ნოემბერი**
ტაბასარანის სოფელ ქულუყიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და დაწვრილებით უყვება, სად რა სამუშაოებს ატარებენ გზის გასაყვანად. ატყობინებს, რომ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს მხოლოდ 4 ბატალიონი ჰყავდა, ამიტომ მტრისთვის სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწევია და ოსმალებს ზუგდიდი დაუკავებიათ. სწერს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე მშვიდობიანად არის და გორდში იმყოფება.
- 1855 26 ნოემბერი**
ყაითალის სრული დამორჩილების შემდეგ მის მმართველად ტოვებს კაპიტან აიდის და თავად ტაბასარანიდან მარალაში ბრუნდება.
- 1855 1 დეკემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, ატყობინებს ტაბასარანში მის მიერ ჩატარებული ექსპედიციის ამბებს და სთხოვს, შეატყობინოს, რა ვითარებაა სამეგრელოში. უკვირს, ადგილობრივებმა როგორ ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ოსმალებს.
- 1855 8 დეკემბერი**
ხვდება პეტერბურგიდან მომავალ სოლომონ აბესალომოვს, რომელსაც მისი ძმისწული ალექსანდრე ორბელიანიც უნახავს და შამილის ტყვეობიდან განთავისუფლებული მისი ნათესავი ქალებიც და ეუბნება, რომ კარგად არიან.
- 1855 9 დეკემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, სთხოვს, შეატყობინოს, რა მდგომარეობაა იმერეთსა და სამეგრელოში და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1855 16 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ დიდი ხნის მანძილზე ერთხელაც არ შეეხმიანა.
- 1855 21 დეკემბრამდე**
გარდაეცვალა ძმისწული – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი.
- 1855 21 დეკემბერი**
იმყოფება თემირხანშურაში და შეიტყობს თავისი ძმისწულის, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანის, გარდაცვალებას.

- 1855 21 დეკემბრის შემდეგ**
ტაბასარანში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს. ყოფილი მეფისნაცვალის უწონებს 10 ნოემბრის წერილში აღწერილ სამხედრო მოქმედებებს დალესტნის დასაცავად და მის მიერ არჩეული რაზმის მეთაურებს. აქებს, რომ ყველაზე რთულ პერიოდში დაიმორჩილა დალესტნელები, რომლებიც მშვიდობიან დროსაც არ ცნობდნენ რუსეთის ძალაუფლებას. გახარებულია დიდებული ტაძრის აგებით თემირხანშურაში, სურს მონაწილეობა მის შემკობაში და სთხოვს, გაუგზავნოს ხატების სია, რომლებიც დაამშვენებდა ეკლესიას. უსამძიმრებს ძმისშვილის, ალექსანდრეს, გარდაცვალების გამო. აინტერესებს დერბენდში ქვანახშირის მოპოვების საქმის მიმდინარეობა.
- 1855 22 დეკემბერი**
თემირხანშურიდან სამძიმრის მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; სწერს, რომ ძმისწულის სიკვდილით მასაც უკანასკნელი იმედი წაერთვა და სასოწარკვეთილებისაგან აღარ იცის, რით ინუგეშოს თავი.
- 1855 29 დეკემბრამდე**
ყუბის მაზრის უფროსის თანამდებობიდან ათავისუფლებს პოდპოლკოვნიკ გრიგოლ ერისთავს და მის ადგილზე ნიშნავს პოდპოლკოვნიკ ალექსანდრ კლუგენს.
- 1855** ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის ორდენზე მისამაგრებელი განმასხვავებელი ნიშნით.
- 1855** ირჩევენ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად.
- 1856 -მდე**
იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს.
- 1856 5 იანვარი**
თემირხანშურიდან თანაგრძნობის წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და თან ურთავს ას მანეთს თავისი დისშვილის – ბარბარე ბარათაშვილისთვის გადასაცემად.
- 1856 20 იანვარი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, შეეხმიანოს. შემფოთებულია იმის გამო, რომ ყველა ახლობელმა დაივიწყა.
- 1856 24 იანვარი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და უგზავნის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელზე მშენებარე სამხედრო ეკლესიის კანკელის სრულ ნახაზს.

- 1856 25 იანვარი**
სოფელ იშკარტიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ მშვიდობიანად დაბრუნდა თემირხანშურასთან ახლოს მდებარე ამ სოფელში და აპირებს ჩირიურთში გადასვლას.
- 1856 26 იანვარი**
სოფელ ჩირიურთიდან მოკითხვის ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. აცნობებს, რომ ცივ ოთახში ზის და ისე წერს; აპირებს ციხის, ხიდისა და ჯარების განლაგების დათვალიერებას და ამის შემდეგ ყიზიურთისკენ გამგზავრებას.
- 1856 3 თებერვალი**
თემირხანშურიდან სანუგეშებელ წერილს სწერს ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ზედიზედ მიიღო მისი გაგზავნილი ორი ბარათი; ურჩევს, ლოცვითა და ღვთის სასოებით გაუმკლავდეს თავს დატეხილ უბედურებას, ერთადერთი შვილის გარდაცვალებას.
- 1856 10 თებერვალი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და სთხოვს, ნუგეშისცემა არ მოაკლოს მის რძალს, ქეთევან ორბელიანს, რომელიც შვილის დაღუპვის გამო სასოწარკვეთილებაშია.
- 1856 1 მარტამდე**
დადის სოფლებში თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის წინააღმდეგ ამბოხებული ხალხის დასამშვიდებლად.
- 1856 1 მარტი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანს ხალხი აუჯანყდა; ამიტომ დადის სოფლებში სიმშვიდის დასამკვიდრებლად და ჯანყის მოთავეთა დასასჯელად; უგზავნის მინდობილობას, რომლითაც შეძლებს პენსიის აღებას; მოიკითხავს ახლობლებს.
- 1856 16 მარტი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ძალიან დაღალა სამსახურმა, რომლის გამოც ერთ ადგილას ვერ გაჩერებულა, სულ წინ და უკან უწევს სიარული.
- 1856 18 მარტამდე**
შეიმუშავებს თურქეთთან ომის პირობებში კახეთის დაცვის გეგმას.

- 1856 18 მარტის შემდეგ**
წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილის, ქეთევან შალვას ასულ ერისთავის, ქმარს – ელიზბარ ერისთავს. საყვედურობს, რომ ტყუილად უთხრა უარი მანანა ერისთავ-ორბელიანისას, რომელიც სთავაზობდა სამსახურის შოვნას, თავისი სიმის, ქუთაისის გუბერნატორ ალექსანდრ გაგარინის, დახმარებით. სწერს, რომ ამჯერად ნათესავებმა ვასილ ბებუთოვს სთხოვეს და ეს უკანასკნელი მის მიერ განცხადების შეტანას ელის.
- 1856 22 მარტი**
თემირხანშურაში იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისა და ყაფლან ორბელიანის წერილებს.
- 1856 23 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ სასტიკი სიცივეების გამო საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, იხოცება.
- 1856 23 მარტი**
თემირხანშურიდან მოკითხვის წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და ატყობინებს, რომ ბოლო ორი თვეა განუწყვეტლივ თოვს და ყინავს.
- 1856 20 აპრილი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და შესჩივის, რომ წვიმებმა და თოვლმა უკანასკნელი მოთმინება წაართვა. ატყობინებს, რომ შესაძლოა მეფისნაცვალი – ნიკოლოზ მურავიოვი გავლით ეწვიოს დაღესტანს; მოიკითხავს ახლობლებს.
- 1856 8 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ბოლო დროს გულის ფრიალი დასჩემდა.
- 1856 11 მაისის შემდეგ**
თემირხანშურაში იღებს მიხეილ ვორონცოვის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს. ყოფილი მეფისნაცვალი აცნობებს, რომ მიემგზავრება მინერალურ წყლებზე დრეზდენში. ამასთანავე, ატყობინებს, რომ თემირხანშურის ეკლესიისთვის ხატები შეუკვეთეს ფერმწერ ვასილი ვასილიევს და დამთავრებისთანავე ჩაუტანენ. აცნობს მოგზაურობის ხანგრძლივ მარშრუტს და სთხოვს, წერილები პეტერბურგში გაუგზავნოს.
- 1856 18 მაისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ გადაწყვიტა ორიოდე კვირით ზღვის სანაპიროზე დასვენება.

- 1856 30 მაისი**
თემირხანშურაში იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილს.
- 1856 1 ივნისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს, წუხს, რომ ბიძაშვილის ვალების გამო მამულებს უზომავენ და შეიძლება პრობლემები შეექმნას. ამ უსამართლობამ გადააწყვეტინა, მისწეროს ვასილ ბებუთოვს, რომელიც განაგებს გუბერნიის სამოქალაქო საქმეებს.
- 1856 12 ივნისი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ჯარი გაგზავნა მთისკენ და თავადაც აპირებს იქით წასვლას, სადაც გამოჩნდება შამილი.
- 1856 6 ივლისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ ბიძაშვილის ვალების გამო შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით ელოდება პასუხს ვასილ ბებუთოვისაგან; სწერს, რომ დეპუტატები გაგზავნა იმპერატორ ალექსანდრე მეორის კორონაციაზე დასასწრებად.
- 1856 12 ივლისი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გვარდიის სარეზერვო ქვეითი კორპუსის მეთაურ ალექსანდრ ბარიატინსკის და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს გენერალ-მაიორ გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს.
- 1856 21 ივლისი**
პეტროვსკიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს მაცხოვრის ხატის გაგზავნას, რადგან რუსი სამხედრო ინჟინრის, ადოლფ ფოლკენდალენის, მეჯვარეა; წუხს იმის გამო, რომ, შამილის მიერ საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, სასწრაფოდ მოუწევს დაბრუნება მოვალეობის შესასრულებლად.
- 1856 22 ივლისი**
პეტროვსკიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ხუმრობით სწერს, რომ, თუ ზღვა ადამიანს აახალგაზრდავებს, მას ამ მიზნამდე ცოტადა აკლია, რადგან ყოველდღე ბანაობს.
- 1856 1 აგვისტო**
თემირხანშურაში ბრუნდება პეტროვსკიდან, სადაც ორი კვირა დაჰყო ზღვაზე.
- 1856 2 აგვისტო**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ ზღვიდან დაბრუნდა.

- 1856 10 აგვისტო**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ატყობინებს, რომ ძალიან კმაყოფილია პეტროვსკში ზღვაზე გატარებული ორი კვირით.
- 1856 26 აგვისტო**
ჩადის ახტაში.
- 1856 26 აგვისტო**
იღებს ძმის, ზაქარიას, მეუღლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ აპირებენ გრიგოლის დისწულის – ბარბარე ბარათაშვილის მითხოვებას დიმიტრი ვეზირიშვილისთვის და სურთ მისი თანხმობა.
- 1856 27 აგვისტო**
ახტიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ მისი დისწულის – ბარბარე ბარათაშვილისა და დიმიტრი ვეზირიშვილის ქორწილზე თანახმაა. სთხოვს, რომ ბარბარეს მის სახელზე 1000 მანეთისა ან კაბები შეუკერონ და მზითვეი გაატანონ, ან ხელზე მისცენ. სწერს, რომ, როგორც კი მისწერენ, ივან მირზოევის ხელით მიაწვდის თანხას.
- 1856 27 აგვისტოს შემდეგ**
ფურცელზე იწერს, რომ ივან მირზოევისაგან თავისი დისწულის – ბარბარე ბარათაშვილის გასამზითველად ისესხა 1600 მანეთი.
- 1856 7 სექტემბერი**
მოკლე წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ ფლიგელადიუტანტ, ბარონ ლეონტი ნიკოლაის თქმით, კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკი დალესტნის სიმაგრე ხასავიურთში აპირებს მისვლას.
- 1856 9 სექტემბერი**
მოკლე წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და წასაკითხად უგზავნის გენერალ-მაიორ გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის ბარათს.
- 1856 10 სექტემბერი**
ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენით
- 1856 11 სექტემბერი**
მოკლე წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, შეატყობინოს, რამდენად შესაძლებელია თანხების გამოყოფა ჩირაღდნების შესაძენად.
- 1856 13 სექტემბერი**
მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს; სთხოვს მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკისთვის წარსადგენი პროექტების სასწრაფოდ მომზადებას.

- 1856 15 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, აცნობებს, რომ მიიღო წმინდა ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენი და ემზადება მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის დასახვედრად.
- 1856 18 სექტემბერი**
თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ უამრავი საქმე აქვს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მოახლოებული ვიზიტის გამო.
- 1856 26 სექტემბერი**
პეტროვსკიდან მოკითხვის წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ ქალაქ პეტროვსკში ელის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის ჩასვლას; წუხს იმის გამო, რომ თევზს ვერ შოულობენ და უნდა მისი ჩანაცვლება რაიმე სხვა კარგი კერძით.
- 1856 28 სექტემბერი**
პეტროვსკიდან მოკითხვის წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ წერილი მიიღო შემახის გუბერნატორ კონსტანტინე თარხნიშვილისაგან.
- 1856 30 სექტემბერი**
პეტროვსკიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ სტუმრად ეწვია გენერალ-მაიორი გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი.
- 1856 1 ოქტომბერი**
პეტროვსკიდან მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს; ბრაზობს, რომ სერგი ჭილაშვილმა დროულად არ აუხსნა ალაღარ ბეგს, სად უნდა განეთავსებია თავისი ამაღა.
- 1856 6 ოქტომბერი**
პეტროვსკიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს თავისი შინელის გაგზავნას.
- 1856 22 ოქტომბრამდე**
პეტროვსკიდან მოკლე წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და უგზავნის იმ სადღეგრძელოს ტექსტს, რომლითაც მიმართა მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის ქალაქ პეტროვსკში.
- 1856 22 ოქტომბერი**
წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და სთხოვს, კარგად დახვდნენ კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის, რომელიც მიემგზავრება თბილისისაკენ. ფიქრობს, რომ ღმერთს ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქ მეფისნაცვლად.

- 1856 28 ოქტომბრამდე**
მასპინძლობს კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით აცილებს ბაქომდე.
- 1856 28 ოქტომბერი**
სამხედრო მოქმედებათა ჟურნალში აღწერს 1856 წლის 21-28 ოქტომბრის მოვლენებს კასპიისპირა მხარეში. წერს, რომ შამილმა საკუთარი ჯარი და 22 ნაიბის მიერ მოყვანილი 10.000 კაცი ული-ყალასთან, გერგებლის ნანგრევების მოპირდაპირედ განალაგა რუსებზე თავდასახმელად, მაგრამ გრიგოლ ოპრბელიანის მხრიდან მოსალოდნელი შეტევის აღსაკვეთად გატარებულმა წინასწარმა ღონისძიებებმა: დაღესტნის ოლქის თავდაცვითი მხარის გაძლიერებამ, მოწინავე პუნქტების უსაფრთხოდ დაკავებამ და სარეზერვო ჯარების გამოყვანამ შამილს საკუთარ განზრახვაზე ხელი ააღებინა.
- 1856 28 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკი დიდი პომპეზურობით გააცილა ბაქომდე.
- 1856 29 ოქტომბრამდე**
ბაქოდან ყუბაში მიმავალი ხვდება მთიელებს, რომლებსაც მიწები აქვთ იჯარით აღებული და რუსეთის ხელისუფლების ნებართვის გარეშე ვერ იწყებენ ენდროს დათესვას. ისინი თხოვნით მიმართავენ, რომ დააჩქაროს ნებართვის გაცემა.
- 1856 29 ოქტომბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, შეიმუშაოს პროექტი, დერბენდის გუბერნიის გაუქმების შემთხვევაში როგორ უნდა კეთილმოეწყოს ეს მხარე.
- 1856 9 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და კმაყოფილებას გამოხატავს თავისი დისშვილის – ბარბარე ბარათაშვილის დაქორწინების გამო.
- 1856 9 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ეკითხება ახალი მეფისნაცვლის – ალექსანდრ ბარიატინსკის თბილისში მიღების დეტალებზე.
- 1856 9 ნოემბრის შემდეგ.**
თემირხანშურაში იღებს დიმიტრი ჯორჯაძის მიერ ისეთი გაურკვეველი ხელით დაწერილ ბარათს, რომ ვერ კითხულობს. მასზე მიაწერს ახალ ამბავს, რომ მისმა დისშვილმა, ბარბარე ბარათაშვილმა, იქორწინა დიმიტრი ვეზირიშვილზე და უკანვე უგზავნის.
- 1856 10 ნოემბერი**
ირიცხება იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამაღლებაში.

- 1856 16 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს, სთხოვს შეატყობინოს, როგორ დახვდნენ კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და როგორ მიიღო მან თბილისის საზოგადოება.
- 1856 27 ნოემბერი**
თემირხანშურიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; აინტერესებს, რა ხდება თბილისში და რას ფიქრობენ ახალი მეფისნაცვლის – ალექსანდრ ბარიატინსკის შესახებ.
- 1856 28 ნოემბრამდე**
იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს.
- 1856 28 ნოემბერი**
თემირხანშურიდან, წერილთან ერთად, საკუთარ ფოტოს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას.
- 1856 28 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და წარუდგენს საკუთარ მოსაზრებებს კახეთის დაცვასთან დაკავშირებით.
- 1856 24 დეკემბერი**
ფურცელზე იწერს, რომ ივან მირზოევს მსახურ ნინიკა ბაქრაძის ხელით გაუგზავნა 1600 მანეთი.
- 1857 თებერვლამდე**
მოკლე წერილს სწერს ანასტასია ორბელიან-გაგარინისას და ახარებს ქმრის დანიშვნას მაღალ თანამდებობაზე.
- 1857 თებერვალი**
წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, სწერს ნათესავების ამბებს და ატყობინებს ეკატერინე ჭავჭავაძის რუსეთიდან დაბრუნების ამბავს.
- 1857 თებერვლის დასაწყისიდან 8 მარტამდე**
თვეზე მეტ დროს ატარებს თბილისში. კმაყოფილია ახლობლების გარემოცვით და მშობლიური ქალაქის ფუსფუსით.
- 1857 8 მარტამდე**
ბრუნდება თემირხანშურაში.
- 1857 8 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ დიდი ვაივაგლახით დაბრუნდა თემირხანშურაში; სთხოვს, მკაცრი საყვედური გადასცეს მოურავ გეუა ოჰანაშვილს, რომლის უგულისყურობითაც მათი კუმისის ვენახები სრულიად მოუვლელია.

- 1857 13 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ლეონტი ნიკოლაის და ატყობინებს, თუ როგორ მოხიზლა კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ ახალი იდეებით.
- 1857 5-15 მარტი**
თემირხანშურაშია და საშინელი ამინდის გამო შენობიდან ვერ გადის.
- 1857 15 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და სთხოვს, მასში მეუღლესთან ერთად ეწვიოს თემირხანშურაში, რათა ერთად წავიდნენ ზღვაზე.
- 1857 18 მარტი**
თემირხანშურიდან თბილისში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს დროულად უკან დაბრუნებას.
- 1857 23 მარტამდე**
თემირხანშურაში იღებს კავკასიის ყოფილი მთავარსარდლის, ალექსეი ერმოლოვის, წერილს.
- 1857 23 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მთავარსარდალ ალექსეი ერმოლოვს და ატყობინებს, რომ შეუსრულა თხოვნა – მის მიერ გაგზავნილი 600 მანეთი პირადად გადასცა ახალგაზრდა სოფიას და დედამისს.
- 1857 27 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და გულითად მადლობას უხდის გენერალ-მაიორ გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის ვალების გასტუმრებაზე თანხმობისათვის.
- 1857 28 მარტი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ავალებს, გააფრთხილონ მსახური სოსიკა, კარგად მოუფრთხილდეს და არ მიმოფანტოს მისი ძმის – ილია ორბელიანის თოფ-იარაღი, რადგან სხვა არაფერი დარჩენია მისგან.
- 1857 2 აპრილი**
იმყოფება თემირხანშურაში, სადაც მასთან სტუმრად ჩადიან რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, ძმისწული გიორგი და დისწული ნინო ბარათაშვილი.

- 1857 3 აპრილი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ დიდ სამშაბათს მასთან სტუმრად ჩავიდნენ რძალი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, ძმისწული გიორგი და დისწული ნინო.
- 1857 10 აპრილი**
 თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ულოცავს აღდგომის დღესასწაულს.
- 1857 18 აპრილი**
 იმყოფება თემირხანშურაში, სადაც მასთან სტუმრად მიდის მისი დეიდაშვილის შვილი – ელენე ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.
- 1857 19 აპრილი**
 თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ სტუმრად ეწვია ივანე ანდრონიკაშვილის ქალიშვილი – ელენე.
- 1857 20 აპრილი-16 მაისი**
 სამსახურებრივი საქმეების გამო გასულია თემირხანშურიდან და გადაადგილდება სხვადასხვა სოფელში.
- 1857 17 მაისი**
 თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ ერთთვიანი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა თემირხანშურაში და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1857 24 მაისი**
 თემირხანშურიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სწერს, რომ ძალიან წუხს თავისი ბიძის – იაკობ ორბელიანის მეუღლის – ელისაბედის გარდაცვალების გამო.
- 1857 6 ივნისი**
 თემირხანშურიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ მისი ბიძაშვილის შვილს – ელენე ანდრონიკაშვილს შეეძინა ქალიშვილი.
- 1857 14 ივნისი**
 ძველ ბურთუნაისთან სამირკველს უყრის მომავალი ციხესიმაგრისა და დაღესტნის ქვეითი პოლკის შტაბის მშენებლობას.

- 1857 15 ივნისი**
თემირხანშურიდან გადადის ევგენიევსკის ციხესიმაგრეში, მოკლე წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ მასთან და მის ვაჟ – გიორგი ორბელიანთან განშორება მოუხდა.
- 1857 16 ივნისი**
სამხედრო ექსპედიციაში იმყოფება თერენგულის ხევში.
- 1857 17 ივნისი**
ათვალიერებს დაღესტნის სოფელ ბურთუნაის, სადაც უნდა აშენდეს ციხე-შტაბი. გადაივლის თერენგულის ხევს, ათვალიერებს გზებს და ბრუნდება ბანაკში.
- 1857 18 ივნისი**
იმყოფება ბანაკში თერენგულთან, წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და აცნობს სამხედრო ექსპედიციის დეტალებს. სწერს, რომ შამილი ჯერ არ ჩანს, თუმცა ბურთუნაის მიმდებარედ, ტყის პირას, შენიშნა ათასამდე მეომარი.
- 1857 20 ივნისამდე**
წერილს უგზავნის გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს. წუხილს გამოთქვამს პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის მიურიდების მიერ დატყვევების გამო. სწერს, რომ ძალიან ებრალება მისი ცოლ-შვილი და სთხოვს დახმარებას კობიაშვილის გამოსახსნელად.
- 1857 22 ივნისის შემდეგ**
წერილს იღებს გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელისაგან. სწერს, რომ ისიც შეწუხებულია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის დატყვევებით, მაგრამ, ამასთანავე, განრისხებულია მისი დაუდევრობის გამო, რამაც გამოიწვია ტყვედ ჩავარდნა. მწუხარებით ატყობინებს მისი ახლობლის, გენერალ-მაიორ იასონ ჭავჭავაძის, გარდაცვალების ამბავს.
- 1857 22 ივნისის შემდეგ**
მისი რაზმი გადაადგილდება სალათავისკენ და ბანაკდება უღელტეხილზე. შამილთან გზავნის მომრიგებლებს დაზავებასთან დაკავშირებით. შამილის ვაჟს – ჯამალედინს უნდა მათთან მოლაპარაკება, მაგრამ შამილი არ ამღევეს ნებას.
- 1857 24 ივნისი**
მოკლე წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ მტერთან ახლოს განლაგებული მისი ჯარი შეტაკების მოლოდინშია.
- 1857 24 ივნისი**
შამილი და მისი ჯარი უკან მიჰყვება სალათავისკენ მიმავალ რუსეთის სამხედრო დანაყოფებს და ცდილობენ დამხმარე ძალებს გადაუღობონ მათკენ მიმავალი გზები, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი გადადის შეტევაზე და ევგენიევსკის ციხესთან სასტიკად ამარცხებს მოწინააღმდეგეს.

- 1857 24 ივნისის შემდეგ**
კასპიისპირა მხარის ჯარების სარდალი - გრიგოლ ორბელიანი 1400-იანი კავალერიით ევგენიევსკის ციხესიმაგრიდან მიემართება სალათავისკენ.
- 1857 26 ივნისი**
რაპორტს უგზავნის გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ ბარიატინსკის და დეტალურად აღწერს ახალ ბურთუნაისთან 22 ივნისიდან მიმდინარე საომარ სამზადისს როგორც შამილის, ისე რუსეთის ჯარების მხრიდან. სწერს, რომ ამ ბრძოლაში არაერთ წარმატებას მიაღწიეს რუსეთის არმიის ჯარისკაცებმა, მოწინააღმდეგე კი 400-კაციანი დანაკარგი განიცადა.
- 1857 27 ივნისი**
თერენგულთან განლაგებული ბანაკიდან მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ შამილის ჯართან შეტაკებისას დაიხოცა და დაიჭრა 400-მდე ლეკი.
- 1857 28 ივნისი**
თბილისში მალარით გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანის შორეული სატრფო, რუსი მწერლის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ქვრივი – ნინო ჭავჭავაძე.
- 1857 ივნისი**
თერენგულის ხევის გავლით ძველ ბურთუნაისთან იწყებს სამხედრო შტაბის მშენებლობას.
- 1857 1 ივლისი**
სალათავიიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ მისი და შამილის ჯარი ისევ ერთმანეთის პირისპირ დგას.
- 1857 26 ივლისი**
მთავარსარდალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილობით უპატაკებს სალათავიაში არსებული ვითარების შესახებ და, რამდენადაც მტრის მოგერიების გარდა უხდებათ ტყეების ჩეხვა და სიმაგრის მშენებლობა, ითხოვს მისთვის დამატებით ორი ქვეითი ბატალიონის გაგზავნას.
- 1857 29 ივლისი**
სალათავიიდან მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ შამილი ზარბაზნებს აღარ ისვრის და სიმშვიდეა.
- 1857 3 აგვისტო**
რაპორტს უგზავნის გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ ბარიატინსკის; ატყობინებს სალათავიის ოლქსა და კასპიისპირა მხარეში მოპოვებული წარმატებების შესახებ და დასძენს, რომ ამ ბრძოლების შედეგად დიდი ზარალი მიადგა მოწინააღმდეგეს როგორც ადამიანური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

- 1857 6 აგვისტო**
სალათავიაში იღებს დიმიტრი ჯორჯაძის ბარათს და საპასუხო წერილში ურჩევს, არ წავიდეს პეტროვსკში, რადგან იქ ქოლერა მძვინვარებს; სწერს, რომ, თუ ამ სენმა თემირხანშურამდეც მიაღწია, მაშინ სასწრაფოდ უნდა გადაინაცვლოს იშკარტში.
- 1857 8 აგვისტო**
სალათავიიდან მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ გამოიდარა და შამილიც ჩაწყნარებულია, აღარ ისვრის.
- 1857 20 აგვისტო**
სალათავიაში მყოფი იღებს დიმიტრი ჯორჯაძის ორ ბარათს და უგზავნის საპასუხო წერილს. ატყობინებს მისთვის ჭორად მიტანილ ამბავს, თითქოს შამილი ქოლერის შიშით უკან გაბრუნდა.
- 1857 27 აგვისტო**
სალათავიიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ შამილი ჯარით დარღოსკენ წავიდა.
- 1857 27 აგვისტო**
სალათავიიდან მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ შამილი დარღოსკენ წავიდა და მისი ჯარიც დაიშალა.
- 1857 30 აგვისტომდე**
მასთან მიდიან ჩირქეიდან გადმოსახლებულები და იმჟამად სოფელ ჩორტაუში მცხოვრები მთიელები და სთხოვენ თავშესაფარს.
- 1857 30 აგვისტო**
ორ ბატალიონს აგზავნის ჩორტაუს მცხოვრებთა დასახმარებლად, რომლებსაც სურთ რუსეთის მხარეს გადასვლა, თუმცა შამილის მომხრეებისა ეშინიათ.
- 1857 30 აგვისტო**
იმყოფება სალათავიაში და იმპერატორ ალექსანდრე II-ის მფარველი წმინდანის – ალექსანდრე ნეველის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ლოცვის შემდეგ მეფისნაცვლისგან გაგზავნილი წარჩინების ნიშნებით აჯილდოებს იმ მეომრებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს უკანასკნელ ბრძოლებში.
- 1857 31 აგვისტო**
სალათავიიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის, მადლობას უხდის გულისხმიერებისათვის და ატყობინებს ქოლერის ეპიდემიით 20 ჯარისკაცის დაღუპვის ამბავს.
- 1857 5 სექტემბერი**
სალათავიიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს ურმების გაგზავნას.

- 1856 წლის 20 ნოემბრიდან**
- 1857 წლის 7 სექტემბრამდე**
წერილს სწერს გენერალ დიმიტრი მილიუტინს და სთავაზობს, ოფიციალური მიმოწერის გარდა, ზოგ შემთხვევაში წერილითაც მიმართონ ხოლმე ერთმანეთს.
- 1857 7 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის გენერალ დიმიტრი მილიუტინს და მადლობას უხდის პოდპოლკოვნიკ თეოდორ რადეცკისადმი გამოჩენილი დიდსულოვანი ყურადღებისთვის.
- 1857 10 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და არ ურჩევს სამეგრელოში მრჩევლად გადასვლას.
- 1857 10 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს – ყაფლან ორბელიანს, ატყობინებს შამილის ჯართან ორჯერ გამართული შეტაკების დეტალებს და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1857 11 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და არ უწონებს პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის ტყვეობიდან გამოსხნის მის მიერ შეთავაზებულ გეგმას.
- 1857 15 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს ქოლერის ეპიდემიის გამძვინვარების შესახებ.
- 1857 17 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ უდროოდ დაუზამთრდათ, ირგვლივ სულ ჯანდი და წვიმაა.
- 1857 20 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის გენერალ დიმიტრი მილიუტინს და სთხოვს გენერალ-მაიორ სერგეი ვასილჩიკოვის ნაცვლად შესაფერი კადრი გაუგზავნოს პოლკის ჩასაბარებლად.
- 1857 24 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის გენერალ დიმიტრი მილიუტინს და სთხოვს ყურადღება მიაქციოს პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს.
- 1857 19-24 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ წერილობითი მოხსენება გაუგზავნა მეფისნაცვალს პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის ტყვეობიდან გამოსხნის თაობაზე; წუხს იმის გამო, რომ ქართველების ამბავი და ცხოვრება სულ ასეთი უთავბოლოა.

- 1857 26 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ, როგორც იქნა, გამოიდარა; სთხოვს მოამზადოს მინდობილობა ზაქარია მანიუკინის სახელზე ზემო ყაითაღის მმართველად ახმედ-ხანის დანიშვნასთან დაკავშირებით.
- 1857 30 სექტემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ურჩევს ჟურნალ „ცისკრის“ უკანასკნელ ნომერში წაიკითხოს მარიამ ერისთავის ლექსი. სწერს, რომ აინტერესებს ამ პოეტი ქალის ვინაობა.
- 1857 30 სექტემბერი**
სალათავიდან კიდევ ერთ წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, რომ, მისი ადრინდელი განკარგულების მიუხედავად, მათ ერთგულ ყელესე მაჰმადას დაუტოვონ თემირხანშურის ახლოს მდებარე თავისი სახნავი მიწა. წინასწარ ულოცავს მცხეთობას.
- 1857 1 ოქტომბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ესაუბრება დერბენდის გუბერნიის მდგომარეობისა და გუბერნატორ ზაქარია მანიუკინის გადაწყვეტილებების შესახებ. სწერს, რომ საკმარისი ჯარი არ ჰყავთ და უნდა გაითვალისწინონ.
- 1857 1 ოქტომბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და შეშფოთებას გამოთქვამს გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ თავისი დაცვის თანამშრომლების შერჩევაში დაშვებული შეცდომების გამო.
- 1857 5 ოქტომბერი**
მისი სარდლობით რუსეთის არმიის ოთხი ბატალიონი მიემართება გუმბეთის გზით ახალი ბურთუნაისკენ.
- 1857 5 ოქტომბერი**
სამხედრო ოპერაციის შედეგად ხელთ იგდებს სალათავიაში მიურიდების უკანასკნელ დასაყრდენს – სოფელ ბურთუნაის.
- 1857 6 ოქტომბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ აიღო უკანასკნელი ძალა და დასაყრდენი მიურიდებისა – სოფელი ბურთუნაი.
- 1857 6 ოქტომბერი**
შტურმით იღებს ახალ ბურთუნაის, სამ ბატალიონს ტოვებს მის დასაცავად და ერთით ბრუნდება თავის ბანაკში.
- 1857 6 ოქტომბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და აღწერს, როგორი წარმატებით აიღეს შამილის საიმედო დასაყრდენი პუნქტი – ბურთუნაი.

- 1857 6 ოქტომბრის შემდეგ**
 რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II გრიგოლ ორბელიანის მიერ სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტთან გაგზავნილ რაპორტს ბურთუნაის აღების შესახებ ფანქრით აწერს: „თავად გენერალ გრიგოლ ორბელიანს და დანარჩენ ხელმძღვანელებს ჩემი კეთილგანწყობა“.
- 1857 12 ოქტომბერი**
 სალათავიაში წერს დიმიტრი ჯორჯაძისთვის გასაგზავნ წერილს, რომელშიც განიხილავს პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის მთიელთა ტყვეობიდან გამოხსნის გეგმას, მაგრამ წერილის გაგზავნა ავიწყდება.
- 1857 15 ოქტომბერი**
 სალათავიიდან წერილს უგზავნის ძმის, ზაქარაის, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას, ატყობინებს, რომ დიდი ყინვები და ქარბუქები დაიწყო და მოიკითხავს ახლობლებს.
- 1857 15 ოქტომბერი**
 სალათავიიდან 12 ოქტომბრისა და კიდევ ერთ წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს, რომ მიიღო მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის შეტყობინება რუსეთის იმპერატორისაგან აღმასებით შემკული ოქროს ხმლით დაჯილდოების შესახებ.
- 1857 17 ოქტომბერი**
 სალათავიიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, სთხოვს შენობის გადასახურავი მასალის შოვნას და ევგენიევსკში გაგზავნას.
- 1857 20 ოქტომბერი**
 ესწრება დაღესტნის ქვეითთა პოლკის სამხედრო შტაბის ახალი შენობის კურთხევას.
- 1857 23 ოქტომბერი**
 სალათავიიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და მადლობას უხდის მისდამი გამოვლენილი კეთილგანწყობისათვის, რომლის წყალობითაც იმპერატორმა დააჯილდოვა აღმასებით შემკული ოქროს ხმლით.
- 1857 25 ოქტომბერი**
 სალათავიიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ურჩევს, პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ კობიაშვილის ცოლს ხელი ააღებინოს მეუღლის გამოხსნასთან დაკავშირებით წერილების წერაზე, რადგან ეს საქმეს უფრო აფუჭებს.
- 1857 27 ოქტომბერი**
 რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და ატყობინებს, რომ აკურთხეს დაღესტნის ქვეითთა პოლკის სამხედრო შტაბის ახალი შენობა.

- 1857 27 ოქტომბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და ატყობინებს, რომ 15 ოქტომბერს მდინარე ყარაყოისუს ნაპირზე მდებარე აულ კვერიდან დარღვევებმა მოიტაცეს ცხვრის ფარა, რის გამოც შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მეომრებთან.
- 1857 31 ოქტომბერი**
იმისათვის, რომ მტრის ყურადღება მიიპყროს და ხელი შეუწყოს გენერალ ევდოკიმოვს აუხისკენ მსვლელობაში უტევს მოწინააღმდეგის რედუტს და იკავებს მის პოზიციას.
- 1857 31 ოქტომბერი**
იღებს სოფელ ბურთუნაისთან გაუვალ ტყეში მთიელების მიერ გამაგრებულ ციხეს.
- 1857 31 ოქტომბერი**
სალათავიდან წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება სოფელ ბურთუნაისთან გაუვალ ტყეში მთიელების მიერ გამაგრებული ციხის აღების შესახებ.
- 1857 1 ნოემბერი**
სალათავიდან წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება სამხედრო ოპერაციების შესახებ.
- 1857 1 ნოემბერი**
სალათავიაში წირვის დასრულების შემდეგ წარჩინების ნიშნებით აჯილდოებს ბურთუნაისთან მდებარე ციხის აღებაში მონაწილე მებრძოლებს.
- 1857 1 ნოემბერი**
იმყოფება სალათავიაში და საშინელ სიცივეში ელოდება გენერალ ნიკოლოზ ევდოკიმოვის გამოჩენას.
- 1857 2 ნოემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და უყვება შამილის ჯარის წინააღმდეგ წარმატებული ოპერაციის შესახებ.
- 1857 3 ნოემბერი**
სალათავიდან 31 ოქტომბრის, 1 და 3 ნოემბრის წერილებს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და აცნობებს სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში არსებულ ვითარებას.
- 1857 3 ნოემბერი**
ზუბუტის მიმართულებით გზავნის რამდენიმე ბატალიონს იქაურ სოფლებში თავშეფარებული მოწინააღმდეგეთა ჯგუფების გამოსავლენად.
- 1857 3 ნოემბერი**
იმყოფება სალათავიაში, სოფელ ბურთუნაისთან ახლოს, სადაც გზის გასაყვანად კაფავენ ტყეს.

- 1857 3 ნოემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და ატყობინებს, რომ დალესტნის სამხედრო პოლკის ახალი შტაბის მშენებლობის დასრულების შემდეგ სალათავის რაზმს დაევალა შამილის საიმედო თავშესაფრის, ახალ ბურთუნაისა და დილიმს შორის მდებარე 9-კილომეტრიანი ტერიტორიის, გაწმენდა მოწინააღმდეგისგან. აღწერს ამ მიდამოებში გამართულ სამხედრო მოქმედებებს და მოახსენებს, რომ ჰყავთ სამი დაჭრილი.
- 1857 5 ნოემბერი**
სალათავიდან მოკლე წერილს უგზავნის ძმის, ზაქარიას, მეუღლეს – ქეთევან ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ აიღო შამილის აშენებული კიდევ ერთი ციხე.
- 1857 7 ნოემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება სვანეთის უკანასკნელი მთავრის – კონსტანტინე დადემშქელიანის მიერ 1857 წლის 24 ოქტომბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინის მკვლელობაზე.
- 1857 7 ნოემბერი**
შამილის ვაჟი ყაზი მუჰამედი უტევს ახალ ბურთუნაის და გრიგოლ ორბელიანი მაშინვე გზავნის მის წინააღმდეგ დალესტნის ქვეითი პოლკის ორ ბატალიონს, რომლებიც სასტიკად ამარცხებენ მოწინააღმდეგეს.
- 1857 7 ნოემბრის შემდეგ**
გრიგოლ ორბელიანი იგებს, რომ შამილის რაზმი მისი მეთაურობით ბანაკდება ბეილიარ-ყურგანის სიახლოვეს და მის წინააღმდეგ საბრძოლველად სამურის პოლკის ორ ბატალიონს გზავნის.
- 1857 9 ნოემბერი**
სალათავიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და უყვება 31 ოქტომბერს ბურთუნაისთან მდებარე გამაგრების ალების შესახებ.
- 1857 10 ნოემბერი**
იღებს გენერალ-ადიუტანტის წოდებას.

- 1857 10 ნოემბერი**
 რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და ატყობინებს, რომ სოფლების – ზუბუთასა და ხუბარის ტერიტორიებზე შემჩნეული მოწინააღმდეგეთა პარტიის დასასჯელად გაგზავნილმა საგანგებო რაზმმა მთიელებისგან გაათავისუფლა ეს ტერიტორია, საქონლის საკვები მარაგის ნაწილი იქვე დაწვა, მეორე ნაწილი კი თან წამოიღო. ასევე ატყობინებს, რომ წარმატებით მოიგერიეს ზედმეტად თავდაჯერებული მთიელის, ყაზი-მაგომას, 3000-კაციანი რაზმი. მართალია, მეთაურმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ იმპერიის ჯარმა ხელთ იგდო მისთვის შამილის მიერ ნაჩუქარი ცული, როგორც ძალაუფლების სიმბოლო. ასევე აცნობებს, რომ გუბდენის ტყეში შეჭრილმა მიურიდებმა მოახერხეს 100 სული მსხვილფეხა საქონლის გატაცება და ამავე ტყეში გახიზნულმა მოსახლეობამ მხოლოდ ნაწილის დაბრუნება შეძლო. უგზავნის დაწვრილებით ცნობებს ადამიანური და მატერიალური დანაკარგის შესახებ.
- 1857 10 ნოემბრის შემდეგ**
 თემირხანშურიდან თბილისში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. სწერს, რომ მისი რძალი, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, პატარა ძმისწული გიორგი და დისწული ნინო ბარათაშვილი კარგად არიან და ნატრულობენ, რომ გაზაფხულზე ადრესატიც ჩაიყვანონ იქ და ერთად დაისვენონ ზღვაზე.
- 1857 13 ნოემბერი**
 მისდამი დაქვემდებარებულ დანაყოფებთან ერთად ამარცხებს მიურიდებს და გადაწვავს დალესტნის სოფელ დილიმს.
- 1857 14 ნოემბერი**
 გრიგოლ ორბელიანი მთავარსარდალს უპატაკებს, რომ სალათავის რაზმმა თავისი ამოცანები შეასრულა: ბურთუნაის ციხესიმაგრე აგებულია, დილიმამდე ტყე გაჩეხილია და ჯარების გადაადგილება შეიძლება.
- 1857 16 ნოემბერი**
 ჯარების დანაყოფებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სალათავის ექსპედიციაში სხვადასხვა სამხედრო დანაყოფიდან, აბრუნებს თავ-თავიანთ ბანაკებში დასასვენებლად. ბურთუნაიში ტოვებს მხოლოდ დალესტნის ქვეით პოლკს.
- 1857 17 ნოემბერი**
 რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და აცნობებს სალათავის გადაწვისა და ბურთუნაის საბოლოო გამაგრების შესახებ.
- 1857 18 ნოემბრის შემდეგ**
 სალათავის ექსპედიციის წარმატებით ჩატარებისთვის იღებს მთავარსარდალის მადლობას.
- 1857 19 ნოემბერი**
 სალათავიიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და უყვება 13 ნოემბრის საომარი მოქმედებების შესახებ – როგორ აიღო და გადაწვა დალესტნის სოფელი დილიმი.

- 1857 22 ნოემბერი**
სალათავიდან მოკლე წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის.
- 1857 27 ნოემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის გენერალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს და აქებს დადესტნის სოფელ კიშინ-აუხის ალების გამო.
- 1857 5 დეკემბერი**
თემირხანშურიდან მადლობის წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის, რომლის შუამდგომლობითაც მიიღო იმპერატორის ვენზელი.
- 1857 5 დეკემბერი**
თემირხანშურიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და უზიარებს თავის აზრს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით.
- 1857 6 დეკემბერი**
თემირხანშურიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სწერს, რომ მთავარმართებლის შუამდგომლობითა და იმპერატორის მოწყალებით მოულოდნელად მიიღო გენერალ-ადიუტანტის წოდება.
- 1857 28 დეკემბრამდე**
წერილს იღებს ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, მეუღლის – დიმიტრი სვიატოპოლკ მირსკისგან, რომელიც ნაწყენია მისგან მიღებული ბარათის ტონის გამო.
- 1857 28 დეკემბერი**
თემირხანშურიდან ხასავიურტში საპასუხო წერილს უგზავნის ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, მეუღლეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის და არწმუნებს, რომ მისი დამოკიდებულება ადრესატისადმი მხოლოდ ძმური და მეგობრულია. ატყობინებს დადესტანში გზების გაყვანისა და მშენებლობების გეგმების შესახებ და სწერს, რომ ნაახალწლევს თბილისში აპირებს ჩასვლას.
- 1857** კასპიისპირა მხარის რამდენიმე ოფიცერთან ერთად კავკასიის კომიტეტს მიმართავს გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგოროუკოვისთვის ძეგლის დადგმის წინადადებით.
- 1858 -დან**
ალექსანდრ ბარიატინსკის თბილისში არყოფნის დროს პერიოდულად ასრულებს კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოვალეობას.
- 1858 დასაწყისი**
მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის დავალებით, დიმიტრი ყიფიანთან ერთად წერს გლეხთა განთავისუფლების რეფორმასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს და წარუდგენს მეფისნაცვალს.

- 1858 6 თებერვალი**
ინიშნება კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილედ და ენიშნება წლიური ხელფასი 10.000 მანეთის ოდენობით.
- 1858 3 აპრილი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება ნაცნობ-მეგობრების ამბებს. სწერს, რომ კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელმა ჯვარი დაიწერა ელისაბედ ფალავანდიშვილზე. მოიკითხავს დალესტანში მყოფ მათ საერთო ნაცნობებს.
- 1858 12 აპრილი**
კავკასიის მეფისნაცვალს, ალექსანდრ ბარიატინსკის, სთხოვს ნიკოლოზ კობიაშვილის გამოსასყიდად 2000 მანეთის გამოყოფას და იღებს თანხმობას.
- 1858 13 აპრილი**
თემირხანშურიდან იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს და იგებს, რომ მოხერხდა შამილის ტყვეობიდან ნიკოლოზ კობიაშვილის გამოსყიდვა.
- 1858 13 აპრილი**
დეიდაშვილს, გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს, უთვლის, რომ ნიკოლოზ კობიაშვილი განთავისუფლებულია და შეატყობინოს მის ნათესავებს.
- 1858 13 აპრილი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და აცნობებს, რომ ინიშნება მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ და ალექსანდრე ბარიატინსკის არყოფნის დროს მოუწევს მისი მოვალეობის შესრულება. უყვება მუშტაიდის ბადის გამშვენებისა და საერთო ნაცნობების ამბებს.
- 1858 13 აპრილის შემდეგ**
წერილს იღებს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ალექსეი კრუზენშტერნისგან, რომელიც, ბარათთან ერთად, უგზავნის ინსტრუქციებსაც და სთხოვს, შეატყობინოს, რა სახის დამატებითი კადრები დასჭირდება თავის უწყებაში.
- 1858 13 აპრილის შემდეგ**
საპასუხო წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს, ალექსეი კრუზენშტერნს და ატყობინებს, რომ დასჭირდება ქართულისა და თათრულის მცოდნე თარჯიმნები და ავეჯი.
- 1858 27 აპრილამდე**
თემირხანშურაში მიმავალ სოლომონ ყორღანოვს წერილს ატანს დიმიტრი ჯორჯაძესთან და ატყობინებს თბილისის ამბებს.

- 1858 28 აპრილი**
წერს დიმიტრი ჯორჯაძისთვის თემირხანშურაში გასაგზავნ წერილს და დაწვრილებით უყვება ბოლოდროინდელი დაჯილდოებებისა და თანამდებობებზე პირთა გადანაწილებების ამბებს.
- 1858 28 აპრილის შემდეგ**
იღებს დიმიტრი ყიფიანის მიერ გორიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი და თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლის, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, ძალისხმევის მიუხედავად, მმართველობის სურვილის აღსრულებას, რომ ქართველ თავადაზნაურობას თავად შეემუშავებინა ყმათა განთავისუფლების პირობები, ვიღაცამ შეგნებულად შეუშალა ხელი.
- 1858 2 მაისი**
აგრძელებს დიმიტრი ჯორჯაძისთვის თემირხანშურაში გასაგზავნი, 28 აპრილს დაწყებული, წერილის წერას. ამატებს საერთო ნაცნობების ცხოვრებაში მომხდარ ახალ ამბებს და უგზავნის.
- 1858 3 მაისამდე**
კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის სთხოვს დიმიტრი ჯორჯაძის დანიშვნას თბილისის ვიცე-გუბერნატორად, მაგრამ მეფისნაცვალს ეს ადგილი უკვე შეთავაზებული აქვს კონსტანტინ ორლოვსკისთვის.
- 1858 3 მაისამდე**
კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი მილიუტინს სთხოვს მირზა ვექილოვის აყვანას თარჯიმნად და თანხმობას იღებს.
- 1858 3-18 მაისი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს მის მიერ თემირხანშურაში დატოვებული ცხენის თბილისში გაგზავნას; უყვება ადგილობრივ ამბებს და მოკითხვას უთვლის საერთო ნაცნობებს.
- 1858 26 მაისი**
ტაბახმელაში დასასვენებლად ისტუმრებს რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ძმისწულს – გიორგის.
- 1858 28 მაისი**
მასთან თემირხანშურიდან დიმიტრი ჯორჯაძისა და გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის, წერილები მიაქვს ავარიის ყოფილი მმართველის, სულთან ახმედის, ძმას – ალისულთანს.
- 1858 28 მაისი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და უზიარებს თავის აზრს ალისულთანთან დაკავშირებით. მისი აზრით, უსამართლობაა, რომ ავარიის მთელი სახანო ალისულთანის ძმისწულებს დარჩათ, თავად ბიძას კი მხოლოდ ერთი სოფელი ერგო.

- 1858 მაისი**
 ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება უცნობი ავტორის ლექსი „კნიაზ გრიგორი დიმიტრის ძეს ორბელიანს“, რომელშიც გამოხატულია ავტორის განცდები შამილის წინააღმდეგ ბრძოლიდან გრიგოლ ორბელიანის შინ მშვიდობით დაბრუნებასთან დაკავშირებით.
- 1858 2 ივნისი**
 თბილისიდან თემირხანშურაში სვიმონ პაიჭაძის შვილის ხელით წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, ხელი შეუწყოს ბარათის მიმტანს, რომელიც ყუბის მაზრის ასაზომად არის გაგზავნილი.
- 1858 15 ივნისი**
 ტაბახმელიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დაღესტანში გადადიან ადრესანტის ბიძაშვილის შვილები: ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე და რევაზ შალვას ძე ერისთავი და სთხოვს, სათანადოდ მიიღოს. მოიკითხავს საერთო ნაცნობებს.
- 1858 27 ივნისი**
 ტაბახმელიდან საქმეებზე ერთი დღით ჩადის თბილისში.
- 1858 28 ივნისი**
 ტაბახმელიდან წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს. წუხს იმის გამო, რომ მომატებული ხარჯი დაედო ხაზინას, ისევ ყვლეფენ ხალხს, ისევ უსამართლობა და აღებმიცემობაა.
- 1858 29 ივნისი**
 პეტრეპავლობის დღესასწაულზე ჯერ გლეხებთან ერთად სადილობს ტაბახმელაში და უყურებს იქვე, მინდორზე, გამართულ ჭიდაობას, შემდეგ კი ადის კოჯორში გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანთან, რომელთანაც იმართება დიდი წვეულება.
- 1858 30 ივნისი**
 ასრულებს დიმიტრი ჯორჯაძისთვის თემირხანშურაში გასაგზავნი, 28 ივნისს დაწყებული, წერილის წერას, ამატებს ახალ ამბებს, მოკითხვას უთვლის საერთო ნაცნობებს და აგზავნის.
- 1858 30 ივნისი**
 წინა დღით კოჯორში წვეულებაზე შეკრებილი სანათესავო და ახლობლები ამჯერად თავს იყრიან მასთან – ტაბახმელაში.
- 1858 ივლისის დასაწყისი**
 კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან შესახვედრად ჩადის ბორჯომში, სადაც თავშეყრილია უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები და თბილისის წარჩინებული საზოგადოება.

- 1858 ივლისის დასაწყისი**
 ბორჯომიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს, აღწერს ადგილობრივ გარემოს და ასკვნის, რომ დედამიწაზე ერთადერთი საქართველოა; ადამიანმა აქ უნდა იცხოვროს, პეტერბურგში კი იმსახუროს და ისიც – მოკლე დროით.
- 1858 10 ივლისის შემდეგ**
 იღებს დიმიტრი ჯორჯაძის წერილს, რომელშიც აღწერილია მისი მგზავრობა თემირხანშურიდან ახტამდე და იქ არსებული ვითარება.
- 1858 19 ივლისი**
 ტაბახმელიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და საკუთარ შეხედულებებს აცნობს ყაზიყუმუხის სახანოს მართვა-გამგებლობის შესახებ.
- 1858 25 ივლისამდე**
 ტაბახმელაში მას სტუმრობს დეიდაშვილი, ცნობილი გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი.
- 1858 26 ივლისამდე**
 ტაბახმელიდან წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს საერთო ნაცნობების სამსახურებრივ სიახლეებს და სწერს, რომ კოჯრიდან თბილისამდე უკვე მუშაობს ტელეგრაფი. ბარათის ბოლოს ბოდიშს უთვლის გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს წერილის მიუწერლობისთვის.
- 1858 26 ივლისი**
 ტაბახმელიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და წუხილს გამოთქვამს ყაზიყუმუხის ყოფილი მმართველის გარდაცვალების გამო. შიშობს, რომ ადგილობრივები კარგად არ მიიღებენ მის ნაცვლად რუსი მმართველის დანიშვნას.
- 1858 31 ივლისი**
 ტაბახმელიდან პიატიგორსკში წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და დეტალურად აღუწერს, როგორ ატარებს დროს ტაბახმელაში თავის რძალთან, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანთან და მის ვაჟ გიორგისთან ერთად. ასევე, უყვება ბორჯომში მისი ოთხდღიანი ვიზიტის შესახებ.
- 1858 18 აგვისტო**
 იღებს შეტყობინებას, რომ ანწუხელთა სამმა ოჯახმა უკვე განაცხადა თანხმობა გადასახლებაზე.
- 1858 19 აგვისტომდე**
 იღებს კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი მილიუტინის მიერ 17 აგვისტოს გაგზავნილ წერილს იმპერატორის ძმების მომავალი ვიზიტის დროს მათი გადაადგილების მარშრუტის შეცვლასთან დაკავშირებით.

- 1858 19 აგვისტო**
 თბილისიდან წერილს უგზავნის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი მილიუტინს და საკუთარ შეხედულებას უზიარებს იმპერატორის ძმების მომავალი ვიზიტის დროს უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ.
- 1858 29 აგვისტომდე**
 იღებს კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის, დიმიტრი მილიუტინის, მიერ 24 აგვისტოს გაგზავნილ წერილს პოლკოვნიკ ივან ლაზარევის დაწინაურებასთან დაკავშირებით.
- 1858 29 აგვისტო**
 თბილისიდან საპასუხო წერილს უგზავნის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი მილიუტინს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ივან ლაზარევისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭება თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ, რამდენადაც სხვებს არანაკლები ღვაწლი მიუძღვით მიუზღვიანების წინააღმდეგ ბრძოლებში, მხოლოდ მისი გამორჩევა არასწორად მიაჩნია.
- 1858 -დან ზაფხული**
 მოკლე ბარათს უგზავნის თბილისიდან თბილისშივე ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და გაკვირვებას გამოხატავს, რომ კოდაში არ მიდის.
- 1858 2 სექტემბრამდე**
 იღებს დიმიტრი ჯორჯაძის ორ წერილს და იგებს, რომ ბარონი ალექსანდრ ვრანგელი წინააღმდეგია იმპერატორის ძმების ისეთი გზებით მოგზაურობაზე, რომლებიც შეიძლება სახიფათო იყოს.
- 1858 2 სექტემბერი**
 წერს დიმიტრი ჯორჯაძისთვის თემირხანშურაში გასაგზავნ წერილს და ატყობინებს, რა ვითარებაში გარდაიცვალა გენერალი იპოლიტ ვრევსკი.
- 1858 6 სექტემბერი**
 აგრძელებს დიმიტრი ჯორჯაძისთვის თემირხანშურაში გასაგზავნი 2 სექტემბერს დაწყებული, წერილის წერას, უყვება დიდოეთში მომხდარი შეტაკებისა და 28 აგვისტოს თბილისში მომხდარი წყალდიდობის ამბებს.
- 1858 14 სექტემბერი**
 იმპერატორის ძმებთან, მიხეილთან და ნიკოლოზთან, ერთად თბილისიდან ჩადის ყარაიაში.
- 1858 14 სექტემბერი**
 ყარაიიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის, დეტალურად აღუწერს იმპერატორის ძმების: მიხეილისა და ნიკოლოზის გადასვლას თბილისიდან ყარაიაში და იქ გამართულ წვეულებას.

- 1858 15 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ჩადის მუხროვანში.
- 1858 16 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად მუხროვანიდან ჩადის თელავში, სადაც სადამოს იმართება დიდი წვეულება.
- 1858 18 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ჩადის ენისელში და შემდეგ ზაქათალაში.
- 1858 17-18 სექტემბერი**
საცხენისიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და უყვება იმპერატორის ძმების კახეთში მოგზაურობის დეტალებს.
- 1858 19 სექტემბერი**
ზაქათალიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და აცნობს იმპერატორის ძმების: ნიკოლოზისა და მიხეილის ზაქათალაში ჩასვლის დეტალებს.
- 1858 20-24 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ჩადის ნუხაში, შემახსა და ბაქოში.
- 1858 24 სექტემბერი**
ბაქოდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და აცნობს იმპერატორის ძმების: ნიკოლოზისა და მიხეილის ნუხაში, შემახსა და ბაქოში ჩასვლის დეტალებს.
- 1858 25 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ყუბის გავლით ჩადის გუსარკაში.
- 1858 26 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ხვდება სამურის ოლქის წარმომადგენლობას.
- 1858 27 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ჩადის დერბენდში და ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას.
- 1858 28 სექტემბერი**
იმპერატორის ძმებთან, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვებთან, ერთად ჩადის თემირხანშურაში, სადაც ეწყობა გრანდიოზული შეხვედრა.

- 1858 1 ოქტომბერი**
ჩირიურთიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და დაწვრილებთ უყვება იმპერატორის ძმების: ნიკოლოზისა და მიხეილის ბაქოდან თემირხანშურამდე მოგზაურობის დეტალებს.
- 1858 ოქტომბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „იარალისადმი“.
- 1858 29 ნოემბერი**
ივანე კერესელიძე იწვევს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში ალექსანდრე დიუმას პატივსაცემად გამართულ სადილზე, მაგრამ, როგორც მეფისნაცვლის თანაშემწე, უხერხულად მიიჩნევს დასწრებას და არ მიდის.
- 1858 ნოემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „ჩემს დას ეფ...“.
- 1858 3 დეკემბერი**
მასთან მიდის უცნობი ყაზიყუმუხელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თავის მხარეში სოფლის აშენება. ასეთი ნებართვის გაცემა გრიგოლ ორბელიანის კომპეტენციაში არ შედის. ამიტომ, მოკლე წერილს ატანს დიმიტრი ჯორჯაძესთან, რომ გაეცნოს მის სათხოვარს და ურჩიოს, ვის მიმართოს.
- 1858 7 დეკემბერი**
წერილს უგზავნის კავკასიის არმიის კვარტირმანისტერ ნიკოლოზ კარლლოფს და უხსნის, რამდენად აუცილებელია თათართა გამოყვანა რუსეთის მიმართ გაუცხოებული მდგომარეობიდან. ამისათვის სთავაზობს, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის რვაწლიანი სამსახურის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ხარკისა და ბეგარისაგან.
- 1858 10 დეკემბერი**
საიმპერატორო ამალის წევრს, გენერალ კონსტანტინ კაუფმანს, წერილთან ერთად უგზავნის ჩერქეზულ სამოსს ნიკოლოზ რომანოვის ვაჟიშვილისთვის. სწერს, რომ ეს სურვილი იმპერატორის ძმამ თავად გამოთქვა კავკასიაში მოგზაურობის დროს.
- 1858 18 დეკემბრის შემდეგ**
წერილს იღებს მიხეილ ვორონცოვის ექიმ ერასტ ანდრეევსკისგან. მასში საუბარია მიწებზე, რომლებიც ადრესანტმა ილია ორბელიანისგან შეიძინა. ანდრეევსკი სთხოვს გრიგოლ ორბელიანს, რომ ნათესავებს შეაწყვეტინოს მის კუთვნილ მიწებზე ტყეების ჩეხვა და იმედოვნებს, რომ მალე დასრულდება მისი და ყაფლან ორბელიანის მამულების გამიჯვნის საქმე.

- 1858** ქართული სიმღერების ხელნაწერ კრებულში ბესარიონ გაბაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი თუმანიშვილის, იოსებ მელიქიშვილის, სვიმონ წინამძღვრიშვილის, გიორგი თუმანიშვილის, თეიმურაზ II-ისა და სხვათა ლექსებთან ერთად შემდგენლებს შეაქვთ გრიგოლ ორბელიანის „გულით ერთნო მოილხინეთ აწ შეკრებით...“
- 1859 დასაწყისი**
წერილს უგზავნის იული ვიტეს და სთხოვს სახელმწიფო ქონების სამმართველოში რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე შაროვეის დანიშვნას.
- 1859 6 იანვარი**
თბილისიდან წერილს უგზავნის დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს; ახარებს მიხეილ თუმანიშვილის დანიშვნას გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიის უფროსად და მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად; ასევე, ატყობინებს, რომ დავით ჭავჭავაძეს შეეძინა ქალიშვილი – ნინო; რომ პლატონ იოსელიანი დანიშნეს საგანგებო დავალებათა მოხელედ, ხოლო ალექსანდრე საგინაშვილი – უმაღლეს სამხედრო-პოლიციურ თანამდებობაზე.
- 1859 17 იანვარი**
თბილისიდან წერილს უგზავნის დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რა თანამდებობებზე ინიშნებიან: ივანე ბაგრატიონი, არზას ტერლუგასოვი, ფელიქს სუმაროკოვ-ელსტონი, იოსებ თარხან-მოურავი, კარლ ზისერმანი, ზაქარია ჭავჭავაძე და კონსტანტინე კაუფმანი.
- 1859 9 თებერვალი**
ინიშნება კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ.
- 1859 16 თებერვალი**
ზაქარია ჭავჭავაძის ხელით თბილისიდან წერილს უგზავნის დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ თავისი მსახური ნინიკა ბაქრაძე დააქორწინა; მოიკითხავს თარკოს შამხალ აბუმუსლიმ-ხანს, მის სიძეს, მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტსა და ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის როტმისტრ იბრაჰიმ-ხანს, ამ უკანასკნელის ძმას, ლეიბგვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკის პორუჩიკ რეშიდ-ხანსა და მათ დედას – ნოხ-ბიქეს.
- 1859 6 მარტამდე**
იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს.
- 1859 6 მარტი**
თბილისიდან წერილს უგზავნის გენერალური ინსპექტორის შტაბის უფროს კონსტანტინ კაუფმანს. წერილს ურთავს თავის ორ ფოტოს და ადრესატს სთხოვს, რომ გადაუგზავნოს იმპერატორის ძმებს: ნიკოლოზ და მიხეილ რომანოვებს.

- 1859 14 მარტი**
 თბილისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს ყველიერის კვირის თბილისურ ამბებს. წერს, რომ მხიარულება, გართობა-ხმაური აღარ იტაცებს და დროის ფუჭად ხარჯვად მიაჩნია.
- 1859 11 აპრილი**
 თბილისიდან მოკითხვის წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ულოცავს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს; ატყობინებს, რომ ერთ კვირაში მიწვეულია ატენში მამუკა ორბელიანის ქალიშვილის – ბარბარესა და იოსებ თარხან-მოურავის ქორწილზე, რომელსაც მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკიც დაესწრება.
- 1859 17 აპრილი**
 მეფისნაცვლის ბაღში ესწრება იმპერატორ ალექსანდრე მეორის სახელობის დღის აღსანიშნავად გამართულ წვეულებას.
- 1859 17 აპრილი**
 თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს ყაფლან ორბელიანის ავადმყოფობის ამბავს.
- 1859 19 აპრილი**
 ატენში ესწრება თავისი ნათესავის – მამუკა ორბელიანის ქალიშვილის, ბარბარესა, და იოსებ თარხან-მოურავის ჯვრისწერას.
- 1859 16 მაისი**
 თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ მეფისნაცვალ უკვე პეტერბურგში გაემგზავრა; რომ თბილისში ქორწილს ქორწილი მოსდევს; აინტერესებს, მართლა ტყვედ ჩავარდნენ თუ არა ივანე ლაზარევი და ნიკოლოზ ჭავჭავაძე.
- 1859 21 მაისის შემდეგ**
 სტავროპოლიდან იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს, რომელშიც მადლობას უხდის ერთგული სამსახურისთვის. სწერს, რომ იმპერატორის ბრძანებით პეტერბურგში გამგზავრება გაუჭირდებოდა, თავის არყოფნაში საკუთარი მოვალეობები ისეთი სანდო პიროვნებისთვის რომ არ ჩაებარებინა, როგორც ადრესატია.
- 1859 16 ივნისის შემდეგ**
 პეტერბურგიდან იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ 19 ივნისს მოემგზავრება პეტერბურგიდან. სწერს, რომ იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გამოთქვა გრიგოლთან შეხვედრის სურვილი და მას პეტერბურგში ეპატიჟება ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, სრულწლოვანების აღსანიშნავად დაგეგმილ წვეულებაზე.

- 1859 26 ივნისი**
იმყოფება თბილისში და პეტერბურგიდან იღებს კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრ ბარიატინსკის, წერილს, რომლითაც აცნობებს, რომ ივლისის პირველ რიცხვებში გროზნოში ჩავა.
- 1859 27 ივნისი**
თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს, ატყობინებს კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის, გროზნოში ჩასვლის სავარაუდო თარიღს და სწერს იმის შესახებაც, რომ 8 სექტემბრისთვის თავადაც პეტერბურგში უნდა გაემგზავროს.
- 1859 28 ივნისის შემდეგ**
ქალაქ ეისკიდან იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს. მადლობას უხდის, რომ მის არყოფნაში კავკასიას და არმიას ხელმძღვანელობდა. წერილთან ერთად უგზავნის იმპერატორის ბრძანებას კავკასიის ჯარების მთავარსარდლად მისი დანიშვნის შესახებ.
- 1859 6 ივლისი**
ვაშლოვნიდან, ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეკის ხელით, წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და უამბობს იმის შესახებ, რომ თბილისში ხმა დაირბა მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრის შესახებ, რომელსაც თითქოს სოლოლაკი უნდა დაენგრია. ხალხმა დაიჯერა და ღამდამობით ზოგი სასაფლაოზე გადიოდა, ზოგი კი – წაგვისში. პოლიცია ბევრს ეცადა, ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ყველას გასაკვირად, მიწისძვრა, მართლაც, მოხდა, თუმცა არაფერი დაუნგრევია და არავინ დაშავებულა.
- 1859 26 ივლისი**
თბილისში გრიგოლ ორბელიანთან სამეურნეო საქმეებთან დაკავშირებით მიდის მისი მოურავი გეუა ოჰანაშვილი.
- 1859 27 ივლისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს, და სთხოვს, დაეხმაროს მის მოურავს იმ ქურდის პოვნაში, რომელიც მოსავალს ჰპარავს. მოიკითხავს კოდაში მცხოვრებ ბარბარე და ალექსანდრე საგინაშვილებს.
- 1859 6 აგვისტო**
ესწრება მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ გამართულ დიდ წვეულებას.
- 1859 6 აგვისტო**
ნაიბ შაჰმანდარ ჰაჯის ხელით წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და კმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ დადესტნის დაცემით დასრულდა ომი და, როგორც იქნა, დამშვიდდა დაუცხრომელი მტერი.

- 1859 11 აგვისტო**
სტავროპოლიდან წერილს უგზავნის ალექსეი კრუზენშტერნს და ატყობინებს 30 აგვისტოს ალექსანდრ ბარიატინსკის თბილისში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ. გამოთქვამს სურვილს, რომ თბილისი და სრულიად საქართველო მას სათანადო დიდებით შეხვდეს.
- 1859 3 სექტემბერი**
იმყოფება ცარსკოე სელოში და ხშირად სტუმრობს ეკატერინე დადიანს.
- 1859 8 სექტემბერი**
ჯილდოვდება თეთრი არწივის ორდენით.
- 1859 ოქტომბრის შუა რიცხვები**
პეტერბურგიდან საქართველოსკენ მიმავალი მლეთასთან ხვდება პეტერბურგისკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძეს.
- 1859 20 ოქტომბრამდე**
პეტერბურგში ხვდება ჩეჩნეთ-დაღესტნის ყოფილ იმამს – შამილს. ის გაკვირვებულია რუსეთის სიმდიდრით და ბოდიშს უხდის გრიგოლ ორბელიანს, რომ მის ნათესავ ქალებსა და ბავშვებს ტყვეობის დროს სათანადო პირობებში ვერ აცხოვრებდა. გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამოც, რომ ბევრმა ახლობელმა უღალატა.
- 1859 20 ოქტომბერი**
პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში.
- 1859 31 ოქტომბერი**
თბილისიდან წერილს უგზავნის დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ პეტერბურგში შეხვდა ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამ შამილს და მოეწონა მისი დარბაისლური საუბარი. მოიკითხავს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს.
- 1859 8 ნოემბრის შემდეგ**
თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და ულოცავს შტაბსკაპიტნობას.
- 1859 ნოემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „მოგონება“.
- 1859 2 დეკემბრის შემდეგ**
თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ატყობინებს გელათის მონასტრის გაქურდვისა და შემახის დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ.

- 1859 22 დეკემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს და ატყობინებს, რომ საჭიროა კავკასიის მთიანეთიდან გამოქცეული 58 ოჯახის დასახლება ეიზენამის ან რეტლოს ტბების პირას და 3 წლით მათი განთავისუფლება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისა და ვალდებულებისაგან.
- 1859 25 დეკემბერი**
კავკასიის არმიას საგანგებო ბრძანებით აუწყებს, რომ იმპერატორის ნებით, ადაგუმის ველზე უნდა აღიმართოს საფორტიფიკაციო სიმაგრე და კოშკი. პირველს დაერქმევა „ზაკსანის სიმაგრე“, მეორეს კი – „უწყების კოშკი“.
- 1859 25 დეკემბერი**
თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და აღტაცებით ულოცავს გენერალ-ფელდმარშლის წოდებას.
- 1859 6-28 დეკემბერი**
ქუთაისში წერილს უგზავნის კავალერიის გენერალს, იმჟამად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გიორგი რევაზის ძე ერისთავს და ატყობინებს კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთვის ფელდმარშლის წოდების მინიჭების ამბავს.
- 1859 28 დეკემბერი**
იღებს კავალერიის გენერლის, იმჟამად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გიორგი რევაზის ძე ერისთავის მიერ ფოთიდან გაგზავნილ წერილს. იგი ღრმა პატივისცემას უცხადებს და სწერს, რომ მისი დავალებით ანდრიან იზიუმსკი გაუწევს დახმარებას.
- 1859 დეკემბერი**
დაპატიმრებისგან იხსნის ივანე კერესელიძეს, რომელსაც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ დაბეჭდვის გამო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია დაუხურეს და სამართალში მიცემის საშიშროების წინაშე იდგა.
- 1859**
უცნობ პირს მის მიერ შედგენილ ლექსთა ხელნაწერ კრებულში შეაქვს გრიგოლ ორბელიანის „აჰა ადგილი, აჰა ის არე...“
- 1859**
როგორც მეფისნაცვლის თანაშემწე, სარგებლობს თავისი მაღალი თანამდებობით და კანცელარიაში საგანგებო დავალებათა მოხელედ ნიშნავს ივანე კერესელიძეს, რომ მატერიალური მდგომარეობა გაუუმჯობესოს და ჟურნალი „ცისკარი“ შეანარჩუნებინოს.
- 1860 -დან**
თარგმნის მწერალი ქალის – კაროლინა იანიშ-პავლოვას ვრცელ მოთხრობას „საღამოს ჩაიზედ“ („За чайным столом“).
- 1860 1 იანვარი**
საახალწლოდ მართავს დიდ, დარბაისლურ, მხიარულ და ლამაზმანებით სავსე მეჯლისს.

- 1860 3 იანვრამდე**
 თბილისის გიმნაზიის ეკლესიაში ესწრება საზეიმო ნათლობას, რომლის დროსაც ქრისტიანდებიან ჯურმუთის ყოფილი ნაიბის, ყარა-ალის, ორი ვაჟი და სამი ბიძაშვილი. ერთ-ერთის ნათლია თავად არის.
- 1860 3 იანვარი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის, ულოცავს ახალ წელს, უყვება მიურიდების ნათლობის ამბავს და სთხოვს, თბილისი მოამარაგონ თათრულ ენაზე გამოცემული ბიბლიური ლიტერატურით, რათა ნათელღებულმა მუსლიმებმა შეძლონ თავიანთ ენაზე ქრისტიანულად ლოცვა.
- 1860 3 იანვარი**
 თბილისიდან კოდაში მოკლე წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს, ულოცავს ახალ წელს და მომდევნო დღეს ეპატიჟება ირანელი ტენორის – ალა-სათარას ბენეფისზე.
- 1860 4 იანვარი**
 თბილისის თეატრში ლოჟიდან ისმენს ირანელი ტენორის – ალა-სათარას კონცერტს.
- 1860 9 იანვრის შემდეგ**
 იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით, ჩრდილოეთ კავკასიაში 1859 წლის გამარჯვების აღსანიშნავად თბილისში უნდა აშენდეს ტრიუმფალური კარიბჭე.
- 1860 23 იანვარი**
 იმპერატორი ამტკიცებს გრიგოლ ორბელიანის განკარგულებებს: კავკასიის მთიანეთიდან გამოქცეულ 58 ოჯახს ნება ეძლევა, დასახლდეს ეიზენამისა და რეტლოს ტბების პირას და ისინი 3 წლის ვადით თავისუფლდებიან ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისა და ვალდებულებისაგან.
- 1860 30 იანვარი**
 ადოლფ ბერჟე რაფიელ ერისთავს ატყობინებს, რომ გრიგოლ ორბელიანი ინიშნება თბილისის გენერალ-გუბერნატორად.
- 1860 30 იანვრის შემდეგ**
 ინიშნება თბილისის გენერალ-გუბერნატორად.
- 1860 იანვარი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ივან კრილოვის იგავ-არაკის – „სოფლელნი და მდინარე“ – თარგმანს. თუმცა, ტექსტისთვის შეცდომით არის მიწერილი „ალ. ჭავჭავაძე“.

- 1860 15 თებერვალი**
 მას, როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი ორლოვი გადასცემს იმპერატორის თანხმობას თბილისის სამხედრო გუბერნატორისა და თავადაზნაურობის წინამძღოლის ინიციატივაზე – 25 აგვისტო, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული ნახევარსაუკუნოვანი ომის წარმატებით დასრულების დღე, გამოცხადდეს დღესასწაულად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში და სთხოვს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
- 1860 18 მარტი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სწერს ცუდ ამინდებსა და გადატანილ ავადმყოფობაზე. წუხს, რომ 18 თებერვლის შემდეგ მისგან ამბები არ მისვლია.
- 1860 19 მარტი**
 თბილისში თავს იყრის კავკასიის წარჩინებული საზოგადოება მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთვის ფელდმარშლის წოდების მისალოცად. მათ შორის არის გრიგოლ ორბელიანიც.
- 1860 20 მარტი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ატყობინებს, ვინ ჩავიდა თბილისში მეფისნაცვლისთვის ფელდმარშლობის მისალოცად და ვინ რა თანამდებობაზე დაინიშნა ბოლო ხანებში. სწერს, რომ ადრესატის და – ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ისევ ბავშვს ელოდება.
- 1860 24 მარტი**
 იმყოფება თბილისში და ესწრება ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ გამართულ წვეულებას, რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიელ წარჩინებულებს: თარკოს შამხალ აბუმუსლიმ-ხანს, ქურის მმართველ იუსუფ-ბეკს და ელისუს ყოფილ სულთან დანიილს ისე აგრძნობინებენ თავს, რომ ისინიც ამ საზოგადოების წევრები არიან. მათ აქვთ პატივი სუფრასთან მიიწვიონ დიდებული ქალბატონები.
- 1860 24 მარტი**
 თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ 10 თებერვალს გაგზავნილ წერილს იღებს სწორედ იმ დროს, როდესაც მისთვის გასაგზავნ ბარათს წერს და იქვე უხდის მადლობას შეხმიანებისთვის.
- 1860 25 მარტი**
 წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ურჩევს, რომ აუცილებლად ინახულოს პარიზი და ვენის, ოდესისა და ფოთის გავლით დაბრუნდეს უკან.

- 1860 28 მარტი**
თბილისიდან მოკლე საპასუხო წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, მადლობას უხდის, რომ მისი ამბავი გააგებინა და სთხოვს, წინასწარ შეტყობინოს, როდის ჩამოვა ფოთში, რომ იქ დახვდეს.
- 1860 28 მარტი**
იმყოფება თბილისში და რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისგან იღებს 6 მარტს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ თვალეზზე მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ის ბევრად უკეთ არის. ამ წერილს აკითხებს მასთან მყოფ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და დიმიტრი ჯორჯაძეს, რომლებიც გადაწყვეტენ, დაუყოვნებლივ წავიდნენ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისასთან და ახარონ დის გამოჯანმრთელების ამბავი.
- 1860 მარტი**
ჟურნალ „ცისკარში“ ხელახლა იბეჭდება ივან კრილოვის იგავ-არაკის „სოფლელნი და მდინარე“ გრიგოლ ორბელიანისეული თარგმანი რედაქციის შენიშვნით: „დაიბეჭდა მეორეთ. პირველად შეცდომით მიეწერა თარგმანი ალ. ჭავჭავაძეს. იხ. ამავე წლის „ცისკარი“ N 1, გვ. 61-62“.
- 1860 2 აპრილი**
წერილს იღებს თავისი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისგან.
- 1860 2 აპრილი**
თბილისიდან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოც მოკლე წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს.
- 1860 27 აპრილი**
ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილი ანა ქორწინდება ალექსანდრ კოვაკოზე. გრიგოლ ორბელიანი აღმფოთებულია იმით, რომ საქართველოში რუსზე გათხოვება ტენდენციად იქცა.
- 1860 28 აპრილამდე**
თბილისში იმართება დოდი, რომელზეც გრიგოლ ორბელიანის ცხენი – ტაბასარანი მეორე მიდის ფინიშთან.
- 1860 28 აპრილამდე**
მისი მოურავი – გეუა ოჰანაშვილი ავად ხდება და მეურნეობა უპატრონოდ რჩება. გრიგოლ ორბელიანი ვერ იგებს, ვენახები რა მდგომარეობაშია, სარები დაუსვეს თუ არა და, ამის გამო, წუხს.
- 1860 28 აპრილი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს, და სთხოვს, მის მსახურ სოსიკას შეატყობინოს, რომ მალე დაბრუნდეს, რადგან ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დასახვედრად უნდა გაგზავნოს ოდესაში.

- 1860 13 ივნისამდე**
 თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; წუხილს გამოთქვამს განუწყვეტელი წვიმების გამო და სთხოვს, რომ ზაქარკამ 15 ბოთლი ღვინო კიდევ გაუგზავნოს.
- 1860 13 ივნისამდე**
 მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და ატყობინებს, რომ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის ავადმყოფობის გამო უგვიანდება ქალაქში ჩასვლა. სწერს, რომ მისი ბიძაშვილი, ეკატერინე ორბელიანი-ივანოვისა, მალე აპირებს კოჯრიდან თბილისში დაბრუნებას და, რადგან მათი სახლის მშენებლობა ჯერ დასრულებული არ არის, სთხოვს, რომ ის და მისი შვილები რამდენიმე დღით მათი სახლის მეორე სართულზე დააბინავოს. თუ საჭირო იქნება, დაიკავონ მისაღები ოთახი და მისი კაბინეტიც.
- 1860 13 ივნისი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს. სწერს, ვინ სად წავიდა დასასვენებლად და ვის რა თანამდებობაზე უპირებენ დანიშვნას; სთხოვს, დაასაქმოს მასთან ნამსახურები ყელესე მაჰმადა და ატყობინებს, რომ ადრესატის ბიძას, ორივე თვალით დაბრმავებულ იოანე ჯორჯაძეს, ერთმა ირანელმა ექიმმა თვალები განუკურნა; მოიკითხავს დაღესტანში მომსახურე სამხედრო პირებს.
- 1860 16 ივნისი**
 მასთან მიდის თავისი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, ძმა – გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი და ატყობინებს მათი უფროსი ძმის – დიმიტრის დაღუპვის ამბავს.
- 1860 16 ივნისი**
 იღებს ალექსანდრე საგინაშვილის წერილს და იგებს, რომ მუხათის მამულთან დაკავშირებით ადრესანტისა და მისი დავა თავიანთ ნათესავ მამუკა ორბელიანთან მარტივად არ გადაწყდება.
- 1860 17 ივნისი**
 კოჯრიდან საპასუხო წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და სთავაზობს ლოგიკურ ვარიანტებს, როგორ შეიძლება გადაწყდეს მისი და ადრესატის დავა სოფელ მუხათის გაყოფაზე მათ ნათესავ მამუკა ორბელიანთან.
- 1860 18 ივნისი**
 რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს. ატყობინებს, რომ მომავალი 1861 წლისთვის საჭიროა ყუბანისა და თერგის ოლქის ახალი სოფლების დასახლება.
- 1860 24 ივნისამდე**
 იღებს თავისი რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, სიძის – დიმიტრის წერილს, რომელიც სთხოვს სხვა პოლკში გადასვლაში დახმარებას.

- 1860 24 ივნისი**
 კოჯრიდან წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და საყვედურს გამოთქვამს მისი სიძის, დიმიტრის მიმართ, რომელმაც დროზე არ გააგებინა, რომ სხვა პოლკში უნდოდა გადასვლა და ამით საქმე გაირთულა. ქეთევანს ურჩევს, რომ, ბორჯომში წასვლის ნაცვლად, ტაბახმელაში ავიდეს, რადგან ბორჯომის წყალი ციებისგან დარჩენილ ლაქებზე მკურნალობას შველის და არა ყველაფერს. იქ უფრო გასართობად დადიან ხოლმე, ვიდრე სამკურნალოდ.
- 1860 24 ივლისი**
 კოჯორში მასთან სტუმრად მიდიან ბიძაშვილი – სოფიო ორბელიანი და მისი მეუღლე დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი. მათ გამასპინძლებაში ეხმარება ელისაბედ ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა.
- 1860 25 ივლისი**
 კოჯრიდან წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და აცნობებს, რომ ზეულისტანში მათ მამულებთან დაკავშირებით მისმა ქმარმა არზა წარადგინა მეფისნაცვალთან, მაგრამ საჭიროა, რომ ვინმემ მიწის მზომელებს ადგილზე აჩვენოს მათი მამულის საზღვრები. სთავაზობს ბეთანიის მონასტერში ერთად წასვლას ამ ძველი ნაგებობისა და თამარ მეფის ფრესკის სანახავად.
- 1860 30 ივლისი**
 კოჯრიდან წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; აინტერესებს, რამდენად არგო ბორჯომის მინერალურმა წყალმა; სწერს, რომ ბიძია ალექსანდრემ ძალიან იავადმყოფა და ძლივს მომჯობინდა. მოიკითხავს სანათესავოს.
- 1860 5 აგვისტო**
 თერგის ოლქის გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს ჩეჩნეთის მხარეში მიმდინარე არეულობის შესახებ და იგებს მდინარეების – ასასა და არლუნის ხეობებში მიმდინარე მოვლენების დეტალებს.
- 1860 6 აგვისტო**
 რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს, აცნობებს თერგის ოლქში მიმდინარე მღელვარების – აკელებისა და სხვა მეზობელი ტომებისთვის საცხოვრებლების გადაწვის, მათი მიწის სახაზინო საკუთრებად გამოცხადების, სოფელ ჯუმსოის განადგურების შესახებ. ვარაუდობს, რომ თურქეთი ისარგებლებს ამ არეულობით დამუსლიმურ მოსახლეობაში ხელს შეუწყობს ფანატიზმის განვითარებას, რომლის თავიდან ასაცილებლადაც საჭიროდ მიიჩნევს სამხედრო ძალების სწრაფ მობილიზებას და დაუყოვნებელ რეაგირებას.

1860

8 აგვისტო

რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს. ატყობინებს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაუმორჩილებელ მთიელებსა და აფხაზეთის მოსაზღვრე ზოგიერთ ტომში გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, თითქოს რუსეთის იმპერია ინგლისისა და თურქეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას აპირებს, რამაც გაააქტიურა დაუმორჩილებელი მთიელები. დაწვრილებით აღწერს აფხაზი თავადების დაჯგუფებათა ქმედებებს იმპერიის წინააღმდეგ.

1860

15 აგვისტო

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ნათესავებთან ერთად მიდის ბეთანიის ეკლესიის მოსანახულებლად და აღფრთოვანებულია თამარ მეფის, მისი მამის – გიორგი III-ისა და ვაჟის – ლაშა-გიორგის ფრესკებით.

1860

17 აგვისტო

კოჯრიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და სიძეს, ალექსანდრე საგინაშვილს. გადასცემს ბეთანიის ეკლესიის ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. აცნობებს, რომ 25 აგვისტოს მეფისნაცვალს უნდა დახვდეს თბილისში, სადაც გაიმართება წირვა, ალღუმი, მასკარადი და წარმოდგენა. ალექსანდრეს სთხოვს, შეატყობინოს, ვინ დასახლდა ჩიტალასა და შავმიწის სოფლებში, რომ მათი მიწებიდან გააყრევინოს.

1860

20 აგვისტო

საიდუმლო მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს. ატყობინებს, რომ აფხაზეთის ჯარების მეთაურის, გენერალ იოსებ ყორღანოვის, მოთხოვნა, დანიშნულ ვადებში მასთან გამოცხადებულიყვნენ წებელდელი თავადები, შეასრულა მხოლოდ რამდენიმე. იმისათვის, რომ დამორჩილებულ თავადებს ყველა უფლების ერთად წართმევით თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნოთ, დაუტოვეს იარაღის ტარების უფლება. ასევე, აცნობებს, რომ წებელდელი თავადების იმპერიისადმი მორჩილებით გაღიზიანებული სხვა ტომები – უბიხები, ჯიგეტები და ფსხუელები გეგმავენ გაგრასა და ბიჭვინთაზე თავდასხმას. ამის გამო, ამ ობიექტებს გაძლიერებული გარნიზონები იცავს.

1860

20 აგვისტო

კოჯრიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს, ინტერესდება დაღესტნის ამბებით, ატყობინებს, რომ 23 აგვისტოს მეფისნაცვალ ბარიატინსკი ბორჯომიდან თბილისში ბრუნდება და ამასთან დაკავშირებით დიდი წვეულებები ელის წინ; სთხოვს კარგი ლულიანი ყირიმული თოფის შოვნასა და გაგზავნას.

1860

20 აგვისტო

ესწრება შაბათის წირვას.

1860

22 აგვისტო

ნაადრევად ბრუნდება თბილისში, რათა ადგილზე დახვდეს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და მონაწილეობა მიიღოს კავკასიის ომის დამთავრების წლისთავის აღსანიშნავად დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებში.

- 1860 23 აგვისტო**
ხვდება თბილისში დაბრუნებულ მეფისნაცვალს – ალექსანდრ ბარიატინსკის.
- 1860 25 აგვისტო**
თბილისის სიონის ტაძარში ესწრება კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად ჩატარებულ სამადლობელ პარაკლისს, მონაწილეობს ალლუმსა და სალამოს მეფისნაცვლის ბაღში გამართულ წვეულებაში.
- 1860 26 აგვისტო**
ესწრება კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად ჩატარებულ სამადლობელ პარაკლისს, მონაწილეობს გენერლების წვეულებაში და სალამოს ესწრება თეატრალურ წარმოდგენას.
- 1860 30 აგვისტო**
ესწრება კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად ჩატარებულ კიდევ ერთ სამადლობელ პარაკლისს და სალამო ხანს – გრანდიოზულ მეჯლისს.
- 1860 აგვისტო**
ივანე კერესელიძე ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ გიორგი დვანაძის ლექსს „დილა“ ავტორად შეცდომით აწერს „თ. გ. ო“-ს, რადგან, როგორც ჩანს, მიაწოდეს, როგორც გრიგოლ ორბელიანის ტექსტი.
- 1860 ზაფხული**
იმის გამო, რომ მეფისნაცვალი ბარიატინსკი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით ბორჯომში ისვენებს, გრიგოლ ორბელიანი და კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, დიმიტრი მილიუტინი, ასრულებენ მის მოვალეობას.
- 1860 4 სექტემბრამდე**
ხვდება დიმიტრი ყიფიანის მეუღლეს – ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისას და ინტერესდება, როდის აპირებს დიმიტრი პეტერბურგიდან დაბრუნებას, მაგრამ ზუსტ პასუხს ვერ იღებს, რადგან თავად ნინომაც არ იცის.
- 1860 4 სექტემბრამდე**
ძალიან გახარებულია იმით, რომ თვალის ავადმყოფობისგან განკურნებული მისი რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ვაჟიშვილ გიორგისთან და დასთან, ვერასთან, ერთად გერმანიიდან ბრუნდება თბილისში.
- 1860 4 სექტემბრამდე**
წერილს იღებს დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსის – დიმიტრი ჯორჯაძისგან, რომელიც შეახსენებს თავის თხოვნას – გაუგებრობის გამო ბრალდებულ დერბენდცოვს სიტყვა შეაწიოს მისი საქმის განხილვის დროს.

- 1860 4 სექტემბერი,**
თბილისიდან საპასუხო წერილს უგზავნის დადესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და აიძულებს, რომ დერბენდცოვის საქმე კარგად ახსოვს და როდესაც ისევ გახდება „ნამესტნიკის ნამესტნიკი“, ანუ, როდესაც მეფისნაცვლის თბილისში არყოფნის ჟამს კვლავ შეასრულებს მის მოვალეობებს, აუცილებლად დაეხმარება ამ პირს სიმართლის პოვნაში.
- 1860 4 სექტემბერი**
ესწრება საკვირაო წირვას.
- 1860 6 სექტემბრამდე**
ესწრება მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის სასახლეში გამართულ ბრწყინვალე მეჯლისს.
- 1860 6 სექტემბრამდე**
კარგ დროს ატარებს ბარბარე და ვერა ბაგრატიონ-გრუზინსკებთან, თავის მმისწულ გიორგისთან და დისწულ ნინო ბარათაშვილთან ერთად. ესწრება საოპერო წარმოდგენებს, მაგრამ არ მოსწონს ქალი მსახიობების არც გარეგნობა და არც ხმა.
- 1860 6 სექტემბერი**
თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, რომელიც ბორჯომიდან ოსიაურში გაემგზავრა და იქიდან ქუთაისში აპირებდა წასვლას. ეხუმრება მოგზაურობის სიყვარულზე და უყვება ახლობლების ამბებს.
- 1860 9 სექტემბრამდე**
ეპოლეტებს უგზავნის ისაკ თუმანიშვილს.
- 1860 9 სექტემბრის შემდეგ**
წერილს იღებს ისაკ თუმანიშვილისგან, რომელიც მადლობას უხდის იმისათვის, რომ სიყმაწვილის დროიდან მუდმივად იჩენდა მისდამი ყურადღებას.
- 1860 სექტემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „სადამო გამოსალმებისა“. აქვე არის რედაქტორის შენიშვნა, რომ ლექსი გვიან მიიღო და ამიტომ დაგვიანდა მისი ბეჭდვა.
- 1860 სექტემბერი**
ფურცელზე იწერს, რომ ივან მირზოევს მსახურ ნინიკა ბაქრაძის ხელით გაუგზავნა 1000 მანეთი, რომელიც თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ოდესაში მკურნალობისთვის ჰქონდა ნასესხები.
- 1860 ოქტომბრამდე**
იმყოფება კოჯორში და წერს ლექსს „დიმიტ. ონ - ის დარდები“. ლექსი დაწერილია გრიგოლის თბილისელი ნაცნობის – დიმიტრი ონიკაშვილის პირით.

- 1860 8 ოქტომბრამდე**
იღებს პეტრე ბაგრატიონის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ მისი ძმის, ივანეს, გარდაცვალებით მწუხარებაში მყოფმა მათმა დედამ, ანა ივანოვა-ბაგრატიონისამ, დაუფიქრებლად მოაწერა ხელი მეფისნაცვლისთვის გასაგზავნ წერილს, რომელშიც მისი შვილის მოკვლის გამო მთიელ ყაჩაღებზე შურისძიებას მოითხოვდა. ადრესანტი სთხოვს გრიგოლს, რომ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის აუხსნას დედის მდგომარეობა და განუმარტოს, რომ უკვე თავადაც ნანობს ამ წერილის გაგზავნას და, რომ ასეთი რამის მოთხოვნა დაუშვებელია.
- 1860 8 ოქტომბრის შემდეგ**
იღებს წერილს დიმიტრი ყიფიანისგან, რომელშიც ავტორი უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, რომ ის ოჯახთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად პეტერბურგში გადადის. სწერს, რომ სამშობლოს თავისი ნებით არ დატოვებს, თუ ძალით არ დაატოვებინებენ.
- 1860 31 ოქტომბრამდე**
ესწრება საოპერო წარმოდგენას, მაგრამ უკმაყოფილოა და მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი მომღერლების სუსტი შესრულებაა.
- 1860 31 ოქტომბერი**
ბარათს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს, რომელშიც წუხილს გამოთქვამს ივანე რომანის ძე ბაგრატიონის გარდაცვალების გამო. სწერს, რომ კახეთსა და დაღესტანში მშვიდობაა და, ამასთანავე, ურჩევს, უარი თქვას სამეგრელოს სამთავროს მეურვეობაზე. კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ტელეგრაფის ხაზი გაყვანილია ფოთამდე და ამის შემდეგ მარტივად დაუკავშირდებიან ქუთაისს.
- 1860 31 ოქტომბერი**
ელოდება პეტერბურგში მიმავალ ირანის ელჩს.
- 1860 ოქტომბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „ო...დარდები“, მიბაძვა.
- 1860 7 ნოემბერი**
ესწრება იმპერატორ ალექსანდრე II-ის დედის – ალექსანდრა თეოდორეს ასულ პრუსიელის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.
- 1860 8 ნოემბრამდე**
გრიგოლ ორბელიანი, ახლობლებთან ერთად, თავის ბიძაშვილ ყაფლან ორბელიანს რაღაც ძალზე სამწუხარო ამბავს ატყობინებს, რის გამოც ყაფლანს რამდენჯერმე მისდის გული და ძლივს ასულიერებენ.
- 1860 8 ნოემბერი**
თბილისიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, უყვება ქალაქის ამბებს და მოიკითხავს ახლობლებს.

- 1860 8 ნოემბერი**
ნათლავს ივანე კერესელიძის ქალიშვილს – სოფიოს.
- 1860 18 ნოემბერი**
კოჯრიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, აცნობებს, რომ თბილისში ბრუნდება და სთხოვს, მათ ბიძაშვილ ყაფლანსაც გადააწყვეტინოს ქალაქში დაბრუნება, რადგან, თუ სახლში ჩაჯდება, მწუხარება უფრო მოერევა.
- 1860 21 ნოემბერი**
კოჯრიდან ბრუნდება თბილისში.
- 1860 ნოემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსს „კ. ჭ.“ („წინანდლის ვარდო...“).
- 1860 დეკემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ალექსანდრ პუშკინის ლექსის „მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავისუფლება სუფევდეს“ თარგმანს, სათაურით „პუშკინიდან“.
- 1860** პეტრე უმიკაშვილს ხელნაწერ კრებულში „ქართული სიმღერები“ შეაქვს მისი ლექსი „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“.
- 1861 8 იანვარი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტს. აცნობებს, რომ თერგის ოლქში მთიელთა ოჯახები წინააღმდეგობის გარეშე ემორჩილებიან იმპერიის მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც 16 დეკემბრიდან ახალ სოფლებში შატოს თემიდან თითქმის 1000 ოჯახი ჩასახლდა.
- 1861 იანვარი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურის, გრაფ ალექსანდრ ოპერმანის, მეუღლის - ჟოზეფინა რონიკერ-ოპერმანისადმი მიძღვნილ ლექსს „ალბომში-ღ. ოპ...“
- 1861 19 თებერვლის შემდეგ**
ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი საჭიროდ მიიჩნევს საგლეხორეფორმასთან დაკავშირებით იმპერატორ ალექსანდრე II-ის მანიფესტის ქართულად თარგმნას. გრიგოლი ურჩევს, მიმართოს პლატონ იოსელიანს; იღებენ გადაწყვეტილებას, რომ თარგმანი შეასრულოს იოსელიანმა და რედაქტირება გაუკეთოს გრიგოლ ორბელიანმა. როდესაც პლატონ იოსელიანი ასრულებს ალექსანდრ ნიკოლაის დავალებას, გრიგოლი მიდის ბარონთან და ტექსტი გასარედაქტირებლად მიაქვს.
- 1861 3 მარტი**
ღამის სამ საათამდე მთელ თავის სამეზობლოსთან ერთად ნიკოლოზ ჭავჭავაძის მიერ გამართულ წვეულებაზეა მუშტაიდის ბაღში. არის ზურნა, მუსიკა, ირანელი ტენორის – ალა-სათარას სიმღერები და ძალიან კარგად ილხენენ.

- 1861 4 მარტი**
 თბილისიდან ბაქოში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს და დაწვრილებით უყვება თბილისის სიახლეებს. აინტერესებს მისი ამბავი და მოკითხვას უთვლის ადრესატის ქალიშვილს – ელენეს.
- 1861 5 მარტი**
 ყველიერის კვირაა და მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის ავადმყოფობის გამო მის სასახლეში გამართულ დიდ წვეულებაზე მასპინძლის ფუნქციას ასრულებს.
- 186 მარტი**
 კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკი ავადმყოფობის გამო სამკურნალოდ მიემგზავრება საზღვარგარეთ და მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოვალეობების შემსრულებლად ტოვებს გრიგოლ ორბელიანს.
- 1861 მარტი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ვასილი ჟუკოვსკის ლექსის „მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი“ თარგმანს.
- 1861 აპრილი**
 ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც ავტორი გრიგოლ ორბელიანის ენას „მშვენიერს“ უწოდებს და განიხილავს მის ლექსს „ონიკოვის დარდები“.
- 1861 6 მაისამდე**
 ფოთამდე აცილებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და თბილისისკენ გამობრუნებულს ხვდება სამეგრელოს თავადაზნაურობა. მათ აინტერესებთ, ხომ არ არის შესაძლებელი საგლეხო რეფორმის თუნდაც 20 წლით გადადება. გრიგოლ ორბელიანი ძალიან დიდხანს ელაპარაკება, მაგრამ ვერაფრით არწმუნებს, რომ ეს შეუძლებელია. ბოლოს, უკეთ რომ გააგებინოს, ანეგდოტს უყვება პატარძალზე.
- 1861 6 მაისი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ალექსანდრ ბარიატინსკის; ატყობინებს, რომ მისი წასვლის შემდეგ ყველგან სიწყნარეა, მხოლოდ ყუბანის ოლქში გაისმის სროლის ხმა და ისიც კანტიკუნტად; საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით მღელვარება ჩაცხრა და ახლა უფრო მშვიდად ეძებენ მისი გადაჭრის გზებს. სთხოვს გადაწყვეტილების მიღებას დასაჯილდოებელ პირებთან და ქალთა ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით.
- 1861 6 მაისი**
 წერილს უგზავნის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის.

1861

7 მაისი

ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს კონფიდენციალურ წერილს, რომლიდანაც იგებს ხოპერისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების დასავლეთ კავკასიაში გადასახლებისას წარმოქმნილი სირთულეების შესახებ. ამ ვითარების გამო სთხოვს, რაც შეიძლება მალე მისცენ კაზაკების დელეგაციას იმპერატორთან ვიზიტის უფლება. ვითარების გამოსასწორებლად კი ურჩევს, ამ რეგიონში გაგზავნონ გენერალი დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც არაერთხელ იმყოფებოდა ხოპერის პოლკში და ადგილობრივი პრობლემები ყველაზე უკეთ იცის.

1861

7 მაისი

ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს თხოვნას, რომ ხოპერისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების გადასახლებისას წარმოქმნილი გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, ორ დელეგაციას მისცეს შეწყალებისა და დამატებითი შეღავათების სათხოვნელად პეტერბურგში იმპერატორთან ვიზიტის უფლება, რაზეც მათ ერთხელ უარი მიიღეს.

1861

12 მაისი

მიმართვას უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს, რომლითაც ატყობინებს, რომ მისი თხოვნა ხოპერისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების ორი დელეგაციისთვის იმპერატორთან ვიზიტის უფლების მიცემის შესახებ არ არის დამყარებული საფუძვლიან არგუმენტებზე. არავითარი საჭიროება არ არის იმისა, რომ კაზაკებმა იმპერატორისგან გაიგონ საქმის რეალური ვითარება, რადგან მათ ამის თაობაზე ეცნობათ არმიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვლისგან. მოუწოდებს, სასწრაფოდ შეწყვიტონ დელეგატების არჩევა და დაუყოვნებლივ მიაწოდონ ყველა იმ პირის დოსიე, რომლებიც მსგავს ინიციატივას აწერენ ხელს.

1861

12 მაისი

იღებს გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ ევდოკიმოვის წერილს კაზაკთა გადასახლებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების შესახებ.

1861

12 მაისი

წერილს უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. სწერს, რომ მისი თხოვნა ხოპერისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების ორი დელეგაციისთვის იმპერატორთან ვიზიტის უფლების მიცემის შესახებ, არ არის დამყარებული საფუძვლიან არგუმენტებზე, რასაც აღწერს იმავე დღეს იმავე ადრესატთან გაგზავნილ ოფიციალურ მიმართვაში. წერილში კი ამატებს რჩევას, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს დელეგაცია ჯერ მასთან გაგზავნონ თბილისში, რაც დროს მოაგებინებთ ალექსანდრ ბარიატინსკის დაბრუნებამდე. უხსნის, მიმდინარე წელს რა ფორმით უნდა მოხდეს გადასახლების კაზაკების შერჩევა და სთხოვს, რომ ამის შესახებ საცხოვრებელ ადგილზევე აუწყოს მათ. ამასთან, დაჰპირდეს, რომ, მიუხედავად რაპორტის შინაარსისა, თვითონ ყველა გზას მიმართავს მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად. აფრთხილებს, რომ გადაწყვეტილება კაზაკთა გადასახლების შესახებ განხორციელდეს ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ არ დაუშვას მათი დელეგაციების გამგზავრება იმპერატორთან.

1861

14 მაისი

ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს წერილს და იგებს, რომ ხოპერისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების ორი დელეგაციისთვის იმპერატორთან ვიზიტზე უარის თქმის შემდეგ კაზაკთა შორის ვითარების გამწვავების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. იმედოვნებს, რომ დროის ფაქტორი და ზოგიერთი ცვლილება გადასახლების სისტემაში მათი მიზნის ძალადობის გარეშე მიღწევის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

1861

19 მაისი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული დასავლეთ კავკასიის ყუბანელი კაზაკებით დასახლების გეგმა.

1861

23 მაისი

მიმართვას უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. სთხოვს, გამოუცხადოს ხოპერელ კაზაკებს, რომ მდინარე ლაბას სანაპიროზე გადასახლებისას შექმნილი წინააღმდეგობის გამო ეს პროცესი გადაიდო მომავალ წლამდე. ამასთან, ჰპირდება, რომ სოფლების ერთიანად გადასახლების სისტემა შეიცვლება თანდათანობით და კენჭისყრით შეირჩევა, ვინ იქნება პირველ ნაკადში. სწერს, რომ ოთხი სოფლის (ალექსანდროვსკის, გრუშოვსკის, სევერნისა და კრუგლოლესკის) კაზაკებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ხელმძღვანელობის განკარგულებას, დაკავებულ სოფლებში აღემართათ სამხედრო დროშები და მათ ეს დანაშაული ბრძოლის წინა ხაზზე თავდადებით უნდა გამოისყიდონ.

1861

24 მაისი

თბილისიდან წერილს უგზავნის ალექსანდრ ბარიატინსკის და დაწვრილებით უყვება, რატომ გახდა გენერალი ნიკოლოზ ევდოკიმოვი იძულებული, რომ დათანხმებოდა კაზაკებს და უარი ეთქვა მათი მთლიანი სოფლებისა და პოლკების ერთად გადასახლებაზე. სწერს, რომ თავადაც ძალიან უჭირდა მეფისნაცვლის ნებართვის გარეშე ამ გადაწყვეტილებაზე დათანხმება და კურიერი გაგზავნა როსტოვში, რომ ტელეგრაფით დაკავშირებოდა მას, მაგრამ დიმიტრი მილიუტინისგან გაიგო, რომ ბარიატინსკი იმპერატორის მოსკოვიდან დაბრუნებამდე არ ჩავიდოდა პეტერბურგში. ამიტომ იძულებული გახდა, თავად მიეღო გადაწყვეტილება და დათანხმებულიყო დათმობაზე. სხვა გამოსავალი მხოლოდ ძალის გამოყენება იყო და იცოდა, რომ ადრესატის მოწყალე გული ამას არ ისურვებდა.

1861

25 მაისი

რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის და აცნობებს, თუ რა სახის წინააღმდეგობები შეხვდა კაზაკთა გადასახლების საქმეში ყუბანისა და თერგის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს, რის გამოც მან, თავისი რაპორტის თანახმად, შეზღუდა გადასახლების მასშტაბები. ეს ცვლილება მძიმე ტვირთად დააწვა როგორც კაზაკებს, ისე ხაზინას. ამასთან, რაკი გადასახლების ძირითადი ნაწილი გადავადდა მომდევნო წლამდე, უგზავნის მიმდინარე წლის შეცვლილ სამოქმედო გეგმას.

- 1861 25 მაისი**
წერილს უგზავნის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის.
- 1861 28 მაისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორი თანხმობას აცხადებს აზოველი კაზაკების ჩასახლებაზე კავკასიაში ამ მხარისთვის ხელსაყრელ დროს, ამასთან, არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით და ოჯახების კენჭისყრით შერჩევის საფუძველზე.
- 1861 მაისი**
ჟურნალ „ცისკარში“ მეორედ ბეჭდავს ლექსს „გამოსაღმება“.
- 1861 3 ივნისამდე**
ალექსეი კრუზენშტერნი ატყობინებს, რომ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად არ დანიშნეს ივან განგესოვი.
- 1861 7 ივნისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლითაც იგებს, რომ იმპერატორმა გაამართლა დონის მამულებში დაუმორჩილებელ გლეხთა დასაშოშმინებლად მიღებული ყველა ზომა. 30 დაუმორჩილებელი პირის გასახლება დონის საზღვრებიდან კი მიანდო მიწათმოწყობის მთავარ კომიტეტს.
- 1861 14 ივნისამდე**
მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის ატყობინებს, რომ მის მიერ რეკომენდებული გენერლები სამხედრო მინისტრმა 12 აპრილს დაწინაურებაზე არ წარადგინა.
- 1861 14 ივნისი**
მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. ატყობინებს, რომ 24 მაისს დაღესტანში ქურის ქვეითთა პოლკს თავს დაესხა მოწინააღმდეგის 28-კაციანი დაჯგუფება. ურჩევს, მიხეილ ლორის-მელიქოვის მოსაზრების თანახმად, თავდამსხმელთა მხარდამჭერი აულების დასჯა ზამთრამდე გადადონ, ხოლო უნკრატლის მმართველობა ჩააბარონ დაღესტნისა და მისი მოსახლეობის კარგად მცოდნე მიხეილ ლორის-მელიქოვს.
- 1861 14 ივნისის შემდეგ**
დრეზდენიდან იღებს გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ პეტერბურგში აპირებდა გამგზავრებას იმპერატორთან შესახვედრად, მაგრამ იმდენად მძიმედ ავადმყოფობს, რომ შეიძლება პირდაპირ დაბრუნდეს კავკასიაში, სადაც იმპერატორიც აპირებს ჩასვლას.
- 1861 15 ივნისი**
ილია ჭავჭავაძე წერს სტატიას „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „გამოსაღმება“.

- 1861 16 ივნისამდე**
ავადმყოფობს და სიცხე აქვს.
- 1861 18 ივნისამდე**
ბარბარე და ვერა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკები ბერლინში მიემგზავრებიან, მმისწულ გიორგის კი მასთან ტოვებენ.
- 1861 18 ივნისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ატყობინებს ახალ ამბებს. სწერს, ვინ სად წავიდა საზაფხულოდ და, რომ ქალაქის ქუჩების უკეთ გასანათებლად ფარნებს უმატებენ.
- 1861 19 ივნისი**
ყუბანისა და თერგის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს, რომლიდანაც იგებს, რომ კაზაკები ითხოვენ მათი გადასახლებისა და ამის განმაპირობებელი მიზეზების ამსახველი საიმპერატორო რესკრიპტის გაცნობას. ასევე, ვრცლად საუბრობს გადასახლების მეთოდების ოპტიმიზაციისა და ამ საკითხების სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ.
- 1861 24 ივნისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა უკიდურესი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ყუბანის მხარეში, მდინარე ლაბას მარცხენა სანაპიროზე, კაზაკთა 17 ახალი დასახლების ნაცვლად მიმდინარე წელს მხოლოდ 7 იგეგმება. ამასთან, ატყობინებს, რომ ზედმეტი მითქმა-მითქმის თავიდან ასაცილებლად იმპერატორი კაზაკებს უგზავნის ოფიციალურ რესკრიპტს მათი გადასახლების, როგორც იმპერატორის ნების, შესახებ, რაში დარწმუნებასაც დაბეჯითებით ითხოვდნენ ისინი.
- 1861 24-25 ივნისი**
თბილისიდან ადის კოჯორში.
- 1861 26 ივნისი**
დიმიტრი ყიფიანი გრიგოლ ორბელიანს, როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, წერილობით აცნობებს, რომ საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის შემუშავება თავადაზნაურობას სურს არა კომიტეტებში, არამედ მაზრის თავყრილობებზე. იგი თავის მხრივ დასძენს, რომ ეს საქმისთვის საზიანო არ იქნება და, შესაძლოა, უკეთესიც იყოს საზოგადო აზრის შესასწავლად.
- 1861 28 ივნისი**
აქვეყნებს ბრძანებას ყუბანის მხარის 17-დან 8 სოფლის დასახლების, ასევე ყუბანის კაზაკთა ჯარის პოლკებისა და ბრიგადების შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

- 1861 1 ივლისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იღებს, რომ ხოპერის კაზაკთა დელეგაცია, ხელმძღვანელობის გაფრთხილებისა და ყოველგვარი წერილობითი ნებართვის გარეშე, თვითნებურად ეწვია იმპერატორს. მიღებაზე იმპერატორის უარის შემდეგ ისინი დააპატიმრეს. ასევე აცნობებს, რომ ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილებით, დამნაშავე კაზაკები გასასამართლებლად უნდა გადასცენ ადგილობრივ მთავრობას, რომელთა გვერდის ავლითაც გადაიდგა ეს ნაბიჯი და რომელიც აღჭურვილი იყო ხელმწიფის ნდობით.
- 1861 4 ივლისი**
კავკასიის არმიის დროებითი მთავარსარდალი გრიგოლ ორბელიანი ოფიციალური წერილით მიმართავს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს კავკასიის მთიანეთში მიწათმოწყობის საკითხების თაობაზე. იგი წერს, რომ ადამიანთა მშვიდობისათვის, გარკვეულ ტერიტორიაზე დამკვიდრებისა და მასზე მუშაობის მოტივაციის ამაღლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მიწების დაკანონება. ამ პროცესის დაჩქარება სასურველია იმისთვისაც, რომ შეწყდეს ხმების გავრცელება მთიელთა რუსეთში გადასახლების განზრახვაზე.
- 1861 8 ივლისამდე**
იღებს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის მიერ 14 ივნისს გაგზავნილ კონფიდენციალურ წერილს, რომლითაც მინისტრი ავალებს, რომ ოფიციალურ მოხსენებებში რეგიონში მიმდინარე მოვლენების ავიც და კარგიც დაუფარავად შეატყობინონ და თან უფრო ხშირად.
- 1861 8 ივლისამდე**
იღებს კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ 14 ივნისს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იღებს, რომ ის ისევ ავადმყოფობს, მაგრამ მკურნალობა დაიწყო.
- 1861 8 ივლისი**
კოჯრიდან წერილს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და არწმუნებს, რომ ოფიციალურ მოხსენებებში არასოდეს დაუმაღავს და მიუჩქმაღავს როგორც სასიკეთო, ისე არასასურველი ამბები; ატყობინებს, რომ დაღესტანში სრული სიმშვიდეა, მაგრამ ჩეჩნეთში ისევ დათარეშობენ ბანდები; ნუხაში ყაჩაღებმა მოკლეს სავაჭროდ ჩასული ორი ფრანგი, მძიმედ დაჭრეს მესამე და გაიტაცეს 2500 მანეთი. შიშობს, ამ ამბავმა არ დააფრთხოს აბრეშუმით მოვაჭრე უცხოელები და ეკონომიკურად არ დააზარალოს რეგიონი.
- 1861 8 ივლისი**
კოჯრიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და აცნობს ადგილობრივ ვითარებას. სწერს, რომ საგლებო რეფორმის საკითხებზე მაზრებში გამართულმა თათბირებმა შედეგი არ გამოიღო, რადგან ყველას გაუჭირდა აზრის ჩამოყალიბება. ამიტომ, გადაწყვიტეს სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში შეიკრიბონ და გაეცნონ ამ საქმეში უფრო გამოცდილი ადამიანების პოზიციას. იმედს გამოთქვამს, რომ ადრესატი, დაპირებისამებრ, 30 აგვისტოსთვის დაბრუნდება.

1861

12 ივლისი

რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს, აცნობებს, რომ დიდი და მცირე ზელენჩუკის, ლაბას, ურუპის მრავალრიცხოვანი ტომები – ყიზილბეკები, ბაშილბაები, თამები და სხვები ყუბანის და თერგის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან ითხოვენ თურქეთში გადასახლების ნებართვას. ურჩევს, რომ მტრულად განწყობილი ტომებისგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად მათ ამის უფლება მისცენ.

1861

14 ივლისი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას და იგებს იმპერატორის გადაწყვეტილებას ყუბანის მხარის ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელის გადარქმევის თაობაზე.

1861

16 ივლისი

მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. ატყობინებს, რომ, გეგმის თანახმად, მიმდინარე წელს ქუთაისის გუბერნიაში განლაგებული ჯარების მთავარი ნაწილი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე განლაგებული გზების შესასწავლად ზაფხულის თვეებში გადაადგილდებოდა სოხუმიდან ფსხუს მიმართულებით. ძირითადთან ერთად, უსაფრთხოებისთვის, მათ უნდა დაემუშავებინათ გვერდითი გზებიც. აქ ჯარს პირველი წინააღმდეგობა 30 ივნისს შეხვდა, განსაკუთრებით მძიმე თავდასხმის მოგერიება კი 4 ივლისს მოუხდათ. აფხაზთა მხრიდან გაწეული დიდი წინააღმდეგობის გამო სარდალმა ჯარი უკან, სოხუმში, დააბრუნა. ამ სირთულეების გათვალისწინებით, ასკვნის, რომ უბიხების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო გახდება აფხაზეთის მმართველობის საფუძვლიანად შეცვლა, რადგან არსებულ ვითარებაში მთებში უსაფრთხო მოქმედების შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს.

1861

27 ივლისი

იღებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან განსაკუთრებულ საქმეთა აღმასრულებელი მოხელის, ალექსეი ხარიტონოვის, დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ მეფისნაცვალ დრეზდენიდან პეტერბურგში გაემგზავრა.

1861

28 ივლისი

კოჯრიდან წერილს უგზავნის ალექსანდრ ბარიატინსკის და ატყობინებს, რომ დაღესტანში ისევ სიმშვიდეა და პოდპოლკოვნიკი დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკიც გულმოდგინედ შეუდგა ჩეჩნეთის დამშვიდებას, მაგრამ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ნიკოლოზ კოლიუბაკინის ექსპედიცია აგრის ქედზე ფსხუელებისა და უბიხების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და გენერალი იძულებული გახდა, ჯარი სოხუმში დაებრუნებინა.

1861

28 ივლისის შემდეგ

იღებს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის მიერ პეტერგოფიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი მადლობას უხდის კავკასიაში მიმდინარე მოვლენების ისეთი დეტალების შეტყობინებისთვის, რომლებიც საანგარიშო მოხსენებებში ნახსენები არ იყო. სწერს, რომ კავკასიის რეალური ვითარება უადრესად აინტერესებს როგორც მას, ისე იმპერატორ ალექსანდრე II-ს.

- 1861 ივლისი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“...).
- 1861 6 აგვისტოს შემდეგ**
 რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ ალექსანდრე ტოლსტოისგან იღებს 6 აგვისტოთი დათარიღებულ ოფიციალურ შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ წინა დღეს ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი, მისივე თხოვნით, გაათავისუფლეს კავკასიის ეპარქიის მმართველობისგან.
- 1861 10 აგვისტომდე**
 ბერლინიდან იღებს თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მკურნალობა ორ კვირას გაგრძელდება, შემდეგ კი ბავარიაში უნდა წავიდეს მინერალურ წყლებზე.
- 1861 10 აგვისტომდე**
 იღებს დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსის – დიმიტრი ჯორჯაძის წერილებს, რომლებიც ძალიან აიძულებს.
- 1861 10 აგვისტო**
 კოჯრიდან წერილს უგზავნის დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება, როგორ სამარცხვინოდ შეწყვიტა აფხაზეთის ექსპედიცია ნიკოლოზ კოლიუბაკინმა. კმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ 20 ივლისს პეტერგოფში ჩასული ალექსანდრ ბარიატინსკი იმპერატორს კარგად მიუღია და შემდეგ მეფისნაცვალი ისევ დრეზდენში დაბრუნებულა. უყვება ახლობლების ამბებს და მოკითხვას უთვლის თავის ყოფილ ნაყმევს – კაკალას.
- 1861 10 აგვისტო**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს, ატყობინებს, რომ წარმატებული გამოდგა გენერალ მიხეილ ლორის-მელიქოვის მოსახრება, არ მოეწყობა სადამსჯელო ოპერაციები იმ სოფლებში, რომლებიც ხელს უწყობდნენ 24 მაისს ქურის ქვეითთა პოლკზე თავდამსხმელებს. ამ სოფლების მოსახლეობამ თავად გასცა თავდამსხმელთა წინამძღოლი ყარაყულ-მაგომა და მისი მოკავშირეები.
- 1861 11 აგვისტო**
 ყუბანისა და თერგის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს კონფიდენციალურ წერილს შავიზღვისპირეთში სამხედრო თანამდებობაზე დაკავებულ პირთა განთავისუფლებისა და მათი ახალი კადრებით შეცვლის თაობაზე.
- 1861 16 აგვისტომდე**
 აბაძეების, უბიხებისა და შავსულებისაგან იღებს თხოვნითი ხასიათის წერილს, რომ მისი შუამდგომლობით მათ ისედაც მცირე მიწაზე არ დაუშვან ჯარის შეყვანა, საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და სამხედრო დანიშნულების პუნქტების მშენებლობა. ასევე, სთხოვენ, კერძო მფლობელობაში დაუტოვონ მიწა და არ შეუზღუდონ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება.

1861

16 აგვისტო

როგორც კავკასიის ჯარების დროებითი მთავარსარდალი, თბილისში ხვდება უბიხების, შაფსულებისა და აბაძეხების მცირერიცხოვან დელეგაციას – იმ ტომების წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობენ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას, ითხოვენ, რომ რუსეთი არ შეიჭრას მათ ტერიტორიაზე და არ დაიწყოს სიმაგრეების მშენებლობა. გრიგოლ ორბელიანი ჰპირდება, რომ უზრუნველყოფს მათი დელეგაციის შეხვედრას იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და დანაპირებს ასრულებს.

1861

19 აგვისტო

მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. ატყობინებს, რომ კავკასიის ქედის დასავლეთ ნაწილში დასახლებულ ჩერქეზებს მიმდინარე წლის დასაწყისში სტუმრობდა სამი უცხოელი, რომლებიც მათ იმპერიის წინააღმდეგ განაწყობდა და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან დახმარებას აღუთქვამდა. სწერს ასევე, რომ უბიხებს, შაფსულებსა და აბაძეხებს სურთ პეტერბურგში საკუთარი დელეგაციის გაგზავნა. იქამდე კი თითოეული ტომიდან სამ-სამი კაცისგან შემდგარი დელეგაცია ეწვია თბილისს, მეფისნაცვლის სასახლეს, სადაც მათ ეუწყა იმპერატორის მოთხოვნები. ამის შემდეგ უბიხთა წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ შეცდომა იყო იმპერიისადმი უნდობლობის გამოხატვა. გრიგოლის თქმით, ამ აღიარების მიუხედავად, აშკარაა, რომ ამ დელეგაციის მიზანი იმპერიისადმი მორჩილების გამოხატვა კი არა, მის წინააღმდეგ ძალების მოკრება იყო. ამიტომ დააიძუდა ისინი და გამოუცხადა, რომ შესაძლოა იმპერატორმა ყუბანის მხარეში სტუმრობისას მათთან შეხვედრა მოახერხოს.

1861

19 აგვისტოს შემდეგ

წერს განცხადებას, რომელშიც უბიხებს, შაფსულებსა და აბაძეხებს აცნობებს, რომ იმპერატორს არც სისხლისღვრა სურს და არც მათი საკუთრების უფლების დარღვევა, ის მხოლოდ მშვიდობიანი და კეთილდღეობითი ცხოვრების მოსურნეა, ეს ტომები კი აწიოკებენ მოსაზღვრე ხალხებს, სტაცებენ მათ საქონელს, ტყვედ მიჰყავთ ადამიანები და ყიდიან; თავს ესხმიან შავი ზღვისპირეთის ციხესიმაგრეებს, არაერთ დევნილს, დამნაშავესა და ყაჩაღს აძლევენ თავშესაფარს. იმპერატორს ამის მოთმენა არ შეუძლია, ამიტომ, მისი ბრძანებით, ჯარისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, გზისპირა მონაკვეთებში ჩასახლებენ კაზაკებს, ააშენებენ ციხესიმაგრეებს, სადაც ჩაყენებული ადგილობრივი ჯარი დაიცავს მოსახლეობას მათი თავდასხმებისგან. დასძენს, რომ იმპერატორის ნება წმინდაა და აღსრულდება, როგორც ეს მოხდა დალესტანსა და ჩეჩნეთში. მაგრამ, რაკი მას არ სურს, შეავიწროოს ისინი, აძლევს პირობას, ვინც მას დაემორჩილება, უზრუნველყოს მიწით და არ შეუზღუდოს აღმსარებლობის უფლება. სწერს, რომ ამას დაადასტურებს მეჩეთების აგებით, არ გაიწვევს მათ სამხედრო სამსახურში, თითოეულ სოფელს მისცემს საკუთარი მოსამართლისა და თემის მეთაურის არჩევის უფლებას. დამორჩილებულები მიიღებენ საუკეთესო მიწებს, დაუმორჩილებლებს კი წაერთმევათ საცხოვრებელი და საქონელი.

1861

23 აგვისტო

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი კავკასიის დასავლეთის მთისპირა და მთიანი სოფლების კაზაკებით დასახლების პირობები.

- 1861 24 აგვისტო**
გამოსცემს ბრძანებას მდინარე ლაბას გასწვრივ განლაგებული კორდონის ხაზის ორად – ზემო და ქვემო ნაწილებად გაყოფის შესახებ.
- 1861 27 აგვისტო**
ყუბანის ოლქის ჯარის სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს. იგებს, რომ იმპერატორმა, რესკრიპტის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, მხოლოდ ყუბანის კაზაკთა პოლკს აღუთქვა დამატებითი პრივილეგიები და შეღავათები დასავლეთ კავკასიაში ჩასახლების დროს. სარდლის მოსაზრებით, თერგის ოლქის ჯარები არაფრით განსხვავდება ყუბანის ჯარებისგან, ორივე ერთნაირად ეწევა როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამხედრო სამსახურს და თანაბარი სარგებელი მოაქვთ სახელმწიფოსთვის. სთხოვს, ეს გარემოება ყუბანში ვიზიტის დროს აცნობოს იმპერატორს და დაუსაბუთოს აღნიშნული შეღავათების თერგის ოლქის ჯარზე გავრცელების მიზანშეწონილობა.
- 1861 28 აგვისტო**
კოჯრიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს და ატყობინებს, როგორ ემზადება იმპერატორ ალექსანდრე II-ის შესაგებებლად, რომელიც მხოლოდ ერთი დღით აპირებს ქუთაისში ჩაბრძანებას და მერე ისევ ყირიმში ბრუნდება.
- 1861 29 აგვისტო**
რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი დიმიტრი მილიუტინი იმპერატორ ალექსანდრე II-ს უგზავნის გრიგოლ ორბელიანის ოფიციალურ მიმართვას უბიძების, შაფსულებისა და აბაძეების წარმომადგენლებთან მისი შეხვედრის შესახებ, აცნობებს ქართველი გენერლისთვის მათ მიერ გადაცემულ თხოვნას, რომ ყუბანის ოლქში მოგზაურობისას იმპერატორი შეხვდეს მათ დელეგაციას. მიუხედავად ამ თხოვნისა, მინისტრი ურჩევს იმპერატორს, რომ უცვლელად მიჰყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებისა და მათი კაზაკებით ჩანაცვლების უკვე შემუშავებულ გეგმას.
- 1861 30 აგვისტო**
სამეგრელოს სამთავროს საქმეებთან დაკავშირებით ხვდება მეფისნაცვლის თანაშემწეს – ალექსანდრ კარცოვს.
- 1861 30 აგვისტო**
თავადაზნაურობის წინამძღოლებთან და ეგზარქოს ევსევი ილინსკისთან ერთად სამეგრელოს სამთავროს საქმეებთან დაკავშირებით გეგმავს ქუთაისში გამგზავრებას.
- 1861 31 აგვისტო**
კერძო საკუთრებაზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით, როგორც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი და მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, გამოსცემს მითითებას საცხოვრებელი ბინისა და მიწის მფლობელთა გადასახადების შესახებ.

- 1861 აგვისტო**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს იმჟამად უკვე გარდაცვლილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს „ნი...ადმი („თუ ტურფანი...“).
- 1861 10 სექტემბერი**
 სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრ სტროგანოვი არ მიიჩნევს აუცილებლად აზოველი კაზაკების ჩასახლებას კავკასიაში, რადგან 6 წლის შემდეგ, როდესაც ამ გადასახლების პირველი ტალღა იგეგმება, მისი მოსაზრებით, სრულებით იქნება შეცვლილი საგლებო ყოფა რუსეთში და მცირემიწიან გუბერნიებში გაჩნდება ჩასახლების არაერთი, მათ შორის, კაზაკი მსურველი, განსაკუთრებით მონადირეები. ალექსანდრე სტროგანოვის მოსაზრების საპირისპიროდ, წერილის ავტორი სთხოვს, შორეული მომავლისთვის არ გადადოს აზოველი კაზაკების ჩასახლება.
- 1861 11 სექტემბერი**
 ტამანის ნახევარკუნძულზე საზეიმოდ ხვდება იმპერატორ ალექსანდრე II-ს და, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, წარუდგენს მაღალჩინოსან სამხედრო პირებს.
- 1861 12 სექტემბერი**
 მიუძღვის იმპერატორს ქალაქ ეკატერინოდარში, სადაც ალექსანდრე II ხვდება კაზაკთა დელეგაციას, ისმენს მათი არმიის ქოროს სიმღერებს და ესწრება ღვთისმსახურებას.
- 1861 13 სექტემბერი**
 იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და მის ამაღასთან ერთად ტოვებს ეკატერინოდარსა და ათვალიერებს იმ ტერიტორიებს, სადაც უნდა მომხდარიყო კაზაკების გადასახლება. მათ ეტლს უკან მიჰყვებიან კაზაკთა ასეულები და ჯირითში შეჯიბრის არაჩვეულებრივ სანახაობას მართავენ. ამის შემდეგ ათვალიერებენ შაფსულთა და ქვემო აბაძებთა რაზმებს, ევგენიევსკისა და უსტ-ლაზის ციხესიმაგრეებს.
- 1861 14 სექტემბერი**
 იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და მის ამაღასთან ერთად ჩადის მაიკოპში, სადაც იმპერატორს აბინავებენ მდინარე ბელოის ნაპირზე საგანგებოდ აშენებულ სახლში და ათვალიერებინებენ ციხესიმაგრეს.
- 1861 15 სექტემბერი**
 იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ერთად ესწრება ღვთისმსახურებას და კაზაკებთან და მთიელთა წარმომადგენლებთან შეხვედრას.
- 1861 16 სექტემბერი**
 იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ერთად ადის მამრიუკ-ოლოს პლატოზე და ათვალიერებს ქვემო ფარსის რაზმს, მაგრამ ძლიერი წვიმა იწყება და ცერემონიალი დროზე ადრე წყდება.

- 1861 17 სექტემბერი**
იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და მის ამაღლასთან ერთად ესწრება ღვთისმსახურებას, ნახულობს ლაზარეთში მყოფ დაჭრილებს და ხვდება ოფიცრებს.
- 1861 17 სექტემბრის შემდეგ**
იმპერატორ ალექსანდრე II-სთან შეხვედრის დროს წარდგენილ წერილობით თხოვნას უბიძგის, შაფსულებისა და აბამეხებისთვის მათი მიწების დატოვების შესახებ რუსეთის ხელისუფლება არ აკმაყოფილებს და გრიგოლ ორბელიანი აქვეყნებს მიმართვას ამ ტომებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორის ბრძანებით მათ მიწებზე გაგრძელდება გზების მშენებლობა, რომელთა გასწვრივაც დაასახლებენ კაზაკებს, აშენდება სიმაგრეები, რომლებშიც დაბანაკდება ჯარი და მათი შემოტევებისგან დაიცავს მოსახლეობას.
- 1861 18 სექტემბერი**
იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და მის ამაღლასთან ერთად ადის ხამკეტის ციხესიმაგრეში, სადაც ათვალიერებენ ზემო აბამეხის რაზმს. იმპერატორი იხსენებს ამ სამხედრო დანაყოფის მეომართა დამსახურებებს და მადლობას უხდის სამსახურისთვის. საზეიმო წვეულებაზე ალექსანდრე II, უპირველესად, სვამს კავკასიის არმიის სადღეგრძელოს. გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით ამის შემდეგ ისმება თავად ალექსანდრე II-ის სადღეგრძელო, შემდეგ კი იმპერატორი სვამს კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრ ბარიატინსკის, ჯანმრთელობისთვის. აქვე ხვდება აბამეხების, უბიძგისა და შაფსულების დელეგაციას. რუსეთის მონარქი მათ ერთ თვეს აძლევს გადასახლებაზე დასათანხმებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ემუქრება, რომ ამას იარაღის ძალით გააკეთებინებს.
- 1861 19-21 სექტემბერი**
ყუბანელი კაზაკებისა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის თანხლებით იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან ერთად ტოვებს ყუბანს და ეკატერინოდარისა და ყირიმის ციხესიმაგრის გავლით ჩადის ნოვოროსიისკში.
- 1861 19-21 სექტემბერი**
საღამოობით ბანქოს თამაშობს იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან, საიმპერატორო სახლის მმართველ ალექსანდრ ადლერბერგთან, მთავარი კანცელარიის უფროს ვასილი დოლოგორუკოვსა და პოლონეთის მეფისნაცვალ კარლ ლამბერტთან.
- 1861 22 სექტემბერი**
იმპერატორსა და მის ამაღლასთან ერთად ხომალდ „ტიგრით“ ჩადის ნოვოროსიისკიდან სოხუმში, სადაც ათვალიერებენ სახაზო ბატალიონებს, ჰოსპიტლებსა და ყაზარმებს, შემდეგ კი ხვდებიან აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, მიხეილ შარვაშიძესა და წარჩინებულებს. იმპერატორი შარვაშიძეს ალექსანდრე ნეველის ბრილიანტის ორდენით აჯილდოებს და ავალებს, რომ უზრუნველყოს აფხაზეთის მთებში გზების გაყვანა. ნაშუადღევს იმპერატორ ალექსანდრე მეორესა და მის ამაღლასთან ერთად ხომალდ „ლივადიით“ მიემგზავრება სოხუმიდან ფოთის მიმართულებით.

23 სექტემბერი

გამთენიისას იმპერატორ ალექსანდრე II-სთან და მის ამაღლასთან ერთად ხომალდ „ლივადიიდან“ სამდინარო გემზე გადასული ჩადის ფოთში, სადაც საზეიმოდ ხვდებიან: დესპინა გურიელი, ადგილობრივი თავადაზნაურობა, მილიცია და მოსახლეობა. შემდეგ ისევ სამდინარო გემ „აკერმანიტ“ მიუყვებიან მდინარე რიონს და ადიან ჭალადი დამდე. აქ ყველა მიჰყავთ საგანგებოდ სანადიროდ მოწყობილ შემოღობილში, სადაც ყველასთვის ცალ-ცალკეა გამოყოფილი ადგილები ჩასასაფრებლად. ისმის მარეკების ხმა და ძაღლების ყეფა. იმპერატორი ხედავს ირემს, თოფს მოიმარჯვებს და უნდა, ესროლოს, მაგრამ ხვდება, რომ ეს ველური ირემი არ არის. ის იარაღს ძირს უშვებს, ცხოველთან მიდის და ეფერება. ირკვევა, რომ ერთმა ადგილობრივმა თავადმა ზედმეტად მოინდომა იმპერატორის სიამოვნება ირმის მოკვლის კარგი შანსის მიცემით და მისკენ თავისი მოშინაურებული ირემი მიდენა. ყველა უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. გრაფი ადლერბერგი ხუმრობს, რომ ნადირობა დასრულდა ირმის ტყვედ აყვანით – ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი და შეურაცხმყოფელია გრიგოლ ორბელიანისთვის, რომ ნერვიულობისგან ნაღვლის ბუშტის ტკივილი ეწყება. იმპერატორი მას თავის კარეტაში იხმობს და გზას აგრძელებენ. ამის შემდეგ შეივლიან სენაკის სოფელ სარიაჟყონში და ნახულობენ ეკლესიას, რომლის ღარიბი ინტერიერიც აკვირვებს იმპერატორს. შემდეგი გაჩერება არის სოფელ კოდორში, სადაც ალექსანდრე II ხვდება სამეგრელოს თავადაზნაურობას და მადლობას უხდის ერთგულებისთვის. საზეიმო წვეულებაზე, რომელსაც ალამაზებს არაჩვეულებრივი სიმღერები და ცეკვები, სხვა ქართულ კერძებთან ერთად, იმპერატორს ოთხი კაცი მართმევს შამფურზე შემწვარ მთლიან ხარს, რომლის შიგნით რამდენიმე ფენად არის ხბო, ცხვარი, ინდაური, წიწილა და შაშვი. საღამოს იმპერატორი ჩაჰყავთ ქუთაისში და აზინავებენ გენერალ-გუბერნატორ ნიკოლოზ კოლიუბაკინის სახლში, რომელიც ამისათვის წინასწარ კეთილმოაწყვეს. აქ ხვდებიან: თბილისის, შემახისა და ერევნის დეპუტატები, სხვადასხვა მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები, საქართველოს ეგზარქოსი ევსევი ილინსკი, სომეხი ეპისკოპოსი სარგის ჯალალიანი და წარჩინებული საზოგადოება.

24 სექტემბერი

ქუთაისში იმპერატორსა და მის ამაღლასთან ერთად სტუმრობს ჰოსპიტალს, წმინდა ნინოს სასწავლებელსა და გიმნაზიას. იმპერატორთან დახმარების თხოვნით მიდის სვანეთის ყოფილი მთავრის, რუსეთის ხელისუფლების მიერ სიკვდილით დასჯილი კონსტანტინე დადეშქელიანის, ქვრივი და მისგან იღებს 6000 მანეთს. ძლიერი წვიმის გამო იმპერატორის პატივსაცემად დაგეგმილი დიდი მეჯლისის გამართვა რიონის ნაპირას საგანგებოდ მოწყობილ პავილიონში ვერ ხერხდება და, თავად ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილებით, უფრო მოკრძალებულ წვეულებას მართავენ გენერალ-გუბერნატორ ნიკოლოზ კოლიუბაკინის სახლში, მაგრამ საღამო სასიამოვნო გამოდის. იმპერატორი მოხიბლულია არაჩვეულებრივი საზოგადოებითა და ქალბატონების ცეკვით. სადილზე ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი გიორგი რევაზის ძე ერისთავი წარმოთქვამს იმპერატორის სადღეგრძელოს, თავად იმპერატორი კი დამსწრეთ სთავაზობს კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრ ბარიატინსკისა, და ქართული თავადაზნაურობის სადღეგრძელოს. იმავე საღამოს ალექსანდრე II გრიგოლ ორბელიანს სთხოვს, რომ სამახსოვროდ გაუგზავნოს თავისი ფოტო.

- 1861 25 სექტემბერი**
 დილის 10 საათზე იმპერატორსა და მის ამაღლასთან ერთად ტოვებს ქუთაისს. მათ გასაცვილებლად თავს იყრის უამრავი ადამიანი. სამდინარო გემ „აკერმანიტ“ მიემგზავრებიან ორპირიდან ფოთის მიმართულებით. ფოთში გრიგოლ ორბელიანი ესწრება იმპერატორის მიერ ფსხუს ექსპედიციის მონაწილე გურული მეომრების ჯვრებითა და მედლებით დაჯილდოებას. შუადღის 3 საათზე ნავსადგურში ემშვიდობება იმპერატორს და საჩუქრად გადასცემს ზემო მღეთის გზის ულამაზესი ხედების ფოტოებს.
- 1861 26 სექტემბერი**
 ერთი მხრივ, სამხედრო კანცელარიის დირექტორ გრაფ ალექსანდრ ადლერბერგისგან მიღებული მიმართვიდან, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო-სალაშქრო კანცელარიისგან იგებს, რომ იმპერატორი იწყალებს თერგის ოლქის, აზოვისა და დონის კაზაკებს და დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში გადასახლებისას ისეთსავე უფლებებსა და შეღავათებს ანიჭებს, როგორსაც ყუბანის კაზაკებს.
- 1861 30 სექტემბერი**
 მოგზაურობიდან, რომლის დროსაც მეგზურობას უწევდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს, ბრუნდება თბილისში და, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, უამრავი საქმე ხვდება დაგროვილი.
- 1861 სექტემბერი**
 ჯილდოვდება წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენით.
- 1861 7 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. ატყობინებს, რომ უბიხების, აბაზგებისა და შაფსულების თბილისში ჩასული დელეგაციისთვის მიცემული დანაპირების თანახმად, იმპერატორს სთხოვა უფლება, შეხვედროდა მათ ზემო აბაძეხის რაზმის ბანაკში. შეხვედრაზე უბიხმა ბერზეკოვმა ყველას სახელით სთხოვა ალექსანდრე II-ს, მიეღო ისინი თავის ქვეშევრდომთა რიგებში. იმპერატორის პასუხის თანახმად, მათ ეს მორჩილება უნდა გამოეხატათ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, ამასთან, უნდა დაებრუნებინათ ტყვეები და დევნილები. დარბაზში გამეფებულმა დუმილმა მიახვედრა იმპერატორი, რომ დელეგატებმა მთელი ტომის გადაწყვეტილება კი არ წარუდგინეს მას, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილისა. წერილობითი თხოვნის თანახმად კი, რომელიც იმპერატორს გადასცეს, ისინი კავკასიური ომებისგან სასიკეთოს ვერაფერს გამოელიან და მათ მიმართ მოთხოვნების შემსუბუქებას ითხოვენ. მიმართვის ავტორის მოსაზრებით, უბიხური წინააღმდეგობა ჯერ კიდევ რთულ პრობლემად რჩება.
- 1861 7 ოქტომბერი**
 სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს გამოხმაურებას, რომლიდანაც იგებს, რომ განისაზღვრა შეღავათები და დახმარებები დონის კაზაკთა პოლკის, მალოროსიის კაზაკების, სახელმწიფო გლეხებისა და დაბალი ჩინის სხვა წარმომადგენელთათვის.

- 1861 1-12 ოქტომბერი**
 თბილისიდან ვრცელ წერილს უგზავნის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის. დაწვრილებით აღუწერს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტის დროს მასთან ერთად მოგზაურობას ტამანიდან ქუთაისამდე და ქუთაისიდან ფოთამდე. აღფრთოვანებულია იმპერატორის ადამიანური ღირსებებით, მისი სიქველთა და დიდსულოვნებით. გული სწყდება, რომ ჭალადიდში მოწყობილი ნადირობა სამარცხვინოდ დასრულდა და დიდი სახალხო წვეულება მდინარე რიონის ნაპირზე არ შედგა, ძლიერი წვიმის გამო. სხვა მხრივ, ყველაფრით კმაყოფილია.
- 1861 21 ოქტომბერი**
 ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს, რომელშიც განსახილველად წარუდგენს დასავლეთ კავკასიის მთისწინეთის დასახლების, უმაღლესი ხელისუფლების მითითებების თანახმად გადამუშავებულ, გეგმას.
- 1861 25 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის დონის ჯარების ატამანს, გენერალ-ადიუტანტ მიხეილ ხომუტოვს. სწერს მიმდინარე და მომდევნო წლებში დონის კაზაკების კავკასიაში გადასახლების პირობების, დახმარებებისა და შეღავათების შესახებ.
- 1861 25 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და წარუდგენს დასავლეთ კავკასიის მთისწინეთის ინტენსიურად დასახლების გეგმას მომდევნო 1862 წლისათვის.
- 1861 25 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ მიმდინარე წელს მდინარე ლაბას მარცხენა სანაპიროზე დაგეგმილზე მეტი ადამიანი ჩასახლეს. სწერს გადასახლების სხვა დეტალების შესახებაც და ურთავს სხვადასხვა სოფელში სამხედრო და სამოქალაქო პირთა ჩასახლების სტატისტიკის ამსახველ ცხრილს.
- 1861 25 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვს. აცნობებს, რომ, იმპერატორის ბრძანებით, დასავლეთ კავკასიაში 1862 წლიდან უნდა ჩასახლნენ ნოვოროსიელი მონადირეები. აქვე საუბრობს მათთვის საიმპერატორო განკარგულებით მინიჭებულ დახმარებებსა და შეღავათებზე.
- 1861 25 ოქტომბერი**
 წერილს უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. სწერს დასავლეთ კავკასიაში ჩასახლებელი ჯარისკაცების, სახელმწიფო გლეხების, კავკასიის არმიის დაბალი ჩინის მეომრების, მონადირეებისა და სხვათა რაოდენობის შესახებ.

- 1861 29 ოქტომბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ აუცილებელია კაზაკთა, მათ შორის, მონადირეთა, რაც შეიძლება დროული გადასახლება დასავლეთ კავკასიაში, ამ პროცესის მიმდინარეობაზე საგანგებო მეთვალყურეების დანიშვნა და შესაბამის სოფლებში კაზაკთა სამხედრო ბრიგადების გადანაწილება.
- 1861 31 ოქტომბერი**
 სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც დეტალურად იგებს იმ უფლებებისა და შეღავათების შესახებ, რომლებიც მიანიჭა იმპერატორმა დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში გადასახლების მსურველ თერგის, დონისა და აზოვის კაზაკებს.
- 1861 3 ნოემბრამდე**
 წერილს იღებს ლევან მელიქიშვილისგან. იგი საყვედურობს, რომ არ შეატყობინა იმპერატორ ალექსანდრე II-ის კავკასიაში ვიზიტის დეტალები.
- 1861 3 ნოემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ლევან მელიქიშვილს და დაწვრილებით უყვება იმპერატორ ალექსანდრე II-ის ნოვოროსიისკიდან ქუთაისამდე მოგზაურობისა და ქუთაისში ყოფნის დეტალებს.
- 1861 8 ნოემბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. გამოხატავს სურვილს, იმპერატორს განსახილველად წარუდგინოს ყუბანის მხარეში მისი ვიზიტის შემდეგ იქ არსებული რეალური ვითარება. დაწვრილებით საუბრობს აბაძეებისა და ჩერქეზების დელეგაციების მოთხოვნებზე. ასევე საჭიროდ მიიჩნევს, აცნობოს, რომ ლაზისპირელი გავლენიანი პირები საიდუმლოდ ცდილობენ ქვეშევრდომობა გამოუცხადონ იმპერატორს და ამ გზით მისგან ხელსაყრელი პირობები მიიღონ.
- 1861 15 ნოემბერი**
 დიმიტრი ყიფიანი გრიგოლ ორბელიანს, როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, პირადად აცნობს საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით საზოგადოების აზრის შესწავლის შედეგებს. ამასთან, სთავაზობს, რომ 1862 წლის 10 იანვარს მოიწვიონ გუბერნიის თავადაზნაურობის კრება და დასვანსაკითხი მართებიდან სანდო დეკლარაციების არჩევაზე, რომლებიც განიხილავენ თავადაზნაურობის მიერ მოწოდებულ კერძო მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.
- 1861 16 ნოემბერი**
 მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ, მისი განკარგულებით, ყუბანისპირეთის დასახლების პროექტის ფარგლებში ყოველგვარი შეღავათი თანაბრად უნდა გადანაწილდეს, შეივსოს სოფლის მალაზიები საჭირო მარაგით და, შემლებისდაგვარად, დაიზოგოს სახაზინო თანხები.

- 1861 17 ნოემბერი**
ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისგან იღებს დიმიტრი ყიფიანისთვის გასაგზავნ წერილს.
- 1861 21 ნოემბერი**
წერილს სწერს თერგის ოლქის ჯარების უფროსს, გენერალ-მაიორ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, და მადლობას უხდის იმის გამო, რომ ძალას არ ზოგავს ჩეჩნეთის დასამშვიდებლად. წერილთან ერთად უგზავნის 4000 მანეთის საჩუქრებს მათი მხარდამჭერი ჩეჩნების წასახალისებლად.
- 1861 21 ნოემბერი**
იმყოფება თბილისში და მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისგან იღებს 23 ოქტომბერს გაგზავნილ წერილს, რომლითაც შეიტყობს, რომ იმპერატორი ალექსანდრე II აღფრთოვანებულია კავკასიაში მისი დახვედრის მასშტაბითა და ქართველთა სიყვარულით და მომდევნო წელსაც აპირებს ჩამოსვლას მეუღლესთან ერთად. ასევე, იგებს, რომ ალექსანდრე II მოხიბლულია პირადად გრიგოლის პიროვნებითაც. ადრესანტი სწერს, რომ მისი ჯანმრთელობის საქმე უკეთ არის და, რომ გრიგოლს მალე მოუწევს მასთან შესახვედრად ფოთში ჩასვლა.
- 1861 22 ნოემბერი**
მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ აბაძეების ბელად მუჰამედ-ამინის თურქეთში გადასახლების მიზეზი ბელადის წერილში გაზვიადებულად და ტენდენციურად იყო გადმოცემული. ამან გაუგებრობა გამოიწვია კონსტანტინოპოლის რუსულ საელჩოში, რადგან მათ ამ, მათი აზრით, მნიშვნელოვანი პირის თურქეთში გადასახლების შესახებ არავითარი წინასწარი ცნობა რუსეთიდან არ მიუღიათ. როგორც გრიგოლ ორბელიანი მიიჩნევს, ზოგადად, კავკასიელ მთიელთა ანგარებიანი ხასიათის გამო, არ არის გამორიცხული, რუსეთის მხრიდან მისთვის დანიშნულ პენსიას მუჰამედ-ამინი ვერ დაეკმაყოფილებინა და თურქეთისთვის წარდგენილი პრეტენზიებიც ამას გამოეწვია. ამიტომ, საჭიროდ მიიჩნევს, აგრძნობინონ მას, რომ მსგავსი სპეკულაციები კარგს არაფერს მოუტანს.
- 1861 23 ნოემბერი**
ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრ სტროგანოვი უგზავნის მიმართვას, რომელშიც საუბარია კავკასიის დასავლეთ ნაწილში კაზაკთა ჩასახლების პირობების შესახებ. ადრესანტი დასძენს, რომ მოთმინებითა და სიფრთხილით მოეკიდონ მოსახლეობის ნებას, ერთბაშად და ხისტად არ მოითხოვონ მათგან დადებითი თუ უარყოფითი პასუხი. ვარაუდობს, რომ მომავალი წლის თებერვლის დასაწყისისთვის გახდება ცნობილი, რამდენი ოჯახი თუ სული ისურვებს ყუბანში გადასახლებას.
- 1861 23 ნოემბერი**
გამოხმაურებას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და აცნობებს კავკასიის ქედის დასავლეთ ნაწილის მთისწინეთის კაზაკებით დასახლების ტექნიკურ დეტალებს.

- 1861 23 ნოემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ ოქტომბრის ბოლოს თერგის ოლქის ჯარებმა მოაწყვეს ექსპედიცია მცირე ჩეჩნეთის მთიან ნაწილსა და არღუნის ხეობაში აბრაგთა ბანდების გასანადგურებლად. შედეგად, ორასი აბრაგიდან ნაწილი აიყვანეს, ნაწილი თავად გამოცხადდა ჩეჩნეთის პოლიციაში, მიმალვაში მყოფი სულთან მურად ბენოელი კი დაჭრილი დააკავეს.
- 1861 24 ნოემბერი**
მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს, სწერს, რომ ყუბანის ჯარების მეთაურის ნიკოლოზ ევდოკიმოვის ცნობის თანახმად, აზოვის კაზაკთა გადასახლება შესაძლებელია 1863 წლიდან.
- 1861 ნოემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს თავისი ბიძაშვილის – ანტონ ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსს „ანტ...ადმი“.
- 1861 8 დეკემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. ატყობინებს, რომ თერგის ოლქის კაზაკები ფრონტის წინა ხაზზე გადასახლებისას მიიღებენ ყუბანის კაზაკების მსგავს დახმარებებსა და შეღავათებს, თუმცა საჭიროდ მიიჩნევს, რომ ხელმწიფის ნება მათ არ გამოუცხადონ იქამდე, სანამ იმპერატორი არ დაამტკიცებს მის მიერ წარდგენილ პროექტს დასავლეთ კავკასიის დასახლების შესახებ.
- 1861 9 დეკემბერი**
წერს მოხსენებას კავკასიის არმიის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების სახელით კავკასიის ახალ დასახლებებში სასულიერო პირების დანიშვნის, მათი საყოფაცხოვრებო და ფინანსური პირობებით უზრუნველყოფის შესახებ.
- 1861 10 დეკემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და სწერს, რომ იმპერატორს აუწყა თერგის ოლქის ყაჩადთა უკანასკნელი თავშესაფრის განადგურების შესახებ.
- 1861 13 დეკემბერი**
როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, დიმიტრი ყიფიანს, მისივე წინადადების საფუძველზე, ოფიციალურად რთავს ნებას, რომ 10 იანვრისთვის მოიწვიოს გუბერნიის თავადაზნაურობის კრება და აირჩიონ წარმომადგენლები საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით შეგროვილი წინადადებების შესასწავლად და საერთო აზრის შესამუშავებლად.

1861 13 დეკემბერი

მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვს, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, განუმარტა, თუ რა სახის პრივილეგიები და შეღავათები მიანიჭა გადასახლებულებს იმპერატორმა. მიმართვაში ასევე საუბარია იმის შესახებ, რომ აბაძეხთა ბელადი – მუჰამედ-ამინი პენსიას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმპერიის საზღვრებში იცხოვრებს.

1861 15 დეკემბერი

მიმართვას უგზავნის ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვს და, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, განუმარტავს, თუ რა სახის პრივილეგიები და შეღავათები მიანიჭა გადასახლებულებს იმპერატორმა.

1861 22 დეკემბერი

მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და განუმარტავს, რომ აზოველი კაზაკების დასახლება კავკასიის დასავლეთ ქედის მთისწინეთში შესაძლებლად მიაჩნია 1863 წლისთვის.

1861 22 დეკემბერი

მიმართვას უგზავნის ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვს და ატყობინებს, რომ სამხედრო მინისტრმა – დიმიტრი მილიუტინმა მოითხოვა განმარტებები იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიიჩნევს შესაძლებლად აზოველი კაზაკების დასახლებას კავკასიის დასავლეთ ქედის მთისწინეთში 1863 წლამდე. მიუხედავად ამისა, დასძენს, რომ გაითვალისწინა შექმნილი გარემოებები, შეცვალა თავისი თავდაპირველი მოსაზრება და საჭიროდ მიიჩნია 1862 წლისთვის კაზაკთა 300 ოჯახის ჩასახლება.

1861 22 დეკემბერი

რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. სწერს, რომ თერგის ოლქის ცალკეულ ადგილებში წინა წელს მომხდარი მღელვარებები ჩეჩნეთის მოსახლეობის ფართომასშტაბიანი აჯანყების საფრთხეს ქმნიდა. ხელისუფლების მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა, უსიტყვოდ დამორჩილებოდა მას. ჩეჩნების ყაჩაღთა ბანდიდან მხოლოდ სულთან მურად ბენოელმა და მისმა სამმა თანამებრძოლმა შეძლო მიმალვა. სთხოვს შუამდგომლობას იმპერატორთან, დააჯილდოვოს ის პირები, რომლებმაც ამ მოქმედებების მიმდინარეობისას თავი გამოიჩინეს. ასევე, შუამდგომლობს, რომ მთიელთა ერთი ბელადი – ზუმსიოს ნაიბი უმა დუევი, რომელიც საკუთარი ნებით ჩაბარდა დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, სასამართლოს კი არ გადასცეს, არამედ რუსეთის რომელიმე გუბერნიაში გადაასახლოს.

- 1861 25 დეკემბერი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და ატყობინებს, რომ ბოლო დრომდე არ იყო შესაძლებელი კაზაკთა ახალ დასახლებებში სასულიერო პირთა და საეკლესიო მსახურთა დანიშვნა. ამიერიდან საჭიროდ მიიჩნევს, თითოეულ ახალ დასახლებას დაენიშნოს თითო მოძღვარი. მოძღვართა დანიშვნა უნდა დაევალოს კავკასიის არმიის მთავარ მოძღვარს, ხელფასი კი დაენიშნოთ როგორც მაზიარებლების მხრიდან, ისე სახელმწიფო ხაზინიდან.
- 1861** იმყოფება კოჯორში და წერს ლექსს „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“).
- 1862 -მდე**
ილია ჭავჭავაძე განიხილავს ჟურნალ „ცისკრის“ 1857-1861 წლების ნომრებში გამოქვეყნებულ მასალას და მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას. იგი მას ქართულ პოეზიაში ევროპეიზმის გამგრძელებელს უწოდებს.
- 1862 3 იანვარი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, თუ რა სახის დახმარებები და შეღავათები დაუწესდებათ ყუბანისა და თერგის ოლქის კაზაკებს.
- 1862 20 იანვარი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა დააკმაყოფილა გრიგოლ ორბელიანის შუამდგომლობა და უმა დუევს, არღუნის ოლქის მემბოხეთა ბანდის უკანასკნელ წარმომადგენელს, მისცა კავკასიისგან მოშორებულ რომელიმე გუბერნიაში სახელწიფოს კმაყოფაზე ცხოვრების უფლება პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.
- 1862 26 იანვარი**
იმყოფება თბილისში, იღებს ეკატერინე დადიანის მიერ პარიზიდან გაგზავნილ წერილსა და მისი ვაჟის, ნიკოს, ფოტოს.
- 1862 27 იანვარი**
თბილისიდან წერილს უგზავნის კონსტანტინე თარხნიშვილს და ატყობინებს, რომ დაღესტანსა და ჩეჩნეთში მშვიდობაა, აბაძეების დასაწყნარებლად კი თებერვალში აპირებენ დამატებითი ძალების გაგზავნას; უყვება ნათესავ-მეგობრების ამბებს; სწერს, რომ წარჩინებულმა ქალბატონებმა, მათ შორის, მისმა რძალმა ბარბარემაც, თბილისში ოთხი სკოლა გახსნეს ღარიბი მოსახლეობისთვის და რომ აპრილის დამდეგს ელოდებიან ალექსანდრ ბარიატინსკის თბილისში დაბრუნებას.

- 1862 28 იანვარი**
რაპორტს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და სწერს, რომ საჭიროდ მიიჩნევს თერგის ოლქის ფინანსური და ადმინისტრაციული სტრუქტურების მოწყობას დალესტნის მსგავსად – ყაბარდული, ოსური, ინგუშური და კუმისური უბნების შესაბამისად, თერგის ოლქშიც უბნების მეთაურებად რუსი ოფიცრების დანიშვნას. რაპორტში ორბელიანი, ასევე, საუბრობს იმპერიის სახაზინო სახსრების ოპტიმიზაციისა და ადმინისტრაციულ-პოლიციური მმართველობის გაუმჯობესების მისეულ გეგმაზე.
- 1862 31 იანვარი**
რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ პეტრე ვალუევისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ ათაბეი ატაევსა და უმა დუევს, მცირე ჩეჩნეთისა და არღუნის ოლქის მეთაურობაზე ბანდის წარმომადგენლებს, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ საცხოვრებელ ადგილებად მიუჩინა ერთს ფსკოვის გუბერნია, მეორეს კი – სმოლენსკისა.
- 1862 31 იანვარი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა მის მიერ გაცემული განკარგულებები ლუჩეკისა და აიმაკის სიმაგრეების გაუქმების შესახებ.
- 1862 იანვარი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს იმჟამად უკვე გარდაცვლილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს „ნ..დმი“ („მნათობო, თვით შენ აღმიხსენ...“).
- 1862 3 თებერვალი**
გორიდან იღებს ეკატერინე ერისთავ-წერეთლის წერილს. ადრესანტი ბოდიშს უხდის, რომ იძულებულია, მეორედ შეაწუხოს და დანაპირები შეახსენოს, რადგან 1845 წლიდან უშედეგოდ ეძებს სამართალს თავის განქორწინებასთან დაკავშირებით.
- 1862 12 თებერვალი**
თერგის ოლქის ჯარის მეთაურის – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისგან იღებს რაპორტს, რომლიდანაც იგებს, რომ ის უკმაყოფილოა ვლადიკავკაზში დაარსებული საგანგებო კომიტეტის მუშაობით, რომელსაც უნდა განეხილა ადგილობრივი მოსახლეობის პირადი უფლებები, მიწის ფლობისა და განკარგვის ფორმები და ამით ხელი შეეწყოს მხარის კეთილდღეობისა და სტაბილიზაციისათვის. აცნობებს, რომ ამ კომიტეტის მიერ შედგენილი ცნობები არაზუსტი და ბუნდოვანია, შეუძლებელია მათზე დაყრდნობით პრაქტიკული დასკვნების გამოტანა. ადრესანტი გამოსავლად საგანგებო კომისიის შექმნას მიიჩნევს.
- 1862 12 თებერვალი**
თერგის ოლქის ჯარის მეთაურის – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისგან იღებს რაპორტს და განსახილველად გამოგზავნის ყაბარდოს ოლქში პირადი უფლებებისა და მიწის კანონის დამდგენი კომიტეტის მოქმედების პროგრამას.

- 1862 14 თებერვალი**
 დონის ჯარის ატამანის – გენერალ-ადიუტანტ მიხეილ ხომუტოვისგან იღებს მიმართვას და დავალებას, რომ დონის ჯარში წარმოქმნილი შფოთვის მოთავე დროებით ვალდებულ გლეხთა სია გაუგზავნოს ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს.
- 1862 15 თებერვლამდე**
 ფოტოგრაფ ედუარდ ვესტლის თბილისის ატელიეში იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს.
- 1862 15 თებერვალი**
 თბილისიდან პეტერბურგში ქუთაისელი ლამაზი ქალბატონების ფოტოებთან ერთად თავის ფოტოს, ყაბალახსა და წერილს უგზავნის იმპერატორის კანცელარიის უფროსს, ვასილი დოლოგორუკოვს. ბოდიშს უხდის, რომ ქუთაისელი ფოტოგრაფების გამო დანაპირები უფრო ადრე ვერ შეუსრულა. სთხოვს, რომ მანაც გაუგზავნოს სახსოვრად თავისი ფოტო.
- 1862 15 თებერვალი**
 თბილისიდან პეტერბურგში ქუთაისელი ლამაზი ქალბატონების სურათებთან ერთად თავის ფოტოს, ყაბალახსა და წერილს უგზავნის საიმპერატორო სახლის მმართველ ალექსანდრ ადლერბერგს. სწერს, რომ ფოტოების თითო ეგზემპლარი იმპერატორს გადასცეს, თითო კი თავად დაიტოვოს. სთხოვს, რომ მანაც გაუგზავნოს სახსოვრად თავისი ფოტო.
- 1862 18 თებერვალი**
 თერგის ოლქის ჯარების მეთაურის – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისგან იღებს ვრცელ რაპორტს და იგებს, რომ სოფელ ყუმუხის მცხოვრებთა პირადი უფლებებისა და მიწის კანონის დამდგენმა კომიტეტმა არაკომპეტენტურად და უსამართლოდ განიხილა ამ ადგილას წარმოშობილი ერთი დავა მიწის საკუთრების შესახებ. ამასთან, სთავაზობს საკითხის გადაწყვეტის საკუთარ გზას და სწერს, რომ ელოდება ადრესატის მოსაზრებებსა და მითითებებს.
- 1862 21 თებერვალი**
 სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას იმის შესახებ, რომ ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრ სტროგანოვი ითხოვს, ნოვოროსიის კაზაკთა პოლკიდან არჩეულ 2 დეპუტატს მისცენ იმ ადგილების დეტალურად დათვალიერების უფლება, სადაც უნდა დაასახლონ კაზაკები. აცნობებს, რომ კაზაკ დეპუტატთა უსაფრთხო გადაადგილება, ისევე როგორც მონადირეთა და აზოველ კაზაკთა 800 ოჯახის ჩასახლება დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში დაევალა ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს.

- 1862 26 თებერვალი**
 ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვისგან იღებს მიმართვას, რომელშიც ის აღწერს გადასახლების სირთულეებს – კომუნიკაციების, გზების გაუმართაობას, სავაჭრო პუნქტების არარსებობას, განსხვავებულ კლიმატს, მასობრივად დაავადების რისკს და კაზაკთა შორის ამით გამოწვეულ მღელვარებას. სწორედ ამის გამო ითხოვს, ნება დართონ ორ კაზაკ დეპუტატს, წინასწარ დეტალურად დაათვალიერონ ის ადგილები, სადაც დაგეგმილია მათი გადასახლება, რათა გაარკვიონ საქმის რეალური ვითარება.
- 1862 28 თებერვალი**
 ილია ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს მას, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე ნებართვის მისაღებად და წარუდგენს პროგრამას.
- 1862 თებერვალი**
 ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პროგრამას პეტერბურგში გზავნის დასამტკიცებლად.
- 1862 3 მარტი**
 სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას და იმპერატორის განკარგულებას, რომ საგაზეთო პუბლიკაციით აცნობოს დედაქალაქისა და გუბერნიების უწყებებს კავკასიაში კაზაკთა ჩასახლების პროცესის შესახებ იმ დროს, როდესაც მმართველობა ამის საჭიროებას დაინახავს და ისეთი მასშტაბებით, რომლის გამკლავებაც შესაძლებელი იქნება არსებული სახელმწიფო რესურსებით.
- 1862 9 მარტამდე**
 იღებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ 2 თებერვალს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მისი თბილისში დაბრუნება ოთხი თვით გადაიდო.
- 1862 9 მარტამდე**
 სომხეთის პატრიარქ მატეოს I-ს თბილისიდან გადაჰყავს ადგილობრივი გრიგორიანული ეკლესიის ეპისკოპოსი, პატიოსანი და მცოდნე სასულიერო პირი, სარგის ჯალალიანი, რის გამოც გრიგოლ ორბელიანი უგზავნის წერილს და უკმაყოფილებას გამოთქვამს.
- 1862 9 მარტი**
 იღებს შეტყობინებას, რომ უნკრატლის მიუვალ ადგილებში თავშეფარებული ყაჩაღები რუსეთის მეომრების დაუხმარებლად გაანადგურა ადგილობრივმა ნაიბმა – ხაჯიალავმა.

- 1862 9 მარტი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი თბილისში ჩასვლა კვლავ გადაიდო. ატყობინებს, რომ დადესტანსა და ჩეჩნეთში სიმშვიდეა; ქართველი თავადაზნაურობა საგლეხო რეფორმას შეეგუა და იმდენად აღარ უწუხს გული მის გახსენებაზე. თავის აზრს უზიარებს ეჩმიაძინის პატრიარქის შესახებ. სწერს, რომ ის უნიჭო, ზარმაცი და ანგარებიანია; კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თეატრის საქმე წინ მიიწევეს და, რომ ბანოვანები თავბრუდამხვევად მღერიან.
- 1862 9 მარტი**
 ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვისგან იღებს მიმართვას, რომლითაც იგებს აზოვის კაზაკთა კავკასიაში გადასახლების სამზადისის დეტალებს.
- 1862 9 მარტი**
 გერმანიის ქალაქ ბენდორფიდან იღებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს.
- 1862 15 მარტი**
 ბრძანებას გასცემს ყუბანის ჯარში კაზაკების ვაჭართა საზოგადოებისთვის 550 ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.
- 1862 16 მარტი**
 როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, ოფიციალურად აუწყებს დიმიტრი ყიფიანს, რომ საგლეხო რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით თბილისის მაზრაში უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული აზრი და სურთ, რომ 2 აპრილისთვის დაინიშნოს გუბერნიის თავადაზნაურობის საერთო კრება, რომელზეც სხვა მაზრების წარმომადგენელთა წინადადებებსაც მოისმენენ ერთობლივი აზრის შესამუშავებლად.
- 1862 20 მარტი**
 სახელმწიფო კანცელარია მისი, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, ნებართვის საფუძველზე აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ თხოვნას ქართული ჟურნალის – „საქართველოს მოამბე“ გამოცემის შესახებ იმ პირობით, რომ მასში არ დაიბეჭდება პოლიტიკური სტატიები.
- 1862 26 მარტი**
 მიმართვას უგზავნის ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ სტროგანოვს და სწერს აზოვის კაზაკთა დასავლეთ კავკასიაში გადასახლების პირობების შესახებ.

1862 31 მარტი

მიმართვას უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს და ატყობინებს, რომ კავკასიაში გადასახლების სურვილი გამოთქვა მხოლოდ ერთმა მონადირემ. ამ სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს კაზაკთა არასაკმარის ინფორმირებულობას იმ ადგილების შესახებ, სადაც მათ გადასახლებას უპირებენ. ისინი გადამეტებულად უფრთხიან ველურ კავკასიელ მთიელებთან ახლოს ცხოვრებას. ამ ვითარების გამოსასწორებლად, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ამ ტერიტორიაზე გაგზავნონ კაზაკთა დეპუტაცია და მისცენ მათ ყველა საყურადღებო საკითხის დეტალურად გარკვევის საშუალება.

1862 მარტი

ჟურნალ „ცისკარში“ უსათაუროდ ბეჭდავს იმჟამად უკვე გარდაცვლილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს („თაყვანისმცემელთ როს გუნდი“).

1862 6 აპრილი

წერილს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და ატყობინებს, რომ მისთვის გაუგებარია ბესარაბიისა და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე სტროგანოვის წუხილი აზოვის კაზაკთათვის კავკასიაში არასაკმარისად კარგი პირობების შეთავაზების გამო. ასევე, ეჭვობს, რომ ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს, რომელიც შესანიშნავად იცნობს კაზაკთა ყოფას და ამ ხალხთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს, ისეთი ადგილები შეერჩია, რომლებზეც კაზაკები ვერ შეძლებდნენ ცხოვრებას.

1862 6 აპრილი

ორენბურგისა და სამარის გენერალ-გუბერნატორ მიხეილ ლადიჟენსკისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ ურალის კაზაკთა პოლკიდან კავკასიაში საკუთარი ნებით გადასახლების მსურველი მონადირეების წასახალისებლად ნიკოლოზ ბეზაკმა 30.000 მანეთი განსაზღვრა.

1862 24 აპრილის შემდეგ

წერილს სწერს ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და საყვედურობს, ავადმყოფი რატომ არ მოიკითხა. წუხს, რომ გამოაკლდება გრაფიანია ოლღა პანინა-ლევაშოვასთან გამართულ სადილს.

1862 26 აპრილი

დიმიტრი ყიფიანის მიერ სამეგრელოს მთავრის ინტერესების დაცვის გამო განრისხებული მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსეი კრუზენშტერნს წერილობით საყვედურობს, რომ დიმიტრი ყიფიანი მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან ჯერ კიდევ არ დაუთხოვია. სწერს, დაავალოს გრიგოლ ორბელიანს, რომ მის ნაცვლად საბჭოში დანიშნონ იაგორ სტარიცკი.

1862 26 აპრილის შემდეგ

საზღვარგარეთ მყოფი ალექსანდრე ბარიატინსკი უთვლის, რომ დიმიტრი ყიფიანი გაათავისუფლოს მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან.

- 1862 28 აპრილის შემდეგ**
გერმანიის ქალაქ ბენდორფიდან იღებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტი ჯანმრთელობის გამო შემოდგომამდე ვერ მოახერხებს დაბრუნებას.
- 1862 30 აპრილი**
არ ესწრება თავად-აზნაურთა საგუბერნიო ყრილობას, რომელზეც კენჭს უყრიან და ხელს აწერენ დოკუმენტს გლეხთა განთავისუფლების პირობების შესახებ. ამ დოკუმენტს მხარი დაუჭირა 135-მა ადამიანმა, ხელი კი, გრიგოლ ორბელიანის გარდა, არ მოუწერია მხოლოდ სამ თავადს: გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს, გენერალ-ლეიტენანტ ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და გენერალ-მაიორ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს.
- 1862 8 მაისი**
წერილს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და ატყობინებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა მისი განკარგულება სტავროპოლსა და გეორგიევსკში კაზაკთა პოსტების გაუქმების შესახებ.
- 1862 14 მაისი**
წერილს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და ატყობინებს, რომ კავკასიის კომიტეტის სამხედრო საბჭომ მისთვის განსახილველად წარდგენილი სამი პროექტიდან დაამტკიცა ორი: 1. კავკასიის ქედის დასავლეთ მთისწინეთის რუსული ელემენტებით დასახლების შესახებ და 2. ყუბანის კაზაკთა პოლკში სამხედრო მორიგეობისა და სამხედრო მმართველობისთვის დამატებითი შტატის გამოყოფის შესახებ.
- 1862 15 მაისი**
თავისი ადიუტანტის, პორუჩიკ კოპეევის, ხელით თბილისიდან წერილს უგზავნის ნიკოლოზ ევდოკიმოვს და სთხოვს, რომ ბარათის მიმტანი ყმაწვილი რომელიმე მოქმედ რაზმში განაწესოს. სწერს, რომ აღფრთოვანებულია ადრესატის წარმატებული ექსპედიციით დახოში და იმედს გამოთქვამს, რომ მისი ჯანმრთელობა ხელს არ შეუშლის დასავლეთ კავკასიისთვის საბოლოო დარტყმის მიყენებაში.
- 1862 16 მაისი**
ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორ გრიგოლ ჟუკოვსკისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ აზოვის კაზაკები უარს აცხადებენ შავი ზღვის პირას, მათთვის მითითებულ ადგილას, დასახლებაზე იმ მიზეზით, რომ იქაური მიწა ქვიანი და არანაყოფიერია. ამასთან, იძულებითი გადასახლების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევს საგანგებო დელეგაციის დახმარებით მათ დარწმუნებას იმაში, რომ ეს მცდარი მოსაზრებაა. თუ ისინი ვერ დაარწმუნეს, მაშინ კენჭის ყრის გზით უნდა შეარჩიონ 600 ოჯახი და მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადაასახლონ. ამასთან, ატყობინებს, რომ, საკუთარი საცხოვრებელი მიწის სიმწირის მიუხედავად, მონადირეები უარს აცხადებენ როგორც ყუბანის ოლქში, ისე ნებისმიერ სხვა ადგილას ჩასახლებაზე.

- 1862 19 მაისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ მიმდინარე წელს გართულდება გადასახლებლად გამზადებული სახაზინო გლეხების 700 ოჯახის ჩასახლება კავკასიაში იმის გამო, რომ ისინი დაზამთრებამდე ვერ მოასწრებენ საცხოვრებელი შენობების გამართვას, საქონლის სადგომებისა და თივის ზვინების აღმართვას. ამის შესახებ მალევე უნდა ეცნობოთ გლეხებს. ამასთან, ავალებს, დროულად მიაწოდოს სამხედრო სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი გლეხის ჩასახლებას ვარაუდობს კავკასიაში მომდევნო 1863 წლისთვის.
- 1862 21 მაისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა მისი განკარგულება ყუბანის კაზაკთა პოლკის იმ 25 მეომრის კავკასიაში გადასახლების შესახებ, რომლებიც გლეხთა შორის მღელვარებას თესავდნენ.
- 1862 21 მაისი**
იმყოფება თბილისში და მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისაგან მიღებული წერილიდან იგებს, რომ ის შემოდგომამდე თავის დასთან, ლეონილა ბარიატინსკაია-ვიტგენშტეინისასთან, დარჩება გერმანიაში და სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნდება თბილისში.
- 1862 23 მაისი**
თბილისიდან კურიერის ხელით მოკლე წერილს უგზავნის კონსტანტინე თარხნიშვილს და ატყობინებს, რომ ჭორები კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან ალექსანდრ ბარიატინსკის გათავისუფლების შესახებ უსაფუძვლოა. ასევე, სიხარულით აცნობებს, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წერენ როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთწარმოების ახალ კანონებს.
- 1862 28 მაისი**
გენერალ-გუბერნატორ ნიკოლოზ ბეზაკისაგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ კავკასიაში ურალის კაზაკთა პოლკიდან 33 ოჯახის გადასახლებაა დაგეგმილი.
- 1862 29 მაისი**
სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა მოიწონა ადრესატის მოსაზრებები ყუბანისპირეთის დასახლების შესახებ, მაღლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ 1863 წლის ხარჯების დაგეგმვისას მხედველობაში მიიღებს ამ მოსაზრებებს.
- 1862 30 მაისამდე**
კითხვით მიმართავს ალექსანდრ კრუზენშტერნს, არის თუ არა მართალი, რომ 1857 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოკვლის გამო დახვრეტილი კონსტანტინე დადემჭელიანი დაასაფლავეს ქუთაისის ეკლესიაში, რადგანაც, კანონის მიხედვით, იკრძალება სიკვდილით დასჯილი დამნაშავეის პატივით დაკრძალვა.

1862

30 მაისი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა მისი განკარგულებები, ერთი მხრივ, ქალაქების – ლისოგორსკისა და ბაბუკოვსკის სხვა სოფლების მოსახლეობით დასახლებისა და, მეორე მხრივ, ბაბუკოვსკისთვის „ნეზლობნის“ დარქმევის შესახებ.

1862

30 მაისის შემდეგ

კონსტანტინე დადეშქელიანის დაკრძალვასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანის შეკითხვაზე პასუხის მისაღებად ალექსეი კრუზენშტერნი წერილობით მიმართავს ნიკოლოზ კოლიუბიაკინს და პასუხად იღებს, რომ იგი, მართლაც, დაკრძალეს ეკლესიაში, რადგან გვამის ორმოში დატოვება შეურაცხყოფდა როგორც ქვეყნის ჩვეულებას, ისე – ქრისტიანულ მორალს და სვანეთის მთავრის გავლენიანი ნათესავების მხრიდან დიდ რისხვას გამოიწვევდა.

1862

31 მაისი

აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძისგან იღებს საიდუმლო წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ფსხუელთა საზოგადოება 25 მაისს იმყოფებოდა სოხუმში აფხაზეთის მთავართან შეხვედრაზე, რომ ისინი თანახმა არიან, საგანგებო კომისიის თანხლებით, მოაწონ დათვალიერება აფხაზეთიდან კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით. ატყობინებს, რომ კომისიის გაცილება დაავალა როგორც ხალხში საკმაო გავლენის მქონე თავადებსა და მემამულეებს, ისე – აფხაზური პოლიციის 150-კაციან რაზმს, ესკორტის მეთაურად კი დანიშნა მაიორი ჰასან მარგანი. ადრესანტი აცნობებს, რომ ქუთაისის გუბერნატორმა თავი აარიდა კომისიასთან თანამშრომლობასა და მის უზრუნველყოფას ფინანსური სახსრებით. ამიტომ უმორჩილესად სთხოვს გრიგოლ ორბელიანს, არ დატოვონ კომისია აუცილებელი სახსრებისა და, საჭიროების შემთხვევაში, წამახალისებელი ჯილდოების გარეშე.

1862

31 მაისის შემდეგ

წერილს იღებს თავად დიმიტრი ანდრონიკაშვილისგან. ადრესანტი აცნობებს, რომ მეფისნაცვლის განაწყენების შიშით დიმიტრი ყიფიანი უარს ამბობს ყმათა განთავისუფლების საქმესთან დაკავშირებით არზის შედგენაზე, სხვა ვინმეს ნახვა კი, რომელიც ამ არზას დაწერს, გაუჭირდება.

1862

2 ივნისი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ სამხედრო საბჭოს მიერ განხილული მისი მოსაზრება თერგის ოლქში სამხედრო-სახალხო მმართველობის მართლწესრიგის სპეციალურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაეცა კავკასიის კომიტეტს, რომლის დასკვნითაც, ეს მიდგომა სავსებით შეესაბამება როგორც ადგილობრივ გარემოებებს, ისე ისეთ მმართველობას, რომლის მიზანია კავკასიის დაპყრობილი რეგიონების შინაგანი წყობის გამდიერება. ამ მოსაზრებას ეთანხმება იმპერატორიც.

1862

6 ივნისის შემდეგ

კიდევ ერთ მოკლე ბარათს იღებს თავად დიმიტრი ანდრონიკაშვილისგან. მისი თქმით, გვიან გაიგო, რომ დიმიტრი ყიფიანი უარს ამბობდა ყმათა განთავისუფლებასთან დაკავშირებით არზის შედგენაზე და ნანობს, რომ დიმიტრი ჯორჯაძე გაუშვეს და არ სთხოვეს ამის გაკეთება. შიშობს, რომ ყმებსაც დაკარგავენ და ალაზნის გაღმა მამულებსაც.

1862

22 ივნისი

კოჯრიდან წერილს უგზავნის თავის დეიდაშვილს, ცნობილ გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს, და უკმაყოფილებას გამოთქვამს დიმიტრი ყიფიანის მიერ საგლეხო რეფორმის წესდების დაწერაზე უარის თქმის გამო. გამოსავალს იმაში ხედავს, რომ თავადაზნაურობის წინამძღოლებმა მაზრებში მოაწყონ შეხვედრები და წამოაყენონ წინადადება, ვის ანდობენ წესდების დაწერას. ფიქრობს, რომ ადრესატის მაზრაში, სიღნაღში, ამ მხრივ ყველაზე კარგი ვითარებაა, რადგან მეზატონეების უმეტესობა ერთ აზრზეა. გული სწყდება, რომ, ზოგის თქმით, იმიტომ ჩქარობს ამ საქმის მოგვარებას მის მიერ მეფისნაცვლის მოვალეობის შესრულების პერიოდში, თითქოს ამით ცდილობდეს, რომ ისტორიას დაუტოვოს თავისი სახელი, რეალურად კი აფიქრებს საქმის გადადებით გამოწვეული შედეგი, რომელიც, შესაძლოა, თავადაზნაურობისათვის დამღუპველი იყოს.

1862

25 ივნისის შემდეგ

სიღნაღიდან იღებს წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ სიღნაღელმა თავადაზნაურობამ დიმიტრი ყიფიანს სთხოვა ბატონყმობის გაუქმების პირობებთან დაკავშირებით პროექტის მონახაზის გაკეთება და აპირებდნენ ცალ-ცალკე მიეწერათ საკუთარი აზრი ამასთან დაკავშირებით. წერილში ნათქვამია, რომ სიღნაღის თავადაზნაურობა საქართველოს სხვა რეგიონებზე მეტად არის დამოკიდებული მუშახელზე და ამიტომ ყმების განთავისუფლებით ყველაზე მეტად ის დაზარალდება.

1862

28 ივნისი

კავკასიის არმიას უცხადებს, რომ იმპერატორის ბრძანებით, სოფელ ბაზუკოვსკის ეწოდა ნეზლობნაია.

1862

ივნისის მეორე ნახევარი

წერილს სწერს დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს. ავალებს კატეხსა და ბელაქანში შეტყობინებების გაგზავნას და იქაური სამხედრო დანაყოფების გაფრთხილებას, რომ მტერი ისევ ახლოს არის დამალული და დაცვა გაამდიერონ.

1862

ივნისი

მთელი თვე აწუხებს ნაღვლის ბუშტის ანთება და კოჯრიდან თბილისში ვერ ჩადის.

1862

ივნისი

ჯერ თბილისში, შემდეგ კი კოჯორში რამდენჯერმე ხვდება სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის პატრიარქ მატეოს I-ს, რომელიც უკმაყოფილოა მისი ეპისკოპოსების განუსაზღვრელი თავისუფლებით და სურს კანონში ცვლილების შეტანა.

- 1862 8 ივლისამდე**
იღებს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ 10 მაისს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის თანამდებობიდან არ გადაამდგარა.
- 1862 8 ივლისამდე**
თბილისს ხანმოკლე ვიზიტით სტუმრობს ირანში იტალიის ელჩი და მისი თანმხლები პირები, რომლებსაც, მათივე თხოვნით, ათვალეიერებინებს მეფისნაცვლის სასახლეს, ჰოსპიტალს, ობსერვატორიასა და სხვა ღირსშესანიშნაობებს.
- 1862 8 ივლისი**
კოჯრიდან წერილს უგზავნის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის და ბოდიშს უხდის, რომ პასუხი დაუგვიანა. ატყობინებს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას, საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, სომხეთის პატრიარქთან გამართული საუბრების შინაარსსა და თავის მოსაზრებებს სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.
- 1862 11 ივლისი**
მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და, იმპერატორის მოთხოვნის თანახმად, წარუდგენს მონაცემებს 1863 წლის გადასახლებების წინასწარი გეგმის შესახებ. ატყობინებს, რომ დასავლეთ კავკასიის მთიანეთში ვარაუდობს 3000 ოჯახის ჩასახლებას.
- 1862 13 ივლისი**
იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა, პოლონეთის იმჟამინდელი მეფისნაცვალ-კონსტანტინერომანოვი, 21 ივნისს ვარშავის თეატრიდან გამოსვლისას მასზე განხორციელებული თავდასხმის დროს მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა, გრიგოლ ორბელიანი პოლონეთში კურიერის ხელით გზავნის წერილს, რომლითაც კავკასიის არმიისა და მოსახლეობის სახელით ულოცავს გადარჩენას.
- 1862 18 ივლისი**
ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ხელით კოჯრიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, მოიკითხავს ახლობლებს და სთხოვს ნესვების გაგზავნას.
- 1862 19 ივლისი**
იწონებს საზღვაო დესანტის მიერ სოჭში მეჯლიშის შენობის გადაწვის ოპერაციას და ბრძანებას გასცემს, რომ მსგავსი თავდასხმები კვლავ განახორციელონ.

19 ივლისი

მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ ბოლო წარმატებული მოქმედებები ყუბანის მხარეში და კაზაკი მოსახლეობის ფართომასშტაბიანი ჩასახლება, რაც დასავლეთ კავკასიელ ყველა დაუმორჩილებელ ტომს საბოლოო დარტყმას უქადის, ძლიერ აღელვებთ მთიელებს. ამ გადაწყვეტ მომენტში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებმა ტომებმა გადაწყვიტეს, აზამეხებისთვის ენერგიულად დაეჭირათ მხარი. 26 ივნისს დაახლოებით 4000 კაცისგან შემდგარი მთიელთა რაზმი მალულად დაესხა თავს ლაბის ხაზის უკიდურეს პუნქტს, პსემენსკის, სადაცადგილობრივი მცხოვრებლების გარდა, იმყოფებოდა ყუბანის პოლკის ორი ასეული და 90 ქვეითი. მთიელები სოფელში ყველა მხრიდან ერთდროულად შეიჭრნენ, ცეცხლი წაუკიდეს ჩალით გადახურულ სახლებს, გავრცელებულმა ალმა მეტად გაართულა ხედვა. შესაბამისად, მცველებს გაუჭირდათ სწრაფად რეაგირება. მხოლოდ სათადარიგო ჯარმა შეძლო თავდამსხმელთა მოგერიება. ამ შემთხვევას თავდამსხმელთა მხრიდან 30 ადამიანი ემსხვერპლა, 24 კი დაშავდა. ასევე, ატყობინებს, რომ ნიკოლოზ ევდოკიმოვს დაავალა, ყუბანის კაზაკთა პოლკის საჯარისო თანხიდან 7500 მანეთით დახმარებოდა თავდასხმით დაზარალებულ სოფელს.

3 აგვისტო

წერილს უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. სწერს, რომ მთიელთა თურქეთში ფართომასშტაბიან გადასახლებას სასარგებლოდ მიიჩნევს, თუმცა ურჩევს ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ ეს ღონისძიება, მართალია, დროებით შეამსუბუქებს მათ მოქმედებებს ყუბანის ოლქში, მაგრამ შესაძლოა, სამომავლოდ ერთგვარი გართულებები გამოიწვიოს და რომ ეს სირთულეები ნაწილობრივ უკვე სახეზეა – ყოველ ზაფხულს რამდენიმე ათასი გადასახლებული უბრუნდება ქვეყნის საზღვარს და სახელმწიფოს დამატებითი ხარჯების გაღების აუცილებლობის წინაშე აყენებს. უფრო დიდ პრობლემად ორბელიანი მიიჩნევს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ დაავალდებულონ თურქეთი, ქვეყნის შიდა პროვინციებში ჩაასახლონ მთიელები. შესაბამისად, დიდი ალბათობით, თურქეთის მთავრობა საზღვრისპირა რეგიონებში დაასახლებს მათ, რამაც სამხრეთ საზღვართან, შესაძლოა, ომის პირამდეც კი მიიყვანოს ვითარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ურჩევს, სიფრთხილით მოეკიდონ თურქეთში მთიელთა გადასახლებას. ამავე წერილით ატყობინებს, რომ ნატუხაელები მიმდინარე წელს არ დგამენ თივის ზვინებს არა იმიტომ, რომ გადასახლებას ელოდებიან, არამედ იმიტომ, რომ მათი კუთვნილი მიწების ძირითად ნაწილზე დაასახლეს კაზაკები და, რომ დარჩენილი მცირე მიწით რთულია თავის გატანა. გრიგოლ ორბელიანის აზრით, სახელმწიფო ვალდებულია, ქვეყნის საზღვრებიდან კი არ განდევნოს დამორჩილებული ხალხი, არამედ იზრუნოს მათი ყოფის მოწყობაზე. უმორჩილესად სთხოვს ნიკოლოზ ევდოკიმოვს, რომ ნატუხაელთა ოლქის უფროსს დაავალონ მათთვის მიწების გამოყოფა მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე და, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, შაფსულებისთვის წართმეულ დაბლობზეც.

11 აგვისტო

ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ანდრიან იზიუმსკი გრიგოლ ორბელიანს, როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს უპატაკებს გურიაში არსებული ვითარების შესახებ. სწერს, რომ სამხედრო დანაყოფებს გადააკვტინა გზები, რათა აჯანყებულთა ცალკეული რაზმებისთვის არ მიეცა გაერთიანების საშუალება.

1862 12 აგვისტო

ივანე ანდრონიკაშვილს ატყობინებს, რომ აპირებენ ბატონყმობის გაუქმების ახალი დებულების შედგენას.

1862 14 აგვისტო

ოფიციალურ მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. აცნობებს, რომ მიმდინარე ზაფხულს საჭიროდ მიიჩნევს, მოაწყონ ექსპედიცია სოხუმიდან ფსხუს თემამდე, კავკასიის მთავარი ქედის გადავლით, გარემოს დეტალური დათვალიერების მიზნით, რომ საბოლოოდ დარწმუნდნენ სოხუმისა და ლაზას ხაზის პირდაპირ კავშირში. ატყობინებს იმასაც, რომ აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ მხარდაჭერა აღუთქვა ამ საქმეში და სთხოვა გრიგოლ ორბელიანს, შეექმნა გამოცდილი ოფიცრების, ინჟინრებისა და გენერალური შტაბის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია. შეკრებილი ოფიცრები ივნისის ბოლოს შეხვდნენ აფხაზეთის მთავარს, რომლისგანაც მიიღეს ინსტრუქცია და ესკორტი მაიორ ჰასან მარგანის მეთაურობით. კომისიამ გადაწყვიტა, დოუს უღელტეხილის გადავლით, მდინარე ბზიფის ხეობით, ჩასულიყო ფსხუმდე. ექსპედიცია სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ყუბანის ოლქიდან ბრუნდებოდა დამარცხებული 3000 ახჩიფსხუელი 200 ცხედრითა და დაშავებულებით. კომისიამ თავი აარიდა გამძვინვარებულ მთიელებთან შეხვედრას და, ჰასან მარგანის მითითებით, რამდენიმე დღე დასახლებული პუნქტებისგან მოშორებულ მთიან ადგილებს შეაფარა თავი. იმის გამო, რომ მათ მიერ გასავლელი მარშრუტი მთლიანად დაკავებული იყო ახჩიფსხუელთა ჯგუფების მიერ, კომისიამ კავკასიის მთავარ ქედზე დაშვება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, აღმოსავლეთით მდებარე ცეგერკერის უღელტეხილით გადასულიყო კიაფარში. საბოლოოდ, გრიგოლ ორბელიანი სამხედრო მინისტრს ატყობინებს, რომ დოუს უღელტეხილის გადავლით მდინარე ბზიფის ხეობით ფსხუმდე ჩასვლა, რაც კომისიის მარშრუტით იყო გათვალისწინებული, არც ჩრდილოეთ კავკასიასთან დასაკავშირებლად მიაჩნია ხელსაყრელად და არც ახჩიფსხუელთა და უბიხთა წინააღმდეგ საბრძოლველად. უმჯობესად მიაჩნია წებელდიდან მარუხის უღელტეხილზე გადავლით ჩასვლა ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო ახჩიფსხუელთა და უბიხთა წინააღმდეგ ბევრად ხელსაყრელად თვლის გეზის აღებას ერთ-ერთი ზღვისპირა პუნქტიდან ან კავკასიის ჩრდილოეთ მხრიდან.

1862 21 აგვისტომდე

იღებს გრიგოლ დადიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკი სექტემბერში აპირებს ვისბადენიდან გამომგზავრებას.

1862 21 აგვისტომდე

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისგან იღებს მისი ქალიშვილის – სალომეს ფოტოსა და წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ლონდონში ისინი შეხვდნენ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის.

1862 21 აგვისტომდე

იღუპება მისი ბიძაშვილის – ყაფლან ორბელიანის ვაჟი, დავითი.

- 1862 21 აგვისტო**
კოჯრიდან გორდში წერილს უგზავნის გრიგოლ დადიანს. სწერს, რომ ათი თვეა, თბილისში ნალექი არ მოსულა და სიცხემ გადაწვა ყველაფერი; ატყობინებს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე ლონდონში შეხვედრია ალექსანდრ ბარიატინსკის.
- 1862 27 აგვისტო**
იღებს დიდი მთავრის, კონსტანტინ რომანოვის, მიერ ვარშავიდან 27 ივლისს გამოგზავნილ წერილს. ადრესანტი პატივისცემას გამოხატავს მის მიმართ და მადლობას უხდის ქართველ საზოგადოებას თბილი დახვედრისათვის.
- 1862 30 აგვისტო**
იღებს ინფანტერიის გენერლის წოდებას და ენიშნება ხელფასი 10.000 მანეთის ოდენობით.
- 1862 11 სექტემბერი**
ვრცელ წერილს უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. სწერს, რომ მუსლიმთა გადასახლებას თურქეთში, რომელიც 1858 წელს დაიწყო, წინ უსწრებდა ორ მხარეს შორის ხანგრძლივი დიპლომატიური მიწერ-მოწერა. ოსმალეთის ხელისუფლება ამ ფაქტს არ მიესალმებოდა, გამუდმებით ჩიოდა იმ პრობლემებზე, რომლებსაც უქმნიდნენ მრავალრიცხოვანი გადასახლებულები და ითხოვდა პროცესის შეჩერებას. რუსეთის ხელისუფლება მაშინ იმით იმართლებდა თავს, თითქოს ეს არ იყო გადასახლება და მოსახლეობა საკუთარი ნებით, თავისი ხარჯით მიემგზავრებოდა მექის მოსალოცად, რუსეთის მთავრობა კი უბრალოდ ამის ნებას აძლევდა. გრიგოლ ორბელიანი ევდოკიმოვს უხსნის, რომ ამჯერად, როცა მოსახლეობის გემებზე აყვანა მოხდება არა მათი, არამედ სახელმწიფოს ხარჯით, გასახლების ფაქტი ვეღარ დაიმალება. ამიტომ, აცნობს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ გემების დაქირავება არ გახმაურდეს, თურქეთში გადაყვანა მოხდეს მცირე რაოდენობის ჯგუფებად და სახელმწიფოს ხარჯზე გასახლებას დაექვემდებარონ მხოლოდ რუსეთისადმი დაუმორჩილებელი თემების ოჯახები.
- 1862 17 სექტემბერი**
ვრცელ ოფიციალურ მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. საქმე ეხება ყუბანის ოლქიდან წინა ხაზზე გადასახლებული კაზაკების სახლების გაყიდვით არმიის შემოსავლების შევსებას. სთავაზობს, რომ ამ სახლების შემსყიდველი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული გლეხებისთვის პასპორტების გაცემა მოხდეს სტავროპოლის გუბერნიაში, რადგან ეს უფრო მოსახერხებელი იქნება. წერილთან ერთად გზავნის დოკუმენტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია კაზაკთა სახლების ყიდვა-გაყიდვის, გაფორმებისა და ამასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდის წესები.
- 1862 19 სექტემბერი**
ოფიციალურ მიმართვას უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს და აცნობებს, აზოვისა და ყუბანის ჯარებიდან კაზაკთა რა რაოდენობა აპირებს დასახლებას ახალ სოფლებში.

1862 23 სექტემბერი

ოფიციალურ მიმართვას უგზავნის ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს. რამდენადაც ახალდასახლებული სოფლები შეიძლება დადგნენ სამხედრო დაპირისპირების საფრთხის წინაშე, გადასცემს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის მოსაზრებას, რომ ჩასახლებულთა ერთი მესამედი მაინც უნდა იყოს მეომარი და დაუშვებელია, რომ ეს სახლები გაიყიდოს მხოლოდ გაზეთებით გავრცელებული განცხადებების შედეგად მოზიდულ ისეთ მყიდველებზე, რომლებიც ბრძოლისუუნარონი არიან.

1862 13 ოქტომბერი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან იღებს ოფიციალურ მიმართვას, რომლიდანაც იგებს, რომ 20 სექტემბერს დატყვევებული მაღალი რანგის ოფიცრების განთავისუფლებისთვის მიურიდები დიდ გამოსასყიდს ითხოვენ. სწერს, რომ იმპერატორი ალექსანდრე II კატეგორიული წინააღმდეგია გამოსასყიდის გადახდის და იმედოვნებს, რომ მათ გასათავისუფლებად სხვა ღონისძიებებს მიმართავენ.

1862 17 ოქტომბერი

ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს, რომლითაც გენერალი ატყობინებს, რომ დასავლეთ კავკასიის დაუმორჩილებელი ტომების გამოსვლებმა ხელი შეუშალა, ეწარმოებინა მდინარეების – დიდი და მცირე ლაბას დინებების დაწვრილებითი შესწავლა. სთხოვს, მომდევნო წლამდე დაუტოვოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეითი არმიის ნაწილები და ტოპოგრაფები, რომ შეძლოს აღნიშნული მდინარეების დინებებისა და მათ სათავეებთან მდებარე მთავარ ქედზე გადამავალი უღელტეხილების შესწავლა.

1862 19 ოქტომბერი

ომარ მაჰმადოღლის ხელით თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს ბარათის მიმტანის მფარველობას.

1862 28 ოქტომბერი

სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს უგზავნის მიმართვას და აცნობებს, რომ ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვის მიერ სამხედრო მოქმედებათა ჟურნალში წარმოდგენილი ცნობიდან ცხადი ხდება, რომ შაფსულები თავს დასხნენ ადაგუმის ხაზს და ზარალი მიაყენეს გეორგიევსკის საგუმაგოზე დაბანაკებულ კაზაკებს. დამატებით დასძენს, რომ ამ წარმატებით გამხსნეველმა შაფსულებმა გადაწყვიტეს, თავს დასხმოდნენ ადაგუმის ხაზის ერთ-ერთ მონაკვეთს და ამ გზით შეჭრილიყვნენ ნატუხაის ოლქში. საშემოდგომო სამუშაოების შემდეგ ისინი შეიკრიბნენ და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. ორბელიანი დაწვრილებით აღწერს, მზვერავების საშუალებით როგორ გახდა ცნობილი მათი გეგმა, როგორ დაიჭირეს თადარიგი და 400-კაციანი დანაკარგით როგორ დაამარცხეს აჯანყებული მთიელები. ნიკოლოზ ევდოკიმოვის წარდგინების თანახმად, ის მზადაა, ქვემო ბაკანსკის მეტ-ნაკლებად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ყუბანის კაზაკთა პოლკის თანხიდან გამოყონ 2500 მანეთი. ასევე ატყობინებს, რომ ნიკოლოზ ევდოკიმოვის დამსახურებით, რომელიც პირადად მეთაურობდა მაიკოპიდან ქურჯიფსის ხეობისკენ მიმავალ ჯარებს, ბელორეჩენსკის ხაზზე ბოლო დროს მშვიდობა დამყარდა.

- 1862 ოქტომბერი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს იმჟამად უკვე გარდაცვლილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს „ნ..“ („ჰე საყვარელო ვის მიერ...“).
- 1862 5 ნოემბრამდე**
 იგებს, რომ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკი ვილნოში ავად გამხდარა და ჩერკასკში გზავნის კურიერს, რომ იქიდან ტელეგრაფით შეიტყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამბავი.
- 1862 9 ნოემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს. აცნობებს, რომ მათკენ მომავალი მეფისნაცვალ – ალექსანდრ ბარიატინსკი ავად გახდა ვილნოში და, რომ მისი მდგომარეობის გასარკვევად ჩერკასკში გაგზავნილი კურიერისგანაც იმ დრომდე ვერაფერი შეიტყო. ატყობინებს ნაცნობ-მეგობრების ამბებს და მოიკითხავს ადრესატის თანამებრძოლებს.
- 1862 9 ნოემბრის შემდეგ**
 იღებს დეპეშას, რომლითაც ატყობინებენ, რომ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დარჩენა და მისი თბილისში დაბრუნება საეჭვოა.
- 1862 23 ნოემბერი**
 ბარათს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს და ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ ვერ გასცა პასუხი მის მიერ გაგზავნილ კითხვებზე ბატონყმობის გაუქმების პირობებთან დაკავშირებით.
- 1862 29 ნოემბერი**
 ყუბანის ოლქის ჯარების სარდალ ნიკოლოზ ევდოკიმოვისგან იღებს რაპორტს 20 სექტემბერს შაფსულების რაზმის მიერ დატყვევებული გენერლისა და შტაბს-კაპიტანის საქმის გამოძიების შესახებ, რომლიდანაც იგებს, რომ გენერალი მალევე, 20 ნოემბერს, გარდაიცვალა მძიმე ფიზიკური მოპყრობისა და ცხენიდან ორჯერ გადმოვარდნის გამო. შტაბს-კაპიტანი კი გამოხსნილ იქნა 6600 მანეთის სანაცვლოდ.
- 1862 დეკემბრამდე**
 წერს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან გასაგზავნ წერილს, რომელშიც უკიდურეს წუხილს გამოთქვამს იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ ის კავკასიაში დაბრუნებას აღარ აპირებს.
- 1862 11 დეკემბერი**
 იღებს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის წერილს, რომელიც აუწყებს ალექსანდრ ბარიატინსკის კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მის ნაცვლად დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის, დანიშვნის ამბავს.

- 1862 21 დეკემბრამდე**
 ალექსანდრ ბარიატინსკისთან გზავნის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, რომ დაწვრილებითი ინსტრუქციები ჩამოუტანოს მეფისნაცვლის მოვალეობების შესასრულებლად.
- 1862 21 დეკემბრამდე**
 იმყოფება თბილისში და წერს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინთან გასაგზავნ წერილს. ატყობინებს, რომ ორი წლის განმავლობაში მეფისნაცვლის არყოფნის დროს მისი მოვალეობების შესრულებას ახერხებდა მხოლოდ მეფისნაცვალთან მიმოწერით და მისი მითითებების გათვალისწინებით, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დაგროვდა ისეთი საკითხები, რომლებსაც ალექსანდრ ბარიატინსკი უფრო დაწვრილებით უნდა გაეცნოს და გადაწყვეტილება თავადვე მიიღოს, რისთვისაც მასთან გზავნის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს.
- 1862 21 დეკემბერი**
 იღებს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მდივან ვლადიმერ ბუტკოვის დეპეშას, რომლითაც მას არ ატყობინებენ კავკასიის მეფისნაცვლად მიხეილ რომანოვის დანიშვნის ამბავს, მაგრამ სთხოვენ ამ უკანასკნელის განკარგულებების შესრულებას, რაც ალექსანდრ ბარიატინსკის თანამდებობაზე მისი შესაძლო დანიშვნის ეჭვს აღუძრავს.
- 1862 21 დეკემბერი**
 გაზეთიდან იღებს იმპერატორის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე ალექსანდრ ბარიატინსკის ნაცვლად მიხეილ რომანოვის დანიშვნის შესახებ.
- 1862 22 დეკემბერი**
 იღებსწერილს დიმიტრი მილიუტინისგან, რომელიც აცნობებს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე ალექსანდრ ბარიატინსკის ნაცვლად მიხეილ რომანოვის დანიშვნის ამბავს.
- 1862 24 დეკემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინს. სწერს, რომ კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან ალექსანდრ ბარიატინსკის გათავისუფლებამ ყველას ძალიან დასწყვიტა გული, მაგრამ იმპერატორმა ამ თანამდებობაზე თავისი ძმის, მიხეილ რომანოვის, დანიშვნით დიდი მოწყალება გაიღო. სთხოვს, აცნობოს ახალი მეფისნაცვლის პეტერბურგიდან გამოსვლის დრო, რომ სათანადოდ მოემზადონ მის დასახვედრად.
- 1862 დეკემბრის მეორე ნახევარი**
 ავად არის და მწოლიარეა.
- 1862 30 დეკემბერი**
 გრიგოლ ორბელიანის მიერ სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისგან წერილის მიღებისა და კავკასიაში ახალი მეფისნაცვლის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია თანდათან ვრცელდება ქართულ საზოგადოებაში.

- 1862 დეკემბერი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსებს: „ეპიტაფია-მირზაჯანასი“ და „ჩემი ეპიტაფია“ („როს ვიყავ ცოცხალ“).
- 1862** ირჩევენ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარედ.
- 1863 1 იანვარი**
 ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 12.000 თავადისა და აზნაურის სახელით აპირებენ ალექსანდრ ბარიატინსკისთვის სამადლობელი ადრესის გაგზავნას, კავკასიაში მშვიდობის დამყარებისთვის.
- 1863 2 იანვრამდე**
 თბილისში დაბრუნებული დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც ვილნოში შეესწრო კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის – ალექსანდრ ბარიატინსკის ავად გახდომას და მის მიერ გადადგომის გადაწყვეტილების მიღებას, ამის შესახებ უყვება გრიგოლ ორბელიანს.
- 1863 2 იანვარი**
 წერს ლევან მელიქიშვილისთვის გასაგზავნ წერილს, ულოცავს ახალ წელს და ატყობინებს, რომ კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ მიხეილ რომანოვს თავისი გარემოცვა თან არ მოჰყავს და აპირებს, რომ კავკასიაშივე შეარჩიოს ადამიანები, რომლებიც მის მართვაში დაეხმარება. ფიქრობს, რომ ეს გონივრული გადაწყვეტილებაა. წერილის წერისას აღმოაჩენს, რომ შემახიისკენ მიმავალი ფოსტა უკვე გასულია და წერას აღარ ამთავრებს.
- 1863 დასაწყისი**
 როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, უზრუნველყოფს სატელეგრაფო ხაზის – თბილისი – ვლადიკავკაზი – სტავროპოლი გაყვანას.
- 1863 5 იანვარი**
 ცარსკოე სელოდან იღებს კავკასიის მეფისნაცვლად ახალდანიშნული დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის, წერილს. იგი წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ალექსანდრ ბარიატინსკი ჯანმრთელობის გამო ვეღარ ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას, მადლობას უხდის გრიგოლ ორბელიანს ყოფილი მეფისნაცვლის არყოფნის ჟამს კავკასიისა და მისი არმიის მართვა-გამგებლობისათვის და იმედს გამოთქვამს, რომ თავადაც მალე გაერკვევა ადგილობრივ საქმეებში და შეძლებს ამ საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულებას.
- 1863 5 იანვარი**
 ასრულებს ლევან მელიქიშვილისთვის გასაგზავნი წერილის წერას, უყვება, რომ ალექსანდრ ბარიატინსკის ჯანმრთელობა ისევ გაუარესებულა და, რომ სიკვდილით დასჯილი კონსტანტინე დადეშქელიანის ცხედრის ეკლესიაში გადასვენების გამო ქუთაისის გუბერნატორ ნიკოლოზ კოლიუბაკინს თანამდებობიდან გათავისუფლებას უპირებენ.

- 1863 5 იანვარი**
იღებს რუსი მწერლის – ვასილი ინსარსკის დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ ახალი მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში გამოემგზავრება პეტერბურგიდან.
- 1863 25 იანვარი**
იღებს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის მიერ გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ მეორე დღეს მასთან გაგზავნიან კურიერს და შეატყობინებენ კავკასიის ახალი მეფისნაცვლის პეტერბურგიდან გამგზავრების თარიღს. ბარათში, აგრეთვე, საუბარია თურქეთთან ურთიერთობასა და სხვა საერთაშორისო საკითხზე.
- 1863 28 იანვრამდე**
იღებს დიმიტრი ყიფიანის წერილს და იგებს, რომ სანამ თავადაზნაურობა, რომელთაგანაც ყიფიანმა მათი აზრების მიწოდება მოითხოვა, ამ თხოვნას არ შეუსრულებს, წესდებას ვერ დაწერს.
- 1863 28 იანვარი**
თბილისიდან წერილს უგზავნის დეიდაშვილს, გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს, და შემოფოთებას გამოთქვამს საგლეხო რეფორმის წესდების შემუშავების ასეთი გაჭიანურების გამო. შიშობს, რომ ახალმა მმართველობამ ეს საქმე ისეთ პირებს არ გადასცეს მოსაგვარებლად, რომლებმაც არ იციან საქართველოში თავადაზნაურობისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულება.
- 1863 იანვარი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს: „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“) და „ჩემი ეპიტაფიის“ ჩასწორებულ ვარიანტს.
- 1863 1 თებერვლის შემდეგ**
იღებს დეიდაშვილის, ივანე ანდრონიკაშვილის, წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ ყმათა განთავისუფლებასთან დაკავშირებით მან საკუთარი მოსაზრებები წერილობით ჩამოაყალიბა, გაასწორებინა რამაზ ანდრონიკაშვილს და გაუგზავნა დიმიტრი ყიფიანს.
- 1863 5 თებერვალი**
მიემგზავრება სტავროპოლში კავკასიის ახალი მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მისაგებებლად.
- 1863 12-13 თებერვალი**
ჩადის სტავროპოლში, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელებთან, კავკასიის მთავარი შტაბისა და მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს წევრებთან ერთად დახვდეს კავკასიის ახალ მეფისნაცვალს, მიხეილ რომანოვს.
- 1863 13 თებერვლის შემდეგ**
წერილს სწერს ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. აცნობებს, რომ სადილად იყო დიდ მთავარ მიხეილ რომანოვთან და ისიც მოიკითხეს.

- 1863 თებერვალი**
 ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „პუმკინის მიზაძვა“ („სიცოცხლე ფუჭო...“).
- 1863 თებერვალი**
 ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ბეჭდავს ლექსს „ლოთური მუხამბაზი“.
- 1863 20 მარტის შემდეგ**
 წერს გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე გლეხთა განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით წარმოსათქმელ სიტყვას. ისარეწინააღმდეგება იმპერატორის გადაწყვეტილებას საგლეხო რეფორმასთან მიმართებით, მაგრამ ამას საქართველოს ცხოვრების ძველი წესის „დაქცევას“ უწოდებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მიმართავს, რომ არ გაკიცხონ არც ისინი, ვინც შეთავაზებული პროექტის წინააღმდეგ გამოვა.
- 1863 მარტი**
 ანტონ ფურცელაძე ჟურნალ „ცისკარში“ „ქერელი ბექას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ლიტერატურა, „საქართველოს მოამბე“, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები“ აღტაცებას გამოხატავს გრიგოლ ორბელიანის ლექსით „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“).
- 1863 27 აპრილის შემდეგ**
 იმყოფება თბილისში და იღებს ალექსანდრე საგინაშვილის მიერ 27 აპრილს გაგზავნილ წერილს, რომლითაც ადრესანტი სთხოვს, რომ თბილისის სამხედრო გუბერნატორის სამმართველოს უფროს ადიუტანტად სამსახური დააწყებინოს მის ძმისწულს, ივანე საგინაშვილს.
- 1863 27 აპრილის შემდეგ**
 თბილისიდან საპასუხო მოკლე წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ურჩევს, რომ არ ღირს მისი ძმისწულის, ივანე საგინაშვილის, პოლკიდან გამოყვანა კანცელარიაში სამსახურის დასაწყებად.
- 1863 16 მაისი**
 რამაზ ანდრონიკაშვილი, გრიგორ ორბელიანის რჩევის თანახმად, სწერს დიმიტრი ყიფიანს, რომ რუსეთის მსგავსად, საჭიროა ქართველმა თავადაზნაურობამაც მიართვას ადრესი დიდ მთავარს, მიხეილ რომანოვს.
- 1863 მაისი**
 გიორგი წერეთელი ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ცისკარს რა აკაკანებდა“ აღნიშნავს, რომ გრიგოლ ორბელიანი თავის პოეზიაში საუკეთესოდ ჭვრეტს რეალურ ცხოვრებას.
- 1863 3 ივნისამდე**
 იოსებ თარხან-მოურავი გრიგოლ ორბელიანს აბრალებს, თითქოს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი მის ძმას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად ნიშნავდა და გრიგოლმა გადააფიქრებინა.

- 1863 3 ივნისამდე**
მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს აკითხავს თეთრიწყაროში, სადაც ის აცნობს სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის წერილს პოლონეთში ვითარების დამაბვის შესახებ.
- 1863 3 ივნისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ლევან მელიქიშვილს, უყვება ქალაქის ამბებს და შესჩივის, რომ თავადაზნაურობა ბრმად ენდობა დიმიტრი ყიფიანს და წაუკითხავად აწერს ხელს მის მიერ შედგენილ გლეხთა განთავისუფლების პროექტს.
- 1863 ივნისი**
კავკასიის მთავრობა ავალებს ზაქათალის მაზრაში სიმშვიდის დამყარებას. არეულობა გამოიწვია ჰაჯი-მურთუზის აჯანყებამ, გენერალ-მაიორ სიმონ შალიკაშვილის მკვლელობამ და ზაქათალის ციხეში სამხედრო დაპირისპირებამ. გრიგოლ ორბელიანი მალევე ატარებს სათანადო ღონისძიებებს, გასცემს განკარგულებებს, ადგენს მოქმედების გეგმას და განსახილველად უგზავნის მთავრობას. გეგმა მოწონებას იმსახურებს.
- 1863 13-15 ივლისი**
ამტკიცებს სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ზაქათალის მაზრაში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ და უზრუნველყოფს დადგენილების აღსრულებას.
- 1863 19 აგვისტო**
თეთრიწყაროდან იღებს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს, რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, დახვედრის ორგანიზებას და მის თანხლებას.
- 1863 24-26 აგვისტო**
ფოთში ხვდება რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრეს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვს, და ამაღასთან ერთად მიემგზავრებიან ქუთაისში.
- 1863 25-27 აგვისტო**
რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრესთან, ნიკოლოზ რომანოვთან, და ამაღასთან ერთად გადადის და ღამით რჩება სურამში.
- 1863 26-27 აგვისტო**
ორგანიზებას უწევს რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ რომანოვის, საზეიმო დახვედრას გორში. ღამეს ათევენ მცხეთაში.
- 1863 27-29 აგვისტო**
რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრესთან, ნიკოლოზ რომანოვთან, და ამაღასთან ერთად დილით საზეიმოდ შედის თბილისში, ესწრებიან ღვთისმსახურებას სიონის ტაძარში და სტუმრის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებას.

- 1863 30 აგვისტო**
ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზ რომანოვთან ერთად ჩადის თეთრიწყაროში მეფისნაცვლის ვაჟის, გიორგი რომანოვის, ნათლობაზე.
- 1863 22 სექტემბერი**
იღებს დეპეშას, რომელიც ატყობინებს, რომ კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ფოთიდან პატარა გემით გაემგზავრა სოხუმისკენ, სადაც თავს იყრის მთელი სამეფო ოჯახი.
- 1863 23 სექტემბრამდე**
თბილისის თეატრში ესწრება საბალეტო წარმოდგენას და ძალიან მოსწონს.
- 1863 23 სექტემბრამდე**
რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრეს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვს, ჩუქნის ხანჯალს, ყაბარდოულ მათრახსა და ყაბალახს.
- 1863 23 სექტემბერი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ჭავჭავაძეს, ულოცავს პოლკოვნიკობას და ატყობინებს, რჯულის კანონის მიხედვით, მეუღლეთა კანონიერი განქორწინების პირობებს.
- 1863 სექტემბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „სავათნავას მიბაძვა“ („ჭიანურო, მაღლად, ტკბილად დაუკარ...“).
- 1863 ოქტომბერი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს თავისი ბიძაშვილის – სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისადმი მკერავ ბეჟან უმიკაშვილის სახელით მიძღვნილ ლექსს „სალ...ბეჟანას მაგიერ“.
- 1863 12 ნოემბერი**
ქეიფობს ისაკ თუმანიშვილთან და მოკლე წერილს სწერს ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. სთხოვს, თავად თუ არ უნდა კოდიდან თბილისში ჩამოსვლა, ქმარი – ალექსანდრე საგინაშვილი მაინც გაუშვას.
- 1863 16 ნოემბრამდე**
იგებს თავისი დეიდაშვილის შვილის – არჩილ ანდრონიკაშვილის გარდაცვალების ამბავს და უდროოდ წასულ ახალგაზრდასთან ერთად ძალიან ეცოდება უიმედოდ დარჩენილი მამამისი – ივანე ანდრონიკაშვილი.

- 1863 16 ნოემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის დაღესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს. ატყობინებს, რომ ვრცელდება ხმები ალექსანდრ ბარიატინსკის ჯვრისწერისა და პურის გამვირების შესახებ. ასევე, სწერს, რომ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი ემზადება პეტერბურგში გასამგზავრებლად და იმპერიის მმართველობის დასარწმუნებლად, რომ საგლეხო რეფორმის დროს ფული და მამულები თავადაზნაურობას უნდა დარჩეს. ნერვიულობს, რომ ავტორიტეტული მიურიდების დიდი ნაწილი თავს თურქეთში იყრის, რაც სამომავლოდ საფრთხეს წარმოადგენს.
- 1863 11 დეკემბერი**
 იღებს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე ნიკოლაის წერილს და იგებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს სურს გრიგოლის დანიშვნა თბილისის საქალაქო პოლიციის რეორგანიზაციისთვის წარდგენილი პროექტების განმხილველი კომისიის თავმჯდომარედ. წერილს თან ახლავს კომისიის სავარაუდო წევრთა სიაც.
- 1863 14 დეკემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე ნიკოლაის. ატყობინებს, რომ პატივად მიიღებს თბილისის საქალაქო პოლიციის რეორგანიზაციის პროექტების განმხილველი კომისიის თავმჯდომარეობას და სავსებით ეთანხმება წევრობის კანდიდატთა წარმოდგენილ სიასაც, მაგრამ სთხოვს, წევრებს დაამატონ ივან ახესალომოვი, რომელიც მასთან მსახურობს საგანგებო დავალებათა შემსრულებლად და კარგად იცნობს ქალაქის მმართველობის დეტალებს.
- 1863 დეკემბერი**
 საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით მემამულეთა უმრავლესობის სახელით შექმნილი პროექტის გვერდით, გრიგოლ ორბელიანი, 13 სხვა თავადთან ერთად, შეიმუშავენ „უმცირესობის პროექტს“ და დამოუკიდებლად წარადგენს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში. უმრავლესობის დოკუმენტისგან იგი დიდად არ განსხვავდება. ამ პროექტის მიხედვითაც გლეხები უმიწოდ უნდა განთავისუფლებულიყვნენ და უნდა ჰქონოდათ უფლება მხოლოდ მოძრავ ქონებაზე.
- 1863** ჯილდოვდება პრუსიის სამეფოს წითელი არწივის ორდენით.
- 1863** ჯილდოვდება არწივის ჯვრით.
- 1863** ჯილდოვდება წმინდა მავრიკისა და ლაზარეს იტალიური ორდენით, რომელსაც დიდი ჯვრის ფორმა აქვს და შემკულია ლენტით.
- 1863** ჯილდოვდება 10 600 დესეტინა მიწის ნაკვეთით.

- 1863** მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან ათავისუფლებს დიმიტრი ყიფიანს, მაგრამ ოფიციალურად აფორმებს, რომ ეს ყიფიანისავე თხოვნის საფუძველზე მოხდა.
- 1864** **-დან**
წერს განმარტებას ხიზნების შესახებ.
- 1864** **-დან**
თავის ბიძაშვილს – ეკატერინე ორბელიან-ერისთავისას ურჩევს, რომ შვილიშვილები სასწავლებლად გიმნაზიაში არ შეიყვანოს, რადგან იქ მორალური თვალსაზრისით ცუდი გარემოა. მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა გიმნაზიის მოსწავლე ვაჟმა გიმნაზიის მოსწავლე გოგონა გაიტაცა.
- 1864** **5 იანვრამდე**
იგებს, რომ მისი ბიძაშვილის – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის ქმარს, ყუბანის კაზაკთა არმიის ყოფილ ატამანს, ნიკოლოზ ივანოვს, რაღაც ბრალდებებს უყენებენ. გრიგოლ ორბელიანი, ასევე, იღებს მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ საფუძველიანად უარყო ივანოვმა წაყენებული ბრალდებები საგამომიებო კომისიაზე.
- 1864** **5 იანვარი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილების უფროსს – ვლადიმერ ლევაშოვს და იმის დასადასტურებლად, რომ ნიკოლოზ ივანოვს მეფისნაცვლის წინაშე ტყუილად დასდეს ბრალი, უგზავნის საგამომიებო კომისიაზე მის მიერ მიცემულ ჩვენებას.
- 1864** **6 თებერვალი**
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის დავალებით სწერს, რომ მისი გამოცდილება და ადგილობრივი ვითარების ცოდნა ძალიან გამოადგებათ საგლეხო საქმეების მოსაგვარებლად შექმნილ ცენტრალურ კომიტეტში და სთხოვს, დაესწროს სხდომებს მემამულეების მონაწილეობით, რომლებზეც განხილული იქნება საგლეხო რეფორმის საკითხები.
- 1864** **16 თებერვალი**
გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობაზე როდესაც ცხადდება, რომ წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭს იყრის დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი საპროტესტო სიტყვით გამოდის და ამბობს, რომ აზნაურის არჩევა ამ თანამდებობაზე და, თან სამსახურიდან გაგდებულისა, საზოგადოების შეურაცხყოფაა. ამ ბრალდებასთან დაკავშირებით დიმიტრი ყიფიანი დამსწრეთ განუმარტავს, რომ, მართალია, იგი წინა წელს სამსახურიდან თავად მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ ორბელიანმა გადააყენა, მაგრამ გააფორმეს ისე, თითქოს ეს მოხდა ყიფიანისავე ნებით. ამიტომ, იგი სამსახურიდან გაგდებულად ვერ ჩაითვლება. გრიგოლ ორბელიანი და მისი ოცდაათამდე თანამოაზრე უარს ამბობენ კენჭისყრაში მონაწილეობაზე, დიმიტრი ყიფიანს კი ირჩევენ 273 ხმით 4-ის წინააღმდეგ.

- 1864 16 თებერვლის შემდეგ**
თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნების შედეგებზე ძალიან ნერვიულობს და ავად ხდება.
- 1864 16 თებერვლის შემდეგ**
იღებს დიმიტრი ყიფიანის ბარათს, რომელშიც ავტორი სწერს, რომ უკვე თავადაზნაურობის წინამძღოლია და საზოგადო საქმეებისთვის მისგან შემწეობას ითხოვს.
- 1864 თებერვალი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს იმჟამად უკვე გარდაცვლილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსებს: „ნ..დმი“ („მნათობო, თვით შენ აღმიხსენ...“) და „ახ, ვითა გშვენის...“.
- 1864 14 მარტი**
წმინდა ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების სახელით ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა წერილობით სთხოვს დახმარებას ამავე სახელობის სასწავლებლის სასარგებლოდ ლატარეის 100 ბილეთის გავრცელებაში.
- 1864 მარტის ბოლომდე**
თვე-ნახევრის განმავლობაში ავადმყოფობს. მის სანახავად მიდის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი და ამშვიდებს, რომ დიმიტრი ყიფიანს თავადაზნაურობის წინამძღოლად არ დაამტკიცებენ.
- 1864 20 მაისი**
თბილისში მასთან მიდის ახტის ყადის – მუსლიმთა სასულიერო მსაჯულის შვილი და შესჩივის, რომ მათ ოჯახს ეს წოდება ჩამოართვეს. გრიგოლი ცდილობს აუხსნას, რომ ეს საკითხი თემირხანშურის ან დერბენდის მმართველთა გადასაწყვეტია, მაგრამ, როცა ვერ აგებინებს, მოკლე წერილს ატანს დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროს დიმიტრი ჯორჯაძესთან თხოვნით, რომ მან გაარკვიოს საქმის ვითარებაში.
- 1864 მაისი-ივნისი**
თავის შეხედულებებს მოსალოდნელი საგლეხო რეფორმის შესახებ წერილობით აყალიბებს ტექსტში: „ჩემი ჰაზრი ბატონყმობის საქმეზე“.
- 1864 ივნისის შემდეგ**
თავის შეხედულებებს მოსალოდნელი საგლეხო რეფორმის შესახებ წერილობით აყალიბებს ტექსტში: „განთავისუფლებისათვის გლეხთასა მებატონეთ ყმობისაგან და სამჯობინაროდ მათის მდგომარეობისა“.
- 1864 11 ივლისი**
თეთრიწყაროში ესწრება ოლღა ბადენელ-რომანოვის სახელობის დღის აღსანიშნავ გრანდიოზულ წვეულებას და მეჯლისს, რომელზეც სხვადასხვა მხარიდან ჩასული წარჩინებული საზოგადოებაა მისული და ღამის 3 საათამდე გრძელდება.

- 1864 20 ივლისი**
 ჯილდოვდება წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენზე დასამაგრებელი ალმასის ნიშნით.
- 1864 21 ივლისამდე**
 პოლკების დღესასწაულებთან დაკავშირებით მოგზაურობს მანგლისსა და თეთრიწყაროში.
- 1864 21 ივლისამდე**
 კოჯორში სტუმრობს ბიძაშვილს – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისას და აღფრთოვანებულია იმით, თუ, როგორ თავისუფლად საუბრობენ მისი შვილები გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად.
- 1864 21 ივლისამდე**
 ჯილდოვდება ალექსანდრე ნეველის სახელობის ბრილიანტის ვარსკვლავით.
- 1864 21 ივლისამდე**
 თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, ორჯერ უგზავნის თანხას, ერთხელ გენერალ ივან კოლოსოვსკის, მეორედ კი სავაჭრო დარგში მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მრჩევლის ცოლის – შარლოტა გიუტიხის ხელით.
- 1864 21 ივლისი**
 იმყოფება კოდაში და იღებს ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინის, წერილს, რომლითაც შეიტყობს, რომ ბორჯომში სამკურნალოდ წასული ლევან ჩოლოყაშვილი უმძიმეს მდგომარეობაშია.
- 1864 21 ივლისი**
 კოდიდან წერილს უგზავნის თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, სწერს, რომ კოდა მოსწონს, ადგილიც შერჩეული აქვს და, წყალი რომ იყოს, სიამოვნებით ააშენებდა სახლს. დაწვრილებით სწერს ნათესავ-მეგობრების ამბებს. ატყობინებს, რომ მისი ბიძაშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანი, აპირებს გათხოვილი ქალის – ნინო აბაშიძე-მაისურაძის ცოლად მოყვანას. სწერს, რომ მრავალცოლიანობა მუსლიმებთან მაინც დაშვებულია, მრავალქმრიანობა კი სრულ საშინელებად მიაჩნია.
- 1864 27 ივლისი**
 მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის შვილები: ნიკოლოზი, ანასტასია, მიხეილი და გიორგი ბორჯომიდან ყირიმისკენ მგზავრობისას გზად კოდაში შეივლიან გრიგოლ ორბელიანთან, ისვენებენ, საუზმობენ და გზას აგრძელებენ.
- 1864 28 ივლისი**
 მოელის მიხეილ რომანოვის ბორჯომიდან ჩასვლას და მის დასახვედრად საგანგებოდ ჩადის თბილისში, მეფისნაცვალი და მისი მეუღლე კი კოდაში გაივლიან მის სანახავად, რადგან იციან, რომ იქ ისვენებს.

- 1864 4 აგვისტო**
კოდაში აკითხავს ძველი ჩეჩენი ნაცნობის – საყის შვილიშვილი და სთხოვს დაეხმაროს სამსახურის შოვნაში.
- 1864 5 აგვისტო**
კოდიდან წერილს უგზავნის დალესტნის სამოქალაქო სამმართველოს კანცელარიის უფროსს – დიმიტრი ჯორჯაძეს და ატყობინებს, რომ კოდაში მიაკითხა მისი ძველი ჩეჩენი ნაცნობის – საყის შვილიშვილმა. ბაბუამისი შამილის მოწინააღმდეგე იყო და მასთან ბრძოლაში თავისი ორივე ვაჟი დაკარგა. უმამოდ დარჩენილი შვილიშვილი მან გაზარდა, მაგრამ შემდეგ თავადაც გარდაიცვალა. გრიგოლი სთხოვს ადრესატს, რომ ამ ყმაწვილს რაიმე სამსახური უშოვოს. სწერს, რომ დაიღალა ქალაქის ცხოვრებითა და საქმეებით და უნდა, რომ კოდაში ცოტა დაისვენოს.
- 1864 7-11 აგვისტო**
პეტერბურგში მიმავალი მეფისნაცვლის ყოფილი თანაშემწის, ალექსანდრ კარცოვისა და მისი ოჯახის გამოსამშვიდობებლად იმყოფება კოჯორში თავის ბიძაშვილ ეკატერინე ორბელიან-ივანოვისასთან. ყოველდღე ესწრება პიკნიკებსა და სხვადასხვა ოჯახში გამართულ მუსიკალურ საღამოებს.
- 1864 11 აგვისტო**
კოჯრიდან ბრუნდება კოდაში, სადაც ხვდება თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწულის – გიორგი ორბელიანის წერილები. იგებს, რომ ისინი ჟენევაში გადასულან და გიორგისთვის რუსი მასწავლებლები აუყვანიათ.
- 1864 12 აგვისტომდე**
კოდაში სტუმრობს თეორიწყაროდან ყირიმში მიმავალი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილების უფროსის ვლადიმერ ლევაშოვის მეუღლე – ოლღა პანინა-ლევაშოვისა.
- 1864 12 აგვისტო**
კოდიდან ჟენევაში წერილს უგზავნის თავის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ჟენევაში გადასულან და რუსი მასწავლებლები უშოვნიათ. ურჩევს, რომ მის ძმისწულს ყველა საგანი რუსულად ასწავლონ, უცხო ენებს კი სიტყვიერების გაკვეთილებით დაეუფლოს. დროის ხარჯვად მიაჩნია, როდესაც ყველა საგანს უცხო ენაზე ასწავლიან. სთხოვს, იზრუნოს შვილის სულიერ აღზრდაზე, რაც უმნიშვნელოვანესია. ჰპირდება, რომ თანხას გარკვეული გრაფიკით გაუგზავნის.
- 1864 28 აგვისტო**
კოდიდან მოკითხვის მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და საზამთროებისათვის მადლობას უთვლის ბიძია ალექსანდრეს.

- 1864 7 სექტემბერი**
იმყოფება კოდაში, ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილების სახლში. წერილს სწერს ალექსანდრე საგინაშვილს და ხუმრობით, საქმიანი ანგარიშივით, მუხლებად აღნუსხავს, რა ვითარება იყო მის კარ-მიდამოში გრიგოლ ორბელიანის იქ სტუმრობის დროს.
- 1864 8 სექტემბერი**
ალექსანდრე საგინაშვილისთვის 7 სექტემბერს დაწერილ ბარათზე აკეთებს მისი მეუღლის – ბარბარესთვის განკუთვნილ მინაწერს და წერილს გზავნის.
- 1864 8 სექტემბერი**
თბილისისკენ ამგზავრებს რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და მის დისწულს, ანასტასია ჩერქეზიშვილს.
- 1864 8 სექტემბრის შემდეგ**
კოდიდან წერილს უგზავნის სიმეს, ალექსანდრე საგინაშვილს, და აცნობებს, რომ მომდევნო დღეს კოდიდან თბილისში ბრუნდება და ესტუმრება.
- 1864 8 სექტემბრის შემდეგ**
კოდიდან ბრუნდება თბილისში.
- 1864 9-11 სექტემბერი**
მოკლე ბარათს იღებს გარდაცვლილი გიორგი დავითის ძე ერისთავის მეუღლის, მართა თარხან-მოურავ-ერისთავისაგან, რომელიც სთხოვს, რომ 12 სექტემბერს მივიდეს გარდაცვლილის ცხედრის გადასვენებაზე დასასწრებად გორში. გრიგოლ ორბელიანი წერილის ფურცელზევე აწერს, რომ მან უდროოდ დაკარგა საყვარელი და გულითადი მეგობარი და, რომ საქართველოც უნდა გრძნობდეს, ვინ განშორდა საუკუნოდ.
- 1864 18 სექტემბერი**
თბილისიდან ჟენევაში გენერალ ივანე კოლოსოვსკის ხელით 200 მანეთს უგზავნის თავის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და 340 მანეთს მის ვაჟს – გიორგი ორბელიანს.
- 1864 4 ოქტომბერი**
იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის და მისი ვაჟი გიორგი ჟენევაში არიან.
- 1864 8 ოქტომბრის შემდეგ**
ბარონ ალექსანდრ ნიკოლაისგან იგებს, რომ ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა 8 სექტემბერს იმყოფებოდა პარიზში და უკვირს, რომ რძალმა ამის შესახებ არ შეატყობინა.
- 1864 18 ოქტომბრამდე**
თბილისში ჩასული ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისგან იგებს, რომ მისი და – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა აპირებს ინგლისში გადასვლას.

- 1864 19 ოქტომბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ის ჟენევიდან პარიზში წასულა და ახლა ინგლისში აპირებს გადასვლას. გრიგოლს არ უნდა, რომ გარდაცვლილი ძმის ერთადერთი ვაჟის უკანასკნელი სახსრები მოგზაურობაში დაიხარჯოს და არა შესაფერისი კარ-მიდამოს შეძენასა და განათლებაში და ამაზე თავის რძალს დელიკატურად მიანიშნებს.
- 1864 27 ნოემბერი**
 თბილისიდან ლონდონში გენერალ ივან კოლოსოვსკისა და გიორგი ერვიეს ხელით პენსიის 840 მანეთს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და 250 მანეთს მის ვაჟს – გიორგი ორბელიანს.
- 1864 28 ნოემბერი**
 მამის – დიმიტრი ყიფიანისთვის პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ყიფიანი გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ გლეხთა განთავისუფლების გამოცხადების დროს გრიგოლ ორბელიანმა და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა ისე დაიჭირეს თავი, თითქოს ამ საქმეში რაიმე წვლილი ჰქონდათ შეტანილი.
- 1864 10 დეკემბრამდე**
 ლონდონიდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ორ წერილს და იგებს, რომ ის და მისი ვაჟი ინგლისის დედაქალაქში დასთან – ნადეჟდა ბაგრატიონ-გრუზინსკაიასთან ცხოვრობენ.
- 1864 10 დეკემბერი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და კმაყოფილებას გამოთქვამს მისი ლონდონში დაბინავებით, რადგან იქ თავის დასთან იქნება. ატყობინებს, რომ ხშირად კითხულობენ მეფისნაცვალს, მისი მეუღლე და ნათესავ-ახლობლები.
- 1864** იღებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის წერილს და მის მოსაზრებას მუსლიმთა სამღვდელთაზე.

1864 წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის და ატყობინებს თავის შეხედულებებს მუსლიმთა სამღვდელოებასთან დაკავშირებით. გრიგოლ ორბელიანის აზრით, მუსლიმებს თითქმის ყოველ მეჩეთთან აქვთ გახსნილი სასწავლებლები და ხელისუფლების მიზანი არა მათი კიდეც უფრო გამრავლება, არამედ ისეთი სასწავლებლების გახსნა უნდა იყოს, რომლებშიც სავალდებულო იქნება რუსული ენის სწავლება, თუმცა გონივრულად მიიჩნევს თბილისში მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნას, სადაც სარწმუნოებასთან ერთად დაეუფლებიან აღმოსავლურ ენებს. მიიჩნევს, რომ ალექსანდრე ბარიატინსკის პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა მუსლიმი სამღვდელოების ფენის მოსპობას, უშედეგო იყო. მეორე უკიდურესობას წარმოადგენდა ნიკოლოზ ხანიკოვის მოსაზრება, რომელიც ამ სამღვდელოებისთვის საჭიროზე მეტი უფლების მინიჭებას უჭერდა მხარს. გრიგოლ ორბელიანის აზრით, პრობლემა ის არის, რომ მუსლიმებთან სასულიერო წოდება ითავსებს მართლმსაჯულებასაც და მისი გაუქმების შემთხვევაში მოსახლეობა დარჩება იმ სამოქალაქო სამართლის იმედად, რომელიც კორუმპირებული და რუტინულია. ამიტომ, ის არ არის ამ წოდების გაუქმების მომხრე, მაგრამ მიიჩნევს, რომ მათი უფლებები შეუზღუდავი არ უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით საუკეთესოდ მიიჩნევს ადრესატის მოსაზრებებს.

1864 კრებულ „ჩონგურში“ ბეჭდავს ლექსებს „ლოთური მუხამბაზი“ და „იარალისადმი“.

1864 იმყოფება კოდაში და გოეთეს ლექსს „Wanderers Nachtlied“ თარგმნის მიხეილ ლერმონტოვის შუალედური თარგმანიდან „Горные вершины“, სათაურით „მთანი მაღალნი“.

1864 იღებს წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენს.

1864 წერილთან ერთად ცუდად ნათარგმნ თავის საწესდებო სიგელს უგზავნის სიძეს, ალექსანდრე საგინაშვილს, სთხოვს, ხელახლა ათარგმნინოს და გაუგზავნოს.

1864 ჯილდოვდება ირანის შაჰის ბრილიანტებით შემკული მეორე ხარისხის პორტრეტით.

1864 წერს საკუთარ მოსაზრებებს ბატონყმობის საქმესა და ხიზნობასთან დაკავშირებით.

1865 11 იანვარი

თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ატყობინებს, რომ მას და მის ვაჟს, გიორგი ორბელიანს, გაუგზავნა სამი თვის საპენსიო თანხა. აცნობებს იტალიური თეატრის, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გამართული საღამოების, საქველმოქმედო სპექტაკლებისა და ლორდ ჰამილტონთან ერთად ჯეირნებზე ნადირობის შესახებ. უხარია, რომ ამ ნადირობის დროს განსაკუთრებით მისი ძაღლები გამოირჩეოდნენ.

- 1865 იანვარი**
 ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით „მთანი მაღალნი“ ბეჭდავს გოეთეს ლექსის „Wanderers Nachtlied“ თარგმანს, რომელიც მიხეილ ლერმონტოვის შუალედური თარგმანიდან „Горные вершины“ შეასრულა.
- 1865 1 მარტი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს მისი ჯანმრთელობის პრობლემებისა და იმის გამო, რომ საკმარის თანხას ვერ უგზავნის. სწერს, რომ მისი ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, დაუდევრობით ფინანსური საქმეები აერია. აცნობებს, რომ ჯირითში მისმა ცხენმა გაიმარჯვა. გამოხატავს სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ძმისწული – გიორგი ინგლისში აპირებს სწავლის გაგრძელებას; ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდის სისტემა, გონებრივი და ფიზიკური განვითარება, წესრიგი პრაქტიკულ ცხოვრებაში არსად არის ისეთი სრულყოფილი, როგორც ინგლისში. ჰპირდება, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მათ გაჭირვებას არ აგრძნობინებს.
- 1865 5 მარტი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის თავისი რძლის დას – გაიანე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას და უგზავნის თანხას ინგლისში მყოფი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისთვის გადასაგზავნად. აცნობებს, რომ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე პეტერბურგში აპირებს გამგზავრებას და ურჩევს, მათი ძმა – გრიგოლი წარდგეს მის წინაშე და აუხსნას, რატომ გახდა იძულებული, სამსახური დაეტოვებინა. უამბობს თბილისში გამართული იტალიური ოპერის, მეჯლისების, სპექტაკლებისა და დოლის შესახებ. მოიკითხავს ადრესატის დებს და უგზავნის ორბელიანთა გერბს.
- 1865 15 მარტი**
 წერილს სწერს რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ 5 მარტს მის დას, გაიანე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას, გაუგზავნა მისთვის გადასაგზავნი 1000 მანეთი. სწერს, რომ ეს იყო ადრესატის სამი თვის პენსია და ძმისწულის – გიორგის კუთვნილი თანხა, რომელსაც ცოტა თავადაც დაამატა დასამრგვალებლად. ატყობინებს თბილისის ამბებს და აიძულებს, რომ მომდევნო თვეში უფრო მეტის გაგზავნას შეძლებს.
- 1865 23 აპრილი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სთხოვს, თავისი ვაჟი, გიორგი, დაარიგოს, რომ თავადი ორბელიანი უნდა იყოს აუცილებლად ნასწავლი, გონიერი, კეთილი და მტკიცე ხასიათის. აცნობებს, რომ მიუხედავად მისი უარისა, ის კვლავ დანიშნეს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად, რის გამოც ქალაქიდან შორს ვერ წავა და ზაფხულში კოჯორში მოუწევს ყოფნა.
- 1865 23 აპრილი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილთან ერთად 1600 მანეთს უგზავნის გაიანე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას და სთხოვს, გადაუგზავნოს ლონდონში თავის დას, ბარბარეს.

1865

14 მაისი

თბილისიდან ცარსკოე სელოში დეპეშას უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს. აცნობებს, რომ მხარეში ყველაფერი კარგადაა: ჯარი მშენებარე რკინიგზის გასწვრივია განლაგებული სამუშაოდ; კომიტეტმა საბოლოოდ განიხილა ქუთაისის გუბერნიის გლეხობის საკითხის პროექტი; დაწყებულია მეფისნაცვლის სასახლის სარემონტო სამუშაოები.

1865

28 მაისი

თბილისიდან პეტერბურგში დეპეშას უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს. აცნობებს, რომ ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი მასთან გაემგზავრა და ჩავა 1 ივნისს; ატყობინებს, რომ იმ დღეს თბილისის „სობოროში“ ადრესატის ძმისწულის, უდროოდ გარდაცვლილი უფლისწულის – ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი იმართება.

1865

3 ივნისი

თბილისიდან პეტერბურგში ვრცელ წერილს უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს. აცნობებს, რომ გუბერნიებში სიმშვიდეა, მთელი ყურადღება მიჰყვება საარქონიგზო სამუშაოებზე; სახელმწიფო მოხელეები თბილისის გუბერნიის მაზრებში გაემგზავრნენ სასოფლო სამმართველოების გასახსნელად; დაიწყო ჩეჩნების გადასახლება და ვარაუდობს, რომ მღელვარების გარეშე დასრულდება.

1865

9 ივნისი

თბილისიდან დაღესტანში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. სთხოვს, რომ ლევან მელიქიშვილთან უშუამდგომლოს და დააბინაოს მასთან თავდადებით ნამსახურები ყელესე მაჰმადა, რომელიც სამშობლოში ბრუნდება. აცნობებს ახალ ამბებს: თბილისიდან ფოთამდე დააყენეს ჯარები რკინიგზის გასაკეთებლად და შეუდგნენ ყარაიაზის არხის გაყვანას; ფიქრობს, რომ ორივე საქმე საქართველოს ფეხზე დააყენებს; წყალი შევარდა წმ. ნინოს სასწავლებელში და კინალამ დაიხრჩვენ მოსწავლეები; სთხოვს, შამხალ შამსუდინს ივანე მირზოევისთვის ვალი დააბრუნებინოს.

1865

9 ივნისი

თბილისიდან ჩეჩნეთში წერილს უგზავნის გენერალ მიხეილ ლორის-მელიქოვს. სთხოვს, მფარველობა გაუწიოს მათი საერთო ნაცნობის, რუსეთის ერთგული მსახურის – ტაშთემირის ვაჟს, რომელიც ცუდ საქმეში იყო ბრალდებული, მაგრამ გამართლდა. ახასიათებს ამ ახალგაზრდას, როგორც კარგ ვაჟკაცს, მოჯირითესა და მსროლელს და სურვილს გამოთქვამს, რომ გაარიდოს იგი იმ წრეს, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მასზე. ატყობინებს თბილისის ამბებს. იმედს გამოთქვამს, რომ გზატკეცილის გაყვანადილიჟანიდან ჯულფამდესავაჭროსატრანზიტო გადაზიდვების რაოდენობას გაზრდის.

1865

26 ივნისამდე

თბილისში ვრცელდება ხმები გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებით. ვაჭრები და ხელოსნები წერილობითი თხოვნით მიმართავენ ქალაქის თავს, მეფისნაცვალსა და თავად იმპერატორ ალექსანდრე II-საც, მაგრამ უშედეგოდ.

1865

27 ივნისი

თბილისში, ერევნის მოედანზე, პოლიციის მთავარი შენობის წინ გადასახადების ზრდის გასაპროტესტებლად თავს იყრის ქვებითა და ჯოხებით შეიარაღებული 10.000 ადამიანი. მას შემდეგ, რაც ვიცე გუბერნატორი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე და პოლიცმეისტერი ვერ ახერხებენ ხალხის დამშვიდებას, მათ წინაშე სიტყვით გამოდის გრიგოლ ორბელიანი. იგი თავდაპირველად თბილად მიმართავს ამბოხებულებს და ცდილობს დაარწმუნოს, რომ კანონი ყველასთვის ერთია და ამ ფორმით შედეგს ვერ მიაღწევენ. როცა ხედავს მათ უარყოფით რეაქციას, მუქარაზე გადადის, რასაც აჯანყებულები სტვენით, უწმაწური სიტყვებითა და ქვების სროლით პასუხობენ. აჯანყებულები მარცვავენ ქალაქის თავის სახლს და კლავენ გადასახადების ამკრებ ბაშბეუქ-მელიქოვს.

1865

27 ივნისის შემდეგ

წერს შენიშვნებს თბილისის ამქართა მღელვარების შესახებ. სახელებითა და გვარებით ინიშნავს, ვინ ავრცელებდა ჭორებს გადასახადებთან დაკავშირებით, ვის რა ინტერესები და რა კავშირები აქვს.

1865

28 ივნისი

გრიგოლ ორბელიანი აჯანყებულთა შესაჩერებლად ძალის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს. ამბოხების მეთაურებს აპატიმრებენ და შეტაკებაში სისხლი იღვრება. სხვადასხვა ინფორმაციით, იღუპება 4-დან 20-მდე ადამიანი.

1865

28 ივნისი

40.000-მდე ამბოხებული ალექსანდრეს ბაღისკენ მიემართება. აქ მათ შესაჩერებლად ერთი კაზაკი სროლას იწყებს და კაცს კლავს. ვითარების დასაშოშმინებლად მისული გრიგოლ ორბელიანი თვითნებური სროლისთვის კაზაკს აჭერინებს. იგი ცდილობს არეულობის შეჩერებას, მაგრამ ვერ ახერხებს. ახლა ისინი ქალაქის თავის, შერმაზან ვართანოვის, სახლისკენ მიდიან და არბევენ. გრიგოლ ორბელიანი პოლიციას არ ამღვეს ჩარევის ნებას.

1865

29 ივნისი

ამბოხებულები არ ცხრებიან და მათთან მოსალაპარაკებლად მიდიან გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე. ჭავჭავაძე ხალხს ჰპირდება, რომ გადასახადებს არ მოუმატებენ, გრიგოლ ორბელიანი კი აღუთქვამს, რომ დაჭერილ უსტაბაშებს გაათავისუფლებენ და, მართლაც, იმავე ღამით ასრულებს დანაპირებს.

1865

1 ივლისი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს. აცნობებს თბილისის არეულობის ამბებს, აქებს გენერლებსა და პოლკოვნიკებს, რომლებიც დაეხმარნენ შფოთის სწრაფად ჩაქრობაში; სთხოვს, ქალაქის სასარგებლოდ ასაღები მოსაკრებლის საქმის გადაწყვეტამდე მოსახლეობას ნება დართონ, ბეგარა უწინდებურად შეიტანონ, რადგან ყველაფერს ერთბაშად ვერ გასწვდებიან.

- 1865 15 ივლისი**
 რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II მადლობას უცხადებს 1865 წლის ამბოხების ჩაქრობისთვის.
- 1865 20 ივლისი**
 კოჯრიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სთხოვს, მსახურმა ნინიკა ბაქრაძემ მსახური ბიჭებისთვის პური გაუგზავნოს.
- 1865 23 ივლისი**
 წერილს სწერს კოჯრიდან თბილისში რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და წუხილს გამოთქვამს ყაფლან ორბელიანის ავადმყოფობის გამო. ალექსანდრე საგინაშვილს უთვლის, რომ გადაიფიქროს ახალი სახლის მშენებლობა, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.
- 1865 30 ივლისი**
 კოჯრიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს. აცნობებს, რომ მთავარსარდლის საგანგებო დავალებათა შემსრულებელი მიხეილ ამირეჯიბი, ავადმყოფობის მიუხედავად, ჩავიდა თბილისში და შეასრულა მისი ბრძანება: საპატიო მოქალაქეებსა და ამქართა უხუცესებს გააცნო მეფისნაცვლის გარდაუვალი ნება. ასევე, ატყობინებს, რომ საპატიო მოქალაქეთაგან დაპატიმრებულია რამდენიმე პირი და, რომ თბილისში სიმშვიდეა.
- 1865 4 აგვისტო**
 კოჯრიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის მიხეილ რომანოვს. აცნობებს, რომ მისი რესკრიპტის მიღებიდან მეორე დღესვე შეკრიბა საპატიო მოქალაქეები და, გენერალ იული მინკვიცისა და ვიცე-გუბერნატორ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძის თანდასწრებით, წაუკითხა წერილი მოსახლეობისგან ახალი გადასახადების დაუყოვნებლივ ამოღების შესახებ. არწმუნებს, რომ არეულობას პოლიტიკური მიზნები ან ეთნიკური ნიადაგი არ ჰქონია. სწერს, რომ ქართველი სომხები ერთგულნი არიან ხელისუფლებისა, მაგრამ მათზე ჭორებს ავრცელებენ. კერძოდ, მაგალითად მოჰყავს, რომ ქალაქის თავ გალუსტ შერმაზან-ვართანოვს შურისძიების გრძნობა ამოძრავებს, როდესაც ადანაშაულებს იმ საპატიო მოქალაქეებს, რომლებიც მერის არჩევნებისას მას ეწინააღმდეგებოდნენ. ბრალდებები, რომლებითაც ისინი დააპატიმრეს, არასაკმარისია მათ დასასჯელად. ატყობინებს, რომ ყველგან სიმშვიდეა და ჩეჩნების გადასახლება გეგმაზომიერად მიმდინარეობს.
- 1865 7 აგვისტო**
 კოჯრიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე საგინაშვილს, და ხუმრობით საყვედურობს იმის გამო, რომ ნობათი არ გაუგზავნა. აცნობებს, ვინ ისვენებს კოჯორში და რას საქმიანობენ. სწერს, რომ მეფისნაცვალს – მიხეილ რომანოვი საზღვარგარეთ მიბრძანდება და შემდეგ პეტერბურგის გავლით დაბრუნდება თბილისში.
- 1865 10 აგვისტო**
 კოჯრიდან წერილს უგზავნის მიხეილ რომანოვს და ულოცავს შვილის – ნიკოლოზის დაბადების დღეს.

- 1865 15 აგვისტო**
მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი გამოსცემს რესკრიპტს, რომელშიც მადლობას უცხადებს გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს თბილისში ამქართა აჯანყების ჩაცხრობისათვის.
- 1865 16 აგვისტო**
იღებს პოლიციის უფროს მიხეილ როსლავლევის მოხსენებას იმის თაობაზე, რომ კავკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის მის რესკრიპტის 7 ათასზე მეტი ეგზემპლარი გაავრცელეს საზოგადოებაში.
- 1865 19 აგვისტო**
იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის წერილს. ადრესანტი იმედს გამოთქვამს, რომ კეთილგონიერი მოქალაქეები 1865 წლის 27-28 ივნისის არეულობის წამქეზებლებს გამოავლენენ და ამით გულწრფელ მორჩილებას დაადასტურებენ მის მიმართ. სთხოვს, მისი ამ წერილის შინაარსი გააცნოს თბილისის მცხოვრებთ.
- 1865 19 აგვისტო**
იღებს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის კიდევ ერთ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ 1865 წლის 27-28 ივნისის არეულობის წამქეზებელთა გამოვლენით იმპეტრატორს გაუქარწყლებენ ამ ამბით მიღებულ უსიამოვნო შთაბეჭდილებას.
- 1865 23 აგვისტო**
გრიგორ ორბელიანი, როგორც გენერალ-ადიუტანტი, იღებს 1865 წლის 27-28 ივნისის მომხდარი არეულობის გამომძიებელი კომისიის მოხსენებას იმ ეტაპისათვის საქმის მსვლელობის შესახებ.
- 1865 29 აგვისტო**
გრიგორ ორბელიანი, როგორც გენერალ-ადიუტანტი, იღებს 1865 წლის 27-28 ივნისის მომხდარი არეულობის გამომძიებელი კომისიის მოხსენებას იმ ეტაპისათვის საქმის მსვლელობის შესახებ.
- 1865 3 სექტემბერი**
გრიგოლ ორბელიანი, როგორც გენერალ-ადიუტანტი, იღებს 1865 წლის 27-28 ივნისის მომხდარი არეულობის გამომძიებელი კომისიის მოხსენებას იმ ეტაპისათვის საქმის მსვლელობის შესახებ.
- 1865 4 სექტემბერი**
გრიგოლ ორბელიანი, როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, სწერს თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებელს, მეფისნაცვლის სურვილის თაანახმად, მიაწოდოს მას საამქროების უსტაბაშების სია, ცნობები კრებების მოწვევისა და გადასახადების შეკრების შესახებ.

1865 25 სექტემბერი

წერს მოხსენებას კავკასიის მეფისნაცვლის – მიხეილ რომანოვის სახელზე 1865 წლის 27-28 ივნისის არეულობის შემდგომ განვითარებული მოვლენების – მისი რესკრიპტის საჯარო ადგილებში გამოცხადების, ბეჭდური ეგზემპლარების დარიგების და გადასახადების აკრეფის შესახებ.

1865 სექტემბერი

აკაკი წერეთელი ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ გრიგოლ ორბელიანსა და წინა თაობის სხვა წარმომადგენლებს ნიჭიერ მწერლებად მოიხსენიებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მათ ხალხზე არ უზრუნიათ და მხოლოდ ქეიფობდნენ.

1865 13 ოქტომბერი

თბილისიდან წერილს უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს და ულოცავს დაბადების დღეს.

1865 19 ოქტომბერი

თბილისიდან დაღესტანში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს; წუხს, რომ მისი ნაყმევი კაკალა, რომელიც დაღესტანში ახლდა და მისი წამოსვლის შემდეგ იქ დარჩა, გარდაცვლილა; სთხოვს, კაკალას შვილს არ მოაკლოს შემწეობა; აცნობებს, რომ ალექსანდრე ბაგრატიონ-გრუზინსკი გარდაიცვალა, თბილისში ქოლერაა; სთხოვს, მან, ლევან მელიქიშვილმა, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძემ და ილია ჩოლოყაშვილმა ცალ-ცალკე დაწვრილებით მისწერონ, როგორ დაუხვდნენ დიდ მთავარს – მიხეილ რომანოვს.

1865 25 ოქტომბერი

თბილისიდან პეტერბურგში ვრცელ წერილს უგზავნის ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს. ატყობინებს, რომ მოსკოვისა და სხვა გაზეთების ცნობები იმის შესახებ, თითქოს საქართველო იქცა შფოთისთავ ავაზაკთა ბუნაგად და პოლიტიკური პარტიები ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, სიმართლეს არ შეესაბამება. გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამ ჭორების ავტორს – მიხეილ კატკოვს ხელს აძლევს, ქართველები მოღალატეებად შერაცხოს. გრიგოლ ორბელიანი აღშფოთებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ლანძღავენ რუსეთში მცხოვრებ პოლონელებს, გერმანელებს და სხვ. და, რომ მუსლიმებს ემუქრებიან მართლმადიდებლებად მონათვლით. ფიქრობს, რომ დიდი მთავარი იმ ხალხის ერთგულებას ვერ დაიმსახურებს, რომლის რელიგიასაც განადგურებით ემუქრებიან. მიიჩნევს, რომ ეს ან სხვადასხვა ხალხში სიძულვილის გასაღვივებლად ხდება, ან სიბრყველის შედეგია, რომლისთვისაც ლანძღვა წარმოადგენს სიტყვის თავისუფლებას. არწმუნებს, რომ არეულობა მხოლოდ ახალი გადასახადების გამომოხდა, პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია, არავისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა, არც ამქრებს ჩაუყვანიათ თუშები და ხევსურები; განუმარტავს, რომ თელავის მაზრის უფროსმა მიხეილ გრიგოროვმა გაავრცელა ხმა, თითქოს ადგილობრივ დიდგვაროვნებს, დავით ჭავჭავაძის მეთაურობით, ჩაფიქრებული ჰქონდათ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება. გრიგოლი ასეთ ჭორებსა და დასმენებს დიდ ბოროტებად მიიჩნევს და ადრესატს სთხოვს, ყურადღება არ მიაქციოს.

- 1865 30 ოქტომბერი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონი-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ ადრესატს თანხა ჯერ არ მიუღია, ამიტომ გადაწყვიტა, პირდაპირ ლონდონში გაუგზავნოს და არა მოსკოვში. აცნობებს ნათესავების ამბებს; 1 ნოემბერს ელიან დიდი მთავრის ჩაბრძანებას; დაკრძალეს ალექსანდრე ბაგრატიონ-გრუზინსკი და ქოლერა გაჩნდა თბილისშიც.
- 1865 4 ნოემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის; აცნობებს, რომ ქოლერამ ქალთა ინსტიტუტში შეაღწია და ერთი მოსწავლე გარდაიცვალა. სთხოვს, ამის შესახებ აუწყოს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს.
- 1865 27 ნოემბერი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის; აცნობებს, რომ დიპლომატი კონსტანტინე ლელი დაბრუნდა, რათა პოლიტიკური მდგომარეობა გამოასწოროს.
- 1865 10 დეკემბრამდე**
 ჯილდოვდება 7800 დესეტინა მიწის ნაკვეთით.
- 1865 10 დეკემბერი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ ის თანხას დროულად ვერ იღებს ხოლმე. ერთხელ კიდევ აზუსტებს, როდის რამდენი გაუგზავნა. ფიქრობს, რომ მისი ვაჟის აღსაზრდელად ეს თანხა საკმარისი არ არის და ჰპირდება, რომ გიორგის კაპიტალიდან კიდევ 1000 მანეთს მიაშველებს წლიურად, დროთა განმავლობაში კი ამ ხარჯებს პიატიგორსკში მეფისნაცვლისგან ნაბოძები თავისი მამულიდან დაფარავს. სწერს თბილისისა და ნათესავ-ახლობლების ამბებს.
- 1865 29 დეკემბერი**
 ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის მოკლე ბარათთან ერთად უგზავნის ნიკოლოზ ბლუდოვის საქმიან წერილს.
- 1865** ენიშნება ყოველწლიური პენსია 7000 ვერცხლის მანეთის ოდენობით.
- 1866 -მდე**
 თხოვნით მიმართავს კავშირგაბმულობის მთავარ სამმართველოს, რომ პეტერბურგიდან გაუგზავნონ ყირიმის ყველა სატელეფონო ხაზის სქემა, რათა სტავროპოლი და სიმფეროპოლი ერთმანეთთან დააკავშირონ ქერჩის მეშვეობით.

- 1866 8 იანვარი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ თანხის დროულად აღებას ისევ ვერ ახერხებს; ეთანხმება, რომ მისმა ვაჟმა, გიორგიმ, სწავლა არ უნდა შეწყვიტოს; თუ ინგლისში დარჩენის საშუალება არ აქვთ, გადავიდნენ გერმანიაში ან შვეიცარიაში და არა საფრანგეთში. სურს, რომ მისი ძმისწული იყოს საუკეთესო ქართველი, რელიგიური მრწამსით განმსჭვალული, ევროპულად განათლებული და ფრანგული ფილოსოფიური იდეებით შეურყვნელი.
- 1866 12 იანვრამდე**
 ქართულ თეატრში ხვდება ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისას და მოიკითხავს პეტერბურგში მყოფ დიმიტრი ყიფიანს.
- 1866 18 თებერვლამდე**
 ესწრება ივანე ამილახვრისა და ანა ერისთავის ჯვრისწერას. სიძის მეჯვარეები არიან მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი და მისი მეუღლე – ოლღა ბედენელი-რომანოვისა, ხოლო პატარძლისა – თვითონ და ანასტასია ორბელიანი-გაგარინისა.
- 1866 18 თებერვლამდე**
 ესწრება მეფისნაცვლის სასახლეში გამართულ წარმოდგენას, რომელშიც შესანიშნავად თამაშობს მისი ბიძაშვილის შვილი – ნინა ოპოჩინინა.
- 1866 18 თებერვალი**
 თბილისიდან ლონდონში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს თბილისისა და ნათესავ-ახლობლების ამბებს. სიხარულს გამოთქვამს, რომ ადრესატის ვაჟმა გიორგიმ რუსულის შესწავლა დაიწყო, რადგან სამომავლოდ რუსეთში უნდა იცხოვროს და მეფისნაცვლის მეუღლესთან, ოლღა ბედენელ-რომანოვასთან, იმსახუროს. აქებს რძალს შვილის აღზრდაში გამოჩენილი თავდადებისათვის.
- 1866 26 მარტი**
 სიტყვას წარმოთქვამს მიხეილ ვორონცოვის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე.
- 1866 2 აპრილი**
 წერილს სწერს ყაფლან ორბელიანს, ულოცავს აღდგომის დღესასწაულს და უგზავნის ლონდონიდან ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ გაგზავნილ წერილს.
- 1866 4 აპრილი**
 თავისთან იბარებს მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი და ატყობინებს, რომ შუადღის 4 საათზე მის ძმაზე, იმპერატორ ალექსანდრე II-ზე, მოხდა თავდასხმა, მაგრამ გადარჩა.

- 1866 4 აპრილი**
წერილს სწერს თავის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, ატყობინებს იმპერატორზე თავდასხმის ამბავს და სთხოვს, რომ მეორე დღეს სიონში ისიც დაესწროს იმპერატორის დალუპვისაგან გადარჩენის სამადლობელ პარაკლისს.
- 1866 4 აპრილი**
თბილისის სიონის ტაძარში ესწრება თავდასხმის დროს დალუპვისაგან იმპერატორ ალექსანდრე II-ის გადარჩენის სამადლობელ პარაკლისს.
- 1866 4 აპრილი**
სამხედრო და სამოქალაქო ჩინოსნებს მოუწოდებს, მეორე დღით დაესწრონ სიონის ტაძარში აღვლენილ სამადლობელ პარაკლისს საზაფხულო ბაღში სეირნობისას დაჭრილი იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, გადარჩენის აღსანიშნავად.
- 1866 5 აპრილი**
სიონის ტაძარში ესწრება იმპერატორ ალექსანდრე II-ის თავდასხმისგან გადარჩენის აღსანიშნავად აღვლენილ სამადლობელ პარაკლისს.
- 1866 5 აპრილი**
წერილს სწერს რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, აცნობებს ასტარაბადში გამგზავრების გეგმას და თბილისის ამბებს, მაგრამ ბარათს ვერ ასრულებს.
- 1866 9 აპრილი**
ამთავრებს თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილის წერას, რომელიც ოთხი დღით ადრე დაიწყო, ატყობინებს ნათესავების ამბებს და ბარათს აგზავნის ლონდონში.
- 1866 12 აპრილი**
ერთი თვით მიემგზავრება ასტარაბადში ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯართან შესახვედრად. შაჰს სურდა ენახა კასპის ფლოტი და თან თავისი თავი გამოეცადა, აიტანდა თუ არა ზღვით გადაადგილებას ევროპაში სამოგზაუროდ. გრიგოლ ორბელიანი ძალიან კმაყოფილია, მიიჩნევს, რომ ამგვარი მასპინძლობის იღბალი იშვიათად რგებია მოკვდავს.
- 1866 7 მაისამდე**
რუსეთის ელჩს ირანის სასახლის კარზე – ნიკოლოზ გირსს გადასცემს მეფისნაცვალთან შეთანხმებულ სიას იმ პირებისას, რომლებიც უნდა დაჯილდოვდნენ ლომისა და მზის ორდენით და, მისი შუამდგომლობით, იღებს შაჰის თანხმობას.
- 1866 7 მაისამდე**
თბილისისკენ მომავალი გზად ნახულობს სალიანის თევზსარეწ მეურნეობას და აღფრთოვანებულია იქ დამყარებული წესრიგით.

- 1866 7 მაისი**
ირანში მოგზაურობიდან ბრუნდება თბილისში.
- 1866 17 მაისი**
ირანში გასამგზავრებლად სესხად აღებულ 2000 მანეთს წერილთან ერთად უგზავნის ბაქოს სამხედრო გუბერნატორ მიხეილ კოლიუბაკინს და დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ბაქოს დათვალიერების გამო.
- 1866 17 ივნისი**
წერილს სწერს თბილისიდან ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის და აცნობებს, რომ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სამომავლო გარდაქმნამ, შესაძლოა, საბჭოს მმართველის თანამდებობა დააკარგვინოს ზაქარია ავთანდილოვს; სთხოვს, უშუამდგომლოს მას მეფისნაცვალთან, რომ დაინიშნოს საგანგებო დავალებათა მოხელედ.
- 1866 1 ივლისამდე**
თბილისიდან პარიზში წერილს უგზავნის თავის ნათესავებს – მანანა ერისთავ-ორბელიანისას და მის ქალიშვილს, ანასტასია ორბელიან-გაგარინისას, და მოუთხოვს ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯართან თავისი ვიზიტის ამბებს. დაწვრილებით აღწერს მიღების ცერემონიალს, ჯავაირების ურიცხვ სიმდიდრეს და 12 დღე ყაენთან და რუსეთის ელჩ ნიკოლოზ გირსთან ერთად ზღვაზე მოგზაურობას.
- 1866 2 ივლისი**
კოჯრიდან წერილს უგზავნის ალექსანდრ ნიკოლაის; აცნობებს, რომ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ორი მანდილოსანი წარადგინა უმაღლეს ჯილდოზე და მათ შორის არის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – ალექსანდრა ჟულცნისკაია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ სასწავლებლის წარმატებებში.
- 1866 არა უგვიანეს 5 ივლისი**
კოჯრიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ ორბელიანისას და ურჩევს კოჯორში ასვლას, რადგან იქ არაჩვეულებრივი ჰაერია.
- 1866 10 ივლისი**
კოჯრიდან ვისბადენში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ ძლივს გამონახა ლონდონში ფულის გასაგზავნად საშუალება სიმენსების სავაჭრო სახლის მეშვეობითა და პრუსიის კონსულის დახმარებით, ის კი ამ დროს უკვე ვისბადენში გადასახლებულა. სთხოვს, აცნობოს, რა საგნებს სწავლობს ადრესატის ვაჟი გიორგი, რომ შეადაროს რუსეთის უნივერსიტეტში მისაღებ პროგრამას, რომელსაც სახელმძღვანელოდ გაუგზავნის.
- 1866 13 ივლისი**
კოჯრიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, რომ კოჯორში ავიდეს დამისიდის წულინინობრა თაშვილიც შვილებით აიყვანოს. აცნობებს, რომ ხუთ დღეში ბორჯომში მიემგზავრება, რადგან ექიმების აზრით, იქაურ წყალში ბანაობით სრულად განიკურნება.

- 1866 14 ივლისი**
კოჯრიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის მიხეილ რომანოვს და ულოცავს ქალიშვილის – ანასტასიას დაბადების დღეს.
- 1866 15 ივლისი**
კოჯრიდან დალესტანში წერილს უგზავნის ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. სთხოვს, რომ ის და დიმიტრი ჯორჯაძე შეეწიონ ხუნძახელ ჰიტვიან მუჰამადს და აიტბერის შვილიშვილს, რადგან ისინი ერთგულებითა და თავგანწირვით გამოირჩეოდნენ. აცნობებს, ვინ ისვენებს კოჯორში.
- 1866 18 ივლისი**
მიემგზავრება ბორჯომში, რადგან ექიმებმა ურჩიეს, რომ იქაურ წყალში ბანაობით სრულად განიკურნება.
- 1866 4 აგვისტომდე**
ბორჯომში სტუმრობს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს და იგებს, რომ მოელიან მისი ძმის – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვის ჩაბრძანებას.
- 1866 4 აგვისტო**
კოჯრიდან პარიზში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აინტერესებს, რატომ გადაწყვიტეს საზამთროდ გერმანიაში გამგზავრება და ხშირი გადაბარგებები ადრესატის ვაჟის, გიორგის, სწავლას ხომ არ შეუშლის ხელს. შეახსენებს, რომ ის უნდა მოემზადოს უნივერსიტეტისთვის და, რომ საქართველო მისგან ბევრს მოელის.
- 1866 7 აგვისტო**
მოკლე შეტყობინებას უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს იმასთან დაკავშირებით, რომ მომდევნო დღეს მასთან გაემგზავრება საგანგებო კურიერი რესკრიპტთან დაკავშირებული მოხსენებით. აცნობებს, რომ მთელ მხარეში სიმშვიდეა.
- 1866 14 სექტემბერი**
წერილს უგზავნის დალესტანში ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და აცნობებს, რომ კოდაში მიემგზავრება და უგზავნის ოსი ეროვნების მეჯინიბეს, რომელმაც მასთან მოინდომა სამსახური.
- 1866 24 სექტემბერი**
წერილს სწერს რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ურჩევს, შეწყვიტონ ევროპაში მოგზაურობა და მისმა ვაჟმა, გიორგიმ, დაამთავროს გიმნაზიის კურსი უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. თუ გერმანიაში არ არის რუსული გიმნაზია, სთავაზობს, გაემგზავრონ მოსკოვში ან ოდესაში.
- 1866 30 სექტემბერი**
დაგვიანებით აგზავნის ვისბადენში 24 სექტემბერს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისთვის დაწერილ წერილს.

- 1866 28 ოქტომბერი**
ირჩევენ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად.
- 1866 5 ნოემბერი**
თბილისიდან პეტერბურგში მოკლე წერილს უგზავნის მიხეილ რომანოვს დამადლობას უხდის, რომ დეპეშით შეატყობინა მისი დანიშვნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.
- 1866 23 ნოემბერი**
თბილისიდან ვისბადენში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ურჩევს, თუ ჟენევის გიმნაზიაში შესაძლებელია რუსული განათლების მიიღება, შვილს იქ გააგრძელებინოს სწავლა; ფიქრობს, რომ სახლში მხოლოდ დედისა და აღმზრდელის ზედამხედველობის ქვეშ დარჩენილი ვაჟი ჭირვეული და ქალაჩუნა გახდება, მეგობრებთან აზრის გაცვლის შედეგად კი პრაქტიკულ და მოაზროვნე ადამიანად ჩამოყალიბდება.
- 1866 27 ნოემბრის შემდეგ**
პეტერბურგიდან იღებს დიდი მთავრის, კონსტანტინ რომანოვის, წერილს, რომელშიც იგი პატივისცემასა და კეთილგანწყობას უცხადებს და ამ წელს კავკასიაში მისი ვიზიტის სამახსოვროდ უგზავნის საკუთარ ფოტოს.
- 1866 15 დეკემბრამდე**
გუბერნატორის კანცელარიის გაუქმების შედეგად უსამსახუროდ დარჩენილ მოხელეებს – ივანე აბესალომოვსა და სხვებს წარადგენს ჯილდოზე.
- 1866 15 დეკემბრის შემდეგ**
იღებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის წერილს, რომლითაც ადრესანტი აცნობებს ივანე აბესალომოვის დაჯილდოებასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ.
- 1866 18 დეკემბერი**
ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის წერილობით აცნობებს თავის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ სურდა გუბერნატორის კანცელარიის გაუქმების შედეგად უსამსახუროდ დარჩენილი მოხელეების – ივანე აბესალომოვისა და სხვების ჯილდოზე წარდგენა, მაგრამ სწერს, რომ, რამდენადაც ამ სურვილს დიდი წინააღმდეგობა შეხვდება, მეფისნაცვალთან აღარ გააკეთოს მოხსენება მათი წარდგენის შესახებ.
- 1866 26 დეკემბრამდე**
თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და ატყობინებს, რომ იმ საღამოს მასთან სტუმრად აპირებენ მისვლას ბიძა და ბიცოლა – დიმიტრი და მარიამ ორბელიანები.
- 1866** მისი ძალისხმევით კავკასიის სატელეფონო ხაზები ქერჩის საშუალებით უკავშირდება ყირიმისას. საგულისხმოა, რომ სიმფეროპოლს იმ დროს უკვე ჰქონდა სატელეგრაფო კავშირი მოსკოვთან და პეტერბურგთან.

- 1867 26 იანვრამდე**
გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან ერთად დახმარებას უწევს იოსებ ერისთავს საგვარეულო მამულის შენარჩუნებაში.
- 1867 23 იანვარი**
თბილისიდან ვისბადენში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და საყვედურობს, რომ თავის ამბებს არ ატყობინებს; აცნობებს, რომ სიმენსების კომპანიის მეშვეობით უგზავნის 700 მანეთს. გიმნაზიის სასწავლო პროგრამას ვერ აწვდის, რადგან ჯერ არ შეუდგენიათ.
- 1867 30 იანვარი**
თბილისიდან დაღესტანში წერილს უგზავნის ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და თავს იმართლებს, რომ დროს ვერ პოულობს ხოლმე წერილის მისაწერად ოპერის, რუსული თეატრის, სადამოების, ახალი კლუბის გახსნისა და სხვა გასართობების გამო.
- 1867 1 მარტამდე**
მასთან მიდის გიორგი რევაზის ძე ერისთავი და უამბობს გარდაცვლილი ტიხონ ბარათაშვილის ოჯახის უნუგეშო მდგომარეობისა და ალექსანდრე ორბელიანის მიერ მისთვის აღმოჩენილი შემწეობის შესახებ.
- 1867 1 მარტი**
წერილს სწერს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს. აცნობებს, რომ გაიგო ტიხონ ბარათაშვილის ოჯახის უნუგეშო მდგომარეობისა და ადრესატის მიერ მისთვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. გამოთქვამს ამ კეთილ საქმეში თანაზიარობის სურვილს და უგზავნის 30 მანეთს.
- 1867 1 მარტი**
თავს შეუძლოდ გრძნობს, აწუხებს გული და სტკივა კბილები.
- 1867 25 მარტი**
ესწრება მიხაილოვის ხიდთან (ამჟამად ჩულურეთის ხიდი) კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვის ძეგლის გახსნას და ცერემონიალის შემდეგ მიხეილ რომანოვის სასახლეში გამართულ სადილს.
- 1867 26 მარტი**
მიხეილ ვორონცოვთან ნამსახურებ სხვა 150 კაცთან ერთად ესწრება მუშტაიდის ბაღში გამართულ თავყრილობას და გამოდის სიტყვით, რომელშიც, ყოფილი მეფისნაცვლის თავმდაბლობასთან და სამხედრო ღვაწლთან ერთად, ხაზს უსვამს მის დამსახურებას კავკასიაში ევროპული განათლების შემოტანისა და მხარის კულტურული აღორძინების საქმეში. საზოგადოება აღფრთოვანებით ხვდება და დიდხანს არ წყდება ტაში.

- 1867 26 აპრილი**
 თბილისიდან დაღესტანში წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, დაეხმაროს ამირ-ჩოპან-ბეკ უცმიევს ჯამოვ-ბეგ უცმიევის შვილებთან დავის მოგვარებაში. წუხს, რომ წებელდა ერთიანად იყრება და მიდის ოსმალეთში და რომ აფხაზეთის სხვა მხარეებსაც უდაბნოდ გადაქცევა ემუქრება.
- 1867 4 მაისი**
 თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ირჩევენ იმ კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად, რომელსაც ევალება წესდების შემუშავება სათავადაზნაურო ბანკის დიმიტრი ყიფიანისეული პროექტის საფუძველზე.
- 1867 4 მაისის შემდეგ**
 წერს თავის მოსაზრებებს სათავადაზნაურო ბანკის დაარსების შესახებ დიმიტრი ყიფიანის მიერ წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით.
- 1867 7 მაისამდე**
 წერილს სწერს რუსეთის ელჩს ირანის სასახლის კარზე – ნიკოლოზ გირსს და შეახსენებს, რომ ერთი წლის წინ გადასცა იმ პირთა სია, რომლებიც უნდა დაჯილდოებულიყვნენ ლომისა და მზის ორდენით. ხელახლა უგზავნის სიას და სთხოვს, გაარკვიოს, რატომ დაგვიანდა დაჯილდოება.
- 1867 მარტი - 11 მაისი**
 მასთან ცხოვრობს დისწული – სოფიო ბარათაშვილი. გრიგოლი ზრუნავს მასზე და ცდილობს, რომ ღირსეული საქმრო მოუძებნონ.
- 1867 11 მაისი**
 თბილისიდან ჟენევაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და უწონებს გიორგის ლოზანის კოლეჯში შეყვანის გადაწყვეტილებას, რადგან ეს სასწავლებელი განთქმულია წესრიგითა და მეცნიერებათა კარგი სწავლებით. ნაპოლეონ III ლოზანაში სწავლობდა და გიორგისთვის ესეც კარგი მაგალითი იქნება. უგზავნის პროგრამას VII კლასის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტში შესასვლელად, აპირებს მისწეროს პაჟთა კორპუსს, რომ გიორგი საზღვარგარეთ სამკურნალოდ იმყოფება. გახარებულია, რომ ადრესატს უპოვია თბილისიდან ჩასული მეგობრები, რომლებთანაც ადარ მოიწყენს.
- 1867 20 ივნისი**
 თბილისიდან ვლადიკავკაზში წერილს უგზავნის გენერალ მიხეილ ლორის-მელიქოვს, აცნობებს, რომ ტინგინის პოლკში მის წინაშე წარდგება პატიოსანი და ღირსეული ადამიანი, პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგელი და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს.
- 1867 24 ივნისამდე**
 რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ძმისშვილს, გიორგი ორბელიანს, სიმენსების კომპანიის საშუალებით ჟენევაში უგზავნის 1700 მანეთს.

- 1867 24 ივნისამდე**
აგირავეებს კოდისა და მუხათის მამულებს და თბილისში ყიდულობს მიწას თავისი ძმისწულის, გიორგი ილიას ძე ორბელიანისთვის.
- 1867 24 ივნისამდე**
ჟელეზნოვოდსკის მახლობლად მდებარე თავის მიწებს კონტრაქტით აძლევს კოლონისტებს.
- 1867 24 ივნისი**
თბილისიდან ჟენევაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ კოდაში აპირებს ასვლას. სწერს, რომ თბილისში გართობის თვალსაზრისით საოცარი პროგრესია: მუშთაიდში და სანსუსში რუსული თეატრებია, მონპლეზირში კი – სეირნობები.
- 1867 12 ივლისი**
აღექსეი ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს ბოლნისიდან წამოსული კოლონისტების მიერ ბორჩალოში ორბელიანთა მიწების უკანონოდ დაკავების გამო აღძრული საქმე სასამართლო პალატიდან იგზავნება მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან.
- 1867 15 აგვისტო**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის დირექტორს – ნიკოლოზ ბარანოვსკის და ატყობინებს, რომ კოლონისტების მიერ ბორჩალოში ორბელიანთა მიწების უკანონოდ დაკავებასთან დაკავშირებით აღძრული საქმე სასამართლო პალატიდან გადაეგზავნა მეფისნაცვალს. უხსნის, რომ 40 წელია, ამასთან დაკავშირებით სამართალს ვერ მიაღწიეს და სთხოვს, იქნებ მოხერხდეს მისი ადგილზევე, სენატში გაუგზავნელად გადაწყვეტა.
- 1867 1 სექტემბრის შემდეგ**
ჟენევიდან იღებს ყოფილ მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მოკითხვის წერილს და ფოტოს.
- 1867 15 სექტემბრამდე**
ესწრება თბილისის რუსული თეატრის წარმოდგენებს და ძალიან მოსწონს.
- 1867 15 სექტემბრამდე**
ესწრება თბილისის იტალიური ოპერის წარმოდგენებს. აღფრთოვანებულია ახალი პრიმადონის შესრულებით, მაგრამ ძალიან არ მოსწონს მისი გარეგნობა და უსტვენს.

1867 15 სექტემბერი

თბილისიდან წერილს უგზავნის პრინც ალექსანდრ ოლდენბურგელს. წუხს, რომ სამსახური ვერ უშოვდა და თურქესტანში მოუხდა გამგზავრება. უამბობს კოდისა და თბილისის ამბებს. სწერს, რომ მისმა ძმისწულმა გიორგიმ მე-3 კლასში მისაღები გამოცდა ჩააბარა ლოზანაში. ასევე, ატყობინებს, რომ ელოდებიან კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, ალექსანდრ ბარიატინსკის მეუღლის – ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკაიას შვეიცარიიდან თბილისში ჩასვლას.

1867 24 სექტემბერი

თბილისიდან შვეიცარიაში წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალს – ალექსანდრ ბარიატინსკის; ემადლიერება მის მიერ გაგზავნილი ბარათისა და ფოტოსთვის; აქებს საქართველოში დამყარებული მშვიდობისთვის, გზებისა და არხების გაყვანისა და სხვა კეთილი საქმეებისთვის. აცნობებს, რომ მისი მეუღლის, ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკაიას, თბილისში ჩაბრძანებამ დიდი სიხარული გამოიწვია, მაგრამ ვიზიტი ხანმოკლე იყო. იმედს გამოთქვამს, რომ ცოლ-ქმარი წელიწადში ერთხელ მაინც ესტუმრება საქართველოს.

1867 5 ოქტომბერი

რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას თბილისიდან ჟენევაში უგზავნის 600 მანეთს.

1867 18 ოქტომბრამდე

ჟენევიდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მისმა ვაჟმა ადგილობრივ სასწავლებელში მესამე კლასის გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა.

1867 18 ოქტომბერი

თბილისიდან ჟენევაში რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ძმისწულს, გიორგი ორბელიანს, უგზავნის 1200 მანეთს.

1867 18 ოქტომბერი

მიხეილ ვორონცოვის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით გამოცემულ ბროშურასთან ერთად, თბილისიდან ჟენევაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა ძმისწულმა გამოცდები კარგად ჩააბარა, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანი მეცნიერების გარეშე სრული არარაობაა. სხვა მრავალ სიახლესთან ერთად აცნობებს, რომ: ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას მკერდზე სიმსივნე აღმოაჩნდა, ადრესატის დისშვილი – სალომე ჭავჭავაძე დაინიშნა ბარონ მაქსიმილიან საკენზე და ვახტანგ ორბელიანის ვაჟმა – ნიკოლოზმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა ოდესის უნივერსიტეტში. აგრეთვე, სწერს, რომ თანხა გაუგზავნა და ნოემბერში კიდევ 1000 მანეთს მიაწვდის.

- 1867 21 ნოემბრამდე**
 ნუხიდან იღებს ადგილობრივი მღვდლის წერილს, რომლითაც სთხოვს თბილისის საავადმყოფოს მოძღვრად გადაყვანას. ამასთან, მას რეკომენდაციას უწევს კავკასიის სასწავლო დაწესებულებების მთავარი ინსპექტორი იანუარ ნევეროვი.
- 1867 21 ნოემბერი**
 წერილს სწერს თბილისის სამოქალაქო სამედიცინო ნაწილის უფროსს, ანდრეი ლიბაუს, და სთხოვს ნუხელი მღვდლის თბილისის საავადმყოფოს მოძღვრად გადაყვანას.
- 1867 21 ნოემბერი**
 წერილს უგზავნის თბილისის კომენდანტს, გენერალ-მაიორ ალექსეი ოპოჩინინს, და აცნობებს, რომ ჩუქნის ორ საყარაულო ჯიხურსა და ერთ მცველს, რომლებიც მის სახლთან შემორჩა, როგორც მისი ძველი დიდების ნაშთი. სწერს, რომ დაცვა მხოლოდ ღამით დასჭირდება ხოლმე.
- 1867 21 ნოემბერი**
 წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს – ფოკიონ ბულატოვს და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს სამსახურებრივი მოვალეობების ერთგულად შემსრულებელ ჩინოვნიკს – კუზმა მულინს.
- 1867 23 დეკემბერი**
 სიმენსების ფირმის მეშვეობით თბილისიდან ლოზანაში 920 მანეთს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და მის ვაჟს – გიორგის.
- 1867 25 დეკემბერი**
 10 წლის სამსახურის შემდეგ ტოვებს მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.
- 1867 25 დეკემბერი**
 წერილით აცნობებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის, რომ ტოვებს მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას. უგზავნის მის დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეთა სიას და სთხოვს, მთავარ სამმართველოში გადანაწილებისას იფიქროს მათს დასაქმებაზე. განსაკუთრებით ადარდებს ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ზაქარია ავთანდილოვის, ბედი, რადგან მას შვიდი შვილი ჰყავს გასაზრდელი.
- 1867 ბოლო**
 წერილს სწერს სენატორ იაგორ სტარიცკის, რომელსაც უპირებენ თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ დანიშვნას. სთხოვს, რომ გენერალ-გუბერნატორობის გაუქმების შემდეგ რეორგანიზებულ სასამართლოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნისას დაასაქმოს უშტატოდ დარჩენილი ლეონიდე ბარათაშვილი.
- 1867** ჯილდოვდება ირანის შაჰის ლენტით შემკული პირველი ხარისხის პორტრეტით.

1868

-დან

ორბელიანთა მამულების გაყოფის საქმე, რომელიც გადაწყდა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დროს, ხელახლა შედის სასამართლოში განსახილველად. გრიგოლ ორბელიანი ამასთან დაკავშირებით წერს განცხადებას და, წერილთან ერთად, გადასამოწმებლად უგზავნის თავისი რძლის ძმას, იურისტ იაკინთე ალექსიმესხიშვილს. ადრესატი ბარათზევე უწერს პასუხს, რომ საბუთები დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ თავად კარგად ვერ ერკვევა სასამართლოს ახალ სისტემაში და კარგი იქნება, რომ ამ ახალი სისტემის უკეთ მცოდნეს გადაახედოს.

1868

იანვრიდან

ვერ იღებს ხელფასს, რადგან მისი გვარი სახელფასო სიიდან არის გამორჩენილი. ადგილზე ვერ აგვარებს ამ საკითხს და ასაჩივრებს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში. 2000 მანეთს აძლევენ სესხად იმ დრომდე, სანამ ხელფასის საკითხი არ მოგვარდება.

1868

8 იანვარი

იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მისი ვაჟი – გიორგი მძიმედ იყო ავად, მაგრამ გამოჯანმრთელდა.

1868

8 იანვარი

თბილისიდან ლოზანაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, ულოცავს ახალ წელს და უფალს ემადლიერება, რომ ადრესატის ვაჟი გამოჯანმრთელდა. თბილისურ ამბებთან ერთად უყვება სასამართლო რეფორმის შესახებ. ატყობინებს, რომ 14 იანვარს წინანდალში მისი დისშვილის – სალომე ჭავჭავაძის ქორწილია და დედობილ-მამობილები მანანა ორბელიანი და ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი იქნებიან.

1868

27 იანვარი

თბილისიდან ლოზანაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ ახალი წესით ფულის გაცემა მხოლოდ ხაზინიდან ხდება და სთხოვს, გაუგზავნოს საკონსულოში დამოწმებული ცნობა და გრიგოლ ორბელიანის სახელზე შედგენილი მინდობილობა, რომელიც დასჭირდება ადრესატისა და მისი ვაჟის პენსიის ასაღებად.

1868

22 თებერვლამდე

თბილისიდან დალესტანში წერილს უგზავნის ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. აცნობებს, რომ მისი ბიძაშვილის შვილი – იოსებ ორბელიანი ალექსანდრ სვეჩინის ნაცვლად დაინიშნა გრენადერთა დივიზიის უფროსის თანაშემწედ, სვეჩინი – თეოდორ რადეცკის ნაცვლად გადაიყვანეს 38-ე ქვეითი დივიზიის უფროსად, რადეცკი კი, ლაზარევის ნაცვლად, – 21-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა უკმაყოფილება გამოუცხადა გუბერნატორსა და სამოქალაქო მოხელეებს თანამდებობების დაუდევრად აღსრულებისთვის; ბარონ ალექსანდრ ნიკოლაისაც მოუხდა თავის მართლება და არავინ იცის, დარჩება თუ არა თავის თანამდებობაზე. ვარაუდობს, რომ მეფისნაცვლის თანაშემწის, ალექსანდრ კარცოვის, ადგილს დიმიტრი მირსკი დაიკავებს, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის, ბარონ ნიკოლაის, ადგილს კი – ვლადიმერ ლევაშოვი. მოიკითხავს დიმიტრი ჯორჯაძეს და ლევან მელიქიშვილს ოჯახით.

1868

22 თებერვალი

თბილისიდან ლოზანაში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. უამბობს მიმდინარე მოვლენების შესახებ. წუხს, რომ ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი აღარ ბრუნდება საქართველოში და, რომ ძველი, გამოცდილი მოღვაწეების ადგილს ისეთები იკავებენ, რომლებსაც ჯერ არაფერი გაუკეთებიათ საქართველოს კეთილდღეობისათვის. სწერს, რომ დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა სასამართლოები და დაარსდა ელიზავეტოპოლის გუბერნია. მამია გურიელი დაქორწინდა ყორხმაზ მელიქიშვილის ქალიშვილ მარიამზე; სალომე ჭავჭავაძე ქუთაისში გაემგზავრა ქმართან, გუბერნატორ მაქსიმილიან ოსტენ-საკენტან. აცნობებს, რომ კანონის მიხედვით აკრძალულია საზღვარგარეთ 5 წელზე მეტ ხანს დარჩენა. ამიტომ ურჩევს, საელჩოში აიღოს ცნობა, რომ მისი ვაჟის ავადმყოფობის გამო აუცილებელია კიდევ 2-3 წლით იქ ყოფნა და კავკასიის მეფისნაცვალს გაუგზავნოს.

1868

23 თებერვლამდე

თავისი ბიძაშვილის შვილის - მარიამ (მაკალო) მელიქიშვილისა და მამია გურიელის ჯვრისწერაზე არის სიძის მეჯვარე.

1868

თებერვალი

„საქართველოს სასულიერო მახარებელში“ ლექსს „ჩემი ეპიტაფია“ ბეჭდავს სათაურით „ეპიტაფია“ („როს ვიყავ ცოცხალ...“).

1868

15 მარტი

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო განიხილავს გრიგოლ ორბელიანისთვის კუთვნილი ანაზღაურების გამოყოფის საკითხს.

1868

15 მარტის შემდეგ

იღებს დაგვიანებულ სახელფასო ანაზღაურებას და იხდის ვალს.

1868

23 მარტი

თავს შეუძლოდ გრძნობს და დიმიტრი ყიფიანს წერილობით ატყობინებს, რომ მასალები ბანკის შესახებ დაუბრუნა ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის.

- 1868 მარტი**
კავკასიის მეფისნაცვალი, მიხეილ რომანოვი, ნიშნავს თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარედ და, წესდებასთან ერთად, უგზავნის სათანადო რესკრიპტს.
- 1868 მარტი**
მთელი თვე ავადმყოფობს, სუსტად არის და ამიტომ უარს ამბობს თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარეობაზე.
- 1868 მარტი**
ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის სწერს, რომ ავადმყოფობისგან ძალიან დასუსტებულია. ავალებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს აუხსნას მისი მდგომარეობა და სთხოვოს სხვისი არჩევა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარედ.
- 1868 18 აპრილი**
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი გრიგოლ ორბელიანს აცნობებს, რომ მისი წლიური შემოსავალი არის 9800 მანეთი და ამიერკავკასიის ხაზინაში გახსნილია კრედიტი მისთვის ამ თანხის გადასარიცხად.
- 1868 22 აპრილი**
კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების საბჭოს წესდებასა და საწევროსთან დაკავშირებით წერილს უგზავნის მეფისნაცვლის ადიუტანტს, დიმიტრი ფილოსოფოვს. სთავაზობს, ყოველწლიური 20 მანეთის ნაცვლად, შემოიღონ ერთჯერადად შესატანი 100 მანეთი. ასევე, მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში გაწევრიანებაზე უარი არ უნდა ეთქვას სხვა რჯულის წარმომადგენლებს, რადგან მათაც შეუძლიათ მატერიალური წვლილი შეიტანონ მართმადიდებლობის გავრცელების საქმეში. სწერს, რომ საზოგადოების წევრებისთვის იმის დაპირება, რომ 37 წლის შემდეგ საზოგადოება თანხას უკან დაუბრუნებს, ძნელი დასაჯერებელი და უხერხულია, რადგან 37 წელი შეიძლება ყველამ ვერც იცოცხლოს.
- 1868 11 მაისამდე**
ათონის მთის ქართული მონასტრის ბერებისგან იღებს ორ წერილს, რომლებშიც ისინი ხელისუფლებას დაცვას სთხოვენ ბერძენი სამღვდელოების მხრივ შევიწროებისგან. სწერენ, რომ მათი სავალალო მდგომარეობის შესახებ იციან კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩმა – ნიკოლოზ ეგნატიევმა, სინოდმა და რუსული მონასტრის ილუმენმა.
- 1868 11 მაისი**
წერილთან ერთად, ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის უგზავნის ათონის მთის ქართული მონასტრის ბერებისგან მიღებულ 2 ბარათს, სთხოვს რეაგირებას, მაგრამ გადასცემს ბერების სურვილს, რომ მათი წერილების შესახებ არაფერი გაიგოს პლატონ იოსელიანმა.

1868

18 მაისი

თბილისიდან ბაქოში წერილს უგზავნის ბაქოს სამხედრო გუბერნატორის – მიხეილ კოლიუბაკინის მეუღლეს, მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინას. ებოდიშება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო დროულად ვერ უპასუხა ბარათზე. მადლობას უხდის შიმშილით დაზარალებულებისთვის შემოწირული 260 მანეთის გამო, რის შესახებაც აპირებს ინფორმაციის გამოქვეყნებას გაზეთ „კავკაზში“. უყვება საერთო ნაცნობებისა და ახლობლების ამბებს. აცნობებს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისამ ქალიშვილი – სალომე პრინც მიურატს მიათხოვა, რაც დიდად არ მოსწონს, რადგან, მისი აზრით, იეზუიტები და მიურიდები მართლმადიდებლობის მტრები არიან. ამიტომ, ერჩივნა, რომ ის რუსეთში გათხოვილიყო. აცნობებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი აღფრთოვანებულია ბაქოს სანახაობებით და რომ მალე დიდი მთავარი ალექსეი რომანოვი ესტუმრება საქართველოს.

1868

23 მაისამდე

საბჭოს სხდომაზე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ესწრება, განიხილავენ კავკასიაში მოღვაწე დამსახურებული და იმხანად უკვე გარდაცვლილი სამხედრო მაღალჩინოსნების ოჯახებისათვის მიწების გამოყოფის საკითხს.

1868

23 მაისამდე

მისდამი მიწერილ ბარათთან ერთად იღებს ნაცნობი გენერალ-ლეიტენანტის – კლუკი ფონ კლუგენაუს ქვრივის, ანა ვინოგრადსკაია-კლუგენაუს, წერილობით თხოვნას მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვისადმი. დაღესტნის ექსპედიციების წარმატებული სარდლის მეუღლე ითხოვს, რომ შეიყვანონ იმ ქვრივთა სიაში, რომლებსაც თავიანთი გარდაცვლილი ქმრების დამსახურებების გამო მიწებით აჯილდოებენ. გრიგოლ ორბელიანი ძალიან წუხს, რომ თავის დროზე, ამ სიების დამტკიცებისას, არ გაახსენდა ღირსეული გენერლის ქვრივი.

1868

23 მაისი

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს – ალექსანდრ სვისტუნოვს უგზავნის ანა ვინოგრადსკაია-კლუგენაუს მიერ მეფისნაცვლისა და პირადად გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილებს და გადასცემს მის თხოვნას მიწის ნაკვეთით დაჯილდოებასთან დაკავშირებით. წუხს, რომ არ მოაგონდა დაღესტნის ბობოქარი დროის ყველაზე მამაცი მებრძოლი გენერალი კლუგენაუ, რომლის ოჯახსაც დამსახურებულად ეკუთვნის იმპერატორის წყალობა. იმედოვნებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი რაიმე გზას გამოიხატავს სამართლიანობის აღსადგენად.

1868

25 მაისი

ივანე ანდრონიკაშვილსა და დიმიტრი ყიფიანთან ერთად გეგმავს წვეულებას მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის შესახვედრად.

1868

1 ივნისი

რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების გახსნაზე სხდომის მონაწილეთა საერთო თანხმობით ირჩევენ მის საპატიო წევრად.

- 1868 10 ივნისი**
 რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარე მიხეილ გარსევანიშვილი აცნობებს, რომ არჩეულია ამ საზოგადოების საპატიო წევრად. იგი წერს, რომ გრიგოლ ორბელიანის გამოცდილება და ადგილობრივი ვითარების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოებისთვის, რომელიც ტექნიკური მრეწველობის განსავითარებლად წინასწარ იკვლევს გარემოს. წერილს ხელს აწერენ საზოგადოების ადგილობრივი საბჭოს წევრებიც.
- 1868 16 ივნისი**
 წერილს სწერს ანა ვინოგრადსკაია-ფონ-კლუგენაუს და სიამოვნებით აცნობებს, რომ, დაღესტანში მისი მეუღლის თავდადებული სამსახურისა და დამსახურებების გამო, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ბრძანებით, მისი გვარი დაამატეს იმ პირთა სიას, რომლებსაც უნდა გადაეცეთ ყუბანის ოლქში არსებული თავისუფალი მიწები.
- 1868 26 ივნისამდე**
 გრიგოლ ორბელიანის განცხადება მადათოვის კუნძულზე მდებარე მისი და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მცირეწლოვანი ძმისშვილის – გიორგის კუთვნილი მიწის გაყიდვაზე უფლების მიცემასთან დაკავშირებით, მომრიგებელი სასამართლოდან იგზავნება საოლქოში.
- 1868 26 ივნისი**
 წერილს სწერს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძეს. აცნობებს, რომ მასთან გადაიგზავნა ადრესანტის თხოვნა მადათოვის კუნძულზე მდებარე მიწის გაყიდვაზე ნებართვის მისაღებად. რამდენადაც მიწის მფლობელი მასთან ერთად არის მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მცირეწლოვანი ძმისშვილი – გიორგი, დაწვრილებით უსაბუთებს, რატომ არის ამ მიწის გაყიდვა ხელსაყრელი არა მხოლოდ მისთვის, არამედ გიორგისთვისაც. წერილის ბოლოს სთხოვს, ეს ყველაფერი გაითვალისწინოს და მიწის გაყიდვის ნებართვა მისცეს.
- 1868 ივნისის შემდეგ**
 გრიგოლ ორბელიანის მიერ მიწოდებული საფუძვლიანი არგუმენტებისა და რძლისა და ძმისწულის მინდობილობების წარდგენის მიუხედავად, სასამართლო უარს ეუბნება მადათოვის კუნძულზე მდებარე მისი და მისი ძმისწულის, გიორგი ორბელიანის, კუთვნილი მიწის გაყიდვაზე.
- 1868 27 ივლისი**
 ლოზანიდან იღებს თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწულის - გიორგის წერილებს. იგებს, რომ კარგად არიან და, რომ გიორგის მომდევნო (რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით – მეექვსე) კლასში გადასასვლელი გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია.
- 1868 28 ივლისამდე**
 დასასვენებლად ადის კოდაში.

- 1868 28 ივლისამდე**
 კოჯრისკენ ურმით მიმავალი ნათესავეები, რომელთა შორის არიან: გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ეკატერინე ორბელიანი-ივანოვისა, ბიძაშვილ კონსტანტინე ორბელიანის ქვრივი – ხორეშან ვაჩნაძე-ორბელიანისა, ბიძაშვილის შვილები: სოფიო ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა, ანასტასია ორბელიანი-ოკლობჯიოსი და მისი ორი ქალიშვილი, ღამით კოდაში რჩებიან, მეორე დღეს გრიგოლთან სადილობენ და ურმითვე აგრძელებენ გზას. იწყება საშინელი წვიმა და გრიგოლი ძალიან ნერვიულობს, მაგრამ ისინი მშვიდობით მიდიან კოჯრამდე.
- 1868 28 ივლისამდე**
 კოდიდან თბილისში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ატყობინებს, რა მდგომარეობაშია კოდაში მისი სახლ-კარი. სწერს, რომ მის მსახურს, რომელიც იქაურობას განაგებს, წვიმისგან სახლი დანგრევია. აღწერს გარემოს და სთხოვს, ადრესატი და მისი მეუღლე – ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისაც მალე ავიდნენ.
- 1868 28 ივლისი**
 კოდიდან თბილისში მსახური ბიჭის, სოლომონკას, ხელით წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და უამბობს კოდის ამბებს. სწერს, რომ ალექსანდრე საგინაშვილმა გაუგზავნა ყველი და ბადრიჯანი. სთხოვს, რამდენიმე დღით მაინც ავიდეს.
- 1868 20 აგვისტომდე**
 იმყოფება კოდაში და იგებს, რომ მისი ბიძაშვილი – ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა, რომლის კოდაში ასვლასაც მოუთმენლად ელოდა, თბილისში დაბრუნებულა, მაგრამ ავად გამხდარა და წევს.
- 1868 20 აგვისტო**
 კოდიდან მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას; შეწუხებულია ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით; მოიკითხავს ალექსანდრე ორბელიანსა და ანასტასია ჩერქეზიშვილს.
- 1868 20 აგვისტო**
 კოდიდან თბილისში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისას, და სწერს, რომ მოუთმენლად ელიან. სთხოვს, შეატყობინოს, როგორ არის და როდის შეძლებს კოდაში ასვლას.
- 1868 23 აგვისტო**
 მსახურის ხელით იღებს ალექსანდრე საგინაშვილის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტის მეუღლე – ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა ისევ ავად არის.

- 1868 23 აგვისტო**
კოდაში ადიან გრიგოლ ორბელიანის რძალი – ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა და მისი დისწული – ანასტასია ჩერქეზიშვილი. მასთან, ასევე, სტუმრად არიან ბიძაშვილი – ყაფლან ორბელიანი და მისი მეუღლე ელისაბედ ბარათაშვილი-ორბელიანისა და ნარდს თამაშობენ.
- 1868 23 აგვისტო**
კოდიდან თბილისში მოკლე ბარათს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს. იმედს გამოთქვამს, რომ ადრესატის მეუღლე – ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა მალე გამოჯანმრთელდება და კოდაში ავლენ, მაგრამ სწერს, რომ, თუ შეუგვიანდათ, თავად ჩავა თბილისში.
- 1868 28 აგვისტო**
კოდიდან თბილისში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და აცნობებს, რომ წვიმები დაიწყო და ძალიან აცივდა. ამიტომ ურჩევს, რომ ექიმის რეკომენდაციის გარეშე ბარბარე კოდაში აღარ აიყვანოს.
- 1868 აგვისტოს შემდეგ**
თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და სთხოვს, თბილისში დაბრუნებისას წამოუღოს წიგნი „Исторія философіи“, რომელიც კოდაში მასთან დარჩა. აცნობებს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას ზამთარში ელოდებიან შვილებითა და სიძით.
- 1868 10 სექტემბერი**
წერილს სწერს რუსეთის იმპერიის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს – მიხეილ გარსევანიშვილს და აცნობებს, რომ ავადმყოფობისა და სოფლად ყოფნის გამო ვერ გამოეხმაურა ამ საზოგადოების მიერ მის არჩევას საპატიო წევრად. სწერს, რომ აფასებს მათ ყურადღებას და პატივად იღებს ამ წოდებას, რადგან ფიქრობს, რომ ტექნიკური მრეწველობა სახალხო კეთილდღეობის საძირკველია და მისი განვითარება საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანია.
- 1868 19 სექტემბერი**
გარდაეცვალა დეიდაშვილი, ცნობილი გენერალი – ივანე ანდრონიკაშვილი, რომელიც, გრიგოლის მსგავსად, იყო ერეკლე მეორის შვილთაშვილი და, ამასთანავე, იმერეთის უკანასკნელი მეფის – სოლომონ მეორის დის შვილიშვილი. გრიგოლ ორბელიანმა მისი გარდაცვალება ძალიან განიცადა.
- 1868 24 სექტემბრის შემდეგ**
ესწრება ნათესავისა და ახლობლის – გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი თამაზის (თომას) მე ორბელიანის დაკრძალვას. ბარბარე ბაგრატიის ასული ბაგრატიონ-ორბელიანისა მეუღლის გარდაცვალების დროს თბილისში არ იმყოფებოდა და გრიგოლი განიცდის, რომ მის გარეშე მოუწევთ დიმიტრის დასაფლავება, მაგრამ ბარბარე ახერხებს დაკრძალვამდე ჩამოსვლას და მიცვალებულთან გამომშვიდობებას.

- 1868 9 ნოემბრამდე**
 თბილისს სტუმრობენ ცნობილი ფერმწერი ივან აივაზოვსკი და მევიოლინე ჰენრიხ ვენიავსკი. გრიგოლ ორბელიანი ესწრება პირველის ნამუშევრების გამოფენას და მეორის კონცერტებს და ორივეთი აღფრთოვანებულია.
- 1868 9 ნოემბერი**
 1000 მანეთთან ერთად თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ის და მისი ვაჟი გიორგი მოსკოვში დაბრუნდნენ, სადაც უკეთ იგრძნობენ თავს ბარბარეს დებისა და დედის – ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიას გარემოცვაში. ჰპირდება, რომ თადარიგს დაიჭერს მათი პენსიების მოსკოვში გადასარიცხად. დაწვრილებით სწერს ახლობლების ამბებს და თბილისის კულტურულ სიახლეებს.
- 1868 16 ნოემბერი**
 დილით გრიგოლ ორბელიანთან მიდის ძველი ნაცნობი, სილატაკისგან მოდრეკილი და დაჩაჩანაკებული ჯუნგუთაელი მეომარი აბდულ აზიზი და სთხოვს დახმარებას.
- 1868 16 ნოემბერი**
 ჯუნგუთაელი აბდულ აზიზის ხელით წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრს – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის. სწერს ამ პიროვნების ღირსებებისა და ღვაწლის შესახებ და სთხოვს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან შუამდგომლობას, რომ ხელისუფლების ერთგული სამსახურისთვის მისცენ 100 მანეთი ერთჯერადი დახმარება.
- 1868 18 ნოემბერი**
 წერილს უგზავნის ელიზავეტოპოლის გუბერნატორს, ფოკიონ ბულატოვს და სთხოვს, ყაჩაღებთან კავშირში ბრალდებული ახალგაზრდა ადილბეკ იბრაიმ ბეგ ოღლის შეწყალებას. სწერს, რომ ეს ყმაწვილი უგურლუბეგების უძველესი მოდგმის შთამომავალია და მის წინაპრებსა და ნათესავებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან. მის ერთ-ერთ ბიძას თავად იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა უბოძა ბრილიანტის ვარსკვლავი, ამიტომ სთხოვს, აკმაროს ადილბეკს ციხეში უკვე გატარებული ოთხი წელი და კავკასიიდან ნუ გაასახლებს.
- 1868** ირჩევენ საპატიმროების ზედამხედველობის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარედ და ვიცე-პრეზიდენტად.
- 1868** ირჩევენ კავკასიის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრად.
- 1869 5 იანვარი**
 თავისი პოემის „ტოლუბაში“ („სადღეგრძელო“) პირველი თავის ტექსტთან ერთად წერილს უგზავნის ბიძას, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს. სთხოვს, რაც არ მოეწონება, წაშალოს და უკან გაუგზავნოს, რომ მეორე თავზე გააგრძელოს მუშაობა.

- 1869 29 იანვარი**
პატაკს უგზავნის დერბენდის პოლკის უფროს ევგრაფი კოვალევსკის ოფიცერ ლემჩენიკოვის შესახებ. სწერს, რომ პირადად არ იცნობს, მაგრამ ერთხელ ნახა, ქუჩაში როგორ უყვიროდა ჯარისკაცს.
- 1869 იანვარი**
თბილისის სახაზინო პალატას გამორჩა მისი პენსიის შეტანა ბიუჯეტში და თანხას ვერ იღებს. ამიტომ განცხადება შეაქვს პალატის ადგილობრივ სამმართველოში.
- 1869 10 თებერვალი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს – ნიკოლოზ ბარანოვსკის და ატყობინებს, რომ წინა წელს მისი გვარი გამორჩათ სახელფასო ნუსხიდან და დიდი წვალეების შემდეგ მხოლოდ მაისიდან მოახერხა ხელფასის მიღება. წუხს, რომ იგივე მეორდება მიმდინარე წელსაც. სთხოვს, მოაგვარონ საქმე და საარსებო საშუალების გარეშე ნუ დატოვებენ.
- 1869 12 თებერვალი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს – ნიკოლოზ ბარანოვსკის და ატყობინებს, რომ მზად არის ერთ კვირას დაელოდოს პეტერბურგიდან პასუხის მიღებას მის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მაგრამ, თუ გადაწყვეტილებამ დაიგვიანა, თანახმაა, რომ ყოველთვიური ანაზღაურება სესხად მისცენ და ეს ვალი ფინანსთა სამინისტროსგან ასიგნაციების მიღებისთანავე დაიფაროს.
- 1869 20 თებერვლამდე**
გამოდის ინიციატივით, რომ შეგროვდეს თანხა ძველი ქართული წიგნების გამოსაცემად და ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს პლატონ იოსელიანი.
- 1869 25 თებერვალი**
წერილს სწერს ბიძას, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს, და ბარათთან ერთად უგზავნის თავის პოემას, რომელსაც, ამჯერად, „ტოლუბაშის“ ნაცვლად, სათაურად აქვს „სადღეგრძელო“. სთხოვს, წაიკითხოს და შენიშვნებით მალევე დაუბრუნოს.
- 1869 თებერვალი**
თბილისის სახაზინო პალატა ითვალისწინებს გრიგოლ ორბელიანის განცხადებას და მისი კუთვნილი საპენსიო თანხა შეაქვს ბიუჯეტში.
- 1869 24 თებერვალი-2 მარტი**
ყველიერის კვირასთან დაკავშირებით მეფისნაცვლის სასახლესა და ეკატერინე ჭავჭავაძესთან იმართება თეატრალური წარმოდგენები და ხალხმრავალი წვეულებები.
- 1869 15 მარტამდე**
მართავს დიდ წვეულებას, რომელსაც ესწრებიან ეკატერინე ჭავჭავაძე ქალიშვილთან, სალომე დადიან-მიურატისასთან, და მეუღლესთან, აშილ მიურატთან, ერთად და მთელი სანათესავო.

- 1869 15 მარტამდე**
რამდენიმე წერილს იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისგან. ერთ-ერთი ბარათიდან გადმოვარდება ახალგაზრდა ქალის ფოტო. გრიგოლს ჰგონია, რომ მასზე მისი რძლის გამოსახულებაა და უკიდურესად გახარებულია, რომ ის ასე კარგად და ახალგაზრდულად გამოიყურება. შემდეგ წერილიდან არკვევს, რომ ეს ადრესანტის დის – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ფოტოა და თავის თავზე ეცინება.
- 1869 15 მარტი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, ბოდიშს უხდის პასუხის დაგვიანებისთვის და დაწვრილებით უყვება თბილისის ამბებს. სწერს, რომ მარტის ბოლოს თბილისს ესტუმრება დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. გახარებულია, რომ რკინიგზა როსტოვს ვლადიკავკაზთან დააკავშირებს და იმედოვნებს, რომ სულ რაღაც ორ წელიწადში საშუალება ექნება, ხშირად ჩააკითხოს მოსკოვში. ეთანხმება, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი მშვენიერი არჩევანია გიორგისთვის. მისი კურსის დამთავრების შემდეგ ადრესატის ვაჟს შეეძლება სწავლა გააგრძელოს ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში და მოისმინოს მისთვის საინტერესო საგნები. წუხს, რომ, მიუხედავად რძლისა და ძმისწულის მინდობილობის წარდგენისა, სასამართლომ უარი უთხრა მადათოვის კუნძულზე მდებარე მათი კუთვნილი მიწის გაყიდვაზე.
- 1869 15 მარტი**
იღებს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი თანაშემწის, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ კარცოვის მეუღლის – ეკატერინე პუშჩინა-კარცოვას მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილს.
- 1869 15 მარტი**
იწყებს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი თანაშემწის, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ კარცოვის მეუღლის, ეკატერინე პუშჩინა-კარცოვასათვის პეტერბურგში გასაგზავნი საპასუხო წერილის წერას, მაგრამ ვერ ასრულებს. წერის შეწყვეტამდე ასწრებს იმის მოყოლას, ვინ ვისზე დაიწერა ჯვარი, ვინ სად გადაიყვანეს სამსახურში და რომელი ქალბატონები ბრწყინავენ ყველაზე მეტად თბილისის უმაღლეს საზოგადოებაში.
- 1869 26 მარტი**
ხვდება თბილისში ჩამოსულ კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის ძმას – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს.
- 1869 29 მარტამდე**
ესწრება საგზაო მშენებლობების საკითხებზე გამართულ შეკრებას, რომელზეც განიხილავენ როსტოვიდან მოზდოკამდე, კავკასიონის მთებიდან თბილისამდე და მოზდოკიდან ბაქომდე რკინიგზის გაყვანის პროექტებს.

- 1869 29 მარტამდე**
იგებს, რომ მისი ნათესავი ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტური გამოსვლების დროს ახალგაზრდების დეპუტაციაში შედიოდა, სასწავლებლიდან გარიცხეს და ძალიან განიცდის, რომ ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ თავისი მომავალი ასე დაასამარა.
- 1869 29 მარტი**
ასრულებს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი თანაშემწის, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ კარცოვის მეუღლის – ეკატერინე პუშჩინა-კარცოვასათვის პეტერბურგში გასაგზავნი წერილის წერას. აღწერს ივანე აივაზოვსკის ფერწერულ ტილოებს, რომელთა გამოფენაც მოეწყო თბილისში და გამოთქვამს აღტაცებას. სასურველად მიაჩნია, რომ ერმიტაჟში კავკასიის ხელებს ცალკე განყოფილება დაეთმოს. სწერს, რომ აივაზოვსკის სურს ყირიმში გამგზავრებამდე არარატისა და კახეთის დახატვაც. ფიქრობს, რომ მთის დახატვის საშუალებას ნისლი არ მისცემს და კარგი იქნება, თუ ალაზნის ველისას მაინც მოასწრებს. უყვება დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის, პეტერბურგიდან ორპირში ეტლში ჩაუჯდომლად ჩასვლისა და კავკასიაში რკინიგზის ქსელის გაფართოების პერსპექტივების შესახებ. დიდი პატივისცემით მოიკითხავს ადრესატის მეუღლეს და შვილებს.
- 1869 1 მაისი**
წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის და დაწვრილებით აცნობს, რა აქვთ იმდღევანდელი პიკნიკის გეგმაში.
- 1869 1 მაისი**
4-დან 8 საათამდე ბარონ ალექსანდრ ნიკოლაისთან და სხვებთან ერთად მონაწილეობს ძველი თბილისის კედლებთან გამართულ პიკნიკსა და წვეულებაში, ზურნის, სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით.
- 1869 1 მაისი**
პეტრე უმიკაშვილი გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს სტატიას ძველი ქართული წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით და საგანგებოდ გამოყოფს ამ საქმეში, ახალგაზრდებთან ერთად, ძველი თაობის წარმომადგენლების – გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანებისა და დიმიტრი ყიფიანის აქტიურ ჩართულობას.
- 1869 12 მაისამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომელშიც ადრესანტი გულისტკივილს გამოთქვამს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გარიცხული ახალგაზრდების ბედთან დაკავშირებით და სთხოვს მათ დახმარებას.
- 1869 12 მაისი**
თურქეთში საბოლოოდ გადასახლების წინ მასთან გამოსამშვიდობებლად მიდის ელისუს ყოფილი სულთანი – დანიილ-ბეგი.

1869

12 მაისი

თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და კიდევ ერთხელ დაჟინებით სთხოვს მისი და გიორგის ფოტოების გაგზავნას. აცნობებს, რომ მეფისნაცვალის მეუღლით წაბრძანდა ყირიმში, იქიდან კი პეტერბურგში ჩავლენ. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახი გაემგზავრა სამეგრელოში, ტასო ორბელიანი-გაგარინისა – ყირიმში, ყოფილი მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის და – ლეონილა ბარიატინსკაია-ვიტგენშტეინისა – რეინზე, ხოლო ბარბარე თამამშევა – პეტერბურგის გავლით, საზღვარგარეთ. სწერს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერს გააკეთებს მემამბოხე სტუდენტების წინააღმდეგ უნივერსიტეტის მიერ გამოტანილი სამართლიანი განაჩენის შესამსუბუქებლად.

1869

ივნისამდე

პლატონ იოსელიანთან ერთად იწყებს ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე ზრუნვას.

1869

4 ივნისი

1000 მანეთთან ერთად თბილისიდან მოსკოვში მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ იმ დღეებში მისი დისწული, მარიამ (კაკო) ჭავჭავაძე ჯვარს იწერს ზაქარია ჭავჭავაძეზე.

1869

9 ივნისი

კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძის, ხელით უგზავნის წერილს და სთხოვს ჟურნალის მატერიალურ დახმარებას. აქებს კერესელიძის ღვაწლს, წერს, რომ ის ამ საქმისთვის არის დაბადებული და აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან მისი ხელშეწყობა.

1869

16 ივნისის შემდეგ

იღებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის მიერ გორდიდან გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მისი ვაჟი – ნიკოლოზ დადიანი ჯერ არ ჩასულა ბორჯომიდან, სალომე დადიანი-მიურატისა კი მალე აპირებს გამგზავრებას.

1869

15 ივნისი

დასასვენებლად ადის კოდაში ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის, სახლში.

1869

16-18 ივნისი

კოდიდან თბილისში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და სიძეს, ალექსანდრე საგინაშვილს. სწერს, რომ კოდაში 15 ივნისს ავიდა, აღწერს იქაურ ვითარებას და მოუთხრობს მსახურებთან თავისი საუბრების შესახებ.

- 1869 27 ივნისი**
იმყოფება კოდაში და იწყებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისთვის გორდში გასაგზავნი ბარათის წერას. ატყობინებს, რომ საზაფხულოდ თბილისიდან ნელ-ნელა ყველა მათი ახლობელი და ნათესავი გაიკრიფა. აღშფოთებას გამოთქვამს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორ პავლე სმიტენის საქციელთან დაკავშირებით, რომელმაც ეკატერინე ჭავჭავაძეს ჯერ თავადვე შესთავაზა კონტრაქტი და შემდეგ უკან დაიხია. სწერს, რომ მას არავინ ამართლებს და მისი ქცევა ხელისუფლებისგან ზეწოლის შედეგად კი ჰგონიათ. სწერს, რომ სმიტენი დროებით საზღვარგარეთ გაემგზავრა.
- 1869 1 ივლისამდე**
რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, დედის გარდაცვალების გამო უხდება კოდიდან თბილისში დაბრუნება და დაკრძალვაზე დასწრება.
- 1869 1 ივლისი**
ანჩისხატის ტაძარში ესწრება წირვას და ისმენს ქართულ გალობას, რომლითაც აღფრთოვანებულია.
- 1869 1 ივლისი**
თბილისში ასრულებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისთვის გასაგზავნი 27 ივნისის კოდაში დაწყებული, წერილის წერას და უგზავნის გორდში. სთხოვს, ეკატერინე და მისი შვილები – სალომე, ნიკოლოზ და ანდრია დადიანებიც ნივთიერად შეეწიონ ძველი ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეს, რადგან ქართული დამწერლობა არსებობდა ქრისტეს დაბადებამდე 300 წლით ადრე, ამდენ აკლებას გადაურჩა და არც ახლა უნდა განადგურდეს. მოიკითხავს ადრესატის შვილებსა და სიძეს.
- 1869 30 ივლისამდე**
რალაცაზე ეკამათება თავისი ბიძაშვილის, ეკატერინე ერისთავ-ორბელიანის, ქალიშვილს, ივანე ორბელიანის მეუღლეს – სოფიოს.
- 1869 30 ივლისი**
ეკატერინე ერისთავ-ორბელიანის ქალიშვილი, ივანე ორბელიანის მეუღლე – სოფიო გრიგოლ ორბელიანთან შესარიგებლად მართავს საგანგებო სადილს, რომელსაც ესწრებიან ივანე დავითის ძე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი.
- 1869 30 ივლისი**
მასთან სადილად არიან ბიძაშვილი – ყაფლან ორბელიანი, მისი დის – ეკატერინე ორბელიან-ერისთავის შვილი, რევაზ შალვას ძე ერისთავი და შვილიშვილი – ალექსანდრე.
- 1869 31 ივლისი**
თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. სწერს, რომ გახარებულია ქალაქში დაბრუნებით, რადგან, მტვრისა და დაბინძურებული ჰაერის მიუხედავად, თბილისი მაინც სხვა რამ არის. სწერს მათი ნათესავების ამბებს და სთხოვს, „დაბადების“ კითხვა მის გარეშე არ გააგრძელოს.

1869

11 აგვისტო

თბილისიდან კიევში წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ მხარის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვს. შეახსენებს კავკასიის ომებში ერთად ბრძოლის პერიოდს და სთხოვს ყურადღების მიქცევას თავისი ბიძაშვილის შვილის, ალექსანდრე რევაზის ძე ერისთავისთვის, რომელიც კიევის სამხედრო გიმნაზიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. უყვება კავკასიაში მიმდინარე მშვიდობიანი აღმშენებლობის შესახებ. სწერს, რომ დაღესტანში გაყვანილია გზა ხუნძახისა და ღუნბისკენ; გაჩაღებულია საგზაო სამუშაოები ფოთიდან თბილისისკენ; ქუთაისი გაივსო ინგლისელებითა და გერმანელებით, რომლებიც მხარეს სწავლობენ ვაჭრობის გასაჩაღებლად და, რომ მიმდინარეობს დისკუსიები მოზდოკიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანაზე ვლადიკავკაზისა და ყაზბეგის გავლით.

1869

17 სექტემბრამდე

ხანგრძლივად და მძიმედ ავადმყოფობს ჯერ ნაღვლის ბუშტის ანთებით და შემდეგ – ცხელებით.

1869

17 სექტემბერი

თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და აცნობებს, რომ ძლივს გამოკეთდა, მაგრამ სახლიდან მაინც არ გადის. სწერს, რომ ადრესატის მეუღლე ალექსანდრე საგინაშვილი წინა დილით გაემგზავრა თავის სამხედრო დანაყოფში; უყვება ახლობლების ამბებს და სთხოვს, რომ, რადგან აგრილდა, კოდაში ეციება და თბილისში დაბრუნდეს.

1869

18 ოქტომბერი

პოემა „სადღეგრძელოს“ ტექსტთან ერთად, წერილს უგზავნის ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს. სწერს, რომ ეს არის, რისი დაწერაც შეძლო და ნულარ შეეცდება მისთვის ახალ-ახალი ისტორიების მოყოლას პოემაში ჩასამატებლად. უგზავნის რვეულს, რომელშიც, ადრესატის რჩევით, ჩაამატა პირთა სახელები და სთხოვს, სქოლიოებში მიაწეროს მათი ვინაობა.

1869

26 ოქტომბერი

თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და სწერს, რომ ძალიან იავადმყოფა. დეპეშა ვერ გაუგზავნა, რადგან ტელეგრაფი მთლიანად ინგლის-ინდოეთის გზავნილებით იყო დაკავებული. მმისწულს ულოცავს დაბადების დღეს. აინტერესებს, როგორ სწავლობს, რომელი მეცნიერება იზიდავს; ფიქრობს, რომ სახლში, მხოლოდ ქალთა გარემოცვაში გაჩერება მისთვის საზიანოა, რადგან, თუ ქალები გაიმარჯვებენ მასზე, ბუნებით მონა გახდება, თუ ის გაიმარჯვებს – დესპოტი. მხოლოდ მამაკაცთა წრეში, საწინააღმდეგო აზრებთან შეჯახებისას, მტკიცდება მამაკაცის ბუნება და ამიტომ, ურჩევს გიმნაზიაში სწავლას. აცნობებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი მეუღლესა და შვილებთან ერთად პეტერბურგს მიემგზავრებიან და ადრესატს სთხოვს, გიორგი წარუდგინოს რკინიგზის სადგურზე ან სასახლეში.

- 1869 6 ნოემბერი**
1000 მანეთთან ერთად თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და საყვედურობს, რომ წერილებსა და ფოტოებს არ უგზავნის. ატყობინებს, როდის ჩავა კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ოჯახთან ერთად პეტერბურგში და სთხოვს, გიორგი აუცილებლად წარადგინოს მასთან.
- 1869 არა უგვიანეს შემოდგომისა**
ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლე – ნიკოლოზ ივანოვი მამულებთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანისგან ითხოვს 150 ათას მანეთამდე თანხის გადახდას.
- 1869 შემოდგომა**
წერილს სწერს ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლეს ნიკოლოზ ივანოვს, რომელსაც მამულების გაყოფაზე დავა აქვს მეორე ბიძაშვილთან – ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანთან. განუმარტავს, რომ მის მიერ შეთავაზებული ანგარიში საქმის კეთილად მოგვარების საფუძველი ვერ იქნება, რადგან მძიმედ დააწვება ალექსანდრეს, რომელიც საოლქო სასამართლომაც და სენატმაც გაამართლა. ამიტომ, ალექსანდრეს სახელით სთავაზობს სხვა პირობებს: მიწებს: მადათოვის კუნძულზე, ქვეში, ტაშტიკულარში, მუხათში, ლოუბანში, შინდისსა და ბევრეთში, რომელთა საერთო ფასი სულ ცოტა 14335 მანეთია.
- 1869 შემოდგომა**
ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლე – ნიკოლოზ ივანოვი გრიგოლ ორბელიანს აწვდის ახალ ანგარიშებს ალექსანდრე ორბელიანთან სადავო მიწებთან დაკავშირებით, რომლითაც მისგან ითხოვს 39251 მანეთს.
- 1869 შემოდგომა**
წერილს სწერს ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლეს ნიკოლოზ ივანოვს. აცნობებს, რომ მისი ბოლო ანგარიშიდან თანხის ნაწილი მოდავე ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს არ უნდა მიეწეროს. უხსნის, რომ ორბელიანების მიწებთან დაკავშირებით, ხაზინასთან ალექსანდრეს სამართლიანმა დავამ გადაარჩინა ადრესატის მეუღლის მამულიც. ივანოვის ანგარიშით, ეკატერინე ორბელიანს ეკუთვნოდა 1619 დესეტინა მიწა, რაც არარეალური იყო. გრიგოლ ორბელიანი სწერს, რომ გაყოფის შედეგად არცერთ მემკვიდრეს არ შეხვედრია 700 დესეტინაზე მეტი. კიდევ ერთხელ ურჩევს, დათანხმდეს წინა წერილით შეთავაზებულ თანხას, რომელიც რეალურ დანაკარგზე სამჯერ მეტია და სთხოვს, რომ ამ მიმოწერამ მათ ნათესაურ ურთიერთობაზე უარყოფითად არ იმოქმედოს.
- 1869 4 დეკემბრამდე**
მოსკოვიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის და მისი ვაჟი გიორგი კარგად არიან და გადაწყვიტეს, გიორგი უნივერსიტეტისთვის სახლში მოემზადოს.

- 1869 4 დეკემბერი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ულოცავს ანგელოზის დღეს. ეჭვობს, ადრესატის ვაჟმა უამხანაგოდ, შეჯიბრის გარეშე მოახერხოს ისე სწავლა, რომ პირდაპირ უნივერსიტეტში ჩააბაროს. მისი აზრით, სტუდენტებთან და პროფესორებთან ურთიერთობა უფრო გაუჩენდა მას სწავლისა და შრომის სურვილს. აცნობებს, რომ იალტაში გარდაიცვალა მანანა ორბელიანის ვაჟი – ალექსანდრე.
- 1869 9 დეკემბრამდე**
 წერილს იღებს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისგან. ის, როგორც ბარათიდან ირკვევა, უკვე ავად არის და ამიტომ ბარათი მისი ქალიშვილის, დარიას, ხელით არის ნაწერი. ალექსანდრე, რომელიც უკიდურესად დათრგუნა 1832 წლის შეთქმულების შემდგომმა გადასახლებამ და ტერორმა, ბედს შესჩივის, თუ რაღაც გაუმხილა, პირზე კლიტე რაღად დაადო. გრიგოლს, როგორც თავის ერთადერთ ცოცხალ თანამოაზრეს, გულწრფელად უზიარებს გულისნადებს, აქებს მის პოეზიას და მოიხსენიებს, როგორც „წარჩინებულსა“ და „მაღალს“.
- 1869 18 დეკემბრამდე**
 იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილს და ძვირადღირებულ ჩაის.
- 1869 18 დეკემბერი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და დიდი მწუხარებით აცნობებს, რომ გარდაიცვალა უადრესად პატიოსანი და პრინციპული ადამიანი – ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. სწერს, რომ მარიამ (მაკალო) მელიქიშვილი-გურიელისა ქმარს ღალატობდა, რის გამოც ქმარმა, მამია გურიელმა, მისი საყვარელი სცემა და ცოლს გაეყარა. გარდა ამისა, უყვება, რომ ვიღაც ყორღანოვს საკუთარი ცოლი სთხოვს სხვა კაცზე, არღუთინსკიზე გათხოვებას. გრიგოლი გაოგნებულია ასეთი ფაქტებით და მიიჩნევს, რომ უცნაური დრო დადგა.
- 1869 25 დეკემბრამდე**
 რამდენადაც პლატონ იოსელიანმა დაკავებულობის გამო ვერ იტვირთა ძველი წიგნების გამოცემის საქმე, გრიგოლ ორბელიანი უთანხმდება ნიკოლოზ ბერძნიშვილს, პეტრე უმიკაშვილსა და გიორგი წერეთელს, რომ ეს საქმე მათ გადაიბარონ.
- 1860-1869** აფინანსებს და ორგანიზებას უწევს თბილისში ყეენობის დღესასწაულის გამართვას.
- 1870 იანვრის შუა რიცხვებამდე**
 ავად არის და, ასევე, ავადმყოფ ბიძაშვილს – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას ულოცავს ახალ წელს.

- 1870 20 იანვრამდე**
ხვდება ყირიმიდან დაბრუნებულ ნათესავებს – მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისას და მის ქალიშვილს – ანასტასია ორბელიან-გაგარინისას. დიდი მწუხარებით უსამძიმრებს ერთის ვაჟის და მეორის ძმის – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის გარდაცვალებას.
- 1870 20 იანვარი**
იმყოფება თბილისში და იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ მოსკოვიდან გაგზავნილ დეპეშას პენსიის ალბასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების შესახებ.
- 1870 20 იანვარი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ატყობინებს, რომ შვილის გარდაცვალებით განცდილმა მწუხარებამ მანანა ერისთავი-ორბელიანისა ლოგინად ჩააგდო. სთხოვს, თუ არ იცნობს, გაიცნოს და დაუახლოვდეს გარდაცვლილი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის მეუღლეს – ევდოკია სომოვა-ორბელიანისას, რომლის სიკეთესა და გონიერებასაც ყველა აქებს. დაწვრილებით უხსნის, როგორ მიიღოს მისი კუთვნილი პენსია მოსკოვის სახაზინო პალატიდან. სწერს, თუ თბილისიდან დამატებითი დოკუმენტები დასჭირდება, დაუყოვნებლივ გაუგზავნის.
- 1870 იანვარი**
ჟურნალ „ცისკარში“ ისევ იბეჭდება მისი ლექსი „იარალისადმი“.
- 1870 29 თებერვლამდე**
წერილს სწერს ბიძაშვილს – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას და ხუმრობით ურჩევს, ეახლოს მას და მოინანიოს ყველიერის კვირაში ჩადენილი ცოდვები.
- 1870 22 მარტი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და შემფოთებას გამოთქვამს იმ მდგომარეობით, რომელშიც ადრესატი ჩააყენა მოსკოვის სახაზინო პალატამ. ფიქრობს, რომ მისი პენსია შეცდომით არ ჩასვეს ბიუჯეტში. ურჩევს ფეოდოსიაში დასვენებას.
- 1870 30 მარტი**
სადილად არის მიწვეული მეფისნაცვლის სასახლეში და ამის გამო ვერ ახერხებს დიმიტრი ყიფიანთან ერთად რაღაც შეკრებაზე წასვლას.
- 1870 31 მარტი**
წერილს უგზავნის თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ორლოვსკის. მოწიწებით სთხოვს, რომ მისი დისწულის, ნინო ბარათაშვილის, მეუღლე, ლეონიდე ბარათაშვილი, მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნოს ახალციხის მაზრაში. სწერს, რომ ამით ის დაასაქმებს ღირსეულ მოხელეს და თან შიმშილისაგან იხსნის მის ოჯახს.

- 1870 30 აპრილი**
წერილს სწერს პლატონ იოსელიანს. სთხოვს, პოემისთვის „ტოლუბაში“ („სადღეგრძელო“) აცნობოს, სად მდებარეობდა ქალაქი კარნუ და იმჟამად რა ეწოდებოდა.
- 1870 30 აპრილი ან შემდეგ**
წერილს იღებს პლატონ იოსელიანისგან, რომელიც აცნობებს, რომ კარნუ სომხეთის ქალაქი იყო, რომელსაც თურქებმა არზრუმი უწოდეს.
- 1870 15 მაისამდე**
წერილს იღებს თავისი რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დის – გაიანესგან, რომელიც ატყობინებს, რომ ბარბარე და მისი ვაჟი გიორგი კვლავ ვერ იღებენ მათ კუთვნილ პენსიას.
- 1870 15 მაისი**
წერილს სწერს თბილისიდან მოსკოვში რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ თბილისის სახაზინო პალატამ მიმართა პეტერბურგისას ადრესატისთვის საპენსიო თანხის გამოყოფის განკარგულების გასაცემად. სთხოვს, ვინმეს დააჩქარებინოს ეს საქმე. გაოცებულია, რომ მის საგვარეულოში არავინ აღმოჩნდა, ვინც შეძლებდა პენსიის გაუცემლობის მიზეზის გარკვევას.
- 1870 30 იანვრიდან 17 მაისამდე**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის სენატორ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს და აცნობებს, რომ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი, საზღვარგარეთ მიდის შვებულეებაში, ხალხი კი ნატრობს, რომ ძველ თანამდებობაზე აღარ დაბრუნდეს. სწერს, რომ გაუხარდებოდა, თუ ადრესატი დაიკავებდა მის ადგილს, რადგან ეს კარგი იქნებოდა ქვეყნისთვის. წუხს, რომ გაღარიბებულმა თავადაზნაურობამ არ იცის, როგორ დახვდეს იმპერატორს, რადგან შესაფერისი ცხენები, იარაღი და ტანსაცმელი არა აქვთ. სთხოვს, დაეხმაროს მის ბიძაშვილს, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს, რომელსაც ადვოკატიც ვერ უშოვნია სადავო საქმის მოსაგვარებლად.
- 1870 მაისი**
წერილს სწერს ზაქარია ჭავჭავაძეს და სთხოვს, სამ ნაკადად გაუგზავნოს 20-20 ბოთლი ახალჩამოსხმული ესენდუკის წყალი, რომლის დაღვევასაც ექიმები ურჩევენ ზამთარში გადატანილი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო.
- 1870 1 ივნისამდე**
მოკლებართს იღებს მანანა ერისთავ-ორბელიანისგან, რომელიც სთხოვს, შეატყობინოს ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის ჯანმრთელობის ამბავი.
- 1870 15 ივნისი**
იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ 4 ივნისს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის გერმანიაში იყო სამკურნალოდ და უკეთესად არის.

- 1870 15 ივნისი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ ბარბარე ორბელიანი-ოპოჩინინისა მეუღლითა და ვაჟით პეტერბურგს მიემგზავრება და თბილისის ამბებს ისინი მოუყვებიან. აიძულებს, რომ პენსიის საქმე გამოსწორდება, მაგრამ სთხოვს, თუ ისევ შეფერხდება, აუცილებლად შეატყობინოს. ურჩევს, ზამთრისთვის ძალის მოსაკრებად ზღვაზე დაისვენოს. აცნობებს, რომ თბილისში ჩაბრძანდა ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი თავის ახალგაზრდა მეუღლესთან – თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკაიასთან ერთად.
- 1870 3 ივლისი**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას და ატყობინებს ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისა და მანანა ერისთავ-ორბელიანის გარდაცვალების ამბავს. აცნობებს, რომ მოელიან დიდი მთავრის – კონსტანტინე რომანოვის ჩამოსვლას. საუბრობს მტკვრის ადიდებასა და ხალხის დაზიანებაზე. ატყობინებს, რომ პალატამ დაარღვია საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მამია გურიელის საქმესთან დაკავშირებით და ციმბირის ნაცვლად 8 თვით პატიმრობა მიუსაჯა, რამაც დამსწრეთა დიდი სიხარული გამოიწვია.
- 1867 -1870 10 ივლისი**
 თბილისიდან თეთრიწყაროში წერილს უგზავნის რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სწერს, რომ თანდართული წერილი ეკუთვნის ექიმ ადოლფ რემერტს და გაუგზავნოს ან პირდაპირ, ან ექიმ რომან მაჭავარიანის მეშვეობით.
- 1870 13 ივლისი**
 ავად ხდება ნალვლის ბუმტის ანთებით.
- 1870 14 ივლისი**
 წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის დირექტორს – ნიკოლოზ ბარანოვსკის. აცნობებს, რომ მისი რძალი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწული გიორგი ორბელიანი პენსიას ვერ იღებენ, რადგან ის გადასატანია ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო ნაწილიდან მოსკოვის სახაზინო პალატაში. სთხოვს დაეხმაროს ამ საქმის დაჩქარებაში, რადგან მისი ნათესავები მოსკოვში უსახსროდ არიან დარჩენილი.
- 1870 25 ივლისის შემდეგ**
 იღებს ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის მოკლე ბარათს. ადრესანტი ატყობინებს, რომ მასთან სტუმრად არის ყარაბაღელი პოეტი და ქველმოქმედი გევჰარ-ალა და სთხოვს მისვლას, რადგან, თათრულის არცოდნის გამო, სტუმართან ვერ საუბრობს და კომუნიკაცია უჭირთ.
- 1870 25 ივლისის შემდეგ**
 საპასუხო მოკლე ბარათს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და სწერს, რომ ადრესატის ქმარი – ალექსანდრე საგინაშვილი აღმფოთებულია ზეულისტანთან დაკავშირებული ვითარებით. უბოდიშებს, რომ მიპატიჟებას ვერ მიიღებს, რადგან ძალიან დაკავებულია.

- 1870 21 აგვისტომდე**
სადილად არის მიწვეული ვლადიმერ და ოლღა ლევაშოვებთან, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, ვერ მიდის და გულდაწყვეტილი მოკლე ბარათს სწერს ამის შესახებ ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას.
- 1870 21 აგვისტომდე**
მოკლე ბარათს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. ხუმრობით სწერს, რომ ექიმ ანდრეი ლიბაუს მკურნალობა აღარ დასჭირდება, რაკი თბილისის ზემოუბნელმა ნათესავეებმა ინახულეს.
- 1870 21 აგვისტომდე**
ავად არის და მოკლე ბარათს უგზავნის ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას. საყვედურობს, რომ არ მოიკითხა.
- 1870 21 აგვისტომდე**
მოკლე ბარათს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და გადასცემს მათი ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, აზრს ნათესაობის მნიშვნელობის შესახებ.
- 1870 21 აგვისტომდე**
მოკლე ბარათს უგზავნის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და სთხოვს, მოიკაზმ-მოირთოს ეკლესიაში პარაკლისზე დასასწრებად, რომ მისი მხილველები სიამაყით აღივსონ.
- 1870 21 აგვისტომდე**
თავისთან ეპატიჟება ბიძაშვილი ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა და გრიგოლ ორბელიანი ხუმრობით სწერს, რომ დაპატიჟების აზრს მიუხვდა.
- 1870 21 აგვისტომდე**
სახუმარო მოკლე წერილს სწერს კოდაში ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, და აცნობებს სადილზე დასწრების პირობებს.
- 1870 21 აგვისტო**
ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა.
- 1870 21 აგვისტოს შემდეგ**
მის ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას, კრძალავენ კუმისის ეკლესიაში.
- 1870 ივლისი-აგვისტო**
ორ თვეს ატარებს წავკისში, საიდანაც ხშირად ჩადის კოჯორში თავისი ბიძაშვილის – სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ მირსკის ოჯახში. იქვე ესწრება ბიძაშვილის შვილის – მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკის დაბადების დღეს.

- 1870 10 სექტემბრამდე**
 აგარაკიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. სწერს, რომ საშინელი წვიმებია და მოსავალი დარჩათ აულებელი. მოკითხვას უთვლის ბიძია ალექსანდრეს და ადრესატის დისწულს – ანასტასია ჩერქეზიშვილს.
- 1870 10 სექტემბრამდე**
 ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა ასაკოვანი ბიძა ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც თავის მამულებს გრიგოლის ძმისწულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, უტოვებს და, ამასთან ერთად, ავალებს, რომ იზრუნოს გარდაცვლილის ჯვარდაუწერელ ცოლზე და მათს ოთხ უკანონო შვილზე. გიორგი არის თვით გრიგოლ ორბელიანის ქონების მემკვიდრეც, მაგრამ მის სრულწლოვანებამდე მთელი მემკვიდრეობის განკარგვაზე მეურვეობა ეკისრება გრიგოლ ორბელიანს.
- 1870 10 სექტემბერი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ, მისი ძალისხმევის მიუხედავად, ადრესატს მთელი წლის განმავლობაში პენსია არ მიუღია. სთხოვს, აცნობოს საქმის ვითარება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ იმოქმედოს. სწერს, რომ ალექსანდრე ორბელიანმა ქონება უანდერძა ბარბარეს ვაჟს – გიორგი ილიას ძე ორბელიანს, მაგრამ, სანამ ორბელიანების სახაზინო მიწების შესახებ დავა არ გადაწყდება, ანდერძის კანონიერად გამოცხადების უფლება არა აქვს.
- 1870 25 სექტემბერი**
 გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისგან იღებს შეტყობინებას, რომ მისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისშვილის – გიორგი ორბელიანის პენსიის გაცემის შესახებ მოთხოვნა მთავარი სამმართველოს დეპარტამენტმა მოსკოვის ხაზინას ჯერ კიდევ 9 სექტემბერს გაუგზავნა.
- 1870 26 სექტემბერი**
 წერილს უგზავნის თბილისიდან მოსკოვში რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ მისი პენსიის საქმე სასიკეთოდ მთავრდება და არიგებს, როგორ იმოქმედოს.
- 1870 2 დეკემბერი**
 წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის დირექტორ ნიკოლოზ ბარანოვსკის და სთხოვს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟის – გიორგი ორბელიანის პენსიების დროულად გადატანას მოსკოვის სახაზინო პალატაში.
- 1870 28 დეკემბერი**
 ესწრება ზურაბ ანტონოვის სპექტაკლის „მზის დაბნელება“ უფასო სკოლების სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენას, რომელშიც მონაწილეობენ ქართველი თავადიშვილები, მათ შორის, მისი ბიძაშვილის შვილი ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსი.

- 1870 ამთავრებს პოემის „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ წერას.
- 1870 ირჩევენ ცხოველთა და მცენარეთა აკლიმატიზაციის რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარედ.
- 1870 ირჩევენ კავკასიასა და მის გარეთ საცხენოსნო რბოლის მთავარი კომიტეტის პრეზიდენტად.
- 1871 **-დან**
მის მიერ შედგენილ საქმიან წერილთან ერთად, მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს თხოვნით, რომ ტექსტი შეავსოს, მოაწესრიგოს და უკანვე გადაუგზავნოს გადასაწერად.
- 1871 **-დან**
მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და მომდევნო დღეს სადილად ეპატიჟება ქართულ ჩიხირთმაზე.
- 1871 **იანვარი**
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „ლოპიანას დარდები“.
- 1871 **15 იანვრამდე**
ესწრება კავკასიის მეფისნაცვლის – მიხეილ რომანოვის სასახლეში გამართულ მეჯლისს, რომელზეც გაიბრწყინეს წარჩინებული ოჯახების, მათ შორის, მათი ნათესავების: დავით ჭავჭავაძის, სოფიო ორბელიან სვიატოპოლკ-მირსკისა და ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილებმა.
- 1871 **15 იანვარი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სწერს, რომ მისი მიმდინარე წლის პენსიის საქმეს წინასწარ აგვარებს. უყვება თბილისის ამბებს და რჩევას აძლევს ადრესატის ვაჟის სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით.
- 1871 **იანვარი**
ჟურნალ „კრებულში“ ბეჭდავს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი მიძღვნილ პოემას „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღამე, ლხინი ერევნის სიახლოვეს“.
- 1871 **იანვარი**
წიგნად იბეჭდება მისი პოემა „სადღეგრძელო“.

- 1871 27 თებერვალი**
 გაზეთ „დროებაში“ ნიკოლოზ დიმიტრიძის ფსევდონიმით იბეჭდება ნიკოლოზ ყიფიანის წერილი „ბიბლიოგრაფია“, რომელშიც განხილულია ჟურნალ „კრებულის“ პირველი და მეორე ტომები. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ამ ჟურნალში დაბეჭდილ პოემას „სადღეგრძელო“. იგი წერს, რომ ზოგმა მკითხველმა ეს ტექსტი ვასილი ჟუკოვსკის საკმაოდ სუსტი პოემის მიბადვად მიიჩნია, მაგრამ ასაბუთებს, რომ ასე არ არის. მისი აზრით, ორბელიანის პოემა მხოლოდ ფორმით გავს ჟუკოვსკისას, მაგრამ მისგან განსხვავებით იგი სავსეა აზრითაც, გრძნობითაც და ზოგი ისეთი ადგილია, რომელიც ზეპირად დასწავლის სურვილსაც კი აღძრავს.
- 1871 თებერვალი**
 ლავრენტი არდაზიანი, ფსევდონიმით „ბიძია დონიკე“, მაღალ შეფასებას აძლევს ივანე კერესელიძის მიერ გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის პოემას – „სადღეგრძელო“. აღნიშნავს, რომ 800 წელი გავიდა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან და მას შემდეგ ღირებული არაფერი შექმნილა. აქებს ორბელიანის მანამდე დაბეჭდილ ლექსებს და მის პოემას საქართველოს პოეზიის გვირგვინად მოიხსენიებს.
- 1871 4 მარტამდე**
 მოსკოვიდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ გამოგზავნილ წერილსა და ამანათს, რომელშიც ადრესანტის დის – ალექსანდრა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ხელით მოქარგული ცხვირსახოცები და თეთრეულია. იმდენად უხარია ეს ყურადღება, რომ ახლობლებსაც აჩვენებს.
- 1871 4 მარტი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. საუბრობს საფრანგეთში 1871 წლის 8 თებერვალს ჩატარებული ეროვნული კრების შედეგებზე და ნაპოლეონ III-ზე. უყვება ადრესატის დის – ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძის ოჯახის ამბებს. სწერს, რომ მისი დისშვილი ელენე უკვე დაინიშნა ახალგაზრდა ნიკოლოზ ასტაფიევიზე. მოიკითხავს ადრესატის დედას – ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიასა და დებს.
- 1871 8 აპრილი**
 წერილს უგზავნის კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურს, იოსებ თარხან-მოურავს, და სთხოვს გარდაცვლილი ძმის, გენერალ-მაიორ ილია ორბელიანის ნამსახურობათა ნუსხის დამოწმებული ასლის გაგზავნას. სწერს, რომ თავისი ძმისწული – გიორგი ორბელიანი მოსკოვის უნივერსიტეტში აპირებს სწავლას და ეს საბუთი დასჭირდება.
- 1871 22 აპრილი**
 წერილს სწერს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის და მადლიერებით უბრუნებს ჟურნალს, რომელშიც დადებითად არის შეფასებული მათი წამოწყება საქართველოში მეცხენეობის გასაუმჯობესებლად არაბული სანაშენე ცხენების ჩამოყვანასთან დაკავშირებით.

- 1871 30 აპრილი**
ადრე სასამართლოში მომუშავე ტრაჟკოვსკის ხელით თბილისიდან წერილს უგზავნის ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. სწერს, რომ ეს ყმაწვილი ცოლთან ერთად დაღესტანში გადადის მაღაზიის ზედამხედველად და სთხოვს, დაეხმაროს ახალგაზრდებს. დაწვრილებით უყვება თბილისისა და ნაცნობების ამბებს. სწერს, რომ იმპერატორი ალექსანდრე II აპირებს თბილისში ჩაბრძანებას, თუ წინა წელივით, ევროპის საქმეები არ შეუშლის ხელს.
- 1871 -დან 1 მაისი**
მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და მეორე დღეს შინაურულ სადილზე ეპატიჟება.
- 1871 21 მაისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის კავკასიის სამხედრო შტაბის მმართველს ალექსანდრ სვისტუნოვს. სთხოვს, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან სახაზო ბატალიონის მეთაურად დასანიშნად უშუამდგომლოს დისწულის, ბარბარე ბარათაშვილის, მეუღლეს – დიმიტრი ვეზირიშვილს, რადგან ეს პიროვნება თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ამას იმსახურებს.
- 1871 7 ივნისი**
მისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშნავენ თბილისის საზაფხულო თეატრის ბაღში. გრიგოლ ორბელიანი კავკასიის ყველა კუთხიდან იღებს მისალოც დეპეშებს და ბორჯომიდან მისთვის მისალოცად საგანგებოდ ჩამოდის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი.
- 1871 7 ივნისი**
სამხედრო სამსახურში ყოფნის 50 წლის იუბილეს დეპეშით ულოცავს მეფისნაცვლის მეუღლე, იმ დროს ბორჯომში მყოფი ოლღა ბადენელი-რომანოვისა.
- 1871 8 ივნისი**
თბილისიდან ბორჯომში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლეს – ოლღა ბადენელ-რომანოვისას. ემადლიერება სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეოდ მიძღვნილი მოწყალე სიტყვებისა და მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის იუბილეზე დასწრებისთვის.
- 1871 11 ივნისი**
გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გადაუხადეს ოფიცრად მსახურების 50 წლის იუბილე და საზოგადოების სახელით ულოცავენ ამღირსშესანიშნავ თარიღს.

1871

12 ივნისი

თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. გაოცებულია იმით, რომ ადრესატის ვაჟს, გიორგის, არ დართეს მოსკოვის უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდების აგვისტოში ჩაბარების ნება. სწერს, რომ ოდესის უნივერსიტეტში ჩაბარების შესაძლებლობის შესახებ შეატყობინებს ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანის თბილისში დაბრუნების შემდეგ; რომ ორი კვირით თბილისში ჩასვლა არ ღირს და ვიზიტი ზამთრისთვის გადადოს, რომ მოსკოვის ყინვებს განერიდოს. უყვება თავისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს ამბებს. ატყობინებს, რომ მადათოვის კუნძულზე მდებარე მათი საერთო მიწის ნაკვეთი მიჰყიდა ივან მირზოევს, რადგან 200 მანეთზე მეტ შემოსავალს არ იძლეოდა, მაღაზიების ამენება კი არ შეეძლო. სთხოვს, გიორგიმ ხელი მოაწეროს თანდართულ საბუთებს.

1871

21 ივნისი

წერილს სწერს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის. უსრულებს თხოვნას და უგზავნის თავისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვას. სწერს, რომ იმ წუთას არ ფიქრობდა, თუ ეს სიტყვა დაიბეჭდებოდა, რადგან საჩოთიროდ მიაჩნია გულწრფელი გრძნობების საჯაროდ გამოტანა.

1871

25 ივნისამდე

თავის კუთვნილ მიწებზე მცხოვრებ გლეხებს ატყობინებს, რომ თივა მასაც სჭირდება ცხენების გამოსაკვებად, ამიტომ მოითხოვს, რომ იმ ნაკვეთებიდან აღებული თივით, რომლითაც ისინი ადრეც სარგებლობდნენ, კვლავ ისარგებლონ, დანარჩენს კი არ შეეხონ. მისი ეს მოთხოვნა გლეხების მითქმა-მოთქმას და უკმაყოფილებას იწვევს.

1871

25 ივნისი

გლეხებთან დასადები ხელშეკრულების ნიმუშთან ერთად წავკისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს. სთხოვს, აუხსნას მათ, რომ თივა კვიცების გამოსაკვებად სჭირდება, ამიტომ სთავაზობს, ამ წელს ისარგებლონ მხოლოდ იმ მიწებიდან მოთიბულით, რომლებითაც ყოველთვის სარგებლობდნენ, დანარჩენი კი მას დაუტოვონ. ავალებს, რომ პირობის წერილები შეადგინონ და დაამტკიცებინებს. სწერს, რომ მალე მისი რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟი გიორგი ავლენ წავკისში და მათთვის სახლს ამზადებინებს.

1871

27 ივნისი

წავკისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს. აცნობებს სოფელ ამამლოელებთან უთანხმოებას მიწებთან დაკავშირებით. სთხოვს, როცა მთაში მოუხდება წასვლა, ადრესანტის მოურავი ნინიკა ბაქრაძეც წაიყვანოს, ამამლოელ გლეხებს დაელაპარაკოს და, რასაც ყაფლანი გადაწყვეტს, იმას დასთანხმდება. შიშობს, ტყე არ გაუყიდონ და გაუნადგურონ, თორემ შეშად და სახლების ასაშენებლად ყოველთვის მიჰქონდათ და არც ახლა უშლის.

1871

14 ივლისი

ავად ხდება ნაღვლის ბუშტის ანთებით.

1871

8 აგვისტო

წავკისიდან წერილს უგზავნის კავკასიის სამხედრო შტაბის მმართველ ალექსანდრ სვისტუნოვს. სთხოვს, შეატყობინოს იმპერატორის ვიზიტთან დაკავშირებით პეტროვსკოეში გენერლები და ფლიგელ-ადიუტანტებიც უნდა ჩავიდნენ, თუ ცხენების უკმარისობის გამო საზეიმო დახვედრაში ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მოსვენებას უკარგავს ის გარემოება, რომ ხელმწიფე ქოლერის ეპიდემიის დროს აპირებს ჩამოსვლას. ფიქრობს, ეს სახიფათოა, რადგან მის დასახვედრად უამრავი ხალხი მიაწყდება თბილისს ირანის ახლოს მდებარე ქალაქებიდან, სადაც მძვინვარებს ეს დაავადება; აინტერესებს, ვინ დადგება იმის თავდებად, რომ თბილისში არ შემოიტანენ სენს; ინტერესდება, ვინმემ თუ აცნობა ამის შესახებ იმპერატორს.

1871

31 აგვისტო

წავკისში იმყოფება რძალთან – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანთან ერთად და ყურძენსა და ატამს იღებს ძღვნად თავისი ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანისგან.

1871

31 აგვისტო

წერილს სწერს წავკისიდან კოდაში ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს და მის მეუღლეს, ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელიანისას. ემადლიერება ცხენის კარგად მოვლისთვის, აცნობებს, რომ უნდოდა კოდაში ჩასვლა, მაგრამ ხელმწიფის ჩაბრძანების დრო მოახლოვდა და ის და მისი ძმის, ილიას, ცოლ-შვილი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და გიორგი ორბელიანი თბილისში ბრუნდებიან.

1871

19 სექტემბრამდე

თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით დგება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი), ისე ახლისა (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ნიკონიკოლაძე). ახალგაზრდების დაჟინებითა და ხმათა უმრავლესობით იმპერატორისთვის წარსადგენ ადრესში წერენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას, მაგრამ ბესარიონ ლოლობერიძე გადადის უფროსი თაობის მხარეს და ისინი ცვლიან ადრესის შინაარსს: უნივერსიტეტის ნაცვლად ითხოვენ კადეტთა კორპუსის გახსნას.

1871

20 სექტემბერი

გენერლებისა და ოფიცრების დიდ ჯგუფთან ერთად ხვდება იმპერატორ ალექსანდრე II-ს, რომელიც თბილისს ეწვია შვილებით – ალექსანდრე და ვლადიმერ რომანოვებით. საბურთალოს ბანაკში ყოფნისას ხელმწიფე პირადად მოიკითხავს გრიგოლ ორბელიანს და აცნობს თავის შვილებს. შემდეგ ცხენზე ამხედრებული იმპერატორი ჯარებს ათვალიერებს და მოსწონს მათი მომზადება. ჯარების უკან ბორცვები ხალხითაა შეფენილი. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ იმპერატორი გენერალ-ადიუტანტობას უბოძებს იოსებ თარხან-მოურავს და ცხენით ქალაქისკენ მიემართება. წინ მოუძღვიან თავად-აზნაურები. უზარმაზარი მინდორი სავსეა ხალხით. თბილისში დიდ წვეულებას მართავს ქალაქის თავი – იასონ თუმანიშვილი. სიონის ტაძარში მიდიან, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ხალხის სიმრავლის გამო ტაძარში ვერ შედის. შემდეგ ხელმწიფის წინაშე წარდგებიან სომხეთის პატრიარქი და საქართველოს ეგზარქოსი. მოგვიანებით ახალ თეატრში იმართება თავად-აზნაურთა სადილი, რომელზეც ბრწყინვალე სადღეგრძელოს ამბობს თავადაზნაურობის მარშალი – რევაზ ანდრონიკაშვილი.

1871

20-21 სექტემბერი

თბილისში ვიზიტად მყოფ იმპერატორ ალექსანდრე II-ს ქართველი ხალხის სახელით წარუდგენენ გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობით შედგენილ ადრესს თბილისში სამხედრო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნის თხოვნით.

1871

21 სექტემბერი

დილით მიდის რუსეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრ რომანოვთან, რის შემდეგაც ხელმწიფის მთელი ამაღა შედის სასახლის ეკლესიაში. წირვის დაწყებამდე მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი გრიგოლ ორბელიანს ეუბნება, რომ ხელმწიფე იბარებს. იმპერატორი პირადად ულოცავს სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს, მადლობას უხდის თავდადებული სამსახურისთვის და აჯილდოებს ანდრია პირველწოდებულის ლენტითა და ჯაჭვით. წირვის შემდეგ იმართება დიდი მიღება, სადაც ხელმწიფე ყველას უხდის მადლობას ერთგულებისთვის. შემდეგ იქვე ხმამაღლა კითხულობენ თავადაზნაურობის ადრესს, რომლითაც იმპერატორს სთხოვენ სამხედრო გიმნაზიის გახსნას სახელმწიფოს ხარჯზე და სასწავლებელში ღარიბი თავად-აზნაურების ორასი შვილის მიღებას. ხელმწიფე აცხადებს, რომ სიხარულით აღასრულებს ამ თხოვნას. შუადღისას გრიგოლ ორბელიანი ესწრება სამხედრო მანევრს ლისის ტბასთან, სადაც მთელი ქალაქია შეკრებილი; შემდეგ იმართება სადილი ახალ თეატრში და ბოლოს – თეატრალური წარმოდგენა. სპექტაკლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი შედის მეფისნაცვალთან, ეუბნება, რომ ძალიან დაიღალა და უკვირს, რომ ხელმწიფე ასეთ დატვირთვას იტანს.

1871

21 სექტემბერი

ჯილდოვდება წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

1871

21 სექტემბრის შემდეგ

გრიგოლ ორბელიანი ივანე კერესელიძესთან მიდის „ცისკრის“ რედაქციაში. იმ დროს იქ იმყოფება აკაკი წერეთელი, რომელიც თავს არიდებს მასთან შეხვედრას.

- 1871 22 სექტემბერი**
 ესწრება იმპერატორის მიერ სამხედრო ბანაკში თოფებისა და ზარბაზნების გასინჯვას, დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის, მიერ გამართულ სადილსა და სეირნობას მუშთაიდის ბაღში. წვეულებაზე ცეკვავს კადრილს.
- 1871 22 სექტემბერი**
 რუსეთის იმპერატორთან და მის ამაღასთან ერთად სტუმრობს სხვადასხვა დაწესებულებას, ესწრება ირანისა და თურქეთის ელჩებთან გამართულ შეხვედრას, გენერალ-გუბერნატორების წვეულებასა და სპექტაკლს.
- 1871 22 სექტემბერი**
 მიხეილ თუმანიშვილი გიორგი თუმანიშვილს ატყობინებს, რომ გრიგოლ ორბელიანი დაჯილდოვდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით.
- 1871 25 სექტემბრის შემდეგ**
 თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, სოფიო ერისთავ-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ იმპერატორი ალექსანდრე II წაბრძანდა ბორჯომში, საიდანაც ქუთაისის გავლით გაემგზავრება ყირიმში. დაწვრილებით მოუთხრობს 20-დან 25 სექტემბრამდე განვითარებულ მოვლენებს.
- 1871 4 ოქტომბრამდე**
 იღებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის წერილს. ადრესანტი გადასცემს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, სურვილს, რომ პენიტენციური სისტემის კომიტეტმა შეხვედრა მოაწყოს იმხანად თბილისში მყოფ ვლადიმერ სოლოგუბთან. იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ პირს აქვს საპატიმროების რეორგანიზაციის მნიშვნელოვანი პროექტი და მისი ინიციატივით ამ თემაზე კონგრესიც კი ჩატარდა ლონდონში.
- 1871 4 ოქტომბერი**
 წერილს სწერს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინ ორლოვსკის და ურთავს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის წერილს ვლადიმერ სოლოგუბთან შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებით. სთხოვს, საპატიმროების კომიტეტის სხდომაზე, სადაც მოისმენენ სოლოგუბის მოხსენებას, მოიწვიოს ბაქოს, ერევნისა და ელიზავეტოპოლის გუბერნატორები: მიხეილ კოლიუბაკინი, ნიკოლოზ კარმალინი და ფოკიონ ბულატოვი, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის განყოფილების თანამშრომლები, ციხის ზედამხედველები და სხვანი.
- 1871 -დან 7 ოქტომბერი**
 გაზეთ „კავკაზთან“ ერთად მოკლე წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. აცნობებს, რომ, გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, იჯარით გაიცემა მტკვრის სათევზეები ხრამისა და მტკვრის შესართავიდან მცხეთამდე. ეგონა, რომ ეს საქმე მოგვარებული იყო, მაგრამ ახლა შიშობს, ისევ არ განახლდეს საჩივარი და კვლავ სენატში არ გადაიტანონ საქმის განხილვა.

- 1871 10 ოქტომბერი**
 თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის რეზიდ-ხან მეხთულელს. უსამძიმრებს დედის–ნოხ-ბიქეს გარდაცვალების გამო და ახსენებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც გააჩნია თავისი ბრწყინვალე გვარის წინაშე. საყვედურობს, რომ მიატოვა წინაპრების სახლ-კარი იმ მიზეზით, რომ ხანი აღარ არის. როგორც ძველი მეგობარი, ურჩევს დატოვოს თემირხანშურა და დაბრუნდეს ჯუნგუთაიში. სწერს, რომ საქართველოშიც გათავისუფლდნენ გლეხები, მაგრამ თავად-აზნაურებს ამ მიზეზით მამულები არ მიუტოვებიათ. იმედოვნებს, რომ, თუ ოჯახის ბედნიერება სურს, დაბრუნდება თავის სოფელში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დალუპავს თავსაც და საკუთარ საგვარეულოსაც.
- 1871 27 ოქტომბრამდე**
 რიგიდან იღებს დეპეშას კავკასიის გრენადერთა დივიზიის ყოფილი მეთაურის – ალექსანდრ სვეჩინისგან, რომელიც ულოცავს იმპერატორის მიერ ბოძებულ ჯილდოს.
- 1871 27 ოქტომბერი**
 თბილისიდან რიგაში წერილს უგზავნის კავკასიის გრენადერთა დივიზიის ყოფილ მეთაურს, ალექსანდრ სვეჩინს და ემადლიერება მილოცვისთვის. სწერს, რომ ადრესატმა და მისმა მეუღლემ თბილისში დიდებული სახელი დატოვეს და ხელმწიფის ვიზიტის დროს, გრენადერთა დივიზიის დათვალიერებისასაც არაერთხელ ახსენეს მისი დამსახურება; დაწვრილებით აღუწერს იმპერატორის ვიზიტს თბილისში და მოიკითხავს მის მშვენიერ მეუღლეს – ლიუბოვ გოლიცინა-სვეჩინას.
- 1871 5 ნოემბრამდე**
 თბილისიდან მოსკოვში გამგზავრებული რძლისგან, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისგან, იღებს წერილს – ფოთიდან და დეპეშებს – ქერჩიდან და ოდესიდან, რომლებითაც იგებს, რომ ის მშვიდობიანად მგზავრობს.
- 1871 5 ნოემბერი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ თბილისიდან გამგზავრებისას ადრესატის დედას – ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიას დარჩა ქართული წიგნები, ვაჟს, გიორგის კი – პალტო. უგზავნის 1000 მანეთს თბილი ტანსაცმლის შესაძენად. სწერს, რომ ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მისი მეუღლე – თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ბანქოს სათამაშოდ ეპატიჟებიან და წერას არ აცლიან.
- 1871 7 დეკემბერი**
 ილია ჭავჭავაძე წერს პამფლეტს სახელწოდებით „გამოცანები“ და ამხელს ძველ თაობას, რომელმაც, იმპერატორს უნივერსიტეტის ნაცვლად, სამხედრო სასწავლებლის გახსნა სთხოვა. სულ არის ცხრა გამოცანა, რომელთაგან ერთი მიემართება გრიგოლ ორბელიანს („მოხუცია იგი ჯმუხი...“).
- 1871 12 დეკემბრამდე**
 კუზნეცკიდან იღებს წერილს გენერალ-მაიორ კირილ გოდლევესკისგან, რომელთან ერთადაც მსახურობდა დაღესტანში.

- 1871 12 დეკემბერი**
 თბილისიდან სტავროპოლში წერილს უგზავნის გიორგი ვლასტოვს, უბოდიშებს დაგვიანებული პასუხისთვის და მადლობას უხდის ანდრია პირველწოდებულის ორდენის მილოცვისთვის. იხსენებს კავკასიის ნახევარსუკუნოვან ომს და აცნობებს, რომ კავკასიაში ისეთი სიმშვიდეა, თითქოს ეს ომი არც ყოფილა.
- 1871 12 დეკემბერი**
 თბილისიდან კუზნეცკში წერილს უგზავნის კირილ გოდლევესკის, ემადლიერება მოკითხვისთვის, იხსენებს მასთან ერთად სამსახურს და დადესტნის ბრძოლებს. საუბრობს იმპერატორ ალექსანდრე II-ისა და მისი მემკვიდრეების სტუმრობაზე თბილისში, ქალაქის გამშვენიერებაზე, ჰაუპტვახტის, ახალი თეატრის, სამხედრო-საოლქო სასამართლოს, საავადმყოფოს, სამხედრო ტაძრის მშენებლობებზე და უგზავნის ვლადიმერ სოლოგუბის ლექსს, რომელიც ქუთაისში წაიკითხა ხელმწიფის ვიზიტისას.
- 1871 19 დეკემბრამდე**
 მადათოვის კუნძულზე მიწის ფართობების საკუთრებასთან დაკავშირებული დავა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში მთავრდება ორბელიანთა გამარჯვებით.
- 1871 19 დეკემბერი**
 წერილს უგზავნის თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ორლოვსკის და აცნობებს, რომ დასრულდა მადათოვის კუნძულზე მიწების მფლობელობაზე დავა, მაგრამ – მხოლოდ ქალაქში. სთხოვს, უბრძანოს არქიტექტორს, მალე მონიშნოს ყოფილი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მიერ დამტკიცებული ცენტრალური ქუჩის საზღვრები და დაამოწმოს, რადგან კეთდება ხის ღობეები და არის მცდელობა ორბელიანთა კუთვნილი მიწების მისაკუთრებისა.
- 1871 22 დეკემბერი**
 თბილისიდან ხარკოვში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი თანაშემწის, ალექსანდრე კარცოვის, მეუღლეს – ეკატერინე კარცოვას. სწერს იმპერატორ ალექსანდრე II-ის სტუმრობაზე თბილისში და ქალაქის ახალ მშენებლობებზე. აცნობებს, რომ ფოთიდან ყვირილამდე რკინიგზა უკვე გაყვანილია და თბილისამდეც მალე დასრულდება.
- 1871 28 დეკემბრამდე**
 დადესტნის სოფელ ბოტლიხიდან იღებს წერილს თავისი ბიძაშვილის შვილის, სოფიო ერისთავ-ორბელიანისგან, რომელიც იქ სამუშაოდ გადაყვანილ ქმარს თან გაჰყვა და თავს ბედნიერად გრძნობს.
- 1871 28 დეკემბრამდე**
 ხშირად სტუმრობს ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის ოჯახს. მოსწონს ურთიერთობა მის დედასთან, მარიამ ალამალიან-ბაგრატიონისასთან, და მეუღლესთან, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკაიასთან.

1871

28 დეკემბერი

თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სწერს, რომ კუმისში თბილი ამინდების გამო ნუში ნაადრევად აყვავდა, რაც მიწათმოქმედებისა და მოსავლისთვის საზიანოა. აცნობებს, რომ ხშირად სტუმრობს ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისა და მის მეუღლეს და ელიმება ხოლმე, როდესაც დავით ჭავჭავაძეს თავისი შუახნის სიძეები: ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი და ბარონი მაქსიმილიან საკენი „მამას“ ეძახიან. უყვება, როგორ წარმატებით მართავს დასავლეთ დაღესტანს ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე და, როგორ გაართვა მან თავი შამილის ყოფილი ნაიბის, ხაჯიალავ კარატელის, მკვლელობით გამოწვეულ ამბოხს.

1872

5 იანვრამდე

თარგმნის ვლადიმერ სოლოგუბის ლექსს „ალავერდი“. მისი აზრით, სიტყვასიტყვითი თარგმანი არ ივარგებდა და ამიტომ მისგან იღებს მხოლოდ აზრს და ქართულ ელფერს აძლევს.

1872

5 იანვრამდე

ესწრება შემდგომში ცნობილი მეცნიერის, ივანე თარხნიშვილის, ლექციას ფიზიოლოგიაში და ძალიან მოსწონს.

1872

5 იანვარი

წერილთან ერთად ვლადიმერ სოლოგუბის ლექსის „ალავერდი“ თარგმანს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას და სთხოვს, თავისი შთაბეჭდილება გაუზიაროს. მოუთხრობს არტისტული წრისა და ფიზიოლოგიის ლექციების შესახებ.

1872

12 იანვრამდე

წერილს იღებს ნიკოლოზ ბეზაკისგან, რომელსაც ცოლად ჰყავდა გრიგოლ ორბელიანის შორეული ნათესავი – სოფიო იოანეს ასული ორბელიანი (რომელზეც ბავშვობაში იყო დანიშნული). ადრესანტი უკმაყოფილებას გამოთქვამს ორბელიანთა შტოებს შორის მამულების გაყოფის შედეგებთან დაკავშირებით და თავის მოსაზრებებს ექვს მუხლად აყალიბებს. აყენებს პრეტენზიებს დავით რევაზის ძე ორბელიანის შთამომავლების: ელენე ლუარსაბის ასულ ორბელიანის, ივანე და ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანებისა და ანასტასია დავითის ასულ ორბელიანის მფლობელობაში არსებულ მიწებზე.

- 1872 12 იანვარი**
საპასუხო წერილს უგზავნის თავისი შორეული ნათესავისა და დანიშნულის, სოფიო იოანეს ასულ ორბელიანის, მეუღლეს – ნიკოლოზ ბეზაკს და არგუმენტირებულად აბათილებს მის პრეტენზიებს 17 წლის წინ ორბელიანთა შტოებს შორის მამულების გაყოფის შედეგების მიმართ. გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ ადრესატი თავის წერილში იმ დოკუმენტს უარყოფს, რომლის ძალითაც გარკვეული დროის წინ დავა მოუგო დავით რევაზის ძე ორბელიანის შთამომავლებს და მათი კუთვნილი ერთ-ერთი მამული დაიმტკიცა. სწერს, რომ ორბელიანთა ამ შტოს წარმომადგენლები უნდა იყვნენ მისით უკმაყოფილოები და არა პირიქით. განუმარტავს, რომ ოთხი ძმის (ასლან, ვახტანგ, თამაზ და გიორგი ყაფლანის ძე ორბელიანების) შთამომავლებს შორის მიწები უკვე გაყოფილია და საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ თითოეული ამ შტოს შიგნით, მათს შთამომავალთა შორის მიწების გაყოფაზე და არა სხვადასხვა შტოს შთამომავლებს შორის. ურჩევს, შეინარჩუნონ ერთმანეთის პატივისცემა და უსაფუძვლო ბრალდებებს მოერიდონ.
- 1872 19 იანვარი**
ქუთაისიდან იღებს იქაური გუბერნატორის, ვლადიმერ ლევაშოვის, მეუღლის – გრაფინია ოლღა ლევაშოვას ფოტოს და სიხარულით ჰკოცნის.
- 1872 19 იანვარი**
იგებს ბაქოს სამხედრო გუბერნატორ მიხეილ კოლიუბაკინის გარდაცვალების ამბავს და ამის შესახებ ატყობინებს ოლღა ლევაშოვასაც.
- 1872 19 იანვარი**
თბილისიდან ქუთაისში წერილს უგზავნის ქალაქის გუბერნატორის, ვლადიმერ ლევაშოვის მეუღლეს – გრაფინია ოლღა ლევაშოვას და მადლობას უხდის ფოტოს გაგზავნისთვის. საუბრობს თბილისის ცეკვების, ახალგაზრდა ლამაზმანების, რუსული ოპერის, რკინიგზის გაყვანის შესახებ. აცნობებს, რომ შემახაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. სწერს, რომ ძალიან ეშინოდათ თბილისში ქოლერის გავრცელებისა, მაგრამ ჯერჯერობით გადარჩნენ.
- 1872 28 იანვრამდე**
ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ და „კიდევ გამოცანების“ გამო გრიგოლ ორბელიანი წერს და ხელნაწერის სახით ავრცელებს ლექსს „პასუხი შვილთა“.
- 1872 28 იანვარი**
გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი შვილთა“ საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძე წერს და საზოგადოებაში ავრცელებს პამფლეტს „პასუხის პასუხი“.
- 1872 7 თებერვლამდე**
ილია ჭავჭავაძის სატირული გამოცანების პასუხად გრიგოლ ორბელიანი წერს ლექსს „გამოცანების პასუხი“ (ტექსტის მეორე ვერსიას ეწოდება „პასუხი უღირსთა შვილებთა“).

- 1872 7 თებერვალი**
აკაკი წერეთელი გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი უღირსთა შვილებთა“ პასუხად წერს სატირულ ლექსს „ხარაბუზა ღენერალს“ (იარანალ-ხარაბუზა, / სიტყვით სწორო, საქმით კუზა...).
- 1872 11 თებერვლამდე**
დარია ერისთავისგან იგებს, რომ მისი დისწულის, ეკატერინე ბარათაშვილის, გარდაცვალების შემდეგ მის ქალიშვილს, 27 წლის გასათხოვარ ელენეს, სიღარიბეში უხდება ცხოვრება და შესაფერისი ტანსაცმელიც კი არ აქვს.
- 1872 11 თებერვალი**
წერილს სწერს ბიძაშვილის შვილს, რევაზ შალვას ძე ერისთავს. უგზავნის ას მანეთს და სთხოვს, რომ დედის – ეკატერინე ორბელიან-ერისთავის დახმარებით შესაფერისი ტანსაცმელი უყიდოს გრიგოლ ორბელიანის დისწულის, ეკატერინე ბარათაშვილის, ქალიშვილს – ელენე ერისთავს, რომელსაც სიღარიბეში უხდება ცხოვრება.
- 1872 20 თებერვლის შემდეგ**
მოკლე ბარათს იღებს ალექსანდრე საგინაშვილისგან, რომელიც სწერს, რომ ორი დღეა მზარეული არ ჰყავთ და ის და ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა მშვირები არიან. ამიტომ, გრიგოლის თანხმობის შემთხვევაში, აპირებენ მასთან სადილად მისვლას.
- 1872 20 თებერვლის შემდეგ**
წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს, უყვება იმდღევანდელი წვეულების შესახებ, რომელსაც, რატომღაც ის და მისი და სოფიო არ ესწრებოდნენ.
- 1872 10 მარტი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.
- 1872 -დან 25 აპრილი**
მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძესა და ვასილ ზოლოტარიოვს თხოვნით, რომ მათგან ერთ-ერთი მაინც დაუყოვნებლივ შევიდეს მასთან
- 1872 10 ივნისი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გიმნაზიებში დაამატეს მერვე კლასი და ადრესატის ვაჟი, გიორგი, ვერ ჩააბარებს უნივერსიტეტში, სანამ ამ კლასს არ გაივლის, მაგრამ, მეორე მხრივ, იზიარებს იმ აზრს, რომ თანამედროვე სამყაროში განათლებას ყველაზე დიდი ძალა აქვს.

1872 17 ივნისი

მიხეილ შარვაშიძეს წერილს ატანს კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველ იანუარ ნევეროვთან. ადრესატს სთხოვს, დაეხმაროს ახალგაზრდა ღარიბ აფხაზ თავადს, რომელმაც დაამთავრა რეალური გიმნაზია და სურს სწავლის გაგრძელება სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში.

1872 29 ივნისი

წავკისიდან კოჯორში მსახურის ხელით წერილს უგზავნის რძალს – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. აინტერესებს, თავისი ბიძაშვილის შვილი, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი, საცოლესთან ერთად ჩამოვიდა თუ არა, თუ გადაიხადეს ქორწილი და როდის აპირებენ უკან დაბრუნებას. სთხოვს, რომ მოურავმა მისი ხელფასი აიღოს და სურსათი აუტანოს.

1872 28 ივლისი

სატირულ „ნეკროლოგში“ – „ახმედ-ფაშა კახა-ბერი“ აკაკი წერეთელი გრიგოლ ორბელიანს ადარებს ლაზისტანის მმართველ – ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს, რომელიც 1828 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ემხრობოდა აჭარის თურქეთისგან გამოყოფას, მაგრამ შემდეგ პოზიცია შეიცვალა. ამავე ტექსტში ჩართულია ლექსი „ფარშევანგი“, რომელშიც გრიგოლ ორბელიანი იმ ფარშევანგთან არის შედარებული, რომელიც უცებ დათვად იქცევა.

1872 აგვისტომდე

წავკისიდან დაღესტანში წერილს უგზავნის სოფიო ერისთავ-ორბელიანისას და აცნობებს, რომ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი ახალმოყვანილი მეუღლით ისევ რუსეთს გაემგზავრა, მანამდე კი ყოველდღე იყო სადილ-ვახშამი, რომელმაც ძალიან დაღალა. სწერს, რომ აგვისტოში თბილისის რკინიგზა გაიხსნება. წუხს საშინელი გვალვების გამო. რამდენადაც ადრესატს ბევრი თავისუფალი დრო აქვს, ურჩევს, წაიკითხოს გერმანელი მწერლის, კარლ ფიულბორნის, წიგნები: „იზაბელა ანუ მადრიდის სასახლის კარის საიდუმლოებები“ და „ევგენია ანუ საფრანგეთის სასახლის კარის საიდუმლოებები“.

1872 6 აგვისტო

წერილს იღებს ნათესავის, ანასტასია ორბელიან-გაგარინასგან, რომელიც უგზავნის მინდობილობას და სთხოვს, შეაჩერებინოს მამამისის, დავით ორბელიანის, სახლის გაყიდვა.

1872 8 აგვისტო

წავკისიდან წერილს უგზავნის თბილისის საკრედიტო ბანკის თავმჯდომარეს, ნაპოლეონ ამატუნს. აცნობებს, რომ ანასტასია ორბელიან-გაგარინასგან მისთვის გადასაცემად მიიღო მინდობილობა და სთხოვს, დაეხმაროს დავით ორბელიანის სახლის გაყიდვის შეჩერებაში, რაც გალატაკებისგან იხსნის მის ძმას, ივანე დავითის ძე ორბელიანს. ჰპირდება, რომ ანასტასია გაყიდის თავის კუთვნილ მამულს ყირიმში და გადაიხდის ვალებს.

- 1872 18 აგვისტომდე**
გაზეთ „კავკაზიდან“ იგებს, რომ ვალის გამო საჯარო ვაჭრობით იყიდება მისი გარდაცვლილი ბიძაშვილის – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის კუთვნილი სამი მამული.
- 1872 18 აგვისტო**
წავკისიდან წერილს უგზავნის გარდაცვლილი ბიძაშვილის – ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის მეუღლეს – ალექსანდრე საგინაშვილს. სწერს, რომ გაზეთიდან შეიტყო მისი მეუღლის მამულებზე გამართული საჯარო ვაჭრობის შესახებ. სთხოვს, ეს მამულები მას დაუთმოს გადახდილობაზე მეტ ფასად.
- 1872 31 აგვისტომდე**
გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის ანდერძის შესაბამისად, მისი მემკვიდრეობის მფლობელად გიორგი ილიას ძე ორბელიანის დასამტკიცებლად, სთხოვენ ამ მამულების აღწერილობის წარდგენას 5 სექტემბრამდე.
- 1872 31 აგვისტო**
გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის მამულის აღწერილობას და 1872 წლამდე მისი შემოსავალ-გასავლის საბუთებს წავკისიდან თბილისში წერილთან ერთად უგზავნის თავისი რძლის, ქეთევანის, ძმას – იურისტ მიხეილ ალექსი-მესხიშვილს. სთხოვს, საბუთებს სასამართლოში წარსადგენად მისაღები ფორმა მისცეს და იზრუნოს იმაზე, რომ ანდერძით მოთხოვნილი პირობების შესრულებას წინააღმდეგობა არ შეხვდეს. ასევე, სთხოვს, გარდაცვლილის ქონების შემოსავლიდან დაუბრუნონ მისი დაკრძალვისას დახარჯული თანხა.
- 1872 2 სექტემბერი**
წავკისიდან თბილისში წერილს უგზავნის თავისი რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმას – იურისტ მიხეილ ალექსი-მესხიშვილს. სთხოვს, რომ მის მიერ გაგზავნილი გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის საბუთებიდან თუ 5 სექტემბრამდე ყველას მოწესრიგებას ვერ მოასწრებს, თავდაპირველად მოამზადოს მხოლოდ მამულის აღწერილობა და 3 სექტემბერს გაუგზავნოს ხელმოსაწერად. თუ სასამართლო მოითხოვს შემოსავალ-გასავლის საბუთებს, მათ მოსამზადებლად შესაძლებელი იქნება დროის გადავადება.
- 1872 7 სექტემბრამდე**
იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ მოსკოვიდან გაგზავნილ წერილს და იგებს, რომ ის და მისი ვაჟი გიორგი, პეტერბურგში აპირებენ გადასვლას.
- 1872 7 სექტემბრამდე**
წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ურჩევს, რომ გიორგიმ ჩააბაროს სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც შედარებით იოლი მისაღები გამოცდებია და ერთი წლის შემდეგ შეეძლება ნებისმიერ უნივერსიტეტში გადასვლა. თუ ეს არ მოხერხდება და სამხედრო პროფესიას აირჩევს, იქაც შეიძლება აკადემიური განათლების მიღება და წარმატებული კარიერის შექმნა.

- 1872 7 სექტემბერი**
წავკისიდან თბილისში დაბრუნებულს ხვდება თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ 29 აგვისტოს გაგზავნილი წერილი, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტი საცხოვრებლად გადადის პეტერბურგში, სადაც მისი შვილი – გიორგი ორბელიანი საარტილერიო სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას.
- 1872 8 სექტემბერი**
წერს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისთვის პეტერბურგში გასაგზავნ წერილს. წუხს, რომ ადრესატი აპირებს საცხოვრებლად ამ ნესტიან და მოჟამულ ქალაქში გადასვლას და აძლევს რჩევებს გიორგის სწავლასთან დაკავშირებით. ურჩევს, მოამზადოს და საარტილერიო სასწავლებლის მაღალ კლასში პირდაპირ ჩააბარებინოს. თუ გიორგი თავის თავში ამის ძალეებს გამონახავს, პირდაპირ აკადემიაში ჩაბარებაც შეიძლება. ნატრობს, იმ დღეს მოესწროს, როცა გიორგი აკადემიკოსი გახდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მშვიდად სიკვდილი. სთხოვს, შვილის სწავლის საკითხს რომ მოაგვარებს, მარტო დატოვოს და თავად საქართველოში ჩავიდეს, რადგან მისი ჯანმრთელობა პეტერბურგის კლიმატს ვერ გაუძლებს.
- 1872 11 სექტემბერი**
პეტერბურგში აგზავნის რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისთვის 8 სექტემბერს დაწერილ ბარათს და 500 მანეთს.
- 1872 29 სექტემბერი**
ყაფლან ორბელიანის მეუღლე, ელისაბედ ბარათაშვილი-ორბელიანისა კოდიდან მსახურის ხელით უგზავნის ნაზუქებს და უნაბს, რომლებსაც სიამოვნებით შეექცევა ნათესავებთან ერთად.
- 1872 30 სექტემბერი**
ხვდება პრინც პეტრე ოლდენბურგელს, რომელიც თბილისში იმყოფება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის შესამოწმებლად.
- 1872 30 სექტემბერი**
თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, მეუღლეს, ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელიანისას, ემადლიერება ძღვენისთვის და ხუმრობს მათს რძლებზე, რომლებიც მუდამ ჯიბრში უდგანან ადრესატს.
- 1872 სექტემბერი**
ანტონ ფურცელაძე ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ აკრიტიკებს ნიკოლოზ ყიფიანის რეცენზიას ჟურნალ კრებულში გამოქვეყნებულ თხზულებებზე. იგი ეთანხმება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შეფასებაში, მაგრამ მიიჩნევს, რომ ჟუკოვსკის კრიტიკა ასე დაუსაბუთებლად არასწორი იყო.

- 1872 2 ოქტომბრამდე**
იღებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტი პარიზში აპირებს გამგზავრებას თავის ქალიშვილთან, სალომე დადიან-მიურატისთან, რომელსაც მეორე ვაჟი, ნაპოლეონ მიურატი, შეეძინა.
- 1872 2 ოქტომბრამდე**
ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი ქართული წიგნების დასაბეჭდად უგზავნის 100 მანეთს და ელოდება, როდის იქნება შესაძლებელი ბეჭდვის დაწყება.
- 1872 2 ოქტომბრამდე**
თავისი რძლის – ბარბარეს დას – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას თბილისიდან მოსკოვში წერილთან ერთად უგზავნის დაღესტნურ ხანჯალს. შესჩივის, რომ არ იცის თავისი რძლის შესახებ სიახლეები, რადგან ბოლო სამ წერილზე არ უპასუხია. მოკითხვას უთვლის ადრესატის დედას და დებს.
- 1872 2 ოქტომბერი**
საპასუხო წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას და ემადლიერება იმისათვის, რომ არ ივიწყებს. აცნობებს, რომ წინა დღეს პირველად იმგზავრა მოსახლეობამ რკინიგზით თბილისიდან მცხეთამდე. უყვება ნათესავებისა და ახლობლების ამბებს.
- 1872 10 ოქტომბერი**
ვასილ მაჩაბლის ხელით თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ არაფერს ატყობინებს თავის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გადასახლდა ქოლერის ბუდეში – პეტერბურგში. ურჩევს, ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს, გიორგი დააბინავოს კარგ ოჯახში და თავად თბილისში ჩავიდეს გამოსაზამთრებლად.
- 1872 15 ოქტომბერი**
მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვისგან იგებს თავისი ახლობლის – მარიამ (მაია) ორბელიანი-თუმანიშვილის ვაჟის – გენერალ ალექსანდრე თუმანიშვილის გარდაცვალების ამბავს და სამძიმრის წერილს უგზავნის გარდაცვლილის დას – ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას.
- 1872 25 ოქტომბრამდე**
იგებს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში აპირებენ ქართული ენის სწავლების აკრძალვას და მის ნაცვლად ბერძნული ენის შემოღებას. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, თითქოს ქართულს არა აქვს მდიდარი ლიტერატურა. ასევე, იგებს, რომ სასულიერო სემინარიის პედაგოგს, იესე სულხანიშვილს, არ მოსწონებია ეს გადაწყვეტილება და ამის გამო დაუთხოვიათ სამსახურიდან. იმდენად განიცდის ამ ამბებს და ჭაბუკობიდან მის თვალწინ გაზრდილი ალექსანდრე თუმანიშვილის გარდაცვალებას, რომ ავად ხდება.

1872 25 ოქტომბერი

თბილისიდან დადესტანში წერილს უგზავნის გენერალ ლევან მელიქიშვილს და უზიარებს ალექსანდრე თუმანიშვილის გარდაცვალებით და სასულიერო სემინარიაში ქართულის აკრძალვის მცდელობით გამოწვეულ განცდებს. ვერ ხვდება, რატომ უკრძალავენ ქართველებს თავიანთ ენაზე წირვასა და გალობას, როდესაც საქართველოში თათრები, ურიები, სომხები და ფრანგები თავისუფლად ლოცულობენ თავ-თავიანთ ენებზე. ამბობს, რომ ქართველები რუსების მორჩილები არიან, თავად „რუსებზე უფრო რუსები“ არიან და ვერ გაუგია, კიდევ რაღა გარუსება სჭირდებათ. სწერს, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ საგანგებოდ აპირებს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან ვიზიტს.

1872 1 ნოემბერი

კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭოს საქმეთა მმართველი აცნობებს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყარაიაზის მამულის გაყიდვის ან იჯარით გაცემის შესაძლო ვერსიებს და სთხოვს რჩევას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

1872 6 ნოემბერი

1000 მანეთთან ერთად პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და საყვედურობს, რომ არ სწერს, სად იმყოფება და რა გადაწყვიტა თავისი ვაჟის, გიორგი ორბელიანის განათლებასთან დაკავშირებით.

1872 10 ნოემბრამდე

იღებს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ადიუტანტის – დიმიტრი ფილოსოფოვის მიერ 1 ნოემბერს გაგზავნილ წერილს, რომელშიც საუბარია ყარაიაზის მიწებზე.

1872 10 ნოემბერი

საპასუხო წერილს უგზავნის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ადიუტანტ დიმიტრი ფილოსოფოვს და სწერს თავის მოსაზრებებს ყარაიაზის მიწებთან დაკავშირებით. რამდენადაც მისი ყიდვის ან იჯარით აღების მსურველი იმხანად ცოტაა, სთავაზობს დაელოდონ როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის მშენებლობის დასრულებას და ახალი განცხადება ყარაიაზის გაყიდვასა და იჯარით გაცემაზე ამის შემდეგ გამოაქვეყნონ. მაშინ იგი კომერციულად უფრო მიმზიდველი იქნება. სწერს, რომ ივან ხატისოვის მიერ შეთავაზებული საიჯარო პირობები მისაღებად არ მიაჩნია.

1872 15 ნოემბერი

იწყებს თავისი ბიძაშვილის შვილის – სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გასაგზავნი წერილის წერას და უყვება საქართველოს სასულიერო სემინარიიდან და ეკლესიიდან ქართული ენის განდევნის მცდელობაზე, რაც მოჰყვა უწმინდესი სინოდის კონტროლის განყოფილების რევიზორის – ეგნატე ზინჩენკოს ვიზიტს სემინარიაში. გეგმას მხარს უჭერს სინოდიც, მაგრამ გრიგოლ ორბელიანს აიძულებს ის, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი აპირებს ამ თემაზე მათთან დალაპარაკებას. წერილის წერას აწყვეტინებენ ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიან-ივანოვის, ქმარი – ნიკოლოზ ივანოვი და ისაკ თუმანიშვილი და მათთან ერთად მიდის ივანოვის ოჯახში, სადაც აქვთ ქალიშვილის ნიშნობა.

- 1872 16 ნოემბერი**
 ასრულებს თავისი ბიძაშვილის შვილის – სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის წერილის წერას. უყვება წინა დღის ამბებს და სწერს, რომ მარიამ ივანოვის ნიშნობას ადრესატის მძა რევაზიც ესწრებოდა თავის ქალიშვილთან, ანასტასიასთან ერთად.
- 1872 11 დეკემბრამდე**
 იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილებს, რომლებშიც ის ატყობინებს, რომ ჯანმრთელად არის და რომ მისი ვაჟი გიორგი აპირებს პაჟთა კორპუსში გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებას ოფიცრის წოდების მისაღებად.
- 1872 11 დეკემბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში 300 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ემადლიერება, რომ ეღირსა მისგან შეხშიანებას. არ უწონებს ორიენტირებას გიორგის მიერ პაჟთა კორპუსში პირდაპირ გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებაზე, რადგან ბევრი ახალი საგანი ექნება მოსამზადებელი, 6-7 თვეში ამის გაკეთებას კი დიდი ძალისხმევა და ფენომენალური ნიჭი სჭირდება. ურჩევს, ჩააბაროს პაჟთა კორპუსის ბოლო, სპეციალურ კლასში და შემდეგ იქვე მოემზადოს გამოსაშვები გამოცდებისთვის. სწერს, რომ გიორგის წინაშე ორი გზაა: იყოს ერთი უბრალო ოფიცერი, როგორც მილიონები არიან ან ჰქონდეს სამხედრო დარგში აკადემიური განათლება და იყოს საუკეთესო.
- 1872 14 დეკემბრამდე**
 იმის აღსანიშნავად, რომ გრიგოლ ორბელიანმა ხელმწიფესთან იშუამდგომლა და მოიპოვა 110.000 მანეთი ბანკის დასაარსებელი ძირითადი კაპიტალისთვის, მადლიერი თავადაზნაურობა წვეულებას უმართავს.
- 1872 14 დეკემბერი**
 კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭოს საქმეთა მმართველი უგზავნის განსახილველ საკითხთა ნუსხას და სთხოვს, თითოეულ მუხლთან დაკავშირებით აცნობოს თავისი აზრი, საზოგადოების თავმჯდომარისთვის წინასწარი ანგარიშის წარსადგენად.
- 1872 16 დეკემბრამდე**
 აყალიბებს თავის მოსაზრებებს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

1872

16 დეკემბერი

წერილს სწერს მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსს, სერგეი ტრუბეცკოის, და უგზავნის თავის მოსაზრებებს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის – ნიკოლოზ ზახაროვის მიერ ჯილდოდ 700 მანეთის მოთხოვნასთან დაკავშირებით წერს, რომ ამ პირმა საზოგადოების თანხებიდან საკუთარ მკურნალობაზე დახარჯა 300 მანეთზე მეტი და, თუ ეს თანხა სპეციალურად ამ მიზნით არ იყო მისთვის გამოყოფილი, მაშინ იმ 700 მანეთიდან უნდა გამოერიცხოს. საქმეთა მწარმოებელ ნიკოლოზ ცისკარიშვილთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ მას, წინა წლის მსგავსად, უნდა მიეცეს 120 მანეთი. გრიგოლ ორბელიანი წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აფხაზეთის თემას და იქ მღვდელმსახურების მშობლიურ ენაზე წარმოების საკითხს. მიაჩნია, რომ რუსული ღვთისმსახურებით, რომელიც სლავურ ენაზეა, მოსახლეობა რუსულს ვერ ისწავლის. ამისთვის ამ რეგიონში იხსნება რუსული სკოლები, მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების არქონის პირობებში კი ლოცვა ხალხის გულამდე ვერ შეაღწევს და მათს მოქცევას მართლმადიდებლობაზე ვერასდროს შეძლებენ. ამიტომ ეთანხმება გაბრიელ ეპისკოპოსს, რომ იქ მღვდელმსახურებისთვის გაგზავნილი სემინარიადამთავრებულები უნდა იცნობდნენ ამ ენას. უფრო მეტიც, საჭიროდ მიაჩნია, რომ სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხოს აფხაზეთიდან წარგზავნილი მეტი სტუდენტი.

1872

დეკემბერი

აკაკი წერეთელი ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებს ლექსს „მუამბაზი“ (ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის ფრაზა მისი „მუხამბაზიდან“ („გინდ მეძინოს...“): „ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!“.

1872

აკაკი წერეთელი გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი უღირსთა შვილებთა“ პასუხად წერს სატირულ ლექსებს „ბობოლაების ბაიათი“ („კოლო-ბუზო! ჭიანჭველო! / ქუდმოხდილო! ფეხშიშველო!..“) და „კოლო-ბუზების პასუხი“ („მიმავალო, მშვიდობით! / აწ დრო არის, მოგვშორდე...“).

1873

3 იანვარი

მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრს, დიმიტრი ჯორჯაძეს, სთხოვს თავისი ნაცნობი და ერთგული მირზა-რაიმის დასაქმებას მუსლიმთა სასამართლოში.

1873

4 იანვარი

თავისი ნაცნობი და ერთგული მირზა-რაიმის ხელით წერილს უგზავნის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრს, დიმიტრი ჯორჯაძეს. შეახსენებს წინა დღის საუბარს და სთხოვს, ამ წერილის მიმტანს, გიმნაზიაში თათრული ენის მასწავლებლობის გამოცდილების მქონე კაცს, მუსლიმთა სასამართლოში მისცეს რაიმე ადგილი ან დაჰპირდეს, რომ ვაკანსიების გამოჩენისას დაასაქმებს.

1873

11 იანვარი

წერილს უგზავნის თბილისის სახაზინო პალატის მმართველს, დიმიტრი შმაკოვს, და სწერს, რომ მის რძალს, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ძმისწულს, გიორგი ორბელიანს ყოველ წელს ექმნებათ პრობლემები თავიანთი კუთვნილი პენსიის რუსეთში აღებაზე. ამიტომ სთხოვს, რომ მათთვის განკუთვნილი თანხა თბილისის სახაზინო პალატიდან დროულად გადაურიცხონ და, თუ რაიმე არის მათი მხრიდან გასაკეთებელი, შეატყობინონ.

1873

8 თებერვალი

წერილს სწერს კავკასიის მეფისნაცვლის კამერგერს, სტეფან ტალიზინს და აცნობებს, რომ ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი კავკასიაში მეცხენეობის განვითარების კომისიის თავმჯდომარის, კარლ ზისერმანის, დაჯილდოების წინააღმდეგია. ამიტომ ჯილდოზე წარდგენა დაგვიანდება მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე და, შესაბამისად, ის პირადად ვერ წარუდგენს მას იმპერატორ ალექსანდრე II-ს.

1873

20 მარტამდე

ორჯერ აკითხავს სახლში პოლკოვნიკ მიხეილ დოლოგოვო-საბუროვის მეუღლე, ემილია კრასნოგლიადოვა-დოლოგოვო-საბუროვისა, მაგრამ სძინავს და ვერ იგებს. ამიტომ, ემილია უგზავნის წერილს, რომელშიც სთხოვს შუამდგომლობას კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლესთან, ოლღა ბადენელ-რომანოვისასთან.

1873

20 მარტი

წერილს უგზავნის ემილია კრასნოგლიადოვა-დოლოგოვო-საბუროვისას და უბოდიშებს, რომ ორჯერ გაუშვა ხელიდან მასთან შეხვედრის ბედნიერება. სწერს, რომ მისი შიში ნაადრევია, რადგან ის საქმე, რომელზეც ის წუხს, მეფისნაცვლის მეუღლის, ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელის, ჩამოსვლამდე არ გადაწყდება. ამიტომ ურჩევს, დაელოდოს მოვლენების განვითარებას.

1873

27 მარტამდე

იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს, გაყიდოს თავად ალექსანდრე ორბელიანის მიერ მისი ვაჟის – გიორგისთვის ნაანდერძევი მამული და დაეხმაროს ვალებში ჩავარდნილ მათს ნათესავს, ივანე დავითის ძე ორბელიანს. ამ უკანასკნელის გასაჭირში ბარბარე ადანაშაულებს მისი ცოლის მშობლებს, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილს, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანსა და მის ქმარს – შალვა რევაზის ძე ერისთავს, რომლებიც მატერიალურად არ დაეხმარნენ ივანეს და მუდმივად აკონტროლებდნენ.

1873

27 მარტამდე

თავის ბიძაშვილის შვილს, იოსებ ორბელიანს, მისთვის მიაქვს მათი ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, წერილი, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტი ვალების გამო უკიდურეს განსაცდელშია. რამდენადაც გრიგოლს იმჟამად ნაღდი ფული საერთოდ არ აქვს, გადაწყვეტს, რომ ივანეს გაუგზავნოს 4000 მანეთის ღირებულების ბარათი, რომელსაც ინახავდა თავისი დისშვილის, სოფიო ბარათაშვილის, გასამზიოთველად, მაგრამ იოსები ბარათს არ ართმევს, რადგან ეს თანხა მაინც არ არის საკმარისი.

1873

27 მარტი

თბილისის კომერციული ბანკიდან იღებს 11.000 მანეთის სესხს და ამის შესახებ ტელეგრაფით ატყობინებს ივანე დავითის ძე ორბელიანს. გრიგოლს ძალიან უმძიმს სიბერეში ვალის აღება, მაგრამ ეს არის ნათესავის ვალებიდან დახსნის ერთადერთი გზა. მას ადრეც მიუცია ივანე ორბელიანისთვის 26.000, მაგრამ მაშინ თანხა ჰქონდა, ამჯერად კი თავად იღებს სესხს მისთვის ფულის მისაცემად.

1873

28 მარტი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სწერს, რომ თავად ალექსანდრე ორბელიანის მიერ ადრესატის ვაჟის – გიორგისთვის ნაანდერძევი მამული ჯერ მის სახელზე გაფორმებული არ არის, მაგრამ, ასეც რომ იყოს, ასე უცებ ვერ გაყიდდა, რადგან ლამის მთელი საქართველო იყიდება და მყიდველი არავინაა. სწერს, რომ არ ეთანხმება ივანე დავითის ძე ორბელიანის გასაჭირში მისი ცოლის – სოფიო ერისთავ-ორბელიანის მშობლების დადანაშაულებაში. მათ უყვარდათ თავიანთი ქალიშვილი და უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ მისი ქმრისგან ღირსეული ქცევა, ის კი ამის სანაცვლოდ აცხადებდა, თუ ვალებს არ გადამიხდით, თქვენი ქალიშვილი უკან წაიყვანეთო. წერილის ბოლოს ადრესანტი მოკითხვას უთვლის თავის ძმისწულს, გიორგის და უსურვებს მათ უფლის მფარველობას.

1873

14 აპრილი

იღებს რუსეთის დიდი მთავრის, ნიკოლოზ რომანოვის, წერილს, რომელშიც იგი მადლობას უხდის ყურადღებისთვის და წუხს, რომ ადრესატის ავადმყოფობის გამო მათი შეხვედრა ვერ შედგა.

1873

17 აპრილამდე

ოლღა სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკაიასა და ანატოლი ბარიატინსკის ჯვრისწერასთან დაკავშირებით მასთან სტუმრად არიან ბიძაშვილების: სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისა და ეკატერინე ორბელიან-ივანოვის ოჯახები, დიმიტრი ჯორჯაძე, ისაკ თუმანიშვილი და მთელი სამეზობლო. სწორედ, ამ დროს იღებს თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს და სასწრაფოდ ისმება მისი სადღეგრძელოც. შემდეგ დარბაზში ზურნის ხმის თანხლებით შემოდის ლოპიანა, სიძის ფეხებთან დებს უზარმაზარ ცოცხალ თევზს და სვამს ჯვარდაწერილების სადღეგრძელოს.

1873

17 აპრილამდე

იგებს, რომ დიმიტრი ორბელიანმა შვილად აიყვანა მღვდლის შვილი, თებრო არჯევანიძე, რომელსაც 1853 წელს კახეთზე მიურიდების თავდასხმის დროს მთელი ოჯახი დაეღუპა. ტყვედ წაყვანილი თებრო დიმიტრი ორბელიანმა გამოიხსნა და უპატრონა. გრიგოლ ორბელიანს არ მოსწონს მისი ეს გადაწყვეტილება, რადგან მიაჩნია, რომ სხვის მატერიალურ უზრუნველყოფას აჯობებდა, დიმიტრის თავის მმისშვილებზე ეზრუნა.

1873

17 აპრილი

თბილისიდან პეტერბურგში 300 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გიორგიმ გადაიფიქრა პაჟთა კორპუსში პირდაპირ გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება და აბარებს ბოლო, სპეციალურ კლასში. სწერს, რომ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის საქციელმა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა ძმა და ძმისწულები, მემკვიდრედ აირჩია ვიღაც თებრო არჯევანიძე. აცნობებს ნათესავებისა და ახლობლების ამბებს.

1873

24 აპრილამდე

პოლტავის გუბერნიიდან იღებს ივან სარანდოს მიერ გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ის დაოჯახდა და ვაჟი შეეძინა. სთხოვს, გაურკვიოს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ კავკასიაში 39 წლის მსახურების შემდეგ მანაც მიიღოს ჯილდოდ მიწის ნაკვეთი ისე, როგორც ეს სხვებს მიეცათ.

1873

24 აპრილი

თბილისიდან პოლტავის გუბერნიაში წერილს უგზავნის პოლკოვნიკ ივან სარანდოს და ულოცავს ოჯახის შექმნას, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია მშვიდი ცხოვრებისათვის. უყვება თბილისის სიახლეების შესახებ და სწერს, რომ ჯილდოდ მიწის ნაკვეთის მისაღებად ან დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის სახელზე, ან კავკასიის არმიის შტაბში უნდა გაგზავნოს მოხსენებითი ბარათი, ნამსახურობათა ნუსხა და ცნობა იმის შესახებ, რომ ცოცხალია. ჰპირდება, რომ დანარჩენზე თავად იზრუნებს. წერილის დასრულებამდე მასთან ოთახში შედის დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც აუწყებს, რომ სარანდოსგან მანაც მიიღო წერილი, გადაგზავნა ოლქის შტაბში და შტაბის უფროს ალექსანდრ სვისტუნოვის პეტერბურგიდან ჩამოსვლისთანავე განიხილავენ.

1873

იენისამდე

პეტრე უმიკაშვილი გამოსცემს გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულს. მასში შეტანილია შემდეგი ლექსები: „ანტონს“, „წვრილი ლექსები“, „ეკ. ჭა...სას“, „მტირალი ნ... ს...“, „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“), „მ...დმი“ („მნათობო, თვით შენ აღმიხსენ“), „გამოსალმება ს-ს“, „მირზაჯანას ეპიტაფია“, „დავითს (ჟუკოვსკივადამ)“, „ლხინი (მიბაძვა პუშკინისა)“, „ღამე“, „იარალის“, „ვირი და ბულბული (კრილოვივადამ)“, „სოფლელნი და მდინარე (კრილოვივადამ)“, „ნადირთა ჭირი (კრილოვივადამ)“, „მუხამბაზი“ („არავისთვი მე...“), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „ნ...“, „ჩემს დას ეფემიას“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“), „ს...ს“, „მ...დმი“, „ჩემი ეპიტაფია“, *** („როს გხედავ, მნათო“), „ალბომში ღ. ოპ“, *** („ვინცა გნახოს...“), „სადამო გამოსალმებისა“, *** („ჰეი, გონებავ...“), „მიბაძვა პუშკინისა“ („სიცოცხლევ ფუჟო...“), „მოგონება“, „დიმიტ. ონ-ის დარდები“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“), „მთანი მაღალნი“ (Горные вершины) და პოემა „სადღეგრძელო“.

1873

6 იენისი

ხელმოსაწერ დოკუმენტებთან ერთად წერილს უგზავნის თავისი ნათესავის, მარიამ ლუარსაბის ასულ ორბელიანის, ქალიშვილს, ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისას. ხუმრობით საყვედურობს ქედმაღლობისთვის, რომლის გამოც არ კადრულობს გრიგოლისთვის წერილების მიწერას და ნიშნს უგებს, რომ ამჯერად მაინც მოუხდება ამის გაკეთება, თუ უნდა ევროპაში სამოგზაუროდ წასვლა. მოიკითხავს მის ქმარს, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელს.

1873

იენისი

„სასოფლო გაზეთში“ ქვეყნდება სარეკლამო განცხადება გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულის გამოსვლისა და მისი ფასის შესახებ.

1873

იენისის შემდეგ

ნიკო ნიკოლაძე, ფსევდონიმით „სკანდელი“, რეცენზიაში „ჩვენი მწერლობა“ აფასებს გრიგოლ ორბელიანის ლექსების პეტრე უმიკაშვილისეულ გამოცემას.

1873

1 ივლისი

დალესტნის სოფელ კარატაში მცხოვრები მისი ყოფილი ნოქრების, თებელოსა და ალდამის, შვილების ხელით თბილისიდან დალესტანში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს ბარათის მიმტანებს, რომლებსაც იქ რაღაც დანაშაული აქვთ ჩადენილი. სთხოვს, თუ სერიოზული არაფერია, აპატიოს.

1873

1 ივლისი

ფაეტონი აკითხავს და დასასვენებლად ადის ტაბახმელაში თავისი ნათესავის, მარიამ ლუარსაბის ასულ ორბელიანის, ქალიშვილის, ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისა და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის სახლში.

1873

1 ივლისის შემდეგ

ისვენებს ტაბახმელაში ელისაბედ და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელების სახლში და კვირაობით სადილად ადის კოჯორში თავისი ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკაიას, ოჯახში.

- 1873 12 ივლისამდე**
სასამართლოში შეაქვს საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ 1847 წელს არასწორად იქნა გამოძიებული გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანისა და მის მიწაზე დასახლებული გლეხების დავა და ითხოვს საქმის ხელახლა განხილვას.
- 1873 12 ივლისამდე**
ტაბახმელიდან თბილისში სასამართლოში წარსადგენ საბუთებს უგზავნის თავისი რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმას, იურისტ მიხეილ ალექსი-მესხიშვილს.
- 1873 12 ივლისი**
ტაბახმელიდან თბილისში წერილს უგზავნის თავისი რძლის – ქეთევანის ძმას, იურისტ მიხეილ ალექსი-მესხიშვილს, აცნობებს, რომ 19 ივლისს ჩატარდება სასამართლო განხილვა თავად ალექსანდრე ორბელიანის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით და სთხოვს, იყოს მისი ოფიციალური ადვოკატი. ასევე, სთხოვს შეადგინოს საკუთარ სახელზე მინდობილობა და გაუგზავნოს ხელმოსაწერად, მაგრამ თუ ადრესატი კახეთში წასვლას 19 ივლისამდე გეგმავს, მაშინ ვინმე ისეთს სთხოვოს ამ საქმის აღება, ვისაც ენდობა და მინდობილობაც მის სახელზე შეადგინოს.
- 1873 12 ივლისი**
გაზეთ „დროებაში“ სხვა მოღვაწეებისადმი მიძღვნილი შარჟების გვერდით იბეჭდება მისდამი მიძღვნილიც – ეს არის ამონარიდი ილია ჭავჭავაძის „გუთნისდედიდან“: „მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის, / ჩემის კაცობის გულის დუდილის / სიტყვანი გულში მებადებიან, / მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან“.
- 1873 18 ივლისი**
წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და სთხოვს, მისი ძმის, მიხეილისგან გაუგოს, შედგება თუ არა მომდევნო დღეს გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის მამულთან დაკავშირებით საქმის განხილვა.
- 1873 19 ივლისი**
ტაბახმელიდან ჩადის თბილისში თავად ალექსანდრე ორბელიანის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით დანიშნულ სასამართლო პროცესზე დასასწრებად.
- 1873 25 ივლისის შემდეგ**
გენერალ-ადიუტანტ მიხეილ ფონ კაუფმანისგან იღებს 25 ივლისს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს ახალგარდაცვლილი გენერალ-მაიორის, პეტრე პრინცის, ქალიშვილების უსახსროდ დარჩენის შესახებ და მათი დახმარების თხოვნით მიმართავს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის.
- 1873 26 ივლისამდე**
იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ის წყენას გამოხატავს გრიგოლ ორბელიანის უნდობლობის გამო და დაწვრილებით განუმარტავს, რატომ ახარებს მისი ვაჟი გიორგი გამოცდებს ასეთი უკულმართი თანმიმდევრობით.

- 1873 26 ივლისამდე**
ნათლავს თავისი ბიძაშვილის შვილის, მარია სვიატოპოლკ-მირსკაიასა და ივანე მამუკას ძე ორბელიანის ვაჟს, მამუკას (მაკარს).
- 1873 26 ივლისი**
ტაბახმელიდან პეტერბურგში საპასუხო წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ემადლიერება წერილისთვის, რომელმაც სრულყოფილი პასუხი გასცა მის კითხვებს გამოცდების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. უყვება ნათესავ-ახლობლების ამბებს და მოიკითხავს პეტერბურგში მყოფ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს, რომელიც დიდი ხანია, არ შეხმიანებია.
- 1873 3 აგვისტო**
ტაბახმელიდან ბორჯომში წერილს უგზავნის ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის და საყვედურობს, რომ ერთხელ არ მოიკითხა. უამბობს, რომ განდევილი ბერივით მარტოა ტაბახმელაში, მოსწონს იქაური ჰავა და არ უკვირს, რომ ეს სოფელი თამარ მეფის საყვარელი დასასვენებელი ადგილი ყოფილა და ლაშა-გიორგიც იქ დაბადებულა. აცნობებს, რომ ირანის შაჰი, ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარი, გააბედნიერებთ თბილისში სამი დღით სტუმრობით და მოუწევთ პაპანაქებაში ქალაქში ჩასვლა. წუხს, რითი შეიძლება გაართონ იგი, როცა ევროპაში უკვე ნახა ყველა საკვირველება.
- 1873 3 აგვისტო**
ტაბახმელაში მასთან სტუმრად მიდის ვასილი ზოლოტარევი და იძულებულია, მთელი დღე მის მასპინძლობასა და გართობაზე დახარჯოს.
- 1873 8 აგვისტო**
ტაბახმელიდან კოჯორში წერილს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს და უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით სთხოვს, დაუბრუნოს ნასესხები ფული. რამდენადაც იცის მთელი საქართველოს მატერიალური მდგომარეობა, სთავაზობს თანხის გადახდას არა მაშინვე, არამედ თუნდაც 25 სექტემბრამდე, თან არა მთლიანი თანხის, არამედ დასაწყისში თუნდაც 3000 მანეთისა. სწერს, რომ ეს თანხა სჭირდება კომერციული ბანკიდან სხვისთვის გამოტანილი 11.000 მანეთის ნაწილის დასაფარად.
- 1873 9 აგვისტო**
ტაბახმელაში ჩადის გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის შვილის ქმარი – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო და მისი სიდედრი – ხორემან ვაჩნაძე-ორბელიანისა მართავს წვეულებას, რომელსაც გრიგოლიც ესწრება.
- 1873 10 აგვისტო**
წერილს სწერს ბიძაშვილის შვილს – ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს. უყვება, როგორ აღნიშნეს ტაბახმელაში მისი მეუღლის ჩასვლა. გული სწყდება, რომ 14 სექტემბერს, როდესაც ირანის შაჰი ნასერ-ად-დინ ყაჯარი ჩაბრძანდება თბილისში, ადრესატი იქ არ იქნება. ეხუმრება, რომ აპირებდნენ ყეენისთვის ოქროს ტახტით მის მირთმევას, მაგრამ ანასტასიას ქმარი არ დათანხმდა. უგზავნის თბილისელი კინტოების რუსული სიმღერის ტექსტს, რომელზეც ბევრი იცინა.

- 1873 10 აგვისტო**
ტაბახმელიდან კოდაში წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს; სწერს, რომ გაიგო მისი მეუღლის – ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელიანის ავადმყოფობა და ურჩევს, სასწრაფოდ წაიყვანოს თბილისში, რომ სწორად უმკურნალონ.
- 1873 12 აგვისტო**
ტაბახმელიდან ბრუნდება თბილისში, რადგან 14 აგვისტოს იქ უნდა ჩაბრძანდეს ირანის შაჰი ნასერ-ად-დინ ყაჯარი და უნდა შეხვდეს.
- 1873 17 აგვისტო**
ხვდება თბილისში ვიზიტად ჩასულ ირანის შაჰს, ნასერ-ად-დინ ყაჯარს, სადამოს კი მასთან ერთად ესწრება წარმოდგენას საზაფხულო თეატრში, სადაც წარუდგენენ თბილისელ წარჩინებულ ქალბატონებს.
- 1873 18 აგვისტო**
ესწრება ირანის შაჰის, ნასერ-ად-დინ ყაჯარის საპატივცემულოდ მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის მიერ გამართულ წვეულებას. მოსწონს, რომ შაჰი ძალიან არ გამოირჩევა დანარჩენებისგან, წვერგაპარსულია, სვამს და ევროპელივით უჭირავს თავი.
- 1873 19 აგვისტო**
ელიზავეტოპოლის მიმართულებით აცილებს ბაქოსკენ მიმავალ ირანის შაჰს, ნასერ-ად-დინ ყაჯარს და იმავე დღეს ბრუნდება ტაბახმელაში.
- 1873 24 აგვისტო**
თავისი ბიძაშვილის შვილის, პეტრე სვიატოპოლკ-მირსკის, ხელით ტაბახმელიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ატყობინებს, რომ ძალიან მოწყენილია მათ გარეშე. ასევე უყვება ირანის შაჰის, ნასერ-ად-დინ ყაჯარის, ვიზიტის შესახებ თბილისში.
- 1873 25 აგვისტო**
ტაბახმელიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და ურჩევს, რომ მისი დისწული – ანასტასია ჩერქეზიშვილი, რომელიც უკვე კარგა ხანია ავად არის, სასწრაფოდ გაასინჯოს ექიმ ივან ტელიაფუსს, რომელსაც პარიზიდან რაღაც ახალი სამკურნალო საშუალებები ჩამოუტანია და წარმატებით მკურნალობს სხვადასხვა დაავადებას.
- 1873 31 აგვისტო**
ტაბახმელიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლესთან – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილთან ერთად პიატიგორსკიდან ახალდაბრუნებულ ალექსანდრე საგინაშვილს. ულოცავს მეუღლის გამოჯანმრთელებას და ეხუმრება, რომ ახლა მათ აღარავინ მოასვენებს, რადგან დაიწყება გაუთავებელი სტუმრობები და თამაშები.
- 1874 აგვისტო**
ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება „თერგდალეულების“ საპასუხოდ დაწერილი მისი ლექსი – „პასუხი უღირსთა შვილებთა“.

- 1873 11 სექტემბრამდე**
ტაბახმელაში იღებს სოფიო ერისთავ-ორბელიანის წერილს.
- 1873 11 სექტემბერი**
პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული მიხეილ საბინინის ხელით წერილს უგზავნის ისტორიკოს დიმიტრი ფურცელაძეს. აცნობებს, რომ წერილის მიმტანი სასულიერო აკადემიის სტუდენტია, რომელმაც რუსეთში მოაგროვა სამკაულები დარიბი ქართული ეკლესიებისთვის. სთხოვს, ჩვეული გულისხმიერებით მიიღოს ნიჭიერი ყმაწვილი, რომელიც თავდადებით შეუდგა ეკლესიის ისტორიის შესწავლასა და გამოცემას. რამდენადაც ის ძალიან დარიბია, სურს, რომ შეადგინონ სია და, ვისაც რამდენი შეუძლია, შეეწიონ ქვეყნისთვის კეთილი საქმის აღსრულებაში.
- 1873 16 სექტემბრამდე**
ორბელიანებისა და ხაზინის დავას მიწების მფლობელობაზე, რომელიც 53 წლის წინ ორბელიანთა სასარგებლოდ გადაწყდა, სენატი განსახილველად უკან უბრუნებს საოლქო სასამართლოს. ამის მიზეზი ხდება ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის მიერ სენატში შეტანილი განცხადება, თითქოს არსებობდეს საბუთები, რომლებიც ცალსახად ადასტურებს ამ მიწების ხაზინისადმი კუთვნილებას. ორბელიანებს ადვოკატად აპყავთ ლუკა ისარლიშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ათწლეულების წინ სასამართლო პროცესი სრულიად კანონიერად ჩატარდა და ახლა სენატს სხვა გზა არა აქვს, უნდა დაამტკიცოს სასამართლოსა და სასამართლო პალატის გადაწყვეტილება.
- 1873 16 სექტემბერი**
თბილისიდან დადესტანში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – სოფიო ერისთავ-ორბელიანისას. უზიარებს გულისტკივილს საქართველოს გამწარებული მდგომარეობისა და ქართული ენის შევიწროების გამო. ჯერ იყო და ეგზარქოსმა ევსევოი ილინსკიმ ქართული ენა გიმნაზიიდან განდევნა, ახლა კი სასწავლო ოლქის მმართველი იანუარ ნევეროვი ცდილობს მის აკრძალვას სემინარიაშიც. შემდეგ ადრესანტი ყვება ორბელიანებისა და ხაზინის 53-წლიანი დავის ამბებს, უკვირს, რატომ ჰყავს ორბელიანებს ამდენი მტერი და ახსენდება ვასილი პროკოპენკოს მუქარა, პროკოპენკო ნუ ვიქნები, თუ ორბელიანებს მადათოვის კუნძულზე მიწები არ ჩამოვართვაო.
- 1873 18 სექტემბრამდე**
დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისგან იღებს, რომ იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით, გენერალ-მაიორ პეტრე პრინცის შემოსავალს მის ნაცვლად აიღებს მისი სამი ქალიშვილი.
- 1873 18 სექტემბერი**
წერილს უგზავნის გენერალ-ადიუტანტ მიხეილ ფონ კაუფმანს და ატყობინებს, რომ მისი თხოვნა შესრულებულია, გარდაცვლილი გენერალ-მაიორის – პეტრე პრინცის ქალიშვილებს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა და მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის შუამდგომლობით, შემოსავალი დაენიშნათ.

- 1873 5 ოქტომბერი**
გრიგოლ ორბელიანის ლექსს „პასუხი შვილებთა“, რომელიც დაიწერა ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ საპასუხოდ, სერგეი მესხი უგზავნის აკაკი წერეთელს მისთვის ჩვეული „მახვილი და შხამიანი“ პასუხის გასაცემად.
- 1873 9 ოქტომბრამდე**
ის-ისარისმოაგროვაკომერციულიბანკიდანაღებულისესხისგამოშესატანი5000მანეთი, რომ პეტერბურგიდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დეპეშას, რომლითაც სთხოვს 1000 მანეთის გაგზავნას. სასოწარკვეთილებაში ვარდება, მაგრამ ეხმარება დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი და ახერხებს რძლისთვის ჯერ 500, შემდეგ კი 300 მანეთის გაგზავნას.
- 1873 9 ოქტომბერი**
წერილს სწერს თბილისიდან პეტერბურგში ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და აცნობებს, რომ მისი ვაჟის – გიორგის პენსიის საქმე ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ მდიდრების გარემოცვაშიაც კი არ უნდა რცხვენოდეს სიღარიბის. პაჟთა კორპუსის უმცროს, სპეციალურ კლასში მოხვედრით გიორგიმ იმედი არ უნდა გადაიწუროს. მოკლე დროში მან ისედაც ბევრი შეძლო და, დარწმუნებულია, რომ მომავალში ყველაფერს მიაღწევს.
- 1873 ოქტომბერი**
„ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით „განხილვა“ აქვეყნებს გიორგი წერეთლის მოთხოვნის „კიკოლიკი ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ კრიტიკულ ანალიზს.
- 1873 2 ნოემბერი**
თბილისიდან პეტერბურგში 400 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სთხოვს, აცნობოს, როგორ გადაურჩენ პეტერბურგის წყალდიდობას, მათ ქუჩამდე ხომ არ მიულწევია წყალს. აინტერესებს, გადავიდნენ თუ არა ახალ სახლში და როგორ შეეჩვია მისი ვაჟი გიორგი სასწავლებელს.
- 1873 3 დეკემბრამდე**
პეტერბურგიდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომელშიც ის დაწვრილებით აღწერს მისი და მისი ვაჟის – გიორგის ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებს.
- 1873 3 დეკემბერი**
თბილისიდან პეტერბურგში 300 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და მადლობას უხდის ასეთი სკრუპულოზური წერილისათვის. სწერს, რომ ცხოვრება სწორედ, წვრილმანებისგან შედგება და, სანამ მისი ძმისშვილი დიდ საქმეებს შეეჭიდება, სიამოვნებით მოისმენს მისი ცხოვრების წვრილმანებს.

- 1874 1 იანვრამდე**
კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოში წარადგენს თავის მოსაზრებებს კავკასიაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოტანასთან დაკავშირებით.
- 1874 დასაწყისი**
„სასოფლო გაზეთში“ ქვეყნდება სარეკლამო განცხადება გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული გადოსვლისა და მისი ფასის შესახებ.
- 1874 6 იანვარი**
წერილს უგზავნის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს – ნიკოლოზ ბარანოვსკის და სწერს, რომ ახალი წლის დადგომასთან ერთად, მას, როგორც ყოველთვის, აქვს თხოვნა, რომ მისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწულის – გიორგი ორბელიანის პენსიები თბილისის ხაზინიდან დროულად გადაიგზავნოს პეტერბურგისაში, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ.
- 1874 7 იანვარი**
მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ ბარანოვსკი წერილობით აცნობებს, რომ ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის პენსია გადაიგზავნება პეტერბურგის ხაზინაში.
- 1874 8 იანვარი**
კიდევ ერთ წერილს უგზავნის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს – ნიკოლოზ ბარანოვსკის. სწერს, რომ მისგან მიღებულ შეტყობინებაში საუბარია მხოლოდ ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის პენსიაზე და არაფერია ნათქვამი მისი ვაჟის – გიორგი ორბელიანისაზე, რომელიც წელიწადში 1000 მანეთს შეადგენს. სთხოვს, დაუზუსტოს, შეძლებს თუ არა ისიც კუთვნილი თანხის აღებას პეტერბურგში.
- 1874 თებერვლამდე**
აყალიბებს თავის მოსაზრებებს მუსლიმი ბეგების მამულების მფლობელობის დაკანონებასთან დაკავშირებით.
- 1874 11 თებერვალი**
წერილს უგზავნის კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს, ალექსანდრ სვისტუნოვს. აცნობებს, რომ ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის როტმისტრს, მრავალჯერ დაჯილდოებულ პეტრე კოპეიშვილს, 29-წლიანი მუშაობის შემდეგ სამსახურიდან უშვებენ, რაც გამოიწვევს მისი ოჯახის შიმშილით დახოცვას. სთხოვს, სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ მას დაენიშნოს დამსახურებული პენსია.
- 1874 23 თებერვალი**
გრიგოლ ორბელიანთან სტუმრად მიდის ნიკოლოზ დადიანი და აცნობებს, რომ მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც აღდგომის დღესასწაულებზე ჯვარს იწერს საიმპერატორო კარის მინისტრის, ალექსანდრ ადლერბერგის ქალიშვილზე – მარია ადლერბერგზე.

- 1874 24 თებერვლამდე**
გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე ორბელიანის, მეუღლე, ხორეშან ვაჩნაძე-ორბელიანისა.
- 1874 24 თებერვალი**
ხშირად ცივდება და ავადმყოფობს.
- 1874 24 თებერვალი**
300 მანეთთან ერთად თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, მოიკითხავს ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის მეუღლეს, საშას. სწერს, ნიკოლოზ დადიანის მასთან სტუმრობის შესახებ, შესჩივის, რომ ხეებმა ლამის აყვავება დაიწყო და უცებ საშინელი ზამთარი მობრუნდა. აცნობებს ადრესატის დისშვილების ამბავს: თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკაიასა და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძე-ჭავჭავაძისას ქალიშვილები შეეძინათ, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისას კი – ვაჟი, მაგრამ მალევე გარდაეცვალა და თავადაც იავადმყოფა. სამი წლის ვაჟიშვილი გარდაეცვალა ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინის ქალიშვილს, ნინა ოპოჩინინა-სტატკოვსკისას.
- 1874 13 მარტი**
წერილს უგზავნის ალექსანდრ ნიკოლაის და წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობის გამო ვერ მივა წვეულებაზე, სადაც შესაძლებლობა ექნებოდა შეხვედროდა მისთვის საყვარელ და პატივსაცემ ადამიანებს.
- 1874 17 მარტამდე**
ხანგრძლივად ავადმყოფობს. სულ სახლშია და დეპრესია აქვს. ვერ დადის ვერც თეატრში, ვერც კლუბებსა და წვეულებებზე.
- 1874 17 მარტი**
თბილისიდან ბოთლიხში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – სოფიო ერისთავ-ორბელიანისას და უბოდიშებს, რომ ავადმყოფობის გამო, უფრო ადრე ვერ მისწერა. საუბრობს ყველაფრის წარმავლობასა და ამოებაზე. სწერს, რომ ბანკის საქმე ჯერ კიდევ გაყინულია, მაგრამ ანუგეშებენ, რომ მალე განიხილავენ სახელმწიფო საბჭოში. ფიქრობს, რომ კარგი საქმეა, მაგრამ ქართველებს მაინც არ ეშველება. ადრე თუ „პრიკაზი“ უყიდდა მამულებს, ახლა ბანკი გაუყიდის. სომხების გარდა, მყიდველები არ არიან, ყველა მამული მათს ხელში გადავა და ქართველი თავადაზნაურობა ულუკმაპუროდ დარჩება.
- 1874 13 აპრილამდე**
გრიგოლ ორბელიანის ძველი ნაცნობი, არქიმანდრიტი დანიელ პოპრუჟენკო, რუსეთში გადადის საცხოვრებლად და უგზავნის გამოსამშვიდობებელ წერილს.
- 1874 13 აპრილი**
საპსუხო წერილს უგზავნის არქიმანდრიტ დანიელ პოპრუჟენკოს, რომელიც გრიგოლის დაღესტანში სამსახურის დროს იქვე იყო მღვდელმსახურად. ახსენებს 30 წლის წინანდელ პერიოდს, თავდადებულ მებრძოლებს და უზარმაზარ მსხვერპლს. სთხოვს, არ დაივიწყოს და ლოცვებში მოიხსენიოს, როგორც ერთი ცოდვილი ადამიანი.

- 1874 22 აპრილი**
წერილს უგზავნის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ვლადიმერ ლევამოვს და სთხოვს დახმარებას ლუკა ისარლიშვილისთვის, რომელსაც ადრესატისადმი დაქვემდებარებულ რეგიონში საკუთარი მიწებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა. სწერს დიმიტრი მირსკის ავადმყოფობის ამბავს და მოიკითხავს ადრესატის მეუღლეს.
- 1874 19 მაისამდე**
ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის თბილისში ჩასვლასთან დაკავშირებით ნათესავები ხშირად იკრიბებიან და მათ შორის, – გრიგოლ ორბელიანიც.
- 1874 19 მაისი**
300 მანეთთან ერთად თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.
- 1874 2 ივლისამდე**
პიატიგორსკიდან იღებს ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, წერილს. ადრესანტი აცნობებს, რომ წყლის აბაზანები ძალიან მოუხდა. ამიტომ იქიდან აპირებს ესენტუკში და ბოლოს ჟელეზნოვოდსკში გადასვლას.
- 1874 2 ივლისამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომელშიც საუბარია მისი ვაჟის, გიორგის, მომავალზე. დედა წუხს, რომ სამსახურის დასაწყებად მას ჯერ სჭირდება 11.000 მანეთი და შემდეგ ყოველწლიურად – 6000.
- 1874 2 ივლისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და უზიარებს თავის აზრებს გიორგის მომავალთან დაკავშირებით. სწერს, რომ 11.000 მანეთი, რომელიც მას სჭირდება სამსახურის დასაწყებად, მისი მთლიანი ქონების ერთი მეოთხედია და თან ისეთ სამხედრო დანაყოფებში, როგორებიცაა: კავალერგარდი, გვარდია და ლეიბჰუსართა პოლკი, ვერავინ მისცემს გარანტიას, რომ წელიწადში 6000 ეყოფა და 60.000 არ დასჭირდება. სწერს, რომ უკეთესი ვითარებაა საარტილერიო პოლკებში, სადაც მდიდრებიც მსახურობენ, მაგრამ სხვა ღირებულებებზეა აქცენტი და 4000-ც ეყოფა წელიწადში. სწერს, რომ კონკრეტული რჩევის მიცემამდე ურჩევნია დაელაპარაკოს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის და მისი აზრიც გაიგოს, ადრესატს კი ურჩევს, ინახულოს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის მეუღლე – ოლღა ბადენელ-რომანოვისა, რადგან ისიც ბევრს ფიქრობს თავისი უფროსი ვაჟების მომავალ სამსახურებზე. სწერს, რომ ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ბორჯომშია დასასვენებლად, თავად კი უახლოეს დღეებში აპირებს ტაბახმელაში ასვლას. სწერს, რომ მისი სიძე, დავით ჭავჭავაძე ძალიან კარგად გამოიყურება, ძმისწული ალექსანდრე კი პირველად მონაწილეობს თბილისურ მეჯლისებში და დაუღალავად ცეკვავს. აცნობებს, რომ დერბენდის ყოფილი გუბერნატორის – იული მინკვიცის ვაჟს, რომელმაც სიმთვრალეში დუელის დროს მოკლა თავისი ამხანაგი, სასამართლომ 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

- 1874 10 ივლისამდე**
ესწრება მომდერალ ანა ბიჩურინას კონცერტებს თბილისის ოპერის თეატრში.
- 1874 10 ივლისი**
თბილისიდან ბორჯომში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. ეხუმრება, რომ ბორჯომის წყალი სიბერეს არ შველის და, რომ ტყუილად აპყობია თავისი დისშვილის, ანასტასია ჩერქეზიშვილის, ჭკუას.
- 1874 31 ივლისი**
ტაბახმელის საყდარში ჯვარს იწერენ ვინმე ჩინოვნიკი შჩუკინი და ჟდანოვის ქვრივი. გრიგოლი ჯვრისწერის შემდეგ მათ და მათს თანმხლებ თავის ნაცნობებს: სოფიო და დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკებს, იოსებ და ყაფლან ორბელიანებს, ივან ოკლობჟიოსა და სხვებს სახლში შეიპატიჟებს და ტკბილეულით, ყავით და შამპანურით უმასპინძლდება, შემდეგ კი ზოგი მათგანი სადილადაც რჩება.
- 1874 31 ივლისი**
ტაბახმელიდან ბორჯომში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას. უყვება ნათესავების ამბებს, მოიკითხავს მის დისწულს, ანასტასია ჩერქეზიშვილს, და სწერს, დროა, დაბრუნდნენ.
- 1874 18 აგვისტომდე**
ადის კოჯორში თავისი ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინის, მეუღლის – ალექსეი ოპოჩინინისა და მათი ქალიშვილის, მარიას, დაბადების დღეების წვეულებებზე დასასწრებად. კარგად ერთობა, თამაშობს „იარალაშსა“ და „ბოსტონს“.
- 1874 18 აგვისტომდე**
პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 19 ივლისს გაგზავნილ წერილს, რომელშიც ადრესანტი უყვება ერთი ოფიცრის შესახებ, რომელსაც კავალერგარდში სამსახური მხოლოდ 3500 მანეთი დაუჯდა.
- 1874 18 აგვისტო**
ტაბახმელიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ატყობინებს სიახლეებს ნათესავებისა და ახლობლების შესახებ. ადრესატის ვაჟის მომავალ სამსახურთან დაკავშირებით უგზავნის ანგარიშებს, სად და რაში რა თანხა სჭირდება და რამდენი აქვს. სწერს, რომ, თუ ვინმე კავალერგარდში მხოლოდ 3500 მანეთად მსახურობს, ის უნიკალური ადამიანი ყოფილა და საოცარი ეკონომია სცოდნია, რადგან, რეალურად, ამ პოლკში ძალიან დიდი დანახარჯებია. ამიტომ, გიორგის ურჩევს ან საარტილერიო პოლკს, ან პრეობრაჟენსკისას, მაგრამ, თუ ადრესატი გადაწყვეტს, რომ მისი ვაჟი თავისი შემოსავლით შეძლებს კავალერგარდში სამსახურს, გრიგოლს საწინააღმდეგო არაფერი ექნება.
- 1874 6 ოქტომბრამდე**
იგებს, რომ მისი ძმისწული გიორგი მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლის დაცვაში მსახურობდა პეტერბურგში და რომ ის და დედამისი ახალ ბინაში გადავიდნენ.

- 1874 6 ოქტომბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და საყვედურობს, რომ თავის და თავისი ვაჟის ამბებს არ აგებინებს. სწერს, რომ ადრესატის ნათესავი, ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი, ქალიშვილ მარიამთან (მაკასთან) ერთად თითქმის ერთი წლით გაემგზავრა რომში, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი და სოფიო ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა დეკემბრის დასაწყისში აპირებენ პეტერბურგში ჩასვლას. სწერს, რომ თბილისში არაჩვეულებრივი შემოდგომაა და უკვირს, რა დარჩენია ადრესატს პეტერბურგში, იმ რევმატიზმისა და ქლექის სამეფოში.
- 1874 ოქტომბერი**
 წერილს უგზავნის თბილისის გუბერნატორ კონსტანტინ ორლოვსკის და სთხოვს, შეცდომა აპატიოს მისი დისწულის ქმარს ლეონიდე ბარათაშვილს და თბილისში გადაიყვანოს მომრიგებელ მოსამართლედ, რადგან მის საბრალო ცოლ-შვილს უკიდურეს სიღატაკეში უხდება ცხოვრება.
- 1874 1 დეკემბერი**
 თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს, და სთხოვს, მის ყოფილ ნოქარს, დიბირმაჰმადს, რომელიც ამჟამად დაჭრილია, დაუნიშნოს თუნდაც 120-მანეთიანი პენსია. უყვება თამამშევის ქარვასლისა და თეატრის დაწვის ამბავს, რაც ნაწილობრივ განაპირობა თბილისში სახანძრო რაზმის არყოლამ. სწერს, რომ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგშია წასული ბანკის საქმეებზე, მაგრამ თავად გრიგოლი ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებს. მოსწონს ახალი სასამართლო სისტემა, თუმცა ხალხი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია. ურჩევს, დაღესტანშიც გაატარონ სასამართლო რეფორმა.
- 1874 7 დეკემბრამდე**
 იოსებ მამაცაშვილის გარდაცვალების გამო ადგილი თავისუფლდება საგლეხო საკითხების განმხილველ საგუბერნიო უწყებაში და გრიგოლ ორბელიანთან ორი ადამიანი მიდის: ლუკა ისარლიშვილი და მიხეილ ალექსი-მესხიშვილი თხოვნით, რომ დაეხმაროს მის დაკავებაში.
- 1874 7 დეკემბერი**
 წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სწერს, რომ ლუკა ისარლიშვილსა და მიხეილ ალექსი-მესხიშვილს სურთ იოსებ მამაცაშვილის ადგილის დაკავება საგლეხო საკითხების განმხილველ საგუბერნიო უწყებაში. იცის, რომ მსურველი ბევრი იქნება და სთხოვს, რომ ამ ორიდან ერთ-ერთი მან პირველმა შესთავაზოს თბილისის გუბერნატორ კონსტანტინ ორლოვსკის.
- 1874 11 დეკემბრამდე**
 ბიძაშვილის შვილი, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი და მეგობრები ურჩევენ, რომ თავისი ძმისშვილის, გიორგის, ყოველთვიური შემოსავლის გასაზრდელად შეთანხმება დადოს ანტონ ყორღანოვთან, რომელიც 30.000 მანეთის ერთი წლით სესხების შემთხვევაში, მას თვეში მისცემს 1800 მანეთს და ერთი წლის შემდეგ თანხას სრულად დაუბრუნებს. გრიგოლ ორბელიანს მოსწონს ეს გარიგება და შეადგენენ საბუთებს პეტერბურგში გასაგზავნად და გიორგისთვის გასაცნობად.

1874 11 დეკემბერი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და გიორგის ყოველთვიური შემოსავლის გასაზრდელად სთავაზობს ფინანსური გარიგების დადებას კომერსანტ ანტონ ყორდანოვთან. ამ პირს აქვს მსხვილი სახელმწიფო შეკვეთა, დაღესტნის სურსათით მომარაგება და სჭირდება დამატებითი თანხა. თუ გიორგი თავის კაპიტალს, 30.000 მანეთს, ერთი წლით ასესხებს, ის ამ თანხას სრულად დაუბრუნებს და თვეში დამატებით მისცემს 1800 მანეთს. სწერს, რომ ამ ადამიანს იცნობს და ის სანდოა. ერთადერთი რამ, რამაც შეიძლება პირობა დაარღვევინოს, არის გარდაცვალება და ამ შემთხვევაშიც სასამართლოს ძალით შეძლებენ მისი ოჯახისგან თანხის დაბრუნებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ის ახალგაზრდაა და რატომ უნდა იფიქრონ მის სიკვდილზე. ურჩევს, ისარგებლოს შემთხვევით და ამასთან დაკავშირებით რჩევა ჰკითხოს იმხანად პეტერბურგში მყოფ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისაც.

1874 27 დეკემბერი

იღებს ბიძაშვილის შვილის, რევაზ შალვას ძე ერისთავის, დეპეშას და იგებს, რომ ადრესატს გარდაეცვალა დედა – ეკატერინე ორბელიანი-ერისთავისა.

1874 28 დეკემბერი

თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიანი-ერისთავის, ვაჟს, რევაზ შალვას ძე ერისთავს და უსამძიმრებს დედის გარდაცვალების გამო. წუხს, რომ ვერ დაესწრო დაკრძალვას.

1875 -დან

წერილს უგზავნის ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას და ატყობინებს, რომ ბანკიდან სესხების გაცემა ისევ შეჩერებულია. ამასთანავე, დიდ ბოდიშს უხდის, რომ წინა დღეს დაუფიქრებლად დასთანხმდა სესხის ასაღებად თავდებობაზე. სწერს, რომ ეს არ შეუძლია, მაგრამ იმით დაეხმარება, რომ ორ მეგობარს კარგ ფასად შეასყიდინებს მის ნივთებს. თუ ესეც ვერ მოხერხდა, ურჩევს თბილისის სათავადაზნაურო ბანკში მათ დაგირავებას სამი წლით. არწმუნებს, რომ ეს სესხის აღებაზე უფრო ხელსაყრელია.

1875 8 იანვარი

აკაკი წერეთელი გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს გრიგოლ ორბელიანის საპასუხოდ დაწერილ სტატიას „პატრიოტის აღსარება“, რომელშიც ჩართულია სატირული ლექსები „ბობოლაების ბაიათი“ და „კოლო-ბუზების პასუხი“

1875 21 იანვარი

მიხეილ თუმანიშვილი წერილს უგზავნის შვილს, გიორგი თუმანიშვილს, და ურჩევს, წაიკითხოს „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „განხილვა“, რადგან მის ავტორს, როგორც ჩანს, ალექსანდრე ცაგარელზე ნაკლებად არ ესმის ფილოლოგიური საკითხები.

- 1875 7 თებერვალი**
 თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე მადლობას უცხადებენ ბანკის საქმესთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გაწეული შუამდგომლობისთვის.
- 1875 3 მარტი**
 წერილს უგზავნის სახელმწიფო მდივან გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს და ატყობინებს, რომ მისი ნახვა უნდა ყარაბაღის ხანების შთამომავალს, შირხან ალას, რომლის ცოლსაც მისჯილი აქვს ციმბირში გადასახლება. სწერს, რომ ამ ქალს ბრალად ედება ავაზაკების ხელშეწყობა, მაგრამ ვერაფრით იჯერებს, რომ, თუ მისი სახლი მართლა იფარავდა ყაჩაღებს, ეს ქალს გაეკეთებინა და არა მის ქმარს. სთხოვს, თუ რაიმე შეეძლება, დაეხმაროს.
- 1875 4 მარტი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს და აცნობებს, რომ საოლქო სასამართლოს მიუვიდა ბრძანება, რომ ორბელიანებისა და ხაზინის დავა მიწებთან დაკავშირებით განიხილონ საჰყალტუთანის საქმესთან ერთად. სწერს, რომ ამ საქმეებს არავითარი საერთო არა აქვს, თან, ორბელიანების საქმის ყველა საბუთი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ არის გადაგზავნილი და დროს ბევრად მოიგებენ, თუ მას ცალკე განიხილავენ. სთხოვს, ყველა ძალისხმევა იხმაროს იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს. ატყობინებს, რომ თბილისში საადგილმამულო ბანკი გაიხსნა, მაგრამ ჯერ სესხებს ვერ იღებენ. სწერს, რომ დავით გიორგის ძე ერისთავი დაქორწინდა მარიამ სარაჯიშვილზე. გენერალი კორსაკოვი თბილისში ხსნის სამხედრო გიმნაზიას, ვლადიკავკაზში კი – პროგიმნაზიას, მაგრამ ფიქრობს, რომ მხარეს და მთელ რუსეთს პოლიტექნიკური სკოლა უფრო სჭირდება. უნივერსიტეტები და აკადემიები საკმარისად ზრდიან ჩინოვნიკებს, საქართველოში კი არ არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა; რკინის, მარმარილოს, ბრინჯაოს, ნავთის, ქვანახშირის, აბრეშუმის წარმოება. ამ საქმეში დახმარება მხოლოდ პოლიტექნიკურ სასწავლებელს შეუძლია და არა ბერძნული ენის შესწავლას. აცნობებს, რომ ელიზბარ ერისთავი გაემგზავრა რუსეთში აკაკი წერეთლის ცოლისდის შესართავად.
- 1875 22 მარტი**
 მოკლე ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, ეწვიოს სადილად.
- 1875 4 აპრილი**
 თბილისის თეატრში ესწრება სალიტერატურო მუსიკალურ სადამოს. არ მოსწონს რაფიელ ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის მიერ წაკითხული ლექსები, მაგრამ მოსწონს დავით ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გამოსვლები. ილია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს“.
- 1875 7 აპრილამდე**
 იღებს იაკინთე ალექსი-მესხიშვილის წერილს.

- 1875 7 აპრილი**
წერს იაკინთე ალექსი-მესხიშვილისთვის გასაგზავნ წერილს. მადლობას უხდის თუთის ნერგებისთვის და უყვება თბილისის ამბებს.
- 1875 15 აპრილი**
აგრძელებს იაკინთე ალექსი-მესხიშვილისთვის გასაგზავნი წერილის წერას და ვრცლად მსჯელობს ქართული ენის მართლწერის საკითხებზე.
- 1875 16 აპრილი**
კლუბში ესწრება სადილს, სადაც იმყოფება მიხეილ რომანოვიც. იქ ყოფნის ჟამს მეფისნაცვალს მისდის დეპეშა, რომლიდანაც იგებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიაში თბილისი-ბაქოსა და თბილისი-ჯულფის სარკინიგზო ხაზების გაყვანის გეგმა. დეპეშას ხმამაღლა კითხულობენ, რასაც მოჰყვება საყოველთაო აღფრთოვანება და შემახილები.
- 1875 17 აპრილი**
ასრულებს იაკინთე ალექსი-მესხიშვილისთვის გასაგზავნი წერილის წერას, ამატებს სიახლეს საქართველოში ორი სარკინიგზო ხაზის გაყვანის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და ულოცავს აღდგომის დღესასწაულს.
- 1875 19 აპრილი**
სალიტერატურო საღამოზე, სხვა თხზულებებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარალის“.
- 1875 22 აპრილი**
თბილისის საზაფხულო თეატრის სცენაზე გამართულ სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოზე ილია ჭავჭავაძე, ქართველ პოეტთა სხვა ლექსებთან ერთად, კითხულობს გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს“.
- 1875 14 მაისამდე**
გრიგოლ ორბელიანი იგებს, რომ მისი ძმისწული გიორგი პეტერბურგში ავადმყოფობს.
- 1875 14 მაისი**
პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 4 მაისს გაგზავნილ წერილს, რომელშიც სწერს თავის და თავისი ვაჟის, გიორგის, ამბებს.
- 1875 16 მაისამდე**
გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანის დისწულის, ნინო ბარათაშვილის, მეუღლე ლეონიდე (ლევან) ბარათაშვილი.

1875

16 მაისი

ალექსანდრეონიკაშვილის ხელით თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი სიტყვები არ გამართლდა და გიორგი ახერხებს კავალერგარდში სამსახურს წელიწადში 5000 მანეთად. მაინც სთხოვს, რომ ფულთან ერთხილად იყოს, ბოლომდე ნურასდროს დახარჯავს, რადგან თავად მწარედ ახსოვს, როგორია უფულობა. სთხოვს, მისწეროს, რა დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა გიორგის და ხომ არ არის საჭირო საზღვარგარეთ წაყვანა სამკურნალოდ. სწერს, რომ თავად ამ ზაფხულს წავკისში გაატარებს, სადაც სახლი დანგრევის პირასაა. მწუხარებით სწერს, რომ ნინო ბარათაშვილს, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა, დარჩა 9 და 7 წლის გოგონები: ნატალია და ანასტასია, რომელთა გაზრდაც მარტოს მოუწევს.

1875

12 ივნისი

დიმიტრი ორბელიანთან ერთად სტუმრობს ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის, რომელიც ავად იყო და გამოჯანმრთელდა.

1875

13 ივნისამდე

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისთან, ლევან მელიქიშვილთან, დიმიტრი ჯორჯაძესთან, იოსებ ორბელიანთან და მისი თაობის სხვა ახლობლებთან ერთად მთვარიან ღამეს ორთაჭალაში, მტკვრის სანაპიროზე, ქეიფობს, ზურნის, ჭიანურისა და მომღერლის თანხლებით. მათ პირდაპირ შუა მდინარეში ნავზე ქეიფობენ თბილისელი ყასაბი და მისი მეგობრები. ღამის პირველ საათზე იშლებიან.

1875

13 ივნისამდე

ქართულ საზაფხულო თეატრში ესწრება მოლიერის პიესის „სკაპენის ოინები“ წარმოდგენას და კმაყოფილია.

1875

13 ივნისამდე

ესწრება გიორგი ერისთავის ისტორიულ დრამას „ყვარყვარე ათაბაგი“ და უკმაყოფილოა წარმოდგენით.

1875

13 ივნისი

წერილს სწერს ბიძაშვილის შვილს ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს, და ატყობინებს, რომ თბილისში უკვე ძალიან ცხელა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ვერ ელევა ქალაქს და აგვიანებს აგარაკზე ასვლას. უყვება თბილისის სიახლეებისა და ნათესავ-მეგობრების ამბებს.

1875

26 ივნისამდე

პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ გიორგი აპირებს არა კავალერგარდში, არამედ ლეიბჰუსართა პოლკში სამსახურს და სთხოვს, რომ გარკვეული თანხა ასესხოს.

- 1875 26 ივნისი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ატყობინებს, პირადად მისთვის რამდენად სასიამოვნოა, რომ გიორგი კარგ პოლკში იმსახურებს, თუ ეს მის მატერიალურ შესაძლებლობებს არ აღემატება. სწერს, რომ პოლკის მეთაური თეოფილ მეიენდორფი ძალიან კარგი ხელმძღვანელია და ჩინებული დამრიგებელი იქნება გიორგისთვის. სწერს, რომ თანხის სესხებაზე ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგან, რაც მას აქვს, ყველაფერი გიორგისთვის უნდა, მაგრამ აფიქრებს მისი ჯანმრთელობა და ურჩევს საქართველოში ჩასვლას. ადრე გაგზავნილი 300 მანეთის გარდა, უგზავნის კიდევ 2000-ს. სწერს, რომ ლევან მელიქიშვილს აგვისტოში პეტერბურგში ჩაჰყავს თავისი შვილი უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად.
- 1875 11 ივლისი**
 მოკლე წერილს უგზავნის ბორჯომში კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღლეს, ოლღა ბადენელ-რომანოვისას და წინასწარ ულოცავს მისი სახელობის დღესა და ქალიშვილის, ანასტასიას, დაბადების დღეს.
- 1875 7 აგვისტო**
 იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ მისმა ვაჟმა გიორგიმ ოფიცრის წოდება მიიღო.
- 1875 7 აგვისტო**
 იმყოფება წავკისში და წერს რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისთვის გასაგზავნ წერილს. უყვება იქაური ერთფეროვანი ცხოვრების შესახებ და ეხუმრება, რომ მისი ძმისწულის, აპოლონის, დაჭრის ფაქტი ქეთევანმა და მისმა დისწულმა ანასტასია ჩერქეზიშვილმა კარგად გამოიყენეს თბილისში დასარჩენად.
- 1875 8 აგვისტო**
 30 მანეთთან ერთად წავკისიდან თბილისში წინა დღეს დაწერილ წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, უყვება, როგორ ატარებს დროს წავკისში და მოიკითხავს თბილისში დარჩენილ ნათესავებს.
- 1875 15 აგვისტომდე**
 იმყოფება წავკისში და მისდის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, მიერ თბილისიდან გაგზავნილი ნესვი და საზამთრო.
- 1875 15 აგვისტომდე**
 წავკისში მასთან სტუმრად ადიან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები: დიმიტრი ჯორჯაძე, გიორგი შარვაშიძე, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი და ექიმი სოლომონ მრევლიშვილი.
- 1875 15 აგვისტო**
 წავკისიდან თბილისში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და მადლობას უხდის ყურადღებისთვის. ადრესატის ძმისწულს, აპოლონ ალექსი-მესხიშვილს, ხუმრობით უთვლის, თოფის ტყვიამ როგორ შეგაშინა, მესმის ზარბაზნისა მოგხვედროდაო.

- 1875 11 სექტემბრამდე**
წერილთან ერთად იღებს გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკის მიერ ლევან სარჯველაძისთვის გადასაცემად გაგზავნილ 500 მანეთს და იმავე დღეს აწვდის ადრესატს.
- 1875 11 სექტემბერი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის თავისი რძლის ძმას – გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკის და აცნობებს, რომ მიღებული თანხა იმავე დღეს გადასცა ლევან სარჯველაძეს. სწერს, რომ მისმა წერილმა ახალგაზრდობა გაახსენა, ახლა კი სიბერის ნიშნებს გრძნობს - დაუსუსტდა თვალები და მეხსიერება, დაკარგა კბილები, ფეხებს ვეღარ იმორჩილებს. უამბობს, რომ თბილისი იზრდება და მშვენივლი ახალი შენობებით, მისი სახლი კი დგას უცვლელად. გაიხსნა ოპერა, თეატრალური წრეები, ინგლისური კლუბი და ახალგაზრდობა ერთობა. შენდება რკინიგზის ახალი ხაზები, ბორჯომი და კოჯორი ლამაზ ქალაქებად იქცა. საქართველო შეუჩერებლად მიიწევეს წინ როგორც ფინანსურად, ისე – გონებრივად. უყვება ნაცნობების ამბებს. უკვირს, ასე მყარად რატომ დასახლდა მოსკოვში და ურჩევს საქართველოში გადასვლას.
- 1875 15 სექტემბრამდე**
დადის თბილისის ოპერის თეატრში. დიდად აღფრთოვანებული არ არის, მაგრამ სხვებზე მეტად მოსწონს კონტრალტო ტიოცი ბოშა ქალის როლში და ბარიტონი კარნინი.
- 1875 15 სექტემბერი**
თბილისიდან ქართლში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, სოფიო ერისთავ-ორბელიანისას, და უყვება თბილისის ამბებს. სწერს, რომ მისი რძალი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწული გიორგი საფრანგეთის ქალაქ ვიშიში არიან გიორგის ავადმყოფობის გამო და იქიდან აპირებენ ზღვაზე წასვლას.
- 1875 3 ნოემბრის შემდეგ**
ახალციხიდან იღებს ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის, ვლადიმერ კარცოვის, მიერ 3 ნოემბერს გაგზავნილ დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ აურჩევიათ ამ საზოგადოების საპატიო წევრად.

1875

9 ნოემბერი

თბილისიდან ხარკოვში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ თანაშემწეს, ალექსანდრ კარცოვს, და უყვება ჯაფარ ყული-ხან ხოელის შესახებ, რომელსაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ნუხის სახანო ჩააბარა. წერს, რომ პირადად კარგად იცნობდა მის ვაჟს, ისმაილს. ის მამის შემდეგ მართავდა ნუხას, მაგრამ ადრე გარდაიცვალა და დარჩა მცირეწლოვანი ქალიშვილი – თუბა-ბეგუმი, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა ყარაბაღის ხანების შთამომავალს, შირხან-აღას. ამ ქალს შეემთხვა დიდი უსიამოვნება. მის სახლში ქმრის არყოფნის დროს შეიჭრნენ ყაჩაღები. ელიზავეტოპოლის მაზრის უფროსს ამასთან დაკავშირებით შეტყობინება მიუვიდა, გამოიძახა რაზმი და მივიდა ბოროტმოქმედების დასაჭერად. შეტაკებისას მაზრის უფროსი მოკლეს, შემდეგ კი ყაჩაღები ჩაბარდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავადაც ამბობდნენ, რომ ხანის სახლში მისი არყოფნის დროს ძალით შეიჭრნენ მის გასამარცხად და თუბა-ბეგუმს შვილების მოკვლითაც ემუქრებოდნენ, სასამართლომ ხანის მეუღლე მაინც დამნაშავედ ცნო. ის განაწესეს ტომსკის ციხეში, მისი ვაჟი კი – ხარკოვისაში. ადრესატის მიერ წერილის მიღების დროისთვის ორივე ხარკოვში უნდა ყოფილიყო ჩაყვანილი, საიდანაც თუბა-ბეგუმი ტომსკში უნდა გადაეყვანათ. გრიგოლის თქმით, ქალი ამხელა მგზავრობას ვერ გადაიტანს და თან მისთვის დიდი ტრაგედია იქნება შვილისგან შორს ყოფნა. იგი პირდაპირ ვერ ეუბნება ალექსანდრ კარცოვს, მაგრამ ყველანაირად მიანიშნებს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ქალის ხარკოვის ციხეში დატოვება.

1875

10 ნოემბერი

აგრძელებს ალექსანდრ კარცოვისთვის ხარკოვში გასაგზავნი წერილის წერას, ამატებს კიდევ ერთ თხოვნას, რომ თავისთან დაასაქმოს ახალგაზრდა, განათლებული და შრომისმოყვარე ჩინოვნიკი შაროევი და აგზავნის.

1875

1 დეკემბერი

მეფისნაცვლის სასახლის ეკლესიაში ესწრება ალექსანდრ კარცოვის სულის მოსახსნიებელ პანაშვიდს.

1875

1 დეკემბერი

თბილისიდან ხარკოვში დეპეშას უგზავნის ეკატერინე პუშჩინა-კარცოვას და უსამძიმრებს მეუღლის, ალექსანდრ კარცოვის, გარდაცვალებას.

1875

2 დეკემბერი

თბილისიდან ახალციხეში დეპეშას უგზავნის ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს, ვლადიმერ კარცოვს, მადლობას უხდის დაფასებისთვის და წარმატებას უსურვებს ორგანიზაციას თავის ჭეშმარიტად ქრისტიანულ საქმეებში.

1875

2 დეკემბერი

თბილისიდან ხარკოვში წერილს უგზავნის თეოდორ ვოლფრამს და სთხოვს, მის უწყებაში განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე დანიშნოს კეთილსინდისიერი და მცოდნე მოხელე შაროევი, რომელიც ადრე კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოში მსახურობდა.

- 1875 ირჩევენ კავკასიაში დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებზე მზრუნველობის საზოგადოების საოლქო განყოფილების თავმჯდომარედ.
- 1875 კრებულში „სალხინო საზანდარი“ ბეჭდავს ლექსებს: „შეთხზული მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან..“), „საიათნოვას მიბაძვა“ („...ჭიანურო! მალლად ტკბილად, დაუკარ!...“), „მუხამბაზი“ („სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით...“), „დიმიტ. ონ-ის დარდები“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ...“).
- 1876 **25 იანვრის შემდეგ**
პეტერბურგიდან თბილისში იღებს ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის დეკემას, რომლიდანაც იგებს, რომ საერთო კრებაზე ალიხან-ჰაჯის საქმის განხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და, რომ ამის შესახებ დაწვრილებით შეატყობინებენ წერილით.
- 1876 **12 თებერვალი**
წერილს უგზავნის კავკასიის ადგილობრივი ჯარების უფროს მიხეილ ჯომარდიძეს და სთხოვს მისთვის ახლობელი ოჯახის შვილის, პოდპორუჩიკ დოლუხანოვისთვის ყურადღების მიქცევას. სწერს, რომ ამ ახალგაზრდა ყმაწვილის პოლკი განლაგებულია ქუთაისში, შეეყარა მალარია და ძალიან ცუდად არის. სთხოვს მის გადაყვანას ქალაქ შუმის სამხედრო დანაყოფში, სადაც შეიძლება მშობლიურმა კლიმატმა გამოაჯანმრთელოს.
- 1876 **-დან 13 თებერვალი**
წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, თუ მომდევნო დღეს სხდომაზე კუჩაევს შეხვდება, გადასცეს მისი თხოვნა, რომ ახვერდოვის განთავისუფლებულ ადგილზე ნერსესოვი დანიშნოს. ასევე, სწერს, მალევე გააგებინოს, როგორ გადაწყდება „პრიკაზის“ საქმე, დაიკეტება თუ არა.
- 1876 **14 მარტი**
ილია ჭავჭავაძე გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიას „ზოგიერთი რამ“ ეპიგრაფად წაუმიძვარებს ტრანსფორმირებულ ფრაზას გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „იარალის“: „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა...“ (შდრ. ორბელიანთან: „მაგრამ მოთქმითა ნუგემ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა“).
- 1876 **17 მარტამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 3 მარტს პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მის ვაჟს გიორგის უჭირს მდიდარი თანაკურსელების გარემოცვაში ხელმომჭირნედ ცხოვრება.

- 1876 17 მარტი
თბილისიდან პეტერბურგში საპასუხო წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. შეახსენებს თავის სიტყვებს, რომ კავალერიაში და, საერთოდ, გვარდიაში მის ვაჟს, გიორგის, მდიდარი მეგობრების გარემოცვაში მოუხდებოდა ყოფნა და პრობლემა შეექმნებოდა. სწერს, რომ გიორგის ყოველთვიურად აქვს მისი მიცემული 2000 მანეთი, დედის - 1000 მანეთი და თავისი პენსია - 2000 მანეთი. თბილისში ამტკიცებენ, რომ ეს თანხა საკმარისზე მეტია, მაგრამ ის არ ეთანხმება არც მათ, არც ბარბარეს შეხედულებას და უმატებს კიდევ 1000 მანეთს. აცნობებს თბილისისა და მათი ახლობლების ამბებს.
- 1876 24 მარტი
თბილისიდან ახალქალაქში წერილს უგზავნის მაზრის უფროს ივან ჩეხოვსკის და სთხოვს ახალციხელი აბასბეკის აყვანას სამსახურში. სწერს, რომ იცნობს ამ ადამიანს და ის კარგად შეასრულებს თავის მოვალეობებს.
- 1876 მარტი
წერს ლექსს „დროების ათი წლის იუბილე - ფერხული და ბუქნა“ („ვერ ისწავლა მესხიმ წერა...“).
- 1876 16 აპრილი
თბილისიდან დადესტანში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და საყვედურობს, რომ სხვისგან გაიგო მისი დაჭრის ამბავი. ურჩევს, სანამ ღვთის, ხელმწიფისა და ხალხის წინაშე პირნათლად არიან, მან და ლევან მელიქიშვილმა დალოცონ ის მხარე და დაბრუნდნენ სამშობლოში, რომელზე ზრუნვაც მათი მოვალეობაა. უკმაყოფილოა, რომ მთავარი სამოქალაქო სამმართველოს უფროსად დაინიშნა პავლე კლუშინი, რომელმაც არ იცის მათი ჩვეულება და სარწმუნოება. აცნობებს, რომ ნიკოლოზ ბარანოვსკი ინიშნება სენატორად და მის ადგილს დაიკავებს დიმიტრი სტაროსელსკი, თბილისის გუბერნატორად კი ნიშნავენ ბარონ მაქსიმილიან ოსტენ-საკენს. უამბობს სხვა გადაადგილებებისა და მათი ახლობლების ამბებს.
- 1876 28 აპრილი
თბილისიდან პეტერბურგში 600 მანეთს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.
- 1876 6 მაისი
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, რომელსაც საყვედურობს, რომ მისგან ცნობებს არ იღებს და მისი ვაჟის, გიორგის, შესახებ არაფერი იცის. სხვისგან შეიტყო, რომ ბარბარემ იავადმყოფა და გამოკეთდა.

1876

11 მაისი

სიტყვით გამოდის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე, რომელზეც განიხილავენ ხელისუფლებისთვის „პრიკაზის“ ვალების პატიების თხოვნას. გრიგოლ ორბელიანი ამბობს, რომ წინა მიმართებებმა, როდესაც სარგებლის 4%-მდე დაყვანას ითხოვდნენ, შედეგი არ გამოიღო და მთლიანად პატიებაზე დათანხმება კიდევ უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, ამიტომ თავადებს ურჩევს, თავს ნუ შევირცხვენთ და უარს ნუ ვათქმევინებთო. იმასაც აღნიშნავს, ყველაფერს ყმების განთავისუფლებას რომ ვაბრალეობთ, რეალურად ასე არ არის. სად იყო საგლეხო რეფორმა, როცა ვალებში ვიყავით. ჩვენი თავადაზნაურობის პრობლემა ის არის, რომ ზედმეტ ფუფუნებასა და მფლანგველობას მივეჩვიეთო.

1876

24 მაისამდე

ესწრება ბარბარე და ალექსეი ოპოჩინინების ჯვრისწერის 40 წლის იუბილეს, ცივდება და ემართება ყურის ანთება.

1876

24 მაისამდე

სამხრეთ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის დირექტორი მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინა 24 მაისს ეპატიჟება დამამთავრებელი კლასის გამოშვების აღსანიშნავ ღონისძიებაზე.

1876

24 მაისი

წერილს უგზავნის სამხრეთ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის დირექტორს, მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინას, და ბოდიშს უხდის, რომ, ავადმყოფობის გამო, ვერ დაესწრება ინსტიტუტის დამამთავრებელი კლასის ღონისძიებას.

1876

1 ივნისამდე

წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანს, და სთხოვს, თუ ნახავს ილია ჭავჭავაძეს, გადასცეს მისი თხოვნა: უშუამდგომლოს თავის ქვისლთან, დიმიტრი სტაროსელსკისთან, რომ ბაქოს სახაზინო პალატაში მოლარედ მომუშავე, ადრე გრიგოლთან ნამსახურევი გასპაროვი, რომელიც თბილისში სამკურნალოდ იყო ჩასული, სამსახურიდან არ დაითხოვონ.

1876

28 ივნისი

წავკისიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, და ატყობინებს, რომ, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის ინფორმაციით, რამდენიმე ცნობილ ყაჩაღს უნდა შემორიგება. სწერს მათს სახელებს და სთხოვს, ამავე წერილზე მიაწეროს თავისი გადაწყვეტილება, რომ იოსებ ორბელიანიც ჩააყენოს საქმის კურსში.

1876

11 ივლისი

წავკისიდან წერილს უგზავნის რუსეთის არმიის მთავარი სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს დირექტორს, ადოლფ რემერტს, და სთხოვს, თბილისის საქალაქო საავადმყოფოდან არ გადაიყვანოს ექიმი რომან მაჭავარიანი, რომელმაც ადგილობრივების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. საზოგადოებას განსაკუთრებით ემინია მის ნაცვლად ისეთი პირის დანიშვნის, რომელსაც ქართული ენა არ ეცოდინება.

- 1876 16 ივლისი**
წავკისიდან ბორჯომში წერილს უგზავნის გრაფინია ალექსანდრა ფრიდერიქს-ალოპეუსს და სთხოვს, დაბადების დღის მილოცვა გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ქალიშვილს, ანასტასიას, რომელსაც 16 წელი უსრულდება.
- 1876 20 ივლისამდე**
დადესტნიდან იღებს ბიძაშვილის შვილის – ნიკოლოზ ჭავჭავაძის წერილს, რომელშიც სთხოვს, გაურკვიოს, რა ჯილდოზეა წარდგენილი.
- 1876 20 ივლისი**
წავკისიდან დადესტანში საპასუხო წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და აცნობებს, რომ, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის თქმით, მას ერთჯერადად მისცემენ 1500 მანეთს, რომელიც არ გამოაკლდება იჯარის თანხას. უყვება წავკისის ამბებს.
- 1876 27 ივლისი**
თბილისში, სანსუსის ბაღში, ესწრება ისაკ თუმანიშვილის იუბილეს.
- 1876 15 ოქტომბერი**
წერილს უგზავნის გენერალ რევაზ ანდრონიკაშვილს და სთხოვს, გურჯაანში, მის მამულში მოქმედ სკოლაში, მასწავლებლის ვაკანსიაზე მიიღოს ახალგაზრდა, მცოდნე და კეთილსინდისიერი სემინარიელი – პოლიევქტოს კარბელაშვილი.
- 1876 17 ოქტომბრის შემდეგ**
იღებს ცნობილი ქართველი მეცნიერის, დავით ჩუბინაშვილის, წერილს და მისი სიძის, გრიგოლ მარკოზაშვილის, ხელით გაგზავნილ წიგნებს: ქართული ენის შესახებ გამოკრებილ სხვადასხვა ავტორთა სტატიებს და „ვეფხისტყაოსანს“, ჩუბინაშვილისეული განმარტებებით. სწერს, რომ ასრულებს მუშაობას ქართულ-რუსულ ლექსიკონზე და შემდეგ აპირებს რუსულ-ქართული ლექსიკონის გადამუშავებას და ხელახლა გამოცემას. სთხოვს, ამ წერილისა და წიგნების მიმტანს, მის სიძეს, რომელსაც უკვე აქვს იჯარით აღებული გრიგოლ ორბელიანის კუთვნილი მიწები, უარი არ უთხრას სხვა მიწის ნაკვეთის იჯარით მიცემაზე.
- 1876 22 ოქტომბერი**
გრიგოლ ორბელიანის რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწული გიორგი პეტერბურგისკენ მიემგზავრებიან და გრიგოლს ძალიან უჭირს მათთან განშორება.
- 1876 26 ოქტომბრამდე**
იღებს რამაზ ანდრონიკაშვილის წერილს, რომელიც ახსენებს ძველ დროს და გრიგოლს ძალიან სიამოვნებს. იგებს, რომ ადრესანტი ეწევა მშვიდ ცხოვრებას და მისდევს მევენახეობას, მაგრამ უკმაყოფილოა არყის აქციზებზე დაწესებული ფასებით და ხელისუფლებასთან შუამდგომლობას სთხოვს ამ ფასების გადასახედად. გაზაფხულზე ეპატიჟება ვაჟის ქორწილში.

1876 26 ოქტომბერი

პოლიევქტოს კარბელაშვილის ხელით, საპასუხო წერილს უგზავნის რამაზ ანდრონიკაშვილს, მადლობას უხდის შეხმიანებისთვის და სთხოვს, ყურადღება მიაქცოს ბარათის მიმტან მცოდნე და გულისხმიერ ყმაწვილს, რომელიც მასწავლებლად არის განწესებული გურჯაანის სკოლაში. ჰპირდება, რომ, თუ შეძლებს, ადრესატის ვაჟის ქორწილში სიამოვნებით წავა, მაგრამ, თავისი უძღურების გამო, ექვევება. სთხოვს, დაწვრილებით მისწეროს, რამდენი ყურძნიდან რამდენი არაყი იხდება, რა ჯდება მუშახელი და სხვ., რომ შეძლოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან არყის მწარმოებელთა უკმაყოფილების ახსნა.

1876 23 ნოემბერი

წერილს უგზავნის საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს – მიტროპოლიტ ისიდორ ნიკოლსკის და სთხოვს, დაეხმაროს მიხეილ საბინინს, რომელსაც სურს ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ წიგნის გამოცემა. ადრესანტი განმარტავს, რომ ამ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმ ვითარებაში, როცა რუსეთი ცდილობს თურქეთის ბატონობისგან გაათავისუფლოს ადრე ქრისტიანებით დასახლებული მიწები.

1876 23 ნოემბერი

წერილს უგზავნის რუსეთის საიმპერატორო კარის კანცელარიის თანამშრომელს, პეტრე მორიცს, შეახსენებს, რა რთული გზა გაიარა საქართველომ ქრისტიანობის დასაცავად და სთხოვს, დაეხმაროს მიხეილ საბინინს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ არსებული გადმოცემებისა და წყაროების გამოცემაში. სწერს, რომ თურქეთთან გამწვავებული ვითარების პირობებში ამ წიგნის გამოქვეყნებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

1876 4 დეკემბერი

წერილს უგზავნის კავკასიის არმიის შტაბის უფროს პლატონ პავლოვს და სთხოვს, ღირსეული სპეციალისტის, გენერალ-მაიორ ანდრეი ვასილიევის, დასაქმებას.

1876 22 დეკემბერი

იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს პეტერბურგიდან და იგებს, რომ ადრესანტი საცხოვრებლად გადასულა ცარსკოე სელოში.

1876 22 დეკემბერი

თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს წერილის მიმტან, ილია ორბელიანთან ნამსახურებ მუსა ალას, რომელიც მასაც გამოადგება საქმეში. აცნობებს, რომ შემოჰყავთ კარგად აღჭურვილი ჯარები, კონსტანტინეპოლის კონფერენცია გაჭიანურდა, მაგრამ, მისი აზრით, ომი მაინც იქნება. საქართველოში 50 ყმაწვილი ვერ უპოვიათ, დიდ მთავარს რომ გააყოლონ საბრძოლველად. ისე ტანჯავს თავისი ქვეყნის ასე დაცემა, ფიქრობს, რომ ეს იქნება მისი სიკვდილის მიზეზი. გახარებულია, რომ ადრესატის მიღწევების შესახებ ძალიან კარგი ამბები მისდის.

- 1876 29 დეკემბერი**
წერილს უგზავნის თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარეს, ალექსანდრ ოგოლინს, და სთხოვს, დუშეთის მომრიგებელი მოსამართლის, კეთილსინდისიერი მოხელის, ალექსანდრე სავანელის, გადაყვანას საოლქო სასამართლოში არსებულ ვაკანსიაზე.
- 1876 30 დეკემბერი**
თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს. გახარებულია, რომ, რაც ადრესატი იქ გუბერნატორად დაინიშნა, ყოველი მხრიდან ესმის მისი ქება. ფიქრობს, ასეთი შეფასება გამოიწვია მისმა თავმდაბალმა, მზრუნველმა და კაცურმა დამოკიდებულებამ ხალხთან, რომელსაც წინა გუბერნატორი ანგარიშს არ უწევდა. თავის დროზე სწორედ ხალხისადმი გულისხმიერმა ქცევამ განაპირობა მიხეილ ვორონცოვის განდიდება საქართველოში. აცნობებს, რომ ირგვლივ ყველა სტამბოლის ამბებს ელოდება, მაგრამ ვერ შეიტყვეს, იქნება ომი თუ არა.
- 1877 3 იანვარი**
თბილისიდან დაღესტანში ახალგაზრდა მთიელის – იბრაიმ-ოღლის ხელით წერილს უგზავნის ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, თავისთან ამსახუროს ეს ჭკვიანი ვაჟკაცი. აინტერესებს, როგორ მოეწონა მანამდე მისთვის გაგზავნილი ფანა-ალა ვეჟილოვი. აცნობებს, რომ სტამბოლში უნდა გადაწყდეს პოლიტიკური საკითხი და ელჩები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში. სწერს, რომ ქართულ თეატრში იმართება წარმოდგენა „ქოროლი“, მაგრამ არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა ან რა გამოვა სპექტაკლიდან.
- 1877 3 იანვარი**
თბილისის ქართულ თეატრში ესწრება ზურაბ ანტონოვის დრამის – „ქოროლის“ წარმოდგენას.
- 1877 7 იანვარი**
წერილს უგზავნის თბილისის გუბერნატორ მაქსიმილიან ოსტენ-საკენს და შუამდგომლობს სამი პატიმრისთვის სასჯელის შესამსუბუქებლად. ორი მათგანის შესახებ სწერს, რომ ისინი უკვე 13 და 17 წლის განმავლობაში იხდიან სასჯელს, ფიზიკურად მძიმე მდგომარეობაში არიან და სასურველი იქნებოდა მათი განთავისუფლება, მესამე კი ახალგაზრდა კაცია, ილია ფალავანდიშვილი, რომელსაც პოლიციის პრისტავის შეურაცხყოფისთვის ციმბირში გადასახლება აქვს მისჯილი. გრიგოლ ორბელიანი სთხოვს ადრესატს, რომ გაითვალისწინონ ამ ყმაწვილის მამისა და პაპის დამსახურება თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში, ასევე, მისი ახალგაზრდული ასაკი და, გადასახლების ნაცვლად, მოქმედ არმიაში განაწესონ, სადაც შესაძლებლობა ექნება, სისხლით გამოისყიდოს დანაშაული. აქვე აღნიშნავს, რომ სხვა პატიმრების თხოვნები არადაამაჯერებლად მიიჩნია და შუამდგომლობას არ წერს.
- 1877 12 იანვრამდე**
პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომელიც ამშვიდებს და კარგ განწყობაზე აყენებს.

1877

12 იანვარი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ატყობინებს ახლობლების ამბებს. აინტერესებს, მიიღო თუ არა გიორგიმ ივანე ორბელიანის მეუღლის, სოფიო ერისთავ-ორბელიანის, გაგზავნილი დაღესტნური პერანგის ბალთები; ხომ არ გადაუფიქრებია გიორგის აკადემიაში ჩაბარება და, თუ ემზადება გამოცდებისთვის. ატყობინებს მისი დის, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძის, ქალიშვილების ამბებს. სწერს, რომ ელენეს ჩვილი დაეღუპა, სხვები კი კარგად არიან. თბილისი ძალიან გამოცოცხლებულია ომის დაწყების გამო. სულ ჯარების მისვლა-მოსვლაა. მალაკნები სახალხო მილიციაში ეწერებიან, მათი ცოლები კი – მოწყალების დეზად.

1877

12 იანვარი

წერილს უგზავნის კავკასიის ჯარების საოლქო შტაბის უფროს პლატონ პავლოვს და შეახსენებს, რომ ადრე მიმართა მას თხოვნით გენერალური შტაბის პოლკოვნიკის, ბუტურლინის, კავკასიის მოქმედ არმიაში გადაყვანასთან დაკავშირებით და მოეჩვენა, რომ ადრესატი არ იყო წინააღმდეგი. ამჯერადაც უგზავნის მის მიმართვას და სთხოვს, უშუამდგომლოს მთავარსარდლის წინაშე, რომ ის მოქმედ არმიაში გადაიყვანონ.

1877

13 იანვრამდე

წერილს იღებს გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისგან, რომელიც აპირებს დიმიტრი მირსკისთან სტუმრად წასვლას და აინტერესებს, გრიგოლ ორბელიანიც მივა თუ არა.

1877

14 იანვარი

წმინდანინოს დღესასწაულის აღსანიშნავ სადილზე კავკასიის მეფისნაცვლის – მიხეილ რომანოვისგან იღებს, რომ პარიზში გარდაიცვალა მისი მეგობარი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი. გრიგოლ ორბელიანი ხმას ვერ იღებს, ვერაფერს ამბობს და მაშინვე მიდის ჯერ სერგეი ტრუბეცკოისთან, შემდეგ გრიგოლ დადიანთან და პელაგია დადიან-ვიტგენშტეინისასთან და ერთად მიდიან ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახლში, რომ შვილის გარდაცვალება შეატყობინონ.

1877

21 იანვარი

თბილისის გიმნაზიის ტაძარში ესწრება პარიზში მოულოდნელად გარდაცვლილი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.

1877

21 იანვარი

თავისი ყოფილი თანამებრძოლის, პეტრე კოპეიშვილის, ხელით წერილს უგზავნის ნესტორ წერეთელს, უყვება საერთო ახლობლების ამბებს, მოიკითხავს ადრესატის ოჯახს და სთხოვს ბარათის მიმტანისადმი ყურადღების გამოჩენას.

1877

26 იანვრამდე

სადილად არის ალექსეი და ბარბარე ოპოჩინინებთან, სადაც გაცილებას უწყობენ გენერალ ალექსანდრე შახოვსკის, რომელიც რუსეთში გადაჰყავთ კორპუსის მეთაურად. სვამენ 13 წლის დაძველებულ კახურ ღვინოს და ძალიან მოსწონთ.

- 1877 26 იანვრამდე**
ხარკოვში მოკითხვის წერილს უგზავნის ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის ქვრივის, ევდოკია სომოვას, ოჯახს. საპასუხო წერილიდან იგებს, რომ ევდოკიას მეორედ გათხოვების შემდეგ მისი და ალექსანდრეს ქალიშვილი – მარია ორბელიანი ბებეასთან, მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვასთან, იზრდება. გრიგოლ ორბელიანი წერილთან ერთად იღებს გოგონას ფოტოსაც. სიყვარულით ათვალიერებს მის სახეს და ფიქრობს, რომ ძალიან ჰგავს მამას.
- 1877 26 იანვარი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ატყობინებს ნათესავებისა და ახლობლების ამბებს. უყვება, რომ პარიზიდან ჩამოვიდა სალომე დადიანი მეუღლესთან, აშილ მიურატთან, და ორ არაჩვეულებრივ ვაჟთან ერთად და ეკატერინე ძალიან გახარებულია.
- 1877 8 თებერვლამდე**
თბილისელ ფოტოგრაფ ვლადიმერ ბარკანოვთან იღებს ინდივიდუალურ, სალონურ ფოტოს.
- 1877 8 თებერვალი**
თბილისიდან ხარკოვში წერილს უგზავნის თავისი გარდაცვლილი ნათესავის, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის ქალიშვილს, მარია ორბელიანს. დიდ მადლობას უხდის თავისი ფოტოს გაგზავნისთვის და საკუთარსაც უგზავნის. სწერს, რომ მართალია, თავზე ცოტა თმა აქვს და წვერიც თეთრი, მაგრამ ძალიან უყვარს თავისი პატარა ნათესავი და მისთვის ლოცულობს. ატყობინებს, რომ ადრესატის მამის ახლობლები კარგად არიან.
- 1877 16 თებერვალი**
მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ესწრება გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის დაკრძალვას.
- 1877 17 თებერვალი**
წერს ელიზავეტოპოლის გუბერნატორ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისთვის გასაგზავნ წერილს. უყვება გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის დაკრძალვის შესახებ. გული სწყდება, რომ ქართველთა ერთ ნაწილს იგი ქვეყნის მტერი ეგონა. წერილი გაუგზავნელი რჩება.
- 1877 18 თებერვალი**
მეფისნაცვლის სასახლის ეკლესიაში ესწრება 1855 წლის 18 თებერვალს გარდაცვლილ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.
- 1877 19 თებერვალი**
უნდა, რომ დაესწროს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის აღსაყდრების 22-ე წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო წირვას, მაგრამ ფეხზე დგომა უჭირს და ვერ მიდის.

- 1877 19 თებერვალი**
მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სასახლეში ესწრება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის აღსაყდრების 22-ე წლისთავის აღსანიშნავ წვეულებას.
- 1877 19 თებერვალი**
აგრძელებს ელიზავეტოპოლის გუბერნატორ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისთვის გასაგზავნი წერილის წერას. უყვება თბილისის ამბებს და თავის მოსაზრებებს მოსალოდნელი ომის შესახებ.
- 1877 19 თებერვალი**
სალამო ხანს მიდის ალექსეი ოპოჩინინთან, რომელთანაც რამდენიმე კაცი იკრიბება ბოსტონის სათამაშოდ.
- 1877 8 მარტი**
წერილს უგზავნის ზაქათალის ოლქის უფროსს, უყვება წმინდა გიორგის ორდენის კავალერის ალი ჰუსეინ კეისერუხელის, დამსახურებების შესახებ და სთხოვს მის დახმარებას.
- 1877 21 მარტამდე**
ოფიცერ ბუტურლინის ხელით იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დის – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მიერ მისთვის გაგზავნილ ფოტოს და წერილს.
- 1877 21 მარტი**
თავის სურათთან ერთად თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას, დას – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას და აცნობებს, რომ მისი პროტეჟე – ბუტურლინი უკვე გადაიყვანა კავკასიის არმიაში და ეს უკანასკნელი ემზადება ალექსანდროპოლში ჩასასვლელად. სწერს, რომ სიამოვნებით აღასრულა ეს თხოვნა, რადგან თან ადრესატს ასიამოვნა და თან კავკასიის არმიას შემატა ერთი კარგი ოფიცერი. დიდი პატივისცემით მოიკითხავს ადრესატის დედას და დებს.
- 1877 5 აპრილი**
იღებს ძმისწულის, გიორგი ორბელიანის, მიერ პეტერბურგიდან თბილისში გაგზავნილ დეპეშას, რომლითაც სთხოვს, სასწრაფოდ უშოვოს ღონიერი და სწრაფად მორბენალი ცხენი.

- 1877 5 აპრილი**
წერილს უგზავნის ელიზავეტოპოლის გუბერნატორს, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს, და სთხოვს ძმისწულის – გიორგი ორბელიანისთვის 300-400 მანეთად კარგი ცხენის შოვნას. მწუხარებით აცნობებს, რომ გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის ცოლი – მარიამ წერეთელი სრულ სიდატაკეში გარდაიცვალა და ასეთი ბედი მოელის ბევრ მათს ნაცნობსა და ნათესავს. ფიქრობს, ომი გარდაუვალია, მაგრამ ევროპა რუსების გამო არ ააოხრებს ოსმალეთსა და ავსტრიას. ამიტომ რუსეთს ომი კი არ უნდა სურდეს, არამედ – შიდა საქმეების კარგად მოწყობა, სწავლის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება. ატყობინებს, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი წავიდა ჯარების გასასინჯად ალექსანდროპოლში. დამეები არ სძინავს, ისე წუხს, რომ, სადაც კი თოფს ისვრიან, მუდამ საბრალო საქართველოს ხვდება.
- 1877 7 აპრილამდე**
წერს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში“.
- 1877 7 აპრილი**
გაზეთ „ივერიაში“ „ქსნისხეველის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში“.
- 1877 14 აპრილამდე**
წერს ლექსს „მუშა ბოქულაძე“.
- 1877 14 აპრილი**
გაზეთ „ივერიაში“ „ქსნისხეველის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „მუშა ბოქულაძე“.
- 1877 20 აპრილი**
წერილს უგზავნის ყუბანისა და შავიზღვისპირა ჯარების კორპუსის სარდალს, ნიკოლოზ კარმალინს, აღუწერს ყუბანის ჯარების პოლკოვნიკ ფელიქს კრიუკოვის დამსახურებებს და სთხოვს მის წარდგენას გენერალ-მაიორის წოდებაზე. უყვება სამხედრო წრეებში არსებულ სიახლეებზე და უზიარებს თავის აზრებს თურქეთთან ომის შესახებ.
- 1877 9 მაისი**
თბილისიდან ოზურგეთში წერილს უგზავნის ქუთაისის გუბერნიის ჯარების სარდალს, ივან ოკლობჟიოს, უზიარებს თავის აზრებს მიმდინარე ომის შესახებ და უყვება ნათესავების ამბებს.
- 1877 14 მაისი**
წერილს უგზავნის კავკასიის არმიის შტაბის უფროსს – პლატონ პავლოვს და წარსულში სანაქებო სამსახურის გამო მის წინაშე რეკომენდაციას უწევს გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ვასილიევს. სთხოვს, ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში დააწინაუროს.

- 1877 15 მაისი**
თავის ქალღალდეებში აღმოაჩენს დავით ჩუბინაშვილის მიერ 1876 წლის 17 ოქტომბერს მისთვის გაგზავნილ წერილს, ხვდება, რომ პასუხი არ მიუწერია და ბარათზე აკეთებს მინაწერს, რომ ავადმყოფობისა და უძლურების გამო დავით ჩუბინაშვილს პასუხი ვერ მისწერა და „პირშავად“ დარჩა მასთან.
- 1877 18 მაისამდე**
ესწრება თბილისის ბაღ „სანსუსში“ ქალბატონების მიერ მეომრების ომში გასაცილებლად გამართულ ვახშამს, საზანდრებით, მომღერლებითა და მშვენიერი ლეკურით. არაჩვეულებრივ პატრიოტულ სადღეგრძელოს ამბობს მისი ბიძაშვილის შვილის – გიგო ორბელიანის მეუღლე, პოეტი და მსახიობი ნინო აბაშიძე-ორბელიანისა. წვიმიანი საღამოა, მაგრამ სამ საათამდე მაინც არ იშლებიან.
- 1877 18 მაისი**
თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს. აცნობებს არტაანის ალების ამბავს, რაც დიდად არ ესიამოვნებოდა სტამბოლსა და ლონდონს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა კომპეზურად იზეიმა ყარსთან რუსებზე გამარჯვება. სწერს, რომ ქართველი თავადები წავიდნენ ალექსანდროპოლში საბრძოლველად და ქალბატონებმა მათ სანსუსის ბაღში არაჩვეულებრივი გაცილება მოუწყვეს. ატყობინებს, რომ სოხუმში შესულ ოსმალებს, აფხაზები მაშინვე მიემხრნენ.
- 1877 21 ივნისი**
ჩადის სურამში მოსკოვის თავადაზნაურობის ინიციატივით მოწყობილი ლაზარეთის სანახავად.
- 1877 22 ივნისი**
თბილისიდან ალექსანდროპოლში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის მეუღლეს – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისას. აცნობებს, რომ ინახულა სურამის ლაზარეთი და ძალიან კმაყოფილია. დაჭრილების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ნამდვილად სანდო ხელშია. დიდ პატივისცემასა და მოკითხვას გადასცემს ალექსანდრე საგინაშვილისგან.
- 1877 25 ივნისი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროს დიმიტრი სტაროსელსკის და უზიარებს თავის აზრს არსებულ პოლიტიკურ და საომარ ვითარებასთან დაკავშირებით.
- 1877 26 ივნისი**
თბილისიდან ოზურგეთში წერილს უგზავნის ივან ოკლობჯიოს, ულოცავს ციხისძირში მოპოვებულ გამარჯვებას და მსჯელობს ომის მსვლელობაზე. სწერს, რომ ციხისძირი ის ადგილია, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთის ციხედ არის წარმოჩენილი. მოსწონს, რომ იქაური მოსახლეობა, რწმენის გამოცვლის მიუხედავად, სულით და გულით ქართველებად დარჩა.

1877 30 ივნისი
გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს ლექსს „ხმა ლოპიანას საფლავიდან“.

1877 15 ივლისი
შეიტყობს, რომ მისი ძმისწული გიორგი ორბელიანი ავად არის ან დაჭრილია. იმხანად მასთან მყოფ რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უნდა, რომ შვილთან წავიდეს ალექსანდროპოლში. ამიტომ, გრიგოლს ის თბილისში ჩაჰყავს და ამგზავრებს. ამის შემდეგ უამრავ დეპეშას გზავნის ალექსანდროპოლში გიორგის მეთაურთან, მაზრის უფროსთან და ექიმებთან, რომ გაიგოს მისი მდგომარეობა, მაგრამ პასუხს ვერ იღებს.

1877 16 ივლისი
თბილისიდან ბრუნდება წავკისში და წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის. სწერს, რომ თბილისის ჰოსპიტალში 70 დაჭრილზე მხოლოდ ერთი ექიმი და ამდენივე მედდა ჰყავთ და სთხოვს მათი რაოდენობის გაზრდას. ასევე, ატყობინებს ჰოსპიტალში წყლის გაფილტვრასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. ბოლოს უყვება, რომ ვერაფრით იგებს თავისი ძმისწულის ამბავს და ეკითხება, მან ხომ არაფერი იცის.

1877 23 ივლისი
მოსკოვიდან იღებს ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიას დეპეშას. თავისი გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, სიდედრი სთხოვს, რომ მისმა ქალიშვილმა, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისამ, და გრიგოლმა მისი შვილიშვილი გიორგი ორბელიანი ომს გამოარიდონ და თბილისში დააბრუნონ.

1877 23 ივლისი
წითელი ჯვრის საქმეებთან დაკავშირებით იმყოფება თბილისში, იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ ალექსანდროპოლიდან გაგზავნილ წერილს და იგებს, რომ მისი ვაჟი გიორგი კარგად არის.

1877 24 ივლისი
წავკისიდან წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, ატყობინებს სიახლეებს ნათესავებისა და ახლობლების შესახებ და აცნობებს, რომ მისმა ვაჟმა გიორგიმ კარვის საშოვნელად მიმართოს კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელს.

1877 არა უგვიანეს 27 ივლისი
მოკლე წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და სთხოვს, ინახულოს, რადგან ახალ-ახალი ამბები აქვს მისთვის სათქმელი. როგორც ჩანს, წერილის წერის დროს მასთან არის ადრესატის დის, ეკატერინეს, შვილიშვილი, ანასტასია რევაზის ასული ერისთავი, რადგან ბარათზე ისიც აკეთებს მინაწერს.

- 1877 29 ივლისი**
წავკისიდან წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის. სწერს, რომ ვერსაიდან იგებს ახალ ამბებს ომის მსვლელობის შესახებ და სთხოვს, მოკლედ მაინც შეატყობინოს, რა ხდება და რა გეგმები აქვთ.
- 1877 1 აგვისტო**
წავკისში ყაფლან ორბელიანის წერილთან ერთად იღებს მისი ცოლის – ელენეს მიერ კოდიდან გაგზავნილ ნაზუქებს.
- 1877 1 აგვისტო**
წავკისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს, რომელსაც ემადლიერება ბარათისა და მისი მეუღლის მიერ გაგზავნილი ნაზუქებისთვის. უყვება წავკისის ამბებს.
- 1877 7 აპრილი - 12 აგვისტო**
ეკატერინე ჭავჭავაძე და სალომე დადიანი-მიურატისა გაზეთ „ივერიაში“ კითხულობენ „ქნისხეველის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელიც ორივეს ძალიან მოსწონს.
- 1877 12 აგვისტომდე**
იღებს სალომე დადიანი-მიურატისგან ქართულად დაწერილ წერილს, რომელშიც ახსენებს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. იმ ფაქტის გამო, რომ სალომემ უკვე დაიწყო ქართულად წერა, ადრესატი იმდენად გახარებულია, რომ ბარათს მრავალჯერ კითხულობს.
- 1877 12 აგვისტომდე**
სადამოობით გადადის თავის ბიძაშვილთან, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოსთან, და პასიანსს შლიან იმის გამოსაცნობად, დაამარცხებენ თუ არა თურქეთის არმიას და მის სარდალს, მუხტარ-ფაშას. ყოველ ჯერზე უარყოფითი პასუხი ამოდის და ბრაზდებიან.
- 1877 12 აგვისტო**
ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ავტოგრაფთან ერთად გორდში წერილს უგზავნის სალომე დადიან-მიურატისას. უაღრესად გახარებულია იმით, რომ მან სერიოზულად მიჰყო ხელი ქართულის სწავლას, უწონებს ამ ძალისხმევას და უხსნის, რაოდენ მნიშვნელოვანია ენა ერის ისტორიისათვის. სწერს, რომ ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მას ეკუთვნის, გამოქვეყნებამდე ცენზურამ ცოტა შეამოკლა და ამიტომ უგზავნის ავტოგრაფს, რომ სრული სახით წაიკითხოს. სწერს, რომ მისი ძმისწული, ლეიბგვარდიის პორუჩიკი გიორგი ორბელიანი, ასეულის მეთაურია და ცეცხლის ხაზზე იმყოფება; დედამისი ალექსანდროპოლშია და იმით იმშვიდებს თავს, რომ შვილთან ახლოს არის. წერილის ბოლოს სთხოვს, მისწეროს მისი შვილების სახელები და გაუგზავნოს ფოტოები; დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიკითხავს ადრესატის დედას – ეკატერინე ჭავჭავაძეს და ბიძას, კონსტანტინე დადიანს.

- 1877 არა უგვიანეს 4 სექტემბერი**
 თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს. სწერს, რომ მშვიდობით ჩავიდა თბილისში და მასთან არიან ალექსანდრე ონიკაშვილი და ბიძაშვილის – კონსტანტინე ორბელიანის შვილები: ანასტასია, იოსები და გრიგოლი.
- 1877 7 სექტემბერი**
 კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან საუბრობს თბილისიდან ვლადიკავკაზში დაჭრილების გადაყვანის შესახებ.
- 1877 8 სექტემბერი**
 წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის, და აცნობებს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ნებას, რომ თბილისიდან ვლადიკავკაზში დაჭრილების გადაყვანისას ყოველთვის მოახსენონ, მათი დიაგნოზის შესახებ. სასურველია, არ გადაიყვანონ ისინი, რომლებიც გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ სამხედრო რიგებში უნდა დაბრუნდნენ.
- 1877 25 სექტემბრამდე**
 იმყოფება თბილისში და იღებს ლევან მელიქიშვილის მიერ დაღესტნიდან გაგზავნილ წერილს, რომლითაც იგებს, რომ ომის გამო მთელი დაღესტანი აჯანყებულია და ადრესანტი ელის დამატებით ჯარს მათ დასამშვიდებლად.
- 1877 25 სექტემბერი**
 წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნუხის გამგებელს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს. არ იცის, იმჟამად სად იმყოფება, მაგრამ იმედოვნებს, რომ მისი წერილი ყველგან იპოვის. დარდობს, რომ საშინელი ომის გამო მთლიანად აიშალა დაღესტანი და კახეთის ასაკლებად იგზავნება რაზმები. სწერს, რომ ლეკეთის ხაზის მეთაურად დაინიშნა იოსებ ორბელიანი და მისი დიდი იმედი აქვს. საბუეში, შილდაში, ყვარელში, თუმხევსურეთში, ლაგოდეხში, საცხენისში დგანან მილიციისა და სამხედრო რაზმები. განიცდის დაღესტნის არეულობას, რომელიც ლევან მელიქიშვილის წერილით შეიტყო. ურჩევს, დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს თავისი გუბერნიისთვის, რადგან ის ჭარს ესაზღვრება და მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს დროულად სთხოვოს დამატებითი ძალები.
- 1877 2-3 ოქტომბერი**
 ავლიარისა და ალაჯინის მთებზე რუსეთის არმია ამარცხებს თურქეთისას. თბილისში რეკავენ ეკლესიის ზარებს, ხალხი გამოდის ქუჩაში, იხდიან სამადლობელ პარაკლისსა და ზეიმობენ.
- 1877 4 ოქტომბერი**
 შვილის, მიხეილ მიხეილის ძე რომანოვის, დაბადების დღეს და რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას დეპეშით ულოცავს მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეს, ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისას.

- 1877 4 ოქტომბერი**
 კარაილის მთასთან რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას დეპეშით ულოცავს კავკასიის ჯარების მთავარსარდალსა და მეფისნაცვალს, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს.
- 1877 4 ოქტომბერი**
 კარაილის მთასთან რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას დეპეშით ულოცავს კავკასიის ჯარების მთავარსარდალს, მიხეილ რომანოვის, თანაშემწეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის.
- 1877 4 ოქტომბერი**
 კარაილის მთასთან რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას დეპეშით ულოცავს მცირე აზიაში თურქების წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფების სარდალს, მიხეილ ლორის-მელიქოვს და სწერს, რომ მუხტარ-ფაშას დამარცხების ამბავმა თბილისი გამოაცოცხლა.
- 1877 8 ოქტომბრამდე**
 თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უგზავნის 300 მანეთს, თავის ძმისწულ გიორგის კი – ხმალს, ხანჯალსა და რევოლვერს.
- 1877 8 ოქტომბერი**
 თბილისიდან ალექსანდროპოლში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სთხოვს, გაითვალისწინოს, რომ მალე დაზამთრდება, გზები გაფუჭდება და უფრო გაუჭირდება თბილისში ჩასვლა. თავისი იქ ყოფნით გიორგის მაინც ვერ ეხმარება და საკუთარ ჯანმრთელობას კი ვნებს. ამიტომ, ურჩევს თბილისში გადასვლას და თავისი შვილისთვის ლოცვას. ულოცავს რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას; ატყობინებს ნათესავებისა და ახლობლების ამბებს.
- 1877 აგვისტო - 12 ოქტომბრამდე**
 რეგულარულად ეხმიანება ალექსანდროპოლში ცეცხლის ხაზთან ახლოს მყოფ თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, რომელიც ყოველდღიურად იგებს შვილის ამბავს და ეკითხება, როგორ არის გიორგი. ბარბარე პასუხობს, რომ ცოცხალია, მაგრამ არ იცის, იმ დღეს რა მოხდება. ასეთ დამაბულობაში ატარებს დღეებს და თვეებს.
- 1877 12 ოქტომბრამდე**
 სალომე დადიანი-მიურატისა, გრიგოლ ორბელიანის თხოვნით, წერილთან ერთად უგზავნის მას თავისი ქმარ-შვილის ფოტოებს.

1877

12 ოქტომბერი

თავის ფოტოსთან ერთად ზუგდიდში წერილს უგზავნის სალომე დადიან-მიურატისას და უხსნის, რატომ დაუგვიანა საპასუხო ბარათის გაგზავნა. სწერს, რომ მას ერთადერთ იმედად დარჩა თავისი ძმისწული, გიორგი ორბელიანი, რომელიც ფრონტის ხაზზე იყო და ყოველდღე სიკვდილის პირისპირ იდგა. ამის გამო გრიგოლი სხვაზე ვედარაფერზე ფიქრობდა. ახლა ფრონტის ხაზზე უკეთესი მდგომარეობაა, მუხტარ-ფაშა გაიქცა, ყარსი ალყაშია და თურქები საგრძნობლად დასუსტდნენ. სწერს, რომ თბილისში მოიყვანეს ოსმალების 7 დატყვევებული ფაშა და მალე სხვა ტყვეებსაც შემოიყვანენ. აცნობებს, რომ მის ძმას, ანდრეას, შვენის საბრძოლო შემართება. მოიკითხავს ადრესატის ქმარ-შვილს და დედას, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას.

1877

5 ნოემბერი

თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს და საყვედურობს, რომ დააგვიანა კოჯრიდან ქალაქში ჩასვლა. მარტო დარჩენილი მოწყენილია და წუხს, რომ ორბელიანების ქუჩაზე უცხოები სახლდებიან. აცნობებს ლევან მელიქიშვილისა და ნიკოლოზ ჭავჭავაძის წარმატებების შესახებ ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე გააქტიურდნენ.

1877

17 დეკემბერი

წერილს უგზავნის თბილისის გუბერნატორს, მაქსიმილიან ოსტენ-საკენს, აცნობებს, რომ მის სახელზე წარდგენილია თბილისის პოლიციის უფროსის თხოვნა თბილისის გუბერნიის საპატიმროების ზედამხედველი კომიტეტის თანამშრომლის, 35 წლის ნამსახურებ ალექსანდრ ნაუმენკოს წარდგენაზე მიწით დასაჯილდოებლად. სთხოვს, გაითვალისწინოს ამ პირის დამსახურებები, ცხრაშვილიანი ოჯახის საჭიროებები და მსვლელობა მისცეს განცხადებას.

1877

22 დეკემბერი

თბილისიდან დედოფლისწყაროში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ალაზნის ჯარების სარდალს, იოსებ ორბელიანს. სწერს სამხედრო პირთა გადაადგილებების შესახებ სხვადასხვა თანამდებობაზე. წუხს, რომ მოდაში შემოვიდა ყველაფრის კრიტიკა და, ვის საომარ ქმედებასაც გუშინ ხოტბას ასხამდნენ, დღეს აკრიტიკებენ. უყვება ნათესავების ამბებს და უსურვებს წარმატებას.

1877

27 დეკემბერი

იღებს რევაზ შალვას ძე ერისთავის დეპეშას, რომლიდანაც იგებს ადრესანტის დედისა და თავისი ბიძაშვილის – ეკატერინე ორბელიან-ერისთავის გარდაცვალებას.

1877

28 დეკემბერი

თბილისიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – რევაზ შალვას ძე ერისთავს და უსამძიმრებს დედის გარდაცვალებას. სწერს, რომ ცრემლებს ვერ იმაგრებს, არადა გარდაცვლილის ძმის, ყაფლანის, მისვლას ელოდება და არ უნდა, უცებ შეაშინოს.

1878

1 იანვარი

დიმიტრი ჯორჯაძეს წერილით ულოცავს ახალ წელს და ხელმწიფის წყალობას – საიდუმლო მრჩევლად დანიშნვას.

- 1878 30 იანვარი**
 მის სახლში იკრიბებიან ილია ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე საგინაშვილი და სხვა პირები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდების პროექტის განსახილველად და ტექსტს ამზადებენ მთავრობისთვის წარსადგენად.
- 1878 7 თებერვლამდე**
 მისი ძმისწული გიორგი ორბელიანი რუსეთ-თურქეთის ომში იჭრება, კონტუზიას იღებს და გამოსამჯობინებლად ჩადის საქართველოში. აქვეა მისი დედაც – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა. გრიგოლ ორბელიანი ბედნიერია, რომ ეს უახლოესი ადამიანები თავისთან ჰყავს და არ უნდა, რომ გიორგი ზავის დადებამდე გაუშვას.
- 1878 7-8 თებერვალი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს. აცნობებს ქალაქისა და რუსეთ-ოსმალეთის ომის ამბებს. წუხს, რომ ყინვისგან გზის ჩაკეტვის გამო ერზრუმის გარშემო მდგარ ჯარს ტანსაცმელი და სანოვავე ვერ მიეწოდა, რომ სახადია მოდებული და ექიმები არ ჰყავთ. ფიქრობს, დიდი შეცდომა იყო ციხისძირზე იერიშის მიტანა და ამდენი ჯარისკაცის დაკარგვა, რადგან ეს ადგილი მხოლოდ მიუვალი კლდეა ზღვის ნაპირზე. წერს, რომ არც ერთ დროს საქართველო, განსაკუთრებით კი ორბელიანების გვარი, არ ყოფილა ასე გაუბედურებული. მტრისგან აოხრებულ სახლ-კარს აშენებდნენ და მომავალში უკეთესობას მოელოდნენ, ახლა კი აშენებული სახლებიდან ერეკებიან და ფეხქვეშ მიწა ეცლებათ. იყიდება მანანა ორბელიანის, დავით ჭავჭავაძისა და სხვათა სახლ-კარი; იყიდება მთლიანად საქართველო და ცოტა ხანში მას სომხები და ეპატრონებიან. სთხოვს, მოახსენოს დიდ მთავარს, რომ ქვეყანას გადასარჩენად ორი მილიონი უწყალობოს. რუსეთის იმპერატორებმა გამოიხსნეს საქართველო მაჰმადიანებისგან და ახლა არ უნდა დალუპონ. იცის, რომ ომს დიდი ხარჯი სჭირდება, მაგრამ, თუ დროულად არ უშველეს, საქართველო საფლავიდან ვეღარ აღდგება. ურჩევს, დაბრუნდეს თბილისში და ნათესავებს მიხედოს.
- 1878 არა უგვიანეს 25 თებერვალი**
 წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ნათესავი ქალები, განსაკუთრებით კი ადრესატის და სოფიო, მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევენ.
- 1878 27 თებერვლამდე**
 ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისა და თამარ ჭავჭავაძეს შეეძინათ ვაჟი და მათი თხოვნით გრიგოლ ორბელიანი ნათლავს.
- 1878 27 თებერვალი**
 თბილისიდან ოზურგეთში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს. გახარებულია, რომ მისი მეუღლე მომჯობინდა. უამბობს ახლობლების ამბებს. ურჩევს, თბილისში დაბრუნდნენ, რადგან მის მეუღლეს არ უხდება არც ოზურგეთისა და არც ქუთაისის ჰავა.

- 1878 არა უგვიანეს 21 მარტი**
მოკლე წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და თავის მოურავს, გეუა ოჰანაშვილს, მისი პირით უთვლის, რომ ბაღი შემოღობოს და თივა ჩამოზიდოს.
- 1878 27 მარტამდე**
პეტერბურგიდან იღებს ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, მიერ 12 მარტს გამოგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს მისი ავადმყოფობის ამბავს.
- 1878 27 მარტამდე**
კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ რომანოვს, პეტერბურგში გამგზავრებამდე ერთხელ კიდევ შეახსენებს საქართველოს თავადაზნაურობის თხოვნას „პრიკაზის“ სამი მილიონი ვალის პატიების შესახებ.
- 1878 27 მარტამდე**
კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, თანხმობით, ორბელიანთა მრავალწლიანი დავა ხაზინასთან საჰყალტუთანის მიწებთან დაკავშირებით განსახილველად გადაეცემა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს.
- 1878 27 მარტი**
დედოფლისწყაროდან იღებს ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, წერილს და იგებს, რომ კარგად არის.
- 1878 27 მარტი**
თბილისიდან პეტერბურგში საპასუხო წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს; სწერს, რომ მისი ავადმყოფობის მიზეზი პეტერბურგის საშინელი ჰავაა და ურჩევს სამშობლოში დაბრუნებას. აცნობებს, რომ პეტერბურგში წასული კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ქართველი თავადაზნაურების ვალებთან დაკავშირებით შეიძლება დაელაპარაკოს თავის ძმას, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს, რისთვისაც თბილისიდან მალე გაუგზავნიან შესაბამის საბუთებს. სწერს, რომ დოკუმენტების გაგზავნის შემდეგ მასაც შეატყობინებს და, თავის მხრივ, ყოველმხრივ უნდა იზრუნოს, რომ ფინანსთა მინისტრმა არ შეუშალოს ხელი მათი თხოვნის დაკმაყოფილებას.
- 1878 7 აპრილი**
თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს მისი ყოფილი ნაცნობი ყადის შვილიშვილს – ახალგაზრდა აბდულ სალამბეგ ყაზიევს. აცნობებს, რომ თბილისში ჩავიდა გრაფი მიხეილ ლორის-მელიქოვი, რომელიც დიდი პატივით მიიღეს. ეჭვობს, რომ პოლიტიკის ამბები კვლავ ომიანობას მოასწავებს, მაგრამ, რუსეთსა და ინგლისს შორის განხეთქილების შემთხვევაში, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი პეტერბურგიდან არ წამოვიდოდა თბილისში, სადაც ყაენს უნდა დახვდეს. ურჩევს, ნუხის ტუსადები გაათავისუფლოს და არ გააციმბიროს. მტრის შემოშვება მათ ბრალად არ უნდა დაედოთ, რადგან რუსეთის ჯარი არ დაეხმარა.

- 1878 28 აპრილი**
 თბილისიდან ყარსში წერილს უგზავნის გენერალ ივან ლაზარევს და სთხოვს, კეთილგანწყობა გამოიჩინოს გენერალ პავლე კრავჩენკოს მიმართ, რომელსაც სოხუმის დაცვის დროს შეცდომების დაშვებაში სდებენ ბრალს და აკრიტიკებენ. სწერს, რომ იგი ჩინებული სამხედრო პირია და ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. ასევე, სთხოვს, პროპორციის წოდებაზე წარადგინოს სოლომონ ანდრონიკაშვილი, რომელიც უკვე წარდგენილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბუთები დაიკარგა.
- 1878 2 მაისი**
 ქალაქის წარჩინებულ საზოგადოებასთან ერთად ხვდება თბილისში ვიზიტად მყოფ ირანის შაჰს, ნასერ-ად-დინ ყაჯარს.
- 1878 3 მაისი**
 ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ ყაჯართან ერთად თეატრის ლოჟიდან უყურებს ოპერეტას „მშვენიერი გალატეი“.
- 1878 4 მაისი**
 თბილისიდან აცილებს ირანის შაჰს, ნასერ-ად-დინ ყაჯარს.
- 1878 6 მაისი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს. აცნობებს, რომ ირანის შაჰი ნასერ-ად-დინი ორი დღით ესტუმრა თბილისს, მოიწონა მთაწმინდა, სოლოლაკი, ნარიყალა, გოლოვინის პროსპექტი და, განსაკუთრებით, ხალხის დახვედრა. შაჰმა მადლობა გადაუხადა ჯარს ოსმალების წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლისთვის. გრიგოლი სწერს, რომ რუსეთი ისეთ დღეში აღმოჩნდა, მრავალი წელი ვედარ წამოდგება ფეხზე. ფიქრობს, ასეთ მსხვერპლად რუსებისთვის არ ღირდა ბათუმიც კი, რადგან მათ ვაჭრობისთვის სხვა საპორტო ქალაქებიც აქვთ.
- 1878 10 მაისი**
 თბილისიდან ელიზავეტოპოლში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს, და უყვება ირანის შაჰის სტუმრობის შესახებ. აფასებს პოლიტიკურ ვითარებასა და ბათუმის საკითხს. სწერს, რომ რძალი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟი გიორგი ჯერ კიდევ მასთან არიან.
- 1878 12 მაისი**
 გენერალ ივან ლაზარევს თბილისიდან უგზავნის წერილს მისივე ვაჟის ხელით. სწერს, რომ ძალიან ასიამოვნა მისმა გაცნობამ და ულოცავს ასეთი შვილის ყოლას. აცნობს სიახლეებს საერთო ნაცნობების შესახებ და უსურვებს წარმატებას.
- 1878 20 მაისამდე**
 ყარსიდან იღებს გენერალ ივან ლაზარევს თბილ და კეთილგანწყობილ წერილს.

1878

20 მაისი

თბილისიდან ყარსში იუნკერ ანდრონიკაშვილის ხელით საპასუხო წერილს უგზავნის გენერალ ივან ლაზარევს, უყვება პეტერბურგში ირანის შაჰის ვიზიტის ამბებს და უზიარებს თავის მოსაზრებებს ახალდასრულებული ომის შესახებ.

1878

10 ივნისამდე

იღებს თავისი ბიძაშვილის შვილის, იოსებ ორბელიანის დეკემას, რომლიდანაც იგებს მაჩხაანში მომხდარი გაუგებრობის შესახებ. მამასახლისს ადგილობრივი მოსახლეობისთვის გამოუცხადებია, რომ სახალხო მილიციისთვის ხალხი უნდა შეეგროვებინა. გლეხებს ჰგონებიათ, რომ ჯარისკაცებად წერდნენ და მოუთხოვიათ საბუთის ჩვენება, სადაც ეწერებოდა, რამდენი კაცი უნდა შეეგროვებინათ კენჭისყრით. მამასახლისს ბრძანება არ უჩვენებია, მათ ეჭვი შეუტანიათ, რომ ის იმაზე მეტ ხალხს აგროვებდა, ვიდრე ნაბრძანები ჰქონდა და მერე ამ სიიდან ამოშლაში ფულს მოსთხოვდა. ამიტომ მასაც და მასთან ერთად მყოფ მოსამართლეებსაც, სცემეს. შემდეგ მაზრის უფროსს უნდოდა იოსებ ორბელიანის ნახვა, რომ მისი ჯარის ნაწილები გამოეყენებინა ამბოხის ჩასახშობად და, რადგან იოსები იმ დროს ბაკურციხეში, რევაზ ვაჩნაძის სახლში იყო წვეულებაზე, იქით წასულა. ხალხიც უკან მიჰყვა, რევაზ ვაჩნაძის სახლში შეცვივდა და იქ მყოფთაც მუშტებით დაერია. ცოტა იოსებსაც მოხვდა. ხალხის დამშვიდება შეძლო კოხტა აფხაზმა, რომელმაც მათ მარტივად აუხსნა, რომ სიას მილიციის რიგებისთვის ადგენდნენ და არა ჯარისკაცად ჩასაწერად. გრიგოლი წუხს, რომ, ასეთი უაზრო გაუგებრობის გამო, ახლა უამრავ ადამიანს დასჯიან.

1878

10 ივნისი

წერილს უგზავნის თბილისიდან ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს. სწერს, რომ მისი გამგზავრების შემდეგ ქალაქი ნელ-ნელა დაცარიელდა და დარჩა მარტო. თუმცა მისი რძალი, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა, სულ ჩივის, რით ვერ მოსწყინდა სულ ტაბახმელა და წავკისი, როცა სხვები საზღვარგარეთ დადიანო, მაინც ტაბახმელაში აპირებს ასვლას. აცნობებს თავისი ბიძაშვილის, ყაფლანისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ავადმყოფობის ამბავს და დაწვრილებით უყვება იმ გაუგებრობის შესახებ, რომელიც მაჩხაანში მოხდა. სიყვარულით მოიკითხავს ადრესატის ქმარ-შვილს.

1878

25 ივნისი

წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროს დიმიტრი სტაროსელსკის და დაწვრილებით უყვება ჩინოვნიკ პანცევიჩის ქვრივის, ქუთაისის წითელი ჯვრის ჰოსპიტალში მოწყალების დად მომუშავენატალიას, მდგომარეობის ამბავს. სწერს, რომ ეს ქალბატონი სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაავადდა ტიფით, რის შედეგადაც დაბრმავდა. მისგან გადაღებული ამავე დაავადებით გარდაეცვალა დედა, რომელიც ქვრივ ქალს ბავშვების გაზრდაში ეხმარებოდა და მისი 6 შვილი ბედის ანაზარა დარჩა. გრიგოლ ორბელიანი სთხოვს ადრესატს, რომ ეს ამბავი შეატყობინოს მეფისნაცვლის მეუღლეს, ოღონდ თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისას. გრიგოლ ორბელიანის აზრით, საჭიროა, უსინათლო ქალბატონს დაენიშნოს მუდმივი პენსია, მისი შვილები კი სახელმწიფოს ხარჯზე მიიღონ სასწავლებლებში.

- 1878 28 ივნისი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროს დიმიტრი სტაროსელსკის. სწერს, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული მაჩაბელი, რომელსაც ციმბირში გადასახლება აქვს მისჯილი, უკვე ორი წელია ავად არის ჭლებით. მისი გადასახლება თავიდანაც ამიტომ ვერ მოხერხდა და ამჟამად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. მსჯავრდებულის ძმა ითხოვს, რომ მისცენ მისი სახლში გადაყვანის უფლება და, თუ ავადმყოფობას გადაურჩება, პასუხისმგებლობას იღებს, რომ საპატიმროში დააბრუნებს.
- 1878 1 ივლისი**
თბილისიდან ქუთაისში წერილს უგზავნის ივანე ოკლობჯიოს. სწერს, რომ ომი დამთავრდა და, ბუნებრივია, ისიცაპირებს სახლში დაბრუნებას, მაგრამ სთხოვს, მანამდე შეადგინოს ომის შედეგად საქართველოსთვის კვლავ შემოერთებული რეგიონების – ბათუმისა და ლაზისტანის სანაპიროების მართვის პროექტი. დარწმუნებულია, რომ ის ამას ყველაზე კარგად გააკეთებს და რეგიონში კეთილ სახელს დატოვებს.
- 1878 9 ივლისი**
ადგენს გერმანელი კოლონისტების მიერ მითვისებული ორბელიანთა მიწების შემოსავლის ანგარიშს და, წერილთან ერთდ, გადასამოწმებლად უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს.
- 1878 12 ივლისამდე**
იმასთან დაკავშირებით, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსების 1873 წელს გამოცემული კრებული ბოლომდე გაიყიდა, გაზეთი „დროება“ გამომცემელს მიმართავს მისი ხელმეორედ დაბეჭდვის თხოვნით.
- 1878 13 ივლისამდე**
თბილისიდან კოდაში მოკლე წერილს უგზავნის ყაფლან ორბელიანს და შესჩივის, რომ მისი მოურავები შეშას და პურს არასოდეს აწვდიან დროზე და ქალაქში ძვირად ყიდვა უხდება.
- 1878 13 ივლისი**
დილის 11 საათზე გარდაეცვალა ბიძაშვილი – ყაფლან ორბელიანი, რომელთანაც განსაკუთრებული ნათესაური სიახლოვე ჰქონდა.
- 1878 13 ივლისი**
თბილისიდან ქუთაისში დეპეშით აცნობებს ბიძაშვილის ქმარს, ქუთაისის გუბერნიის ჯარების სარდალ ივანე ოკლობჯიოს, რომ გარდაეცვალა ყაფლან ორბელიანი და დაკრძალვა იქნება კუმისში. ავალებს, რომ ამის შესახებ შეატყობინოს გარდაცვლილის ქალიშვილს, ნინო ორბელიან-წულუკიძისას, და სთხოვს, აპატიოს გარდაცვლილ მამას.
- 1878 13 ივლისი**
ყაფლან ორბელიანის გარდაცვალებას თბილისიდან გორში დეპეშით აცნობებს თავისი ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიან-ერისთავის ვაჟს, ყაფლანის დისწულს – რევაზ ერისთავს.

- 1878 13 ივლისი**
 თბილისიდან ელიზავეტოპოლში დეპეშას უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და აცნობებს მისი ბიძის, ყაფლან ორბელიანის, გარდაცვალების ამბავს.
- 1878 13 ივლისი**
 ყაფლან ორბელიანის გარდაცვალებას თბილისიდან კოჯორში დეპეშით აცნობებს ბიძაშვილს, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინსას. სთხოვს, შეატყობინოს დას, სოფიო ორბელიან სვიატოპოლკ-მირსკისას და სხვა ახლობლებს.
- 1878 13 ივლისი**
 ყაფლან ორბელიანის გარდაცვალებას თბილისიდან თემირხანშურაში დეპეშით აცნობებს თავის ახლობელს, გენერალ ლევან მელიქიშვილს, და სთხოვს, გადასცეს გარდაცვლილის დისშვილს, სოფიო ერისთავ-ორბელიანისას.
- 1878 13 ივლისი**
 ყაფლან ორბელიანის გარდაცვალებას თბილისიდან დედოფლისწყაროში დეპეშით აცნობებს ბიძაშვილის შვილს, იოსებ ორბელიანს.
- 1878 19 ივლისამდე**
 იმყოფება ტაბახმელაში და იღებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის მიერ ბეთანიიდან გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტის ქალიშვილი – მარიამი (მაკა) დაინიშნა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეზე.
- 1878 19 ივლისი**
 ტაბახმელიდან ბეთანიაში წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის. ემადლიერება და ძალიან გახარებულია, რომ წერილით აცნობა თავისი ქალიშვილის, მაკას, დანიშვნა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეზე. სწერს, რომ ახალგაზრდები ძალიან ლამაზები და ერთმანეთის შესაფერისები არიან. უხარია, რომ საქართველოს ასეთი მომავალი თაობა ჰყავს. ლოცავს წყვილს და მალე დაქორწინებას უსურვებს.
- 1878 1 აგვისტო**
 ტაბახმელიდან კოჯორში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროს დიმიტრი სტაროსელსკის და გადასცემს ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის, ალექსანდრ გაგარინის, ქვრივის, ანასტასია ორბელიან-გაგარინის თხოვნას, შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია მისთვის საჩუქრად გადასაცემი მიწის საბუთების გაფორმების საკითხი, უკვე მიღებული 2500 დესეტინის გარდა უფორმებენ თუ არა კიდევ 5500 დესეტინას და სად იქნება ეს მიწები, ისევ სტავროპოლის გუბერნიაში, თუ სხვაგან. სწერს, რომ აგვისტოში ყირიმს ეწვევა იმპერატორი ალექსანდრე II და ანასტასია ორბელიან-გაგარინისას სურს იცოდეს, რა უპასუხოს იმპერატორს, როცა ის ჰკითხავს, კმაყოფილია თუ არა მის მიერ გაღებული წყალობით.

1878 7 აგვისტო

ისვენებს ტაბახმელაში რძალთან, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ ორბელიანისასთან, და მის დისშვილ ანასტასია ჩერქეზიშვილთან ერთად და მასთან გზად შეივლიან ბორჯომიდან წინანდლისკენ მიმავალი სალომე ჭავჭავაძის მეუღლე, მაქსიმილიან საკენი და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძის მეუღლე, ზაქარია ჭავჭავაძე, სადილის შემდეგ კი კოჯრიდან შემოუერთდებიან ბიძაშვილები: ბარბარე და სოფიო ორბელიანები და პირველის მეუღლე, ალექსეი ოპოჩინინი.

1878 8 აგვისტო

ტაბახმელიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ბოდიშს უხდის, თუ საყვედურით აწყენინა და კიდევ ერთხელ უმეორებს, რომ ის და გიორგი მისთვის ძალიან ძვირფასები არიან. გიორგის მომავალთან დაკავშირებით სწერს, რომ საუკეთესო ვარიანტია აკადემიაში ჩაბარება, რადგან მალე მთელ მსოფლიოში განათლება აუცილებელი პირობა გახდება ცხოვრებისეული წინსვლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გიორგი ამ გზას არ აირჩევს და მაიორად ან პოდპოლკოვნიკად დაიწყებს სამსახურს დრაგუნთა პოლკში, ის მასში დაიკარგება. მიმდინარე ომმაც აჩვენა, რომ დაწინაურდნენ მხოლოდ აკადემიური სამხედრო განათლების მქონე გენერლები. აღშფოთებას გამოთქვამს პეტერბურგში ჟანდარმერიის შეფის, ნიკოლოზ მეზენცოვის, მკვლელობის გამო. აცნობებს სასიხარულო ამბავს, რომ ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი პარიზში გამოიჯანმრთელდა, რაც შეიძლება სამედიცინო სასწაულად ჩაითვალოს.

1878 18 აგვისტო

ტაბახმელიდან წერილს უგზავნის თბილისის ვიცე-გუბერნატორ ვასილი ბელსკის და გადასცემს გადასახლებამისჯილი მაჩაბლის მამის თხოვნას. ირკვევა, რომ პატიმარი მძიმედ არის ავად. მამა ითხოვს, რომ წაიყვანოს სახლში, მოუაროს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ გადარჩენის შემთხვევაში დააბრუნებს ციხეში და მოახდევინებს სასჯელს.

1878 24 აგვისტომდე

იღებს ინფორმაციას, რომ ანასტასია ორბელიან-გაგარინისას სტავროპოლის გუბერნიაში გადაცემული მიწების გარდა კიდევ 5600 დესეტინას გადასცემენ ამავე გუბერნიაში, თერგის ოლქის სიახლოვეს.

1878 24 აგვისტომდე

ორბელიანების სამოცწლიანი დავა საჰყალტუთანის მამულებთან დაკავშირებით თითქოს დასასრულს უახლოვდება, მაგრამ მოულოდნელად ავად ხდება იმ დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც დავას განიხილავს და საქმე შემოდგომამდე გადაიდება.

1878 24 აგვისტომდე

მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ქართველი თავადაზნაურობის თხოვნას „პრიკაზის“ სამი მილიონი ვალის ჩამოწერის თაობაზე გადასცემს იმპერატორ ალექსანდრე II-ს და ის საკითხის შესწავლას ავალებს ფინანსთა სამინისტროს.

- 1878 24 აგვისტო**
მისდის ინფორმაცია, რომ მისი ბიძაშვილის ქმარი, ივანე ოკლობჟიო, შევიდა ახლადშემოერთებულ ციხისძირში. გრიგოლ ორბელიანი ისეთი გახარებული და ბედნიერია ამ რეგიონის სამშობლოსთან დაბრუნებით, რომ აღფრთოვანებას ვერ ფარავს.
- 1878 24 აგვისტო**
ტაბახმელიდან კოდაში წერილს უგზავნის ახალგარდაცვლილი ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, მეუღლეს, ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელიანისას და ურჩევს, ღვთისგან მოვლენილი მწუხარება მხურვალე ლოცვით გადაიტანოს, მიხედოს სახლ-კარს და ცოცხლებს. აცნობებს, რომ ყაფლანს არა მარტო ის, არამედ ყველა დასტირის.
- 1878 24 აგვისტო**
ტაბახმელიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, სოფიო ერისთავ-ორბელიანისას. უზიარებს წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ მის ირგვლივ ორბელიანთა საცხოვრებლები უცხო ერის ადამიანებმა დაიკავეს და მოჰყავს ციტატა თავისი ლექსიდან „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. სწერს, რომ ადრესატის მულს, ანასტასია ორბელიან-გაგარინისას, ჰპირდებიან 5600 დესეტინა მიწის გადაცემას. მთავარია, ეს სწრაფად მოხდეს და სწრაფადვე გაყიდონ, რომ იმ თანხით „პრიკაზში“ დაგირავებული სახლ-კარი გამოისყიდონ.
- 1878 26 აგვისტო**
მოკლე ბარათს უგზავნის ტაბახმელაში ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის და ულოცავს მისი მეუღლის მშვიდობით მშობიარობას.
- 1878 28 აგვისტო**
სალამო ხანს გრიგოლ ორბელიანთან ტაბახმელაში სტუმრად მიდიან მისი ბიძაშვილის, კონსტანტინე ორბელიანის, შვილები: იოსები და სოფიო.
- 1878 29 აგვისტო**
მის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ამ უკანასკნელის დისწულს, ანასტასია ჩერქეზიშვილს, სწყინდება წავკისში ყოფნა, გრიგოლს ეუბნებიან, მკითხავმა გვითხრა, დიდი ხანია მეტეხი არ მოგილოციათო და ერთად ბრუნდებიან თბილისში.
- 1878 29 აგვისტო**
ტაბახმელიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ატყობინებს, რომ თბილისში ბრუნდება. ასევე, სწერს, რომ 25 აგვისტოს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის სამხედრო დანაყოფები შევიდნენ ბათუმში და ადგილობრივი თავკაცები პურმარლით მიეგებნენ. უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს აჭარის დედა-სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

- 1878 29 აგვისტო**
იმყოფება ტაბახმელაში და წერს ბიძაშვილის – სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისთვის კოჯორში გასაგზავნ წერილს. სწერს, რომ ადამიანი ადამიანისთვის არის შექმნილი და მარტოობა საშინელებაა. ატყობინებს, რომ თბილისში ბრუნდება და ურჩევს, ისიც მალე ჩავიდეს. წერილის გაგზავნა ავიწყდება.
- 1878 29 აგვისტო**
ტაბახმელიდან ბრუნდება თბილისში.
- 1878 აგვისტო**
ტაბახმელიდან თბილისში წერილს უგზავნის მეგობარს, ისაკ თუმანიშვილს. ძალიან წუხს თბილისის კლუბის დახურვის გამო, რადგან იქ კარგი წრე იკრიბებოდა. წერილთან ერთად უგზავნის სოფლის ნობათს: ორ ვარიას, კვერცხს, ნაღებს, მაწონსა და ნაზუქებს.
- 1878 არა უგვიანეს აგვისტო**
იღებს მეგობრის, ისაკ თუმანიშვილის, წერილს, რომელიც ძალიან ამხნევეს.
- 1878 3 სექტემბერი**
ორბელიანთა ეკლესიაში ესწრება საუკეთესო ქართველი მგალობლების – მაქსიმე ჩხატარაიშვილისა და პოლიევქტოს კარბელაშვილის გუნდების გალობას. წირვის შემდეგ ყველა დამსწრეს ეპატიჟება ჩაიზე. ამბობს, რომ გურული გალობა უფრო მოეწონა.
- 1878 5 სექტემბრამდე**
პარიზიდან თბილისში ბრუნდება ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მძიმედ ავადმყოფობდა და გამოჯანმრთელდა. გრიგოლ ორბელიანი მეტად გახარებულია, რადგან ეცოდებოდა როგორც თავად ირაკლი, ისე მისი უახლოესი ადამიანები – დედა, მარიამ აღამალიან-ბაგრატიონისა და მეუღლე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისა.
- 1878 5 სექტემბრამდე**
მოსკოვიდან საქართველოში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის მისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ძმა – გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი. ამ უკანასკნელის მეუღლე, ოლღა ფროლოვა, სილამაზითა და სიდარბაისლით გრიგოლ ორბელიანს ამ სამეფო ოჯახის შესაფერად არ ეჩვენება.

1878

5 სექტემბერი

თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის გენერალ ლევან მელიქიშვილს, რომელიც იმჟამად დაღესტნის აჯანყების ჩასაქრობად დაგეგმილ ოპერაციებს ხელმძღვანელობს. სწერს, რომ ნიკოლოზ ფირანიშვილი, რომელიც მის რეგიონში მსახურობს და შვებულებით იყო შინ წასული, სამსახურიდან გაუშვიათ. უხსნის, რომ საწყალს ერთი უსინათლო და მეორე ჭლეპით ავადმყოფი ძმა ჰყავს სარჩენი და სთხოვს, თუ ეს შესაძლებელია, იქვე რაიმე სხვა სამსახურში განაწესოს. სწერს, რომ ძალიან ბედნიერია ბათუმის დაბრუნებით, მაგრამ ეშინია, იქაც მომრიგებელი სასამართლოები არ მოაწყონ და მიწები ხალხს კი არა, ხაზინას არ მიაკუთვნონ. იქაურებს უფრო დაამშვიდებდა მიწათმოწყობის დაღესტანში შემოღებულის მსგავსი ფორმა. სწერს ნაცნობ-მეგობრების ამბებს და მოიკითხავს ადრესატის ცოლ-შვილს.

1878

5 სექტემბერი

თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ატყობინებს, რომ პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინინს ვაჟი ეყოლა და გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი ცოლ-შვილით ჩამოვიდა საქართველოში საცხოვრებლად. სწერს, რომ თბილისში ვიღაც ახალი ინგლისელი ექიმი და, თუ ელისაბედს რაიმე აწუხებს, მასთან მიიყვანოს.

1878

15 სექტემბერი

წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და ახსენებს გეინუქის ბეგს ჰაჯი-ხანჯანს, რომელმაც შამილთან ბრძოლისას დიდად უერთგულა რუსებს და დაფასებული იყო ვორონცოვისგან. ახლა კი, როცა მას, უკვე მოხუცებულს, მიურიდები მიადგნენ, რუსების ერთგულებისთვის მოუკლეს ძმა და საკვები მოსთხოვეს, ბეგს მეტი გზა არ ჰქონდა და პური მისცა. ამის გამო, რუსებმა დაიჭირეს ორგულობისთვის და კატორღა ემუქრება. სთხოვს, დაარწმუნოს დიმიტრი სტაროსელსკი, რომ მოხუცი ბეგი რუსეთის ერთგულია და მეფისნაცვალმა ამბის გამოუკითხავად არ დასაჯოს.

1878

20 სექტემბერი

წერილს უგზავნის რუსეთის არმიის ფლიგელ-ადიუტანტ დიმიტრი გოლიცინს და სთხოვს, რომ მასთან, ვოლგის მე-2 პოლკში, დამხმარედ მომსახურე იგორ პოდკატილინი ურიადნიკად გადაიყვანოს. სწერს, რომ ეს პიროვნება დიდხანს მუშაობდა მასთან და იცნობს, როგორც კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე და განათლებულ ადამიანს.

1878

22 სექტემბერი

ესწრება რუსეთ-ოსმალეთის ომიდან ახალდაბრუნებული ქართული მილიციის რაზმების პატივსაცემად ალექსანდრეს ბაღში გამართულ სადილს. თავის სიტყვა-სადღეგრძელოში გრიგოლ ორბელიანი ამბობს, რომ ქართველებს მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე მუდამ უხდებოდათ საკუთარი მამულის დასაცავად ბრძოლა, უხარია, რომ ის ვაჟკაცობა და თავდადება არც მის თანამედროვეებს დაუკარგავთ და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალ თაობებსაც გადასცემენ ამ შემართებას.

1878

24 სექტემბერი

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება რუსეთ-ოსმალეთის ომიდან ახალდაბრუნებული ქართული მილიციის რაზმების პატივსაცემად ალექსანდრეს ბაღში გამართულ სადილზე გრიგოლ ორბელიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

- 1878 28 სექტემბრამდე**
იღებს ცარსკოე სელოდან რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 11 სექტემბერს გაგზავნილ წერილს.
- 1878 11-28 სექტემბერი**
თურქეთიდან ჩამოდიან ომგადახდილი მეომრები და თბილისში, ალექსანდრეს სახელობის ბაღში, ზედიზედ იმართება წვეულებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობს გრიგოლ ორბელიანი.
- 1878 28 სექტემბერი**
250 მანეთთან ერთად თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ მისი დისწული კაკო ავად იყო და მოულოდნელად გამოჯანმრთელდა. გარდაიცვალა მისი რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილის, ძმა – იაკინთე და მარშალ ალექსანდრე ერისთავის ვაჟი – გიორგი. სწერს, რომ ადრესატის ძმა, გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი ოჯახთან ერთად თბილისშია და რომ ყველა კარგად არის.
- 1878 23 ოქტომბერი**
გრიგოლ ორბელიანის ცხენი „მერცხალა“, რომელზეც ზის მისი მსახური ნინიკა ბაქრაძე, მონაწილეობს თბილისში, რკინიგზის სადგურზე გამართულ დოღში. იგი ყველას უსწრებს, მაგრამ ფინიშთან მისულ ცხენს მაყურებელთა შემახილები აფრთხობს და რბოლას აგებს.
- 1878 20 ნოემბრამდე**
წერს სიტყვით გამოსვლის ტექსტს აჭარა-ქობულეთის ისევ საქართველოსთვის შემოერთებასთან დაკავშირებით.
- 1878 20 ნოემბერი**
სიტყვას წარმოქვამს თურქეთიდან ახლადშემოერთებული ქართული მიწების მკვიდრთათვის საგანგებოდ გამართულ სადილზე, რომელიც ძალიან კარგ ვითარებაში ტარდება და ღამის 11 საათამდე გრძელდება.
- 1878 23 ნოემბერი**
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თურქეთიდან ახლადშემოერთებული ქართული მიწების მკვიდრთათვის საგანგებოდ გამართულ სადილზე გრიგოლ ორბელიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა.
- 1878 24 ნოემბრამდე**
იღებს ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ გამოგზავნილ წერილს და პაკეტს, რომლის გადაცემასაც სთხოვს ადრესანტი მიხეილ სმირნოვისთვის.
- 1878 24 ნოემბრამდე**
ალექსანდრ ბარიატინსკის მიერ გამოგზავნილ პაკეტს გადასცემს მიხეილ სმირნოვს.

- 1878 24 ნოემბერი**
 თბილისიდან საპასუხო წერილს უგზავნის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალს, ფელდმარშალ ალექსანდრ ბარიატინსკის, და უყვება თბილისის კულტურული სიახლეების შესახებ. აღუწერს თავადაზნაურობის სავალალო მდგომარეობას „პრიკაზის“ ვალების გამო და იმედს გამოთქვამს, რომ იმპერატორი დაეხმარებათ. მადლობს ღმერთს ომის დამთავრებისთვის.
- 1878 24 ნოემბრის შემდეგ**
 მიდის თავის ბიძასთან, დიმიტრი ორბელიანთან, და აკითხებს ამ უკანასკნელის სიძის, ალექსანდრ ბარიატინსკის, წერილს.
- 1878 4 დეკემბერი**
 სტუმრობს ბარბარე და ალექსეი ოპოჩინინებს.
- 1878 5 დეკემბერი**
 300 მანეთთან ერთად თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ 7 დეკემბერს ანასტასია და ივან ოკლობჟიოები პეტერბურგში მიემგზავრებიან, რომ ფრეილინა ნინა წარუდგინონ დედოფალს და თავად გაემგზავრონ საზღვარგარეთ სამკურნალოდ. ფიქრობს, რომ დედოფლის ფრეილინობა ახლა ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეს გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია. აღფრთოვანებულია პეტერბურგელი ადვოკატის, ვლადიმერ სპასოვიჩის, გამოსვლებით სასამართლო პროცესზე, რომელიც განიხილავდა ნინა ანდრეევსკაიას მკვლელობაში დავით ჩხოტუას მონაწილეობის საქმეს. ჩხოტუას 20-წლიან კატორღას უსჯიან და ეს არის პირველი სასამართლო საქმე, რომელსაც ვლადიმერ სპასოვიჩი აგებს. აინტერესებს, როგორ მიიღო პეტერბურგმა შინ დაბრუნებული ომის გმირები. ურჩევს, რომ გიორგი წარუდგინოს თეოდორ რადეცკის. სწერს, რომ მათსა და ივან ოკლობჟიოს სახლებს შორის თბილისელმა სომეხმა ააშენა მაღალი სახლი, რომელიც ხედს უფარავს და ძალიან აბრაზებს.
- 1878 11 დეკემბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს, ინტერესდება მისი ჯანმრთელობით და საყვედურობს, რომ არაფერს სწერს. ესმის, რომ მოუცლელია, მაგრამ ისეც არ არის საქმე, რომ წერილის დასაწერი დრო ვერ გამოიხატოს. უყვება ახლობლების ამბებს და ატყობინებს, რომ დედამისს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უკვე შეეძლება თავისი პენსიის პეტერბურგში აღება, სანამ იქ იცხოვრებს.
- 1878 12 დეკემბერი**
 პორუჩიკ მუსა ადას ხელით თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, თუ ეს კაცი ღირსი იყოს, დააწინაუროს. აცნობებს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის შვილები პეტერბურგში გაემგზავრნენ დის – ანასტასია რომანოვას ქორწილზე დასასწრებად; თბილისელი ქალები პატარძალს უქსოვენ ხალიჩას და უმზადებენ მინაწერით შემკულ ალბომს ნაციონალური ხედებით. წუხს, რომ ვერ იპოვეს ვერც ერთი ლამაზი ქალი, ტიტუკო მაცაშვილის ცოლის გარდა, რომელიც ქართულ კაზას ატარებს.

- 1878 15 დეკემბერი**
წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, თუ მეფისნაცვლის ქალიშვილის – ანასტასიასთვის მისალოცი წერილი მზადაქვს, მისცეს, რომ ქალების ცნობის მოყვარეობა დააკმაყოფილოს.
- 1878 27 დეკემბერი**
პლატონ იოსელიანის ნარკვევის – „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“ ტექსტთან ერთად ილია ჭავჭავაძეს უგზავნის მოკლე წერილს, რომლითაც სთხოვს, გამოყენების შემდეგ უკან დაუბრუნოს.
- 1878 28 დეკემბერი**
აგრძელებს ბიძაშვილის შვილის – ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოსთვის პეტერბურგში გასაგზავნი წერილის წერას. ეხუმრება, რომ პროვინციელობაა პეტერბურგში წასვლა და იქ ცირკის ნახვა, რადგან ამ ქალაქში უამრავი უკეთესი სანახაობაა. ადრესატის ძმას, ივანეს, უთვლის, რომ დროა, სამშობლოში გადავიდეს საცხოვრებლად, რადგან სმა ყველგან შეიძლება, ცხოვრება კი საქართველოში ჯობს.
- 1878** გიორგი თუმანიშვილი თავის მიმოხილვაში „მარშანდელმწერლობის გადათვალთქრება“ არჩევს გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძეს“.
- 1879 1 იანვარი**
ჯილდოვდება წმინდა ვლადიმირის პირველი ხარისხის ორდენით.
- 1879 6 იანვარი**
წყალკურთხევის დღესასწაულის შემდეგ, საღამო ხანს, კლუბში ბანქოს სათამაშოდ შესული ხვდება იოსებ ორბელიანს, რომელიც ეუბნება, რომ დის – ანასტასია ოკლობჯიოსგან წერილი მიიღო და ჰპირდება, რომ მოგვიანებით წაუკითხავს. ისინი სხვადასხვა მაგიდასთან სხდებიან და თამაშობენ. უცებ ისმის უცნაური ხრიალი და ატყდება ჩოჩქოლი. იოსებ ორბელიანს, ისევ ისე მაგიდასთან მჯდომს, მოულოდნელად გული გაუსკდება და სასწრაფოდ მოყვანილი ექიმები ვერაფერს შველიან.
- 1879 10 იანვრამდე**
დეპეშას იღებს ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისგან, რომელსაც შეუტყვია ძმის – იოსებ ორბელიანის გარდაცვალების ამბავი და აინტერესებს, რა მოხდა.
- 1879 10-11 იანვარი**
თბილისიდან პეტერბურგში ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისთვის გასაგზავნი წერილის დაწერას ორი დღე უნდება, იმდენად უჭირს ადრესატისთვის მისი ძმის – იოსების გარდაცვალების დეტალების მოყოლა. სთხოვს, ჩამოვიდეს საქართველოში, დააღაგოს ოჯახის საქმეები და მერე, თუ სხვა გამოსავალი არ არის, ისევ წავიდეს.

- 1879 12 იანვარი**
 თბილისიდან პეტერბურგში დეპეშას უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, ქალიშვილ ანასტასიას, ულოცავს ჯვრისწერას და ღმერთს სთხოვს მის ბედნიერებას.
- 1879 12 იანვარი**
 თბილისიდან პეტერბურგში დეპეშას უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ რომანოვს, და ულოცავს ქალიშვილის, ანასტასიას, ჯვრისწერას ბრწყინვალე ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III მაკლენბურგ-შვერელზე.
- 1879 17 იანვარი**
 თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას და უბოდიშებს, რომ დროულად ვერ უპასუხა მის ბარათს, რადგან დაბერდა და თან უბედური წელი ჰქონდა – დაკარგა გულით საყვარელი ყაფლან და იოსებ ორბელიანები. დადუმდა და გამოყრუვდა მათი მხიარული ქუჩა და თავადაც მარტო დარჩა, როგორც ყველასთვის უცნობი. მოიკითხავს ეკატერინეს ვაჟებს – ნიკოლოზ და ანდრია დადიანებს. ურჩევს, ნიკოლოზი დაბრუნდეს თავის მამაპაპისეულ მამულში, რადგან ის პეტერბურგში საჭირო არ არის, საქართველოში კი ყველა თავს შემოეცლება და არც ხელმწიფის წყალობა მოაკლდება. უამბობს, რომ თბილისი ძალიან გაიზარდა, ვეღარ იტევს ფურგონებს, ურმებსა და ეკიპაჟებს. ერთი თეატრი აღარ ყოფნის ქალაქს და თეატრალური წრეები მომრავლდა, რომლებშიც შვიდასზე მეტი პირი ირიცხება. გაიხსნა ცირკი და კარუსელი. დარდობს თავად-აზნაურთა განწირული მდგომარეობისა და სიღარიბისგან დაცემის გამო. საქართველო მრავალჯერ აოხრებულა მტრებისგან, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილა, ახლა კი მომავალი დაბნელებულია და არსად ჩანს ნუგეში. სწერს, რომ დიმიტრი სტაროსელსკი სხვადასხვა პროექტით პეტერბურგში გაემგზავრა, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი აპირებს საქართველოდან გადასახლებას და მის ადგილზე ლევან მელიქიშვილი ინიშნება. ატყობინებს ძმისწულებისა და ნაცნობების ამბებს. იხსენებს წინანდალში გატარებულ ბედნიერ დროს.
- 1879 22 იანვრამდე**
 თბილისში ბრუნდება მისი ბიძაშვილის შვილი, ანასტასია ოკლობჟიო, და გრიგოლი ძალიან ნერვიულობს იმასთან დაკავშირებით, იცის თუ არა მან თავისი ძმის, იოსებ ორბელიანის, გარდაცვალების ამბავი.
- 1879 22 იანვარი**
 250 მანეთთან ერთად თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უყვება ახლობლების ამბებს და იოსებ ორბელიანის გარდაცვალების დეტალებს.
- 1879 1 თებერვალი**
 წერილს სწერს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის და სთხოვს, გაჭირვებისგან იხსნას მოხუცი ტერ-ოსიპიანცი, რომელიც 30 წლის მანძილზე ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა და სახლის დაკარგვა ემუქრება.

1879 11 თებერვალი

ყველიერის კვირის აღსანიშნავად მარიამ (მაიკო) სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისა მართავს დიდ პიკნიკს, რომელსაც ესწრება მთელი სანათესავო. აქვე არიან ოფიციალური პირებიც, გერმანიისა და საფრანგეთის კონსულები, გრიგოლ ორბელიანი კი ჯანმრთელობის გამო ვერ ახერხებს წასვლას და გული სწყდება.

1879 14 თებერვალი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ეკითხება, როდემდე აპირებენ ის და გიორგი მისგან შორს, მკაცრი კლიმატის ქვეყანაში, ცხოვრებას, სადაც უარესდება მათი ჯანმრთელობა. ცარსკოე სელოში, გარდა იმისა, რომ ცუდი კლიმატია, არასაკმარისი თანხის გამო ბევრ რამეზე უარის თქმა უხდებათ. არწმუნებს, რომ გიორგის გადასვლა ადგილობრივ დრაგუნთა პოლკში მრავალ სარგებლობას მოუტანს, რადგან მოხვდება გონებით, წარმომავლობით, აღზრდით ღირსეული ადამიანების წრეში, ექნება კარგი ანაზღაურება და უზრუნველყოფილი ექნება მომავალი. სწერს, რომ გიორგისთვის ორ არაჩვეულებრივ კვიცს ზრდის, თავისთვის კი მისი ცნობილი ცხენის – „მერცხალას“ ძმას.

1879 20 თებერვალი

წერილს უგზავნის ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველს, მაქსიმილიან ოსტენ-საკენს, და სთხოვს, თუ ეს რაიმე სირთულეებთან არ იქნება დაკავშირებული, მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის კანცელარიაში დაასაქმოს ბარათის მიმტანი, ახალგაზრდა, განათლებული კაცი, მურადოვი, რომელსაც პეტერბურგში აქვს დამთავრებული მიწათმოქმედების ინსტიტუტი.

1879 21 თებერვლამდე

იმყოფებათბილისში დაიღებსრძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 11 თებერვალს პეტერბურგიდან გამოგზავნილ ბარათს, რომლიდანც იგებს, რომ მისი ძმისწული – გიორგი აკადემიაში იმიტომ აპირებს სწავლის გაგრძელებას, რომ იქ მისი მეგობარი აზარებს.

1879 21 თებერვალი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და გაკვირვებას გამოხატავს იმით, რომ გიორგი თავის ნება-სურვილს კი არ მიჰყვება, არამედ სხვას არის აყოლილი. სთხოვს, ჰკითხოს გიორგის, რა სურს პირადად მას, რადგან ღვთისგან ნაბოძები ნიჭის დასამარება ცოდვია. აკადემიაში სწავლა კი არ არის ძნელი, არამედ სიზარმაცის დამღევა. სიძნელები გადაულახავია მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი გადალახვის სურვილი არ არსებობს. ბევრჯერ წასულა ის ლაშქრობაში მხოლოდ 6 აბაზით, მაგრამ ჯანმრთელი დაბრუნებულა. ურჩევს, საქმე არ გადადონ, გიორგის დანაზოგს გაუგზავნის და შემდეგ შეავსებს. მას შეუძლია, დარჩეს ცარსკოე სელოში, გიორგიმ კი ამხანაგებთან ერთად იქირავოს ბინა.

- 1879 31 თებერვალი**
წერილს სწერს კუმისის მამასახლისსა და მოსამართლეებს და სთხოვს, გაარკვიონ ოლქიაშვილისა და გულუმაშვილის საჩივარი მამულების თაობაზე. აცნობებს, რომ გულუმაშვილი გამტყუნებულია, მაგრამ მაინც არ უშვებს მამულში ოლქიაშვილს. ურჩევს, გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იპოვის ისეთ სამართალს, რომელსაც არ შეეშინდება გულუმაშვილის მუქარის.
- 1879 6 მარტი**
წერილს უგზავნის მარია კოლიუბაკინას და ემადლიერება იმ შეწირულობებისთვის, რომლის მეშვეობითაც კეთდება კეთილი საქმეები სახელოსნო სასწავლებლის ასაყვავებლად.
- 1879 18 მარტი**
თბილისში მასთან სტუმრად მიდის პეტერბურგიდან ჩასული ვასილ მაჩაბელი და ეუბნება, რომ გრიგოლ ორბელიანის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟი გიორგი საქართველოში საცხოვრებლად გადასვლაზე ფიქრობენ.
- 1879 19 მარტი**
250 მანეთთან ერთად თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და დიდ მწუხარებას გამოთქვამს კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, ალექსანდრ ბარიატინსკის, გარდაცვალების გამო. უყვება, როგორ გადაუხადეს ალექსანდრეს ბაღში, ღია ცის ქვეშ, სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომელსაც ესწრებოდა უამრავი ადამიანი და სხვადასხვა რელიგიისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები. ქართველი თავადაზნაურობის დელეგაცია გაემგზავრა დაკრძალვაზე დასასწრებადაც. სწერს ვასილ მაჩაბელთან შეხვედრის ამბავს და უზიარებს თავის მოლოდინს მათ საქართველოში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით.
- 1879 23 მარტი**
თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ ძალიან დაამწუხრა ალექსანდრ ბარიატინსკის სიკვდილმა, რომელსაც პატივს სცემდა, როგორც ადამიანს და მმართველს. ფიქრობს, ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. აღწერს მადლიერი მოქალაქეების გლოვას თბილისში.
- 1879 26 მარტი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს და აცნობებს, რომ გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის ანდერძის საქმეში ნოტარიუსმა აღმოაჩინა ხარვეზი – გიორგის მინდობილობაში მიხეილ ალექსიმესხიშვილისადმი რამდენიმე სიტყვა დაუსრულებელია. ამიტომ უგზავნის ახალ მინდობილობას, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს და სასწრაფოდ გაუგზავნოს.

- 1879 19 აპრილი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და აცნობებს, რომ 3 აპრილის შემდეგ, რაც იმპერატორ ალექსანდრე II-ზე საზარელი თავდასხმის ამბავი გაიგო, ლოგინად ჩავარდა და 3 დღეა, რაც გამოკეთება დაიწყო. სწერს, რომ მიუტანეს ბარბარეს ხელმოწერილი პაკეტი, მასში შევსებული მინდობილობის ნაცვლად ცარიელი ქალაქი იდო წარწერით: „შტაბსროტმისტრის, ორბელიანის მინდობილობა მიხეილ მესხიევს“. ძალიან სასაცილოდ ეჩვენება ეს აუხსნელი მოვლენა, რომელიც კარგად გამოხატავს დედა-შვილის აპათიურ ხასიათს.
- 1879 26 აპრილი**
 დიმიტრი ჯორჯაძეს ახალგაზრდა ნასწავლი კაცის – მურადოვის ხელით უგზავნის წერილს და სთხოვს, თუ მოეწონება ეს ჭაბუკი, სადმე დაასაქმოს.
- 1879 აპრილი**
 წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, და ატყობინებს, რომ მთავარი სამმართველოდან ადრესატი მიიღებს იმ ქალბატონების სიას, რომლებიც წარდგენილნი არიან კავკასიის ქალთა ინსტიტუტში არსებულ ვაკანსიაზე ჩასარიცხად და მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სტიპენდიის მოსაპოვებლად. სწერს, რომ მათ რიცხვში არის უღარიბესი ქალბატონი ანასტასია ბარათაშვილი, რომელსაც ბოლო შანსი აქვს ამ ინსტიტუტში მოხვედრისა, რადგან მომდევნო წელს უკვე ასაკი არ მისცემს ამის საშუალებას. სთხოვს, თუ შესაძლებელი იქნება, მიანიჭონ მას ამის ბედნიერება.
- 1879 2 მაისი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 375 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, აცნობებს თბილისის სიახლეებს და საყვედურობს, რომ ის და მისი ვაჟი თავიანთი ამბების გრიგოლისთვის შესატყობინებლად ვერასდროს იცლიან.
- 1879 18 მაისამდე**
 იღებს მოსაწვევს ილია ჭავჭავაძისგან, რომლითაც ეპატიჟება 18 მაისს ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მისაღებად.
- 1879 18 მაისი**
 წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და ატყობინებს, რომ თეატრთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ვერ მივა, რადგან უნდა დაესწროს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას. სწერს, რომ ქართული თეატრის აღდგენა ნაადრევად ეჩვენება, რადგან არ არსებობს შენობა და არ ჰყავთ პროფესიონალი მსახიობები.
- 1879 18 მაისი**
 ესწრება ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას.
- 1879 22 მაისი**
 გარდაეცვალა ჩვილი ნათლული, ირაკლი და თამარ ბაგრატიონ-გრუზინსკების ვაჟი.

- 1879 22 მაისი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ თბილისში გავრცელდა საშინელი გადამდები დაავადება, რომელსაც ახასიათებს თავბრუსხვევა და დავარდნა. ფიქრობს, შეიძლება იყოს რომელიმე ახალგამოჩენილი პლანეტის გავლენა.
- 1879 23 მაისი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრს, იაგორ სტარიცკის, და აცნობებს, რომ ორბელიანთა 60-წლიანი დავა საჰყალტუთანის მიწებთან დაკავშირებით, რომელიც გადაცემული ჰქონდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს, საგანგებო კომისიის განხილვის შემდეგ ისევ სენატს დაუბრუნდა. უყვება საქმის ვითარებას და სთხოვს, შეატყობინოს, რა ვითარებაა ამ საქმესთან დაკავშირებით.
- 1879 25 მაისი**
 მცხეთაში ესწრება ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ნინო თარხან-მოურავის უზარმაზარ ქორწილს, რომლის შემდეგაც სიძე-პატარძალი კიევიში მიემგზავრება.
- 1879 25 მაისის შემდეგ**
 ესწრება ზაქარია ჯორჯაძისა და თამარ ბაგრატიონ-მუხრანელის ქორწილს, რომლის შემდეგაც სიძე-პატარძალი საზღვარგარეთ მიემგზავრება.
- 1879 ივნისამდე**
 თბილისიდან კარლსბადში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს.
- 1879 ივნისამდე**
 მილანიდან იღებს ბიძაშვილის შვილის, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს, წერილს და იგებს, რომ მისი ქმარი, ივან ოკლობჯიო უკეთ არის.
- 1879 -დან 3 ივნისი**
 თავისი ნათესავის, ანასტასია ორბელიან-გაგარინის, წერილთან ერთად ბარათს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, იმპერატორის სამხედრო კანცელარიის უფროს ალექსანდრ ადლერბერგის ნაცვლად, მან შეუდგინოს იმპერატორისთვის წარსადგენი წერილი, რომელშიც იქნება თხოვნა, რომ შეისყიდოს მისი მამული.
- 1879 4 ივნისამდე**
 იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის მიერ ცარსკოე სელოდან გამოგზავნილ წერილს.

1879

4 ივნისი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. ფიქრობს, რომ 26 წლის გიორგის შეუძლია დედის მზრუნველობის გარეშე დამოუკიდებლად ცხოვრება. სთხოვს, გამოემგზავროს თბილისში, რადგან პეტერბურგის კლიმატისგან თავდასაღწევად ერთადერთი საშუალებაა იქიდან წამოსვლა. გიორგიც უფრო მშვიდად იქნება, დედა რომ ჯანმრთელად ეყოლება. გრიგოლს უფრო სჭირდება ბარბარეს დახმარება, რადგან მოხუცია და დაცარიელებულ ქუჩაზე სულ მარტოა. წერს, რომ ის გიორგიზე უფრო ობოლია.

1879

11 ივნისამდე

ივანე ორბელიანთან, ნიკოლოზ ჭავჭავაძესთან, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახებთან და კიდევ უამრავ პირთან ერთად დადის პიკნიკებსა და წვეულებებზე „სანსუსისა“ და „კონდრუსტის“ ბაღებში, სადაც ერთობიან ზურნის, საზანდრის, სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით. ქალბატონებს შორის ყველაზე მეტად მოსწონს სამხედრო მოსამართლის, ნიკოლოზ ხიტროვოს, ცოლი.

1879

11 ივნისი

იწყებს თბილისიდან ჟენევაში ბიძაშვილის შვილის – ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსთვის გასაგზავნი წერილის წერას. შესჩივის, რომ ადრესატის წასვლის შემდეგ ძალიან მოიწყინა, რადგან მისი რძალი ქეთევან ალექსი-მესხიშვილი ორბელიანიც აღარ ჩერდება სახლში. უყვება ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების ამბებს, ვინ სად არის და როგორ. სწერს, რომ ქალიშვილები შეეძინათ დიმიტრი სტაროსელსკის მეუღლეს, ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას, და ადრესანტის დისწულს, სოფიო ბარათაშვილ-სუმბათაშვილისას.

1879

12 ივნისამდე

პეტერბურგიდან იღებს ბიძაშვილის შვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ძალიან უავადმყოფია, მაგრამ ახლა უკეთ არის.

1879

12 ივნისი

ბიძაშვილის შვილანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსგან იღებს ჟენევიდან გამოგზავნილ წერილს და იგებს, რომ მისმა მეუღლემ ციებ-ცხელებით იავადმყოფა.

1879

12 ივნისი

ესწრება გენერალ-მაიორ ისრაფილ-ბეკ ედიგაროვის ვაჟის გრანდიოზულ ქორწილს. მასთან ერთად არიან: დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახი, დიმიტრი ჯორჯაძე, ისაკ თუმანიშვილი, ზაქარია ჭავჭავაძე და სხვები. დილის სამ საათამდე გრძელდება ქეიფი საზანდრებით, სიმღერებითა და ცეკვებით. პატარძალი ყარაბაღიდან ჩამოჰყავთ, მაგრამ, მაჰმადიანთა ტრადიციის შესაბამისად, სტუმრები ქალის სახეს ვერ ნახულობენ.

1879

13 ივნისი

აგრძელებს თბილისიდან ჟენევაში ბიძაშვილის შვილის – ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოსთვის გასაგზავნი წერილის წერას. აცნობებს თბილისურ ამბებს, სად და ვისთან მოილხინეს, ვინ სად გაემგზავრა და ვინ საით აპირებს. მოკითხვას უთვლის და კოცნას უგზავნის ადრესატის ქალიშვილებს, ელენეს და ნინოს და ღმერთს ავედრებს მათ მფარველობას.

1879

13 ივნისი

წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და აცნობებს, რომ თავად-აზნაურთა მარშალმა დავით სუმბათაშვილმა გაუზიარა თავისი მოლოდინი, რომ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე უარს იტყვიან „პრიკაზის“ ვალების პატიებაზე. გრიგოლ ორბელიანის აზრით, მარშალმა უნდა წარადგინოს დამარწმუნებელი თხოვნა, რომ თავად-აზნაურებს აუცილებლად ეპატიოს ეს ვალი. ფიქრობს, განცხადება უნდა იყოს ლოგიკურად დამარწმუნებელი და არა მხოლოდ აღწერითი, როგორც გამზადებული აქვს მარშალს. დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის მოეწონა მისი აზრი, რომ მოხსენებაში ჩანდეს ისიც, თუ როგორ თანდათან ეცემოდა ქართული თავადაზნაურობა მთავარმართებლების განკარგულებებით. ადრესატს სთხოვს, სასწრაფოდ დაიბაროს დავით სუმბათაშვილი და შეადგენინოს ახალი განცხადება.

1879

16 ივნისამდე

თბილისში განჯიდან ჩადის ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, დაღესტნიდან ივანე დავითის ძე ორბელიანი, აქ ხვდებათ დივიზიის მეთაური სერგეი შერემეტევი და გრიგოლ ორბელიანი მათთან ერთად გადაბმით ქეიფობს ზურნის, საზანდრის, სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით ხან ორთაჭალაში – „სანსუსში“, ხან ვერაზე – „კინდრუსტში“.

1879

16 ივნისი

თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას. ულოცავს ვაჟის – ნიკოლოზ დადიანის საქართველოში დაბრუნებას თავის ცოლ-შვილთან ერთად და იმედს გამოთქვამს, რომ ის მამაკაცისეულ მხარეში დამკვიდრდება. სწერს, რომ ნიკოლოზს ზუგდიდი უნდა ერჩივნოს პეტერბურგს და აქ უნდა ხარჯავდეს თავის ნიჭსა და ენერგიას. სწერს, რომ კალიის შემოტევამ ყარაბაღიდან გორამდე და ანანურამდე ყველაფერი გაანადგურა და ახლა მისი უზარმაზარი ღრუბელი კახეთისკენ არის დაძრული. უყვება ნაცნობ-მეგობრების ცხოვრებაში მომხდარი სიახლეების შესახებ, ვინ დაქორწინდა, ვის შვილი შეეძინა და ახალი ვინ ჩავიდა თბილისში.

1879

17 ივნისამდე

იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ ცარსკოე სელოდან გამოგზავნილ ორ წერილს, რომლებიდანაც იგებს, რომ ის გამოჯანმრთელდა მძიმე ავადმყოფობისგან.

- 1879 17-18 ივნისი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ემადლიერება წერილისთვის, რომლითაც აცნობა, რომ სიკვდილს გადაურჩა. სწერს, რომ ის ეგულება თავის ჭირისუფლად. მან და გიორგიმ არ იციან, როგორ უსაზღვროდ უყვარს. სთხოვს პატიებას, თუ როდისმე უნებლიეთ უწყენინებია. გიორგის თუ დაჟინებით ურჩევდა კავკასიაში გადასვლას, მხოლოდ პეტერბურგის მძიმე კლიმატის გამო. ის არასდროს შეეწინააღმდეგება მათ ნებას, მაგრამ არ უნდა, რომ გიორგი წავიდეს ივან ლაზარევის ექსპედიციაში თურქმენეთში – უშეშო, უბალახო და უწყლო ქვეყანაში, სადაც 40 გრადუსი სიცხე და საშინელი ბუზებია.
- 1879 20 ივნისამდე**
 პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს და იგებს, რომ მისმა ვაჟმა – გიორგიმ გამოცდები კარგად ჩააბარა.
- 1879 20 ივნისი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გიორგიმ კარგად ჩააბარა გამოცდები, მაგრამ არასწორად მიაჩნია მათი საგნობრივი თანმიმდევრობა.
- 1879 25 ივნისამდე**
 წერს ლექსს „ფსალმუნი“.
- 1879 25 ივნისი**
 ილია ჭავჭავაძეს წერილთან ერთად უგზავნის ახლადდაწერილ ლექსს „ფსალმუნი“, მოკრძალებულად სთხოვს, რომ იგი მეუღლეს – ოლღა გურამიშვილსაც წააკითხოს და, თუ მოეწონებათ, გამოაქვეყნოს.
- 1879 ივნისი**
 ტაბახმელიდან წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს, სწერს ახლობლების ამბებს, ურჩევს მალე დაბრუნდეს და მოიკითხავს მის ქალიშვილებს, ელენე და ნინო ოკლობჟიოებს.
- 1879 ივნისი**
 ჟურნალ „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსს „ფსალმუნი“.
- 1879 11 ივლისამდე**
 იღებს ბიძაშვილის შვილის, სოფიო ერისთავ-ორბელიანის, მიერ კარაღეთიდან გაგზავნილ წერილს.

- 1879 11 ივლისამდე**
სპეციალური სახელმწიფო კომისია განიხილავს ქართველი თავადაზნაურობისთვის „პრიკაზის“ ვალების ჩამოწერის საქმეს და წარმოადგენს სამ სავარაუდო ვერსიას, რომელთაგან არც ერთი არ ითვალისწინებს ვალების სრულად ჩამოწერას, ქართველი თავადაზნაურობა კი არც ერთზე არ სთანხმდება და ამ ვალებისგან ისევ სრულად განთავისუფლებას ითხოვს.
- 1879 11 ივლისი**
იმყოფება ტაბახმელაში, წერს ბიძაშვილის შვილის – სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გასაგზავნ წერილს და უყვება სახელმწიფო „პრიკაზის“ ვალების ჩამოსაწერად შექმნილი კომისიის მუშაობის შესახებ.
- 1879 12 ივლისი**
ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ცოლი ელისაბედ ბარათაშვილი-ორბელიანისა გარდაცვლილი მეუღლის სახელზე კუმისის ეკლესიაში ატარებინებს წირვას, რომელსაც ესწრებიან ნათესავები, მაგრამ გრიგოლ ორბელიანს ძალა არ ჰყოფნის წასასვლელად.
- 1879 12 ივლისი**
იმყოფება ტაბახმელაში და აგრძელებს ბიძაშვილის შვილის – სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გასაგზავნი წერილის წერას. აცნობებს, რომ მისი ქმრის, ივანეს, დადესტნიდან თბილისში გადაყვანასთან დაკავშირებით სთხოვა დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გადაყვანით ხელფასი დააკლდებოდა. ამიტომ, ურჩია ცოტა დალოდება, სანამ უკეთესხელფასიანი ვაკანსია არ გამოჩნდებოდა.
- 1879 17 ივლისი**
კოჯორში ესწრება როტონდის გახსნას. შუალამემდე გრძელდება მუსიკა, ცეკვა და ვახშამი.
- 1879 20 ივლისი**
ტაბახმელიდან ცარსკოე სელოში 600 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. წუხს, რომ ჯერ კიდევ სუსტადაა და არა აქვს მეტი თანხა მათთვის გასაგზავნად. ისევ სთავაზობს საქართველოში ჩასვლას, რადგან პეტერბურგი მისთვის არახელსაყრელია როგორც ფინანსურად, ისე – ჯანმრთელობისთვის. აცნობებს, რომ ივანე ლაზარევის ექსპედიციისთვის მზადება არ დასრულებულა, მაგრამ ძნელად წარმოუდგენია რაზმი 20 აქლემით.

1879

18 აგვისტო

ტაბახმელიდან კოჯორში ბიძაშვილის ქმარს, ალექსეი ოპოჩინინს, უგზავნის წერილს და თან ურთავს გენერალ ივან რეიტერისა და თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლის, დავით სუმბათაშვილის, მიერ შედგენილ სიას, ვინ მიიწვიონ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის საქართველოდან რუსეთში გადაყვანასთან დაკავშირებულ გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე. სთხოვს, გადახედოს სიას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის, დაამატოს, ვისაც ზედმეტად მიიჩნევს, გადახაზოს და უკანვე გაუგზავნოს. ასევე, სთხოვს, შეატყობინოს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის ბორჯომიდან დაბრუნებისა და ადრესატის ბორჯომში გამგზავრების თარიღები, რომ ოპტიმალური დრო შეარჩიოს თბილისში ორივე მათგანთან შესახვედრად.

1879

22 აგვისტო

250 მანეთთან ერთად ტაბახმელიდან ცარსკოე სელოში მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ატყობინებს ორ სამწუხარო ამბავს: ივან ლაზარევის დაღუპვას ტეკინების ექსპედიციის დროს და გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკაიას, ქმრის, დიმიტრი სვიატოპოლკ მირსკის, რუსეთში გადასვლას საცხოვრებლად. სწერს, რომ ძალიან მოსწონდა ეს ადამიანი და გაუჭირდება მასთან განშორება, მაგრამ უფრო ცუდ მდგომარეობაშია სოფიო, რომელმაც არც კი იცის, სად და როგორ იცხოვრებენ.

1879

25 აგვისტო

ტაბახმელიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას, ულოცავს ქალიშვილის, სალომეს, მშვიდობით მშობიარობას და შვილიშვილის დაბადებას. უყვება თბილისის ამბებს და სიამაყით ამბობს, რომ მისი გამოზრდილი მეზრძოლებისგან საუკეთესო მეთაურები დადგნენ. დიდი სიყვარულით მოიკითხვას ადრესატის ოჯახს და სთხოვს, რომ შეეხმიანონ ხოლმე.

1879

27 აგვისტო

ტაბახმელიდან ჩადის თბილისში გარდაცვლილ გენერალ ლაზარევიან უკანასკნელად გამომშვიდობებისათვის.

1879

29 აგვისტო

ტაბახმელიდან ბეთანიაში წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის, მოიკითხავს მის ქალიშვილს, მარიამ (მაკა) ნიკოლაი-შარვაშიძისას და სიძეს, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეს. უყვება ივან ლაზარევის დაკრძალვის შესახებ ვანქის ტაძარში და იგონებს ამ უკანასკნელის დამსახურებებს. სწერს, რომ მალე შეხვდება თბილისში.

1879

29 აგვისტო

ტაბახმელიდან ბრუნდება თბილისში.

1879

13 სექტემბრამდე

იღებს დავით ჭავჭავაძის მიერ წინანდლიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს, დაეხმაროს მის მეუღლეს, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისას, კავკასიის მთავარმართებლის – მიხეილ რომანოვისთვის წერილის გადაცემაში, რომელშიც უხსნის ვალებით გამოწვეულ მათს მდგომარეობას და სთხოვს დახმარებას.

1879 13 სექტემბერი

წინანდალში საპასუხო წერილს უგზავნის დავით ჭავჭავაძეს და უხსნის, რომ ახლა ძალიან ცუდი დროა მიხეილ რომანოვისთვის თხოვნის გადასაცემად. სწერს, რომ იმ დღეებში მეფისნაცვლის საბჭოში განსახილველად შედის მთელი საქართველოს თავადაზნაურობისთვის „პრიკაზის“ ვალების პატიების საქმე. თუ იგი დადებითად გადაწყდება, დავით ჭავჭავაძეს ისედაც ეშველება და, თუ უარყოფითად დასრულდება, მეფისნაცვალი ამის შემდეგ უფრო იოლად დასთანხმდება დავითის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც ხაზინას ბევრად ნაკლები დაუჯდება. სწერს, რომ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი ოთხი თვით გაუშვეს შვებულებაში და ოჯახთან ერთად გაემგზავრა რუსეთში. უყვება ნათესავ-ახლობლების ამბებს და მოიკითხავს ადრესატის ოჯახს.

1879 18 სექტემბერი

თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და აცნობებს, რომ ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი მოსკოვში გადავიდა. გახარებულია, რომ მან ქალიშვილი და სიძე თან არ წაიყვანა, რადგან ძალიან უყვარს მკაპა, რომელიც თავისი დროის ქართველ ქალებს აგონებს. უამბობს, რომ თურქმენი ტომების, ტეკინების, დასაპყრობად ორგანიზებულ ექსპედიციაში, სადაც მისი ვაჟი – გიორგი აპირებდა წასვლას, მრავალი დახოცილი და დაჭრილია. იცის, რომ გიორგი მთელი დღე დაკავებულია სამსახურით და არ სწყინს, რომ ვერ სწერს.

1879 20 სექტემბერი

თბილისიდან კურსკი-ხარკოვის რკინიგზის სადგურ ლიუბოტინში წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ თანაშემწეს, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, რომელმაც გადაწყვიტა პეტერბურგში გადასვლა. სწერს ახლობლების ამბებს და მოიკითხავს მის ძმას, ნიკოლოზს.

1879 21 ოქტომბერი

თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და სწერს, რომ სომეხი ეპისკოპოსის, სარგის ჯალალიანცის, წიგნში „მოგზაურობა დიდ არმენიაში“ მოთხრობილია ორბელიანების გვარის დეტალური ისტორია. უამბობს დოდის შესახებ. აცნობებს, რომ თბილისს ესტუმრა არქეოლოგი ცოლ-ქმარი – ალექსეი და პრასკოვია უვაროვები. გაოცებულია ქალი არქეოლოგით, რომელიც მონაწილეობს გათხრებში, სამარხებში თავად ეძებს ჩონჩხებს, ძვლებსა და ძველ ნივთებს. სწერს, რომ 1881 წელს თბილისში ჩატარდება მეცნიერ არქეოლოგთა ყრილობა. ნელ-ნელა კავკასია კარგავს მრისხანე მებრძოლ სახეს და უერთდება მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებს.

- 1879 27 ოქტომბერი**
 იღებს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, კანცელარიის უფროსის, სერგეი ტრუბეცკოის, წერილს და დოკუმენტებს, რომელთა გადახედვასა და მეფისნაცვლისთვის ანგარიშის წარდგენასაც ითხოვს ადრესანტი. საქმე ეხება ყარაიას მიწების შემსყიდველთა სამეთვალყურეო კომიტეტისა და მამულის ზედამხედველის თხოვნას კალიისგან მოსავლის განადგურების გამო მიწის გადასახადზე შეღავათის დაწესების შესახებ. გრიგოლ ორბელიანი შუამდგომლობს ამ თხოვნის დაკმაყოფილებას.
- 1879 31 ოქტომბერი**
 ყაზია ახუნდი მირყასუმოვის ხელით თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, რომ ბარათის მიმტანს მფარველობა გაუწიოს. სწერს, რომ ის აღარ არის დამბეზღებელი და თავმდებად უდგებიან ირანის კონსული და ოფიციალური პირები. აცნობებს, რომ თბილისი-ბაქოს რკინიგზის პროექტი იმპერატორმა დაამტკიცა და მალე დაიწყებენ მშენებლობას.
- 1879 1 ნოემბერი**
 თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ესწრება „კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების“ სხდომას, ზის პრასკოვია შჩერბატოვა-უვაროვას გვერდით და ისმენს მოხსენებებს.
- 1879 2 ნოემბერი**
 წერს ილია ჭავჭავაძესთან გასაგზავნ წერილს.
- 1879 3 ნოემბერი**
 მიხეილ საბინინის წერილთან ერთად ბარათს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და სთხოვს წერილის ადრესანტის დახმარებას საქართველოს ეკლესიის ისტორიის გამოცემასა და ლაიფციგიდან ქართველ წმინდანთა გამოსახულებების შესყიდვაში. ფიქრობს, რომ ბანკის წევრთა საერთო კრების დალოდებით ან ხელმოწერებით თანხის შეგროვებით საქმე გაჭიანურდება. ამიტომ სთხოვს, ეს გადაწყვეტილება ბანკის საერთო კრების თანხმობის გარეშე მიიღოს.
- 1879 8 ნოემბერი**
 დღის პირველ ნახევარში მეფისნაცვლის სასახლის პორტრეტებიან დარბაზში ესწრება წვეულებას, სადილად კი, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მიწვევით, მიდის ინგლისურ კლუბში, სადაც საღამომდე რჩებიან და თამაშობენ ბოსტონს.
- 1879 9 ნოემბერი**
 თბილისიდან პოლტავაში წერილს უგზავნის დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის. სწერს, რომ უკვე ძალიან ენატრება ადრესატი და მისი მეუღლე, სოფიო ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა. უყვება არქეოლოგიური ყრილობის ამბებს. ძალიან მოსწონს პრასკოვია და ალექსეი უვაროვები. უკვირს, რომ 30 არქეოლოგს შორის, რომლებიც თბილისში იყვნენ ჩასული, ორი ქალბატონიც არის. წერილი გაუგზავნელი რჩება.

- 1879 11 ნოემბერი**
 თბილისიდან პოლტავაში 9 ნოემბერს დაწერილ წერილს უგზავნის დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის და სწერს, რომ ნაქეიფარზე მისი გაგზავნა დაავიწყდა.
- 1879 12 ნოემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 375 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სთხოვს, გიორგი მინდობილობა გაუგზავნოს, მიხეილ ალექსი-მესხიშვილს, რომ მან შეძლოს გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის ანდერძის საქმის მის სასარგებლოდ დასრულება.
- 1879 13 ნოემბერი**
 ცენზურა გასცემს ნებართვას მისი ლექსების კრებულის მეორედ გამოცემაზე.
- 1879 16 ნოემბერი**
 ნახულობს თბილისის ოფიცერთა საცხოვრებელს და ისმენს მათს მოთხოვნებს.
- 1879 17 ნოემბერი**
 წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის, და აცნობებს, რა მოთხოვნები აქვთ ოფიცერთა პალატის წევრებს. სწერს, რომ ისინი ითხოვენ ბიბლიოთეკის წიგნების განახლებასა და ფანჯრებზე სარკმლების დამატებას.
- 1879 21 ნოემბერი**
 პეტერბურგიდან იღებს დეპეშას, რომლითაც აცნობებენ კურსკის რკინიგზის სადგურზე ალექსანდრე II-ზე მომხდარი კიდევ ერთი თავდასხმის ამბავს.
- 1879 23 ნოემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აღშფოთებული სწერს, რომ იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმა რუსეთის სირცხვილია.
- 1879 26 ნოემბერი**
 პოლტავაში გარდაეცვალა ბიძაშვილი, სოფიო ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა.
- 1879 26 ნოემბრის შემდეგ**
 ემებს წინა დღეს მიღებულ დეპეშას, რომელიც სჭირდება წითელი ჯვრის სამმართველოსთან დაკავშირებით მითითების გასაცემად, მაგრამ ვერ პოულობს. ქაღალდების გროვიდან, რომელშიც ემებს, უცებ ხელში მოხვდება თავისი ბიძაშვილის – სოფიო ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისთვის 1878 წლის 29 აგვისტოს გასაგზავნი წერილი და კითხულობს. ამ დროს მასთან მიდის სოფიოს სიძე – ივანე მამუკას ძე ორბელიანი, რომელიც აცნობებს სიდედრის გარდაცვალებას. გრიგოლი გაოგნებული რჩება ამ დამთხვევით.

1879 30 ნოემბერი

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიამი „აკაკი წერეთელს“ ანტონ ფურცელაძე ცნობილ ქართველ პოეტს შეახსენებს, რომ კონკრეტული პიროვნებების შესახებ მწარე ფელეტონები მასაც აქვს დაწერილი და ამაში მხოლოდ სხვების დადანაშაულება არ ეკადრება. კონკრეტულად, მიანიშნებს გრიგოლ ორბელიანზე დაწერილ შარჟებზე „დათვი ორ-ბელიანი“ და „იანარალ-ხარაბუზა“.

1879 7 დეკემბერი

ესწრება ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, დაკრძალვას ქაშვეთის ეკლესიის გალავანში. გარდაცვლილისთვის პატივის მისაგებად მიდის უამრავი ხალხი, მათ შორის, – მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვიც.

1879 17 დეკემბერი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს, და თან ურთავს საჰყალტუთანის მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ საბუთებს. სთხოვს, სასწრაფოდ გადასცეს იურისტ ვასილ მაჩაბელს, რომ მისი აღნიშნული ყველა დეტალი შეისწავლოს. სენატს გადაწყვეტილი აქვს ამ მიწის წართმევა და, იმისათვის, რომ ეს არ დაუშვან, კარგად უნდა იყვნენ მომზადებულები.

1879 17 დეკემბრის შემდეგ

აჭარელი შარი-ბეგის ვაჟის, ჯემალის, ხელით, რომელიც პეტერბურგში იმპერატორის დაცვაში იწყებს სამსახურს, წერილს უგზავნის ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს. სწერს, რომ ყმაწვილის მამა დიდად დაეხმარა რუსეთის ჯარს აჭარის კვლავ შემოერთების საქმეში. სთხოვს, ყურადღება მიაქციოს ამ ახალგაზრდას, ასწავლოს და თვალყური ადევნოს, რომ ცუდ წრეში არ მოხვდეს. სწერს სამხედრო თანამდებობებზე მომხდარი გადაადგილებების შესახებ, ასევე, ატყობინებს, რომ საჰყალტუთანის მიწებთან დაკავშირებით საბუთები გაუგზავნა ვასილ მაჩაბელს და, თუ კიდევ რამეა საჭირო, შეატყობინონ.

1879 18 დეკემბერი

თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და უზომო მწუხარებას გამოთქვამს ბიძაშვილის – სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის გარდაცვალების გამო. სთხოვს, გიორგიმ სასწრაფოდ გადასცეს ვასილ მაჩაბელს საჰყალტუთანის მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული საბუთები, რომლებშიც აღნიშნული აქვს სენატის არასამართლიან დამოკიდებულებაზე მიმანიშნებელი ყველა წვრილმანი. ამ მითითებების მეშვეობით მაჩაბელს გაუიოლდება საქმის წარმართვა და იმის დემონსტრირება, თუ როგორ ჩქმალავენ სიმართლეს სენატორები.

1879 27 დეკემბერი

ბიძაშვილის – სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისთვის გასაგზავნად 1878 წლის 29 აგვისტოს დაწერილ ბარათზე აკეთებს მინაწერს იმის შესახებ, თუ როგორ შემთხვევით იპოვა ეს გაუგზავნელი წერილი ქაღალდებში ზუსტად იმ დღეს, მაგრამ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე შეიტყობდა ადრესატის გარდაცვალების ამბავს.

1880

-მდე

წერილს იღებს ისაკ თუმანიშვილისგან. იგი ბოდიშს უხდის იმისათვის, რომ საქმე გამოუჩნდა და მასთან ერთად ვერ წავა სალამოზე. ჰპირდება, რომ, როგორც კი გათავისუფლდება, აუცილებლად მივა.

1880

დასაწყისი

ზაქარია ჭიჭინაძე გამოსცემს გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულს. მასში შესულია ლექსები: „ანტონს“, „წერილი ლექსები“, „ეკ. ჭავ...სას“, „მტირალი ნ... ს...“, „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს“), „მ...დმი“ („მნათობო, თვით შენ აღმიხსენ“), „გამოსალმება ს-ს“, „მირზაჯანას ეპიტაფია“, „დავითს (ჟუკოვსკიდან)“, „ლხინი (მიბაძვა პუშკინისა)“, „ღამე“, „იარალის“, „ვირი და ბულბული (კრილოვიდამ)“, „სოფლელნი და მდინარე (კრილოვიდამ)“, „ნადირთა ჭირი (კრილოვიდამ)“, „მუხამბაზი“ („არავისთვი მე დღეს არა მცალიან...“), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „ნ...“ („ჰე, საყვარელო, ვის მიერ), „ჩემს დას ეფემიას“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო მოლხინენო...“), „ს...ს“, „მ...დმი“, „ჩემი ეპიტაფია“, *** („როს გხედავ, მნათო“), „ალბომში ღ. ოპ“, *** („ვინცა გნახოს...“), „სალამო გამოსალმებისა“, უსათაურო („ჰეი, გონებავ...“), „მიბაძვა პუშკინისა“ („სიცოცხლე ფუჟო), „მოგონება“, „დიმიტ. ონ-ის დარდები“, „მუხამბაზი“ (ლოპიანასი), „ლექსი ლერმონტოვიდამ“, „სადლეგრძელო“, „თ. ალექ. ვახ-ძეს ორბელიანს“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მუშა ბოქულაძე“, „ფსალმუნი“, „პასუხი შვილებთ“.

1880

იანვრის დასაწყისი

იღებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის დეპეშასა და წერილს ახალი წლის მილოცვით.

1880

5 იანვარი

ცარსკოე სელოდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს, რომლითაც სთხოვს 4500 მანეთს მამულებზე მიმდინარე დავის დასასრულებლად.

1880

10 იანვარი

ესწრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომას ილია ჭავჭავაძესთან, რაფილ ერისთავთან, ნიკო ცხვედაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, ივანე მაჩაბელთან და სხვებთან ერთად.

1880

13 იანვარი

თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას. სწერს, რომ ძალიან დამწუხრებულია ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკაიას, გარდაცვალების გამო. ატყობინებს, რომ გარდაცვლილის ქმარი პეტერბურგში გამოიძახეს, რადგან არჩეულია სახელმწიფო საბჭოს წევრად. უყვება სხვა ახლობლებისა და ნაცნობების ამბებსაც და სწერს, რომ ნატო გაბუნიას თამაშმა ალაფრთოვანა თეატრის მოყვარულები, მას კი მგლოვიარობის გამო ჯერ არ უნახავს.

1880

20 იანვარი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. მამულების შესახებ 60-წლიანი დავის დასასრულებლად 4500 მანეთის გაგზავნის შესახებ პასუხობს, რომ მისი ფინანსები იწურება. ასეთი თანხის თავისუფლად განკარგვა რომ შეეძლოს, მას და გიორგის გაჭირვებაში არ აცხოვრებდა. ამ თანხის საშოვნელად საჭირო იქნება ალება ვალისა, რომლის დაფარვას 5-6 წელი დასჭირდება და ამ ხნის მანძილზე მათ უნდა მოაკლდეთ საარსებო საშუალება. ფიქრობს, ასეთ საზღაურს, ჯობს, დაიღუპოს მამულის საქმე, მიენდოს ბედსა და სენატის სამართალს, თუმცა ჰპირდება, რომ მაინც არ გაჩერდება და და იმპერატორამდე მივა. მაინც მზად არის გაიღოს 1000 მანეთი და ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ მომხსენებელმა სიმართლე თქვას. ვასილ მაჩაბელმა რომ დაარწმუნოს ის პირი, რომელთანაც აქვს საქმე, დიდ სამსახურს გაუწევდათ.

1880

21 იანვრამდე

ერთად იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, და იურისტ ვასილ მაჩაბლის წერილებს. ეს უკანასკნელი ატყობინებს, რომ საჰყალტუთანის საქმესთან დაკავშირებით საჭიროა 500 მანეთი და, საქმის მოგების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება კიდევ 4000 მანეთი.

1880

21 იანვარი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ივანეკონსტანტინეს ძე ორბელიანს, ატყობინებს, რომ საჰყალტუთანის საქმის მოგების შემთხვევაში გადაახდევინებენ კიდევ 4000 მანეთს. სწერს, რომ ამოდენა თანხას თავს ვერ მოუყრის და ურჩევნია, გარიგება აღარავისთან დადოს და სენატში საქმე თვითდინებაზე მიუშვას, იქნებ გონება გაეხსნათ და დაინახონ მისი უდავო სამართლიანობა. სწერს, რომ ამაში მისი დახმარებაც დასჭირდება.

1880

24 იანვარი

წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს. აცნობებს, რომ იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ექვსი წლის წინ უბრძანა მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს, რომ ანასტასია ორბელიანი-გაგარინასთვის მიეცათ მამული. დიდი მთავრის წარდგენით 5000 დესეტინა უნდა გაეცვალათ ბაქოში ნავთობიანი მიწის 10 დესეტინაზე. სთხოვს, დაეხმაროს ანასტასიას, რომ დიდ მთავარს გადაწყვეტილება აღარ შეაცვლევინონ.

1880

27 იანვრამდე

თავისი ბიძაშვილის შვილის – ბარბარე ანდრონიკეს ასულ ანდრონიკაშვილისგან იღებს წერილს და ძღვნად მირთმეულ ღვინოს.

1880

27 იანვარი

წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ბარბარე ანდრონიკაშვილს. მადლობას უხდის ყურადღებისთვის და უყვება თბილისის ამბებს. სწერს, რომ დიდი მოწონებით სარგებლობს ორშაბათობით გენერალ პოლიბინისა და სამშაბათობით გენერალ ვეისენგოფის საღამოები. სწერს, რომ ნატო გაბუნიას ნიჭით საზოგადოება აღფრთოვანებულია, დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი კი, შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტადაც არის მოხიბლული.

1880

9 თებერვალი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს. აინტერესებს სასამართლო დავის დასასრულებლად 4500 მანეთი რაში უნდა გადაიხადონ. ესმის, ადვოკატს გადაუხადონ შრომატევად სამუშაოში, კლიენტის ინტერესების დაცვაში, პროკურორის დასკვნის უარყოფაში, მაგრამ, როგორც ხვდება, თანხა ამისთვის არ უნდათ. თუ აპირებენ, რომ მოისყიდონ სასამართლო, ის ამას ვერ გააკეთებს. უგზავნის კიდევ ერთხელ თავის განმარტებით ბარათს, სთხოვს, აჩვენოს ნებისმიერ ადვოკატს და დარწმუნდება, რომ საქმე სამართლიანია ყოველგვარი ეჭვის გარეშე. თუ შეძლებს, მიუტანოს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის და ის დააკვალიანებს. შეუძლია, რჩევისთვის მიმართოს დიმიტრი სვიატოპოლკ მირსკისა და მიხეილ ლორის-მელიქოვსაც.

1880

19 თებერვლამდე

პეტერბურგიდან იღებს ვასილ მაჩაბლის წერილს, რომელშიც დაწვრილებითაა ახსნილი, რისთვის არის საჭირო 4500 მანეთის გადახდა სენატში განსახილველ სადავო საქმესთან დაკავშირებით.

1880

19 თებერვალი

თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. აცნობებს, რომ ვასილ მაჩაბელმა ყველაფერი აუხსნა. შეცდომა იყო ის, რომ დაუჯერა იურისტებს, რომლებმაც თქვეს, რომ სენატში ადვოკატები არ დაიშვებიან. ფიქრობს, ადვოკატის შრომა დაფასებული უნდა იყოს და ვასოს ჯერ გაუგზავნის 500 მანეთს, 4000 მანეთს კი – მათ სასარგებლოდ საქმის დასრულების შემდეგ. სთხოვს, გადასცენ მაჩაბელს, რომ დასაცავი მიწა მათი მამაპაპეული მამულია და ამაყად შეუძლია განაცხადოს, რომ თავად ორბელიანებს არასდროს სხვისი ქონება არ მიუთვისებიათ. დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც სენატს გაყალბებულად მიაჩნია, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ჯერ კიდევ მეფეების დროიდან მათ ეკუთვნით არა მხოლოდ საჰყალტუთანი, არამედ – კუმისი და სოღანლუდიც.

1880

20 თებერვალი

პიატიგორსკის მაზრის სოფლების – ტემპელგოფისა და ორბელიანოვკის მცხოვრებლებისგან იღებს დეპეშას, რომლითაც სთხოვენ, რომ კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეშვეობით ტახტზე აღსაყდრების 25 წლისთავთან დაკავშირებით მილოცვა გადასცენ მის ძმას, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს.

1880

21 თებერვალი

პიატიგორსკის მაზრის სოფლების – ტემპელგოფისა და ორბელიანოვკის მცხოვრებლებისგან წინა დღით მიღებულ დეპეშასთან ერთად წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის და სთხოვს, თუ შესაძლებლად მიიჩნევს, კავკასიის მეფისნაცვალს წააკითხოს.

1880

24 თებერვალი

უსასყიდლოდ ურიგებს პურს სომხითის ოთხ დამშეულ სოფელს.

- 1880 1 მარტი**
 იოსებ დავითაშვილი უძღვნის ფელეტონს („ენა და ლექსი ნაქები გრიგოლის ორბელისაო, ის არის ყველას მოწყალე, ქვრივის და ობოლისაო“).
- 1880 3 მარტის შემდეგ**
 მიხეილ ლორის-მელიქოვს, რომელსაც ნიშნავენ სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოების სიმშვიდის დაცვის უზრუნველყოფის უმაღლესი კომისიის თავმჯდომარედ და იმპერატორ ალექსანდრე II-ის კანცელარიის მესამე განყოფილების უფროსად, ეძლევა დიდი ძალაუფლება რეფორმების გასატარებლად, მაგრამ ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე და გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან უგზავნის დეპეშას: „მყარად იდექი, თუნდაც სიკვდილის ფასად დაიცავი მთელი რუსეთისათვის წმინდა საქმე და ღმერთი დაგლოცავს“.
- 1880 8 მარტი**
 500 მანეთთან ერთად თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის იურისტ ვასილ მაჩაბელს. სწერს, რომ ეს არის ადრესატის მიერ ორბელიანთა საქმეზე გაწეული ხარჯები და არკვევს ისეთ დეტალებში, რომელთა ცოდნაც მისთვის, როგორც ამ საქმის ადვოკატისთვის, მნიშვნელოვანია.
- 1880 13 მარტი**
 წერილს უგზავნის კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწეს, გენერალ ლევან მელიქიშვილს. აცნობებს, რომ უსამსახუროდ არის დარჩენილი უადრესად ნიჭიერი, მცოდნე და შრომისმოყვარე ადამიანი დიმიტრი ფურცელაძე, რომლის გამოცდილებაც განსაკუთრებით გამოადგებათ მომავალი წლისთვის თბილისში დაგეგმილი არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებლად. სთხოვს, რომ ეს ადამიანი მიავლინოს კიევში, სადაც საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი უამრავი დოკუმენტი და ნივთი ინახება: ძველი ქართული წიგნები, X საუკუნის მეფეთა მიმოწერა, ოქროს ყავარჯენი, თვალ-მარგალიტით შემკული ხატები და საეპისკოპოსო შესამოსელი ქართული წარწერებით, რომლებიც საქართველოს ეპისკოპოსმა, როგორც უფროსმა სულიერმა ძმამ, უძღვნა კიევისას, როდესაც იქ პირველად გაიხსნა საეპისკოპოსო კათედრა. ასეთი ფაქტების გამომზევება მნიშვნელოვნად მიაჩნია იმისათვის, რომ რუსეთმა დაინახოს, „რაცა ყოფილა ოდესმე საქართველო“. ამასთანავე, სთხოვს ახალგაზრდა თათარყან დადემქელიანის შეწევნას სწავლის გასაგრძელებლად.
- 1880 18 მარტი**
 წერილს სწერს თბილისიდან დიმიტრი ჯორჯაძეს. სთხოვს, შეეწიოს მრჩეველ ტერ-ოსეფიანცს მამულის ნახევარ ფასად გამოხსნაში.
- 1880 20 მარტამდე**
 მოსკოვიდან იღებს რძლის დის – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას წერილს. ადრესანტი აღფრთოვანებას გამოთქვამს გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვისთვის გრიგოლ ორბელიანის მიერ გამოთქმული მხარდაჭერით, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია მოსკოვში.

- 1880 20 მარტამდე**
 ცარსკოე სელოდან იღებს ძმისწულის – გიორგი ორბელიანის წერილს და იგებს, რომ ის და დედამისი ჯანმრთელად არიან.
- 1880 20 მარტი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და საყვედურობს, რომ არ ეხმიანებიან. აღშფოთებულია, როდესაც სხვები უყვებიან მათს ამბებს, თვითონ კი არაფერი იცის და დუმს. აცნობებს, რომ ვასილ მაჩაბელს გაუგზავნა 500, მას კი – 200 მანეთი. დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისგან შიშით ელოდებიან პასუხს „პრიკაზში“ თავადაზნაურთა ვალებთან დაკავშირებით. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართველ წარჩინებულებს, რომლებიც იღუპებიან, ვერ შეცვლიან ვერც სომხები და თათრები და ვერც რუსი მოხელეები. სთხოვს, ადრესატმა და გიორგიმ ზაფხული მასთან ერთად გაატარონ ტაბახმელაში.
- 1880 22-23 მარტი**
 თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძლის დას, ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას. აცნობებს, რომ თვალები სტკივა, მაგრამ მისი წერილის მიღებისას და მაგიური სიტყვების წაკითხვისას, ექიმის რჩევა დაავიწყდა და, აკრძალვის მიუხედავად, გადაწყვიტა მიწერა. გახარებულია, რომ მას მოსწონებია გრიგოლის დეპეშა გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვთან. არ უნდა დაიჯეროს, რომ ამხელა იმპერიაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სულით დაცემას. სად არის ის დალოცვილი სახელმწიფო, რომლის ცხოვრება მიმდინარეობდა ძლიერი შიდა რყევების გარეშე. ფიქრობს, რომ სახელმწიფო და ადამიანები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს დროებითი ავადმყოფობებით. რუსეთს უფრო საშიში და სასტიკი მოვლენები ახსოვს. მოჰყავს მაგალითები პეტრე დიდისა და შემდეგი მონარქების მმართველობიდან. რუსეთი ყველა ამ ტირანიის შემდეგ კვლავ აღდგა და გაძლიერდა, მაგრამ მარტო ლორის-მელიქოვი ვერ იხსნის რუსეთს სხვა ძლიერი ადამიანების თანადგომის გარეშე.
- 1880 30 მარტამდე**
 დიდ სიხარულს განიცდის იმის გამო, რომ მისი ნაცნობის, ადოლფ ფოლკენდალენის, ძალისხმევით, ძლიერი ქარიშხლის მიუხედავად, ინგლისიდან ფოთში მშვიდობით ჩამოდის დიდი გემი და ამით დასაბამი ეძლევა ევროპასთან საზღვაო მიმოსვლას.
- 1880 30 მარტი**
 სამხედრო ინჟინერ ადოლფ ფოლკენდალენის ხელით წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის შეფს, მიხეილ ლორის-მელიქოვს, და სწერს, რომ ბარათის მიმტანი ნიჭიერი ადამიანია და, თუ დაასაქმებს, ძალიან გამოადგება. ასევე, სთხოვს, რომ დაეხმაროს პოდპოლკოვნიკ ივან რეიტერს, რომლის ოჯახსაც ახლოს იცნობს და მისამართს წერილთან ერთად უგზავნის. სწერს, რომ ყველა ლოცულობს იმისთვის, რომ ადრესატმა შეძლოს მისთვის დაკისრებული უდიდესი მოვალეობების ღირსეულად აღსრულება.

1880

3 აპრილი

სამგზავროდ განკუთვნილ თანხასთან, 500 მანეთთან, ერთად თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სთხოვს, რომ მან და გიორგიმ ჩასვლა აღარ გადადონ.

1880

7 აპრილი

ვალენტინ ორლოვსკის ხელით წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის შეფს, მიხეილ ლორის-მელიქოვს და სთხოვს, რომ დასაქმებაში დაეხმაროს ბარათის მიმტანს, მის ყოფილ ადიუტანტს, რომელსაც ორივე კარგად იცნობს. სწერს, რომ მან თავი გამოიჩინა 1878 წლის ქიზიყის აჯანყების დროს, როდესაც სწრაფად გამოავლინა დამნაშავეები. კიდევ ერთხელ სთხოვს პეტერბურგში მცხოვრები პოლკოვნიკის, ივან რეიტერის, დახმარებას და დამწუხრებული უყვება, ვინ გარდაიცვალა უკანასკნელ ხანებში მათი ნაცნობ-ახლობლებიდან. ესენი არიან: არქიეპისკოპოსი გაბრიელ აივაზოვსკი, თბილისელი ვაჭარი ივან მირზოევი, საერთო მეგობარი ისაკ თუმანიშვილი, გენერალ გიორგი რევაზის ძე ერისთავის მეუღლე – ანა არლუთინსკაია და კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მეუღლე – ეკატერინე ბრონიცკაია-ვორონცოვისა.

1880

13 აპრილი

სტავროპოლიდან იღებს დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ მისი 2500 დესეტინა მიწის ნაკვეთს გამოუჩნდა მყიდველი და სთხოვენ ადგილისა და საზღვრების ჩვენებას.

1880

13 აპრილის შემდეგ

სტავროპოლიდან მიღებულ დეპეშაზევე აწერს წერილს მიხეილ ალექსი-მესხიშვილისადმი, სწერს, რომ მომიჯნავე მამული დესეტინა 25 მანეთად გაიყიდა, უგზავნის თავისი მიწის ნაკვეთის გეგმას და უთვლის, რომ მან იზრუნოს გაყიდვაზე.

1880

14 აპრილი

თბილისიდან ნუხაში ორ ჯუნგუთაელ ახალგაზრდას ატანს წერილს ბიძაშვილის შვილ – ნიკოლოზ ჭავჭავაძესთან და ადრესატს აცნობებს, რომ ბარათის მიმტანები არიან მისი ნაცნობი ძმების – ქერიმას და ქელემანდას შვილები. ქელემანდას ერთგულების საილუსტრაციოდ იხსენებს ასეთ ამბავს: დასჯილი ქელემანდა გრიგოლს თავის სახლში ჰყოლია ჩაკეტილი, როდესაც ამ სახლს თავს დასხმიან აჯანყებული ჯუნგუთაელები. ქელემანდა ფანჯრიდან გაპარულა, დორღელში ჩასულა და დიომიდე პასეკი ჯარით წაუყვანია გრიგოლის დასახმარებლად. სწერს, რომ ასეთივე ერთგული ქერიმა ყადარის ომში დაუჭრიათ და სთხოვს, რომ მფარველობა გაუწიოს მათ შვილებს, რომელთაგან ერთ-ერთი ციმბირიდან არის გამოქცეული. ასევე სთხოვს კიდევ ერთი ძველი თანამებრძოლის – ჰასანბეგის შვილის დახმარებასაც, რომელსაც მტრები ჰყავს და მათთან მორიგება სჭირდება.

1880

10 მაისი

250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისას და მადლობას უხდის იმისათვის, რომ ზაფხულის პერიოდში საცხოვრებლად დაუთმო საკუთარი აგარაკი ტაბახმელაში.

- 1880 11 მაისი**
 ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს, უგზავნის დახარჯულ 13 მანეთს და მოკლე წერილს. იმედს გამოთქვამს, რომ სხვა დროსაც, როცა მისი დახმარება დასჭირდება, ისევ შეეწევა.
- 1880 19 მაისამდე**
 თბილისში ჩამოდიან მისი რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისწული – გიორგი ორბელიანი.
- 1880 19 მაისი**
 თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს და უბოდიშებს, რომ დროულად ვერ მისწერა. აცნობებს, რომ მთელმა ზამთარმა გლოვაში გაიარა. გარდაიცვალნენ: არქიეპისკოპოსი გაბრიელ აივაზოვსკი, თბილისელი ვაჭარი ივან მირზოევი, ადრესანტის სიყრმის მეგობარი – ისაკ თუმანიშვილი, გენერალ გიორგი ერისთავის მეუღლე – ანა არლუთინსკაია-ერისთავისა და მიხეილ ვორონცოვის მეუღლე – ელისაბედ ბრონიცკაია-ვორონცოვისა. წუხს ხანგრძლივი ყინვების, სიძვირისა და კალიის შემოსევის გამო. ატყობინებს, რომ „პრიკაზის“ საქმე სამი წლით გადავადდა და იმედოვნებს, რომ თავადაზნაურობა მამულებს გამოიხსნის. აცნობებს, რომ ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი თბილისში ჩამოვიდა ქალიშვილის, მაკას, მშობიარობის გამო და ბედნიერია შვილიშვილის დაბადებით.
- 1880 29 მაისი**
 თბილისიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და საყვედურობს, რომ წავიდა და აღარ იხედება საქართველოსკენ. აცნობებს, რომ ურიცხვი საზარელი კალია შეესია ქვეყანას ბაქოდან მოყოლებული სურამამდე და დუშეთამდე. წუხს, რომ საქართველოს უბედურება მოელის, ომის შედეგად შემოერთებული ყარსი დაცარიელდა და ახალშემოერთებული სხვა ოლქებიც აპირებს გადასახლებას.
- 1880 არა უგვიანეს 31 მაისი**
 წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და უყვება თავისი ბიძაშვილების: ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოსა და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლეებს, ივან ოკლობჯიოსა და დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის, შორის მომხდარი უთანხმოების შესახებ.

1880

25 ივნისი

წერილს უგზავნის გარდაცვლილი ბიძაშვილის – სოფიოს მეუღლეს – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის. სთხოვს, აცნობოს თავისი ამბები, რადგან წასვლის შემდეგ მის შესახებ არაფერი სმენია. სწერს, რომ სიცხის გამო ზოგი ესენტუკში მიემგზავრება, ზოგი - ბორჯომში, თვითონ კი როგორც კონსერვატორ-პატრიოტს, არ შეუძლია გასცდეს ტაბახმელას, სადაც წაიყვანს რძალს და ძმისწულ გიორგის, რომლებიც არც ისე აღტაცებულნი არიან თამარ მეფის საყვარელი საზაფხულო ადგილით. ატყობინებს, რომ დატაკდება და იღუპება ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც მრავალ მტერს გადაურჩა. უკვირს, რომ უმამულოდ და უსახლკაროდ დარჩენილი თავადები რუსეთის დიდი მონარქის მფარველობის ქვეშ იღუპებიან. იცის, რომ პირადად მან შეასრულა თავისი ვალი, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო და, თუ დაიღუპებიან ქართველი თავადები, იცოდნენ, რომ მათ ვერავინ შეცვლის: ვერც თათრები, ვერც სომხები და ვერც რუსი ჩინოვნიკები, რომელნიც შეუდარებელნი არიან ხალხთა სიძულვილში.

1880

7 ივლისამდე

თბილისიდან ადის ტაბახმელაში და მგზავრობის შემდეგ ისვენებს.

1880

7 ივლისი

ტაბახმელიდან თბილისში მოკლე წერილს უგზავნის რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილს, ანასტასია ჩერქეზიშვილს. სწერს, რომ თბილისის ზემოთ კვამლის თუ მტერის დიდი ღრუბელი ჩანს და ვერ გაურკვევია, რა არის. სთხოვს, მისწეროს, როგორ არიან და რა ხდება.

1880

11 ივლისი

ტაბახმელიდან კოდაში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და აცნობებს ტაბახმელისა და კოჯრის ამბებს. სთხოვს, რომ მისი რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისწულის – ანასტასია ჩერქეზიშვილის ქორწილში ის და მისი მეუღლე – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა აუცილებლად ჩავიდნენ.

1880

15 ივლისი

თბილისიდან ხარკოვში წერილს უგზავნის გარდაცვლილი ნათესავის, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, ქალიშვილს, მარიას, უყვება მისი ქართველი ნათესავებისა და საქართველოს ამბებს და დიდი პატივისცემით მოიკითხავს ადრესატის აღმზრდელ ბებიას, მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვას.

1880

16 ივლისი

თბილისიდან ისევ ბრუნდება ტაბახმელაში.

1880

18 ივლისი

ტაბახმელიდან წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ ორბელიანისას, მოიკითხავს და აცნობებს, რომ მისი ძმისწული გიორგი ორბელიანი თეთრიწყაროში გაემგზავრა ალექსანდრ ანატოლის ძე ბარიატინსკისთან.

- 1880 19 ივლისი**
ტაბახმელაში მასთან სტუმრად მიდის ბიძაშვილის შვილის, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს, ქალიშვილი ელენე და ეუბნება, რომ მამამისი ივან ოკლობჯიო თბილისში დაბრუნდა და ისევ ავადმყოფობს.
- 1880 20 ივლისი**
ტაბახმელაში მასთან სტუმრად მიდის რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ბორჩალოელი ისრაფილ-ბეკ ედიგაროვი, სადილად რჩება და სადამოს ისევ თბილისში ბრუნდება.
- 1880 20 ივლისი**
ტაბახმელიდან კოდაში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და მოუთხოვრებს იქაურ ამბებს.
- 1880 18 აგვისტო**
ტაბამელაიდან ნუხაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და საყვედურობს, რომ არ ეხმიანება და სხვისგან გაიგო მისი ავადმყოფობის ამბავი. აცნობებს, რომ თავადაზნაურობა გალარიბებას აღარ დაეძებს, მალე სახლებიდანაც გამოყრიან; რომ ამასთან დაკავშირებით პეტერბურგში მისწერა დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის. უნდა, რომ მან უშუამდგომლოს იმპერატორთან ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა რუსეთს.
- 1880 20 აგვისტო**
მოულოდნელი აცივების გამო ტაბახმელიდან ბრუნდება თბილისში.
- 1880 24 აგვისტო**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს და იგებს, რომ ის და მისი ვაჟი გიორგი კარგად არიან.
- 1880 28 აგვისტომდე**
ნიკოლოზ ჭავჭავაძე პეტროვსკიდან აცნობებს, რომ გიორგისთვის გასაგზავნი ცხენი უკვე ჰყავს და სთხოვს, დაუზუსტოს, ვლადიკავკაზში ვისთან გაგზავნოს და როდის.
- 1880 28 აგვისტომდე**
ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკში დეპეშას უგზავნის ძმისშვილს, გიორგი ორბელიანს, და ეკითხება, როდის და ვისთან გადაგზავნოს ნიკოლოზ ჭავჭავაძემ მისი ცხენი.
- 1880 28 აგვისტომდე**
წერილს იღებს თეოდორ რადეცკის მეუღლისგან, რომელიც საყვედურობს მისი ქმრისადმი არასწორი დამოკიდებულების გამო. გრიგოლ ორბელიანს სურს, რომ პასუხი მისწეროს და აუხსნას რაღაც დეტალები, მაგრამ ქალბატონის სახელი არ იცის და ერიდება ისე მიწერა.

- 1880 28 აგვისტო**
მასთან მიდის მღვდელი ბესარიონი და აცნობებს, რომ გიორგის სურვილი აქვს, პეტერბურგიდან გადავიდეს კავკასიის კავალერისტთა რომელიმე პოლკში.
- 1880 28 აგვისტო**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ გიორგისთვის ცხენის შესაძენად ელოდება თათარი მეჯოგეების მთებიდან ჩამოსვლას. სწერს, რომ ივანე დავითის ძე ორბელიანი დაუბრუნდა თავის სამსახურს ბოტლიხში და ნიკოლოზ ჭავჭავაძე მისით კმაყოფილია, მაგრამ ფიქრობს, რომ პეტერბურგში ცხოვრების შემდეგ იქ ზამთრის გატარება გაუჭირდება. შეახსენებს, რომ, როდესაც გიორგიმ პაჟთა კორპუსი დაამთავრა და სამსახური უნდა დაეწყო, ადრესანტმა არაერთგზის გააფრთხილა, რომ კავალერგარდისა და ლეიბგვარდიის ხარჯებს ის ვერ გასწვდებოდა. რადგან მისი სურვილი მაინც ასეთი იყო, არ შეეწინააღმდეგა და იმედი ჰქონდა, რომ როტმისტრის წოდებას მიიღებდა და შემდეგ კავკასიის რომელიმე პოლკში პოდპოლკოვნიკად გადავიდოდა. რადგან ახლა გადაუწყვეტია კავკასიაში გადასვლა, სწერს, რომ ყოველმხრივ დაეხმარება, პირველ რიგში, დაელაპარაკება ზაქარია ჭავჭავაძეს და მასაც ჰკითხავს რჩევას. სთხოვს, მისწეროს თეოდორ რადეცკის მეუღლის სახელი, რომ შეძლოს წერილზე პასუხის გაცემა.
- 1880 30 აგვისტო**
სადილობს თბილისის ინგლისურ კლუბში და თამაშობს ბანქოს.
- 1880 31 აგვისტო**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ ბარბარე და ალექსეი ოპოჩინინები კოჯრიდან დაბრუნდნენ და საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა მათი ვაჟი პეტრეც, მეუღლესთან ერთად. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა სტუმრად არის თავის ძმასთან, დავითთან. წერილთან ერთად უგზავნის იმ წერილებსა და დეპეშებს, რომლებიც მის სახელზე მიუვიდა მათი თბილისიდან წასვლის შემდეგ. სწერს, რომ ესაუბრა ზაქარია ჭავჭავაძეს გიორგის გადაყვანაზე კავკასიის დრაგუნთა რომელიმე პოლკში და მან თქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. სწერს, რომ ახლა მათი გადასაწყვეტია. თუ ამ გზას აირჩევენ, განცხადება უნდა შეიტანონ გადაყვანაზე.
- 1880 8 სექტემბერი**
გრიგოლ ორბელიანთან მიდის დიმიტრი ორბელიანი და აცნობებს, რომ მისი ნათესავის – არჩილ ანდრონიკაშვილის შვილმა – 18 წლის მერაბმა იმის გამო, რომ გამოცდას ვერ აბარებდა, დამბაჩით სცადა თვითმკვლელობა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩა.

- 1880 8 სექტემბრის შემდეგ**
250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და აცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლევან მელიქიშვილის ვაჟი – ივანე. სთხოვს, შეახსენონ ნიკო ჭავჭავაძეს მისი ძმისწულის –გიორგისთვის ცხენის გაგზავნა და სწერს, რომ თვითონაც ცდილობს სხვა ცხენის შოვნას. უკვირს, ვლადიკავკაზამდე ცხენის ჩაყვანაში ამდენი თანხა რატომ გადაიხადეს და უთვლის ხარჯს. მადლიერია ძაღლისთვის და სწერს, რომ გეგმავს სანადიროდ წასვლას.
- 1880 9 სექტემბრამდე**
წინანდლიდან იღებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის წერილს, რომლითაც თავისთან ეპატიჟება.
- 1880 9 სექტემბერი**
თბილისიდან წინანდალში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას და სწერს, რომ ენატრება წინანდალში განცდილი წარსული ბედნიერება, მაგრამ, სიბერის გამო, მგზავრობა აღარ შეუძლია და ვერ ეწვევა.
- 1880 10 სექტემბერი**
ილია ბაგრატიონ-გრუზინსკის ხელით წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის შეფს, მიხეილ ლორის-მელიქოვს, და მთელი გულით სთხოვს, რომ მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინოს ბარათის მიმტანის მიმართ და ცხოვრების გზაზე უხელმძღვანელოს. გაწბილებულია, რადგან ადრესატის ჩასვლას დიდი ამბით მოელოდნენ თბილისში და ის პეტერბურგში გამგზავრებულა.
- 1880 22 სექტემბერი**
წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, სადამოს გაუაროს და ერთად წავიდნენ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან, რომელსაც მისი ნახვა სურს საქმეზე დასალაპარაკებლად.
- 1880 30 სექტემბერი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. უყვება, რომ რამდენიმე დღით იყო თბილისში ჩასული ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა. მას უნდოდა, მეფისნაცვლისთვის ეთხოვა მისი ძმის, დავით ჭავჭავაძის, დახმარება, რადგან „პრიკაზის“ ვალების გადაუხდელობის გამო მას წინანდლის მამულის დაკარგვა ემუქრება. უყვება თბილისის სიახლეებსა და ნაცნობ-მეგობრების ამბებს.
- 1880 4 ოქტომბერი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს და უბოდიშებს, რომ ხშირად ვერ ეხმიანება, რადგან დაბერდა და წერა შესძულდა. აცნობებს, რომ „პრიკაზის“ ვალის გამო საქართველოს თავადები დაილუპნენ და ყველა სახლიდან კვნესა ისმის. შიშობს, რომ დავით ჭავჭავაძის ოჯახს ვალების გამო წინანდლიდან გამოასახლებენ.

- 1880 31 ოქტომბერი**
 ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ხელით წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის შეფს, მიხეილ ლორის-მელიქოვს. სწერს, რომ ბარათის მიმტანი განათლებული და კეთილშობილი ადამიანია, რომელიც საზოგადოებაში დიდი ნდობით სარგებლობს. მას საქმე აქვს ფინანსთა სამინისტროში და სთხოვს, რითიც შეძლებს, დაეხმაროს.
- 1880 5 ნოემბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და დეტალურად უხსნის, ცხენების გაგზავნა რა ადგილიდან რა ადგილამდე რამდენი დაჯდა. სწერს, რომ მთავარია, კარგად თუ ჩავიდა გაგზავნილი ცხენები და გიორგის თუ გამოადგება. უყვება ყაფლან ორბელიანის ქალიშვილის, ნინოსა, და მისი დედინაცვლის დავის შესახებ, რომელიც ნინოს სასარგებლოდ გადაწყდა. ის სცნეს მამამისის მემკვიდრედ, მაგრამ სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ყაფლანს 5000 მანეთით მეტი ვალი ჰქონდა, ვიდრე ქონება.
- 1880 24 ნოემბერი**
 მონაწილეობს ქართული მწერლობის მოყვარულთა პირველ ყრილობაში. განიხილავენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციისა და გამოცემის საკითხებს და ირჩევენ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ.
- 1880 ნოემბერი**
 მასთან სტუმრად მიდიან დავით ჭავჭავაძის წინანდლიდან ახალჩამოსული ქალიშვილები: თამარ, ნინო, ელენე და ანასტასია ჭავჭავაძეები.
- 1880 ნოემბერი**
 ხდება თბილისში ჩასულ ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელსაც ასაკი კი ეტყობა, მაგრამ დედოფლის იერი შენარჩუნებული აქვს. ეკატერინე უყვება მისი ძმის ვალებისა და იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მთელ მის ქონებას ემუქრება.
- 1880 ნოემბერი**
 პეტერბურგიდან იღებს ადვოკატ ვასილ მაჩაბლის წერილს სადავო მამულებთან დაკავშირებით, ურთავს მინდობილობას და ორივეს უგზავნის თავის ძმისშვილს, გიორგი ორბელიანს.
- 1880 ნოემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და უყვება ახლობლების ამბებს. სწერს, რომ ანასტასია ორბელიანი-გაგარინისა ისევ იალტაშია, მისი ნივთები კი თბილისში საჯარო ვაჭრობით იყიდება. ქეთევან ერისთავი-ორბელიანისა და ბარბარე ორბელიანი-თარხან-მოურავისა კი პეტერბურგში გაემგზავრნენ, პირველი – სახლის გაყიდვასთან დაკავშირებული დავის გამო და მეორე – შვილის სასწავლებელში მიბარებასთან დაკავშირებით. ატყობინებს, რომ ძალიან დამშვენდა მისი ცხენი „ორბი“, რომელსაც ამაყად დააჭენებს ხოლმე სამეზობლოში.

- 1880 1 დეკემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 345 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ თბილისი ხმაურიანი ცხოვრებით ცხოვრობს. თეატრებსა და წრეებში თავად არ დადის, მაგრამ ინგლისური კლუბის მუდმივი წევრია.
- 1880 8 დეკემბრამდე**
 პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისგან იღებს წერილს, რომლითაც აცნობებენ თავიანთ შეჭირვებულ მდგომარეობას.
- 1880 8 დეკემბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ალექსანდრე ცაგარელს და აცნობებს, რომ მიიღო წერილი ქართველი სტუდენტების გაჭირვების შესახებ. ფიქრობს, რომ სიღარიბეში ყოფნა ძალიან ძნელია, თვითონაც ხშირად უწვნევია ეს სიმწარე, ლიფლანდიასა და ვილნოს გუბერნიაში გაყინულს, დაჭლექებულს, უმეგობროს, მაგრამ არც ერთხელ დაუწყევლია ბედი. ქართველებს არასდროს ჰქონიათ სიმდიდრე და მოსვენებით ცხოვრება, საქართველოშიც ყველა განწირულ მდგომარეობაშია და მხოლოდ ახალგაზრდების გულმოდგინედ სწავლისა და შრომის იმედი აქვთ. ყმაწვილები არ უნდა დაეცნენ სულით, რადგან მომავალი მათ ეკუთვნით. უგზავნის 100 მანეთს ყველაზე ღარიბი სტუდენტისთვის გადასაცემად და სთხოვს, ისიც შეეწიოს მათ.
- 1880 12 დეკემბერი**
 დიმიტრი ყიფიანი გაზეთ „დროებაში“ აკრიტიკებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილ იანოვსკის გადაწყვეტილებას საქართველოს სოფლის სკოლებში პირველივე კლასიდან რუსულის სწავლების შემოღების შესახებ. მას რუსეთის არმიის გენერლების: გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ლევან მელიქიშვილის მაგალითი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ იმ ხალხს, რომელმაც ჯერ მშობლიური ენა ისწავლა და მერე – რუსული, ერთგულად შეუძლია ემსახუროს იმპერიას.
- 1880 15 დეკემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ მათს ქუჩაზე ისევ გლოვანა - გარდაიცვალა მისი ბიძაშვილის შვილის – ანასტასიას მეუღლე – ივან ოკლობჟიო, რომელსაც ქაშვეთში კრძალავენ.
- 1880 17 დეკემბრამდე**
 როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე, თხოვნით მიმართავს ქართველ საზოგადოებას, დროებით ათხოვონ კომისიას პოემის მათ ხელთ არსებული ხელნაწერები.
- 1881 -მდე**
 ცალკე რვეულში იწერს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს.

- 1881 იანვრის დასაწყისი**
იღებს ეკატერინე ჭავჭავაძის წერილს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სახელზე დაწერილ თხოვნასთან ერთად, რომ დაეხმაროს დავით ჭავჭავაძეს „პრიკაზის“ ვალებით გამოწვეული სავალალო შედეგების თავიდან არიდებაში.
- 1881 9 იანვარი**
მოკლე ბარათს უგზავნის კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწეს, გენერალ ლევან მელიქიშვილს, და ეკითხება, როგორი წესით მოხდება გენერალ არზას ტერლუქასოვის გადასვენება ვანქის ტაძარში.
- 1881 4-11 იანვარი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის მიხეილ ლორის-მელიქოვს, უყვება ეკატერინე და დავით ჭავჭავაძეების წინაპრების დამსახურებას რუსეთის იმპერიის წინაშე, გარსევან ჭავჭავაძიდან მოყოლებული. სწერს, რომ მაშინ, როდესაც მიურიდები დავით ჭავჭავაძის სახლს აწიოკებდნენ და მისი ცოლ-შვილი ტყვედ მიჰყავდათ, თავად დავითი რუსეთის არმიაში იყო, შილდაში ებრძოდა შამილს და იქიდან ხედავდა თავისი სახლიდან ამოსულ ცეცხლს. ასეთი ერთგულების გამო სთხოვს, მოიფიქროს, რით შეიძლება დაეხმაროს დავითის ოჯახს, რომ უსახლკაროდ არ დარჩეს.
- 1881 11 იანვარი**
პელაგია წერეთელი სწერს, რომ მისი კუთვნილი „ვეფხისტყაოსანი“ დიმიტრი ყიფიანის ხელით გაუგზავნოს ქუთაისში.
- 1881 15 იანვარი**
თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას. ბოდიშს უხდის პასუხის დაგვიანებისთვის და უხსნის, რომ „პრიკაზის“ ვალებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება თბილისში შეუძლებელია და საჭიროა მხარდამჭერების გამონახვა პირდაპირ პეტერბურგში. სწერს, რომ მათი საერთო ნათესავი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე აპირებს მალე იქ წასვლას და თავის გავლენიან ნაცნობებს ჩარევს საქმეში. უყვება, რომ გასულ კვირას თავად გრიგოლმა უკვე გაუგზავნა წერილი მიხეილ ლორის-მელიქოვს შესაბამისი თხოვნით და ურჩევს, რომ თავად ეკატერინემაც მისწეროს. ატყობინებს, რომ ბოლო ხანებში სულ დაკრძალვებსა და პანაშვიდებზე უხდება სიარული და ძალიან დამწუხრებულია. კარგი სიახლეები მხოლოდ ახალ-ტეკინის ექსპედიციიდან მოდის, სადაც რუსეთის არმიას წარმატებები აქვს თურქმენების წინააღმდეგ ბრძოლაში.
- 1881 18 იანვრის შემდეგ**
კითხულობს ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“, იონა მეუნარგიას უზიარებს შთაბეჭდილებას და ამბობს, რომ „ჩინებული რამ არის“.

1881

25 იანვარი

თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, მაგრამ არ იცის, როდის მიაღწევს ადრესატამდე, რადგან თოვლისა და მეწყერისგან გზები ჩაკეტილია. აცნობებს, რომ ცალი ყურით დაყრუვდა, ექიმი ანუგემებს, რომ გაციებისგანაა და საშიში არ არის, ის კი ფიქრობს, რომ ეს არის შედეგი იმ მძიმე წლებისა, რომლებმაც მის მხრებზე გადაიარა.

1881

5 თებერვალი

თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძლის დას, ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას, და ემადლიერება ახალი წლის მისალოცი დეპეშისთვის. მისგან შეხმიანება დიდი ნუგეშია, განსაკუთრებით ისეთი განსაცდელის დროს, როგორც გადაიტანა. დროულად ვერ უპასუხა, რადგან მის ირგვლივ უამრავი ვინმე გარდაიცვალა. უხარია, რომ გენერალმა მიხეილ სკობელევმა შტურმით აილოგეოკტეპეს სიმაგრე, მაგრამ დაიხოცა 58 ოფიცერი და 1000 ადამიანი. შიშობს, ეს ექსპედიცია არ გადაიქცეს მეორე კავკასიად, სადაც 60 წელი მიმდინარეობდა ბრძოლები. მას კარგად აქვს შესწავლილი მუსლიმების რელიგია. ყურანი ქადაგებს, რომ, ვინც მუსლიმი არ არის, ის მუსლიმის მონაა. მუსლიმების დამორჩილება შეიძლება მხოლოდ ძალით. მათთვის ქრისტიანებისადმი მორჩილება დიდი უბედურებაა, ამიტომ არ ისურვებდა, რუსეთის არმია წინ წასულიყო აზიაში, უმჯობესი იქნებოდა, საზღვრისკენ დაეხიათ და მუსლიმებისთვის მიეცათ საშუალება, მმართველობა თავიანთი წესის მიხედვით მოეწყოთ, ოღონდ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ.

1881

6 თებერვალი

თავმჯდომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის პირველ სხდომას, რომელზეც იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ერთმა წევრმა ხმამაღლა იკითხოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და სხვებმა შეაჯერონ ნუსხებთან.

1881

9 თებერვალი

ცარსკოე სელოდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ სენატში მათი მამულების საქმის განხილვა წარუმატებლად დასრულდა.

1881

11 თებერვლამდე

წერილებს სწერს ოციოდე პირს, რომელთაც ხელთ აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და სთხოვს, დროებით ათხოვონ ტექსტის დამდგენ კომისიას.

1881

12 თებერვალი

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და სთხოვს, დიდ მთავართან უშუამდგომლოს მის სეხნიასა და ბიძაშვილს, მოსამართლე ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძეს და ჩააწერინოს დასაჯილდობელ პირთა სიაში, რომ სახლ-კარის გაყიდვისაგან იხსნას ოჯახი.

1881

20 თებერვალი

თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და სწერს, რომ სასმართლოს გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი. სენატის საქმეა, აწონოს ყოველი დასკვნა, ყოველი სიტყვა, მაგრამ არ უნდა დაამახინჯოს აზრი და არ უნდა მისცეს სხვა მნიშვნელობა. სწერს, რომ პატარა ახსნა-განმარტებიდან, რომელსაც რამდენიმე დღეში გაუგზავნის, დარწმუნდება, რომ ამ მამაკაცისეულ მამულს ართმევენ იმ მიზეზით, რომ სენატს არ უნდა შეეცვალოს თავისი წინა გადაწყვეტილება. სთხოვს, თუ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე ისევ პეტერბურგშია, გადასცენ მისი წერილი. მან აჩვენოს დიდ მთავარს, იქნებ დაუფასონ 60 წლის ერთგული სამსახური და 400 დესეტინა მიწა დაუტოვონ. წერილი, ასევე, აჩვენონ იუსტიციის მინისტრს ან მიხეილ ლორის-მელიქოვს. სთხოვს, გიორგიმ რჩევა ჰკითხოს თეოფილ მეინდორფს და ისე იმოქმედოს.

1881

თებერვალი

თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ივანე დავითის ძე ორბელიანს და უყვება, როგორ წაიკითხა წინა დღეს გაზეთ „კავკაზში“ იმის შესახებ, რომ ვალების გადაუხდელობის გამო იყიდება მისი სახლი. წუხს ქართველი თავადაზნაურობის გასაჭირზე და აღშფოთებას ვერ ფარავს სასულიერო სემინარიაში ქართული ენის აკრძალვის გამო.

1881

3 მარტი

თბილისიდან პეტერბურგში დეპეშას უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ რომანოვს, და უსამძიმრებს ძმის, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის გამო. ღმერთს სთხოვს, რომ ბედნიერად ემეფოს მის მემკვიდრეს, ალექსანდრე III-ს.

1881

15 მარტი

იმპერატორ ალექსანდრე II-ის დაკრძალვის დღესთან დაკავშირებით სიონის ტაძარში ესწრება პანაშვიდს.

1881

16 მარტი

თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. უკიდურესად დამწუხრებულია იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის გამო და აცნობებს, რომ მთელი საქართველო გლოვობს წამებულ იმპერატორს. აინტერესებს მიწებთან დაკავშირებით მათი დავის მიმდინარეობა სენატში.

1881

23 მარტი

წერილთან ერთად ბორჩალოში მამულების ფასების ამსახველ 13 კონტრაქტს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს, რომ ცხადად დაანახვოს, ორბელიანებმა თავიანთ საზიანოდ რა მცირე ფასი დაადეს მამულებს. აცნობებს, რომ, რახან ხაზინამ მათთან მორიგება არ მოინდომა, გადაწყვიტეს, სასამართლოს მიანდონ სიმართლის დადგენა.

- 1881 26 მარტი**
წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, რადგან ეკატერინოფილდის მამულების თაობაზე ხაზინასა და ორბელიანებს შორის სამოცდაორწლიან დავაზე მან იკისრა შუამავლობა, ხელმოსაწერად გაუგზავნოს ამონაწერი. იმედოვნებს, რომ ორბელიანების წერილით ცხადად და დაწვრილებით შეიტყობს, ხაზინასა და ორბელიანებს შორის რომელია მართალი.
- 1881 6 აპრილამდე**
მოსკოვიდან იღებს წერილს რძლის დის, ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიასგან.
- 1881 6 აპრილი**
იღებს დავით ჭავჭავაძის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტს ბაქოში 5 დესეტინა ნავთობიანი მიწა მისცეს.
- 1881 6 აპრილი**
თბილისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის რძლის დას, ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას, და იხსენებს დავით, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებთან მხიარულად და უზრუნველად გატარებულ ახალგაზრდობას. სწერს, რომ ძალიან იავადმყოფა. აცნობებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დამწუხრებულები არიან იმპერატორის საზარელი მკვლელობის გამო. წუხს, რომ მთებში გზები გაფუჭდა და წერილები დროულად არ იგზავნება. მოიკითხავს ადრესატის დედას, ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისას.
- 1881 16 აპრილი**
პეტერბურგიდან იღებს ივანე ამილახვრის წერილს და იგებს, რომ გრაფმა მიხეილ ლორის-მელიქოვმა ქართველ თავადაზნაურობას იმპერატორ ალექსანდრე III-სთან უშუამდგომლა „პრიკაზის“ ვალებთან დაკავშირებით.
- 1881 16 აპრილი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვს და ემადლიერება, რომ იმპერატორთან უშუამდგომლა „პრიკაზის“ ვალების გამო დაღუპვის პირას მყოფ ქართველ თავად-აზნაურებს. ქრისტიანობისთვის მებრძოლი სახელოვანი თავად-აზნაურები მრავალ მტერს გაუმკლავდნენ და სულიერად არ დაცემულან, ახლა კი უიმედობას და სასოწარკვეთას შეუპყრიათ, რადგან მოელიან მამულებიდან და სახლებიდან გამოყრას. სთხოვს, ძალა არ დაიშუროს და, როგორც საქართველოს ღირსეულმა შვილმა, გამოიხსნას ისინი პრიკაზის ტყვეობიდან.

1881

16 აპრილი

თბილისიდან პეტრბურგში წერილს უგზავნის ივანე ამილახვარს და სწერს, რომ „პრიკაზის“ საქმეში გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვის ჩარევით იმედი მიეცათ, რომ რამდენიმე ათასი სული გადარჩება დაღუპვას. უხსნის, რომ უკანასკნელი ქართველი მეფის გარდაცვალების შემდეგ, როცა იმპერატორის მანიფესტით საქართველო შეუერთდა რუსეთს, საკუთრება ხელშეუხებლად გამოცხადდა. 10-15 წლის შემდეგ, როცა სამღვდელოება გათავისუფლდა თავადებისგან, ეკლესიამ წაიღო მათი მამულები და ყმები, რომლებითაც თავადები ინახავდნენ სამღვდელოებას. ათასი საჩივარი გაიგზავნა სენატში, მაგრამ უშედეგოდ. ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ აზნაურები განთავისუფლდნენ თავადებისგან და წაიღეს მათი ქონება, შემდეგ კი გლეხები, რომლებმაც, ასევე, წაიღეს თავადებისგან მიწები. ამასთან 60-წლიან ბრძოლებში დაიხოცა მრავალი თავადი და შეიცვალა ცხოვრება. ისინი არ იყვნენ ამ ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული და ფული არ ჰქონდათ, რამაც გამოიწვია საყოველთაო გაღარიბება. სთხოვს, თავადაზნაურობის გაუბედურების ეს მიზეზები განუმარტოს გრაფ ლორის-მელიქოვს.

1881

21 აპრილი

თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ ძლიერ სტუკიოდა ყური და სამი თვის განმავლობაში კაბინეტიდან არ გასულა. ატყობინებს ადრესატის დისშვილის – ანასტასია ჭავჭავაძის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე დანიშვნის ამბავს. წყვილი ძალიან მოსწონს, მაგრამ ისურვებდა, რომ უფრო მდიდრები ყოფილიყვნენ.

1881

22 აპრილი

თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, აცნობოს, როგორ გამოისტუმრეს პეტერბურგიდან და როგორ მიიღეს მთაში. უამბობს თბილისის ამბებს. ატყობინებს, რომ მეფისნაცვლობა უნდა შეიცვალოს გენერალ-გუბერნატორობით.

1881

29 აპრილი

მიხეილ საბინინის ხელით წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის შეფს, მიხეილ ლორის-მელიქოვს. სწერს, რომ ბარათის მიმტანს დამთავრებული აქვს სასულიერო აკადემია და გამოირჩევა ქართული ეკლესიის ფანატიკური ერთგულებით. მან, ღარიბი მოხელის შვილმა, მოიპოვა 10.000 მანეთის ძვირფასეულობა, რომლითაც შეამკო წმინდა ნინოს საფლავი და ეკლესიები. აცნობებს, რომ ამ ახალგაზრდას დაწერილი აქვს საქართველოს ეკლესიის ისტორია და უსახსრობის გამო ვერ დაუბეჭდია. რამდენადაც ეს წიგნი კარგი იქნება სემინარიებისთვისაც, სთხოვს, დაეხმაროს ავტორს მის დაბეჭდვაში.

1881

28 მაისამდე

სიტყვით გამოდის კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, გამოსამშვიდობებელ სადილზე.

- 1881 28 მაისი**
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება გრიგოლ ორბელიანის მიერ მიხეილ რომანოვის კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან წასვლასთან დაკავშირებით ორგანიზებულ გასაცვილებელ სადილზე წარმოთქმული სიტყვა.
- 1881 20 ივნისამდე**
სამხედრო ფორმაში, მედლებითა და ლენტეხით იღებს ინდივიდუალურ, სალონურ ფოტოს.
- 1881 20 ივნისი**
თბილისიდან ესენტუკში წერილს უგზავნის კლავდი ერმოლოვს და ემადლიერება ღმერთს, რომ ის ცოცხალია, რადგან გამოტირებული ჰყავდა. უგზავნის თავის ფოტოს, რომლიდანაც ადრესატი მიხვდება, რომ ისეთი აღარ არის, როგორც დაღესტანში იყო. იხსენებს ძველ დროს. აცნობებს, რომ თბილისი იზრდება, აღწერს უბნებსა და ბაღებს და უყვება ნაცნობ-მეგობრების ამბებს.
- 1881 1 ივლისამდე**
იალტიდან იღებს ანასტასია ორბელიან-გაგარინის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ მას უსიამოვნება აქვს თავის ძმასთან, ივანესთან, იმის გამო, რომ, როგორც უთხრეს, ამ უკანასკნელმა თავისი სახლიდან გამოყარა დის ნივთები.
- 1881 1 ივლისი**
თბილისიდან იალტაში წერილს უგზავნის ანასტასია ორბელიან-გაგარინისას. დიდ წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ავმა ენებმა და-ძმა ერთმანეთს გადაამტერა. უხსნის, რამ გამოიწვია ივანეს მდგომარეობიდან გამოყვანა და სთხოვს, რომ შეურიგდეს.
- 1881 4 ივლისი**
თბილისიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და ხუმრობით საყვედურობს, რომ კოდაში ცოლთან გაქცევა კარგს არაფერს მოუტანს. მოკითხვას უთვლის მის მეუღლეს, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას.
- 1881 18 ივლისამდე**
ბეთანიიდან თბილისში წერილს იღებს ბარონ ალექსანდრ ნიკოლაისგან.
- 1881 18 ივლისი**
თბილისიდან ბეთანიაში წერილს უგზავნის ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის და უბოდიშებს, რომ ორბელიანების მამულების საქმის გამო ვერ მოახერხა ბეთანიაში ასვლა.

- 1881 7 აგვისტო**
 თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სთხოვს, დაეხმაროს მისი ერთგული კაკალას ქალიშვილის ქმარს. აცნობებს, რომ მიხეილ რომანოვი გადავიდა სახელმწიფო საბჭოში და კავკასიაში ახალ მეფისნაცვალს ელოდებიან. ფიქრობს, რომ სასამართლო არ შეიძლება უცხო ენაზე მიმდინარეობდეს, წარმოდგენელია დამნაშავეს და მოსამართლეს ერთმანეთის არ ესმოდეტ. წუხს, რომ მეფისნაცვლობის მოშლის შემდეგ კავკასია კვლავ გუბერნატორისა და პოლიციის მოხელეების ხელში ჩავარდება. ხალხს მომვლელი უნდა ჰყავდეს და შორიდან მისული ჩინოვნიკი, რომელმაც არ იცის მათი ენა, ჩვეულება, ისტორია, ვერ იზრუნებს მათზე. დარდობს, რომ ქართული ენა აღარ ისწავლება გიმნაზიასა და სემინარიაში, ეკლესიაში წირვა და გალობა ქართულად აღარ ისმის. ქართველები სასწავლებლებში ვეღარ შედიან, რადგან, ვინც უკეთესად ჩააბარებს რუსულად გამოცდებს, იმას იღებენ.
- 1881 12 აგვისტომდე**
 პეტერბურგში გამგზავრების წინ ნახულობს თბილისში მყოფ ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის.
- 1881 12 აგვისტო**
 თავისი ბიძაშვილის მეუღლის, ალექსეი ოპოჩინინის, სახელობის დღეს მისთვის მისალოცად ადის კოჯორში, ცოტას ხალისდება და საღამოს თბილისში ბრუნდება.
- 1881 14 აგვისტო**
 „რიონიხონის“ ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება რუსთველისეული აფორიზმები, რომელთაგან თითოეული ეძღვნება რომელიმე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს. წარწერით: „თ. გრ. ორ.“ გრიგოლ ორბელიანს მიემართება მეფე როსტევეანის სიტყვები, რომლებიც პოემაში პირველ პირში წერია, აქ კი - მეორე პირშია გადაყვანილი: „სიბერე გახლავს, დალიე სიყმაწვილისა დღენია, / კაცი არ არის სითგანცა საბრძანებელი შენია, / და რომე მას შენგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.
- 1881 18 აგვისტო**
 ტაბახმელაში ესწრება თავისი ნათესავის – ალექსანდრა ორბელიან-მელიქიშვილის ახალი სახლის ფუნდამენტის ჩასხმის აღსანიშნავ წვეულებას.
- 1881 20 აგვისტო**
 ცარსკოე სელოდან იღებს რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის წერილს.
- 1881 20 აგვისტო**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და სწერს, რომ მარტოა, დაბერდა და უხასიათობის გამო ჩხუბობს ყველასთან. აცნობებს, რომ მასთან იყო ალექსანდრე ერისთავი, რომელმაც არ იცის 100.000-ზე ნაკლები ციფრი, მაგრამ მაინც არ უბრუნებს ვალს, რომელიც სულ 1900 მანეთს შეადგენს.

- 1881 7 სექტემბერი**
საპატიო სტუმრის სტატუსით მთავარმართებლის სასახლეში ესწრება რუსეთის იმპერიის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის გახსნის რვაასკაციან ღონისძიებას.
- 1881 8 სექტემბერი**
მთავარმართებლის სასახლის ბაღში ესწრება არქეოლოგიური ყრილობის გახსნისადმი მიძღვნილ წვეულებას, სადაც, ასევე, არიან ცნობილი მეცნიერები: დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ნიკოლოზ კოსტომაროვი და სხვები. კრებას ხსნის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალი ლევან მელიქიშვილი.
- 1881 9 სექტემბერი**
თბილისის არქეოლოგიურ ყრილობაზე ისმენს მოხსენებებს, რომლებიც ცოტა მოსაწყენად ეჩვენება.
- 1881 11 სექტემბერი**
გაზეთ „დროებაში“ არქეოლოგიური კრების მიმოხილვა იწყება საპატიო დამსწრეთა ჩამონათვალით, რომელთა შორისაც პირველად დასახელებულია გრიგოლ ორბელიანი.
- 1881 20 სექტემბერი**
სიტყვას წარმოთქვამს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, ლევან მელიქიშვილის, მიერ თბილისის V არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეთათვის გამართულ 300-კაციან სადილზე.
- 1881 21 სექტემბრის შემდეგ**
წვეულებას უმართავს არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეებს, პროფესორებს – ალექსანდრე ცაგარელსა და დავით ჩუბინაშვილს, დიმიტრი, ვახტანგ და ივანე ორბელიანებს, დიმიტრი ჯორჯაძეს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, კოლა ერისთავს, ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე საგინაშვილს და სხვებს. თამადაობს ივანე დავითის ძე ორბელიანი. გრიგოლი მათ წინაშე წარმოთქვამს სიტყვას. წვეულება ძალიან მხიარულად და სასიამოვნოდ ტარდება.
- 1881 22 სექტემბერი**
ესწრება არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეთათვის თბილისის მმართველობის მიერ ბაღში, ღია ცის ქვეშ, გამართულ საზეიმო სადილს.
- 1881 3 ოქტომბრამდე**
ესწრება თბილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წვეულებას.

- 1881 3 ოქტომბერი**
 თბილისიდან თემირხანშურაში მასთან დადესტანში ნამსახურები პოდხალუზინის ხელით წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და სწერს, რომ ბარათის მიმტანი მას კეთილსინდისიერად ემსახურებოდა და, თუ ადრესატსაც მოეწონება, დაასაქმოს. აცნობებს, რომ პეტერბურგიდან ელიან ამბავს, ვის დანიშნავენ მთავარმართებლად, საუბარია ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვზე, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა და სხვებზეც.
- 1881 11 ოქტომბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს ნათესავეებისა და ახლობლების ამბებს. ასევე, უყვება თბილისში გამართული არქეოლოგიური ყრილობისა და მისი მონაწილეებისთვის გამართული წვეულებების დეტალებს. წერილთან ერთად უგზავნის მის მიერ ამ ყრილობის მონაწილეთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვას. სწერს, რომ ტაბახმელაში ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა სახლს აშენებს და კარგი იქნებოდა, ადრესატსა და მის ვაჟსაც ეფიქრათ საქართველოში საცხოვრებლად გადასვლაზე.
- 1881 14 ოქტომბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და უამბობს თბილისის ამბებს.
- 1881 23 ოქტომბერი**
 საგურამოში აწყობს თავისი ძმისწულის, გიორგი ორბელიანის, დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებას და კამათი მოსდის მღვდელთან, რომელიც ეუბნება, რომ გიორგი 26 ოქტომბერს დაიბადა.
- 1881 3 ნოემბერი**
 ცარსკოე სელოდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს და იგებს, რომ ჯანმრთელად არიან და გიორგის დაბადების დღისთვის მიიღეს მისგან გაგზავნილი ფული.
- 1881 6 ნოემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უყვება გიორგის დაბადების დღესთან დაკავშირებით მღვდელთან კამათის შესახებ და სთხოვს, მისწეროს, 23 ოქტომბერს დაიბადა თუ 26-ში. სწერს, რომ მოუთმენლად ელოდება ძმისწულის როტმისტრობას.
- 1881 14 ნოემბერი**
 წერილს უგზავნის დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს წერილი მისწეროს კონა ერისთავის სახელით, რომლის შვილსაც სურს, გრაფს მიათვას მისი გამოგონებული თოვლის სახვეტი მანქანა და, თუ მოეწონება, ელის მხარდაჭერას.

- 1881 19 ნოემბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში 250 მანეთთან ერთად წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და აცნობებს, რომ ძალიან მოწყენილია, რადგან არც თეატრია და არც საღამოობით შეხვედრები. იყიდება მთელი საქართველო, უპირველესად კი ორბელიანების დიდი მამულები. მიწები გადადის სომხების ხელში და საშველი არსაიდან ჩანს. ორბელიანების ქონებიდან მხოლოდ მათი სახლი გადაურჩა გაყიდვას და ისიც ძალიან დამძველდა.
- 1881 8 დეკემბრამდე**
 პეტერბურგიდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ლეიბჰუსართა პოლკის დღესასწაულზე გიორგიმ საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი.
- 1881 8 დეკემბერი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და კმაყოფილებას გამოთქვამს გიორგის წარმატებებით. აცნობებს, რომ თავის მოსწავლესთან ერთად თბილისში იმყოფება ცნობილი მხატვარი – მიხაი ზიჩი, რომელსაც სურს მიხეილ ლერმონტოვის „დემონის“ ცოცხალი სურათების დადგმა. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ მთავარ პერსონაჟს – თამარს ჩააცვას ძველი ქართული ტანსაცმელი და ტასო ოკლობჟიომ გადასცა თავისი საქორწინო კაბა ძვირფასი მოსართავეებით. ზიჩი აღტაცებულია თბილისის სილამაზით და ფიქრობს, რომ მას ვერც ერთი ევროპული ქალაქი ვერ შეედრება.
- 1881 14 დეკემბრამდე**
 კავკასიის არმიიდან ითხოვენ პოლკის გენერლებს. მათ შორის არის ალექსანდრე საგინაშვილიც და გრიგოლი ამის გამო ეხუმრება მის მეუღლეს, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას. ის ყოველ დილით ვითომდა შეწუხებული სახით ეკითხება, ახლა ველარავინ მოგმართავთ ფრაზით „თქვენო უდიდებულესობავ“, რადგან თქვენი მეუღლე გენერალი აღარ არის და ხომ არ აჯობებს, თბილისიდან კოდაში გადახვიდეთ, სადაც ყველას ისედაც ქალბატონობით მიმართავენო. ამაზე ელისაბედი საშინლად ღიზიანდება.
- 1881 14 დეკემბერი**
 მასთან სტუმრად მიდიან თამარ და ნინო ჭავჭავაძეები, მარიამ ორბელიანი და ძალიან უხარია ამ მშვენიერი ახალგაზრდების ნახვა.
- 1881 14 დეკემბერი**
 500 მანეთთან ერთად, თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სწერს, რომ ამ გაორმაგებული თანხით ულოცავს დამდეგ შობას.

1881 16 დეკემბერი

თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს და აცნობებს, რომ პეტერბურგიდან მთავარმართებლად ელიან ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს. ერთი წლის განმავლობაში დარჩება მმართველობის იგივე წესი, სანამ დონდუკოვი არ შეიმუშავებს ახალ დებულებას ხალხის მართვისას. უხსნის, რატომ არის მიუღებელი წინა სასამართლო, ოლქების მმართველობა და გუბერნატორობა. მიაჩნია, რომ მხოლოდ დადესტანშია მოსაწონი სასამართლო, რადგან სამართალი ხალხის ხელშია. მოჰყავს მიხეილ ვორონცოვის მმართველობის მაგალითი. წუხს, რომ სიღარიბის გამო ყველგან ოხვრა-კვნესა ისმის, კლუბები სულ სომხებითაა გატენილი, თითო-ოროლა ქართველი ან რუსი თუ შეივლის. იყიდება ივანე და სოფიო ორბელიანების სახლი და იცის, რომ მიკიტნის შვილი ჩასახლდება მის გვერდით.

1881 ლექსში „მწერლების ფერხული“ აკაკი წერეთელი წარმოაჩენს ქართველ მწერლებს, რომლებიც სხვადასხვა ხმით მღერიან. ვახტანგ ორბელიანზე ნათქვამია, რომ „ჰგოდებს“, ნიკოლოზ ბარათაშვილი „კვნესის“ და სხვ. გრიგოლ ორბელიანის ხმა კი „ოხვრასთან“ არის შედარებული.

1881 ბოლო

მომდევნო წლის ჯიბის კალენდარში იბეჭდება აკაკი წერეთლის ლექსი „მუამბაზი“ („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის ფრაზა მისი „მუხამბაზიდან“ („გინდ მეძინოს...“): „ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!“.

1881 არა უგვიანეს

გადასამოწმებლად გადასცემენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსთა გამოსაცემად მომზადებულ კრებულს, რომელზეც აკეთებს მინაწერებს. წარმოდგენილი 68 ლექსიდან ხუთისთვის მიწერილი აქვს, რომ არ უნდა იყოს ალექსანდრე ჭავჭავაძის („მეცა მგონია, რომ არ უნდა იყოს ეს ლექსი ალექს. ჭავჭ.“; „არც ესე მგონია ალექს. ჭავჭ. ლექსად“; „ესეც არ უნდა იყოს ალექს. ჭავჭ. ნათქვამი“; „არც ეს მგონია“; „ეჭვი მაქუს“). ერთგან მიწერილია: „უეჭუელია, ეს ლექსები ალექს. ჭავჭ. ეკუთვნიან, თუმცა ჩემგან გადაწერილს რვეულში არც ერთი მათგანი არ იყო“. ამათ გარდა, 15 ადგილას მინიშნებულია, რომ ლექსი ერთმნიშვნელოვნად ალექსანდრე ჭავჭავაძისაა. ასევე გვხვდება ცისფერი ფანქრით გახაზული სტრიქონები, რაც, სავარაუდოდ, იმის დამადასტურებელია, რომ ამ ადგილებს ეჭვი აღუძრავს მასში. ერთგან, ლექსის სათაურის ზემოთ, ცისფერი ფანქრითვე მიუწერია: „აქ უნდა – დაუდგრომელს მწყემსისა“. ხელნაწერი კრებულის ერთ-ერთი ბოლო გვერდის ქვედა აშიაზე გვხვდება მინაწერი: „დიახ, ბევრი აკლია ალექს. ჭავჭ. ლექსებს...“

1882 -დან

იღებს ჯგუფურ ფოტოს რამდენიმე სამხედრო პირთან და ქალბატონთან ერთად.

1882 9 იანვარი

პეტერბურგიდან იღებს ბიძაშვილის შვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის წერილს.

- 1882 19 იანვარი**
250 მანეთთან ერთად, თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და უყვება ახლობლებისა და ნათესავების ამბებს. სწერს, რომ დიმიტრი ორბელიანი ძალიან ავადმყოფობს.
- 1882 19 იანვარი**
საღამოს ესწრება კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების კრებას.
- 1882 29 იანვარი**
თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ივანეკონსტანტინეს ძე ორბელიანს და აცნობებს, რომ გარდაიცვალა დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი. წუხს, რომ ნელ-ნელა ქრება მემკვიდრეების გარეშე დარჩენილი ორბელიანების დიდი გვარი. უამბობს, რომ ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილს საქმრო დაესხა თავს, დაჭრა და შემდეგ თავი მოიკლა. მოიშალა მთავარი სამმართველო და მეფისნაცვლის საბჭო და ეექვება, რომ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი შეძლებს ხალხის მოვლას. ატყობინებს, რომ ყველიერის შაბათს წარმოდგენილი იქნება გამოჩენილი მხატვრის, მიხაი ზიჩის, დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები, რომელშიც 120 ქალი მონაწილეობს და მშვენიერი სანახაობაა.
- 1882 28 მარტი**
თბილისიდან იალტაში წერილს უგზავნის ანასტასია ორბელიან-გაგარინისას. სთხოვს, წყენა აპატიოს თავის ძმას, ივანეს, და ნუ გასწირავს ასეთი განსაცდელის ჟამს. ატყობინებს, რომ მათი სახლი შეფასებულია 46.000 მანეთად და 28 ივნისს იყიდება. სთხოვს, თუ თავად არ გამოიხსნის მას, თავისი ძმისშვილის, მარია ორბელიანის, ბებიას – მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვას მაინც დაუკავშირდეს, იქნებ მათ გამოიხსნან.
- 1882 აპრილამდე**
აკაკი წერეთელი უძღვნის ლექსს „საღამო“ („ვიმ, ამ საღამოს...“).
- 1882 2 აპრილი**
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება აკაკი წერეთლის ლექსი „საღამო“ ქვეშ მინაწერით „ვეუძღვნი თ. გრ. დ. ორბელიანს“. ტექსტში გრიგოლ ორბელიანი ნახსენები არ არის, მაგრამ იგი ამაღლებული განწყობით არის დაწერილი და, როგორც, ჩანს, ავტორი ამ განწყობას უზიარებს მხცოვან პოეტს.
- 1882 4 აპრილი**
375 მანეთს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.
- 1882 9 აპრილი**
1000 მანეთთან ერთად, თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის ძმისშვილს, გიორგი ორბელიანს, და ულოცავს როტმისტრის წოდებას. სწერს, რომ შეიძლება მისი კავკასიაში გადაყვანის საქმე მოგვარდეს ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის პეტერბურგში ჩასვლისას. უსამძიმრებს ბებუის, ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიას გარდაცვალების გამო და ადრესატის დეიდებს უთვლის, რომ საქართველოში გადავიდნენ საცხოვრებლად.

- 1882 18 აპრილამდე**
იღებს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მდივან იაგორ პერეტცის მიერ 29 მარტს გაგზავნილ წერილს, რომლითაც მას ატყობინებენ, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრები მიწვეული არიან მოსკოვში, რათა სადღესასწაულო კორტეჟით გაჰყვინენ პეტერბურგამდე ახალ იმპერატორ ალექსანდრე III-ს თავისი კორონაციის დღეს.
- 1882 18 აპრილი**
საპასუხო წერილს უგზავნის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მდივან იაგორ პერეტცს და დიდი გულისტკივილით აუწყებს, რომ, ასაკისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვერ შეძლებს იმპერატორ ალექსანდრე III-ის კორონაციაზე დასწრებას.
- 1882 21 აპრილი**
250 მანეთთან ერთად ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, უყვება თბილისის ამბებს, ინტერესდება, როგორ არიან მისი და-ძმები დედის გარდაცვალების შემდეგ და სწერს, რომ მოუთმენლად ელის გიორგის გადაყვანას კავკასიაში. დიდი იმედი აქვს მთავარმართებელ ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვის, რომელმაც შეიძლება ჯერ თავისთან აიყვანოს და შემდეგ, როცა ვაკანსია გამოჩნდება, პოლკში გადაიყვანს.
- 1882 25 აპრილი**
ესწრება დისშვილის შვილის, ნიკოლოზ ერისთავისა, და ეკატერინე თამამშევას ჯვრისწერას.
- 1882 30 აპრილი**
თბილისიდან წერილს უგზავნის თავის დისშვილის შვილს, ნიკოლოზ ერისთავს. ურჩევს, ჯერ არ იფიქროს საზღვარგარეთ გამგზავრებაზე და წლიური შემოსავლის მესამედი ნაწილი მაინც შეინახოს სამომავლოდ. საუბრობს ცოლქმრული ურთიერთობის ბედნიერებაზე. აცნობებს, რომ 27 აპრილს გარდაიცვალა ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომელსაც მცხეთაში, წინაპრების გვერდით, დაკრძალავენ.
- 1882 30 აპრილი**
ესწრება ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის დაკრძალვას მცხეთაში.
- 1882 მაისამდე**
იონა მეუნარგია ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ქაღალდებში პოულობს ჟუკოვსკის ლექსის გრიგოლ ორბელიანისეულ თარგმანს („ჰოი, სოფელო! რად ხარ ესრედ მდიდარ ოცნებით?“) და ჟურნალ „ივერიას“ უგზავნის გამოსაქვეყნებლად.
- 1882 1 მაისი**
წერილს უგზავნის ზაქარია ჭავჭავაძეს და სთხოვს, მოისმინოს არაჩვეულებრივი მგალობლების, ძმების – პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილების თხოვნა.

- 1882 2 მაისი**
მცხეთაში ესწრება ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის სულის საოხად ჩატარებულ წირვას.
- 1882 6 მაისი**
წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსს, დიმიტრი სტაროსელსკის, და სთხოვს ქეთევან ესტატეს ასულ ერისთავ-ჭავჭავაძის განთავისუფლებას სახელმწიფო პრიკაზის ვალისგან ან მისი სახლის საჯარო გაყიდვის ვადის გახანგრძლივებას რამდენიმე თვით, სანამ ახალი იმპერატორის კურთხევა არ ჩატარდება და თავადაზნაურობის თხოვნა პრიკაზის ვალების ჩამოწერის შესახებ არ განიხილება.
- 1882 6 მაისის შემდეგ**
წერილს უგზავნის ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეს და უხსნის, რომ მან დიმიტრი სტაროსელსკის მისი და მისი მეუღლის მამულების გაყიდვის გადავადება სთხოვა და ვერ გაუგია, ისინი საწინააღმდეგოდ რატომ მოიქცეოდნენ. ჰპირდება, რომ სასწრაფოდ გაარკვევს ამ საქმეს.
- 1882 7 მაისი**
დეპეშას უგზავნის კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, რძალს, მარია სტოლიპინა-ვორონცოვისას, და უსამბიმრებს მეუღლის, გენერალ სიმონ ვორონცოვის გარდაცვალებას.
- 1882 8 მაისი**
სიონის ტაძარში, ქართველ თავადაზნაურობასთან ერთად, ესწრება სიმონ ვორონცოვის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.
- 1882 12 მაისი**
სანდო პირის ხელით წერილს უგზავნის ხარკოვში თავისი ახლობლის, უდროოდ გარდაცვლილი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, ქალიშვილს, მარია ორბელიანს, და ატყობინებს, რომ 28 ივნისს დანიშნულია ადრესატის მამაპაპეული სახლის საჯარო გაყიდვა „პრიკაზის“ ვალების გამო. ერთხელ უკვე იყო გამოცხადებული აუქციონი, მაგრამ, ამ ოჯახისადმი პატივისცემით, განაცხადი არავინ შეიტანა. მეორე ჯერზე ასე აღარ იქნება. სთხოვს, საქმის კურსში ჩააყენოს მისი გამზრდელი ბებია, მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვა, და ჰკითხოს, ხომ ვერ დაეხმარებოდა თავისი გარდაცვლილი სიძის ოჯახს სახლის გადარჩენაში.
- 1882 20 მაისი**
ესწრება კრებას, რომელზეც განიხილავენ ქართველი თავადაზნაურობის თხოვნას „პრიკაზის“ ვალებისგან განთავისუფლების შესახებ.

- 1882 20 მაისი**
 თემირხანშურაში წერილს უგზავნის ივანე დავითის ძე ორბელიანს და აცნობებს, რომ თხოვნა შეუთვალა ადრესატის ძმის, ალექსანდრე ორბელიანის, სიდედრს – მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვას, რომ დაეხმაროს მისი სიძის მამაკაპეული სახლის გადარჩენაში. ურჩევს, როდესაც კავკასიის ახალი მთავარმართებელი დალესტნის მოსანახულებლად ჩავა, ადგილზე დახვდეს და პირადად ელაპარაკოს.
- 1882 20 მაისი**
 250 მანეთს და დეკემას უგზავნის დედოფლისწყაროში რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. სწერს, რომ მისი და, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა, და სიძე – დავით ჭავჭავაძე თბილისში არიან და თავს კარგად გრძნობენ.
- 1882 24 მაისი**
 პიატიგორსკიდან იღებს წერილს ტემპელგოფისა და ორბელიანოვკის საზოგადოებებიდან. აცნობებენ, რომ მათთვის ძნელია იცხოვრონ იჯარით აღებულ მიწებზე და სთხოვენ, ან მიჰყიდოს ეს მამულები, ან გაცვალოს სახაზინო მიწებში.
- 1882 25 მაისი**
 წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, მის მაგივრად მისწეროს ნესტორს, თვითონ კი ხელს მოაწერს, რადგან წერის თავი არა აქვს.
- 1882 28 მაისი**
 წერილს სწერს თბილისიდან პიატიგორსკში ტემპელგოფისა და ორბელიანოვკის კოლონიების მცხოვრებლებს. თხოვნაზე, იჯარით აღებული მიწები სამუდამო მფლობელობაში გადასცეს, პასუხობს, რომ მათთვის, მართლაც, ძნელია, დახარჯონ თანხა და მოაწყონ მეურნეობა სხვის კუთვნილ მიწაზე. მათი სურვილი ბუნებრივია და სამართლიანი, ამიტომ, როგორც ადრე, ისე ახლაც თანახმაა და ურჩევნია მათ მიჰყიდოს, ვიდრე – სხვებს. მაგრამ მისთვის არამოგებიანია ნაწილ-ნაწილ გაყიდვა, მათ იციან, რომ ისედაც მცირე ფასს სთავაზობს. როგორც კი კონტრაქტი დაუმთავრდებათ, მან უნდა გაყიდოს მთლიანად ეს მიწები, რომ ამ თანხით გამოიხსნას მამაკაპისეული მამული. ამ მიწების სახაზინო მიწებში გაცვლით თავის მიზანს ვერ მიაღწევს. მიწები ყოველწლიურად ძვირდება და 1879 წელს რომ დაეჯერებინათ მისთვის, ეს პრობლემა აღარ ექნებოდათ.
- 1871-1882 30 მაისი**
 მოკლე წერილს უგზავნის ელენე ჭავჭავაძის მეუღლეს, ნიკოლოზ ასტაფიევს, და მეორე დღეს სადილად ეპატიჟება.
- 1882 მაისი**
 ჟურნალ „ივერიაში“ სათაურით „ჟუკოვსკიდან“ იბეჭდება ვასილი ჟუკოვსკის ლექსის „ჰოი, სოფელო! რად ხარ ესრედ მდიდარ ოცნებით?“ გრიგოლ ორბელიანისეული თარგმანი.

- 1882 6 ივნისამდე**
 თბილისს სტუმრობენ კავკასიის სხვადასხვა სააქციო საზოგადოების მოხელეები: პავლე ბობრიცკი, ალექსანდრ გოლიცინსკი, ალექსანდრ ფისუნი და სხვები. ესწრება მათ პატივსაცემად ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ გამართულ სადილს, იქიდან კი ალექსანდრ ფისუნი ეპატიჟება ვახშმად სპარსულ სამზარეულოში. როდესაც ეკიპაჟები ჩერდება პატარა დუქანთან, გრიგოლ ორბელიანი აკვირდება ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელის შემფოთებას და ელიძება. იმ პატარა დუქანში, სადაც უფრო ახალგაზრდები იკრიბებოდნენ ხოლმე, ყველა კარგ დროს ატარებს.
- 1882 6 ივნისი**
 თბილისიდან დედოფლისწყაროში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს, და აცნობებს, რომ გვარდიიდან კაზაკთა პოლკში მისი გადაყვანის საკითხი წინ მიიწევს. ბრძანება გაცემულია და ახლა კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა უნდა შეათანხმოს იმპერატორ ალექსანდრე III-სთან.
- 1882 8 ივნისამდე**
 ძალიან წუხს იმის გამო, რომ დავით და მანანა ორბელიანების სახლი სახელმწიფო „პრიკაზის“ ვალების დასაფარად უნდა გაიყიდოს. თავად ფული არა აქვს და ამიტომ სთხოვს ხან ალექსანდრე ორბელიანის სიდედრს, მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვას, ხან ზაქარია ჭავჭავაძეს და ხან დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის სიძეს, ივანე მამუკას ძე ორბელიანს, რომ როგორმე ეს სახლი გამოისყიდონ.
- 1882 8 ივნისი**
 პოლიევქტოს კარბელაშვილის ხელით წერილს უგზავნის ვახტანგ ორბელიანს და სთხოვს, რომ მისმა ქალიშვილმა – მარიამმა მხარი დაუჭიროს თავადაზნაურობის კომიტეტში გრიგოლის მიერ წამოყენებულ წინადადებას ქართული გალობის დამკვიდრების შესახებ.
- 1882 8 ივნისი**
 გორში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, რევაზ შალვას ძე ერისთავს, და დიდ წუხილს გამოთქვამს ივანე დავითის ძე ორბელიანის უნუგემო მატერიალური მდგომარეობის გამო. უყვება თბილისის ამბებს და სწერს, რომ იმართება ჭიდაობები, სადაც ერთმა გლდანელმა ბიჭმა ყველა დაამარცხა.
- 1882 13 ივნისი**
 წერილს სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს და სთხოვს, ქრისტიანობის აღმდგენი კომისიის წევრებს გადასცეს, რომ სხდომაზე ვერ მივა.
- 1882 21 ივნისი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და სთხოვს, რომ ხშირ-ხშირად შეატყობინოს თავისი ამბავი დეპეშებით, რადგან წერილები გვიან ჩადის. სწერს ნათესავებისა და ახლობლების ამბებს და მოიკითხავს ძმისწულ გიორგის.

- 1882 23 ივნისამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ ცარსკოე სელოდან 15 ივნისს გაგზავნილ წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ გიორგის სულაც არ უნდა ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკში გადასვლა და მან ამაზე ტყუილად იზრუნა.
- 1882 23 ივნისი**
ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და შეახსენებს, რომ სწორედ გიორგის უნდოდა არა დრაგუნთა, არამედ კაზაკთა პოლკში გადასვლა, რადგან დრაგუნთა პოლკში ესკადრონის მეთაურობა დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ ატეხა ერთი ამბავი მთავარ შტაბში და შეაწუხა მთავარმართებელი, ახლა კი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ ადრესატი და გიორგი თავიანთ აზრს პირდაპირ არ ეუბნებიან. ერთადერთ გამოსავლად იმას ხედავს, რომ გიორგი გადავიდეს კაზაკთა პოლკში და, როცა მთავარმართებელი დაბრუნდება, რაიმე სხვა ადგილს გამოუნახავს, შეიძლება თავისთანაც გადაიყვანოს. მეორე მხრივ, თუ კაზაკთა პოლკში გადაყვანით გიორგი ჩინს კარგავს, მაშინ ჯობს, შეაჩერონ მისი გადაყვანის ბრძანება და დაელოდონ კავკასიის მთავარმართებლის პეტერბურგში ჩასვლას.
- 1882 12 ივლისი**
თბილისიდან ბორჯომში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, და მოიკითხავს მის დისწულს, ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისას, რომლის სანახავადაც ადრესატი იყო წასული.
- 1882 19 ივლისამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, მიერ 5 ივლისს გაგზავნილ წერილს.
- 1882 19 ივლისი**
თბილისიდან მოსკოვში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. გაკვირვებას გამოხატავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გიორგის კაზაკთა პოლკში გადაყვანის საკითხი მანაც და დედამისმაც უღიმღამოდ მიიღეს, არადა, ეს მათი სურვილი იყო. სწერს, რომ თუ გიორგის ამის გაკეთება არ უნდა, ახლავე განაცხადოს ირეგულარული ძალების მთავარ შტაბში.
- 1882 23 ივლისი**
თბილისიდან აბასთუმანში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას, დასაყვედურობს, რომ სხვისგან შეიტყობისი გადაწყვეტილება ბათუმში გამგზავრების შესახებ. შენატრის, რომ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძესავით მზრუნველი დისწული ჰყავს, თვითონ კი დარჩა დავრდომილი, არც რძალი გამოადგა და არც სხვა ვინმე.
- 1882 25 ივლისი**
მსახურ ზურაბკას ხელით თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და უყვება ნათესავების ამბებს.

- 1882 28 ივლისამდე**
იღებს მარიამ ალექსი-მესხიშვილის მიერ აბასთუმნიდან გაგზავნილ დეპეშას და იგებს, რომ მისმა რძალმა, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანმა, ფაეტონიდან ჩამოხტომისას ფეხი მოიტეხა. ადრესანტი სთხოვს ექიმ ბაჯიაშვილისა და მსახური ბიჭის გაგზავნას.
- 1882 28 ივლისამდე**
იღებს ბიძაშვილის შვილის – ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს წერილს.
- 1882 28 ივლისი**
თბილისიდან საპასუხო წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს. სთხოვს, მისმა მეუღლემ ივან ოკლობჯიომ გრიგოლის მამული სახნავ-სათიბებით, სამოვრებით, თევზით სავსე მდინარეებითა და წისქვილებით ან იყიდოს, ან გაუყიდოს დესეტინა 20 მანეთად, რომ იმ თანხით სომხებისგან გამოიხსნას თავისი მამაპაპისეული მიწები. აცნობებს, რომ მცხეთიდან პარაკლისითა და დიდი პატივით გაისტუმრეს მოსკოვში მიტროპოლიტად ახალდანიშნული საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი იოანეკე რუდნიოვი; თბილისის ბაღები სადამოშობით სავსეა ხალხით; იმართება კონცერტები, ცეკვები, მასკარადები და ზნეობა ძალიან ეცემა.
- 1882 31 ივლისამდე**
იღებს ბიძაშვილის შვილის, ანასტასია ორბელიან-ოკლობჯიოს, წერილს.
- 1882 31 ივლისამდე**
იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ სუსტად არის და მოსკოვში მიდის თავის დებთან.
- 1882 31 ივლისი**
დისშვილის შვილს, ნიკოლოზ ერისთავს, წერილს უგზავნის და სთხოვს, აბასთუმანში წავიდეს და ყურადღება მიაქციოს ფეხმოტეხილ ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისას და ისიც მაშინვე მიდის.
- 1882 31 ივლისი**
თბილისიდან ჟელეზნოვოდსკში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ანასტასია ოკლობჯიოსა, და მის მეუღლეს, ივან ოკლობჯიოს. ისევ შეახსენებს თავის თხოვნას, რომ დაეხმაროს სოფელ ორბელიანოვკის მამულის გაყიდვაში, რადგან გრიგოლს სურს, რომ სომხებისგან გამოისყიდოს თავისი მამაპაპისეული მიწები.
- 1882 8 აგვისტომდე**
აბასთუმნიდან იღებს რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილის, ანასტასია ჩერქეზიშვილის, წერილს.

1882

8 აგვისტო

თბილისიდან აბასთუმანში წერილს უგზავნის რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილს, ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისას. აცნობებს, რომ ექიმი ბაჯიაშვილი უკვე გაგზავნა მასთან. სწერს, რომ დეიდამისი ქეთევანი დიდ განცხრომაში იქნება, რადგან მზრუნველობას არ მოაკლებენ წერილის ადრესატი და ძმისწული – მარიამ ალექსი-მესხიშვილი. სწერს, რომ ექიმი აზგარ როტინიანცი თბილისიდან გასულა, მეორე დღეს გაგზავნის მასთან მსახურ სოლომონკას, რომ რეცეპტები გამოაწერინოს და მესამე დღეს შეატყობინებს პასუხს.

1882

10 აგვისტომდე

ჟელეზნოვოდსკში დეპეშას უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს, და უკან უბრუნდება ინფორმაციით, რომ ის გაემგზავრა კისლოვოდსკში.

1882

10 აგვისტომდე

კისლოვოდსკში დეპეშას უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს, მაგრამ უკან უბრუნდება ინფორმაციით, რომ ის დაბრუნდა თემირხანშურაში.

1882

10 აგვისტო

მისთვის ნათხოვნი წამლების რეცეპტებთან ერთად თბილისიდან აბასთუმანში წერილს უგზავნის რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილს, ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისას. სთხოვს, რომ იმყოფინონ დასვენება და დაბრუნდნენ თბილისში, თორემ მარტოკა სულ გამოყრუვდა. უყვება ჭორებს ადრესატის მოსალოდნელ გათხოვებასთან დაკავშირებით და აინტერესებს, მართალია, თუ არა.

1882

10 აგვისტო

წერს ბიძაშვილის შვილის – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძისთვის გასაგზავნ წერილს, მაგრამ არ აგზავნის.

1882

11 აგვისტო

თბილისიდან თემირხანშურაში ხელახლა დაწერილ წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს – ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და აცნობებს, რომ ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი ემზადება დალესტანში გასამგზავრებლად, შემდეგ კი პეტერბურგში წავა დასამტკიცებლად კავკასიის წესდებისა, რომელსაც ამუშავებს პეტერბურგიდან მივლენილი კომისია. ფიქრობს, წესდების მიზანია, ყოველმა მინისტრმა ნევის პროსპექტიდან მართოს საქართველოში თავისი ნაწილი. სწერს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა უიმედოდ ავად არის, შორდებათ საქართველოს უკანასკნელი მშვენიერება და ბნელდება ქვეყანა. ურჩევს, სთხოვოს დონდუკოვს, ყუბაში ყაჩაღობის ასალაგმად მალე დანიშნოს მაზრის უფროსი, ან ყუბა შეუერთოს დალესტანს, როგორც ბათუმი – გურიას.

- 1882 13 აგვისტოს შემდეგ**
 გორდიდან იგებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის გარდაცვალების ამბავს და ძალიან უნდა მისთვის გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმა, მაგრამ თავის თავში იმდენ ძალას ვერ პოულობს, რომ მგზავრობა შეძლოს და შინ რჩება.
- 1882 19 აგვისტო**
 250 მანეთთან ერთად ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და დიდი მწუხარებით აცნობებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის გარდაცვალების ამბავს. მასთან ერთად იგონებს ყველას, ვინც გული დასწყვიტა იმქვეყნად წასვლით: ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის, თავის ძმებს: ზაქარიასა და ილიას, ადრესატის დებს: ელისაბედსა და ვერას, ყაფლან, ალექსანდრე, იოსებ, მიხაკო ორბელიანებს, მანანა ერისთავ-ორბელიანისას და სხვებს. სწერს, რომ მისმა რძალმა ქეთევან ალექსი-მესხიშვილმა ფაეტონიდან გადმოხტომისას ფეხი მოიტეხა და დროულად რომ არ გაეგზავნა მისთვის აბასთუმანში ექიმი ბაჯიაშვილი, შეიძლებოდა ფეხი დაეკარგა. მოიკითხავს მის დას, ოლღას, და აინტერესებს, იჯერა თუ არა გული მოსკოვში თავის ოჯახთან ყოფნით. ასევე, სწერს, რომ დიმიტრისვიატოპოლკ-მირსკი და მისი ქალიშვილები: მაიკო და ოლღა იალტიდან გაემგზავრებიან.
- 1882 21 აგვისტო**
 მსახურ ნინიკას ხელით თბილისიდან კოდაში წერილს უგზავნის ალექსანდრე საგინაშვილს და უყვება მისი რძლის, ქეთევანის მიერ ფეხის მოტეხის ამბავს. ატყობინებს, რომ მისი დაქვრივებული დისწული ნინო ბარათაშვილი წავიდა კოდისკენ მამულის მოსავლელად და სთხოვს, რითაც შეძლებს, დაეხმაროს.
- 1882 22 აგვისტო**
 იღებს რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილის, ანასტასია ჩერქეზიშვილის, წერილს და იგებს, რომ ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა, მარიამ ალექსი-მესხიშვილი და ის აბასთუმნიდან უკვე ახალციხეში ჩავიდნენ.
- 1882 23 აგვისტო**
 თბილისიდან ახალციხეში ექიმ ბაჯიაშვილის ხელით წერილს უგზავნის თავისი რძლის – ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის დისშვილს, ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისას და სწერს, რომ უხარია მათი გამგზავრება თბილისისკენ, რადგან მარტოობით დაიღალა. აცნობებს ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების ამბავს და გულისტკივილით სწერს, რომ მასავით დაბადებით დედოფალი ქალბატონები ამ სოფლიდან მიდიან და არავინ რჩება მათი სადარი. ეხუმრება, რომ წერილის მიმტან ექიმს რუსული გვარი რომ ჰქონოდა, შეიძლება მისგან მეტი ყურადღება დაემსახურებინა.
- 1882 26 აგვისტო**
 თბილისიდან ზუგდიდში წერილს უგზავნის ნიკოლოზ დადიანს და სწერს, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მას განსაკუთრებული მისია დაეკისრა, იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ – სამეგრელოს მოსახლეობაზეც. ამიტომ, სთხოვს, დატოვოს პეტერბურგი და ოჯახთან ერთად დასახლდეს თავის სამშობლოში, რომელიც მას გულით მოეღოს.

- 1882 29 აგვისტო**
ქართული საერო და საეკლესიო სიმღერების ნოტებზე ჩასაწერად შეწირულობის სახით 50 მანეთს და მოკლე ბარათს უგზავნის ვასილ კარბელაშვილს, რომელიც ამ დროს ჩაირიცხა მოსკოვის კონსერვატორიაში სამუსიკო დამწერლობის შესასწავლად.
- 1882 3 სექტემბრამდე**
იგებს, რომ მისი რძალი ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ოსიაურში ჩავიდა და უგზავნის დეპეშას.
- 1882 3 სექტემბერი**
იგებს, რომ მისი რძალი, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა გორში იმყოფება და უგზავნის ექიმ ბაჯიაშვილს.
- 1882 3 სექტემბერი**
თბილისიდან გორში წერილს უგზავნის რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისას, და ატყობინებს, რომ ექიმი ბაჯიაშვილი მასთან მიემგზავრება.
- 1882 10 სექტემბრამდე**
მას შემდეგ, რაც დიდი წარმატებით ტარდება აკაკი წერეთლის საჯარო შეხვედრები გორში, ქუთაისსა და თელავში, ქართველი საზოგადოება ხვდება, რომ მზად არის თავისი ღირსეული მწერლების დასაფასებლად და ასეთთაგან, უპირველესად, ახსენდება გრიგოლ ორბელიანი. 1871 წელს დიდი პომპეზურობით აღნიშნა მისი სამხედრო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, მაგრამ ამით ერთგვარად დაიჩრდილა პოეტური ღვაწლი და გამოთქვამენ სურვილს, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილე გადაუხადონ.
- 1882 10 სექტემბერი**
გაზეთი „დროება“ მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში გაჩნდა სურვილი დიდი ზეიმით აღნიშნონ გამოჩენილი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის, ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილე. აქვე ნათქვამია, რომ ღირსეულ ადამიანთა დაფასება ერის თვითცნობიერების განმტკიცების ნიშანია.
- 1882 11 სექტემბერი**
რუსულ გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება გაზეთ „დროებიდან“ მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართულ საზოგადოებას სურს გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილეს აღნიშვნა და რომ ეს იქნება მისი შემოქმედების ღირსეული აღიარება.
- 1882 არა უგვიანეს 11 სექტემბერი**
კოდაში მოკლე წერილს უგზავნის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, მეუღლეს – ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელიანისას და მადლობას უხდის არაჩვეულებრივი ატმების გაგზავნისთვის.

- 1882 14 სექტემბრამდე**
ავადმყოფობის გამო უარს აცხადებს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 50 წლის იუბილე გადაუხადონ.
- 1882 14 სექტემბერი**
გაზეთი „დროება“ მკითხველს აწვდის გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რედაქციაში მიდის უამრავი წერილი შეკითხვით, როდის ჩატარდება გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილე. მიმოხილვის ავტორი იმეორებს იმ ვარაუდსაც, რომ თავად იუბილარის განცხადება, რომ ავად არის, უბრალოდ, საბაზია და, რომ იუბილეს ორგანიზებისათვის იქმნება საგანგებო კომისია.
- 1882 16 სექტემბერი**
რუსულ გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება გაზეთ „დროებიდან“ მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონის მცხოვრებლებმა გამოთქვეს სურვილი გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილეს აღნიშვნაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ თავად იუბილარი აცხადებს, რომ, ავადმყოფობის გამო, იუბილეს ვერ დაესწრება.
- 1882 18 სექტემბერი**
რუსულ გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება, რომ გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილეს აღნიშვნას მთელი საზოგადოება მოუთმენლად ელის და გაზეთს უამრავი წერილი მისდის შეკითხვით, თუ როდის ჩატარდება. საგაზეთო ქრონიკაში, ასევე, ნათქვამია, მართალია, თავად იუბილარი ამბობს, რომ ავად არის და იუბილეს ვერ დაესწრება, მაგრამ ეს, უბრალოდ, საბაზია და იმედია გადაიფიქრებსო. აქვე არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იუბილეს ორგანიზებისათვის იქმნება საგანგებო კომისია.
- 1882 19 სექტემბერი**
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილეში მონაწილეობის მსურველებისგან სხვადასხვა კუთხიდან მიიღეს წერილები, მაგრამ თავად იუბილარი აცხადებს, რომ ასეთი ყურადღება არ დაუმსახურებია და, რომ, ავადმყოფობის გამო, იუბილეს ვერ დაესწრება.
- 1882 19 სექტემბერი**
ცარსკოე სელოდან იღებს რძლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ირეგულარული ჯარების მთავარი სამმართველოს შეტყობინებით, გიორგი ორბელიანის ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკში გადაყვანის საკითხი უნდა გადაწყვიტოს კავკასიის არმიის მთავარმა შტაბმა. ძალიან გაკვირვებულია ამ პასუხით, რადგან მთავარმართველმა ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვმა, რაც მისი მხრივ იყო საჭირო, გააკეთა, მან გიორგის წარდგინებას ჯერ კიდევ 1882 წლის 22 ივნისს მოაწერა ხელი.

- 1882 20 სექტემბერი**
 250 მანეთთან ერთად ტაბახმელიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას. გაკვირვებულია ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკში გადაყვანასთან დაკავშირებით გიორგის განცხადებაზე ირეგულარული ჯარების მთავარი სამმართველოს პასუხით. ჰპირდება, რომ ორ დღეში გაარკვევს, რა ხდება და დეპეშას გაუგზავნის, მაგრამ წერილის დასრულებამდევე არკვევს, რომ მთავარ სამმართველოს გიორგის მუდმივად გადაყვანაზე კაზაკთა პოლკში უარი უთქვამს, მაგრამ დროებით გადაყვანაზე – არა. ეს გადაწყვეტილება 23 აგვისტოს მიუღიათ და ახლა საჭიროა განკარგულების გაცემა დროებით გადაყვანაზე. სწერს, რომ გიორგიმ არ უნდა იზარმაცოს და უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ასეთი განკარგულება გასცენ.
- 1882 სექტემბერი**
 იგეგმება მისი იუბილე ქუთაისში.
- 1882 20 ოქტომბრამდე**
 პეტერბურგიდან იღებს ძმისწულის, გიორგი ორბელიანის, დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ ის და დედამისი კარგად არიან.
- 1882 21 ოქტომბრამდე**
 იგებს, რომ მისი რძალი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ისე მძიმედ არის ავად, რომ ექიმები უარს ამბობენ მის მკურნალობაზე. დეპეშას უგზავნის ბარბარეს დას – ოლღას, რომელმაც, საერთოდ, არაფერი იცის დის ავადმყოფობის შესახებ და თავადაც სასოწარკვეთილებაში ვარდება.
- 1882 21 ოქტომბერი**
 თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს, და სთხოვს, ხშირად მისწეროს დედის ჯანმრთელობის შესახებ. აცნობებს, რომ ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი გაემგზავრა პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანის კარგი ნაცნობის, გენერალ ვიტოლდ გურჩინის, თანხლებით. სთხოვს, მივიდეს მასთან და სწრაფად მოუგვარებს შტაბიდან ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკში გადასვლას.
- 1882 31 ოქტომბერი**
 გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ქაიხოსრო გელოვანის ვრცელი წერილი „გრიგოლ ორბელიანის იუბილეს გამო“, რომელშიც ის საუბრობს ერის განვითარებაში მწერლობის მნიშვნელობაზე და ლიტერატურის მოღვაწეთა დაფასების აუცილებლობაზე.
- 1882 1 ნოემბრამდე**
 კავკასიის მთავარმართებლის მეუღლის – ნადეჟდა კოლოგრივოვა-დონდუკოვ-კორსაკოვისგან იგებს, რომ მას შეხვედრია გრიგოლის ძმისწული გიორგი, რომლისგანაც გაუგია, რომ ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ცარსკოე სელოდან 1 ნოემბერს მოსკოვში მიემგზავრება.

- 1882 3 ნოემბერი**
345 მანეთთან ერთად თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს. სთხოვს, დაწვრილებით მისწეროს, რა პასუხი მიიღო ვლადიკავკაზის კაზაკთა პოლკში მის გადაყვანასთან დაკავშირებით და აპირებენ თუ არა საქართველოში ჩასვლას.
- 1882 18 ნოემბერი**
რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კანცელარიაში გზავნის წერილობით დადასტურებას, რომ მას გადაეცა იმპერატორ ალექსანდრე II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მის სახელზე დაწესებული ოქროს მედალი.
- 1882 20 ნოემბერი**
წერილს უგზავნის რძალს – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას და ეკითხება, გაემგზავრა თუ არა მოსკოვში.
- 1882 20 ნოემბრამდე**
იღებს დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის წერილს.
- 1882 20 ნოემბერი**
თბილისიდან ლიუბოტინში საპასუხო წერილს უგზავნის დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის. ბოდიშს უხდის დაგვიანებული პასუხისთვის და უხსნის, რომ საკმაოდ სუსტად არის, საზოგადოებაში იშვიათად ჩნდება და ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვს. ერთადერთი, რაც ამხნევეს, არის რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და ძმისშვილ გიორგის მოლოდინი. უყვება ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის, მისი დედის – მარიამ აღამალიან-ბაგრატიონ-გრუზინსკაიასა და ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების ამბებს.
- 1882 20 ნოემბერი**
თბილისიდან ცარსკოე სელოში, 250 მანეთთან ერთად, წერილს უგზავნის ძმისწულს, გიორგი ორბელიანს. გაოცებულია, რომ ის სამი სიტყვის მიწერასაც ვერ ახერხებს თავის შესახებ. სურს, იცოდეს, სად არის და როგორ დამთავრდა მისი მივლინება ვლადიკავკაზის პოლკში. ასევე აინტერესებს, როგორ მიიღეს ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი პეტერბურგში და რას ლაპარაკობენ მის შესახებ.
- 1882 2 დეკემბრამდე**
იღებს ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის მიერ შედგენილ წერილობით მოსაზრებას კავკასიის მმართველობის შესახებ.
- 1882 2 დეკემბერი**
კავკასიის შესახებ ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის წერილობით მოსაზრებებს საკუთარ წერილთან ერთად უბრუნებს ავტორს და აღფრთოვანებას გამოხატავს იმ ცოდნით, რომელიც ადრესატს აქვს კავკასიის შესახებ.

- 1882 10 დეკემბრამდე**
მოუთმენლად ელის, რომ მისი რძალი, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, და ძმისწული, გიორგი, თბილისში გადავლენ საცხოვრებლად და სიცოცხლე გაუხალისდება, მაგრამ სანაცვლოდ იღებს რძლის წერილს, რომლითაც იგებს, რომ ისინი ისევ ცარსკოე სელოში რჩებიან. იმდენად ცუდ ხასიათზე დგება, რომ ყველას ეჩხუბება.
- 1882 10 დეკემბრამდე**
ესწრება დისშვილის შვილის – ნიკოლოზ ერისთავის მიერ გამართულ წვეულებას, რომელზეც, ასევე, არიან გიორგი ერისთავი, ივანე ორბელიანი, იასონ თუმანიშვილი, ანტონ ყორღანოვი და სხვები.
- 1882 10 დეკემბერი**
თბილისიდან ცარსკოე სელოში წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და გამოთქვამს უდიდეს გულისტკივილს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ისევ ვერ ახერხებენ თბილისში ჩასვლას. ფიქრობს, რომ გიორგიმ დროულად არ შეიტანა თხოვნა კავკასიის არმიაში გადაყვანაზე და ამიტომაც ვერ ტოვებენ ცარსკოე სელოს. სწერს, რომ მისი დის – ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძის ოჯახი კარგად არის და უყვება ახალი მთავარმართებლის მიერ კავკასიაში გატარებული ცვლილებების შესახებ.
- 1882 12 დეკემბერი**
თბილისიდან იალტაში წერილს უგზავნის ანასტასია ორბელიან-გაგარინისას და გადასცემს დალესტანში დაბრუნებამდე მისი ძმის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მიერ გამოხატულ გულისტკივილს მათ შორის მომხდარი უთანხმოების გამო. სწერს, რომ ივანემ დას დაუბარა, დაბრუნებულიყო მათს სახლში და, თუ ძმის ნახვა არ ესიამოვნებოდა, თავად გაერიდებოდა.
- 1882 16 დეკემბერი**
თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის დალესტნის ცხენოსანთა პოლკის მეთაურს, პოდპოლკოვნიკ არჩილ ჭავჭავაძეს, ულოცავს სამხედრო წარმატებებს და მადლობას უხდის ღირსეული სამსახურისთვის.
- 1882 20 დეკემბერი**
იღებს თავისი რძლის დის – ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მიერ მოსკოვიდან გაგზავნილ წერილს და იგებს, რომ ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა მაინც სუსტად არის და ამიტომ ვერ გადაუწყვეტია საქართველოში გამგზავრება.
- 1882 20 დეკემბერი**
250 მანეთთან ერთად, თბილისიდან ცარსკოე სელოში მოკლე წერილს უგზავნის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას, და ულოცავს დამდეგ შობას. სთხოვს, შეატყობინონ, აპირებენ ზამთარში თბილისში ჩასვლას თუ არა. სწერს, რომ ანასტასია ოკლობჟიო ბევრად უკეთ არის.

- 1882 დეკემბერი**
 სილოვან ხუნდაძე ჟურნალ „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს „ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში“ და ამ სტატიას უძღვნის მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილეს. ავტორის თქმით, 1832 წელი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში პირველი ნაყოფიერი წელი იყო და ისტორიული თემატიკაც აქედან იღებს სათავეს. იგი ვრცლად განიხილავს გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებებს: „იარაღის“, „სადღეგრძელო“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.
- 1883 -მდე**
 წერს ლექსებს: „აზარფეშაზე“, „კინტოს სიმღერა“, *** („იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ“...) და „დავბერდი“.
- 1883 -მდე**
 აკაკი წერეთელი სტუმრად მიდის გრიგოლ ორბელიანთან, რომ მისდამი პატივისცემა გამოხატოს და 1870-იან წლებში მათი პოეტური პაექრობით შექმნილი დაპირისპირება გაანეიტრალოს. გრიგოლი კეთილგანწყობით ხვდება და უყვება 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მისი სამშობლოდან გადასახლებისდროინდელ ამბებს, რომლებიც აკაკიზე იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თვალზე ცრემლი ადგება.
- 1883 დასაწყისი**
 მასთან სახლში სტუმრად მიდის ზაქარია ჭიჭინაძე, ატყობინებს, რომ სურვილი აქვს მოამზადოს მისი ლექსების მესამე გამოცემა და სთხოვს სურათს. გრიგოლ ორბელიანი ჰპირდება, რომ საგანგებოდ გადაიღებს ახალ ფოტოს, მოუძებნის გამოუქვეყნებელ ლექსებს და ძველებსაც შეასწორებს.
- 1883 10 იანვრამდე**
 იგებს, რომ მისი რძალი ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა, და მმისწული, გიორგი ორბელიანი, მოსკოვიდან გაემგზავრნენ და 10 იანვარს უკვე ვლადიკავკაზში იქნებიან.
- 1883 10 იანვარი**
 წერილს უგზავნის დისწულის – ეკატერინე ბარათაშვილის ვაჟს – ნიკოლოზ ერისთავს. აცნობებს, რომ ბარბარე და გიორგი ორბელიანები მოსკოვიდან გაემგზავრნენ და მალე ჩავლენ თბილისში. სთხოვს, მათთვის აყიდინოს საწოლის წინ გასაშლელი ორი ხალიჩა.
- 1883 24 იანვარი**
 თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის კავკასიის მთავარმართებელს, ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვს. სთხოვს, რომ თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარეობიდან ალექსანდრ ოგოლინის გადაყვანის გამო გაჩენილ ვაკანსიაზე დანიშნოს ამავე პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პატიოსნად მსახურობს და დიდი ხანია, იმსახურებს დაწინაურებას.

- 1883 თებერვლამდე**
იღებს ფოტოს ჯილდოებისა და მედლების გარეშე.
- 1883 თებერვლამდე**
მასთან სახლში კვლავ მიდის ზაქარია ჭიჭინაძე, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ახალი გამოცემისთვის მასალების წასაღებად. გრიგოლ ორბელიანი დაახვედრებს მისი წინა გამოცემის ერთ ეგზემპლარს, მასში შეტანილი სწორებებით და საგანგებოდ გადაღებულ ახალ ფოტოს, რომელზეც მას არც ერთი მედალი და ჯილდო არ უმშვენებს მკერდს.
- 1883 16 თებერვლამდე**
რომანოზ ფანცხავა წერს გრიგოლ ორბელიანის ლექსების მიმოხილვას და თავის ნაშრომს აკითხებს ილია ჭავჭავაძეს.
- 1883 თებერვლიდან**
ავად ხდება ინფექციური დაავადებით, ტიფით, და ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობა უშედეგოა.
- 1883 21 მარტი**
ორთვიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანი.

წყარო: სეა, 1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისიის მასალები, საქმე XVIII, ფურც. 3492; იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, ორბელიანები, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf; იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მომამბე“, 1904, N2, გვ. 758-59; საქართველოს ეროვნული არქივი, ძველი საბუთების განყოფილება, ფონდი 1448, საქმე 6292; ფონდი 1450, საქმე 2587; სოლომონ ცაიშვილი, როდის დაიბადა გრიგოლ ორბელიანი? „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1955, 7 ივლისი.


დათარილება: გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად ორბელიანთა საგვარეულო ნუსხაში 1804 წლის 2 ოქტომბერია მითითებული, ნამსახურობის სიაში, რომელსაც მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია ეყრდნობა, – 1800 წელი, თავად პოეტის ჩანაწერების მიხედვით კი, იგი 1805 წელს ჩანს დაბადებული. 1833 წლის 24 თებერვალს, როდესაც საგამომიებო კომისიამ დაუსვა კითხვა მისი ასაკის შესახებ, მან უპასუხა, რომ იყო 27 წლის. აქედან გამომდინარე, იგი 1805 წლის 2 ოქტომბერს უნდა ყოფილიყო დაბადებული. მსგავს ინფორმაციას გვაწვდის 1834 წელს დიმიტრი ემელიანოვისთვის გაგზავნილი წერილიც, რომელშიც ნათქვამია, რომ 28 წლის არის. 1805 წლის 2 ოქტომბერს დაბადების შემთხვევაში 1834 წელს 2 ოქტომბრამდე იგი მართლაც ამ ასაკის იქნებოდა. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენც დაბადების თარიღის ამ ვერსიას დავუჭერდით მხარს, რომ არა სოლომონ ცაიშვილის ერთი პუბლიკაცია, რომელშიც იგი საუბრობს მწერლის ბიძების მიერ 1804 წელს გრიგოლის დაბადებასთან დაკავშირებით მისი მამისთვის გაგზავნილ მილოცვის წერილებზე. საქართველოს საისტორიო არქივში გიორგი ორბელიანის ბარათის მოძიებამ დაგვარწმუნა, რომ ის ნამდვილად 1804 წლის ოქტომბერშია გაგზავნილი (მითითებულია თვე და ქორონიკონი „უჭბ“). ეს ისეთი უტყუარი წყაროა, რომლის ცდომილებაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ამიტომ, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ დაკითხვის დროს და დიმიტრი ემელიანოვისთვის გაგზავნილ წერილში თავის ასაკზე მწერალი არასწორად მიუთითებდა. შესაძლოა, საბუთებში დაბადების თარიღი გადაკეთებული ჰქონდა და იძულებული იყო, თავისი წლოვანება იმ თარიღის მიხედვით დაესახელებინა. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ უბრალოდ არასწორად სცოდნოდა საკუთარი დაბადების დრო. ერთი კი ცხადია, რომ იგი ნამდვილად 1804 წლის 2 ოქტომბერს ყოფილა დაბადებული.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე (1766-1827) – ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანისა და თამარ პაატას ასულ აბაშიძის ვაჟი, მილახვარი (სამეურნეო დარგის მოხელე), კოლეგიის მრჩეველი, თბილისის საბაჟოს უფროსი, გრიგოლ ორბელიანის მამა.

ანდრონიკაშვილი-ორბელიანისა ხორეშან ზაქარიას ასული (1786-1833) – ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლე II-ის ქალიშვილის – ელენესა და მისი მეორე ქმრის – ზაქარია ანდრონიკაშვილის ქალიშვილი, გრიგოლ ორბელიანის დედა,

ფოტო/დოკუმენტი: საქართველოს ეროვნული არქივი, ძველი საბუთების განყოფილება, ფონდი 1448, საქმე 6292 r. v.



წყარო: იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, ორბელიანები, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე (1806-1847) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის ძმა. აფშერონის პოლკში სამსახურის დროს გარდაიცვალა ქოლერით. ცოლად ჰყავდა ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 72.

დათარიღება: თარიღს ვუთითებთ მიახლოებით. იმ დროს წერა-კითხვას სულ ცოტა ხუთ წლამდე მაინც არ სწავლობდნენ.

პირთა ანოტაციები:

ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი სოლომონის ძე (1779-1862) – სასულიერო პირი, მწიგნობარი. 1803 წლიდან მსახურობდა ანჩისხატის ტაძარში. მისი ქალიშვილი ცოლად მოიყვანა გრიგოლ ორბელიანის ძმამ, ზაქარიამ.

წყარო: იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, ორბელიანები, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი სოლომონ ზურაბის (დimitრის) ძე (1814-1818) – გრიგოლ ორბელიანის ძმა. გარდაიცვალა მცირეწლოვანი.

წყარო: იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, ორბელიანები, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ილია ზურაბის (დომიტრის) ძე (1815-1853) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ჩრდილოეთ კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა. ცოლად ჰყავდა ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი. დაიღუპა ყირიმის ომის დროს ბაშკადიკლართან.

წყარო: სეა, ფ. 1457, ტ. XXI, ფურც. 4056; Урушадзе Амиран Тариелович, Социокультурная модернизация Грузии в первой половине XIX века, Известия Вузов, Северо-Кавказский регион, Общественные Науки, 2011, N2. Василий Новицкий, Военная энциклопедия, Т. 9, СПб., 1912, 73.

დათარილება: იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაში წერს, რომ კეთილშობილთა სასწავლებელი მან დასრულებამდე მიატოვა და გადავიდა საარტილერიო სასწავლებელში. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ საგანგებო საარტილერიო სასწავლებლები 1820 წლამდე კავკასიაში არ არსებობდა. იყო გვარდიის სასწავლო საარტილერიო დანაყოფებთან არსებული იუნკერთა კლასები. როგორც ჩანს, ორბელიანმა ერთ-ერთ ასეთ კლასში გააგრძელა სწავლა და ასე დაიწყო მისი მომავალი სამხედრო კარიერა. ბიძაშვილის – ანტონ ორბელიანისადმი 1824 წელს მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ რვა წლის წინ მის ცხოვრებაში ისეთი ცვლილება მოხდა, რომელმაც „თავისუფლება“ დააკარგვინა. ვფიქრობთ, აქ სწორედ სამხედრო კარიერის დაწყებასა და იუნკერთა საარტილერიო მომზადების გავლაზე უნდა იყოს საუბარი. შესაბამისად, ეს უნდა ემთხვეოდეს 1816 წელს. იონა მეუნარგიასეული ბიოგრაფიული ნაშრომის მიხედვითაც, ეს ხსენებულ დროს უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რამდენადაც იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის დაბადების წლად 1800 წელს მიიჩნევს, ასაკი, რომელსაც ის უთითებს ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. 1816 წელს კავკასიაში ისეთი მოვლენები განვითარდა, რომელთაც შეიძლება განეპირობებინა ორბელიანის ეს გადაწყვეტილება: კავკასიის ჯარების უფროსად დაინიშნა ალექსეი ერმოლოვი, რუსეთმა დაიწყო ომი ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ, შეიცვალა იმპერიის დაკვეთა: ქართველი თავადაზნაურობისაგან იგი მოითხოვდა სამხედრო განათლებასა და იმპერიის სამსახურში ჩადგომას. გარდა ამისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის ახლობელი – თეოდორ ახვერდოვი დაინიშნა კავკასიის ჯარების ქართული კორპუსის არტილერიის მეთაურად.

Қысқаш: Шилов Д. Н., Кузьмин Ю. А. Члены Государственного совета Российской империи, 1801-1906, СПб., 2007.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 73.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 73.

პირთა ანოტაციები:

ხოვენი რომან (რეინგოლდ) ივანეს ძე (1775-1861) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1818-1829 წლებში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი.

კუკოლნიკი ვასილი გრიგოლის ძე (1765-1821) რუსი სწავლული და პედაგოგი. 1817 წელს იყო რუსეთის იმპერიის მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტის მმართველობის მრჩეველი და შედიოდა კანონების შემქმნელ კომისიაში.

წყარო: იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, ორბელიანები, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი სოლომონ ზურაბის (დომიტრის) ძე (1814-1818) – გრიგოლ ორბელიანის ძმა. გარდაიცვალა მცირეწლოვანი.

წყარო: სეა, ფონდი2, საქმე 2115, ავტოგრაფი N12., გვ. 24.

გეოგრაფიული სახელები: ცარიცინი ერქვა რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადს 1589-1925 წლებში.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე (1806-1847) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის ძმა. აფშერონის პოლკში სამსახურის დროს გარდაიცვალა ქოლერით. ცოლად ჰყავდა ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი.

ოპერმანი ალექსანდრ კარლოს ძე (1803-1855) – გრაფი, გენერალ-მაიორი, გრენადერთა ქართული პოლკის უფროსი.

წყარო: ხეც, ქართულ ხელნაწერ წიგნთა ფონდი, H - 332.

შენიშვნა: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ტექსტს ბოლო გვერდზე ახლავს თარიღიანი მინაწერი: „გრიგოლ ორბელიანისგან დაწერილ არს ესე მილორდიანი. ვინ წაიკითხოს, მომიგონოს“.

პირთა ანოტაციები:

კომაროვი მატვეი – მე-18 საუკუნის რუსი მწერალი, პოპულარული წიგნის – «Повесть о приключении английского милорда Георга и бранденбургской маркграфини Фредерики Луизы» ავტორი.

წყარო: სეა, ფონდი2, საქმე 2115, ავტოგრაფი N11, გვ. 24.

პირთა იდენტიფიკაცია: გრიგოლ ორბელიანის დედას – ხორეშანს ჰყავდა ნახევარდა – მაია (მარიამ) არჩილის ასული ბაგრატიონი-ანდრონიკაშვილისა და იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი იყო მისი მაზლიშვილი. წერილში ნახსენებია „გრაფი“, მაგრამ სახელი მითითებული არ არის. რამდენადაც იასე ანდრონიკაშვილი იყო ადიუტანტი გრაფ ივან პასკევიჩისა, რომელიც 1819 წლის 3 ივლისიდან მსახურობდა იმპერატორის ძმასთან, რუსეთის საარტილერიო ძალების სარდალ – მიხეილ პავლეს ძე რომანოვთან, ვფიქრობთ, აქ სწორედ ის იქნება ნაგულისხმევი.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე (1806-1847) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის ძმა. აფშერონის პოლკში სამსახურის დროს გარდაიცვალა ქოლერით. ცოლად ჰყავდა ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი.

ანდრონიკაშვილი იასე იოსების ძე (1798-1863) – რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი 1842 წლიდან, გენერალ-მაიორი 1846-დან. სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა 1851 წლის შემდეგ. გრიგოლ ორბელიანის დედის ნახევარდის, მაია (მარიამ) არჩილის ასულ ბაგრატიონ-ანდრონიკაშვილის, მაზლიშვილი.

პასკევიჩი ივან თეოდორეს ძე (1782-1856) – რუსეთის არმიის ფელდმარშალი, დიპლომატი, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომების დროს რუსეთის ჯარების მთავარსარდალი.

Қысқаш: Шилов Д. Н., Кузьмин Ю. А. Члены Государственного совета Российской империи, 1801-1906, СПб., 2007.

წყარო: სეა, ფონდი 2, საქმე 2115, ავტოგრაფი N13, გვ. 35.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე (1806-1847) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის ძმა. აფშერონის პოლკში სამსახურის დროს გარდაიცვალა ქოლერით. ცოლად ჰყავდა ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი.

ალექსანდრე I, რომანოვი ალექსანდრე პავლეს ძე (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 73-74.

დათარილება: იონა მეუნარგია წერს, რომ გრიგოლი ამ დროს 14 წლისა იყო, სოფიო კი – სამის, მაგრამ უცნაურია, რომნიშნობასთან დაკავშირებითსაუბრობს ბიძის და არამამის განზრახვაზე. რატომ უნდა გადაეწყვიტა ბიძას ბავშვის ბედი, თუ მას მამა ცოცხალი ჰყავდა? სოფიოს მამა 1820 წელს გარდაეცვალა. ამ წელს დიმიტრი ორბელიანი დიდ სასოწარკვეთილებაში უნდა ყოფილიყო, რადგან 1815 წელს დაელუბა ერთადერთი ვაჟი - თამაზი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, სამი ძმიდან წინა წელს დაკარგა ერთი ძმა - პეტრე (ბეგლარი), 1820 წელს კი ძმის – ყაფლანის დაღუპვამდე – მეორე ძმა, გიორგი და, ასევე, თავად მას გარდაეცვალა მეუღლე – ანა ქაიხოსროს ასული ამილახვარი. რამდენადაც მეტი ძმა არ ჰყავდა, ყაფლანის ოჯახი ახლობელი მამაკაცის გარეშე დარჩა და პატარა სოფიოს ვინმეს მფარველობა სჭირდებოდა. გარდა ამისა, ორბელიანთა ეს შტო გადაშენების წინაშე დადგა. დიმიტრის ჯერ ვაჟი, შემდეგ კი სამივე ძმა გარდაეცვალა და თავად 57 წლისა დაქვრივდა. ვფიქრობთ, ამიტომ გადაწყვიტა სოფიოს დანიშვნა ასე ადრეულ ასაკში და თან თავისივე გვარის სხვა შტოს წარმომადგენელზე, თორემ მცირეწლოვანი ბავშვის ნიშნობა იმ პერიოდის ქართლში არც ისე ხშირი მოვლენა უნდა ყოფილიყო. დამაფიქრებელია, რომ ორბელიანთა გენეალოგიური ნუსხის მიხედვით გრიგოლი და სოფიო ერთ წელს, 1804-ში, არიან დაბადებულები და, თუ გრიგოლი 14-ისა იყო, სოფიოც მისი ტოლი იქნებოდა. უზუსტობა იონა მეუნარგიას წიგნშიც არაერთია და გენეალოგიურ ნუსხაშიც. ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ამ შემთხვევაში რომელი ცდება.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი დიმიტრი ზაალის (ზაქარიას) ძე (1763-1827) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1793 წელს დაინიშნა კავკასიის ეგერთა კორპუსის მე-2 ბატალიონის მეთაურად, 1800 წელს – მე-18 ეგერთა პოლკის შეფად. 1803 წელს მონაწილეობდა ჭარ-ბელაქნის ექსპედიციაში, 1809 წელს თავი გამოიჩინა ფოთთან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1818 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს.

ორბელიანი ყაფლან (ივანე) ზაალის ძე (1780-1820) – რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, გრიგოლ ორბელიანის დანიშნულის, სოფიო ორბელიან-ბეზაკის მამა.

ორბელიანი-ბეზაკისა სოფიო ყაფლანის (იოანეს) ასული (1804-?) – გრიგოლ ორბელიანის შორეული ნათესავი და მისი დანიშნული. ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკს.

ამილახვარი-სიმონიჩისა ანა ოთარის ასული (1800-1866) – გრიგოლ ორბელიანის დანიშნულის, სოფიო ორბელიანის, დედა. მისი პირველი ქმარი იყო ყაფლან (ივანე) ზაალის ძე ორბელიანი, მეორე კი – გრაფი ივან იოსების ძე სიმონიჩი.

Источники: Шилов Д. Н., Кузьмин Ю. А. Члены Государственного совета Российской империи, 1801-1906, СПб., 2007; Списокъ генераламъ по старшинству, Санкт Петербургъ, 1872, 92.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75.

დათარიღება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ იმ პერიოდის ისტორიული წყაროების საფუძველზე.

პირთა ანოტაციები:

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1846) – რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, ნაპოლეონის, ირანის თურქეთის და დაღესტნელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ერისთავი გიორგი ევსევის ძე (1769-1863) – რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, სენატორი, კავკასიის ომების მონაწილე.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75; Потто Василий Александрович, Кавказская война. В очерках, эпизодах, легендах и биографиях, XXXIX. Кахетия и Картли.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ იმ პერიოდის ისტორიული წყაროების საფუძველზე.

პირთა ანოტაციები:

ერისთავი გიორგი ევსევის ძე (1769-1863) – რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, სენატორი, კავკასიის ომების მონაწილე.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75; Русская старина 1874, N11, 136.


დათარიღება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ იმ პერიოდის ისტორიული წყაროების საფუძველზე.

წყარო: სეა, ფ. 1457, ტ. XXI, ფურც. 4056ა.

პირთა ანოტაციები:

ორბელიანი ანტონ (ტატო) გიორგის ძე (1803-1855) – რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი, გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი ბიძაშვილი და მეგობარი.

ფოტო / დოკუმენტი: სეა, ფონდი 1457, ტ. XXI, 4056ა.



Ўзгач: Шилов Д. Н., Кузьмин Ю. А. Члены Государственного совета Российской империи, 1801-1906, СПб., 2007.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მომბე“, 1904, N2, გვ. 75; Г. Казбек, Военная история грузинского Е. И. В. Великаго князя Константина Николаевича полка в связи с историей кавказской войны, Тифлис, 1865, 86.

დათარილება: რამდენადაც 1826 წელს გრიგოლ ორბელიანი ირიცხებოდა ქართველ გრენადერთა პოლკში და იონა მეუნარგიასეული ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ის მონაწილეობდა ამ ექსპედიციაში, თარიღები ამ პოლკთან ერთად მისი გადაადგილებებისა და განვითარებული მოვლენების შესახებ დავადგინეთ გრენადერთა პოლკის ისტორიის ამსახველი დასახელებული წიგნიდან.

პირთა ანოტაციები:

სიმონი ივან ოსების ძე (1793-1851) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1825 წლიდან ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. 1832 წლიდან დიპლომატიური მისიით იყო ირანში. ცოლად მოიყვანა გრიგოლ ორბელიანზე ბავშვობაშივე დანიშნული სოფიო ივანეს ასული ორბელიანის დედა – ანა ოთარის ასული ამილახვარი.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

პირთა ანოტაციები:

სიმონიჩი ივან იოსების ძე (1793-1851) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1825 წლიდან ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. 1832 წლიდან დიპლომატიური მისიით იყო ირანში. ცოლად მოიყვანა გრიგოლ ორბელიანზე ბავშვობაშივე დანიშნული სოფიო ივანეს ასული ორბელიანის დედა – ანა ოთარის ასული ამილახვარი.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

გეოგრაფიული სახელები: დემურჩასალი სოფელი იყო ქვემო ქართლის რეგიონში, ბორჩალოს მაზრაში.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

გეოგრაფიული სახელები: ტოვუზი იყო სოფელი, ამჟამად კი არის ქალაქი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

გეოგრაფიული სახელები: ჰასანსუ იყო სოფელი ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

პირთა ანოტაციები:

ერმოლოვი ალექსეი პეტრეს ძე (1777-1861) – რუსი გენერალი და სახელმწიფო მოხელე კავკასიის მთავარმართებელი 1816-1827 წლებში.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, N2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

გეოგრაფიული სახელები: ჰასანსუ იყო სოფელი ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

პირთა ანოტაციები:

ერმოლოვი ალექსეი პეტრეს ძე (1777-1861) – რუსი გენერალი და სახელმწიფო მოხელე კავკასიის მთავარმართებელი 1816-1827 წლებში.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ქ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: ინფორმაცია ამ ექსპედიციაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ მოცემულია მწერლის იონა მეუნარგიასეულ ბიოგრაფიაში, თარიღი კი დავადგინეთ გრაფი სიმონიჩის მოგონებებიდან.

გეოგრაფიული სახელები: მდინარე ალსთაფა (ალსტევი) არის მტკვრის მარჯვენა შენაკადი და მიედინება ამჟამინდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901

დათარილება: თარიღი მითითებულია გრაფ სიმონიჩის მოგონებებში.

გეოგრაფიული სახელები: ყაზახი ქალაქია აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში.

პირთა ანოტაციები:

სიმონიჩი ივან იოსების ძე (1793-1851) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1825 წლიდან ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. 1832 წლიდან დიპლომატიური მისიით იყო ირანში. ცოლად მოიყვანა გრიგოლ ორბელიანზე ბავშვობაშივე დანიშნული სოფიო ივანეს ასული ორბელიანის დედა – ანა ოთარის ასული ამილახვარი.

ორბელიანი ასლან ნიკოლოზის ძე (1767-1856) – გრიგოლ ორბელიანის ბიძა. 1826 წელს დაინიშნა ყაზახის მოურავად. 1829 წელს წინააღმდეგობა გაუწია მილიციაში გაწვევას, რის გამოც გაასამართლეს. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში.

წყარო: იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, №2, გვ. 75; Персидская война, Кампания 1826 года, Из записок графа Симонича, Кавказский сборник, Том 22. 1901.

დათარილება: თარიღი მითითებულია გრაფ სიმონიჩის მოგონებებში.

